თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი
TBILISI TEACHING UNIVERSITY

# მეცნიერება და ცხოვრება

ISSN 1987-9377

2 (16)

თბილისი 2017

TU

თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი
TBILISI TEACHING UNIVERSITY

# მეცნიერება და ცხოვრება

# Metsniereba da Tskhovreba

# Мецниереба да Цховреба

## № 2[16]

თბილისი - Tbilisi – Тбилиси
2017

UDC (უაკ) 001.1+001.5](051.2
მ-621

**საერთაშორისო, რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი “მეცნიერება და ცხოვრება” - გამოდის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით**

**International, refered and reviewed scientific journal «Metsniereba da Tskhovreba» - published by the decision of Tbilisi Teaching University’s academic council**

**Международный, рецензированный и реферированный журнал «Мецниереба да Цховреба» - выходит по решению академического совета Тбилисского учебного университета**

**ჟურნალი გამოდის 2010 წლიდან წელიწადში ორჯერ**
**ჟურნალის დამფუძნებელი - დავით ჯანგულაშვილი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის მმართველობითი საბჭოს თავმჯდომარე**

**Published since 2010 twice a year**
**Founder of the journal - David Jangulashvili, Doctor of Economic Sciences, Professor, Academician of the Georgian Academy of Business Sciences, Chairman of the Management Board of Tbilisi Teaching University**

**Журнал выходит с 2010 года два раза в год**
**Основатель журнала - Давид Джангулашвили, доктор экономических наук, профессор, академик Академии Наук Бизнеса Грузии, председатель управленческого совета Тбилисского Учебного Университета**

**უნივერსიტეტის მისამართი: ქ. თბილისი, ეგ. ნინოშვილის ქ. №55**
**ვებ-გვერდი: www.tu.edu.ge**
**ელ.ფოსტა: journal2010@mail.com**
**ტელ: 2969044**

**University address: Tbilisi, Eg. Ninoshvili st. №55**
**WEB-page: www.tu.edu.ge**
**E-mail: journal2010 @mail.com**
**Tel: 2969044**

**Адрес университета: г. Тбилиси, ул. Эг. Биношвили №55**
**Веб-страница: www.tu.edu.ge**
**Эл-почта: journal2010@mail.com**
**Тел: 2969044**

გამომცემლობა „მწიგნობარი”

# სამეცნიერო-სარედაქციო საბჭო

**ლევან ჯანგულაშვილი** – პროფესორი, თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი
**რევაზ ჯავახიშვილი** – მთავარი რედაქტორი, პროფესორი, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი
**ლია მენთეშაშვილი** – პასუხისმგებელი მდივანი, პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი
**დავით ჯანგულაშვილი** – პროფესორი, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

**სოლომონ პავლიაშვილი** –პროფესორი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი
**ავთანდილ სილაგაძე** – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი
**ირაკლი ასლანიშვილი** – საქართველოს ბიზნეს-ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი
**გაიოზ ნადირაშვილი** – პროფესორი, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი
**მიხეილ ჯიბუტი** – პროფესორი, საქართველოს ეკონომისტთა ასოციაციის პრეზიდენტი
**რამაზ აბესაძე** – პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი
**გედევან ხელაია** – პროფესორი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი
**დავით გუბელაძე** – პროფესორი, ეკოლოგიისა და ბუნებათსარგებლობის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი
**დავით ვეკუა** – პროფესორი
**თამარ ჯანგულაშვილი** – პროფესორი
**არჩილ ცერცვაძე** – პროფესორი
**გიორგი ცაავა** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
**შოთა ვეშაპიძე** – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის პროფესორი
**დევი ხვედელიანი** – პროფესორი
**ალექსანდრე ჭულუხაძე** – ქართული უნივერსიტეტის პროფესორი
**ნინო სანაია** – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
**ელენე გვენცაძე** – ასოცირებული პროფესორი

**ნადეჟდა გრაჟევსკაია** – პროფესორი (უკრაინა)
**დომინიკ კოლენ** – პროფესორი (საფრანგეთი)
**რეიმონდ გიუზო** – პროფესორი (საფრანგეთი)
**ჟან ბარლუა** – პროფესორი (საფრანგეთი)
**ანტონიო ბოჯია** – პროფესორი (იტალია)
**იოანა ბალანი** – ასოცირებული პროფესორი (რუმინეთი)

კომპიუტერული უზრუნველყოფა – **ხათუნა ჩაჩხიანი**

## SCIENTIFIC-EDITORIAL BOARD


**Levan Jangulashvili**– Professor, Rector of Tbilisi Teaching University

**Revaz Javakhishvili** – Editor-in-Chief, Professor, Academician of the Georgian Academy of Business Sciences

**Lia Menteshashvili** –Executive Secretary, Professor, Academician of Georgian Academy of Education Sciencies

**David Jangulashvili** – Professor, Academician of the Georgian Academy of Business Sciences

**Solomon Pavliashvili**–Professor, Vice -President of the Georgian Academy of Economic Sciences
**Avtandil Silagadze –** Academician of the Georgian National Academy of Sciences
**Irakli Aslanishvili -** Executive Director of Business Association of Georgia
**Gaioz Nadirasvili –** Professor, Academician of the Georgian Academy of Business Sciences
**Mikheil Jibuti** –Professor, President of Economists Association of Georgia
**Ramaz Abesadze _** Professor, Director of P. Gugushvili Institute of Economists
**Gedevan Khelaia** – Professor , Academician of the Academy of the Economic Sciences of Georgia
**David Gubeladze** – Professor, Academician of the International Academy of Ecology and Nature
**David Vekua** – Professor
**Tamar Jangulashvili** – Professor
**Archil Tsertsvadze** – Professor
**Giorgi Tsaava** – Professor, Georgian Technical University
**Shota Veshapidze** – Professor, David Aghmashenebeli National Defense Academic of Georgia
**Devi Khvedeliani** – Professor
**Aleqsander Chulukhadze -** Professor, Georgian University
**Nino Sanaia** – Associate Professor, Sokhumi State University
**Elene Gventsadze** –Associate Professor

**Nadejda Grajevskaya** – Professor (Ukraine)
**Dominique Colin** – Professor (France)
**Raymond Guillouzo** – Professor (France)
**Jean Barloy** – Professor (France)
**Antonio Bogia** – Professor (Italy)
**Ioana Balan -** Associate Professor (Romania)

Computer Service **– Khatuna Chachkhiani**

# НАУЧНО РЕДАКЦИОННЫЙ СОВЕТ

**Леван Джангулашвили –** профессор, ректор Тбилисского учебного университета
**Реваз Джавахишвили** – главный редактор**,** профессор, академик Академии Наук Бизнеса Грузии
**Лия Ментешашвили** – ответственный секретарь, профессор, академик Академии Наук Просвещения Грузии
**Давид Джангулашвили –** профессор, академик Академии Наук Бизнеса Грузии

**Соломон Павлиашвили** - профессор, вице - президент Академии Экономических Наук Грузии
**Автандил Силагадзе -** академик Национальной Академии Наук Грузии
**Иракли Асланишвили –** исполнительный директор Бизнэсс-ассоциации Грузии
**Гаиоз Надирашвили -** профессор, академик Академии Наук Бизнеса Грузии
**Михеил Джибути -** президент Ассоциации экономистов Грузии, профессор
**Рамаз Абесадзе -** директор Института экономики им. П. Гугушвили, профессор
**Гедеван Хелая –** профессор, академик Академии Экономических Наук Грузии
**Давид Губеладзе –** профессор, академик Академии Экологии и Пользования Природными Рессурсами
**Давид Векуа –** профессор
**Тамар Джангулашвили –**профессор
**Арчил Церцвадзе –** профессор
**Гиорги Цаава -** профессор Технического университета Грузии
**Шота Вешапидзе –** профессор Академии Национальной Обороны Грузии
им. Давид Агмашенебели
**Дэви Хведелиани –** профессор
**Александр Чулухадзе** – профессор Грузинского университета
**Нино Саная -** ассоцированный профессор Сухумского государственного университета
**Елене Гвенцадзе -** ассоцированный профессор

**Надежда Гражевская –** профессор (Украина)
**Доминик Колен –** профессор (Франция)
**Реймонд Гюзо –** профессор (Франция)
**Жан Барлуа –** профессор (Франция)
**Антонио Боджиа –** профессор (Италия)
**Иоана Балан** - ассоцированный профессор (Румыния)

Компьютерное обеспечение: **Хатуна Чачхиани**

# სარჩევი

## ეკონომიკის მეცნიერებანი


ლევან ჯანგულაშვილი, რევაზ ჯავახიშვილი - მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა შვედეთში ........ 12

გაიოზ ნადირაშვილი, დავით ჯანგულაშვილი - ტურიზმი როგორც ეკონომიკის სექტორი ........ 17

ნადეჟდა გრაჟევსკაია - ეკონომიკურ სისტემათა არსის, სტრუქტურისა და ტიპოლოგიზაციის კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური მეთოდების ევოლუცია........ 26

თამარ ჯანგულაშვილი - სოციალური მარკეტინგისა და ბიზნესის სოციალური პასუხის-მგებლობა ........ 31

არჩილ ცერცვაძე - სადაზღვევო ბაზრის მონაწილე შუამავლები........ 36

მაია თეთრუაშვილი - შრომითი მიგრაცია და ეკონომიკა........ 39

რევაზ კაკულია - გლობალიზაცია და საქართველოს ეკონომიკური განვითარების თანამედროვე პრობლემები........ 44

ნუნუ ქისტაური, ნანა შატბერაშვილი - მსოფლიოში ინოვაციური საქმიანობის განვითარების თავისებურებები თანამედროვე ეტაპზე ........ 50

ავთანდილ ზედგენიძე, ლაშა ზედგენიძე - მსოფლიოს ტყის რესურსები გლობალიზაციის პირობებში ........ 56

გივი დუჩიძე, ვაჟა ზეიკიძე - სახელმწიფო და კერძო პარტნიორობის როლი აგრობიზნესის მაკროეკონომიკურ რეგულირებაში ........ 60

სოფიო ბლიაძე, ლია ბიბილაშვილი - დროის ეფექტური მართვა, როგორც წარმატების მიღწევის საწინდარი ........ 68

ია თეთრუაშვილი - ასოცირების ხელშეკრულება და საქართველოს პერსპექტივები........ 72

ლია ოტიაშვილი - საქართველოს უმაღლესი განათლების რეფორმის ფინანსური ასპექტები........ 77

დიმიტრი ჯავახაძე - ელექტრონული სერვისების განვითარების გლობალური ტენდენციები........ 80

დიმიტრი ჯავახაძე - თანამედროვე ბიზნესის ელექტრონული შესაძლებლობები........ 86

გივი მაკალათია - ბიზნესის ეთიკის სრულყოფის საკითხები საქართველოში........ 94


## აგრარული მეცნიერებანი


მაგდა ვადაჭკორია - ორგანული სოფლის მეურნეობა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების გლობალიზაცია........ 98

მურად გარუჩავა - ეკოლოგიური შედეგების გამომწვევი ფაქტორები........ 103

მანანა ცინცაძე, ნათია ნატროშვილი, გიორგი ნატროშვილი - ბროილერის ქათმის წარმოება........ 107

მანანა ცინცაძე, ნათია ნატროშვილი, გიორგი ნატროშვილი - ადამიანის ჯანსაღი კვება.. 110

თამარ კაკაშვილი - ყურძნის წიპწის ბიოფლავონოიდების მიღების ტექნოლოგია........ 114

ნინო ყიფიანი - მანდარინის ნაგალა ფორმების ტრიფოლიატა ადრემსხმოიარესა და ციტრუს იჩანგენზისთან შეჯვარების შედეგები........ 117

ნატალია ჯინჭარაძე, ნინო ყიფიანი - ჩაის ბუჩქის გამორჩევის თავისებურებანი........ 120

ლია კოპალიანი - მაღალპროდუქტიული კეთილშობილური დაფნის Laurus nobilis წარმოების ინტენსიფიკაცია და ეფექტიანობა........ 123

## ინჟინერია


დავით გუბელაძე - ტყის დაცვითი ღონისძიებები და წყლისმიერი ეროზიული პროცესები........ 126

გიორგი ნაჭყეპია - ღრუბლოვან გამოთვლებში ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების შემცირება და რესურსების რაციონალური განაწილება........ 130


## იურიდიული მეცნიერებანი


ნათელა მაისურაძე - საჯარო-სამართლებრივი მართვის მეთოდები........ 138

კახა კობერიძე - ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს საკანონმდებლო ცვლილებები ........ 144

ბექა ცერცვაძე - მზღვეველისა და დამზღვევის სამართლებრივი ვალდებულებები ........ 149

მამუკა ეგუტიძე - ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თავისებურებანი........ 152


## ჰუმანიტარული მეცნიერებანი


მაია თევზაძე - გენდერული სტერეოტიპების მოდიფიცირების ფაქტორები........ 158

მაია თევზაძე, ნინო სანაია - ენობრივი სტერეოტიპები და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ........ 161

ლალი ურდულაშვილი - გურამ დოჩანაშვილის „სამოსელი პირველის“ სახისმეტყველური გააზრებისათვის ........ 164

ნაირა ბერია - სისწორისა და ჭეშმარიტების გაიგივების ფორმალიზმი........ 169

ზოია ადამია - მდაბიო ენა, როგორც ენის ლექსიკის შემადგენელი ნაწილი........ 175

ირაკლი უბილავა, ვალერიან დოლიძე - მსგავსი სოციალურ-პოლიტიკური სისტემები და ომები........ 180

ნათია იაშვილი - ქართული თემატიკა ინგლისურ ლიტერატურაში........ 186


## განათლების მეცნიერებანი


იმერი ბასილაძე, მაია ახვლედიანი - ადრეული განათლების მნიშვნელობის ზოგიერთი საკითხისათვის თანამედროვე ქართულ პედაგოგიკაში........ 190

იმერი ბასილაძე, მანონი ბერუჩაშვილი - ბავშვზე (მოსწავლეზე) ორიენტირებული კურიკულუმის ძირითადი პრინციპები ქართულ პედაგოგიკურ აზროვნებაში ........ 197

ლია მენთეშაშვილი - ძნელად აღსაზრდელი ბავშვები – პედაგოგიკის მეცნიერების მნიშვნელოვანი პრობლემა ........ 203

ნინო ნახუცრიშვილი, შორენა ძამუკაშვილი - სკოლისა და უნივერსიტეტის ურთიერთთანამშრომლობის პერსპექტივები სტუდენტთა სასკოლო პრაქტიკის მაგალითზე ........ 209

# Contents

## Economic Sciences


**Levan Jangulashvili, Revaz Javakhishvili - Small and Medium Business Support in Sweden....** 12

**Gaioz Nadirashvili, David Jangulashvili - Tourism as Dynamic Economic Sector …………....** 17

**Nadezhda Grazhevskaya - Evolution of Theoretical and Methodological Approaches to the Study of Nature, Structure and Typology of Economic Systems ……………………………..** 26

**Tamar Jangulashvili - Social Marketing and Business Social Responsibility …………………** 31

**Archil Tsertsvadze - Intermediaries Of Insurance Market ........................................................** 36

**Maia Tetruashvili - Labour Migration and Economics ………………………………………** 39

**Revaz kakulia - Globalization and Modern Problems of Georgia ………………………………** 44

**Nunu Kistauri, Nana Shatberashvili -Peculiarities of Innovative Activity at Current Stage of Development in the World ………………………………………………………………………….** 50

**Avtandil Zedginidze, Lasha Zedginidze - The World Forest Recourses Globalization Terms and Conditions …………………………………………………………………………………..** 56

**Givi Duchidze, Vazha Zeikidze - The Role of State and Private Partnership in Macroeconomic Regulation of Agricultural Business ……………………………………………** 60

**Sofio Bliadze, Lia Bibilashvili - Effective Time Management as a Precondition for Success ….** 68

**Ia TeTruashvili - The Association Agreement and Perspectives of Georgia …………………....** 72

**Lia Otiashvili - Financial Aspects of the Reform in the High Education of Georgia …………....** 77

**Dimitri Javakhadze - The Global Trends of the Development of e – services …………………..** 80

**Dimitri Javakhadze - Electronic Capabilities of Modern Business ……………………………...** 86

**Givi Makalatia - Business Ethics Improvement Issues in Georgia ……………………………….** 94


## Agrarical Sciences


**Magda Vadachkoria - Organic Agriculture and Globalization of Agriculural Production** 98

**Murad Garuchava - Factors that Cause Environmental Outcomes ……………………...** 103

**Manana Tsintsadze, Natia Natroshvili, Giorgi Natroshvili - Production of Broiler Chicken ………………………………………………………………………………….** 107

**Manana Tsintsadze, Natia Natroshvili, Giorgi Natroshvili - Human Healthy Nutrition ….** 110

**Tamar Kakashvili - Technology of Seed Bioflavonoids Riesling Grapes …………………...** 114

**Nino Kipiani - The Results of Breeding of Mandarin Dwarf Forms and Citrus Ichangesis.** 117

**Natalia Jincharadze, Nino Kipiani - Tea Bushes Distinguishing Features ………………....** 120

**Lia Kopaliani - Intensification and Efficiency of Highly Productive Laurus Nobilis ……..** 123

## Ingineering


**David Gubeladze - Forest Protection Measures and Water Erosion Processes** …………....... 126

**George Nachkepia - Reducing information security risks and rational distribution of resources in cloud computations**.............................................................................. 130


## Legal Sciences


**Natela Maisuradze - Methods of State and Legal Management** ……………………………. 138

**Kakha Koberidze - Changes in Jury Trial Law** ……………………………………………... 144

**Beka Tsertsvadze - Legal Obligations of Insurer and Insured** …………………………….. 149

**Mamuka Egutidze - Peculiarities of the Jury Court** ………………………………………… 152


## Humanitarian Sciences


**Maya Tevzadze - Factors that Contribute to Modification of Gender Stereotypes** ………….. 158

**Maya Tevzadze, Nino Sanaia - Languige Stereotypes and Mass Media** ……………………. 161

**Lali Urdulashvili - Esthetical Perception of the "First Raiment" by Guram Dochanashvili** 164

**Naira Beria - Accuracy and truth identification formalism** ………………………………… 169

**Zoia Adamia - Popular Speech as an Integral Component of Language Lexicon** …………. 175

**Irakli Ubilava, Valerian Dolidze - Similar Social - Political Systems and Wars** ………….. 180

**Natia Iashvili - Georgian Theme in English Literature** ……………………………………… 186


## Education Sciences


**Imeri Basiladze, Maia Akhvlediani - Some of the Issues of Importance of Early Education in Modern Georgian Pedagogics** ………………………………………………………………. 190

**Imeri Basiladze, Manoni Beruchashvili - Basic Principles of Curriculum Approach Focused on a Child (pupil) in Georgian Pedagogical Thinking** …………………………….. 197

**Lia Menteshashvili - Difficult Upbringing Children – Important Problem of Pedagogical Science** ……………………………………………………………………………………… 203

**Nino Nakhutsrishvili, Shorena Dzamukashvili - The Perspectives of Cooperation Between School and University on the Example of Students' School Practice** .................................. 209

# Содержание

## Экономические науки

Леван Джангулашвили. Реваз Джавахишвили - Поддержка малого и среднего бизнеса в Швеции ........ 12
Гаиоз Надирашвили, Давид Джангулашвили - Туризм как сектор економики ........ 17
Надежда Гражевская - Эволюция теоретико-методологических подходов к исследованию сущности, структуры и типологизации экономических систем ........ 26
Тамар Джангулашвили - Социальный маркетинг и социальная ответственность бизнеса ........ 31
Арчил Церцвадзе - Посредники страхового рынка ........ 36
Майа Тетруашвили - Трудовая миграция и экономика ........ 39
Реваз Какулиа - Глобализация и современные проблемы экономического развития страны ........ 44
Автандил Зедгинидзе, Лаша Зедгинидзе - Мировые лесные ресурсы в условиях глобализации ........ 50
Гиви Дучидзе, Важа Зеикидзе - Роль государственного и частного партнёрства в макроэкономическом регулировании агробизнеса ........ 56
Софио Блиадзе, Лия Бибилашвили - Эффективное управление временем как предпосылка в достижении успеха ........ 60
Ия Тетруашвили - Соглашение об ассоциации и перспективы Грузии ........ 68
Лия Отиашвили - Финансовые аспекты реформы высшего образования Грузии ..... 72
Димитри Джавахадзе - Глобальные тенденции развития электронных услуг ........ 77
Димитри Джавахадзе - Электронные возможности современного бизнеса ........ 80
Гиви Макалатиа - Вопросы усовершенствования бизнесэтики в Грузии ........ 94

## Аграрные науки

Магда Вадачкория - Органическое сельское хозяйство и глобализация сельскохозяйственного производства ........ 98
Мурад Гаручава - Факторы, вызывающие экологические последствия ........ 103
Манана Цинцадзе, Натиа Натрошвили, Гиорги Натрошвили - Производство бройлеров ........ 107
Манана Цинцадзе, Натиа Натрошвили, Гиорги Натрошвили - Правильное питание человека ........ 110
Тамара Какашвили - Технология получения биофлавоноидов косточек винограда 114
Нино Кипиани - Результаты селекции мандарина карликовых форм с цитрусовым Ичангезисом ........ 117
Наталиа Джинчарадзе, Нино Кипиани - Особенности выделения чайного куста... 120
Лия Копалиани - Интенсификация и эффективность высокопродуктивного Laurus nobilis ........ 123

## Инжинерия

**Давид Губеладзе - Охраняющие мероприятия леса и водяные эрозийные процессы ………………………………………………………………………....... 126**

**Гиорги Начкепия - Снижение рисков информационной безопасности облачных расчётов и рациональное распределение ресурсов ……………………...................... 130**

## Юридические науки

**Натела Майсурадзе - Методы государственно-правового управления …………... 138**

**Каха Коберидзе - Изменения в законодательстве о суде присяжных ……………... 144**

**Бека Церцвадзе - Правовое обязательство между страхователем и страховщиком ……………………………………………………………………….. 149**

**Мамука Егутидзе - Особенности суда присяжных ……………………………....... 152**

## Гуманитарные науки

**Майя Тевзадзе - Факторы, обусловливающие модифицирование гендерных стереотипов ………………………………………………………………………….. 158**

**Майя Тевзадзе, Нино Саная - Языковые стереотипы и средства массовой информации ………………………………………………………………………….... 161**

**Лали Урдулашвили - Теологическое осмысление романа Гурама Дочанашвили «Облачение первое» ………………………………………………………………… 164**

**Наира Бериа - Формализм отождествления правильности и истинности ………... 169**

**Зоя Адамия - Просторечие как органически составная часть лексики языка …... 175**

**Ираклий Убилава, Валериан Долидзе - Схожие социально-политические системы и войны ……………………………………………………………………… 180**

**Натия Иашвили - Грузинская тема в английской литературе …………………….. 186**

## Науки Просвещения

**Имери Басиладзе, Маиа Ахвледиани - О некоторых вопросах значимости раннего образования в современной грузинской педагогике ……………………..... 190**

**Имери Басиладзе, Манон Беручашвили - Основные принципы ориентированного на ребенка (ученика) куринкулума в грузинском педагогическом мышлении ……………………………………………………………... 197**

**Лия Ментешашвили - Трудновоспитуемые дети – важная проблема педагогической науки ……………………………………………………………..... 203**

**Нино Нахуцришвили, Шорена Дзамукашвили - Школьные и университетские студенты в примере школьной практики перспектив сотрудничества …………... 209**

# ეკონომიკის მეცნიერებანი

ლევან ჯანგულაშვილი
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი

რევაზ ჯავახიშვილი
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი

## მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა შვედეთში

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მხარდაჭერა შვედეთის ეროვნული ინოვაციური პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს, რომელიც ხორციელდება ეკონომიკის განვითარებაში როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სტრუქტურების აქტიური ჩარევით. ეს იმითაცაა განპირობებული, რომ ქვეყნის საწარმოთა მთლიან რაოდენობაში მცირე და საშუალო საწარმოებს უკავიათ 90%-ზე მეტი, რომელთა წილად მოდის ეკონომიკაში დასაქმებულთა 1/3 და მშპ-ს დაახლოებით ნახევარი (1,3). აღსანიშნავია, რომ შვედეთში საშუალო ზომის საწარმოებს მიეკუთვნება 50-დან 250-მდე დასაქმებულებით, ხოლო 50-ზე ნაკლები დასაქმებული ობიექტები მიეკუთვნება მცირე ზომის საწარმოებს. ბოლო პერიოდში ასეთი საწარმოების მიმართ ყურადღება განსაკუთრებით ძლიერდება, რაც შემდეგი ფაქტორებითაა განპირობებული:

1. ასეთი საწარმოები ასრულებენ გადამწყვეტ როლს მოსახლეობის დასაქმებაში;
2. მცირე და საშუალო საწარმოთა საქმიანობა უფრო მეტად ატარებს ინოვაციურ ხასიათს, ვინაიდან ისინი უფრო მოქნილად რეაგირებენ მოთხოვნის, ტექნოლოგიებისა და გამოშვებული პროდუქციის ასორტიმენტის ცვლილებებზე. რამდენადაც, გლობალიზაციას შედეგად მოსდევს საგარეო ბაზრებზე რეალიზებული ეროვნული პროდუქტის ხვედრიწილის გადიდება, ამიტომ შვედეთის მთავრობა ყოველმხრივ უჭერს მხარს ეკონომიკის ინოვაციური სექტორის განვითარებას, რომელიც დიდ ნაწილში წარმოდგენილია მცირე და საშუალო ბიზნესის სახით. ეკონომიკურ თეორიაში აღიარებულია ის ფაქტი, რომ ინოვაციური პროდუქტის ექსპორტით მიღებული ე.წ. „ტექნოლოგიური რენტა" მნიშვნელოვნად აღემატება ბუნებრივ თუ სასოფლო-სამეურნეო რენტას, რომელიც მიიღება მსოფლიო ბაზრებზე ბუნებრივი რესურსებისა და სასურსათო საქონლის რეალიზაციის შედეგად;
3. მცირე საწარმოებს უფრო მეტად შესწევთ უნარი უკეთ დააკმაყოფილონ ცალკეული კატეგორიის მომხმარებელთა მოთხოვნები, რომელთაც ამჟამად აქვთ აშკარად გამოხატული ზრდის ტენდენცია;
4. სტრუქტურული ძვრები ეკონომიკურ სისტემაში (მაგალითად, მომსახურებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების უფრო სწრაფი განვითარება), რაც იწვევს ბიზნესის მცირე ფორმების როლისა და მნიშვნელობის ზრდას;
5. შვედეთში დიდი მხარდაჭერით სარგებლობს საქმიანობის ტრადიციული დარგები: სოფლის მეურნეობა, თევზჭერა, სხვადასხვა სახის მეწარმეობა, სადაც პროდუქციის დიდი ნაწილი იქმნება მცირე და საშუალო საწარმოებში;
6. შვედეთში წარმატებით ხორციელდება მსხვილი საწარმოო-საყოფაცხოვრებო სისტემების შექმნა, სადაც გაერთიანებულია ათასობით სამეცნიერო, საწარმოო, საფინანსო-გამსაღებელი, საკრედიტო-საფინანსო და სხვა ერთეულები, რომელთაც გააჩნიათ უამრავი წვრილი რგოლები. ქვეყანაში იქმნება ახალი, ე.წ. „ქსელური ეკონომიკა", რომელიც დაფუძნებულია „ქსელურ საწარმოთა" კოოპერაციაზე. ბევრი საწარმოო იძენს ახალ სიცოცხლეს, რომლებიც ერთიანდებიან მსხვილ ქსელურ სისტემებში და იწყებენ მსხვილი კომპანიებისა და ზოგჯერ ტნკ-ების

მომსახურებას. შვედეთში დიდი გაქანება მიიღო განსაზღვრულ საწარმოო ოპერაციებზე ან ბიზნეს-მომსახურებაზე (აუტსორინგი) სუბკონტრაქტების დადებამ. ეს პროცესი ვითარდება შრომის ტექნოლოგიური დანაწილებისა და კოოპერირების საფუძველზე. ტნკ-ები და წვრილი საწარმოები აღარ კონკურირებენ ერთმანეთთან, რამდენადაც ისინი ქმნიან გარკვეულ სიმბიოზებს. ამის ნათელი მაგალითია მსხვილი მანქანათმშენებელი და სატრანსპორტო საწარმოები, რომელთაც ჰყავთ ათეულ ათასობით დეტალებისა და კვანძების სუბკონტრაქტული მომწოდებელი წვრილი საწარმოები;

7. ქვეყანაში სამეცნიერო გამოკვლევების კაპიტალტევადობის სისტემატური ზრდის გამო, მათ დიდ ნაწილს ანხორციელებენ მსხვილი საწარმოები, რომლებიც სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების მხარდაჭერის მიზნით, დიდი ოდენობით ღებულობენ სახელმწიფო სახსრებს. სწორედ ამიტომ, წვრილი საწარმოები საჭიროებენ უფრო მეტ სახელმწიფო მხარდაჭერას. ამისი თეორიული დასაბუთება გაკეთებულ იქნა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში. შემდგომში კი იგი თანდათანობით იქცეოდა სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტად. აღნიშნული პოლიტიკის განსახორციელებლად ქვეყანაში გატარდა შემდეგი სახის ღონისძიებები:

- **ორგანიზაციული**. შეიქმნა წვრილი და საშულო საწარმოების მხარდამჭერი ინსტიტუტები და ფონდები: 1973წ. შვედეთის მრეწველობის სამინისტროს სისტემაში შეიქმნა ბიზნესის მართვის დირექტორატი და ბიზნესის განვითარების შვედეთის სააგენტო. მათი მთავარი ამოცანაა მცირე მეწარმეობის მხარდაჭერა, ანტიტრესტული რეგულირება, გადასახდელებისა და ადმინისტრაციული ზეწოლის შემცირება, საფინანსო ანგარიშგების გამარტივება, სამეცნიერო და საფინანსო (მ.შ. ვენჩურული დაფინანსების) რესურსების ხელმისაწვდომობის გაიოლება, რამაც ხელსაყრელი პირობები შექმნა მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის;
- **საკანონმდებლო**. 1998წ. მიღებულ იქნა კანონი, რომელიც კრძალავს როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი ორგანოების მიერ ეკონომიკის განვითარების ნებისმიერი ღონისძიების გატარებას, რომელიც არ ითვალისწინებს მცირე და საშუალო ბიზნესის ინტერესებს. ამასთან, შეიქმნა სპეციალური ჯგუფი, რომელიც აკონტროლებს ამ საკანონმდებლო მოთხოვნის შესრულებას და ამასთან დაკავშირებით, ყოველწლიურად ანგარიშს აბარებს შვედეთის პარლამენტს. მცირე მეწარმეობის გამოკვლევის შვედური ფონდი ყოველწლიურად ორგანიზებას უკეთებს „მცირე ბიზნესის“ დღის ჩატარებას, სადაც განიხილება მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების აქტუალური პრობლემები, რომლის შედეგი და რეკომენდაციები გაითვალისწინება აღნიშნულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების დროს.
- **საფინანსო და საგადასახადო**. ქვეყანაში მოქმედებს სახელმწიფო ფონდი „ალმი“, რომელიც მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის მიზნით გასცემს შეღავათიან კრედიტებსა და სუბსიდიებს (გრანტებს). პარალელურად მცირე საწარმოებს უფლება ეძლევათ საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგება აწარმოონ გამარტივებული ფორმით. მცირე ბიზნესის განვითარების მხარდაჭერა ხდება ვენჩურული დაფინანსებითაც. ყველა გადასახადი, რომელიც შვედურმა საწარმომ უნდა გადაიხადოს (დღგ, სამუშაო ძალის დაქირავების გადასახადი, მოგების გადასახადი) მოცემულია ერთი გადასახადის სახით.
- **ინფორმაციული მხარდაჭერა.** ბიზნესის დაწყებისა და ორგანიზაციისათვის საჭირო კონსულტაციები; აუცილებელი ინფორმაცია (მ.შ. სიახლეთმცოდნეობაში) მიეწოდება სააგენტო „ანულეკის“ მეშვეობით. სამრეწველო დიზაინის შვედური ფონდი (SVID) უწევს პრაქტიკულ დახმარებას და ავრცელებს ცნობებს სამრეწველო დიზაინის შესახებ, აგრეთვე, ამუშავებს საინფორმაციო პროგრამებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ახალ საწარმოთა ორგანიზაციასა და კოოპერაციას. საინფორმაციო რესურსი „სმელინკი“, რომელიც ფინანსირდება სახელმწიფოსა და ვაცენბერგის ფონდის მიერ ერთობლივად, იძლევა ინფორმაციას მცირე ფორმატის ახალი ბიზნესის შექმნის შესაძლებლობის შესახებ. „სტარტინგ ლაინი“ ფლობს

რეგისტრაციის პროცედურას, საგადასახადო დაბეგვრის, ლიცენზიების, ფორმალური მოთხოვნებისა და ა.შ. შესახებ ინფორმაციას. ფონდი „ალმი“, კონსულტაციებთან ერთად, წვრილ მეწარმეებს აღმოუჩენს დახმარებას ფინანსირებისა და სწავლების სფეროში. ამ ფონდის საინფორმაციო ბლოკი მცირე და საშუალო მეწარმეებს აწვდის ისეთ ინფორმაციას, რომელიც მათ ეხმარებათ მსოფლიო ბაზარზე გასვლაში.

- **რეგიონული პოლიტიკის სრულყოფის.** მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა ხორციელდება რეგიონული პოლიტიკისა და განათლების სფეროში პოლიტიკის გატარების პროცესში. რეგიონულ დონეზე, უნივერსიტეტებსა და სამრეწველო საწარმოებს შორის პარტნიორული თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით, შეიქმნა ფონდი „ტექნიკური ხიდი“, მაღალი კომპეტენციის ცენტრები, აგრეთვე, ინოვაციური საწარმოების მხარდაჭერის 11 რეგიონული ცენტრი (2,5).
- **კოოპერაციის მხარდაჭერის.** განსხვავებული ზომის მცირე საწარმოები, აგრეთვე, ეკონომიკის სხვადასხვა სფეროებსა (მეცნიერება, განათლება, წარმოება) და ინოვაციურ საქმიანობას შორის სამეცნიერო-ტექნიკური და საინფორმაციო კოოპერაციის ხელშეწყობა ხორციელდება შვედეთის ინოვაციური ცენტრისა და შვედეთის ინოვაციური სისტემების სააგენტოს მეშვეობით. აღნიშნული სააგენტოები დიდ დახმარებას უწევენ ინოვაციურ საწარმოებს მათი განვითარების საწყის სტადიაზე და ეხმარებიან მათ ინოვაციური კლიმატისა და სამეცნიერო-ტექნიკური კოოპერაციის საქმეში.
- **მცირე და საშუალო ბიზნესის საწარმოთა ხელშეწყობის.** შვედეთის შრომის ბაზრის ეროვნული ადმინისტრაცია ქმნის საწყის კაპიტალს უმუშევართათვის, თუ ისინი წარმოადგენენ კონკურენტუნარიან ბიზნეს-გეგმას. ფონდი „ალმის“ განყოფილებები მცირე მეწარმეებს სთავაზობენ კრედიტს შემდეგ შემთხვევაში: ფირმას, რომელსაც აქვს შემდგომი განვითარების პოტენციალი; ახლად შექმნილ ფირმებს (კრედიტის მინიმალური ზომა-50ათ. კრონი, მაგრამ არა უმეტეს აუცილებელი კაპიტალის 30%-ისა). მეწარმეებს 50ათ. კრონიდან 100 კრონამდე, მაგრამ აუცილებელი კაპიტალის არაუმეტეს 50%-ისა; ახალგაზრდა დამწყებ მეწარმეებს 25-დან – 50-ათას კრონამდე, არაუმეტეს აუცილებელი კაპიტალის 50%-ისა (2,6).

  შვედეთის ინოვაციური ცენტრი სთავაზობს კრედიტს 400ათ. კრონის ოდენობით ახალგაზრდა საწარმოებს (3წლამდე) იმ შემთხვევაში, თუ საწარმო ეკუთვნის ერთ პირს. ცენტრს შეუძლია გასცეს სუბსიდია ტექნიკურ ან კომერციულ გამოკვლევებზე. იგი ახორციელებს, აგრეთვე, ახალგაზრდა გამომგონებლებისა და ქალი-გამომგონებლების მხარდაჭერას და აფინანსებს ინოვაციური ცენტრების შექმნას მთელს მსოფლიოში,
- **ვენჩურული დაფინანსების.** საწარმოები, რომლებიც საქმიანობენ ტექნოლოგიურად ინტენსიურ პირობებში, საჭიროებენ მაღალრისკიან დაფინანსებას. ვენჩურულ დაფინანსებას ახორციელებს ბიზნესის განვითარების შვედეთის სააგენტო, მაგრამ კაპიტალის არა უმეტეს 50%-ისა, რომელიც აუცილებელია ასეთი საწარმოს საქმიანობის საწყის ეტაპზე. სააგენტო სთავაზობს, აგრეთვე, საკონსულტაციო მომსახურებას. კრედიტი გაიცემა 800ათ. კრონის ფარგლებში, რომელიც შეიძლება გაიზარდოს 3 მლნ კრონამდე. პროცენტი შეესაბამება ჩვეულებრივ საბანკო პროცენტს. კრედიტი ბრუნდება მას შემდეგ, როცა საწარმო მიაღწევს კომერციულ წარმატებას. საწარმოს გაკოტრების შემთხვევაში კი კრედიტი ჩამოიწერება. ვენჩურული დაფინანსების შვედური ბაზარი არის ყველაზე მაღალგანვითარებული ჩრდილოეთ ევროპაში. სამრეწველო დაფინანსების შვედური ფონდი არის ვენჩურული განვითარების 6 ერთეული რეგიონული კომპანიის თანამფლობელი.

შვედეთში მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერა ხორციელდება საერთო სამრეწველო რეგიონული და ინოვაციური პოლიტიკის ფარგლებში, რომელიც ასეთ საწარმოებზეა ფოკუსირებული. ორგანიზაციულად ამის პასუხისმგებლობა აკისრია მრეწველობის, დასაქმებისა და კომუნიკაციების სამინისტროს, აგრეთვე, მეწარმეობის

განვითარების შვედეთის სააგენტოს, ინოვაციური სისტემების შვედეთის სააგენტოსა და ეკონომიკური ზრდის პოლიტიკის შემსწავლელ შვედეთის ინსტიტუტს.

ყველაზე მცირე საწარმოსათვის, ისე როგორც ახალი კომპანიისათვის ქვეყანაში დაწესებულია რეგისტრაციის შედარებით მარტივი პროცედურა. ამისათვის ნებართვა გაიცემა ერთი თვის განმავლობაში, ყველა ფორმალობის შესასრულებლად საჭირო დანახარჯები განისაზღვრება მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ს 1%-ის ფარგლებში, შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიებისთვის კი - საკმაოდ მაღალ დონეზე (100ათ. კრონი), რის გამოც მცირე საწარმოთა უმეტესობა საქმიანობს როგორც ერთი მესაკუთრის საწარმო. რეგისტრაციის ყველა პროცედურა ხორციელდება ერთი სარკმლის მეშვეობით, სადაც საწარმო დგება საგადასახადო აღრიცხვაზე და გადის სახელმწიფო რეგისტრაციას.

შვედეთში წარმატებით ხორციელდება პროგრამები, რომლებიც ორიენტირებულია მიზნობრივი ჯგუფებისათვის მეწარმეობის მხარდაჭერაზე: ახალგაზრდობაზე, იმიგრანტებზე, ქალ-მეწარმეებზე. 6-დან 11-წლამდე მოსწავლეების პროგრამა ითვალისწინებს შემოქმედებითი აზროვნების, ინიციატივის, ინოვაციური უნარების, საკუთარ თავში დარწმუნების, აგრეთვე სასიცოცხლოდ აუცილებელი მწვავე პრობლემების შესახებ დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღების უნარ-ჩვევების გამომუშავების მხარდაჭერას. პროგრამების რეალიზაციის პროცესში მოსწავლეებთან ერთად, ხდება მშობლებისა და მეწარმეების ჩართვა სასკოლო მეცადინეობის განრიგში. ამ პროგრამების შესრულებაზე ჩვეულებრივ გამოიყოფა კვირაში ერთი დღე.

გარდა ამისა უნივერსიტეტებში არსებობს სამეწარმეო საქმიანობის მხარდაჭერის სხადასხვა პროგრამები 10-დან 20 წლამდე ახალგაზრდობისათვის ქვეყანაში მოქმედებს პროგრამა - „ახალგაზრდული მიღწევები," რომლითაც ახალგაზრდებს ეძლევათ წელიწადში ერთხელ დახმარება, რათა მათ შეძლონ თავიანთი ახალი საქმიანობის დაწყება. პროგრამის მიზანია სწავლება და ახალგაზრდობის (მათ შორის ქალების), სამეწარმეო საქმიანობის წამოწყების მხარდაჭერის მიზნით, სემინარების ორგანიზება, სადაც ხდება სწავლება და გამოცდილების გაზიარება. ამავე მიზნით 2000 წლიდან ქვეყანაში მოქმედებს სპეციალური პროგრამა - „ბიზნესის დაწყება".

შვედეთის ბევრ უნივერსიტეტში არსებობს „ბიზნესის სათბურები", რომლებშიც ბიზნესის წარმოებისათვის შექმნილია შეღავათიანი პირობები, სადაც ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობენ სტუდენტები. მათი დაფინანსება უმეტესად ხდება ადგილობრივი რესურსებით. ბევრ უნივერსიტეტში გახსნილია სამეწარმეო საქმიანობის სპეციალური კურსები, ხოლო იონკეპინგის უნივერსიტეტში მოქმედებს საკონსულტაციო პროგრამა იმათთვის, ვისაც სურს მცირე და საშუალო საწარმოთა ორგანიზება. უმეოს უნივერსიტეტში კი სტუდენტებისათვის შექმნილია მეწარმეობის ინოვაციური ცენტრი.

შვედეთში მოქმედებს ქალების, უმუშევრებისა და იმიგრანტებისათვის სამეწარმეო აქტიურობის მხარდაჭერის სპეციალური პროგრამები. ყოველწლიურად ქვეყანაში იქმნება 34-37 ათასამდე ასეთი საწარმო, რომელთა 30% მიდის ქალებზე, 20% - იმიგრანტებზე, 20% - 30 წლამდე ასაკის ახალგაზრდებზე, 20% - უმუშევრებზე. საწარმოების დიდი ნაწილი წარმატებით მოქმედებს ბაზარზე და მათი მხოლოდ 4% კოტრდება (2,7). ფონდი „ალმი" სპეციალური საკრედიტო სქემით ეხმარება ქალებს მეწარმეობის განვითარებაში, კრედიტს თან ახლავს კონსულტირება და სხვადასხვა პროგრამებში მონაწილეობა.

შვედეთის ხელმძღვანელობა კარგად აცნობიერებს, რომ ბიზნესის წამოწყების მიზნით უმუშევრებზე გაცემული სუბსიდიები, იმავდროულად არის უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელოვანი საშუალება. მისი გაცემის ერთ-ერთი ძირითადი პირობაა წარმატების მომტანი ბიზნეს-გეგმის დამუშავება. ქვეყანაში ახლად შექმნილი საწარმოების 1/4 მოდის ყოფილ უმუშევრებზე. სუბსიდიის ზომა დაკავშირებულია თანხის სიდიდესთან, რომელიც შეიძლებოდა მისცემოდა უმუშევარს დაზღვევის სახით 6-დან 12 თვის განმავლობაში. ეს თანხა საკმარისია ერთი დასაქმებულით საწარმოს შექმნისათვის.

შვედეთის მთავრობა ეხმარება იმიგრანტებს /მკვიდრი მოსახლეობის 10%/ უმუშევრობის დონის /რომელიც 4-ჯერ უფრო მაღალია მკვიდრი მოსახლეობის უმუშევრობასთან შედარებით/ შემცირებაში. ამასთან, იმიგრანტების მიერ ბიზნესი ხორციელდება უმეტესად შრომატევად დარგებში /ვაჭრობა, სასტუმრო და რესტორნული

მომსახურება/. იმიგრანტთა მეწარმეობის მხარდაჭერა ხდება 1996 წლიდან ეთნიკური მეწარმეობის შვედეთის ასოციაციის მიერ, რომელიც ქვეყნის მასშტაბით აერთიანებს 17 განყოფილებას და თავისი სახსრების 80%-ს ღებულობს ბიუჯეტიდან. სახელმწიფოსთან ერთად, ასეთ საქმიანობას ეწევა კერძო სექტორიც – სავაჭრო პალატები და მათი ასოციაცია, აგრეთვე, სავაჭრო საწარმოთა ფედერაცია. მათი მიზანია მეწარმეობის ხელსაყრელი კლიმატის შექმნა, რაც მიიღწევა ეფექტიანი შრომის ბაზრის ორგანიზების, გადასახადების შემცირების, ბიუროკრატიზმთან ბრძოლისა და ვენჩურული დაფინანსების საფუძველზე. შვედეთის მეწარმეთა კონფედერაცია მოიცავს 38 სამეწარმეო გაერთიანებას, რომლებშიც ერთობლივად მონაწილეობს 45 000 კომპანია, რომელთაც აქვთ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ინტერესები. ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პოლიტიკის თანმიმდევრული გატარებით ყოველწლიურად იქმნება ათეულ ათასობის ასეთი საწარმო, რომელთა დიდი ნაწილი ინარჩუნებს სიცოცხლისუნარიანობას და შემდგომში წარმატებით განაგრძობს თავის არსებობას.

### გამოყენებული ლიტერატურა:


1. გელეტაშვილი მ., შვედეთის ეკონომიკა. www. Sociom. ge/index.
2. Иновационная политика, Швеции, http: //zefold. zu/look/270717
3. Экономика Щвеции: История успеха, https://sweden.zu//lioli/ ekonomika-shvecii-istoriya-usneha
4. Удальцова Н. и др., Национальная иновационная система Швеции: стратегия развития и факторы успеха, журнал «Вопросы экономики и права», 2015, N2.


**ლევან ჯანგულაშვილი, რევაზ ჯავახიშვილი**

**მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა შვედეთში**

**რეზიუმე**

მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა შვედეთის ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებაა. მცირე საწარმოები გადამწყვეტ როლს ასრულებენ მოსახლეობის დასაქმებაში, უფრო მეტად ატარებენ ინოვაციურ ხასიათს, მოქნილად რეაგირებენ მოსახლეობის მოთხოვნის, ტექნოლოგიებისა და პროდუქციის ასორტიმენტის ცვლილებებზე და უკეთ აკმაყოფილებენ ცალკეული მომხმარებლის მოთხოვნებს. მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის გაძლიერების მიზნით ქვეყანაში სისტემატურად ხორციელდება ორგანიზაციული, საკანონმდებლო, საფინანსო-საგადასახადო, რეგიონული და მიზნობრივი ჯგუფებისათვის /ახალგაზრდობა, ქალი-მეწარმეები, იმიგრანტები და სხვ./ მხარდაჭერის ღონისძიებები. ასეთი პოლიტიკის თანმიმდევრული გატარებით ქვეყანაში ყოველწლიურად იქმნება ათეულ ათასობით მცირე და საშუალო საწარმო, რომელთა აბსოლუტურად დიდი ნაწილი ინარჩუნებს სიცოცხლის უნარიანობას და განაგრძობს მაღალკონკურენტულ ბაზარზე არსებობას.

**Levan Jangulashvili, Revaz Javakhishvili**

**Small and Medium Business Support in Sweden**

**Summary**

Small and medium business support is the main direction of national economic policy of Sweden. Small enterprises play essential role for locals during the employment process. They are more innovative and flexible to the new requests and technology changes on market. Consequently, they better satisfy particular customer demands. In order to maintain the growth of small and medium businesses in the country,

they systematically implement supporting activities for organizational, legal, financial, tax, regional and target groups (youth, female entrepreneurs, immigrants and others). Consistent implementation of the above mentioned policy supports to create thousands of new small and medium enterprises and most of them stay active on the competitive market for a long time.

**Леван Джангулашвили. Реваз Джавахишвили**

**Поддержка малого и среднего бизнеса в Швеции**

**Резюме**

Поддержка малого и среднего бизнеса является приоритетным направлением экономики Швеции. Оно играет важную ролъ в занятости населения, носит иновационный характер, такие предприятя гибко реагируют на изменения спроса населения, технологии производства, номенклатуры выпускаемой продукции и лучше удовлетваряют спрос отделъных потребителей. С целю усиления поддержки малого и среднего бизнеса в Швеции систематически проводятся организационные, законодателъные, финансово – налоговые, регионалъные и для целевых групп (молодёжь женщини-предприниматели, иммигранты и др.) меры. На основе последовательного проведения такой политики в стране ежегодно создаётся несколъко тысяч новых малых и средных предприятий, болъшая частъ каторых выживает на высококонкуретном рынке страны и продолжает своё существование в последующие годы.

**გაიოზ ნადირაშვილი**
**თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი**

**დავით ჯანგულაშვილი**
**თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი**

## ტურიზმი როგორც ეკონომიკის სექტორი

თანამედროვე პერიოდში ტურიზმი განიხილება როგორც სოციალურ-ეკონომიკური კომპლექსის მნიშვნელოვანი სფერო, რომელიც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში სწრაფად განვითარებად მძლავრ ინდუსტრიად ჩამოყალიბდა. ახლა, ადამიანთა დასაქმებაში, ყოველი მე-10 სამუშაო ადგილი მსოფლიოში ტურისტულ ბიზნესშია შექმნილი. ტურიზმის სფერომ მთლიანი შემოსავლებით გაუსწრო ყველა სხვა დარგს ნავთობისა და გაზის მოპოვებისა და გადამუშავების გარდა, რომელთანაც იგი კონკურენციაშია ჩაბმული. მსოფლიოს ტურისტული ორგანიზაციის (მტო) პროგნოზით 2020 წელს მსოფლიოში საერთაშორისო ტურისტების რაოდენობა 1,6 მლრდ იქნება და 2000 წლის მაჩვენებელს 3-ჯერ გადააჭარბებს. ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი 5 ტრლნ აშშ-ს დოლარი იქნება, ხოლო ტურიზმის სფეროს წილი მსოფლიოში წარმოებულ ერთობლივ შიდა პროდუქტში 10% გახდება. საავიაციო გადაზიდვებთან ერთად, ტურისტების ყოველდღიური დანახარჯი 5 მლრდ ამერიკულ დოლარს მიაღწევს. საერთაშორისო ტურიზმის განვითარებაში ახლა ორი მთავარი მიმართულებაა გამოხატული: ერთი მიმართულებით მასზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორები, ხოლო მეორე მხრივ არახელსაყრელ პირობებშიც კი იგი სწრაფად აღიდგენს თავის შემცირებულ მოცულობას. მსოფლიოს ფინანსური ბაზრების სტაბილურობამ ტურისტების

საშვებულებო ქცევაში ისეთი ცვლილებები გამოიწვია, როგორიცაა დაგვიანებული დაჯავშნის რაოდენობის ზრდა და დასვენების პერიოდში ხარჯების შემცირება. ამის მიუხედავად, შეიძლება შემდეგი დასკვნის გამოტანა, რომ ტურიზმი XX საუკუნის ბოლოს და XXI საუკუნის დასაწყისში მსოფლიოს ეკონომიკისა და კულტურის მყარად ჩამოყალიბებული მნიშვნელოვანი სექტორი გახდა.

განხილული მასალა უფლებას გვაძლევს აღვნიშნოთ, რომ ფართო გაგებით ტურიზმი წარმოგვიდგება, როგორც ტურისტული კომპლექსი, ტურისტული მოძრაობა, ტურისტული საქმიანობა და ტურისტული ბაზარი. ტურიზმი მსოფლიოს წინაშე წარმოჩინდა თავისი ამოუწურავი პოტენციალით, მან განსაზღვრა საკანონმდებლო დონეზე თავისი ეკონომიკური და სოციალური განვითარების კონკრეტული კანონები სახელმწიფოთა ეროვნულ საზღვრებსა და მსოფლიოს ტურისტული კავშირების სისტემაში. საერთაშორისო ტურისტული გაცვლების რაოდენობრივ მაჩვენებელთა ევოლუციამ XX საუკუნეში მსოფლიო ტურისტული საზოგადოებრიობის (ფუნქციონირების, მენეჯერების, ხელმძღვანელების, პერსონალის) წინაშე დასვა ხარისხობრივად განსხვავებული პრობლემები ტურისტულ ბიზნესში, ქვეყნების ურთიერთობებში, რომლებიც XXI საუკუნის ახალი გამოწვევაა რესურსების, ინფორმაციისა და მომსახურების მიმართულებით.

ეკონომიკა ტურიზმთან არსებითადაა დაკავშირებული და განსაზღვრული რესურსების გამოყენებით მნიშვნელოვან სიკეთეს ქმნის, რომლითაც ადამიანების ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს.

თანამედროვე პირობებში ტურისტულ ბიზნესში ეკონომიკური ფაქტორი მნიშვნელოვან როლს ასრულებს, ამიტომ ტურისტული ბიზნესის ეფექტიანი მართვისათვის ტურიზმის სფეროში დასაქმებული მენეჯერები კარგად უნდა ერკვეოდნენ ტურიზმის ეკონომიკის საკითხებში.

მსოფლიოს ცნობილი სპეციალისტები – ფ. კოტლერი, დჟ. ბოუენი, ვ. კვარტალნოვი, ი. ზორინი და სხვები ტურიზმს განიხილავენ თანამედროვე მსოფლიოში ეკონომიკური პროცესებისა და საქმიანობის მნიშვნელოვან, მრავალწახნაგოვან მოვლენად. მათი შეხედულებით ტურიზმზე, როგორც თანამედროვე მსოფლიოს რთულ ეკონომიკურ მოვლენაზე, სულ მცირე ოთხი შეხედულება მაინც არსებობს, რომელთა შორის განსხვავების დადგენა თითქმის შეუძლებელია (6,2).

- ტურიზმი როგორც ეკონომიკის სფერო (სექტორი), რომელიც სხვა სფეროებისაგან განსხვავებით უფრო გავრცელებული მტკიცებულებაა ზოგადად და განსაკუთრებით ეკონომისტებს შორის;
- ამ შეხედულების მოწინააღმდეგეთა მცირე ნაწილს შორის არსებობს აზრი, რომ ტურიზმი დარგთაშორისი კომპლექსია ან ბაზარი, სადაც გაბატონებულია ტურ-ოპერატორი, რომელიც სხვადასხვა მომწოდებელთა მიერ მოწოდებული პროდუქტებიდან ქმნის ახალ ტურისტულ პროდუქტს;
- სპეციალისტთა მესამე ნაწილი (ძირითადად ადმინისტრატორები) ტურიზმს განიხილავს, როგორც ეკონომიკური საქმიანობის დამოუკიდებელ სახეს, კერძოდ მომსახურების საქმიანობად;
- ტურისტებს კი მიაჩნიათ, რომ ტურიზმი მხოლოდ მათი საქმიანობაა დასვენების პერიოდში და სხვა მეტი არაფერი.

**ტურიზმი როგორც ეკონომიკის სფერო**. გაეროს სტატისტიკური კომისიის მიერ საერთაშორისო სტანდარტულ დარგობრივ კლასიფიკაციაში ეკონომიკის დარგი შემდეგნაირადაა განსაზღვრული: ყველა საწარმოო ერთეულის ერთობლიობაა, რომელიც უპირატესად ერთნაირ და მსგავს საწარმოო საქმიანობას ახორციელებს. დარგის დამახასიათებელია უპირატესად ერთგვაროვანი საწარმოო ერთეულების ერთობლიობა, რომელიც საკლასიფიკაციო სტრუქტურაში წარმოდგენილია დარგობრივად მართვის ობიექტებად, ხოლო მართვის სუბიექტებს წარმოადგენენ დარგობრივი სამინისტროები, რომლებიც მსოფლიოს უმრავლეს ქვეყანაშია, თუმცა ყველა მათგანს არ გააჩნია ტურიზმის სამინისტრო. ასეთივე მდგომარეობაა საქართველოშიც.

დარგობრივი იერარქიის უმაღლეს დონეზე ტურიზმი საქართველოში სახალხო მეურნეობის განსაკუთრებულ ცალკე დარგად არაა გამოყოფილი. ეს მიანიშნებს იმას, რომ ტურიზმი იერარქიულ დარგობრივ კლასიფიკაციაში არ განიხილება, როგორც დამოუკიდებელი დარგი (სექტორი), ამიტომ იგი არის ქვეყნის ეკონომიკის სამინისტროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფერო (სექტორი). თუმცა, ზოგიერთი სხვა სამინისტროს სფეროებიც აერთიანებენ ისეთ საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც აწარმოებენ აუცილებელ პროდუქტს ტურისტებისა და ექსკურსანტების მომსახურებისათვის. ეს კი იმაზე მიანიშნებს, რომ ტერმინ „ტურიზმის“ ცნებაში გამოყოფილი არაა იმ საწარმოთა სრული ჩამონათვალი, რომელთა საქმიანობა აუცილებელია ტურისტების მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ამიტომ რთული წარმოსადგენი არაა, რომ მართალია ტურიზმი დამოუკიდებელ დარგთაშორის არაა მოხსენიებული, მაგრამ საწარმოები, რომლებიც ტურისტთა საჭიროების დაკმაყოფილებას ემსახურებიან, გაერთიანებული არიან ისეთ დარგებში, როგორიცაა ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, ვაჭრობა და საზოგადოებრივი კვება, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება, საინფორმაციო – ტექნიკური მომსახურება, ფინანსები, დაზღვევა და ა.შ.

თანამედროვე მსოფლიოში ტურიზმის არსზე და თავისებურებებზე სპეციალისტთა შეხედულებების სიმრავლე გვაფიქრებინებს, რომ ტურიზმი რთულ სოციალურ-ეკონომიკურ მოვლენას წარმოადგენს, რომელზედაც, როგორც საკუთარი კვლევის ობიექტზე ამომწურავი და სრული დახასიათება, დღეს არსებულ არც ერთ მეცნიერებას ან სოციალურ-ეკონომიკურ ინსტიტუტს არ შეუძლია. ასევე შეუძლებელია, მათ დამოუკიდებლად გადაწყვიტონ და განსაზღვრონ მთელი ტურისტული კომპლექსის არსი და პერსპექტივები.

პროფ. ვ. კვარტალნოვის შეხედულებით ტურიზმის ეკონომიკა არის მეცნიერება, რომელიც ამ სფეროში ორი მიმართულებით შეისწავლის სოციალურ-საყოფაცხოვრებო ინფრასტრუქტურის დარგთაშორისი კომპლექსისა და ტურისტული ფირმის სამეურნეო სუბიექტების პრობლემებს.

სპეციალისტების უმრავლესობა საერთაშორისო ტურიზმის ეკონომიკურ ბუნებას ამ სექტორის კომპლექსური ხასიათით ხსნიან და მას ეკონომიკურ კატეგორიად განიხილავენ (6,4,5). ასეთი შეფასება მსოფლიო მეურნეობაში ტურიზმის უმსხვილეს დარგობრივ კომპლექსად ჩამოყალიბებასთან და განვითარებასთანაა დაკავშირებული. მსოფლიო მეურნეობის ტენდენციების მნიშვნელოვანი თავისებურებაა ახალი დარგობრივი კომპლექსების ჩამოყალიბება საზოგადოებრივი განვითარების ცალკეულ ეტაპებზე. მაგალითად, XIX-XX საუკუნეების გარდამავალი პერიოდი ცნობილია, როგორც „ქვანახშირის პერიოდი“, ხოლო XX საუკუნე ნავთობისა და გაზის ეპოქაა. ამის საპირისპიროდ სხვა ინდუსტრიული პროფილის დარგები (თუჯ-ფოლადის სამრეწველო კომპლექსი, საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის კომპლექსები და სხვ.) ადრე დაწინაურებული იყო მსოფლიოს მეურნეობაში, დღეს კი გარკვეულწილად ნაკლებად მნიშვნელოვანი დარგის ჯგუფში განიხილებიან. მსოფლიო ეკონომიკა დროთა განმავლობაში უხილავი, არახელშესახები ხდება, რაც ისეთ ტენდენციებში ვლინდება, როგორიცაა „მესამეული სექტორის“ ფორმირება, ინფორმატიზაცია, ფინანსიზაცია და ა.შ. ახლა ცხოვრების არენაზე გამოჩნდნენ ახალი პროფესიონალები, (მენეჯერი, ბროკერი, ტრეიდერი, დაზღვევის აგენტი და სხვ.) მიწის მხვნელ-მთესველების, თუჯ-ფოლადის ჩამომსხმელებისა და სხვათა სანაცვლოდ. ეს ყველაფერი მეტყველებს იმაზე, რომ გაჩნდა ახალი საზოგადოებრივი ტენდენცია სახელწოდებით „სერვისიზაცია“, ჩამოყალიბდა ახალი სტრუქტურები, როგორიცაა მაგალითად ტურიზმისა და სტუმარ-მასპინძლობის ინდუსტრია, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქონლისა და მომსახურების ექსპორტ-იმპორტში მსოფლიო მასშტაბით. საინტერესოა აღინიშნოს, რომ მსოფლიოს სავაჭრო და ტურისტული ორგანიზაციების მონაცემებით ტურიზმის წილი მომსახურების მთლიან ექსპორტში 1/3-ს შეადგენს (ცხრ. 1).

ცხრილი 1

საქონლისა და მომსახურების ექსპორტის მოცულობა მსოფლიოში 2003 წელს
აშშ-ს მლრდ დოლარებში

| № | ექსპორტი | მლრდ $ | წილი % |
|---|---|---|---|
| 1. | სულ ------------------------------------------- | 9089 | 100 |
| 2. | საქონლის ექსპორტი -------------- | 7294 | 80 |
| 3. | მათ შორის: | | |
| | ა) სოფლის მეურნეობის პროდუქცია -------------- | 674 | 7 |
| | ბ) მინერალური ნედლეული --------------------------- | 960 | 11 |
| | გ) გადამამუშავებელი მრეწველობის დარგთა პროდუქცია --- ----------------------------------------------------- | 5437 | 60 |
| | დ) სხვა საქონელი --------------------- | 223 | 2 |
| 4. | მომსახურების ექსპორტი ----------- | 1795 | 20 |
| | მათ შორის: | | |
| | ა) ტრანსპორტის მომსახურება -------- | 405 | 4 |
| | ბ) ტურიზმი ------------ | 525 | 6 |
| | გ) სხვა მომსახურება ------------- | 865 | 10 |

**წყარო: მსოფლიოს სავაჭრო და მსოფლიოს ტურიზმის ორგანიზაციების სტატისტიკა**

**ტურიზმი, როგორც ეკონომიკური საქმიანობა.** სპეციალურ ლიტერატურასა და ოფიციალურ წრეებში ტურიზმის შესახებ (2,3) სადაო ტერმინებია „ტურისტის“ და „ტურისტული“. ამ საკითხზე მნიშვნელოვანი მოსაზრებები აქვთ გამოთქმული ზემოთ ნახსენებ მეცნიერებს. მათი შეხედულებით ტერმინი „ტურისტის საქმიანობა“ კანონმდებლობით ზუსტადაა განსაზღვრული შემდეგი დეფინიციით: ტურისტის საქმიანობა ტურ-ოპერატორისა და ტურ-აგენტის საქმიანობაა და აგრეთვე სხვა საქმიანობა დაკავშირებული მოგზაურობის ორგანიზაციასთან.

მსოფლიოს ქვეყნების კანონმდებლობით ზუსტადაა განსაზღვრული ტუროპერატორული საქმიანობაც, კერძოდ იგი არის ისეთი საქმიანობა, რომელიც ტურისტული პროდუქტის ფორმირებას, წინ წაწევასა და რეალიზაციას ემსახურება იურიდიული პირის, ინდივიდუალური მეწარმის სახით ლიცენზიის საფუძველზე. კანონმდებლობით განსაზღვრულია ტურსააგენტოს საქმიანობაც, რომელიც ტურისტული პროდუქტის წინწაწევასთან და რეალიზაციასთანაა დაკავშირებული, რომელსაც ლიცენზიის საფუძველზე იურიდიული პირი ან ინდივიდუალური მეწარმე ახორციელებენ. ამ განსაზღვრათა საფუძველზე შეიძლება შემდეგი დასკვნის გამოტანა:

- ტურისტის საქმიანობა – სამეწარმეო საქმიანობაა;
- მოგზაურობის ორგანიზაცია – ტურაგენტისა და ტუროპერატორის საქმიანობის პროდუქტი არაა, რადგან მათი საქმიანობის შედეგია ტურისტული პროდუქტის შექმნა და რეალიზაცია. აქედან გამომდინარე, მოგზაურობის ორგანიზაცია განხვავებული საქმიანობაა და არა ტურაგენტის ან ტუროპერატორის საქმიანობა.

პრობლემის სიცხადისათვის საჭიროა ტერმინი „საქმიანობის“ ფუნდამენტური განსაზღვრა, რომელიც ტურიზმის ლიტერატურაში რამდენიმე ასპექტითაა განხილული.

პირველ რიგში მას განიხილავენ როგორც ფილოსოფიურ კატეგორიას, რომელიც გულისხმობს გარე სამყაროსადმი სპეციალური ადამიანური ურთიერთობის ფორმას, რომლის შინაარსია მისი მიზანმიმართული ცვლილება ადამიანთა ინტერესებისა და საზოგადოების არსებობის პირობების გათვალისწინებით. ამ განსაზღვრით საქმიანობა თავის თავში მოიცავს მიზნებს, საშუალებებს, შედეგებს და თვით პროცესს. ამის საპირისპიროდ ოფიციალურად დადგენილ განმარტებასთან შედარებით ირკვევა, რომ ეს უკანასკნელი ვერ ამჟღავნებს მიზნებს, საშუალებებიდან მიუთითებს მხოლოდ ტუროპერატორსა და ტურაგენტს, შედეგად აღიარებულია მხოლოდ მოგზაურობა, პროცესი კი რჩება განმსაზღვრელი ჩარჩოს გარეშე. ვ. კვარტალნოვი აღნიშნავს, რომ საქმიანობის ზოგად მეთოდოლოგიური კონცეფციისადმი ასეთმა მიდგომამ წარმოშვა „საკანონმდებლო“ განსაზღვრისადმი სერიოზული კრიტიკა სპეციალისტებს შორის.

„ტურისტული საქმიანობის“ ცნების განსაზღვრაში გამოიყენება „ტურისტული პროდუქტის“ კატეგორია, რომელსაც კავშირი არა აქვს მთლიანად „ტურისტულ საქმიანობასთან“. იურიდიული კანონმდებლობიდან გამომდინარე ტურისტული პროდუქტი არის უფლება ტურზე, რომელიც ტურისტზე მისაყიდადაა გათვალისწინებული. აქედან გამომდინარე ტუროპერატორისა და ტურაგენტის საქმიანობა ტურისტების ზოგიერთი უფლების ფორმირება, წინ წაწევა და რეალიზაციაა.

ტურიზმში ფართოდ გამოყენებული დეფინიცია ტურისტის პროდუქტს განმარტავს, როგორც ტურისტის მიერ მოხმარებულ სამომხმარებლო ღირებულებათა კომპლექსს, რომელიც მოიცავს ტურისტულ-საექსკურსიო მომსახურებას და სპეციალურ ტურისტულ საქონელს, ე.ი. როგორც ნივთობრივი და არანივთობრივი სახმარი ღირებულების ერთობლიობას.

თანამედროვე პირობებში საქმიანობის ცნებისადმი სწორედ ასეთი ეკონომიკური მიდგომაა გავრცელებული ზოგიერთ მნიშვნელოვან საერთაშორისი სტანდარტებსა და კლასიფიკატორებში. ასე მაგალითად, გაეროს სტატისტიკური კომისიის მიერ მოცემულია ეკონომიკური საქმიანობის შემდეგი სახის უნიფიცირებული განსაზღვრა: მოქმედებათა ერთობლიობა, რომლის შედეგიცაა პროდუქციის განსაზღვრული ჩამონათვალის მიღება, რომელიც მიიღწევა მაშინ, როდესაც რესურსი და საწარმოო პროცესები კონკრეტული საქმიანობისა და მომსახურების მისაღებად ერთიანდება.

ეკონომიკური საქმიანობის მოცემული განსაზღვრა შესაძლებლობას იძლევა დაკონკრეტდეს დარგის ცნება, როგორც საწარმოო ერთეულების ერთობლიობა, რომელიც ერთნაირ საწარმოო საქმიანობას ასრულებენ.

ეკონომიკური საქმიანობის სახეობათა საკლასიფიკაციო დაჯგუფების საფუძველს წარმოადგენს საერთაშორისო სტანდარტიზაციის დარგობრივი კლასიფიკაცია (ISIC) და ძირითადი პროდუქტების საერთაშორისო კლასიფიკაცია (CPC). სტანდარტები შესაძლებლობას გვაძლევენ მოვახდინოთ საწარმოთა სახეობის ეკონომიკური საქმიანობის, პროდუქციისა და შემოთავაზებული მომსახურების სისტემატიზაცია.

ტურიზმის სხვადასხვა სახეები, როგორც ეკონომიკური საქმიანობის სფეროები, ტურისტული პროდუქციის კლასები და ტურისტული მომსახურება, საერთაშორისო სტანდარტულ კლასიფიკატორებში ფართოდაა წარმოდგენილი, რაც იმას გულისხმობს, რომ ტურიზმის, როგორც საქმიანობის განხილვა დღეს ემყარება ავტორიტეტულ საერთაშორისო სტანდარტებს, რომელთა გამოყენება სავალდებულოა ტურიზმის მართვის განხორციელებაში. მიზანშეწონილია ტურიზმის ჩართვა მოხდეს ფიზიკური კულტურისა და სანატორიულ – საკურორტო ერთიან დარგობრივ კომპლექსებში და იგი განვიხილოთ როგორც ეკონომიკური საქმიანობა. ასეთ შემთხვევაში ტურისტული საწარმოები ეკონომიკური დამოუკიდებლობის გაფართოებას, ხოლო ტურიზმის ზოგიერთი სახეები (შიდა, გამყვანი, სოციალური, საბავშვო-ახალგაზრდული, სამთო, აგრარული, ეკოლოგიური და სხვ.) სახელმწიფოსაგან პრიორიტეტულ მხარდაჭერას საჭიროებენ.

**ტურიზმი როგორც ბაზარი.** საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ყოფილმა რესპუბლიკებმა, მათ შორის საქართველომაც მოიპოვა პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობა. იმის მაგიერ, რომ თანდათანობით მომხდარიყო ეკონომიკური დარგების, მათ შორის ტურიზმის განვითარება, არჩეული იყო საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის არასწორი, დაჩქარებული გარდაქმნის ვარიანტი, ე.წ. „შოკური“ მეთოდი. საბჭოთა პერიოდში ვერ მოხერხდა ტურიზმის განვითარება, განსაკუთრებით სუსტი იყო ინფრასტრუქტურული კომპლექსი – ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, გართობის, განვითარებისა და კვების, მომსახურების, ტუროპერეიტინგის, საექსკურსიო-შემეცნებითი საშუალებები. არასწორ ეკონომიკურ პოლიტიკას, შედეგად მოჰყვა ათასობით სოციალური ტურიზმის ობიექტების განადგურება ან შეჩერდა მათი ფუნქციონირება. ამჟამად მუშავდება და რეალიზდება ტურიზმის განვითარების ახალი სოციალური პროექტები, ფართოვდება და დაჩქარებულად ვითარდება სოციალური, ინდუსტრიული ბაზა საქართველოში, გაიზარდა ტურისტული ნაკადების რიცხვი ნაციონალური და საერთაშორისო ტურიზმის მიმართულებებით. მარტო იმის აღნიშვნაა საკმარისი, რომ ტურისტთა საერთო რაოდენობა საქართველოში უკვე აჭარბებს 6 მლნ მოგზაურს. საქართველო მოხვდა იმ ქვეყნების რიცხვში, სადაც შემოსული ტურისტების რაოდენობამ

გადააჭარბა ადგილობრივი მოსახლეობის როდენობას. შემოსავალი 2 მლრდ დოლარს აღემატება. შეიქმნა საერთაშორისი დონის ტურისტული ცენტრები (თბილისი, ბათუმი, სვანეთი, სიღნაღი, ყვარელი და სხვ.). საქართველოში მაღალი ტემპებით იზრდება ტურისტული ბაზარი ქვეყნის შიდა და საერთაშორისო ტურიზმის მიმართულებით. ტურიზმის განვითარების მაღალი ტემპები ახალი სამუშაო ადგილების შექმნას უწყობს ხელს, იზრდება მოთხოვნილება სოფლის მეურნეობის დარგების განვითარებაზე, ადგილობრივი პროდუქტების დაჩქარებულ წარმობაზე, მნიშვნლოვნად გაიზარდა ადგილობრივი წარმოების პროდუქტების ექსპორტი და ა.შ.

განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს საქართველოს ტურიზმი მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების თვალსაზრისით, რომელიც მნიშვნელოვნად ჩამორჩება მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების ტურისტული მომსახურების ხარისხის დონეს. უცილებელია გაიზარდოს ტურიზმის სახელმწიფო დაფინანსება, ასევე საერთაშორისო ფონდებიდან დახმარება, ინვესტიციების მასშტაბები და ა.შ. სხვაგვარად შეუძლებელია ტურიზმის განვითარების სასურველი შედეგების მიღწევა.

საბოლოო ანგარიშით ტურიზმი მოიხმარს მომსახურებას, ამიტომ მან უნდა დაიკავოს და არა მწარმოებელმა მომსახურების წარმოების ადგილი. ტურიზმის განვითარების ძირითადი ფაქტორია მსოფლიოს მრავალფეროვნება და მისდამი ინტერესი. ესაა საფუძველი და განმსაზღვრელი იმისა, რაც აიძულებს ტურიზმის თეორეტიკოსებს, სრულიად დასაბუთებულად, საერთაშორისო ტურიზმში ტურისტული მომსახურება დააკვალიფიცირონ, როგორც ერთი ქვეყნიდან მეორეში განხორციელებული უხილავი ექსპორტი. მსოფლიოს ბევრი ქვეყნისათვის ტურიზმი მნიშვნელოვანი საექსპორტო დარგი გახდა, მაგალითად, საფრანგეთი, ესპანეთი, იტალია, თურქეთი, აშშ, იაპონია, დიდი ბრიტანეთი, გერმანია და სხვა მრავალი. ყველა მათგანი ახორციელებს სხვადასხვა ეკონომიკური სტიმულირებისათვის საექსპორტო ტურისტული მომსახურების მწარმოებელთა ინტერესების დაცვის მიმართულებით, კერძოდ, ტურისტული მომსახურების დამატებით ღირებულებაზე აუქმებენ ან ამცირებენ გადასახადს, ტურისტული პროდუქტის მოხმარების მთლიან ხარჯებში ამცირებენ სატრანსპორტო ხარჯებს, ამარტივებენ სავიზო და საბაჟო ფორმულირებას, რომ რაც შეიძლება მეტი უცხოელი ტურისტი მოიზიდონ საკუთარ ქვეყანაში. გასაგებია, რომ სწორედ ეს სახელმწიფოები მართავენ საერთაშორისო ტურისტულ ბაზარს. ამიტომ თითოეული ქვეყანა უნდა ცდილობდეს მოიზიდოს რაც შეიძლება მეტი ტურისტი გამყვან ტურისტულ ნაკადებთან შედარებით და უცხოეთის ქვეყნებისათვის არ წარმოადგენდნენ ტურისტების დონორ ქვეყანას. ეს მოთხოვნა საქართველოსათვისაც მეტად მნიშვნელოვანია ტურისტული პოლიტიკის განხორციელებაში. მსოფლიოს დონორი ქვეყნებიდან (გერმანია, ჩინეთი, რუსეთი და სხვ.) განვითარებული ქვეყნების ტურიზმის სფეროში ხდება მილიარდობით დოლარის გატანა, ისინი იქ ქმნიან ახალ სამუშაო ადგილებს, აფართოებენ გადასახადების ბაზას, ახორციელებენ სხვადასხვა სოციალურ პრობლემებს. მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის (მტო) გათვლებით ტიპურია პროპორცია, როდესაც 1 გასულ ტურისტზე მოდის 1 შემოსული და მომგებიანია 4 და მეტი ტურისტის შემოყვანა. ასეთი სტრუქტურა ტიპურია და ამიტომ თითოეული ქვეყანა უნდა ცდილობდეს მის განხორციელებას.

ტურისტულ ბაზარზე მთავარი ფიგურა ტუროპერატორია, რომელიც აყალიბებს ტურს, წარადგენს ბაზარზე სარეალიზაციოდ, რომლითაც უზრუნველყოფს ტურისტული ინდუსტრიის (რესტორანი, სასტუმრო, ტრანსპორტი, მუზეუმი, ეროვნული პარკი და ა.შ.) საწარმოების ბიუჯეტის შესრულებას. ტუროპერატორი ტურისტული მომსახურების მწარმოებლებს აკავშირებს მომხმარებელთან. იგი შეარჩევს და აფორმებს ხელშეკრულებებს სასტუმროებთან, რესტორნებთან, მუზეუმებთან, გართობის საწარმოებთან და სხვ. ყველა ამ საკითხს წყვეტს ტუროპერატორი, ამიტომ ტურისტულ ბაზარზე მიმდინარეობს კონკურენცია ტუროპერატორის შერჩევაზე. ახლანდელ პირობებში ტუროპერატორის მუშაობა სასარგებლოა უცხოეთის ბაზრებზე იქ უფრო მეტი ეკონომიკური დაინტერესების გამო. ამიტომ, მუშაობის პირობების თუნდაც გათანაბრებას უცხოეთისა და სამამულო ბაზრებზე, ჩვენი ტუროპერატორებისათვის დიდი მნიშვნელობა ექნება. ამ შემთხვევაში, თუ მოხერხდა ტუროპერატორების სამამულო ბაზრებზე

დაბრუნება, მაშინ მიღწეული იქნება მეტი ტურისტის შემოყვანა სამამულო ბაზრებზე და მილიონობით დოლარის დაბრუნება ქვეყანაში. მაშასადამე, ამ ამოცანის გადაწყვეტა შესაძლებელია სამამულო ბაზარზე უცხოურ ბაზრებთან შედარებით ტუროპერატორებისათვის შრომის უფრო სასარგებლო და საინტერესო პირობების შექმნით.

ტურიზმი რესურსული დარგების კლასს ეკუთვნის. ეს ნიშნავს, რომ ტურისტული პროდუქტის სახმარი ღირებულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული რეკრეაციული რესურსების ხარისხზე. მაშასადამე, ტურისტული რენტა (რესურსის ხარისხი), რომელსაც მომსახურების მწარმოებელი ითვისებს, აიხსნება არა იმით, რომ ბევრს და ხარისხიანად მუშაობს, არამედ იმით, რომ მას გაუმართლა ადგილმდებარეობამ და რესურსების ხარისხმა.

ნიშანდობლივია, რომ საქართველოს ტურიზმის მესვეურებს გაუმართლდათ ტურისტული რესურსების ბუნებრივი ლანდშაფტების უნიკალურობით და ხარისხით, დიდი კულტურული და სულიერი სიმდიდრეებით, სტუმართმოყვარეობის უნიკალური ტრადიციებით, მდიდარი და მრავალფეროვანი სამზარეულოთი. თუმცა, დღევანდელ პირობებში რეკრეაციული რესურსები ნაკლებად კეთილმოწყობილი და ხელმისაწვდომია მოსახლეობისათვის. ამ პრობლემების გადასაწყვეტად მიზანშეწონილია გამოვიყენოთ ტურისტული რენტის მექანიზმი, რომელსაც რამდენიმე შესაძლებელი მექანიზმი ახასიათებს. რეკრეაციული რესურსის ხარისხის რენტა უნდა მიიღოს რესურსის მესაკუთრემ, რომელიც ხელს უწყობს განვითარებას. ჩვეულებრივ ასეთი მესაკუთრეებია სახელმწიფო და მუნიციპალიტეტი. თუმცა არის აგრეთვე ადგილმდებარეობის შემადგენელი ფაქტორიც. გამოკვლევები აჩვენებს, რომ დასასვენებელი ობიექტის დამქირავებლები 3-4-ჯერ მეტს უხდიან მესაკუთრეს, თუ დასასვენებელი სახლი ტურისტის საცხოვრებელთან ახლოსაა. ამერიკელი ეკონომისტი ჯ. კრამპტონი აღნიშნავს, რომ ტურისტული რენტის აღწერა შეიძლება, როგორც გრავიტაციული ფენომენის, ე.ი. რეკრეაციული რესურსებისაგან მიღებული რენტა პირდაპირ პროპორციულია მისი ხარისხის, ხოლო უკუპროპორციულია მასზე მოთხოვნად ცენტრებამდე არსებული მანძილის კვადრატისა. ეს ნიშნავს, რომ ტურისტული რენტის სივრცითი შემადგენელი უფრო მნიშვნელოვანია ხარისხობრივ შემადგენელთან შედარებით. გვეჩვენება, რომ თუ რთულია განისაზღვროს რესურსის ადგილმდებარეობის მესაკუთრე, მაშინ უმჯობესია რენტა სოციალიზირებულ იქნეს, ე.ი. შემოღებულ იქნეს სოციალური ტურისტული რენტის ცნება, რომელიც მოხმარდება სოციალური ტურიზმის განვითარებასა და სტიმულირებას.

**ტურიზმი, როგორც საზოგადოებრივი მოძრაობა** მსოფლიოში მეწარმეობის და არა საბიუჯეტო გადანაწილების ზონას წარმოადგენს, ამიტომ სახელმწიფოსაგან იგი გამოყოფილია. სახელმწიფო განსაზღვრავს მხოლოდ ტურიზმის პოლიტიკას და ხელს უწყობს მის განვითარებას, რისთვისაც შესაბამის კანონებს გამოსცემს და მაკრო-ეკონომიკურ მექანიზმებს არეგულირებს, ასევე განსაზღვრავს ნორმატივებს ნაციონალური და გამყვანი ტურიზმის სასარგებლოდ. მაშასადამე ტურიზმის საწარმოები სახელმწიფოს მიერ რეგულირებადი ბაზრის პირობებში საქმიანობენ. ისმის საკითხი მომხმარებლების შესახებ, თუ ისინი რას საქმიანობენ და მოქმედებენ. მომხმარებლები ანტინომიის პრინციპებიდან გამომდინარე სხვადასხვა ასოციაციებსა და საზოგადოებებში ერთიანდებიან (პროფესიული კავშირები, სპორტული ტურიზმის საერთაშორისო კავშირები, სხვადასხვა კლუბები, ტურისტული საწარმოები, უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლები, მხარეთმცოდნეობის ცენტრები და სხვ.). ასეთი ასოციაციური გაერთიანებები აყალიბებენ მოთხოვნილებებს სოციალური ტურისტული პროდუქტისადმი, ჩართულნი არიან დიალოგში სახელმწიფო ორგანოებისადმი საკანონმდებლო და საკუთარი მოძრაობის მხარდაჭერის საკითხებზე. ტურიზმი, როგორც სხვაგან, საქართველოშიც ყოველთვის საზოგადოებრივ მოძრაობას წარმოადგენდა და მომხმარებელთა ინტერესების მხარდასაჭერად გამოდიოდა. ყველა პერიოდში ტურიზმი ძირითადად პროფკავშირებში ვითარდებოდა, როგორც საზოგადოებრივი მოძრაობა. დღესაც, სოციალური ტურიზმი ვითარდება, როგორც საზოგადოებრივი მოძრაობა,

რომლის მიზანია მოსახლეობის ყველა ფენისათვის ნაციონალური და კულტურული მემკვიდრეობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

სოციალური ტურიზმი დღეს აღიქმება, როგორც ადამიანის რეკრეაციაზე მიმართული მოძრაობა (ფიზიკური, ფსიქიკური და ინტელექტუალური ძალების აღდგენა) და ხელმისაწვდომია მოსახლეობის ყველა ფენისათვის, შესწევს უნარი მოახდინოს ტურიზმის საზოგადოებრივი ანტინომიის რეალიზება. კონკრეტულ პირობებში მისი ხელმისაწვდომობისა და რეალური შესაძლებლობების მაქსიმიზაციის პარამეტრები განსაზღვრავენ სოციალური ტურიზმის მომსახურების იმ აუცილებელ ერთობლიობას, რომელიც სოციალურ ტურისტულ პროდუქტს წარმოადგენს.

**ტურიზმის ანტინომია.** თანამედროვე მსოფლიოში ტურიზმის, როგორც ეკონომიკური მოვლენის განხილვა საშუალებას იძლევა გაკეთდეს დასკვნა მისი ანტინომიურობის შესახებ, რაც გამოიხატება მის შინაგან სირთულესა და არაერთგვაროვნებაში. ანტინომია, როგორც ორი ურთიერთსაწინააღმდეგო, მაგრამ ერთნაირად დასაბუთებული მსჯელობა თავის გამოხატულებას ჰპოვებს შეხედულებაზე ტურიზმის შესახებ, როგორც ეკონომიკურ კატეგორიაზე. კერძოდ, შეუძლებელია უპირატესობა მივანიჭოთ ტურიზმზე არსებული სხვადასხვა შეხედულებიდან რომელიმე ერთს, რამდენადაც იგი დიდ შეცდომას გამოიწვევს კანონმდებლობაში, მართვაში, მენეჯმენტსა და პრაქტიკაში. ტურიზმი პროცესია, რომელიც ერთგულია ტრადიციების, ჩვეულების, ნორმების, წარმოდგენების, თუმცა უწყვეტად არღვევს ნორმებს, ტრადიციებს ინარჩუნებს თავის სასიცოცხლო ენერგიას მასში სისტემატურად წარმოშობილი სიახლეების ძალით.

ტურიზმის ანტინომია – დაბრკოლებაა მისი ცალმხრივი, ვიწროსაგნობრივი და არაწინააღმდეგობრივი განსაზღვრის. ტურიზმის ანტინომიურობა მისი სირთულის, მრავალასპექტიანობის, მთლიანობის, ურთიერთწინააღმდეგობრივი ტენდენციების გამომხატველია მის განვითარებაში, ტურისტული კონცეფციის დინამიკაში.

ამიტომ, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე უნდა ვირწმუნოთ, რომ სწორია იმ მეცნიერთა შეხედულება, რომლებიც ტურიზმს ეკონომიკურ კატეგორიად განიხილავენ ამ სექტორის კომპლექსურობიდან გამომდინარე.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. ნადირაშვილი გ., ჯანგულაშვილი დ., ტურიზმის საფუძვლები, სახელმძღვანელო, თბ., 2014.
2. Квартальнов В. Туризм. Учебник. М., 2002.
3. Квартальнов В. Туризм как вид деятельности. М., 2001.
4. Балабанов И. Балабанов А. Экономика туризма. Уч. Пособие. М.1999.
5. Котлер Ф., Боуэн Дж., Мейкенз Дж. Маркетинг: Гостеприимство и туризм. М. 2013.
6. Квартальнов В. Туризм. Теория и практика. Избр. труды. М., 2003.


**გაიოზ ნადირაშვილი, დავით ჯანგულაშვილი**

**ტურიზმი როგორც ეკონომიკის სექტორი**

**რეზიუმე**

თანამედროვე პერიოდში, სპეციალისტები ტურიზმს განიხილავენ როგორც რთულ სოციალურ-ეკონომიკურ მოვლენას, ხოლო ტურიზმის ეკონომიკა მეცნიერებაა, რომელიც საქმიანობის ამ სფეროში ეკონომიკური ურთიერთობის პრობლემებს შეისწავლის. ბევრი

სპეციალისტი ტურიზმს ეკონომიკურ კატეგორიად განიხილავს, რაც ამ სფეროს კომპლექსურ ხასიათთანაა დაკავშირებული.

საერთაშორისო ტურიზმზე, როგორც თანამედროვე მსოფლიოს რთულ ეკონომიკურ მოვლენაზე, სპეციალისტთა ოთხი შეხედულება მაინც არსებობს (ტურიზმი, როგორც ეკონომიკის სფერო, ეკონომიკური საქმიანობა, ბაზარი და საზოგადოებრივი მოძრაობა), რომელთა შორის მსგავსება უფრო მეტია განსხვავებასთან შედარებით.


**Gaioz Nadirashvili,   David Jangulashvili**
**Tourism as Dynamic Economic Sector**
**Summary**

Modern tourism is highly complicated phenomena. Tourism economy is science identifying the problemsof economic relationship in the tourism field. Many scientists consider tourism as an economic category expressing the diverse nature of the tourism.

There are three approaches about the complexity of international tourism in the modern world : tourism as a field of economy, tourism as economic activity in the market and tourism as public movement. It should be noted that the *similarities* between them is more than the differences.



**Гаиоз Надирашвили, Давид Джангулашвили**
**Туризм как сектор економики**
**Резюме**

В современных условиях специалисты туризм рассмотривают как сложное социально-экономическое явление, а экономика туризма представляет собой науку, изучающую проблемы экономических отношении в этой сфере деятельности. Многие специалисты туризм рассмотривают как экономическую категорию, что связано с комплексным характером этой сферы.

О международном туризме, как о сложном экономическом явлении современного мира, существует, по крайней мере, четыре взгляда (туризм как сфера экономики, экомическская деятельность, рынок, общественное движение), между которыми больше сходства, чем отличия.

**Надежда Гражевская**
**Профессор, заведующая кафедрой экономической теории, макро и микроэкономики Киевского национального университета имени Тараса Шевченко (Украина)**

## Эволюция теоретико-методологических подходов к исследованию сущности, структуры и типологизации экономических систем

Проблемы сущности, структуры и типологизации экономических систем постоянно находятся в поле зрения представителей экономической науки, являются предметом многочисленных научных дискуссий. Это обусловлено сложностью и полиструктурностью объекта исследования, а также мультипарадигмальностью современного экономического знания, проявляющейся в сосуществовании и взаимодействии конкурирующих научно-исследовательских программ, представители которых «смотрят в одном направлении», однако «осуществляют свои исследования в разных мирах» (7, 130). По мнению автора, имеющиеся в современной научной литературе подходы к определению сущности экономических систем можно разделить на такие две группы:

*I. Ортодоксальный подход,* в рамках которого экономическая система трактуется как своеобразный механизм функционирования и координации хозяйственных процессов, призванный решать основные проблемы, связанные с удовлетворением человеческих потребностей в условиях ограниченности ресурсов, а именно: что производить?, как?, для кого? (11, 234). Так, немецкие исследователи Х. Зайдель и Р. Теммен определяют экономическую систему как составляющую социальной системы, предназначенную организовывать использование людьми ограниченных ресурсов (6, 25).

Примером ортодоксального подхода к исследованию сущности экономической системы является также ее определение как субординированной иерархической структуры, характеризующейся специфическими взаимосвязями, элементами и закономерностями формообразования. Сторонники такого подхода характеризуют экономическую систему как сложную, упорядоченную целостность множества экономических и сущностных неэкономических отношений, или как одну из подсистем общества, интегрирующую в себе совокупность всех компонентов (элементов, звеньев) экономики (отрасли, предприятия, домашние хозяйства), хозяйственную среду и производственные отношения (5, 42).

*II. Неортодоксальный подход,* базирующийся на понимании экономики как «органической материи» и обосновании целесообразности использования понятия «экономический организм» в понимании сложноорганизованного единства. Трактуя систему как модель организма и сопоставляя структуру понятий «система» и «организм», сторонники такого подхода предлагают следующие схематические формы: система = элементы + связи; организм = элементы + связи + смыслы + процессы (1, 156).

В качестве неортодоксального направления указанных исследований выступает также современный институционализм, представители которого изучают экономические системы через призму взаимосвязанных институтов, определяющих множество возможных форм организации хозяйственной жизнедеятельности, в рамках которых экономические агенты кооперируются или конкурируют друг с другом. По мнению С. Роузфилда, экономические системы являются совокупностью саморегулируемых и регулируемых культурой видов деятельности, направленных на получение полезности и осуществляемых путем добровольного обмена, взаимных или односторонних обязанностей и поручений в условиях ограниченности ресурсов. «Без понимания темпераментов, культуры, менталитета, склонности к совершению преступлений, действия институтов и правил, определяющих экономическое взаимодействие, – отмечает исследователь, – нельзя с полной уверенностью сделать выводы о функционировании экономической системы со многими участниками» (12, 6).

Указанные особенности ортодоксального и неортодоксального подходов к пониманию сущности экономической системы накладывают отпечаток на трактовку ее структуры (2; 3; 10). В частности, в качестве основных составляющих экономической системы в современной научной литературе выделяют:

- производительные силы, экономические отношения (технико-экономические, организационно-экономические и социально-экономические) и механизм хозяйствования, объединяющий действие объективных (экономических законов) и субъективных (целенаправленной человеческой дея-

тельности) факторов с целью обеспечения динамического равновесия в общественном производстве;

- технологические уклады (доиндустриальный, индустриальный, постиндустриальный), способ координации (натуральный, рыночный, пострыночный), отношения присвоения/ отчуждения (личная зависимость, формальное подчинение труда капиталу, реальное подчинение труда капиталу, социализация капитала, господство финансового капитала, посткапиталистические отношения присвоения) ;

- элементы хозяйствования (природные, капитальные ресурсы, экономические субъекты), экономические отношения (отношения производства, распределения и потребления внутри хозяйственных единиц и между ними), хозяйственный порядок или организацию, конституирующуюся из обязательных для экономического процесса правовых норм и институциональных правил;

- подсистему принятия решений (совокупность правил распределения полномочий в сфере принятия экономических решений среди членов общества), информационную подсистему (каналы сбора, хранения, передачи и контроля актуальной информации с целью согласования и координации экономических решений), мотивационную подсистему, основанную на механизмах и правилах, обеспечивающих практическую реализацию хозяйственных решений (принуждение, материальное стимулирование, лояльность, общественное самосознание, традиции) и др.

Важно учесть, что усложнения и усиление разнообразия экономической жизнедеятельности общества в условиях постиндустриализации и глобализация мирового развития актуализируют проблему типологизации экономических систем. Как известно, в экономической теории эта проблема нашла отражение в трудах А. Смита, Д. Рикардо, С. Сисмонди, Ф. Листа, К. Бюхера, Г. Шмоллера, К. Маркса, А. Маршалла, М. Вебера, И. Шумпетера, Дж. М. Кейнса, В.Ойкена и других известных ученых. Анализ произведений этих исследователей показывает, что длительное время типологизация экономических систем традиционно осуществлялась в соответствии с такими критериями, как форма собственности, механизм координации экономических взаимодействий и способ принятия экономических решений.

Так, К. Маркс различал первичную (архаичную), вторичную (экономическую) и третичную (коммунистическую) формации, эволюция которых регулируется диалектическим законом отрицания отрицания: вторичная формация (рыночная) отрицает первичную (натуральную), затем третичная (коммунистическая) отрицает вторичную (рыночную) на основе высокого уровня развития производительных сил. Важнейшим критерием такой типологизации экономических систем был способ соединения рабочей силы со средствами производства, неразрывно связанный с определенной формой собственности. Согласно такому подходу, в процессе развития человеческого общества общинная собственность отрицается частной, а последняя – общественной. Аналогично рассматривалась эволюция других параметров экономической системы: централизованное распределение заменяется эквивалентным обменом, а в дальнейшем – планомерным распределением; на смену вертикальным связям приходят горизонтальные, которые со временем уступают место вертикальным и т.д. (8).

В середине XX в. основатель фрайбургской школы неолиберализма В. Ойкен разработал теорию хозяйственного порядка как методологическую основу определения ключевых признаков и типов экономических систем. В отличие от классической политической экономии, ученый исходил из многообразия реальной исторической жизнедеятельности, основанной на широком спектре различных совокупностей хозяйственных порядков. При этом он выделил два идеальных типа хозяйственных порядков: централизованно управляемое хозяйство (принудительную экономику) и меновое хозяйство (рыночную экономику), что позволило систематизировать анализ и сопоставление различных реальных типов хозяйственных порядков и производных от них экономических систем (9, 97).

В дальнейшем ученики и соратники В. Ойкена – К. Хензель, А. Шюллер, Х-Г. Крюссельберг и др. продолжили исследования исторически сложившихся и реальных форм хозяйственного порядка, имеющих конкретное реально-типичное выражение. Особое внимание было уделено выявлению упорядочивающих принципов, позволяющих совместить разнообразные формы хозяйственного порядка в целостную систему. Такой подход способствовал выделению следующих основных типов хозяйственного порядка: частнокапиталистической рыночной экономики, основанной на децентрализованной структуре прав собственности и регулируемом рыночными ценами экономическом расчете; централизованно-административной экономики, основанной на централизованной структуре прав собственности и регулируемом планом экономическом расчете; социалистической рыночной

экономики, основанной на децентрализованной структуре прав собственности, в частности: (1) социалистической рыночной экономики этатистского типа, базирующейся на государственном распоряжении важнейшими средствами производства в сочетании с масштабным государственным регулированием цен; (2) социалистической рыночной экономики коллективистского типа, основанной на общественной собственности на средства производства, находящихся в распоряжении и пользовании трудовых коллективов, в сочетании с экономическим расчетом на основе рыночных цен, устанавливаемых преимущественно спонтанно на свободных рынках труда и капитала (2, 13). При этом современная типологизация экономических систем, широко используемая в научной и учебной литературе, была предложена лауреатом Нобелевской премии по экономике П. Сэмюэльсоном, который выделил рыночную, командную и смешанную экономические системы (11).

Заметим, что исходя из принципа методологического плюрализма, экономические системы могут быть типологизированы с учетом разных критериев, количество которых теоретически не ограничено. В качестве таких критериев в современной научной и учебной литературе, как правило, используются: технологический способ производства; уровень развития производительных сил; качество и структура системных связей; способ управления, координации экономической деятельности; механизм принятия экономических решений и хозяйствования; господствующая форма или доминирующий объект собственности; специфика отношений обмена; целевая направленность экономического развития и т. п. В этом контексте обоснованным является деление экономических систем на идеальные, статические (традиционную, рыночную, командную) и реальные, динамические (трансформационные, в т.ч. смешанные и транзитивные) экономические системы (рис.1) (4).

Таким образом, эволюция научных поисков, связанных с исследованием сущности, структуры и типологизации экономических систем способствовала обогащению теоретико-методологических подходов в сфере экономической системологии. В соответствии с современными парадигмальными подходами экономическая система является сверхсложной,




Рисунок 1. Типологизация экономических систем

организационно неоднородной целостностью подсистем и элементов экономики, содержащие множество взаимосвязанных подсистем и элементов, формирующих ее внутреннее строение и

обеспечивающих функциональную организацию и динамичное развитие соответствующих связей. При этом тип экономической системы является концентрированным выражением ее существенных структурных характеристик, устойчивых к изменениям эндогенных и экзогенных условий ее функционирования. Согласно современным парадигмальным подходам любая типологизация должна восприниматься не как конечный вариант решения проблемы, а как один из возможных способов реконструкции сложной действительности, способствующий более глубокому пониманию сущности, структуры и направлений трансформации современных экономических систем.

**Литература:**


1. Азроянц Э. А. Глобализация: катастрофа или путь к развитию? Современные тенденции мирового развития и политические амбиции / Азроянц Э. А. М., 2002.
2. Анализ экономических систем: основные понятия теории хозяйственного порядка и политической экономики / Вэльш Томас, Крюссельберг Ханс-Гюнтер, Ляйпольд Хельмут, Майер Вильгельм, Петерхофф Райнхард; под общ. ред. А. Шюллера и Х.-К. Крюссельберга. – М. 2006.
3. Бузгалин А. В. Колганов А. И. Сравнительный анализ экономических систем: методология и теория (материалы спецкурса).– Ч.1 / А. В. Бузгалин, А. И. Колганов // Вестник Московского университета. – Сер. 6. “Экономика”. – 2002. – № 3.
4. Гражевська Н. І. Економічні системи епохи глобальних змін: монографія / Н. І. Гражевська. – К., 2008.
5. Єщенко П. С., Палкін Ю. І. Сучасна економіка: навч. посіб. / П. С. Єщенко, Ю. І. Палкін. – К., 2005.
6. Зайдель Х. Основы учения об экономике / Х. Зайдель, Р. Теммен. – М., 1994.
7. Кун Т. Структура научных революций / Т. Кун. – М., 1977.
8. Маркс К. Критика политической экономии (черновой набросок 1857–1858 гг.) / Маркс К., Энгельс Ф. Соч. – Т.46. – Ч.1. М., 1968.
9. Ойкен В. Основы национальной экономии / В. Ойкен; общ. ред. В. С. Автономова. М. 1996.
10. Платова Е. Экономические системы и их трансформация / Е. Платова // Мировая экономика и международные отношения. – 1998. –№ 7.
11. Семюелсон П. А. Макроекономіка / П. А. Семюелсон, В. Д. Нордгауз. – К., 1995.
12. Роузфілд С. Порівнюємо економічні системи [Текст] : культура, багатство та влада в XXI столітті / С. Роузфілд ; пер. В. Вишенська. – К., 2005.


**Надежда Гражевская**

**Эволюция теоретико-методологических подходов к исследованию сущности, структуры и типологизации экономических систем**

**Резюме**


В статье проанализирована эволюция теоретико-методологических подходов к исследованию сущности, структуры и типологизации экономических систем. Выделены ортодоксальный и неортодоксальный подходы к трактовке сущности экономической системы. По мнению автора, представители ортодоксального подхода исследуют экономическую систему как специфический механизм осуществления и координации хозяйственных процессов. В то же время, сторонники неоортодоксального подхода анализируют экономическую систему как своеобразный «экономический организм», интегрированный в динамичную социальную среду. Указанные теоретико-методологические особенности накладывают отпечаток на трактование структуры экономической системы.

Автором раскрыты основные критерии типологизации экономических систем, представленные в современной научной литературе. Предложен авторский подход к делению экономических систем на идеальные статические (традиционную, рыночную, командную) и реальные, динамические (трансформационные, в т.ч. смешанные и транзитивные) экономические системы. Обоснован вывод о том, что любая типологизация экономических систем должна восприниматься как один из

возможных способов познания сущности, структуры и направлений современных социально-экономических трансформаций.

**ნადეჟდა გრაჟევსკაია**

**ეკონომიკურ სისტემათა არსის, სტრუქტურისა და ტიპოლოგიზაციის კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური მეთოდების ევოლუცია**

**რეზიუმე**


სტატიაში გაანალიზებულია ეკონომიკურ სისტემათა არსის, სტრუქტურისა და ტიპოლოგიზაციის კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური მეთოდების ევოლუცია. გამოყოფილია ეკონომიკური სისტემის არსის ორთოდოქსალური და არაორთოდოქსალური გაგება. ავტორის აზრით, საკითხისადმი ორთოდოქსალური მიდგომა ეკონომიკურ სისტემაში გულისხმობს სამეურნეო პროცესების განხორციელებისა და კოორდინაციის სპეციფიკურ მექანიზმს. ამავდროულად ნეოორთოდოქსალური სკოლის მომხრეები ეკონომიკურ სისტემას აანალიზებენ, როგორც თავისებურ „ეკონომიკურ ორგანიზმს“, რომელიც სოციალურ დინამიკურ გარემოშია ინტეგრირებული. მითითებული თეორიულ-პრაქტიკული თავისებურებანი თავის დაღს ასვამენ ეკონომიკური სისტემის სტრუქტურის ინტერპრეტაციაზე.

ავტორის მიერ წარმოდგენილია ეკონომიკური სისტემის ტიპოლოგიზაციისადმი მიძღვნილ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული ძირითადი კრიტერიუმები. შემოთავაზებულია ეკონომიკურ სისტემათა ავტორისეული დაყოფა იდეალურ სტატისტიკურ (ტრადიციული, საბაზრო, მბრძანებლური) და რეალურ, დინამიკურ (ტანსფორმაციული, კერძოდ კი: შერეული და ტრანზიტიული) სახეობებად.

დასაბუთებულია დასკვნა იმის შესახებ, რომ ეკონომიკური სისტემის ნებისმიერი ტიპოლოგიზაცია უნდა აღიქმებოდეს, როგორც თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური ტრანსფორმაციების არსის, სტრუქტურისა და მიმართულების შეცნობის ერთ-ერთი შესაძლებელი საშუალება.


**Nadezhda Grazhevskaya**

**Evolution of Theoretical and Methodological Approaches to the Study of Nature, Structure and Typology of Economic Systems**

**Summary**


The article analyses evolution of theoretical and methodological approaches to the study of nature, structure and typology of economic systems. The author distinguishes orthodox and unorthodox approaches to the analysis of economic systems. Representatives of the orthodox approach consider an economic system as a specific mechanism of execution and coordination of business processes, whereas representatives of the unorthodox approach analyse an economic system as an idiosyncratic economic organism integrated in a dynamic social environment. Such theoretical and methodological peculiarities of the aforementioned approaches cause the differences in the interpretation of the structure of an economic system.

The author reveals key criteria of the typology of economic systems, which can be found in the modern scientific literature. The article represents an author's approach to the division of economic systems into ideal or static (traditional, market and command) economic systems and real or dynamic (transformative, including mixed and transitive) economic systems. It is concluded that any typology of economic systems must be considered as one of the possible ways of perception of the nature, structure and directions of the modern social and economic transformations.

**თამარ ჯანგულაშვილი**
**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი**
**თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის პრორექტორი**

## სოციალური მარკეტინგისა და ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა

უკანასკნელ პერიოდში სოციალური მარკეტინგის, როგორც სოციალური პროცესების რეგულირების თეორიისა და პრაქტიკისადმი ინტერესი მსოფლიოში მნიშვნელოვნად გაიზარდა. მარკეტინგის ევოლუცია და ახალი კონცეფციის წარმოშობა, რომელიც გამიზნულია ბიზნესის, მომხმარებელთა და მთლიანად საზოგადოების ინტერესებისადმი, განპირობებულია მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ხასიათითა და ხარისხით, მარეგულირებელი ნორმების განმტკიცებით და თანამედროვე სოციალურად ორიენტირებული ბიზნესის წარმოშობა-განვითარებით. მომხმარებელთა საჭიროებისა და მოთხოვნის უფრო სრული დაკმაყოფილების მიზნით მართვის სოციალური შინაარსის განვითარება, სოციალური ცვლილებებისადმი ბიზნესის ადაპტირება განსაკუთრებით აქტუალურობას იძენს დღეს. ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ მოგების მაქსიმიზაციისათვის ბრძოლაში კომპანიის ინტერესები უპირისპირდება საზოგადოების ინტერესებს. უცილებელი ხდება სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა კეთილსინდისიერი და გამჭირვალე ურთიერთობების ფორმირება და შესაბამისი მართვა(1).

დემოკრატიული პროცესების განვითარებასთან ერთად, თანდათანობით ვითარდება სოციალური პროცესების რეგულირების მექანიზმები, რომლებიც ემყარება სამოქალაქო საზოგადოების, დემოკრატიული მმართველობის ფასეულობების გამოყენებას, რაც დიდ გავლენას ახდენს საზოგადოების სოციალური განვითარების პროცესებზე. იგი გამოხატულებას ჰპოვებს სახელმწიფო მართვასა და ბიზნესს შორის ურთიერთკავშირის მექანიზმების განმტკიცებაზე, სამოქალაქო საზოგადოების ინტეგრირებაზე ამ პროცესებში. ამჟამად მიმდინარეობს სოციალური ცვლილებების პროცესი, რომელიც ყველა სოციალურ სტრუქტურაში ხდება (სოციალურ ინსტიტუტებში, სოციალურ ქცევებსა და საზოგადოებრივ ურთიერთობებში).

მსოფლიოში განვითარებულმა მოვლენებმა გარკვეული ბიძგი მისცა სოციალური მარკეტინგის კონცეფციის წარმოჩენას. 1971 წელს ამერიკის მარკეტინგის ასოციაციის ჟურნალში დაიბეჭდა ფ. კოტლერისა და გ. ზელტმანის ცნობილი სტატია, რომელიც ეხებოდა სოციალური მარკეტინგის კონცეპტუალურ საკითხებს(4). დღეს ამ თემაზე ბევრი მეცნიერი მუშაობს და ცდილობს უფრო გაამყაროს სოციალური მარკეტინგის კონცეპტუალური საკითხები. სოციალური მარკეტინგის როლი უაღრესად იზრდება. იგი სოციალური ცვლილებების განხორციელების მთავარი ინსტრუმენტია, რაც ხელს უწყობს სოციალური პროდუქტის ფორმირებასა და საზოგადოების კეთილდღეობის ხელშეწყობას. სოციალური მარკეტინგი არის ინსტიტუციურ დონეზე წარმართული პოლიტიკა, რომელიც ზემოქმედებას ახდენს საზოგადოებაში არსებულ პრობლემების წარმოჩენასა და მათი გადაჭრის გზებზე (5),(6).

სოციალური მარკეტინგის გამოყენება მრავალ სფეროშია პოპულარული. ჯერ კიდევ 20 წლის უკან სოციალურ მარკეტინგში მომუშავე პროფესიონალებმა აღმოაჩინეს, რომ სოციალური მარკეტინგის მოდელების გამოყენება ჯანმრთელობის სფეროში მეტად ეფექტიანია(7). მისი ინტეგრირება ხდება ბევრი ქვეყნის ნაციონალურ სტრატეგიაში, რომელიც ხელს უწყობს ჯანმრთელობის ეროვნული სტრატეგიისა და სოციალური უზრუნველყოფის პოლიტიკის ფორმირებას. ამ მხრივ ყველაზე წინ არის კანადა.ჯერ კიდევ 1981 წელს შეიქმნა სოციალური მარკეტინგის ჯგუფი, რომლის მთავარი მიზანია განავითაროს მრავალმხრივი სოციალური მარკეტინგული კამპანიები, რომლებიც ახალისებენ თავიანთ მოქალაქეებს მოახდინონ თავიანთი ქცევების პროაქტიური ცვლილებები ჯანმრთელობის გაუმჯობესების მიზნით, მათი კეთილდღეობისათვის(8).

სოციალური მარკეტინგის კონცეფციისადმი ინტერესი განსაკუთრებით დიდია ისეთ განვითარებულ ქვეყნებში, როგორიცაა ამერიკა, დიდი ბრიტანეთი,კანადა, ისლანდია ავსტრალია და სხვ. ასევე პოპულარულობით სარგებლობს ინდოეთში, ჩინეთში,

მალაიზიაში, პაკისტანსა და სხვა ქვეყნებში. აღსანიშნავია, რომ 2017 წლის მაისში ქალაქ ვაშინგტონში ჩატარდა მსოფლიოს სოციალური მარკეტინგის მეხუთე კონფერენცია, სადაც ნათლად წარმოჩინდა სოციალური მარკეტინგის მზარდი გავლენა ბიზნესისა და, ზოგადად, ჰუმანური განვითარების პროცესებზე. კონფერენციაში მონაწილეობდა 500-ზე მეტი მეცნიერი და პრაქტიკოსი მსოფლიოს 100-ზე მეტი ქვეყნიდან. კონფერენცია მიმდინარეობდა ეგიდით – „ზემოქმედება სოციალური კეთილდღეობის მისაღწევად“, სადაც განხილულ იქნა სოციალური მარკეტინგის მოქმედების მრავალი სფერო: ჯანმრთელობის დაცვა და კეთილდღეობა, გლობალური კლიმატის ცვლილება, გარემოს დაცვა და მდგრადობა, კარგი მმართველობა, სოციალური მარკეტინგის კონცეფციები, ახალი ტექნოლოგიების ეფექტიანობა და ბევრი სხვა მიმართულებება(9).

საყოველთაოდ ცნობილია, რომ სოციალური მარკეტინგის კონცეფცია დამყარებულია ისეთ მეცნიერებებზე, როგორიცაა ეკონომიკა, სოციალური ფსიქოლოგია, სოციოლოგია, ანთროპოლოგია და სხვ. სოციალური მარკეტინგის მიზანი არა მარტო სწავლება და ცნობიერების ამაღლებაა, არამედ ინდივიდის ქცევის ცვლილებების პროცესია, რომელიც გარდაიქმნება ახალ სოციალურ პროდუქტად–სასურველ ქცევად, რასაც შემდგომში მოჰყვება არსებული მწვავე სოციალური პრობლემის მოგვარება(10). სოციალური მარკეტინგი მიმართულია ისეთი მწვავე სოციალური პრობლემების გადასაჭრელად, რომლებიც ხელს უშლიან მოსახლეობის კეთილდღეობის მიღწევას.

დღეს ხშირად ხდება აქტიური მსჯელობა სოციალურ-ეთიკურ, საზოგადოებრივ-სოციალურ-ეთიკურ ანუ საზოგადოებრივ მარკეტინგზე და ა.შ. ასეთ კონტექსტში მუშავდება კონცეფციებიც, რომლებიც დაკავშირებულია სოციალური პასუხისმგებლობის ბიზნესსა და კორპორატიულ სოციალურ პასუხისმგებლობასთან. ყველა ასეთი მიდგომა სპეციალისტების მიერ გაერთიანებულია ტერმინში-„სოციალური პასუხისმგებლობის მარკეტინგი“, თუმცა ჩამოთვლილ მიდგომათა შორის განსხვავება მოითხოვს სპეციალურ გამოკვლევებს, როცა ამას საჭიროებს კონკრეტული კვლევითი ამოცანები.

ფ. კოტლერი, დ. ბოუენი და დ. მეიკენზი აღნიშნავენ, რომ „მარკეტინგის სოციალური კონცეფცია ბიზნესის ფილოსოფიის უახლესი მიღწევაა, რომლის თანახმად კომპანიებმა წინასწარ უნდა განსაზღვრონ თავისი მიზნობრივი ბაზრის საჭიროება, სურვილი, ინტერესი და კონკურენტებთან შედარებით დააკმაყოფილონ ისინი უფრო ეფექტიანად. ამასთან, დაიცვან ან აამაღლონ ინდივიდებისა და მთლიანად საზოგადოების კეთილდღეობის დონე“(3).

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა არის მიდგომა, როდესაც კომპანია გამოთქვამს მზადყოფნას, ხელი შეუწყოს დაინტერესებული მხარეების კონტრიბუციას სასურველი ქცევის მისაღებად. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა ფოკუსირდება საკუთარი თანამშრომლების ზრუნვაზე, გარემოს დაცვასა და სოციალური პრობლემების მოგვარებაზე, სადაც კომპანიის კორპორაციული ინტერესებია წინ წამოწეული. ასევე მნიშვნელოვანია თანამშრობლობა სამთავრობო სტრქუტურებთან, ისეთი მარკეტინგული სტრატეგიის დანერგვა, რომელიც არ შეუქმნის პრობლემებს სოციალურ ჯგუფებსა და შესაბამისობაში იქნება ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტერესებთან (2).

XX საუკუნის დასაწყისიდან ბიზნესი მნიშვნელოვან თანხებს ხარჯავს ეკოლოგიისა და ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, სხვადასხვა დაავადებათა გავრცელების თავიდან ასაცილებლად, ახალი სამუშაო ადგილების შექმნაზე, და სხვა რითაც რეალიზაციას უკეთებს სოციალურ-ეთიკურ და სოციალური პასუხისმგებლობის ფუნქციას. მეორე მხრივ, ეხმარება რა მოსახლეობას, ბიზნესი სცილდება თავის ძირითად პრინციპებს, მარკეტინგულ კონცეფციას, რომლის თანახმად ფირმა, კომპანია, ორგანიზაცია საქმიანობისას ორიენტირებულია არა საზოგადოებაზე, არამედ თავის მიზნობრივ ჯგუფებზე, შეისწავლის მოთხოვნას და კონკრეტულ გარემოს, რათა, რაც შეიძლება მომგებიანად გაყიდოს საკუთარი საქონელი.

ეს წინააღმდეგობა კარგად შენიშნეს ფ. კოტლერმა, დ. ბოუენმა, დ. მაიკენზმა, რომლებმაც აღნიშნეს, რომ მარკეტინგისა და ბიზნესის „ზოგად სოციალური“ ფუნქციის გავრცელება ეჭვქვეშ აყენებს მარკეტინგული კონცეფციის ადეკვატურობას. ისმის კითხვა, ფირმა, რომელიც ინდივიდუალური მომხმარებლის

საჭიროებებს სწავლობს და აკმაყოფილებს, ნუთუ ყველა შემთხვევაში ემსახურება მას და მთლიანად საზოგადოების ინტერესებს? კონფლიქტების პრევენცია მნიშვნელოვანია მომხმარებლის ყოველდღიურ მოთხოვნებსა და საზოგადოების გრძელვადიან ინტერესებს შორის მარკეტინგის სოციალურ-ეთიკური პრინციპების გასატარებლად. ამასთან, გასაგებია, რომ კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ აფიშირება კომპანიისათვის გამოწვევაა. როგორც კი ფირმა წამოიწყებს გარემოსდაცვით ინიციატივას, იგი შეიძლება კრიტიკის ობიექტი გახდეს. არაერთ კარგად დაგეგმილ პროდუქტს ან მარკეტინგულ ინიციატივას ზოგჯერ გაუთვალისწინებელი შედეგი შეიძლება მოჰყვეს. დასახელებული ავტორები თვალნათლივ წარმოაჩენენ ამ წინააღმდეგობას იმ ზეწოლის მაგალითზე, რომელიც დღეისათვის თვალსაჩინოდ იგრძნობა სიგარეტისა და სპირტიანი სასმელების მარკეტინგის პროცესში. შესაბამისი კომპანიების ინტერესს წარმოადგენს ამ საქონლის გაყიდვების ზრდა, ხოლო საზოგადოების გრძელვადიან ინტერესშია მოხმარების შეზღუდვა ან უკეთესია აკრძალვაც, ყოველ შემთხვევაში გარკვეულ ადგილებში ან მოსახლეობის გარკვეულ ჯგუფებში.

აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდის გამოცემულ ლიტერატურაში, ნაკლები ყურადღება ექცევა შესაბმისი მიდგომების განსაზღვრას. კონკრეტულად კი ისმება კითხვა, რატომ უნდა იყოს ბიზნესი სოციალურად პასუხისმგებელი? დროა აღნიშნულ საკითხს გაეცეს სათანადო პასუხი.

მარკეტინგის სოციალური პასუხისმგებლობა ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

• მომხმარებელთა ინტერესები ყოველთვის არ პასუხობს მათ ინტერესებს და მთლიანად საზოგადოების ინტერესებს;

• მომხმარებლები უპირატესობას ანიჭებენ ისეთ კომპანიებს, რომლებიც დემონსტრირებას უკეთებენ მათ სურვილებსა და მოთხოვნილებებს, ინდივიდუალურ და საზოგადოებრივ კეთილდღეობას;

• ორგანიზაციის ძირითადი ამოცანაა მიზნობრივი ბაზრებისადმი ადაპტაცია, რათა უზრუნველყოს როგორც საჭიროებისა და მოთხოვნილების დაკმაყოფილება, აგრეთვე ინდივიდუალური და კოლექტიური კეთილდღეობა იმისათვის, რომ მოიზიდოს და შეინარჩუნოს ლოიალური მყიდველები.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ კომერციული ორგანიზაციები (ფირმები და სხვ.) არ ეკუთვნიან სახელმწიფოს, ამიტომ მათ შეუძლიათ არ განახორციელონ საზოგადოებრივი მომსახურება და შექმნან საზოგადოებრივი სამსახურები, რომლებსაც უნდა წარმოადგენდნენ სახელმწიფო ორგანიზაციები, დაფინანსებული საგადასახადო შემოსავლებით.

მხედველობაშია მისაღები ფაქტორებიც, რომლებიც ასტიმულირებენ ორგანიზაციებს, რომ გაითვალისწინონ თავისი სოციალური მოვალეობები: საზოგადოებრივი აზრის მოთხოვნები მისთვის დამახასიათებელი პლურარიზმით; კომპანიის რეპუტაციის დაცვა; ეთიკური ნორმები; საზოგადოების მიერ დელეგირებული კომპანიები გარკვეული პროექტების განსახორციელებლად; მოხოვნილება სპონსორობაზე და ქველმოქმედებაზე.

მდგრადი განვითარების შესახებ მსოფლიოს სხვადასხვა ფორუმზე კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა განიხილება, როგორც ბიზნესის მუდმივ ერთგულებაზე, ეთიკის საფუძველზე საქმიანობის წარმოების პრინციპებზე და ეკონომიკაში საკუთარი წვლილის შეტანის თაობაზე, ერთდროულად მთლიანად საზოგადოებისათვის ცხოვრების ხარისხის ამაღლებაზე მსჯელობა.

ხშირია შემთხვევა, როდესაც მომხმარებელი ბოიკოტს უცხადებს იმ კომპანიებს, რომლებსაც სოციალური ანგარიშგების პრინციპი დამკვიდრებული არა აქვთ. სოციალური პასუხისმგებლობის შემთხვევაში მთავარი მონაწილე კომპანიაა, რომელიც საკუთარი ინტერესების შესაბამისად, ცალკეული საზოგადოებრივი პრობლემის მოგვარების მცდელობის ხარჯზე გაცვლის საფუძველზე ცდილობს ზემოქმედება მოახდინოს მომხმარებელზე.

სოციალური მარკეტინგი განსხვავდება კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობისაგან. სოციალური მარკეტინგი მომხმარებლის ახალი ქცევის

ადაპტაციაა გარემოსთან, რის შედეგადაც იწყება გავლენის მოხდენა გარშემომყოფზე, რასაც შეუძლია სოციალური სარგებლობის მოტანა. სოციალური მარკეტინგი უპირატესობას ანიჭებს საზოგადოებრივ მომხმარებელთა მოთხოვნებს და მოთხოვნებიდან გამომდინარე, განსაზღვრავს პროდუქციის ხარისხს, განაწილების ადგილსა და გავრცელების ფორმებს, რაც მარკეტინგული გადაწყვეტილების საფუძველი ხდება.

ბიზნეს-ურთიერთობების სოციალურ-მარკეტინგული მიდგომების გამოვლენამ, მათი კლასიკური გაგებით და ეკონომიკური საქმიანობის ინტენსიფიკაციამ საზოგადოება მიიყვანა იმ საშიშროების შეგნებამდე, რომ უმოწყალოდ ხდებოდა ბუნებრივი რესურსების, სამუშაო ძალის ექსპლოატაცია, მტაცებლური მეთოდებით იმართებოდა მეურნეობა. საქმე იქამდე მივიდა, რომ მომხმარებლები ბოიკოტს უცხადებდნენ ხარისხიან საქონელს, თუკი იგი იმ ფირმის დამზადებული იყო, რომელიც საზოგადოების ინტერესების იგნორირებას ახდენდა, ამიტომ ბიზნესი იძულებული იყო რომ სოციალურად პასუხისმგებელი გამხდარიყო, ანგარიში გაეწია საზოგადოების შეხედულებებისთვის, მონაწილეობა მიეღო საზოგადოებრივად აუცილებელ, სასარგებლო საქმიანობაში.

ამ პერიოდიდან იწყება, დიდი სახსრების დაბანდება ქველმოქმედებაში, მეცენატობაში, გარემოს დაცვაში, კადრების უფასო მომზადებაში, ახალი სამუშაო ადგილების შექმნაში, მათ შორის ინვალიდებისათვის. ამავე პერიოდში იწყება „ფაბლიკ რილეიშნზ"-ის, როგორც ბიზნესის ფილოსოფიის განვითარება, რომლის მიზანია მოსახლეობამდე დაიყვანოს ინფორმაცია ბიზნესის „სოციალური პასუხისმგებლობის" შესახებ, ასევე ბიზნესის შესახებ ჩამოაყალიბოს პოზიტიური დამოკიდებულება (11).

სოციალურად პასუხისმგებელი მარკეტინგის მიმართულებების (ტექნოლოგიების) დამახასიათებელი უნდა იყოს სისტემურობა: ფირმა, კომპანია, რომელიც მიიღებს გადაწყვეტილებას აწარმოოს ბიზნესი სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპებზე, დაუშვებელია მან საზოგადოებრივად სასარგებლო მიზნები განახორციელოს და ქველმოქმედება აწარმოოს პერიოდულად. წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაციები კორპორატიულ-სოციალურ პასუხისმგებლობას განსაზღვრავენ, როგორც ბიზნესის საერთო სტრატეგიულ მიმართულებას, რომლის ძირითადი ტექნოლოგიები განსაზღვრულია ფ. კოტლერისა და ნ. ლის ერთობლივ ნაშრომში – „კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა"(12):

• კორპორატიული საქველმოქმედო იდეის (საქმის) წინ წაწევა – ფინანსური და სხვა კორპორატიული რესურსის გამოყოფა განსაზღვრულ სოციალურ პრობლემაზე საზოგადოების ყურადღების მისაქცევად ან დახმარება სხვადასხვა საშუალებათა შესაკრებად, ნებაყოფლობითი სახეების ყურადღების მისაპყრობად;

• საქველმოქმედო მარკეტინგი – თანხის შეტანა ან გარკვეული პროცენტის გადარიცხვა გაყიდვების თანხიდან საქველმოქმედო მიზნით;

• კორპორატიული საქველმოქმედო მარკეტინგი – პიარისა და სარეკლამო კომპანიის ჩატარების ორგანიზაცია, მხარდაჭერა, რაც დაკავშირებულია ქცევის უარყოფითი ტიპის, წესების, ქმედების შესაცვლელად, იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს საზოგადოების სოციალური ჯანმრთელობა, უსაფრთხოება, გარემოს გაუმჯობესების მხარდაჭერა, ტერიტორიული თემის განვითარება;

• კორპორატიული ფილანტროპია – ფულადი გრანტის, საჩუქრის, მომსახურების, პროდუქტის სახით მიზნობრივი შეწირვაა საქველმოქმედო ორგანიზაციისა და აქციის მოსაწყობად, პროექტის განხორციელებისათვის;

• ნებაყოფლობითი საქმიანობა თემის სასარგებლოდ – მხარდაჭერა და კომპანიის თანამშრომლების მონაწილეობა, ასევე სხვა კატეგორიის ადამიანების ჩართვა სხვადასხვა ინიციატივებში;

• სოციალურად საპასუხისმგებლო მონაწილეობა ბიზნესის განხორციელებაში – ინვესტიციები, პრაქტიკული რჩევები ბიზნესის განხორციელებაში, რომელსაც მოსდევს ტერიტორიული თემის კეთილდღეობა, გარემოს გაუმჯობესება – შენარჩუნება.

განხილული მასალების საფუძველზე, რომელიც დაკავშირებულია სხვადასხვა ავტორთა სოციალური მარკეტინგისა და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ანალიზთან, შესაძლებელია ჩამოვაყალიბოთ სოციალურ მარკეტინგის

თანამედროვე მიდგომა: მარკეტინგის სოციალურად ორიენტაცია გულისხმობს ბიზნეს-სტრუქტურებისა და მარკეტინგული სუბიექტების ნებაყოფლობით საქმიანობას სოციალური პრობლემების გადასაწყვეტად. იგი, ერთი მხრივ, ეფუძნება გადაწყვეტილებების მიღებას, რომლებიც პასუხობენ ზოგად-ჰუმანურ მიზნებსა და საზოგადოებრივ ფასეულობებს, ხოლო მეორე მხრივ, გამომდინარეობს სოციალური პასუხისმგებლობისა და განჭვრეტის ობიექტური აუცილებლობიდან, მოსახლეობასთან ურთიერთობაში ბიზნესის პარტნიორული ურთიერთობიდან, სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებთან და მთლიანად საზოგადოებასთან.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. თოდუა ნ., ჯაში ჩ., სოციალური მარკეტინგის გამოწვევები, თბ., 2013.
2. კოტლერი, ფ., კელერი კ., მარკეტინგის მენეჯმენტი, მე-14 გამოცემა, ქართულ ენაზე, თარგმანი ინგლისურიდან, თბ., 2016.
3. ჯაში ჩ., ჯანგულაშვილი თ., მარკეტინგის სოციალურ-ეთიკური ასპექტები თსუ საერთაშორისო კონფერენციის მასალები, თბ., 2016.
4. Kotler, P. Zaltman, G. article in the Journal of Marketing ‘Social marketing: an approach to planned social change``1971.
5. Lee, N & Kotler, P. Social marketing: influencing behavior for good (4rd ed.). Thousand Oaks, CA: Sage.(P:132) The Handbook of Persuasion and Social Marketing [3 volumes] (2015) edited Stewarts D., Praeger (2012).
6. Andreasen, A. (ed)Ethics in Social Marketing, Georgetown University Press, 2009.
7. Glanz, K., Lewis, F. M., & Rimers, B. K. (Eds.). Health Behavior and Health Education: Theory, Research, and Practice. San Francisco, CA: Jossey-Bass, 1997.
8. Influencing behavior for social good, proceeding book, World Social Marketing Conference,15-18 May, USA, 2017.
9. Lefebvre R. Cr. Transformation Social-marketing: Co-creating the Social Marketing Disciples and Brand Vol.2 No2, 2012.
10. Kotler Ph., Bowen J., and Makens J. Marketing for Hospitality and Tourism, Pearson, 2006.
11. Hill R., Becker-Olsen, K The Impact of Perceived Corporate Social Responsibility On Consumer Behavior, Center for Responsible Business, UC Berkeley, 2005.
12. Kotler, Ph. Lee N., Corporate Social Resonsibility,Wiley, 2005.


**თამარ ჯანგულაშვილი**

**სოციალური მარკეტინგი და ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა**

**რეზიუმე**

სტატიაში განხილულია სოციალური მარკეტინგის წარმოშობისა და განვითარების ძირითადი მიზეზები და პირობები. ამ იდეების განვითარებამ და ბევრი მათგანის რეალიზაციამ განაპირობა მათ მიმართ სოციალური მარკეტინგის დიდი სპეციალისტების ინტერესი. სოციალური მარკეტინგის პრინციპები და კონცეფცია პირველმა ახსნეს მარკეტინგის თეორიის კლასიკოსებმა ფ. კოტლერმა და გ. ზელტმანმა, რომლებმაც პირველად გამოიყენეს ტერმინი „სოციალური მარკეტინგი“.

**Tamar Jangulashvili**
**Social Marketing and Business Social Responsibility**
**Summary**

The article explores the reasons and conditions of origin and development of social marketing. The increasing of social marketing ideas and its practical realization became very impressive for professionals in this field. It should be noted that the principles and concepts of social marketing firstly expressed in the works of famous scientist of marketing Ph. Kotlerand G. Zaltman.

**Тамар Джангулашвили**
**Социальный маркетинг и социальная ответственность бизнеса**
**Резюме**

В статье рассмотренны основные причины и обстоятельства связанные с возникновением и развитием социального маркетинга. Развитие этих идей и реализация многих из них обусловили большой интерес к ним крупных специалистов социального маркетинга. Принципы и концепции социального маркетинга лучше всех поясняют классики теории маркетинга Ф.Котлер и Г. Зелтман. которые впервые использовали термин „социальный маркетинг''.

**არჩილ ცერცვაძე**
**თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი**

## სადაზღვევო ბაზრის მონაწილე შუამავლები

სადაზღვევო ბაზრის მონაწილეები არიან: გამყიდველები – სადაზღვევო კომპანიები (მზღვეველები); მყიდველები – ფიზიკური და იურიდიული პირები (დამზღვევები); შუამავლები – სადაზღვევო ბროკერები, აგენტები და კონსულტანტები.

სადაზღვევო პოლისების გაყიდვა ხორციელდება სადაზღვევო კომპანიებისა და შუამავლების მიერ. შუამავლების გამოყენებას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები მზღვეველებისა და დამზღვევებისათვის.

დამზღვევისათვის შუამავლის გამოყენების დადებითი მხარეებია:

1. დამზღვევს შეუძლია მიიღოს შუამავლისაგან რჩევა და კონსულტაცია სადაზღვევო საკითხების შესახებ;
2. დამზღვევს შეუძლია ისარგებლოს შუამავლის რისკ-მენეჯმენტული მომსახურებით;
3. შუამავალს შეუძლია განათავსოს სასურველი დაზღვევა სასურველ ბაზარზე;
4. შუამავალს შეუძლია გარკვეული ზარალების დარეგულირებაში დახმარება;
5. შუამავალი არის დაზღვეულის წარმომადგენელი და მისი ინტერესების დამცველი მზღვეველთან მიმართებაში.

მზღვეველისათვის შუამავლის გამოყენების უპირატესობებია:

1. მოლაპარაკებები შუამავლებთან ადვილია და სწრაფი;
2. შუამავალს შეუძლია ჩაატაროს რისკ-სერვეი;
3. შუამავალს შეუძლია ჩამოაყალიბოს დაზღვევის პირობები;
4. ზოგიერთი ტიპის ზარალის დარეგულირება შესაძლებელია განხორციელდეს შუამავლის დახმარებით.

დამზღვევისათვის შუამავლის გამოყენების უარყოფითი მხარე არის ის, რომ შუამავლის მომსახურება უნდა ანაზღაურდეს. ეს შესაძლოა განხორციელდეს პირდაპირი გადასახადის სახით, რომელსაც დამზღვევი უხდის შუამავალს ან საკომისიოს სახით, რომელსაც მზღვეველი უხდის შუამავალს.

მზღვეველისათვის შუამავლის გამოყენების უარყოფითი მხარე არის ის, რომ დამზღვევთან ერთად შუამავალი წარმოადგენს სხვა ახალ მოპასუხეს, რომლის წინაშეც მზღვეველი პასუხისმგებელია (ანგარიშვალდებულია). თუ შუამავალი სათანადოდ ასრულებს თავის მოვალეობას, ის გამოავლენს და გამორიცხავს მზღვეველის ცუდ საქმიანობას და მიმართავს კლიენტის ბიზნესს სხვა უკეთესი მზღვეველისაკენ (უკეთესი ფასითა და დაფარვით).

**სადაზღვევო აგენტი** არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც მოქმედებს მზღვეველის დავალებით და სახელით მისთვის მზღვეველის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. მაგალითად: პირები, რომლებიც მუშაობენ სადაზღვევო კომპანიაში და არ შეიძლება ემსახურებოდნენ სხვა სადაზღვევო კომპანიას. სადაზღვევო აგენტები შეიძლება იყვნენ უძრავი ქონების აგენტები, ადვოკატები, ბუღალტრები, ავტოსადგომების მფლობელები, ბანკები, ავტომანქანების წარმოებისა და გაყიდვის საწარმოები, ავტომობილისტთა კლუბები, საამანათო გაყიდვების საწარმოები და სხვ. ვინაიდან მათ კლიენტებს აქვთ ამა თუ იმ ტიპის დაზღვევის საჭიროება და ეს შუამავლები დაეხმარებიან მათ სასურველი დაზღვევის შეძენაში. გაწეული საქმიანობისათვის აგენტები იღებენ ანაზღაურებას (საკომისიო ანაზღაურება) სადაზღვევო კომპანიისაგან. დამოუკიდებელი აგენტი შესაძლებელია მოქმედებდეს როგორც მზღვეველის ასევე დამზღვევის სახელით, თუმცა ორივე შემთხვევაში საკომისიოს იღებს მზღვეველისაგან. დამზღვევის სახელით მოქმედი აგენტი დამზღვევს უწევს რეკომენდაციას სადაზღვევო მომსახურების მიღების თაობაზე.

**სადაზღვევო ბროკერი** არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს დაზღვევის სფეროში საშუამავლო საქმიანობას, როგორც თავისი სამეწარმეო საქმიანობის სახეობას. მის ძირითად სამუშაოს წარმოადგენს დაზღვევის განთავსება სადაზღვევო კომპანიებში. იგი უნდა იყოს სადაზღვევო საქმის პროფესიონალი და უნდა ჰქონდეს სადაზღვევო განათლება, რაც სადაზღვევო აგენტისათვის აუცილებელი არ არის. მრავალი წლის განმავლობაში ნებისმიერს შეეძლო დაერქვა თავისთავისათვის სადაზღვევო ბროკერი, მიუხედავად იმისა, ჰქონდა თუ არა სადაზღვევო განათლება და ამდენად, ხალხისათვის ძნელი იყო იმის გარჩევა ნამდვილ პროფესიონალთან ჰქონდათ საქმე, თუ მოყვარულთან. ამჟამად აღნიშნული საკითხები დარეგულირებულია შესაბამისი ქვეყნის სადაზღვევო კანონმდებლობით. ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს შეუძლია დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შემდეგ დარეგისტრირდეს როგორც სადაზღვევო ბროკერი, შესაბამისი საკანონმდებლო აქტის შესაბამისად, თუ იგი აკმაყოფილებს ამ აქტის მოთხოვნებს. შემდგომში მის საქმიანობას არეგულირებს ასევე კანონით დადგენილი საზედამხედველო სტრუქტურა. ბროკერი არის დამზღვევის წარმომადგენელი სადაზღვევო კომპანიასთან მიმართებაში. ბროკერის საკომისიო ანაზღაურება შეიძლება მეტი იყოს, ვიდრე აგენტისა, რასაც განაპირობებს მისი პროფესიონალიზმი და ფუნქციები. ზოგად დაზღვევაში მომუშავე სადაზღვევო ბროკერსა და დამოუკიდებელ აგენტს საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად საჭიროა გააჩნდეთ პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის პოლისი.

თუ მზღვეველს აკმაყოფილებს აგენტის გამოცდილება, ცოდნა და უნარ-ჩვევები, შესაძლოა უმჯობესი იყოს მზღვეველისა და აგენტისათვისაც, რომ ისინი შეთანხმდნენ **უფლებამოსილების დელეგირების გარკვეულ დონეზე**. ეს შეეხება ახალი დაზღვევების განხორციელებას, სადაზღვევო პრემიის დადგენას გარკვეული ლიმიტების ფარგლებში და ზარალების დარეგულირებას ასევე გარკვეული ლიმიტების ფარგლებში.

ზოგიერთი შუამავალი თავის თავს უწოდებს **სადაზღვევო კონსულტანტს**. სადაზღვევო ბროკერებისათვის სავალდებულოა რეგისტრაცია კანონმდებლობის შესაბამისად, მაგრამ თუ პირი არ არის დარეგისტრირებული როგორც ბროკერი და ეწევა საშუამავლო – საკონსულტაციო საქმიანობას, მას შეუძლია კონსულტანტი უწოდოს თავის თავს.

ინდუსტრიული სიცოცხლის დაზღვევის კომპანიებსა და ამხანაგობებში დასაქმებულნი არიან **წარმომადგენლები**, რომელთა მოვალეობაა პოლისის მფლობელებთან მისვლა და ყოველკვირეული პრემიების შეგროვება, ასევე მათ შეუძლიათ ახალი პოლისების გაყიდვაც. ისინი არ არიან ტიპური შუამავლები, ვინაიდან ისინი არიან სადაზღვევო კომპანიის დაქირავებული თანამშრომლები, მაგრამ მიუხედავად ამისა ასრულებენ შუამავლის ფუნქციებს. უნდა აღინიშნოს, რომ გარდა კომპანიის წარმომადგენლისა, არსებობენ დანიშნული წარმომადგენლები, რომელთაც შესაბამის სადაზღვევო კომპანიასთან გაფორმებული აქვთ ხელშეკრულება მომსახურების შესახებ.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. საქართველოს კანონი დაზღვევის შესახებ, თბ., 1997 წლის 2 მაისი.
2. კალანდაძე ლ., სადაზღვევო ტერმინების განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 2011.
3. ცერცვაძე ა., ხანთაძე გ., ვეკუა დ., სადაზღვევო საქმე, თბ., 2016.


**არჩილ ცერცვაძე**

**სადაზღვევო ბაზრის მონაწილე შუამავლები**

**რეზიუმე**


სადაზღვევო ბაზრის მონაწილეები არიან: გამყიდველები – სადაზღვევო კომპანიები (მზღვეველები); მყიდველები – ფიზიკური და იურიდიული პირები (დამზღვევები); შუამავლები – სადაზღვევო ბროკერები, აგენტები და კონსულტანტები.

სადაზღვევო აგენტი არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც მოქმედებს მზღვეველის დავალებით და სახელით მისთვის მზღვეველის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

სადაზღვევო ბროკერი არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს დაზღვევის სფეროში საშუამავლო საქმიანობას, როგორც თავისი სამეწარმეო საქმიანობის სახეობას.

შუამავლების გამოყენებას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები მზღვეველებისა და დამზღვევებისათვის.


**Archil Tsertsvadze**

**Intermediaries Of Insurance Market**

**Summary**


Players of Insurance market are: insurance companies(insurers), buyers- individual and legal entities (Insureds), intermediaries- insurance brokers, agents and consultants.

Insurance agent is individual or legal person who behaves on behalf and authorit of insurer.

Insurance broker is individual or legal person who is working as an intermediary in insurance regarding his enterpreneual work.

Usage of intermediaries has its positive and negative sides for insurers and insureds.

**Арчил Церцвадзе**

**Посредники страхового рынка**

**Резюме**

Участниками страхового рынка являются: продавцы - страховые компании (страховщики); покупатели - физические и юридические лица (страхователи) и посредники - страховые брокеры, страховые агенты, а также и консультанты.

Страховые агенты – физические или юридические лица, действующие от имени страховщика и по его поручению в соответствии с предоставленными страховой компанией полномочиями.

Страховые брокеры – это юридические или физические лица, осуществляющие посредническую деятельность по страхованию, как вида их предпринимательской деятельности.

Использование посредников имеет свои положительные и отрицательные стороны, как для страховщиков, так и для страхователей.

**მაია თეთრუაშვილი**
**თბილის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი**

## შრომითი მიგრაცია და ეკონომიკა

გლობალიზაციამ შრომითი მიგრაციის, შრომითი მიგრანტების უდიდესი ნაკადები წარმოშვა.

ბოლო პერიოდის განმავლობაში მთელ მსოფლიოში საგრძნობლად გაიზარდა მიგრაცია. წლებთან ერთად საზღვრები ქვეყნებს შორის უფრო და უფრო უხილავი ხდება. ადამიანებს საშუალება ეძლევათ ისწავლონ და იმუშაონ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. დასაქმების ბაზარი, ისევე როგორც განათლების ბაზარი, გლობალური გახდა და ადამიანებს აღარ უწევთ არჩევანის გაკეთება მხოლოდ საკუთარ სამშობლოში არსებული შრომის ან განათლების ბაზრის პირობების გათვალისწინებით. სამამულო განათლების სისტემას და დამსაქმებლებს კი უწევთ კონკურენცია გაუწიონ დანარჩენ მსოფლიოს, რათა მოიპოვონ საუკეთესო კადრები და მიაღწიონ მწარმოებლურობის უფრო მაღალ დონეს. თუმცა ერთი საკითხია დამსაქმებლებისა და დასაქმებულების ბენეფიტები და მეორეა რამდენად სასარგებლოა მიგრაცია ქვეყნის განვითარებისათვის.

მსოფლიოში განვითარებული პროცესები აჩვენებს რომ, 2016 წლის ბოლოსათვის, ქვეყნის გარეთ ლეგალურად დასაქმებულ მოქალაქეთ რიცხვი 150 მილიონს მიაღწევს. შრომითი მიგრანტების მიერ თავისი მოქალაქეების ქვეყნებში გადაგზავნილი ფულადი თანხის მოცულობა კი 500 მილიარდ ამერიკულ დოლარს გადააჭარბებს.

შრომითი მიგრაცია უკავშირდება ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა სოციალური დაცვა და ეკონომიკური განვითარების დინამიკა, შრომითი სტანდარტები და დასაქმების პოლიტიკა, დემოგრაფიული ვითარება, ტრეფიკინგი და შრომითი ექსპლოატაცია. შრომითი მიგრაცია წარმგზავნი და მიმღები ქვეყნების მიერ სამართლიან და სამართლებრივ საფუძველზე უნდა წარიმართებოდეს, რათა ხელი შეეწყოს ღირსეულ დასაქმებას, უმუშევართა რიცხვის შემცირებასა და კვალიფიციური სამუშაო ძალის დეფიციტის დაძლევას.

მიგრაციის ერთ-ერთ მამოძრავებელ ძალად მიჩნეულია უფრო მაღალი ანაზღაურების მიღების სურვილი. ანაზღაურება კი არის ფასი, რომელსაც ადამიანის უნარებში იხდიან და რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია. ადამიანები ამჯობინებენ წასვლას იმ ქვეყნებში, სადაც უნარებზე ფასი მაღალია. განვიხილოთ უნარების ბაზრი, სადაც ფასი მოთხოვნა-მიწოდებით რეგულირდება, განსხვავებულ ქვეყნებში კი განსხვავებული წონასწორული ფასი გვაქვს. ახლა დავუშვათ, რომ წარმოშობის ქვეყანაში წონასწორული

ფასი დაბალია, რის გამოც მაღალი უნარების მქონე პიროვნებები ისეთ ქვეყანაში წასვლას ამჯობინებენ, სადაც მათი უნარების შესაბამისი ფასი უფრო მაღალია. შესაბამისად, წარმოშობის ქვეყანაში წარმოიქმნება უნარების დეფიციტი (მცირდება მაღალი უნარების მიწოდება), რაც ფასს უფრო დაბალი უნარების მქონე პიროვნებებისათვის მაღლა სწევს.

დაბალი უნარების მქონე პიროვნებების მწარმოებლურობა კი დაბალია, რის გამოც ფერხდება ეკონომიკური ზრდა. შესაბამისად, ქვეყნისათვის სავალალოა, როდესაც მას მაღალ უნარიანი მოქალაქეები ტოვებენ.

გარდა მაღალ უნარიანი მოსახლეობის მიგრაციისა, მნიშვნელოვანია ასევე სტუდენტების მიგრაციაც, რომლებიც სწორედ უნარების ასამაღლებლად ტოვებენ ქვეყანას. ერთი მხრივ განვითარებადი ქვეყნისათვის დადებითი მოვლენაა ის, რომ მის მოქალაქეებს ეძლევათ საშუალება ეზიარონ განვითარებული ქვეყნების ტექნოლოგიას, მიიღონ ცოდნა, რის დანერგვას და გაზიარებასაც საკუთარ ქვეყანაში შეძლებენ. მაგრამ მეორე მხრივ ყოველივე არის ეს კი ასე? სამწუხაროდ, უმეტეს შემთხვევაში პასუხი უარყოფითია. მიუხედავად იმისა, რომ მიგრაციულ საკითხებთან მიმართებაში ძალიან მწირია სტატისტიკური მონაცემები, პრაქტიკიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ საზღვარგარეთ კურსდამთავრებულთა დიდი ნაწილი იშვიათად ბრუნდება განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებიდან განვითარებად ქვეყნებში, რის მიზეზიც კვლავაც უნარების ფასთა სხვაობა და ამ უნარების გამოყენების შესაძლებლობაა. ხშირ შემთხვევაში განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნები ნაკლებ რესურსს უთმობენ კვლევასა და განვითარებას, რაც პირიქით, საკმაოდ პრიორიტეტულია მაღალ განვითარებულ ქვეყნებში, ეს კი მაღალი უნარების მქონე პირებს საკუთარი უნარების ეფექტიანად გამოყენების საშუალებას აძლევთ.

დავუბრუნდეთ ჩვენს სამშობლოს და დავუკავშიროთ მას აღნიშნული თეორია. თუ ჩვენი ქვეყნის ოფიციალურ სტატისტიკას გადავხედავთ, 2014 წლისათვის ქვეყანას 88704 ემიგრანტი ჰყავდა, ხოლო მხოლოდ 2014-2015 სასწავლო წელს ქვეყნიდან უცხოეთში სასწავლებლად 434 სტუდენტი წავიდა (არაოფიციალური სტატისტიკით ეს ციფრი კიდევ უფრო მაღალია). საზღვარგარეთ წასული მოსახლეობის 63%-ის ასაკი 35 წელზე ნაკლებია, ხოლო 2008 წელს CRRC- ისა და ISET-ის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, ქართველ მიგრანტთა 35%-ს მიღებული აქვს უმაღლესი განათლება. ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქვეყნიდან ხდება ე.წ. ტვინების გადინება, რაც ქვეყნის ეკონომიკური ზრდისათვის დადებითი მოვლენა ნამდვილად არაა. აღნიშნულის ნაწილობრივ მაინც თავიდან ასაცილებლად ჩამოყალიბდა ინიციატივა, რომლის თანახმადაც სახელმწიფო უზრუნველყოფს სტუდენტების საზღვარგარეთ გაგზავნას, მხოლოდ იმ პირობით რომ ისინი უკან დაბრუნდებიან.

სახელმწიფო კი თავის მხრივ ვალდებული იქნება მათ 6 თვის განმავლობაში შესთავაზოს ოპტიმალური სამუშაო ადგილი, სადაც სულ ცოტა, 3 წლის განმავლობაში იმუშავებენ. თუმცა, სტუდენტთა დიდი ნაწილის საზღვარგარეთ სწავლას მასპინძელი ქვეყნები/უნივერსიტეტები აფინანსებენ და არა მათივე სახელმწიფო. შესაბამისად, ისინი არც ვალდებულნი არიან რომ ქვეყანაში დაბრუნდნენ. და აღნიშნული ინიციატივაც ბოლომდე ამ პრობლემას ვერ გადაწყვეტს, მანამ, სანამ ქვეყანაში არ შეიქმნება მიმზიდველი სამუშაო გარემო, რაც თავად გაუჩენს ემიგრანტებს უკან დაბრუნების სურვილს.

გარდა ჩამოთვლილი ფაქტორებისა, რომელსაც ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე უარყოფითი გავლენა აქვს, მიგრაციას ქვეყნის ეკონომიკისათვის სიკეთის მოტანაც შეუძლია, ეს სიკეთე კი საერთაშორისო ფულად გზავნილებში მდგომარეობს. საერთაშორისო გზავნილები არცთუ ისე იშვიათად ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინების ერთ-ერთ მთავარ წყაროს წარმოადგენს და ხელს უწყობს ადგილობრივი ვალუტის გამყარებას. ფულადი გზავნილები ქვეყანაში არსებული ეკონომიკური კრიზისების დროს ახდენს რისკების დივერსიფიკაციას და განსაკუთრებით ეხმარება ქვეყნის ეკონომიკას. ფულადი გზავნილები კი სწორედ იმ მიგრანტებისაგან მომდინარეობს, რომლებიც უცხო ქვეყნიდან ცდილობენ ოჯახის წევრების დახმარებას.

ბოლო 15 წლის განმავლობაში სტაბილურად იზრდებოდა საზღვარგარეთ მყოფ ემიგრანტთა მიერ საქართველოში ფორმალური არხების მეშვეობით გადმორიცხული ფულადი გზავნილების მოცულობა. გამონაკლისს წარმოადგენდა 2009 წელი, როდესაც ფულადი გზავნილების მოცულობა შემცირდა 2007-2008 წლების მსოფლიო ფინანსური კრიზისის გამო და 2014 წელს, როდესაც რუსეთის ფედერაციიდან ფულადი გზავნილების შემოდინებამ იკლო, მაგრამ ფულადი გზავნილების მოცულობა იზრდება, როგორც აბსოლუტური თვალსაზრისით, ისე საქართველოს მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში, რომელიც ხუთზე მეტჯერ გაიზარდა 2001-დან 2014 წლამდე პერიოდში და 2014 წელს 16,5 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემების თანახმად, 2014 წელს, როდესაც მშპ მიმდინარე ფასებში 16,507.8 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა, ფულადი გზავნილების მოცულობამ 1,440.8 მილიონ აშშ დოლარს მიაღწია, აქედან ფულადი გზავნილების წილი მშპ-ს 8,7% იყო.

2009 წლიდან 2014 წლამდე, ფულადი გზავნილების ყოველწლიური ოდენობა ქვეყანაში განხორციელებულ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყოველწლიურ რაოდენობას აჭარბებდა. 2013 წელს განხორციელებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 941.9 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო ოფიციალური არხებით განხორციელებულმა ფულადი გზავნილების ოდენობამ - 1,477 მილიონი აშშ დოლარი. ეს ტენდენცია 2014 წელს შეიცვალა, როდესაც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რაოდენობამ 1,758.4 მილიონ აშშ დოლარს (86,7% წლიური ზრდა), ხოლო საქართველოში გადმორიცხული ფულადი გზავნილების რაოდენობამ კი - 1,440.8 მილიონი აშშ დოლარს მიაღწია.

2002 წლიდან 2006 წლამდე ფულადი გზავნილების მკვეთრი ზრდის ერთ-ერთი მიზეზი ქვეყანაში ფულადი გზავნილების ოფიციალურ არხებზე გაზრდილი ხელმისაწვდომობა და საბანკო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება იყო - განსაკუთრებით სოფლად.

ფულადი გზავნილების ყველაზე დიდი რაოდენობა იმ ქვეყნებიდან შემოედინება, სადაც უფრო შესამჩნევია ქართული დიასპორისა და ემიგრანტთა ყოფნა (რუსეთი, საბერძნეთი, იტალია, აშშ, უკრაინა და თურქეთი). მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი კვლავ პირველ ადგილზეა ფულადი გზავნილების გამომგზავნი ქვეყნების სიაში, 2013 წელთან შედარებით, 2014 წელს რუსეთიდან ფულადი გზავნილების რაოდენობა თითქმის 100 მილიონი აშშ დოლარით შემცირდა. 2015 წლის პირველი ოთხი თვის მონაცემები ფულადი გზავნილების შემცირების ტენდენციას ადასტურებს. საინტერესოა, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში, კრიზისის მიუხედავად, ფულადი გზავნილები სტაბილურად იზრდება საბერძნეთიდან. იტალიიდან შემოსული ფულადი გზავნილების შემთხვევაში, ბოლო 5 წლის განმავლობაში, შეინიშნება საკმაოდ სტაბილური ზრდა. საქართველოდან სხვა ქვეყნებში გადარიცხული ფულადი გზავნილების წლიური მოცულობა ბოლო ათწლეულის განმავლობაში სტაბილურად იზრდება: ეს მაჩვენებელი 46.4 მილიონი აშშ დოლარიდან (2004 წ.) 178 მილიონ აშშ დოლარამდე (2014 წ.) გაიზარდა. ბოლო ხუთი წლის მანძილზე, ყველაზე დიდი ზრდა 2013 წელს დაფიქსირდა, როდესაც ქვეყნის ფარგლებს გარეთ გაკეთებული ფულადი გადარიცხვები 43%-ით, 108 მილიონი აშშ დოლარიდან (2012 წ.) 155 მილიონ აშშ დოლარამდე (2013 წ.) გაიზარდა.

ბოლო 5 წლის განმავლობაში, საქართველოდან გადარიცხული ფულადი გზავნილების ძირითად მიმღებ ქვეყნებს შორის ისევ ის ქვეყნები დომინირებს, სადაც დიდი რაოდენობით ქართველი ემიგრანტი და დიასპორული ჯგუფია; ეს ქვეყნებია რუსეთი, უკრაინა და თურქეთი. ევროკავშირის ქვეყნებს შორის აღსანიშნავია საბერძნეთი, გერმანია და საფრანგეთი, სადაც ყოველწლიურად 2-3 მილიონი აშშ დოლარის გადარიცხვა ხდება. როგორც მოსალოდნელი იყო, ქვეყანაში ნიგერიიდან ჩამოსულ იმიგრანტთა რაოდენობის ზრდასთან ერთად, შეიმჩნევა ნიგერიაში ფულადი გზავნილების გადინების ზრდის ტენდენციაც - აღნიშნულმა მაქსიმალურ ოდენობას 2013 წელს მიაღწია.

არსებულ მონაცემებსა და კვლევებზე დაყრდნობით, საქართველოში ფულადი გზავნილების ზეგავლენა შემდეგ სფეროებში შეინიშნება: სიღარიბის დონის შემცირება,

უცხოური ვალუტის შემოდინების სტაბილიზაცია, ადგილობრივი მოხმარების სტიმულირება და მოსახლეობის მიერ განათლებასა და ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯების ზრდა.

CRRC-ის 2013 წლის კავკასიის ბარომეტრის შედეგების თანახმად, საველე სამუშაოების ჩატარების პერიოდში, საქართველოს მოსახლეობის საშუალოდ 11% იღებდა ფულად გზავნილებს საზღვარგარეთ მცხოვრები ნათესავებისაგან. გზავნილების მიმღებთა სქესს ან დასახლების ტიპს შორის დიდი სხვაობა არ შეინიშნება. თუმცა, ქალაქში მცხოვრები ახალგაზრდა და შედარებით უკეთესი განათლების მქონე მოსახლეობა უფრო ხშირად იღებს ფულად გზავნილებს, ვიდრე ხანში შესული მოსახლეობა, რომელიც ქვეყანაში ყველაზე დაუცველ ჯგუფად ითვლება. არაერთი კვლევა აჩვენებს, რომ ფულად გზავნილთა დიდი ნაწილი ძირითადად პირველადი მოხმარების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად იხარჯება. ფულად გზავნილთა შედარებით მცირე წილი ხმარდება ჯანდაცვასა და განათლებასთან დაკავშირებულ ხარჯებს და უძრავ ქონებაში ინვესტირებას.

ზემოთ აღნიშნული კვლევების შედეგები აჩვენებს, რომ ფულადი გზავნილების გავლენა შეინიშნება სიღარიბის დონის შემცირებაზე, როგორც ფულადი გზავნილების მიმღებ ოჯახებში, ისე ზოგადად იმ რეგიონებში, სადაც მაღალია ფულადი გზავნილების მიმღები შინამეურნეობების წილი, რაც თავის მხრივ, ქვეყანაში ცხოვრების ხარისხს აუმჯობესებს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ფულადი გზავნილების მიმღებთა შორის ნაკლებად არის წარმოდგენილი ყველაზე ღარიბი მოსახლეობა; ამიტომ გზავნილების ერთ-ერთი გვერდითი ეფექტი შესაძლოა იყოს ქვეყანაში შემოსავლების უთანაბრობის ზრდის ხელშეწყობა.

ფულად გზავნილთა კიდევ ერთ უარყოფით მხარეს მათი მოკლევადიანი ეფექტი წარმოადგენს. ვინაიდან შინამეურნეობების მიერ მიღებულ ფულად გზავნილთა უმეტესი ნაწილი ყოველდღიურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად იხარჯება, მას ძალიან მოკლე დროში შეუძლია იქონიოს საგრძნობი გავლენა ცხოვრების ხარისხზე, მაგრამ ეს პროცესი არ არის მდგრადი. თუ საზღვარგარეთ მცხოვრები ადამიანი დაკარგავს სამსახურს, ან სხვა მიზეზის გამო შეაჩერებს ფულადი გზავნილების გადმორიცხვას, მიმღები ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა შესაძლებელია საკმაოდ მალევე დაუბრუნდეს ემიგრაციამდელ დონეს. როგორც არსებული კვლევებიდან ჩანს, საქართველოში ფულადი გზავნილების პროდუქტიულ საქმიანობაში დაბანდება ძალიან იშვიათად ხდება. ეს შესაძლოა განპირობებული იყოს ერთი მხრივ, დაბრუნებული მიგრანტებისა და ფულადი გზავნილების მიმღები პირების მიერ ბიზნესისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების ნაკლებობით, ხოლო, მეორე მხრივ - ემიგრანტთა მშობლიურ თემებში ინვესტირების შეზღუდული შესაძლებლობებით.

მაკროეკონომიკურ დონეზე გავლენის თვალსაზრისით, ფულადი გზავნილები უცხოური ვალუტის შემოდინების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს - განსაკუთრებით სავაჭრო დეფიციტის მქონე ქვეყნებში. საქართველოსათვის ფულადი გზავნილების, როგორც უცხოური ვალუტის შემოდინების რეგულარული წყაროს მნიშვნელობა, 2014 წელს კიდევ უფრო ცხადი გახდა. 2014 წელს რუსეთიდან და უკრაინიდან განხორციელებული გადმორიცხვები წინა წელთან შედარებთ შესაბამისად 12% და 32%-ით შემცირდა. ამ გარემოებამ, საგარეო ვაჭრობის დაღმავალ ტენდენციასთან ერთად, განსაკუთრებით კი, რუსეთსა და უკრაინაში ექსპორტის შემცირების ფონზე, მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია ლარის მცურავ გაცვლით კურსზე - 2014 წლის ნოემბრიდან 2015 წლის მარტამდე ლარი 30%-მდე გაუფასურდა.

ფულადი გზავნილების თვალსაჩინო დადებით ეფექტს წარმოადგენს ადგილობრივი მოხმარების დონის შენარჩუნება, საცალო ვაჭრობის, უძრავი ქონებისა და სამშენებლო სექტორების ზრდის ხელშეწყობა. ფულადი გზავნილების მიმღები შინამეურნეობების წევრების განათლების დონისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების შედეგად, ფულად გზავნილებს გააჩნია საქართველოს მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის მნიშვნელოვანი პოტენციალი. ზოგადად, კვალიფიციური და ჯანმრთელი მოსახლეობა, კერძოდ კი, მუშახელი ეკონომიკური ზრდის არსებით ფაქტორს წარმოადგენს.

ფულადი გზავნილების ზეგავლენა ემიგრანტების მშობლიურ საზოგადოებებში შესაძლებელია ე.წ. დამოკიდებულების კულტურის ჩამოყალიბებაშიც გამოვლინდეს. ასეთ დროს გზავნილების მიმღები ოჯახების წევრები თავს არიდებენ ნაკლებად მიმზიდველი ან/და დაბალანაზღაურებადი სამუშაოს შესრულებას და მათთვის სასურველი სამუშაოს მოძიებამდე ხანგრძლივი პერიოდებით უმუშევრობას ამჯობინებენ. ამდენად, ფულადმა გზავნილებმა შესაძლებელია ხელი შეუწყოს გზავნილების მიმღები ოჯახების წევრთა შრომით ბაზარზე პასიურობის ზრდას. თუმცა, კვლევების მიხედვით, საქართველოში მნიშვნელოვანი სტატისტიკური განსხვავება არ შეიმჩნევა იმ ოჯახების წევრების დასაქმების დონეებს შორის, ვინც იღებს და არ იღებს ფულად გზავნილებს.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ იმიგრაცია გარკვეულ წილად საჭიროა, რათა არსებობდეს საერთაშორისო გზავნილები, ადგილობრივმა მოსახლეობამ შეძლოს მაღალგანვითარებადი ტექნოლოგიების შესწავლა და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება, მაგრამ ყოველივე ეს მანამ, სანამ ადგილი ექნება ქვეყნიდან მაღალ უნარებიანი კადრების გასვლას, ე.წ. ტვინების გადინებას. ვინაიდან, სწორედ მაღალ უნარებიანი კადრები არიან ის მაღალი მწარმოებლურობის მქონე ადამიანური კაპიტალი, რომელიც ნებისმიერი ქვეყნის განვითარებისა და ეკონომიკური წინსვლის საწინდარია.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია –საქართველოს 2015 წლის მიგრაციის პროფილე, თბ., 2015.

**2. http://migration.commission.ge/files/migration_profile_geo_may.pdf**

**3. http://www.ttimes.ge/archives/11845**



**მაია თეთრუაშვილი**


**შრომითი მიგრაცია და ეკონომიკა**


**რეზიუმე**

გლობალიზაციამ შრომითი მიგრაციის, შრომითი მიგრანტების უდიდესი ნაკადები წარმოშვა. ბოლო პერიოდის განმავლობაში მთელ მსოფლიოში საგრძნობლად გაიზარდა მიგრაცია. წლებთან ერთად საზღვრები ქვეყნებს შორის უფრო და უფრო უხილავი ხდება. ადამიანებს საშუალება ეძლევათ ისწავლონ და იმუშაონ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. დასაქამების ბაზარი, ისევე როგორც განათლების ბაზარი, გლობალური გახდა და ადამიანებს აღარ უწევთ არჩევანის გაკეთება მხოლოდ სამშობლოში არსებული ბაზრის პირობების გათვალისწინებით. სამამულო განათლების სისტემას და დამსაქმებლებს კი უწევთ კონკურენცია გაუწიონ დანარჩენ მსოფლიოს, რათა მოიპოვონ საუკეთესო კადრები და მიაღწიონ მწარმოებლურობის უფრო მაღალ დონეს. თუმცა, ერთი საკითხია დამსაქმებლებისა და დასაქმებულების ბენეფიტები და მეორეა რამდენად სასარგებლოა მიგრაცია ქვეყნის განვითარებისათვის.

**Maia Tetruashvili**
**Labour Migration and Economics**
**Summary**

Globalization has formed a great deal of labour migration and labour migrates. Migration has increased greatly during the recent time. As time goes on the borders between countries are disappearing. People get afford of studying  and working in different countries of the world. Employment marketing as well as education one has become global and people don’t have to make choiseacoording to the conditions of labour and education marketing existing in their native countries. Native educational system and employers have to compete with the rest of the world to get the best personnel cadre and reach the higher level of productivity. Though,one point is benefits of employers and employees, and the other is how useful migration is for the development of the country.

**Майа Тетруашвили**
**Трудовая миграция и экономика**
**Резюме**

Глобализация вызвала появление большого потока трудовой миграции и мигрантов. В последнее время в мире существенно увеличились процессы миграции. Постепенно стираются границы между странами. Для людей появляется возможность учебы и работы в разных странах мира. Наряду с рынком образования, рынок труда стал глобальным и люди делают выбор не только на основе условий рынка труда и образования, существующего на родине. А отечественной системе образования и работодателям приходится конкурировать с остальным миром, для получения наилучших кадров и достижения высокого уровня производительности. Хотя, бенефиты работодателей и работника – одна сторона вопроса, а другая – насколько  полезно миграция для развития страны.

**რევაზ კაკულია**
**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი**

## გლობალიზაცია და საქართველოს ეკონომიკური განვითარების თანამედროვე პრობლემები

საყოველთაოდ ცნობილია, რომ შრომის საერთაშორისო დანაწილება, ხელს უწყობს ეკონომიკის განვითარებას, რაც საბოლოო ჯამში სხვა არაფერია თუ არა სახელმწიფოთა შორის ეკონომიკური ურთიერთობის სრულყოფა. ამასთან, როდესაც ვსაუბრობთ გლობალიზაციის განვითარებაზე, არ უნდა დაგვავიწყდეს სხვადასხვა ქვეყნებს შორის ეკონომიკის ურთიერთ დამოკიდებულების აუცილებლობა, რომელიც მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნების სერიოზული ფაქტორია.

საინტერესოა გლობალიზაციის განვითარების ერთი მეტად მნიშვნელოვანი მომენტი. საქმე ეხება სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების პროცესში მის კონკურენტუნარიანობას.

როგორც წესი, გლობალიზაციის პროცესს გააჩნია მთელი რიგი ასპექტები, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია ქვეყნებს შორის კონკურენტული ურთიერთობების ფორმირებისათვის, სახელდობრ ესენია:

1. **ეკონომიკური ასპექტები**, რომლებიც უპირატესად გამოიხატება ეროვნულ სახელმწიფოთა მთავრობების მიერ უმსხვილეს ტრანსნაციონალურ კომპანიებსა და ფინანსურ ჯგუფებში საერთაშორისო კაპიტალის კონცენტრაციაში;
2. **პოლიტიკურ-სამართლებრივი ასპექტები**, რომლებიც დაკავშირებულია სახელმწიფო საზღვრების გაშლილობასა და საერთაშორისო კონტაქტების გაუმჯობესებასთან;
3. **სამეცნიერო-ტექნიკური პროექტები**, რომლებიც გამოიხატება ტექნო გლობალიზაციაში, ცალკეულ ქვეყნებში ახალი ტექნოლოგიების შემოღება-დაწესებაში, განსაკუთრებით კავშირგაბმულობაში, ტრანსპორტსა და მატერიალური დოვლათის წარმოებაში;
4. **სოციალურ-კულტურული ასპექტები**, რომლებიც აისახება სახელმწიფოთა შორის ეროვნული ტრადიციების როლის ოპტიმიზაცია-სრულყოფაში.

სადღეისოდ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გლობალიზაციას სახელმწიფოთა შორის კონკურენტუნარიანობის პროცესში. აქ საყურადღებოა საორგანიზაციო-ტექნოლოგიური, სავალუტო-საფინანსო და სოციალურ-კულტურული ფაქტორები. პირველ ბლოკში ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესი, რომელიც დაფუძნებულია სამეცნიერო-ტექნიკურ რევოლუციასა და კომპანიებისა და სახელმწიფოთა მთავრობების ორგანიზაციულ აქტივობაზე.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს გლობალიზაციის პროცესში სავალუტო-საფინანსო ფაქტორების როლი. უკანასკნელი წლების მსოფლიო ეკონომიკურ ცხოვრებაში არსებით მომენტად უნდა ჩაითვალოს სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა გაფართოება, რომელიც მთელი რიგი მიმართულებებით ხორციელდება:

- მრავალრიცხოვან საწარმოთა განსაზოგადოება უპირატესად წარმოებს საბაზრო ურთიერთობათა გზით, განსაკუთრებით კოლონიური უღლისაგან განთავისუფლებულ ქვეყნებში;

- იმის გამო, რომ ეკონომიკური გლობალიზაცია სხვა არაფერია თუ არა ბიზნესის მართვის ფორმა, გლობალური ეკონომიკური განვითარება განისაზღვრება ორი ურთიერთ საწინააღმდეგო ტენდენციის - ერთი მხრივ მსოფლიო ეკონომიკის დამორჩილება ტრანსნაციონალური კაპიტალის ინტერესებთან და მეორე მხრივ ეროვნული ეკონომიკური სისტემების კონკურენციასთან - ერთობლიობაში.

- განსაკუთრებით საყურადღებოა ფინანსურ ურთიერთობებში მომხდარი უღრმესი ცვლილებები (სხვადასხვა სახის ფინანსური ოპერაციების განვითარება, სეკუტურიზაცია, ახალი სახის ფასიანი ქაღალდების წარმოქმნა - სრულყოფა და სხვ.), რომლებიც განსაკუთრებით ხელს უწყობს საბაზრო ურთიერთობების განვითარებას. უფრო მეტიც, ზემოთ აღნიშნული ურთიერთობები სუსტად განვითარებულ ქვეყნებში მიღწეულ იქნა სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა მნიშვნელოვანი აღმავლობით, რასაც ხელი შეუწყო მაღალგანვითარებული ქვეყნების ფინანსურმა დახმარებებმა. თუმცა, ამ ქვეყნებში სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა განვითარება მაინც უთანაბრობით, ხშირი ჩავარდნებით ხასიათდება. საყურადღებოა ისიც, რომ სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა განვითარებას თან ახლავს ახალ - ახალი ტრანსნაციონალური კორპორაციებისა და მსოფლიო ფინანსური ცენტრების ფორმირება. ნეოლიბერალური გლობალიზაციისა და დერეგულირების აქტიური პოლიტიკის შედეგად სახელმწიფოთა დიდმა ნაწილმა წარმატებებს მიაღწია ეკონომიკურ განვითარებაში, განსაკუთრებით შიდა ბაზრების გაფართოების კუთხით.

ეკონომიკის გლობალიზაციამ გარკვეული როლი შეასრულა ბიზნესის მართვის სპეციალური დარგის – საერთაშორისო მენეჯმენტის ჩამოყალიბებაში, რომელიც სხვა არაფერია თუ არა ბიზნესის მართვის პრინციპების, ფორმების, მეთოდებისა და საშუალებების გამოყენება მართვის მეცნიერების მიღწევათა უზრუნველსაყოფად. მენეჯმენტის ძირითადი მიზანია მართვის ობიექტის მაღალი ეფექტიანობის მიღწევა, უპირატესად მოგების მაქსიმიზაციისა და საწარმოების, ფირმების, კომპანიების რესურსული პოტენციალის გამოყენების გაუმჯობესების სფეროში.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ გლობალიზაციის პროცესი, უპირველესად, გამოიწვია ტრანსნაციონალური კორპორაციების (ტნკ) საგნობრივმა საქმიანობამ. ხაზგასასმელია ისიც, რომ კორპორაციებში სტრატეგიული მართვის თავისებურებას წარმოადგენს ეკონომიკურ შესაძლებლობათა შეფასება საგარეო კონკურენტულ

სფეროში, საწარმოთა ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასების გათვალისწინებით. ასეთ სიტუაციაში მთავარია მოგების მაქსიმიზაციის უზრუნველყოფა გრძელვადიანი პერიოდისათვის, რისთვისაც შედგენილი უნდა იქნეს საქმიანი და ობიექტური გეგმა-ღონისძიება დასახული მიზნების მისაღწევად.

თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა ადამიანის მართვა გლობალიზაციის პირობებში. გლობალური ტრანსფორმაცია მეცნიერებისაგან მოითხოვს ეკონომიკურ ურთიერთობაში ადამიანთა საქმიანობის პერსპექტივების განსაზღვრას.

გლობალიზაცია, როგორც საბაზრო ურთიერთობათა განვითარების მაღალი დონე, წარმოშობს ადამიანის აბსოლუტურ ჩამოშორებას არა მარტო ბუნებისა და სოციუმისაგან, არამედ თვით საკუთარი თავისაგან. იგი წარმოგვიდგება გლობალური მართვის სუბიექტისაგან ეკონომიკური მიზნების მიღწევის საშუალებად იმ პირობით, თუ იგი უზრუნველყოფს საწარმოებში მოგების ზრდას.

იმის გამო, რომ გლობალიზაცია წარმოადგენს თანამედროვეების დამახასიათებელ მოვლენას, იგი იწვევს კარდინალურ ცვლილებებს საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში – ეკონომიკაში, პოლიტიკაში, კულტურაში, რაც ხელს უწყობს მსოფლიო მეურნეობის ახალი ტიპის შექმნას. გლობალიზაციის თანამედროვე ეტაპი წარმოადგენს ერთიანი მსოფლიო ეკონომიკურ, საფინანსო, საინფორმაციო და ჰუმანურ სივრცეს, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო ბარიერების შემცირებას საინფორმაციო, კაპიტალის, საქონლისა და მომსახურეობის სფეროებში და ეკონომიკის რეგულირების ეროვნული ინსტიტუტების როლის გადიდებას. საყურადღებოა ისიც, რომ 21-ე საუკუნის დასაწყისში, სსრ კავშირისა და მთელი სოციალისტური სისტემის ნგრევის შედეგად, მსოფლიო ეკონომიკურ მეურნეობაში გაბატონდა ისეთი სოციალური ინსტიტუტები როგორიცაა: წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრება, საქონლის, მომსახურეობის, საინფორმაციო და ფინანსური კაპიტალი, აგრეთვე, თავისუფალი მეწარმეობა, შეიქმნა მსოფლიო (გლობალური) კაპიტალიზმის სისტემა, რომლისთვისაც დამახასიათებელია არა მარტო თავისუფალი ვაჭრობა, არამედ საერთაშორისო ფინანსური კაპიტალის თავისუფალი მოძრაობაც.

კაპიტალიზმის გლობალური სისტემა თავისი ბუნებით წარმოადგენს წმინდა ფუნქციონალურს, ხოლო ფუნქციები წარმოადგენს წმინდა ეკონომიკურს: წარმოებას, მოხმარებას, საქონლისა და მომსახურების გაცვლას სარგებლის უზრუნველსაყოფად. მთავარია გაცვლა ეხება არა მარტო საქონელსა და მომსახურეობას, არამედ წარმოების ყველა ფაქტორს, მათ შორის შრომას. იმის გათვალისწინებით, რომ სისტემა ფართოვდება, ეკონომიკური ფუნქცია დომინირებული გახდა ადამიანებისა და საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროსა და მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. ამასთან, გასათვალისწინებულია, რომ ადრე პოლიტიკა, კულტურა, მეცნიერება, კანონშემოქმედება, სამართალდამცავი საქმიანობა, პროფესიული ცოდნა, ეკოლოგიური პრობლემები და სხვა მოვლენები არ შედიოდა ეკონომიკურ ურთიერთობებში. გლობალური კაპიტალიზმის სისტემის პირობებში კი ისინი შეიტანება ეკონომიკურ ურთიერთობებში, რამდენადაც საბოლოო ჯამში, ყველაფერი დაიყვანება ფულში გამოხატულ მოგებასა და სიმდიდრეზე.

გასათვალისწინებულია ის გარემოებაც, რომ დიდმა რუსმა მოაზროვნემ სერგეი ბულგაკოვმა 1912 წელს გამოცემულ კაპიტალურ ნაშრომში - „მეურნეობის ფილოსოფია“ პირველად ჩამოაყალიბა კაცობრიობის განვითარების ფილოსოფიურ-სამეურნეო პრინციპები, რომლებშიც მოცემულია არა მარტო თვით ადამიანის ცხოვრების არსი, არამედ მისი მთელი სამეურნეო საქმიანობის საბოლოო მიზანი. კერძოდ ეს პრინციპებია:

1.ადამიანური ცხოვრება არის მეურნეობა, სამყარო არის მეურნეობა, მთელი კულტურა არის მეურნეობა;
2.ადამიანის შრომა არის ცხოვრებისა და მეურნეობის საფუძველი;
3.მეურნეობის სუბიექტი არის ადამიანი-კაცობრიობა;
4.მეურნეობისა და სამყაროს სუბიექტის ტრანსცენდენტობა;
5.მეურნეობის ფილოსოფიურობა;
6.მეურნეობა როგორც თავისუფლებისა და აუცილებლობის სინთეზი;

## 7.მეურნეობის ესქატოლოგიურობა.

თანამედროვე მსოფლიოში, განსაკუთრებით პოსტსოციალისტურ ქვეყნებში, ეკონომიკურ ურთიერთობათა ფორმირება და განვითარება მიმდინარეობს რთული და მრავალმხრივი ფაქტორების გავლენით. ამ ქვეყნების მეურნეობრივ ცხოვრებაში ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას თან ახლავს წინააღმდეგობრივი პრობლემები. როგორც წესი, ტრანსფორმირებული სამეურნეო ცხოვრება ზიგზაგებით ვითარდება, რომელიც განპირობებულია საბაზრო ურთიერთობების განვითარების დაბალი დონით. თანაც პოსტსოციალისტური ქვეყნების აბსოლუტურ უმრავლესობაში თავმოყრილია საბაზრო ურთიერთობების ურთულესი პრობლემები როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ დონეებზე. ამ ქვეყნებში სამეწარმეო საქმიანობას ხელს უშლის სრულყოფილი ბაზრის განუვითარებლობა, რომლის გარეშე სამეწარმეო ურთიერთობათა სრულყოფა შეუძლებელია. ეს კი, თავის მხრივ, ურთულეს პრობლემებს ქმნის ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაში. ამ ქვეყნებში მეწარმეობის განვითარების დაბალი დონე დაკავშირებულია ეკონომიკური სისტემების მოუწესრიგებლობასთან, თანაც მათ არ გააჩნიათ განვითრებისათვის საჭირო პირობები, სადაც მოუწესრიგებელია საბა-ზრო ურთიერთობათა სრულყოფის ელემენტარული პირობებიც კი.

განვითარებული ქვეყნების დიდმა გამოცდილებამ და მეურნეობრიობის სისტემის ულრმესი გარდაქმნების განხორციელებამ განაპირობა მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება. გარდამავალ პერიოდში მეწარმეობის სრულყოფა უდიდეს როლს ასრულებს დასაქმების უზრუნველყოფის, უმუშევრობის შემცირებისა და პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში, რაც, საბოლოო ჯამში, ხელს უწყობს მდგრადი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფას.

საქართველოში საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის სტიმულირება დღის წესრიგში აყენებს ქვეყნის ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობის რელსებზე გადაყვანის აუცილებლობას, რომელსაც თან ახლავს მთელი რიგი პრობლემების აღმოფხვრის აუცილებლობა. მეურნეობრიობის საბაზრო გამოცდილების დანერგვა დღის წესრიგში აყენებს რიგი დაუძლეველი ფაქტორების აღმოფხრვას და მეურნეობრიობის საბაზრო მექანიზმის ჩამოყალიბებას, რაც, საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს ქვეყნის, როგორც სამეურნეო სისტემის თანასწორუფლებიანი წევრის საერთაშორისო ეკონომიკის ფერხულში ჩართვას.

განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ მსოფლიო სამეწარმეო ურთიერთობის განვითარება ნებისმიერ ქვეყანაში იწვევს საზოგადოების სოციალური სტრუქტურის საგნობრივ ცვლილებებს, რაც, საბოლოო ჯამში, მოითხოვს მეურნეობრიობის საინვესტიციო სტიმულების, წარმოების ეფექტიანობისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებას. ხაზგასასმელია ისიც, რომ ჩვენს ქვეყანაში სამეურნეო ცხოვრების გარდამავალ პერიოდში ეკონომიკური განვითარების დაბალი ტემპები საშუალებას არ იძლევა თუნდაც გარკვეული დადებითი ძვრების განხორციელებისათვის.

გარდამავალ ქვეყნებში სამეწარმეო ურთიერთობების ფორმირება უპირატესად დაკავშირებულია ისეთი პრობლემების გადაწყვეტასთან, როგორიცაა უმუშევრობის შემცირება და ეფექტიანი დასაქმების უზრუნველყოფა მეწარმეობის განვითარების კვალობაზე მის სხვადასხვა ფორმებში, მასშტაბებსა და საქმიანობის სხვადასხვა დონეებზე.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ქვეყანაში პრივატიზაციის დაუმთავრებლობისა და სამეწარმეო პროცესის არასრულყოფილი ფორმირების პირობებში, დაბალი ტემპით მიმდინარეობს თანამედროვე ეკონომიკურ ურთიერთობათა პროცესების დანერგვა. განსაკუთრებულ სრულყოფას საჭიროებს სოციალური პრობლემების კომპლექსურად გადაწყვეტა,ურომლისოდაც შეუძლებელია საბაზრო ურთიერთობათა ფორმირება. გარდამავალ პერიოდში მეტად აქტუალურ პრობლემად გვესახება მინიმალური ხელფასის მიახლოება საერთაშორისო დონესთან და მისი ორგანული დაკავშირება სამომხმარებლო ბიუჯეტის განსაზღვრასთან. შრომის დანახარჯების შესაბამის ფულად-ღირებულებით ეკვივალენტთან არაუზრუნველყოფა იწვევს დასაქმების ეფექტიანობის

შემცირებას, უმუშევრობის ზრდას, სამუშაო ძალის მიგრაციას, მოტივაციური სტიმულების შენელებას, სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალისა და ერის ინტელექტის შესუსტებას. ამასთან დაკავშირებით, საკუთრების გადანაწილებამ, მისი ახალი ფორმების განვითარებამ და ქვეყანაში მსხვილმასშტაბიანი პრივატიზაციის დაჩქარებამ, საბოლოო ჯამში, უნდა გამოიწვიოს ახლად შექმნილი ღირებულებების უსწრაფესი გადანაწილება, რის შედეგადაც მიღწეულ უნდა იქნეს ხანგრძლივი სოციალური სტაბილურობა.

საყურადღებოა, რომ ქვეყანაში წინმსწრები ეკონომიკური ზრდის მიღწევა შესაძლებელია მოსახლეობის შრომითი სტიმულირებისა და ლეგალური ღონისძიებების ბაზაზე. უახლოეს პერიოდში ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ორიენტაცია დაწყებული უნდა იქნეს მინიმალური და საშუალო თვიური ხელფასის ოპტიმალური თანაფართობის უზრუნველყოფით.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მეურნეობის ახალი ფორმის პირობებში უცხოური და ერთობლივ საწარმოო სტრუქტურებში შრომის ანაზღაურება მნიშვნელოვნად მაღალია, ვიდრე ეროვნულ საწარმოებში.

როგორც წესი, სტრუქტურული გარდაქმნა ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა ქვეყნის ეკონომიკაში. საქართველოში გარდამავალ ეტაპზე გარკვეული დადებითი ძვრებია მიღწეული მეწარმეობის განვითრების სფეროში, თუმცა უკანასკნელ პერიოდში შეიმჩნევა ზოგიერთი უარყოფითი ტენდენცია წარმოებაში დასაქმებულ მუშაკთა შრომის ანაზღაურებაში.

ხელისუფლების ორგანოებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ ქვეყნის სამეურნეო და სოციალური განვითარების ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემების აღმოფხვრას, როგორიცაა:

– მეწარმეობის განვითარების სიღრმისეული ფინანსური, სოციალური და სამართლებრივი ურთიერთობების სრულყოფა;
– მეწარმეობის დარგობრივი სტრუქტურის ოპტიმიზაცია;
– უნდა შემუშავდეს ქვეყნის სოციალური სფეროს გაუმჯობესების სრულყოფილი სისტემა და საზოგადოების წევრთა განვითარების ინდივიდუალური ინტერესების ყოველმხრივი აღმავლობის პროგრამა;
– შემუშავებულ უნდა იქნეს საზოგადოების წევრთა ეკონომიკური ცხოვრების ამაღლების რადიკალური ღონისძიებები: დასაქმების ზრდის, უმუშევრობის შემცირების, სამეწარმეო საქმიანობის სრულყოფა-განვითრების სფეროში.
– განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ისეთი ღონისძიებების შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს უცხოური ინვესტიციების მოზიდვასა და მათ ეფექტიანად გამოყენებას.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. ასათიანი რ., გლობალიზაცია: ეკონომიკური თეორია და საქართველო, ჟურნალი „ეკონომიკა", თბ., 2003, №3-4.
2. კაკულია რ., ფინანსების თეორია, თბ., 2012.
3. კაკულია რ., თანამედროვე ფული და ფულის მიმოქცევა, თბ., 2011.
4. მესხია ი., გლობალიზაცია და ეკონომიკური სუვერენიტეტის თავსებადობის საკითხისათვის, ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა", თბ., 2003, №3.
5. მექვაბიშვილი ე., ეკონომიკის გლობალიზაცია: მიმართულებები, გამოწვევები, პერსპექტივები, თბ., 2009.
6. პაპავა ვ., გლობალური ფინანსური კრიზისი და მაკროეკონომიკის ზომბირების საფრთხე (თეორიული ასპექტები), საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომების კრებული, ტ.VIII, თბ., 2010.
7. ჩიქავა ლ., გლობალიზაცია და შრომის საერთაშორისო დანაწილება, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის შრომების კრებული, ტ.X, თბ., 2003.
8. Булгаков С.Н., Философия хозяиства, М., 1990

**რევაზ კაკულია**

**გლობალიზაცია და საქართველოს ეკონომიკური განვითარების თანამედროვე პრობლემები**

**რეზიუმე**

საზოგადოებრივი განვითარების დღევანდელ ეტაპზე გლობალური ეკონომიკა თანამედროვეობის მთავარი ფენომენია. მიუხედავად იმისა, რომ დღეს ბევრს მსჯელობენ ეკონომიკის გლობალიზაციაზე, მის შესახებ საზოგადოებრივი აზრი მსოფლიო მასშტაბით ერთიანი, ყოვლისმომცველი მაინც არ არის. თუ გლობალურ ეკონომიკაში ვიგულისხმებთ საერთაშორისო ვაჭრობისა და ინვესტიციების გზით მიღწეულ განვითარების მკვეთრ შედეგებს, ეს ერთი მხარეა. მაგრამ თუ თანამედროვე გლობალური ეკონომიკის ქვეშ ჩადებულ იქნა მსოფლიო განვითარების ნეოლიბერალური გლობალიზაციის მოდელი, საზოგადოებრივი აზრი რთულ სიტუაციაში აღმოჩნდება.

თანამედროვე ეპოქაში სახელმწიფოთა შორის სავაჭრო ურთიერთობის განვითარება ხელს უწყობს მათ შორის ეკონომიკურ ურთიერთობათა ყოველმხრივ სრულყოფას, რომელიც თავის მხრივ გლობალიზაციის პროცესის შედეგია. ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოს ეკონომიკის განვითარების აქტუალური პრობლემები, ქვეყნის ადგილი და როლი გლობალურ ეკონომიკურ სივრცეში.

**Revaz Kakulia**

**Globalization and modern problems of economic development of Georgia**

**Summary**

At the present stage of social development, the global economy is the main phenomenon of modernity. Despite the fact, that many today discuss the globalization of the economy, public opinion about it throughout the world is not universal and comprehensive. If we are in the global economy with sharp results from international trade and investment, this is one side. But if the model of world development neoliberal globalization will be put under the modern global economy, public opinion will end up in a difficult situation.

The development of trade relations in the modern era promotes the overall perfection of economic relations, which in turn is a result of globalization. The paper analyzes the current problems of the Georgian economy, the place and role of the country in the global economic field.

**Реваз Какулиа**

**Глобализация и современные проблемы экономического развития страны**

**Резюме**

Наиболее существенным явлением в мировом хозяистве за последние десятилетия следует, видимо считать бурное расширение ареала финансовых отношений. Финансы глобализируются значительно быстрее и полнее, нежели товарные рынки. Глобализация расшатывает национальные рынки, ослабляет национальное государство.

В труде подчёркнуто, что управление финансами следует рассматривать как форму предпринимательства, которая способна активно реагировать на все изменения, происходящие во внешней и внутренней среде деятельности хозяйственных субъектов.

**ნუნუ ქისტაური**
**თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი**

**ნანა შატბერაშვილი**
**ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი**

# მსოფლიოში ინოვაციური საქმიანობის განვითარების თავისებურებები თანამედროვე ეტაპზე

კაცობრიობის განვითარების ყველა სტადიას საფუძვლად უდევს სპეციფიკური ტექნოლოგიები, საწარმოო-ტექნოლოგიური სისტემები და წარმოებითი ურთიერთობები. თანამედროვე პოსტინდუსტრიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელია ინფორმაციული ტექნოლოგიები და კომპიუტერული სისტემები, მაღალი საწარმოო ტექნოლოგიები დაფუძნებული ინოვაციურ ტექნოლოგიებზე, ინოვაციურ სისტემებსა და საქმიანობის სხვადასხვა სფეროს ინოვაციურ ორგანიზაციებზე. აქ საბოლოო შედეგად გვევლინება ეკონომიკის ორგანიზაციის ახალი ფორმის – ინოვაციური ეკონომიკის ჩამოყალიბება. სწორედ ინოვაციური ეკონომიკის შექმნა გახდა მსოფლიო ეკონომიკის განვითარების სტრატეგიული მიმართულება XXI საუკუნის პირველ ნახევარში.

სხვადასხვა ქვეყანაში სამეცნიერო და ინოვაციური პოლიტიკის რეალიზაციის ძირითად თავისებურებად გვევლინება მთლიან ეროვნულ პროდუქტში დანახარჯების განსხვავებული წილი კვლევებსა და დამუშავებებზე. ამ მხრივ დღეს მსოფლიოში ლიდერობს გერმანია, იაპონია, შვეცია, სამხრეთ კორეა და აშშ (იხ. ცხრ. 1).

ცხრილი 1

დანახარჯები სამეცნიერო-კვლევით, საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე, % მშპ-ში

| ქვეყნები | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 |
|---|---|---|---|---|---|
| შვეცია | 3.22 | 3.25 | 3.28 | 3.31 | 3.16 |
| ფინეთი | 3.73 | 3.64 | 3.42 | 3.3 | 3.17 |
| გერმანია | 2.71 | 2.8 | 2.87 | 2.83 | 2.87 |
| საფრანგეთი | 2.18 | 2.19 | 2.23 | 2.24 | 2.26 |
| ნიდერლანდები | 1.72 | 1.9 | 1.94 | 1.96 | 1.97 |
| იაპონია | 3.25 | 3.38 | 3.34 | 3.47 | 3.58 |
| სინგაპური | 2.01 | 2.15 | 2 | 2 | 2.19 |
| აშშ | 2.74 | 2.76 | 2.7 | 2.73 | |
| დიდი ბრიტანეთი | 1.69 | 1.69 | 1.62 | 1.66 | 1.7 |
| ჰონკონგი | 0.75 | 0.72 | 0.73 | 0.73 | |

მსოფლიო პრაქტიკაში ინოვაციური საქმიანობის რეგულირების ფორმების მიხედვით განიხილავენ პირდაპირი და ირიბი ზემოქმედების მეთოდებს. მაღალგანვითარებულ ქვეყნებში ინოვაციურ პროცესებზე სახელმწიფო ზემოქმედების პირდაპირ ეკონომიკურ ღონისძიებათა სისტემის მნიშვნელოვანი ელემენტებია:

სახელმწიფო ინვესტირება დაფინანსების, დაკრედიტების, ლიზინგის, საფონდო ოპერაციების სახით; ასევე სახელმწიფო მეწარმეობა. სამეცნიერო კვლევების სფეროში განსაკუთრებული ადგილი უკავია სამრეწველო კორპორაციათა კოოპერაციის მასტიმულირებელ ღონისძიებებს.

საზღვარგარეთ ინოვაციური საქმიანობის რეგულირების ირიბი მეთოდები ძირითადად მიმართულია, ერთი მხრივ, ინოვაციური პროცესების სტიმულირებაზე, ხოლო მეორე მხრივ, სამეცნიერო-ტექნიკური განვითარებისათვის ხელსაყრელი ეკონომიკური პირობებისა და სოციალურ-პოლიტიკური კლიმატის შექმნაზე. ტრადიციულად ამგვარ მეთოდებს მიეკუთვნება: საგადასახადო და ამორტიზაციული რეგულირება, საკრედიტო და საფინანსო პოლიტიკა, საფასო რეგულირება, პროტექციონიზმის პოლიტიკა, საგადასახადო და ამორტიზაციული კანონმდებლობის ლიბერალიზაცია. განსაკუთრებულ როლს ასრულებს კორპორაციათა საქმიანობის წასახალისებლად გამოყენებული საგადასახადო შეღავათები, რომლებიც მიმართულია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, ექსპორტისა და ინოვაციური ბიზნესის საქმიანი აქტივობის სტიმულირებაზე,

განვითარებულ ქვეყნებში შემოღებულია აგრეთვე, საგადასახადო შეღავათები, დაკავშირებული ამორტიზებულ მოწყობილობათა ჩამოწერის სისტემასთან. ისინი გამოიყენება კონკრეტული დარგების განვითარების სტიმულირებისათვის სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის მიზნით და, საერთოდ, ინვესტიციური გამოცოცხლებისათვის.

მაღალგანვითარებულ ქვეყნებში მოწყობილობის დაჩქარებული ამორტიზაცია ფართოდ გამოიყენება, როგორც საწარმოო ფონდების განახლების სტიმული. აშშ-ში სკ სსს-ზე (სამეცნიერო-კვლევითი საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები) გამოყენებული მოწყობილობებისა და ინსტრუმენტების (რომელთა გამოყენების ვადა 4 წელზე მეტი და 10 წელზე ნაკლებია) ამორტიზაციის ვადა შეადგენს 5 წელს. იაპონიაში დაჩქარებული ამორტიზაცია გამოიყენება იმ კომპანიებისათვის, რომლებიც იყენებენ ენერგოდამზოგ მოწყობილობებს, აგრეთვე, იმგვარ მოწყობილობებს, რომლებიც ხელს უწყობს რესურსების ეფექტიან გამოყენებასა და არ აბინძურებს გარემოს. დიდ ბრიტანეთში კომპანიებს შეუძლიათ მთლიანად ჩამოწერონ ტექნიკურ მოწყობილობათა მთლიანი ღირებულება მათი მუშაობის პირველ წელს. გერმანიაში პირველ წელს შეუძლიათ სკ სსს-ზე გამოყენებულ მოწყობილობებზე დანახარჯების 40%-ის ჩამოწერა. შვეციაში 3 წლამდე სამსახურის ვადიან მოწყობილობებზე ხდება დანახარჯების ჩამოწერა მათი შეძენის წელს, ხოლო მთლიანად მანქანა-მოწყობილობებზე 4-5 წელიწადში. საფრანგეთში დაჩქარებული ამორტიზაციის სისტემის გამოყენება შესაძლებელია ენერგოდამზოგ, ეკოლოგიურ, ინფორმაციულ მოწყობილობებზე და ა.შ.

საზღვარგარეთის ქვეყნებში მიღებულია სამეცნიერო კვლევების სტიმულირება სახელმწიფოს მიერ გრძელვადიანი კრედიტების მიცემის გზით კვლევების პერსპექტიული მიმართულებებისათვის. აშშ-ში ოფიციალურ სამთავრობო დოკუმენტებში კაპდაბანდებები მეცნიერულ-ტექნიკურ სფეროში იწოდება „მომავლის ინვესტიციებად“, ხოლო სკ სსს სფერო განიხილება, როგორც სტრატეგიული ეროვნული მიზნების განხორციელების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი მექანიზმი.

ინოვაციების სახელმწიფო რეგულირების ერთ-ერთ ძლიერ ირიბ მეთოდს წარმოადგენს პროტექციონიზმის პოლიტიკა სავაჭრო-სავალუტო რეგულირების სახით, რომელიც მიმართულია ქვეყნის შიგნით სიახლეების რეალიზაციასა და დაცვაზე. საფრანგეთში გამოიყენება ექსპორტის ისეთი მასტიმულირებელი საშუალებები, როგორიცაა, მაგალითად, სარისკო ფირმები, რომლებიც საზღვარგარეთ ქმნიან ფილიალებს. ეს უკანასკნელნი, შესაძლოა 6 წლის მანძილზე გათავისუფლდნენ დაბეგვრისაგან.

მეცნიერულ-ტექნიკურ სფეროში უპირობო ლიდერის როლი ეკუთვნის აშშ-ს. ეს გამოწვეულია ამ ქვეყანაში ინოვაციური მექანიზმის მაღალი განვითარების დონით. აშშ-ს ინოვაციური მექანიზმი – ეს არის მსოფლიოს სხვა რეგიონებზე გავლენის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი. მათი საწარმოო ძალების, წარმოებისა და განაწილების ამერიკულ სისტემაში ჩართულობის გზით, აშშ ახორციელებს იდეების, სპეციალისტების, სამუშაო ძალის, ბუნებრივი რესურსებისა და ფინანსური კაპიტალის იმპორტს. ეროვნული ინოვაციური მექანიზმის განვითარების ძირითადი სტიმულია ბრძოლა მსოფლიო

ლიდერობისათვის განაწილების ამერიკულ სისტემაში სხვა ქვეყნების ჩართვის გზით. ეს მიიღწევა ამ ქვეყნებისათვის წარმოების ამერიკული ტექნოლოგიების გადაცემით და მათი ჩართვით ფულადი მიმოქცევის დოლარის სისტემაში.

ინოვაციური მექანიზმის იაპონური მოდელი პრინციპულად განსხვავდება ამერიკულისაგან. ეს ქვეყანა ახორციელებს მისთვის აუცილებელი ბუნებრივი რესურსების იმპორტს საქონლისა და მომსახურების უდიდესი კატეგორიის მაღალხარისხიანი პროდუქციის ექსპორტის ნაცვლად. ეროვნული რესურსების შეზღუდულობამ, ფუნდამენტური მეცნიერების მატერიალური ბაზის არასაკმარის განვითარებასთან ერთად, განაპირობა ინოვაციური მექანიზმის შემადგენლობაში დანერგვითი ციკლის უპირატესი განვითარება.

იაპონიის ინოვაციური მექანიზმის სტრუქტურული აქცენტი კეთდება მსხვილ საწარმოთა სასარგებლოდ, რაც შესაძლოა გამართლებულია ქვეყნის ტერიტორიული კომპაქტურობითა და ფუნდამენტური მეცნიერების არასაკმარისი განვითარებით. ძირითადი ეკონომიკური პრიორიტეტებია საწარმოო პროცესებისა და პროდუქციის მაღალი ენერგეტიკული და მატერიალური ეფექტიანობა მისი მოწინავე სამომხმარებლო ხარისხის შესანარჩუნებლად. მაგრამ მცირე მეწარმეობის შედარებით ნაკლები განვითარებულობა იაპონიის ინოვაციურ მექანიზმს სახელმწიფოს არსებით მხარდაჭერაზე დამოკიდებულს ხდის.

ამჟამად დინამიურად ვითარდება თანამედროვე ჩინეთი. გიგანტური საკუთარი მოსახლეობის სამომხმარებლო საქონლით უზრუნველყოფის აუცილებლობა ამ ქვეყნის ინოვაციური მექანიზმის განვითარების მთავარ შიგა სტიმულს წარმოადგენს. მისი ძირითადი პრინციპებია: იაფი მუშახელის მაღალი კონცენტრაცია; მასობრივი საწარმოო ტექნოლოგიების შემოდინების დივერსიფიკაცია აშშ-დან, ევროპიდან, იაპონიიდან; ფინანსური კაპიტალის იმპორტი. ეყრდნობა რა იაფი მუშახელის სიმრავლეს, ჩინეთი სარგებლობს მასობრივი წარმოების ტექნოლოგიითა და იმპორტით. საკუთარი ფინანსური სახსრების უკმარისობის შემთხვევაში კი იგი ახორციელებს წარმოების განვითარებისათვის ფინანსური კაპიტალის იმპორტს.

სამხრეთ კორეა, მსოფლიოში ერთ-ერთი ჩამორჩენილი ეკონომიკის მქონე ქვეყანა, ეკონომიკური ზრდის ტემპის მიხედვით სამ ათწლეულში გადაიქცა მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთ ლიდერ ქვეყნად. მისი მშპ-ს მაჩვენებელი მოსახლეობის 1 სულზე, დაწყებული 1962 წლიდან (ამ პერიოდში ქვეყანაში მნიშვნელოვანი ეკონომიკური ძვრები მიმდინარეობდა), დაახლოებით 30 წლის განმავლობაში 100-ჯერ გაიზარდა. 2015 წლისათვის მშპ-ს მაჩვენებელი ქვეყანაში 1393 მლრდ აშშ დოლარს შეადგენდა.

თანამედროვე მსოფლიო პრაქტიკაში ინოვაციური საქმიანობის განვითარების დონის შეფასების მაჩვენებელთა სხვადასხვა სისტემა არსებობს. სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაცია შეიმუშავებს ქვეყნის ინოვაციური პოტენციალის ამსახველ მაჩვენებელთა საკუთარ სისტემას. ზოგიერთ ქვეყანაში გამოიყენება მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის საერთაშორისო ეკონომიკური ფორუმის შეფასების მეთოდი, სადაც მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის ინდექსი განიხილება როგორც ქვეყნის კონკურენტუნარიანობის დონის შეფასების ინტეგრალური მაჩვენებლის შემადგენელი. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ექსპერტების მეთოდიკის მიხედვით, ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური ზრდის მიღწევის შესაძლებლობა საშუალო და გრძელვადიან პერიოდში თანაბარი ხარისხითაა დამოკიდებული სამი კატეგორიის ცვლადზე: მაკროეკონომიკური გარემო; სახელმწიფო ინსტიტუტები; ტექნოლოგიები.

„ნოვატორი" ქვეყნებისათვის (აშშ, იაპონია, კანადა, კორეა. სინგაპური და სხვ.), კონკურენტუნარიანობის ზრდის ინდექსის გაანგარიშებისას, ინოვაციური შემადგენლის წილი უდრის 1/2-ს, სხვა ქვეყნებისათვის კი იგი 1/3-ია. მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის ინდექსი გაიანგარიშება შემდეგი მაჩვენებლების საფუძველზე. პატენტების რიცხვი 1 მლნ ადამიანზე, ქვეყნის პოზიცია ტექნოლოგიური განვითარების დონის მიხედვით, უცხოური ინვესტიციების წვლილი ადგილობრივი ფირმების ინოვაციურ საქმიანობაში, ინტერნეტის მომხმარებელთა რიცხვი 10000 ადამიანზე და ა.შ.

2000 წელს შემოღებულ იქნა კონკურენტუნარიანობის ზრდის ახალი ინდექსი, რომელსაც უწოდეს ეკონომიკის ინოვაციურობის უნარის ინდექსი. იგი ასახავს

ეროვნული ეკონომიკის მდგრადი ზრდის უნარს საშუალოვადიან პერსპექტივაში (უახლოეს 5 წელიწადში). აქ მხედველობაში მიიღება ეკონომიკური ზრდის მიმდინარე დონე. ინდექსის აგების საფუძველია ქვეყანაში მოსახლეობის 10 ათას სულზე დარეგისტრირებული პატენტების რაოდენობა. გარდა ამისა, მოდელში ჩადებულია უცხოურ ინვესტიციათა მოცულობა და მათი ეფექტიანობა, აგრეთვე, მოქალაქეთა ყოველდღიურ ცხოვრებაში ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება (ქვეყანაში მოსახლეობის ერთ სულზე მობილური ტელეფონებისა და კომპიუტერების რაოდენობა, ინტერნეტის მომხმარებელთა აქტივობა და ა.შ.). განსაკუთრებით გაითვალისწინება ინსტიტუციური და მაკროეკონომიკური პირობები, რომლებიც ხელს უწყობს ან აბრკოლებს ინოვაციურ საქმიანობას.

2016 წელს ჩატარდა მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი. გაანგარიშებულ იქნა გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი 138 ქვეყნის ანალიზის საფუძველზე. მოწინავე პოზიცია, ისევე, როგორც ბოლო 8 წლის განმავლობაში, შვეიცარიას უკავია, მას მოსდევს სინგაპური, აშშ, სწორედ ეს ქვეყნები არიან ლიდერები ინოვაციური პროდუქციითა და მომსახურებებით მთელი მსოფლიოს მომარაგებაში. უკვე 2 წელია უცვლელი რჩება წამყვან სახელმწიფოთა ათეული (იხ. ცხრ. 2)

ცხრილი 2

გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგი 2016-2017 წლებში

| ქვეყნები | მაჩვენებელი |
|---|---|
| შვეიცარია | 5.8 |
| სინგაპური | 5.7 |
| აშშ | 5.7 |
| ნიდერლანდები | 5.6 |
| გერმანია | 5.6 |
| შვეცია | 5.5 |
| დიდი ბრიტანეთი | 5.5 |
| იაპონია | 5.5 |
| ჰონკონგი | 5.5 |
| ფინეთი | 5.4 |

ინდექსების დადგენისას იყენებენ საერთაშორისო სტატისტიკაში არსებულ მაჩვენებელთა შეზღუდულ რაოდენობას, აგრეთვე, სუბიექტურ ექსპერტულ შეფასებებს. ამ მეთოდიკის გამოყენებით ინოვაციური პოტენციალის გაანგარიშება გვიჩვენებს, რომ არც ერთ ქვეყანას არ შეუძლია კონკურენტუნარიანობის ყველა საკვანძო ფაქტორის თანაბარი ზომით განვითარების დემონსტრირება. მოცემული ინდექსები მხოლოდ ქვეყნის ინოვაციური განვითარების სუსტი და ძლიერი მხარეების გამოვლენაში გვეხმარება.

ევროკავშირის წევრი ქვეყნებისათვის ფართოდ გამოიყენება ევროპული თანამეგობრობის კომისიის ინოვაციური ეფექტიანობის შეფასების მეთოდი, რომლის ინოვაციურ მაჩვენებელთა სისტემა მოიცავს 16 ინდიკატორს, რომლებიც დაყოფილია 4 ჯგუფად (იხ. ცხრ. 3).

ცხრილი 3

ევროკავშირის ინოვაციური საქმიანობის მაჩვენებლები 2014 წ.

| ევროკავშირის ინოვაციური საქმიანობის მაჩვენებლები | | | |
|---|---|---|---|
| ადამიანური რესურსები | ცოდნის გენერირება | ცოდნის გავრცელება და გამოყენება | ინოვაციური ფინანსები, ბაზრები და შედეგები |
| მეცნიერებისა და ტექნოლოგიის სფეროში კურსდამთავრებულთა ხვ. წილი უნივერსიტეტების კურსდამთავრებულთა შორის (37%) | კვლევითი სფეროს ბიუჯეტური დაფინანსება (მშპ-ის 0.7%) | ინოვაციურ სფეროში მომუშავე მცირე და საშუალო საწარმოთა წილი შინამეურნე-ობების სახით (44%) | ტექნოლოგიურ ფირმებში ვენჩურული ინვესტირება (მშპ-ის 0.06%) |
| სამეცნიერო ხარისხის მქონე და დიპლომიან ინჟინერთა ხვ. წილი (13%) | კერძო ბიზნესის მიერ კვლევითი სფეროს დაფინანსება (მშპ-ის 1.2%) | ინოვაციურ სფეროში მომუშავე მცირე და საშუალო საწარმოთა წილი კოოპერაციაში (11.2%) | ახალი (პარალელური, მეორადი) ბაზრების კაპიტალიზაცია (მშპ-ის 3.4%) |
| საშუალო და მაღალ-ტექნოლოგიურ წარ-მოებაში მომუშავეთა წილი (7.7%) | მაღალტექნოლოგიურ დარგებში გამ-ოყენებული პა-ტენტების რაოდენობა 1 მლნ მოსახლეზე (14.9) | საწარმოო სექტორში ინოვაციური დანახ-არჯების თანაფარ-დობა მთლიან ბრუნ-ვასთან (3.7%) | საწარმოო სექტორის საერთო ბაზარზე ახ-ალი პროდუქციის გაყიდვათა წილი (6.5%) |
| მაღალტექნოლოგიური მომსახურების სექტორში მომუშავეთა წილი (3%) | | | ინტერნეტით მოსარგებლეთა რაოდენობა 100 სულ მოსახლეზე (14.9%) ინფორმაციული ტექნოლოგიების ბაზრის მოცულობა (მშპ-ის 5%) |

ინოვაციური საქმიანობის შეფასების წარმოდგენილი მეთოდიკა საშუალებას გვაძლევს შევადაროთ სხვადასხვა ქვეყნის წარმატებები და განვსაზღვროთ დარგები, რომლებიც დამატებით ძალისხმევას საჭიროებს კერძო საწარმოებისა და სახელმწიფოს მხრიდან. იმის გამო, რომ ინოვაციური საქმიანობა არის რთული პროცესი, რომელზეც მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას, წარმოდგენილმა პარამეტრებმა შესაძლოა განსაზღვროს გატარებული სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის მხოლოდ სუსტი და ძლიერი მხარეები.

არსებობს ასევე ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (ეთგო) ინოვაციური ეფექტიანობის შეფასების მეთოდი. ეს მეთოდი ემყარება აღნიშნული ორგანიზაციის მიერ ყოველწლიურად გამოქვეყნებულ მაჩვენებლებს, რომლებიც ახასიათებს როგორც განვითარებული, ასევე განვითარებადი ქვეყნის ინოვაციური ეკონომიკის განვითარების დონესა და დინამიკას. ეთგო-ს ინდიკატორთა სისტემაში წარმოდგენილ მაჩვენებელთა შორის მეტად მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი და კერძო ცოდნის სექტორში უმაღლეს განათლებაზე, სკ სსს-სა და, აგრეთვე, პროგრამულ უზრუნველყოფაზე ინვესტიციათა მოცულობა.

ამრიგად, ინოვაციები XXI საუკუნეში მსოფლიოს ქვეყნების განვითარების მთავარი მამოძრავებელი ძალა გახდა. დღესდღეობით სწორედ ინოვაციებს შეაქვს მნიშვნელოვანი წვლილი ევროპის ქვეყნებისა და აშშ-ს ეკონომიკის ზრდის მაღალი ტემპების ურუნველყოფაში. ინოვაციური აქტივობის მეშვეობით ეს ქვეყნები მიეკუთვნება

მაღალგანვითარებულ ქვეყანათა ჯგუფს და რეალურად უსწრებენ წინ მსოფლიოს დანარჩენ ნაწილს თავიანთი განვითარების დონით. ინოვაციათა მნიშვნელობა კიდევ უფრო დიდია განვითარებადი ქვეყნებისათვის, სადაც საჭიროა ინკლუზიური ინოვაციური მიდგომის გამოყენება, რაც გულისხმობს კონკრეტულ ქვეყანაში კონკრეტული ეკონომიკური სფეროს განვითარების ხელშეწყობას მეცნიერულ ცოდნაზე დაფუძნებული ინოვაციური იდეების, მსოფლიო პრაქტიკაში არსებული გამოცდილების გამოყენების .განხორციელების გზით.

### გამოყენებული ლიტერატურა:


1. Абесадзе Р., Бурдули В., Структурные инновационные проблемы экономического развития. Тб., 2014.
2. Инновационное развитие: экономика, интеллектуальные ресурсы, управление знаниями М., 2010.
3. Стратегия инновационного развития ЕС до 2020 года, http://journal-discussion.ru/publication.php?id=1302
4. Шелюбская Н. Новая инновационная политика ЕС. http://www.ifapcom.ru/files/Monitoring/slelubskaya_eu_innov.pdf
5. http://ru.theglobaleconomy.com
6. http://fb.ru/article/274463/indeks-globalnoy-konkurentosposobnosti-stranyi


**ნუნუ ქისტაური, ნანა შატბერაშვილი**

**მსოფლიოში ინოვაციური საქმიანობის განვითარების თავისებურებები თანამედროვე ეტაპზე**

**რეზიუმე**

ნაშრომი ეძღვნება ეკონომიკური განვითარების ისეთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას, როგორიცაა ინოვაციური საქმიანობა. მასში განხილულია სხვადსხვა ქვეყანაში სამეცნიერო და ინოვაციური პოლიტიკის რეალიზაციის ძირითადი თავისებურებები, მათი რეგულირების ფორმები, ასევე, მსოფლიო პრაქტიკაში ინოვაციური საქმიანობის განვითარების დონის შეფასების მაჩვენებელთა სისტემები. ნაშრომში მოყვანილი და გაანალიზებულია მსოფლიო ინოვაციური განვითარების ამსახველი სათანადო ციფრობრივი მასალა.

**Nunu Kistauri, Nana Shatberashvili**

**Peculiarities of Innovative Activity at Current Stage of Development in the World**

**Summary**

The article is dedicated to such an important problem of economic development as innovative activity. The main peculiarities and regulation forms of scientific and innovation policy implementation are in various countries discussed here. The article also covers systems of indices estimating the level of innovative activity development in the world practice. There are given and analyzed adequite figures.

**Нуну Кистаури, Нана Шатберашвили**

**Особенности развития инновационной деятельности в мире на современном этапе**

**Резюме**

Работа посвящена важнейшей проблеме экономического развития инновационной деятельности. В ней рассмотренны основные особенности и формы регулирования реализации научной и инновационной политики в отдельных странах, также проанализированы существующие в мировой практике разные системы оценки показателей уровня развития инновационной деятельности и соответствующие цифровые данные.

**ავთანდილ ზედგინიძე**
**ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი**

**ლაშა ზედგინიძე**
**ეკონომიკის აკადემიური დოქტორი**

## მსოფლიოს ტყის რესურსები გლობალიზაციის პირობებში

ტყე, როგორც ბუნების მნიშვნელოვანი კომპონენტი, ჩვენი პლანეტის მატერიალური ბიოგრაფიის ორგანული და მრავლისმეტყველი შემადგენელი ნაწილია, უფრო მეტიც, მას დედამიწის წყლულების დასტაქარსაც უწოდებენ, რადგან იგი „მკურნალობს მიწის მკერდის „იარებს" - ნამზღველევებს, ხრამებს, მთის ნაპრალებს, მოტიტვლებულ კორტებს, ხელს უწყობს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ამაღლებას. დიდია ტყის როლი ეკოლოგიურად კომფორტული ბუნებრივი გარემოს ჩამოყალიბებაში. იგი ბიოსფეროს უზრუნველყოფს და ამდიდრებს ჟანგბადით, ამიტომაც მას ჩვენი პლანეტის ფილტვებსა და ატმოსფერული ჰაერის ჟანგბადის ფაბრიკასაც უწოდებენ. ცნობილია, რომ 1ჰა ტყე წელიწადში შთანთქავს 5-10 ტონა ნახშირორჟანგს და 10-20 ტონა ჟანგბადს გამოჰყოფს, ხოლო დედამიწის ზედაპირზე არსებული ტყე კი, ყოველწლიურად 55,5 ტონა ჟანგბადს.

სხვადასხვა მცენარეებს ფოტოსინთეზის სხვადასხვა ინტენსივობა ახასიათებთ, ე.ი. გამოყოფილი ჟანგბადის რაოდენობა დაკავშირებულია მცენარის სახეობასთან. ყველაზე მეტი რაოდენობით ჟანგბადს ალვის ხე გამოჰყოფს. ამ მხრივ არ ჩამორჩება მუხა, ცაცხვი, ხოლო შედარებით ნაკლებ ჟანგბადს გამოჰყოფს ფიჭვი, ნაძვი და სხვა წიწვოვანები.

ტყე ასევე ადამიანის ფიზიკური არსებობისათვის პირველხარისხოვანია, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ადამიანმა ოდითგანვე თავისი უძირითადესი სასიცოცხლო ინტერესები ტყეს - ფლორის ამ გიგანტს დაუკავშირა.

ტყე იყო ადამიანთა კოლექტიური თავშესაფარი, ნადირობისა და დასვენების ადგილი, საზრდოს მოპოვების კეთილსაიმედო უბანი... ცეცხლი, ბინა, საკვები - ყოველივე ეს იმთავითვე ადამიანისათვის ტყის ბევრისმომცველ ცნებაში იყო გაერთიანებული და ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ საზოგადოებრივი განვითარების უძველეს ეტაპზე ტყემ არქაული ადამიანის ანიმისტურ წარმოდგენებში მაგიური შინაარსი შეიძინა და იგი, შეიძლება ითქვას, ფანატიკური თაყვანისცემის ობიექტადაც იქნა აღიარებული. აქაც გასაგებია ტოტემიზმი, ცალკეული ხეების წმინდა მცენარეებად შერაცხვა. ასეთი მცენარეებია: ბზა, ნაძვის ხე, ძელქვა, მუხა, თხმელა და ა.შ. ასეთ მცენარეებთან მთელი რიგი რელიგიური გადმოცემების, ლეგენდებისა და ისტორიული თქმულებების დაკავშირება. აქედან გასაგებია, აგრეთვე, წარსულის ბევრ ქვეყანაში ტყის კულტის გავრცელება და ზოგიერთი ხალხის წარმართულ ღვთაებათა პანთეონში ტყის დარგობრივი ღვთაების არსებობა.

ცნობილია ათასობით საინტერესო ფაქტი ხეთა შესახებ, რომელთა უამრავ სახეობას ხანგრძლივი ისტორია აქვს. ასე მაგალითად, ზოგი ხე ბუმბერაზი იზრდება. 1996 წლის მონაცემებით, ყველაზე მაღალი ხეა კალიფორნიული მარადმწვანე სექვოია, მისი სახელია ჰიპერონი. იგი სიმაღლეში 115,2 მეტრს აღწევს; ზოგი ხე საოცრად დიდხანს ცოცხლობს, კერძოდ ყველაზე „ბებერი" ხე მსოფლიოში იზრდება კალიფორნიაში, მისი ხნოვანება 4800 წელია, მას ფხებიანი ფიჭვი ჰქვია. ასევე შვედეთში შემორჩენილია ჩვეულებრივი ნაძვის ფესვი, რომლის ასაკი 9550 წელს ითვლის, მაგრამ მისგან აღზრდილი ხე უფრო ახალგაზრდაა. ზოგიერთი ხის თესლი მთვარეზეც კი წაიღეს „აპოლონ-14"-ით და უკანვე ჩამოიტანეს. დღეს მთელ აშშ-ში ასობით ასეთი „მთვარის ხე" ხარობს. დედამიწის ცოცხალი ორგანიზმებიდან ყველაზე დიდხანს ხეები ცოცხლობენ, თუმცა უამრავი მათგანი ნაადრევად იღუპება, მავნებლების, დაავადებების, ქარიშხლების, ხანძრებისა თუ ტყის არასწორი ჭრის დროს.

ამრიგად, დედამიწის კეთილდღეობა ბევრადაა დამოკიდებული ტყის რესურსებზე. ტყის რესურსების რაოდენობრივი შეფასება ხდება ტყით დაფარული ტერიტორიების ფართობისა და მათზე ხე-ტყის მარაგის გათვალისწინებით. ამასთან, ტყის რესურსების სამეურნეო შეფასებისას მხედველობაში იღებენ არა ტყით დაფარულ მთლიან ფართობს, არამედ მხოლოდ იმას, რომელზედაც ნებადართულია სამრეწველო ჭრა. გარდა ამისა, ტყის რესურსების შეფასებისას იყენებენ ისეთ კრიტერიუმს, როგორიცაა ტყიანობის კოეფიციენტი, ანუ კორომების სიხშირეს. მაშასადამე, ტყის რესურსების მეტყეურ-ეკონომიკური შეფასების მაჩვენებელთა სისტემას წარმოადგენს: ტყით დაფარული მთლიანი ფართობი, რომელზედაც ნებადართულია სამრეწველო ჭრა, საექსპლოატაციო მარაგი, სიხშირე.

მსოფლიო მასშტაბით ცალკეული კონტინენტის, რეგიონებისა და ქვეყნების მიხედვით ეს მაჩვენებლები განსხვავებულია. 1996 წლის მდგომარეობით მსოფლიო ტყის რესურსების მდგომარეობა ასეთ სურათს იძლევა (იხ. ცხრილი №1).

ცხრილი №1

**მსოფლიო ტყის რესურსები (1996წ.)**

| რეგიონები | ტყიანობა, % | ტყის ფართობი | | მერქნის მარაგი, მლრდ. $მ^3$ |
|---|---|---|---|---|
| | | მლნ. ჰა | 1 სულზე მოსახლეობის, ჰა | |
| დსთ-ს ქვეყნები | 37 | 810 | 3,0 | 86 |
| საზღვარგარეთის ევროპა | 31 | 160 | 0,3 | 15 |
| საზღვარგარეთის აზია | 17 | 540 | 0,2 | 34 |
| აფრიკა | 26 | 720 | 1,3 | 60 |
| ჩრდილოეთ ამერიკა | 31 | 630 | 2,5 | 60 |
| ლათინური ამერიკა | 52 | 930 | 2,2 | 90 |
| ავსტრალია ოკეანეთი | 18 | 160 | 6,4 | 5 |
| სულ მსოფლიოში | 30.0 | 4000 | 0,8 | 150 |

მოტანილი მონაცემებიდან ნათლად ჩანს, რომ ტყიანობის კოეფიციენტი მსოფლიო მასშტაბით განსხვავებულია, მაგრამ მისი საშუალო მაჩვენებელი შეადგენს 34%-ს. მსოფლიო ტყიანობა ისტორიულ ჭრილში ძლიერ შეიცვალა. ბოლო სამ საუკუნეში მისი

საერთო ფართობი ჭრისა და ხანძრების შედეგად განახევრდა. ადამიანის აქტიურ ხელყოფამდე ბუნებრივ ტყეებს ხმელეთის ნახევარზე მეტი ეკავათ. ამჟამად, ტყით დაფარულია დაახლოებით 41 მლნ კმ2 – (დედამიწაზე ხმელეთის ფართობი 149 მლნ $კმ^2$-ია) ანუ მთელი ხმელეთის მხოლოდ 8%. ტყეების შემცირებამ გამოიწვია ბიოსფეროსა და ნიადაგის საფარის მნიშვნელოვანი ცვლილებები, ბევრად გააძლიერა ზედაპირული ჩადინება და ნიადაგის ეროზია, განსაკუთრებით კი მთის ფერდობებზე. მსოფლიოში 21 მლნ ჰა ფართობი არაპროდუქტიული მიწების რანგში ირიცხება, გაეროს ექსპერტების მონაცემებით ხმელეთის 35% გაუდაბნოებას განიცდის.

ტყეების ფართობები ყველაზე მეტად შემცირდა ტროპიკულ და სუბტროპიკულ სარტყელში, ხოლო ზომიერ სარტყელში - ფართოფოთლოვან ტყეებში. ამჟამად, შერეული და ფართოფოთლოვანი ტყეების 40-70% გაჩეხილია. ხმელთაშუა ზღვისპირეთის სუბტროპიკულ ტყეებში ეს მაჩვენებლები 70-85%-ია, ხოლო მუსონურ ტყეებში - 85-90%. დასავლეთ ევროპის რიგ ქვეყნებში კი, ბუნებრივი ტყიანობა 15%-ზე ნაკლებია, სადღეისოდ ტყის ჭრა 20-30 წუთში სიჩქარით მიმდინარეობს, რაც 18-ჯერ აღემატება ტყის ბუნებრივ ნამატს (შემატებას). დარგის მკვლევარ მეცნიერთა და გამოცდილ პრაქტიკოსთა შეხედულებებით კი „დედამიწის ჯანმრთელობის" შესანარჩუნებლად უნდა იყოს ოპტიმალური ტყიანობა - ხმელეთის ტერიტორიის არანაკლებ 30%-ისა.

ამჟამად, მსოფლიოში ტყით მდიდარი ქვეყნებია: კანადა, შვედეთი, ფინეთი, რუსეთი, აშშ, ბრაზილია, ინდონეზია, გაბონია და სხვა (იხ. ცხ.№2)

ტყიანობის მაჩვენებელი ცალკეული ქვეყნების მიხედვით, (1996 წ.)

ცხრილი №2

| ტყით მდიდარი ქვეყნები | | ტყიანობის %-ი | საშუალო ტყიანი ქვეყნები | | ტყიანობის %-ი | მცირე ტყიანი ქვეყნები | | ტყიანობის %-ი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | გვიანა | 95 | 1 | ანგოლა | 48 | 1 | მონღოლეთი | 9 |
| 2. | საფრანგეთი, სურინამი | 91 | 2 | ზამბია | 48 | 2 | ნიდერ-ლანდები | 9 |
| 3. | გაიანა | 85 | 3 | რუსეთი | 45 | 3 | ჩინეთი | 8 |
| 4. | მოზამბიკი | 84 | 4 | ბრაზილია | 38 | 4 | დიდი ბრიტანეთი | 8 |
| 5. | გამბიგნი | 81 | 5 | ზადორი | 38 | 5 | ირანი | 7 |
| 6. | მალაიზია | 71 | 6 | აშშ | 33 | 6 | ისრაელი | 5 |
| 7. | იაპონია | 68 | 7 | კანადა | 33 | 7 | კენია | 4 |
| 8. | ინდონეზია | 65 | 8 | გფრ | 30 | 8 | პაკისტანი | 3 |
| 9. | ეკვადორი | 64 | 9 | მადაგასკარი | 29 | 9 | სირია | 3 |
| 10. | ლაოსი | 60 | 10 | პოლონეთი | 27 | 10 | ერაყი | 2 |
| 11. | ფინეთი | 59 | 11 | ეთიოპია | 27 | 11 | სამხ. აფრიკის რესპ. | 1 |
| 12. | შვედეთი | 54 | 12 | ინდოეთი | 24 | 12 | ალჟირი | 1 |
| 13. | ვენესუელა | 53 | 13 | არგენტინა | 22 | 13 | ავღანეთი | 1 |
| 14. | პერუ | 51 | 14 | ბელგია | 20 | 14 | საუდის არაბეთი | 0,5 |
| 15. | კონგო | 50 | 15 | ავსტრალია | 18 | 15 | ქუვეითი | 0,3 |
| | | | 16 | უნგრეთი | 15 | 16 | ისლანდია | 0,01 |
| | | | 17 | დანია | 12 | | | |

მაშასადამე, ტყიანობის კოეფიციენტის მიხედვით, მსოფლიო ტყეები დაიყო სამ ჯგუფად: პირველ ჯგუფში გაერთიანდნენ ქვეყნები, სადაც ტყიანობის ოპტიმალური (30%) მაჩვენებელი მაღალია, მათ შორის ყველაზე მაღალია ეს მაჩვენებელი გვიანაში - 95%;

საფრანგეთში - 91% და ა.შ. საშუალო ტყიანი ქვეყნებია, სადაც ტყიანობის კოეფიციენტი იცვლება 49-10%-ის ფარგლებში, ამ ქვეყნებში დომინირებს ანგოლა და ზამბია 48-48%„ რუსეთი - 45%, ბრაზილია 38% და ა.შ. მცირე (10-0,01%) ტყიან ქვეყნებში დაახლოებით 16 ქვეყანაა. სადაც ეს მაჩვენებელი 0,01-დან 9%-ის ფარგლებში იცვლება. ირკვევა, რომ მსოფლიოს ყველაზე მცირე ტყიანი ქვეყანაა ქუვეითი - 0,3% და ისლანდია - 0,01%.

ტყის რესურსებს მიეკუთვნება არა მარტო ტყის ფონდის მიწები, არამედ მერქნული რესურსები, არამერქნული რესურსები და ტყის არაპირდაპირი გამოყენების სარგებლობის რესურსები. მსოფლიოში მათი გამოყენების დონე და დინამიკა სისტემატურად იცვლება.

ტყის პირდაპირ სარგებლობას მიეკუთვნება მერქნული სარგებლობა, სადაც გლობალიზაციის განვითარების თანამედროვე ეტაპზე მსოფლიოში ყოველწლიურად 3 მილიარდ მ$^3$ მერქანს მოიპოვებენ. მერქნიული მერქანისგან მზადდება დაახლოებით 20-25 ათასი დასახელების სხვადასხვა სახის ნაკეთობა. აქ პრიორიტეტი ეკუთვნის ქაღალდის წარმოებას. იმისათვის, რომ გამოვიდეს გაზეთის ერთი ნომერი 100000 ტირაჟით, საჭიროა 1,2 ჰა ტყის ერთწლიანი ნაზარდი. ამიტომ, მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში ფართოდ გამოიყენება მაკულატურა, მაგალითად აშშ-ში ქაღალდის 25%, ხოლო იაპონიაში 33% - მაკულატურისაგან მზადდება.

ამრიგად, მსოფლიოს ტყის რესურსები (მერქნული, არამერქნული და არაპირდაპირი სარგებლობის რესურსები) განუზომლად დიდ როლს ასრულებენ საზოგადოების განვითარებაში. მათი ერთიანი ეკონომიკური შეფასება გლობალიზაციის დღევანდელ პირობებში გლობალურ პრობლემათა გადაჭრის ჯგუფში აღირიცხება.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. აბაშიძე ი., დენდროლოგია, ნაწ. I, თბ., 1960, ნაწ. II, თბ., 1962.
2. ბლიაძე მ., საქართველოს რეკრეაციული რესურსები. საქართველოს სტრატე-გიული კვლევების განვითარების ცენტრის ბიულეტენი, თბ., 1998, №10.
3. გიგაური გ., ტყეთმოწყობა, თბ., 2001.
4. ზედგინიძე ა., მსოფლიოსა და საქართველოს ტყის რესურსები, გორი, 2014.


**ავთანდილ ზედგინიძე, ლაშა ზედგინიძე**

**მსოფლიოს ტყის რესურსები გლობალიზაციის პირობებში**

**რეზიუმე**

სტატიაში გაშუქებულია მსოფლიოს ტყის რესურსების გამოყენების თანამედროვე მდგომარეობა. მოტანილია უკანასკნელ პერიოდში ტყის მიწების, მერქნული რესურსების ათვისებისა და გამოყენების მაჩვენებლები მოსახლეობის გაანგარიშებით ერთ სულზე მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში. ამასთანავე, გაანალიზებულია ტყის როლი და მნიშვნელობა ადამიანთა საზოგადოების განვითარებაში.

**Avtandil Zedginidze, Lasha Zedginidze**
**The World Forest Recourses Globalization Terms and Conditions**
**Summary**

The article analyzes and the modern condition of use of the world forest resources. The indices concerning assimilation and usage of forest lands during the last period, wood resources per capita in the world globalization conditions are shown. We have analyzed also the role and importance of forest in the development of human society development.

**Автандил Зедгинидзе, Лаша Зедгинидзе**
**Мировые лесные ресурсы в условиях глобализации**
**Резюме**

В статье проанализированы вопросы современного состояния использования мировых лесных ресурсов. Приведены показатели освоения и потребления лесных земель и древесины на душу населения за последний период, в условиях мировой глобализации. Проанализированы также роль и значение леса в развитии человеческого общества.

**გივი დუჩიძე**
**თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი**

**ვაჟა ზეიკიძე**
**ეკონომიკის აკადემიური დოქტორი**

## სახელმწიფო და კერძო პარტნიორობის როლი აგრობიზნესის მაკროეკონომიკურ რეგულირებაში

საქართველოს აგრობიზნესის მაკროეკონომიკური რეგულირების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მისი ინსტრუმენტები შესაძლებელია ეფექტურად იქნეს გამოყენებული როგორც საწარმოო, ისე სავაჭრო სფეროში. სახელმწიფოს მხრიდან მიუხედავად გარკვეული ძალისხმევისა აგრობიზნესის დარგების და სასურსათო საქონლის მიმოქცევის სფეროში განხორციელებული ცვლილებებისა, აგრობიზნესის ინსტიტუციონალურ სტრუქტურაში არ არსებობს სფერო, რომელიც სტიმულირებას გაუწევს სამეურნეო-ნოვატორულ საქმიანობას.

აგრობიზნესის სისტემაში სამეურნეო (სამეწარმეო) სტრუქტურების დივერსიფიკაციისათვის, ხელისუფლების ორგანოების მიერ, მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნეს ინოვაციური მიდგომები, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფო და კერძო პარტნიორობის მიმართულებების მხარდაჭერას აგრობიზნესის სახელმწიფო რეგულირების საქმეში. აღნიშნული მიდგომა ითვალისწინებს სახელმწიფოს მხრიდან გარე ზემოქმედების ეფექტურ გამოყენებას სამეწარმეო სუბიექტებზე მათთან ჰორიზონტალური და ვერტიკალური კავშირების გამოყენებით, რომელიც ხელს შეუწყობს სამეწარმეო უნარის ამაღლებასა და განვითარებას.

ხელისუფლების ორგანოებმა აქტიურად უნდა გამოიყენონ ეკონომიკური ინსტრუმენტები სახელმწიფოს ამკრძალავ-შემზღუდველი პოლიტიკის ვექტორის ტრანსფორმაციის პროცესში სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის მიმართ, რათა ხელსაყრელი პირობები შეუქმნან ქვეყანაში კომერციული ტიპის ორგანიზაციების ფუნქციონირებას. სახელისუფლებო სტრუქტურებმა აქტიურად უნდა გამოიყენონ საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო რესურსები სასოფლო-სამეურნეო სექტორისა და

სასურსათო საქონლის ბაზრის ინფრასტრუქტურის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოდერნიზაციისა და სრულყოფისათვის.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელთა მატერიალური და ტრანსაქციური (მიმოქცევის) დანახარჯების შემცირების ღონისძიებების გვერდით, სახელმწიფომ უნდა გასწიოს აქტიური მუშაობა, რომელიც უზრუნველყოფს სამეწარმეო ორგანიზაციების მფლობელთა საქმიანი აქტივობის სტიმულირებას საგარეო ბაზარზე. სახელმწიფო, რეგიონალურ და მუნიციპალურ დონეზე მართვის ორგანოებმა უნდა გააფართოვონ ურთიერთობა იმ საწარმოებთან, რომლებიც ახორციელებენ სოფლის მეურნეობის ნედლეულის გადამუშავებას ახალი (ინოვაციური) ტექნოლოგიების დანერგვით. სახელმწიფო ორგანოებმა ასევე უნდა გააფართოვონ კომუნიკაცია იმ ეკონომიკურ სუბიექტებთან, რომლებსაც არა აქვთ საექსპორტო პროდუქციის წარმოების შესაძლებლობა. მაკროდონეზე კომუნიკაციის ძირითად შემადგენელს წარმოადგენს სახელმწიფოს მმართველობითი ზემოქმედება.

სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება უნდა გახდეს ფერმერული მეურნეობების, სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ბიზნეს ფორმირებების ფინანსური მხარდაჭერა, რადგან საკუთრების სხვადასხვა ფორმის მეურნეობათა ინიციატივა განპირობებულია მათი ფინანსური მდგომარეობით. გამომდინარე აქედან, აუცილებელია გააქტიურდეს სახელმწიფოს საფინანსო-საკრედიტო პოლიტიკა, რათა ამაღლდეს ამ სუბიექტების კონკურენტუნარიანობა. ყოველივე ეს კი ნათლად მიუთითებს იმ საბიუჯეტო რესურსების განაწილების აუცილებლობაზე, რომელიც აუცილებელია სამეწარმეო სუბიექტების ძირითადი ფონდების განახლებისათვის.

არასრულყოფილი კოკურენციის პირობებში ფერმერული მეურნეობებისა და სამეწარმეო სუბიექტების არასაკმარის საბიუჯეტო დაფინანსებას მივყავართ მხოლოდ დეზინტეგრაციული პროცესების ნაწილობრივ შეზღუდვებთან. მარტო საბრუნავი საშუალებები მეურნეობათა უმრავლესობას არ აძლევს საშუალებას შექმნან ნედლეულის გადამამუშავებელი ბაზა, განაახლონ მოძველებული მანქანა-დანადგარები და განახორციელონ გაფართოებული კვლავწარმოება. ამის გამო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს არ შესწევთ უნარი დროულად მოახდინონ ანგარიშსწორება მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მომწოდებლებთან და წინ აღუდგნენ ინფლაციას.

რეგიონალური და მუნიციპალური ხელისუფლების ორგანოები ადგილებზე უნდა აკონტროლებდნენ საბიუჯეტო სახსრების განაწილებას და ათვისებას აგრარულ საწარმოთა მიერ. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს აგრობიზნესის სისტემაში ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიულ წინააღმდეგობათა შემცირებას, რათა ეფექტურად განახორციელოს მმართველობითი ზემოქმედება.

აღნიშნულ ფორმატში მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშოს საქართველოს რეგიონალურმა და მუნიციპალურმა სახელისუფლებო სტრუქტურებმა. მათი აქტიური მხარდაჭერით ადგილებზე უნდა განხორციელდეს აგრარული მეწარმეობის განვითარების მხარდამჭერი პროექტები, რომლებიც განსაზღვრავენ მისი განვითარების ძირითად მიმართულებებს ორგანიზაციულ-ინსტიტუციონალურ კომპლექსურ ღონისძიებათა ხარჯზე. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრების პირობებში მათი მთავარი ამოცანა უნდა გახდეს ეკონომიკური, სამართლებრივი და ორგანიზაციულ ინსტრუმენტთა ერთობლიობა, რომელიც ხელს შეუწყობს განვითარებული აგრარული მეწარმეობის ინფრასტრუქტურის ფორმირებას. აღნიშნულ ინსტრუმენტთა გამოყენებით რეგიონული და მუნიციპალური ორგანოები უშუალო ზეგავლენას ახდენენ ფერმერული მეურნეობების, სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ბიზნეს-სტრუქტურების ეკონომიკურ ზრდაზე.

სამეწარმეო და სავაჭრო პროტექციონიზმის შემდგომი განვითარების კუთხით რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე მიზანშეწონილია გამოვყოთ შემდეგი მიმართულებები:

- აგრობიზნესის საკანონმდებლო ბაზის დახვეწა და შესაბამისობაში მოყვანა სახელმწიფო რეგულირების პრიორიტეტებთან;
- აგრარულ სფეროში დასაქმებულ მეწარმეთა ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმის სრულყოფა;

- ადგილებზე, ფერმერთა საკონსულტაციო ცენტრებში ფერმერულ მეურნეობათა ინფორმაციული უზრუნველყოფის სისტემის შექმნა და ინფომაციის მიწოდების თანამედროვე ტექნოლოგიის დანერგვა;
- საექსპერტო პროდუქციის წარმოებაზე ორიენტაციის აღების ხელშეწყობა;
- აგრარულ სფეროში დასაქმებულ მეწარმეთა პროფესიული დონის ამაღლება და გადამზადება.

საქართველოს აგრობიზნესის სისტემაში სახელმწიფო რეგულირების სამართლებრივ ბაზასთან ადაფტაციის მიზნით აუცილებელია ნორმატიული აქტების კორექტირება, რომელშიც კონკრეტულად ასახული იქნება მეწარმე სუბიექტებისათვის მხარდაჭერის ეტაპები. სამეწარმეო სფეროში მოქმედ საკანონმდებლო აქტებში კორექტირების შეტანის დროს უნდა გაფართოვდეს სამეწარმეო სტრუქტურების პროტექციონისტული სპექტრი, რომლებიც ფუნქციონირებენ სამეწარმეო სფეროში სოფლის მეურნეობისათვის წარმოების საშუალებების ბაზარზე და ახორციელებენ ტრანსფორმაციულ და ტრანსაქციურ მომსახურებას. ქვეყნის მასშტაბით მაკროდონეზე საგადასახადო კოდექსში გათვალისწინებულ უნდა იქნეს გადასახადების დაწესებისას დიფერენციაცია მცირე, საშუალო და მსხვილი მეურნეობების მიხედვით.

კერძო და სახელმწიფო პარტნიორობის სახელმწიფო რეგულირების მხარდამჭერი მიმართულება შეთანხმებული უნდა იქნეს საბანკო, სადაზღვეო და საინვესტიციო სექტორებთან, რომლებიც უშუალოდ ახორციელებენ სასოფლო-სამეურნეო სექტორის მომსახურებას. ამის საუკეთესო მაგალითია თანამედროვე ეტაპზე კომერციული ბანკების მიერ სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ მეწარმეთათვის შეღავათიანი დაბალპროცენტიანი აგროკრედიტების გაცემა 20 წლის ვადით. ამასთან ერთად დიდი ყურადრება უნდა განხორციელდეს სოფლად სამეწარმეო საქმიანობის დაზღვევის კუთხით, განსაკუთრებით მემცენარეობისა და მეცხოველეობის დარგებში.

გრძელვადიან პერიოდში საჭიროა აქტიურად იქნეს გამოყენებული აგრარული მეწარმეობის მხარდამჭერი ფონდები, რომელთა ფორმირება განხორციელდება როგორც საბიუჯეტო, ისე არასაბიუჯეტო წყაროებიდან. აღნიშნული საშუალებები შემდგომ შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა მიზნობრივი პროექტებისა და პროგრამების დასაფინანსებლად. ამ მიზნით საქართველოს მთავრობის ინიციატივით შეიქმნა საპარტნიორო ფონდი, რომელიც აქტიურად არის ჩართული მიზნობრივი პროექტების დაფინანსებაში.

ფართო ყურადღებას იმსახურებს კონცესიური ხელშეკრულებები, რომელთა თვისებასაც განეკუთვნება ის, რომ სახელმწიფო, რეგიონალური და მუნიციპალური სახელისუფლებო ორგანოების სახით, პარტნიორული ურთიერთობების ფარგლებში გვევლინება რა ქონების მესაკუთრედ, ხდება კონცესიური შეთანხმების საგანი და უფლებამოსილებას აძლევს კერძო ინვესტორს გარკვეული ვადის მანძილზე შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფუნქციები და აღჭურვავს მას სათანადო უფლებებით, კონცესიის ობიექტის ნორმალური ფუნქციონირებისათვის. ამასთან ერთად სახელმწიფო ან მუნიციპალური საკუთრებით სარგებლობისათვის კონცესიები იხდიან გადასახადებს კონცესიაში მითითებული შეთანხმების საფუძველზე. კონცესიის საფუძველზე წარმოებულ პროდუქციაზე საკუთრება გადაეცემა კონცესიონერს.

ბოლო პერიოდში სოფლის მეურნეობაში ფართო გავრცელება ჰპოვა მიწის არენდამ. მუნიციპალური ფონდებიდან მოზნობრივი პროგრამების რეალიზაციის პროცესში ასევე ფართოდ გავრცელდა ტექნიკის, მოწყობილობებისა და სანაშენე პირუტყვის შეძენა ლიზინგით.

უკანასკნელ წლებში ფართოდ მოიკიდა ფეხი სახელმწიფო და კერძო პარტნიორობის ახალმა მოდელმა „შეთანხმება პროდუქციის გაყოფის შესახებ“, რომელიც გვახსენებს ტრადიციულ კონცესს, მაგრამ მაინც განსხვავდება მისგან. განსხვავება მდგომარეობს უწინარეს ყოვლისა საკუთრებითი ურთიერთობების სხვადასხვა კონფიგურაციაში სახელმწიფოსა და კერძო პარტნიორებს შორის. თუ, კონცესიაში კონცესიონერს საკუთრების უფლებით ეკუთვნის მთელი წარმოებული პროდუქცია, ახალ მოდელში პროდუქციის გაყოფის შესახებ, უკვე პარტნიორს ეკუთვნის მხოლოდ მისი ნაწილი. პროდუქციის გაყოფის პირობებს სახელმწიფოსა და ინვესტორს შორის

განსაზღვრავს სპეციალური შეთანხმება. როგორც წესი კონტრაქტები სახელმწიფო ორგანოებთან ძალზე მიმზიდველია კერძო ბიზნესისათვის, რადგან იგი მას აძლევს მყარი ბაზრისა და შემოსავლის მიღების გარანტიას. ურთიერთობის ეს ფორმა საქართველოს აგრობიზნესის სისტემაში თანდათან იწყებს დაფუძნებასა და გამოყენებას.

სახელმწიფო და კერძო პარტნიორობის განსაკუთრებულ ფორმას წარმოადგენს ასევე პრიორიტეტული ნაციონალური მიზნობრივი პროექტები და პროგრამები, რომელთაგან აღსანიშნავია: მელიორაციის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს მწყობრიდან გამოსული სარწყავი სისტემის აღდგენას და ნიადაგის დაჭაობების შემდგომ თავიდან აცილებას; მარცვლეულის წარმოების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს სიმინდის კულტურის მოვლა-მოყვანის თანამედროვე ტექნოლოგიის დანერგვას; მევენახეობის განვითარების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს მევენახეობასა და მეღვინეობაში მოსავლის მიღებისა და გადამუშავების მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვას; მეცხოველეობის აღდგენის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს მეცხოველეობაში ტრადიციული დარგების აღდგენა-განვითარებას და ა.შ.

საქართველოში აგრარული სფეროს პრიორიტეტული დარგების განვითარებისათვის მეტად მნიშვნელოვანია პარტნიორობის ისეთი ფორმის განვითარება, როგორიცაა განსაკუთრებული ეკონომიკური ზონების შექმნა. თავდაპირველად განისაზღვრა სამი ტიპის ეკონომიკური ზონის შექმნა, კერძოდ: ა)სამრეწველო-საწარმოო; ბ)ტექნიკურ სიახლეთა დანერგვის; გ) ტურისტულ-რეკრიაციული, რომელსაც შემდგომში დაემატა საპორტო. ეკონომიკური ზონების ფორმირების მექანიზმი ეფუძნება პრეფერენციებს სამი მიმართულებით: საგადასახადო და საბაჟო შეღავათები; ინფრასტრუქტურის სახელმწიფო დაფინანსება; ადმინისტრაციული ბარიერების შემცირება.

თანამედროვე მსოფლიო გამოცდილება ცხადყოფს ეკონომიკურ ზონათა ეფექტიანობას, მაგრამ მიუხედავად ამისა ამ ფორმამ საქართველოში დღეისათვის ვერ მოიპოვა ფართო გავრცელება. ჩვენი აზრით, მომავალში მისი გამოყენება ერთობ ხელსაყრელი და მისაღებია დეპრესიულ რეგიონებში, რომელთა ბიუჯეტები განიცდიან ფინანსების დეფიციტს აგრარული სფეროს ინოვაციურ-საინვესტიციო პროექტების თანადაფინანსებისა და მათ ტერიტორიაზე განლაგებული აგრობიზნესის დარგების მოდერნიზაციისას.

სასოფლო-სამეურნეო სექტორის საინვესტიციო მიმზიდველობის მიზნით ხელისუფლების ორგანოების საქმიანობა სასურველია მიმართულ იქნეს მოტივაციური გარემოს ფორმირებისაკენ, რომელიც ხელს შეუწყობს ფინანსური კაპიტალის ეფექტურ გამოყენებას აგრარულ სექტორში. სახელმწიფო საბიუჯეტო სახსრებისა და კერძო ინვესტიციების რესურსების განაწილებამ უნდა უზრუნველყოს სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და სურსათის გაფართოებული კვლავწარმოება და სასოფლო-სამეურნეო საქონელმწარმოებელთა ტრანსაქციური დანახარჯების მინიმიზაცია. ჩვენს ხელთ არსებული საექსპერტო შეფასებები მოწმობენ, რომ მასტიმულირებელი საკრედიტო, სადაზღვევო, საბაჟო-სატარიფო და საგადასახადო გარემოს სექმნა, მეწარმე სუბიექტებისათვის უზრუნველყოფს აგრარულ სფეროში ძირითადი სახის პროდუქციის წარმოების გადიდებას 1.5-2 ჯერ. ამის შედეგად იზრდება საკუთრების სხვადასხვა ფორმის მეურნეობათა სამეწარმეო ალღო და ინიციატივა, ხოლო სასურსათო საქონლის შიდა ბაზარზე გვევლინება მაღალხარისხიანი სასურსათო საქონელი მინიმალური დანახარჯებით.

დადებითი ეკონომიკური შედეგების მიღწევის მიზნით, ხელისუფლების მართვის ორგანოების მიერ გადახედვას საჭიროებს საგადასახადო შეღავათების სისტემა. მან ხელი უნდა შეუწყოს აგრარულ სფეროში დასაქმებულ მეწარმე სუბიექტების ზრდას, მათი საქონლისა და მომსახურების სოციალურ დანიშნულებას, გადასახადების აშორების გადიდებას ეფექტურად ფუნქციონირებადი ბიზნეს-ფორმირებებიდან. დღეისათვის მოქმედი გადასახადების სახეები, მათი სიდიდე და გადახდის პირობები არ ასრულებს მასტიმულირებელ როლს მცირე და ფინანსურად არამდგრადი მეწარმე–სუბიექტებისათვის. თანამედროვე ეტაპზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელ საწარმოებს არ გააჩნიათ პერსპექტივა საკუთარი ტრანზაქციური

დანახარჯების მინიმიზაციისა, რადგან მათ უხდებათ რეგულარულად ბიუჯეტში ქონების, დამატებული ღირებულებისა და მოგების გადასახადების გადარიცხვა.

გადასახადების მაღალი დონე გავლენას ახდენს აგრობიზნესში დასაქმებულ საწარმოთა ტრანზაქციური ხარჯების ზრდის ტემპზე, რაც თავის მხრივ აქვეითებს მათ კონკურენტუნარიანობას ქვეყნის შიდა და გარე ბაზრებზე. სასოფლო-სამეურნეო სექტორის საინვესტიციო მიმზიდველობის გაზრდის მიზნით ხელისუფლების ორგანოებმა მხარი უნდა დაუჭირონ ფიუჩერსული ბირჟების, ეკონომიკური ზონების, ინტეგრირებულ სამეწარმეო ფორმირებათა დივერსიფიკაციას.

ეფექტური კომუნიკაციის განვითარების ჰორიზონტალურ ვექტორში სახელმწიფომ აქტიურად უნდა დაუჭიროს მხარი საწარმოო-ტრეიდული ტიპის ორგანიზაციათა დივერსიფიკაციას. ამ დროს მხედველობაშია მისღები ის გარემოება, რომ საწარმოო ოპერაციების გვერდით ისინი ასრულებენ საშუამავლო-გასაღების ფუნქციებს. მათი საქმიანობა მიზანშეწონილია დაუკავშირდეს საქართველოს საწარმოთა კონკურენტუნარიანობის ამაღლების ამოცანის გადაჭრას საგარეო ბაზარზე.

ამ მიზნით აუცილებელია დაკონკრეტდეს პარტნიორული ურთიერთობის ფორმების მოტივაცია სახელმწიფოსა და საწარმოო-მარკეტინგულ სტრუქტურებს შორის, რომლებიც ფუნქციონირებენ სასურსათო საქონლის მიმოქცევის სფეროში. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისათვის მეწარმე სუბიექტებთან პარტნიორობის მასტიმულირებელ მოტივს წარმოადგენს შემოსავალი აგრარული სფეროს პროდუქციის რეალიზაციიდან და მოგების გადასახადი. ხელისუფლების ორგანოებთან სამეწარმეო-კომერციული ორგანიზაციების ურთიერთობის დამყარებას განაპირობებს, მათი მხრიდან სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და პროდუქციის გასაღებაზე მყარი გარანტიის მიღება და პერსპექტივაში პროდუქციის მარკეტინგზე გაწეული ხარჯების შენაცვლებას სახელმწიფოს მხრიდან.

საქართველოს აგრობიზნესის სისტემაში სახელმწიფო რეგულირება საჯარო და კერძო პარტნიორობის პირობებში უნდა პასუხობდეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისა და კორპორაციების ეკონომიკურ ინტერესებს. სამომავლოდ ასეთი სტრუქტურების დივერსიფიკაცია ხელს უწყობს მზა პროდუქციის გასაღების ბაზრებიდან სანედლეულო ზონების მოწყვეტის დაძლევას, ხოლო აგროფირმების, აგროკომბინატებისა და აგროკონსორციუმების დინამიური განვითარება კი უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი სასურსათო საქონლის მყიდველთა რიცხვის ზრდას. აღნიშნული ზრდა კი განაპირობებს სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის წარმოების, გადამუშავებისა და რეალიზაციის დასრულებული ციკლის ფორმირებას, რომელიც საბოლოო ჯამში ხელს უწყობს ორგანიზაციათა ტრანზაქციული დანახარჯების შემცირებას აგრობიზნესის სისტემაში. ამის შედეგად სახეზე გვაქვს ამ სფეროში ნედლეულის ეკონომია, რაც საბოლოოდ უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და სურსათის ბაზრებზე მომხმარებელთა მოთხოვნილებების დაჩქარებულ დაკმაყოფილებას.

საქართველოს აგრობიზნესის სისტემაში მაღალი ეფექტიანი სტრუქტურების მხარდაჭერა, ერთი მხრივ განპირობებულია მსოფლიო საბაზრო სივრცის მოთხოვნათა ათვისებით, ხოლო მეორე მხრივ მემცენარეობისა და მეცხოველეობის დარგების მალფუჭადი პროდუქტების განსაზღვრის აუცილებლობით. ეს უკანასკნელი კი უბიძგებს ხელისუფლების ორგანოებს ქვეყნის აგრობიზნესის სფეროში მოქმედ სამეწარმეო ფორმირებათა მიმართ პროტექციონისტული პოლიტიკის გატარებისაკენ. ჩვენი აზრით, სახელმწიფო და კერძო პარტნიორობის პირობებში სახელმწიფო მხარდაჭერის პრიორიტეტულ მიმართულებას აგრობიზნესში წარმოადგენს ფერმერულ მეურნეობათა, სასოფლო-სამეურნეო საწარმოების, გადასამუშავებელი და სავაჭრო ორგანიზაციათა სტიმულირება აგროჰოლდინგის ფარგლებში. მართვის ასეთი სტრუქტურის ფორმირება და განვითარება ხორციელდება ხელისუფლებისა და სამეწარმეო ორგანიზაციების ჰორიზონტალურ ვექტორში მათი კომუნიკაციით და არ იწვევს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელთა ტრანზაქციული დანახარჯების ზრდას.

აღნიშნულმა ფორმირებებმა შესაძლოა გააერთიანოს სხვადასხვა დარგში შემავალი ეკონომიკური სუბიექტები, ინფრასტრუქტურის მომსახურე ობიექტების ჩათვლით. მათ ორგანიზაციულ მმართველობით სტრუქტურაში შესაძლებელია შედიოდეს

სარეკლამო სააგენტოები, საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრები, ასევე საბითუმო და საცალო ვაჭრობის ორგანიზაციები. ისინი ერთმანეთთან ურთიერთობენ საკონტრაქტო საფუძველზე, სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული მონიტორინგის განხორციელებით, თუ როგორ სრულდება პარტნიორთა ინსტიტუციონალური შეთანხმებები აგრობიზნესში. ყოველივე ეს მიგვანიშნებს, რომ აგროჰოლდინგის ფარგლებში ხელისუფლების ორგანოები ახორციელებენ ხარჯების შენაცვლებას, რომლებიც დაკავშირებულია მათი ზემოქმედების აუცილებლობასთან გადამამუშავებელი მრეწველობისა და ვაჭრობის ობიექტებზე.

საქართველოს რეგიონებში საჯარო და კერძო პარტნიორობის მიზნით კანონზომიერად მიგვაჩნია საწარმოო-ტრეიდული ორგანიზაციების ჩამოყალიბება, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია საბაზრო ინფრასტრუქტურასთან. მათი შექმნის მიზანშეწონილობა აიხსნება იმით, რომ საკმარისი გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოთა სიმძლავრეების არარსებობისა და მათში თანამედროვე ტექნოლოგიური მოწყობილობების უქონლობის გამო, საქართველოში საბოლოო პროდუქციის გამოსავლიანობა ერთ ტონა სასოფლო-სამეურნეო ნედლეულიდან არ აღემატება 60-70%-ს. გასაღების ბაზრებიდან დაშორებულ საწარმოებს არ გაჩნიათ სათანადო გადამამუშავებელი სიმძლავრეები, ნედლეულის ტრანსპორტირებისათვის სპეცტრანსპორტი, რის გამოც იკარგება აგრარულ სფეროში წარმოებული მალფუჭადი ნედლეულის 30-40%-ი.

აგროჰოლდინგების ფარგლებში სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ყიდვა-გაყიდვაზე გარიგებათა ფორმალური უზრუნველყოფა წვრილ, საშუალო და მსხვილ საწარმოებს შორის ხელს უწყობს სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გაყიდვების მოცულობების ზრდას და საშუალებას იძლევა უფრო ეფექტურად იქნეს გამოყენებული მათი საწარმოო სიმძლავრეები და ვქმნით ოპტიმალურ პირობებს ტრანზაქციული დანახარჯების შემცირებასა და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის მწარმოებლებში.

პრაქტიკულად არსებული მიდგომა ხელს უწყობს ფერმერულ მეურნეობებში, სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და კორპორაციულ ბიზნეს-სტრუქტურებში თვითრეგულირების პოტენციალის ეფექტური გამოყენების ზრდას. იგი საშუალებას იძლევა აგრობიზნესის საწარმოო და სავაჭრო სფეროებში შესვლისას სხვადსხვა ინსტიტუტებით, ორგანიზაციებით და მატერიალური, ადამიანური, ტექნიკური და ინფორმაციული რესურსების კონცენტრირებით გავზარდოთ სასურსათო საქონლის გასაღების მოცულობა.

პარტნიორული ურთიერთობების დამყარების წარმოდგენილ მექანიზმში ხელისუფლების ორგანოები ასრულებენ კოორდინატორის ფუნქციას და უზრუნველყოფენ მონიტორინგს აგრობიზნესში დასაქმებულ პარტნიორთა შორის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე. ხელისუფლების ორგანოები ასევე სამეწარმეო ორგანიზაციებს უწევენ საკონსულტაციო-ინფორმაციულ მომსახურებას და გვევლინებიან მათ მიერ წარმოებული პროდუქციის გარანტად სახელმწიფო შესყიდვების სახით.

საკითხის ამ კუთხით დაყენება ხელს შეუწყობს მეწარმე სუბიექტების ტრანზაქციური დანახარჯების მინიმიზაციას, რეგიონთაშორის სავაჭრო ბარიერების ლიკვიდაციას, რაც საბოლოო ჯამში მოშლის ხელისუფლების ორგანოების მხრიდან სასოფლო-სამეურნეო ნედლეულზე და პროდუქციაზე ხელოვნური ფასების დაწესებას, შეზღუდვებს პროდუქციის გადაადგილებაზე და გაუმართლებელ მონიტორინგს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლებზე. ამასთან ერთად საჯარო და კერძო პარტნიორობის სახელმწიფო რეგულირების საფუძველი უნდა გახდეს ეკონომიკური, სამართლებრივი და ორგანიზაციული პირობების დახვეწა, საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარება, რომელიც უზრუნველყოფს სამეწარმეო საქმიანობის მიმზიდველობის ზრდას ქვეყანაში.

საქართველოს პარლამენტმა 2013 წელს მიიღო კანონი „სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების შესახებ“. აღნიშნული კანონის თავისებურებათა გათვალისწინებით სოფლის მეურნეობის სამინისტროს სტრუქტურაში შეიქმნა ახალი დეპარტამენტი, სსიპ - სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო. წარმოდგენილი სახელმწიფო უწყების ფუნქციას განეკუთვნება სასოფლო-სამეურნეო

კოოპერატივებისათვის სტატუსის მინიჭება და კოოპერატივებისათვის კანონით გათვალისწინებული სახელწიფო ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელება.

ქვეყნის აგრობიზნესის სისტემაში მარკეტინგული ხარჯების მართვის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს სწორედ სახელწიფო და კერძო პარტნიორობა, ფიუჩერსული კონტრაქტების გაფორმებისას საინფორმაციო და კონსალტინგურ მომსახურებაზე საკუთრების სხვადასხვა ფორმის მფლობელ სტრუქტურებთან, რომლის დროსაც სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს მეურნეობათა თვითრეგულირების პოტენციალი და განავითაროს პარტნიორული ურთიერთობების მხარდაჭერა მემცენარეობისა და მეცხოველეობის დარგებში.

ეკონომიკურად განვითარებული გადაწყვეტილებების მისაღებად ხელისუფლების ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ საკუთარი  დადგენილებების თანხვედრა სამეწარმეო სტრუქტურების მიზნებთან და ინტერესებთან. სახელისუფლებო ძალაუფლებით აღჭურვილი სამთავრობო სტრუქტურები უნდა ისწრაფოდნენ არა მარტო ფერმერულ მეურნეობათა მზარდი მოთხოვნების დაკმაყოფილებისაკენ, რომელმაც უნდა უზრუნვეყოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელთა ტრანზაქციული ხარჯების შენაცვლება.

აღნიშნული მიზნების განხორციელებამ არ უნდა გამოიწვიოს მეურნე-სუბიექტებში შეზღუდული სახელმწიფო რესურსებისადმი მომხმარებლური მიდგომა. მათმა მიღწევებმა დარგში უნდა უზრუნველყონ გაწეული სახელმწიფო ხარჯების ანაზღაურება გარკვეული დროის მანძილზე, რაც მოითხოვს მიზნობრივ დაკრედიტებას და კრედიტების მიზნობრივ დაბრუნებადობას ვადებში. აღნიშნულ ასპექტში საუბარი მიდის ხარჯების რაციონალურ მართვაზე და აგრობიზნესში დასაქმებულ ორგანიზაციათა კონკურენტუნარიანობის ამაღლების სასურველი გარემოს შექმნაზე, რომელთაც შესწევთ ძალა გაამდიდრონ სასურსათო ბაზარი ხარისხიანი პროდუქციის ფართო ასორტიმენტით. სახელმწიფოს ზეგავლენა მიმართული კონკურენციის განვითარებისაკენ, უნდა ითვალისწინებდეს ორგანიზაციულ-ინსტიტუციონალურ ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ბიუჯეტის ხარჯების გარკვეულ ზრდას და სამეწარმეო ალღოსა და ინიციატივის ამაღლებას.

აღნიშნული მიმართულებით სახელმწიფოს შესწევს ძალა აქტიურად გამოიყენოს ფინანსური რესურსები შესყიდვებისა და სასაქონლო ინტერვენციის წარმოებისათვის, რომლის საშუალებით სასოფლო-სამეურნეო საქონელმწარმოებლები ღებულობენ საკუთარი პროდუქციის გასაღების გარანტიას. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სახელისუფლებო სტრუქტურების საშუამავლო მონაწილეობა უზრუნველყოფს კერძო მეწარმეთა სამეურნეო ხარჯების შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აგრარული ნედლეულისა და სურსათის მყიდველების მოძიებასთან. გამომდინარე აქედან, სახელისუფლებო სტრუქტურები ორგანიზებულ სასურსათო ბაზრებზე ახორციელებენ შემდეგ ორგანიზაციულ-ინსტიტუციონალურ ქმედებებს:

- საბაზრო ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფა, რომელიც დაკავშირებულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელთა ტრანზაქციული დანახარჯების შენაცვლებასთან;
- აგრარული ნედლეულის ბაზარზე სასაქონლო ოპერაციების სამართლებრივი რეგულირება, მიმართული ფასების ზრდის შესაჩერებლად, გადამამუშავებელ საწარმოთა ტრანსფორმაციულ მომსახურებაზე;
- საექსპორტო სოფლის მეურნეობის მზა პროდუქციის წარმოების მიზნით, სავალდებულო სტანდარტიზაციის სამეურნეო ხარჯების შენაცვლებას.

აგრარული პროდუქციის ფასების სტრუქტურაში დამატებული ღირებულების შემცირების მიზნით საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო საკუთარი რეგიონული სურსათის უვნებლობის სამსახურისა და მუნიციპალური ფერმერთა საკონსულტაციო ცენტრების საშუალებით ახორციელებს ადგილებზე აგრობიზნესში ჩართული მეწარმე-სუბიექტების საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურებას, რაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს მეწარმე-სუბიექტების ერთობლივი ხარჯების მინიმიზაციას.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულია რეგიონულ და მუნიციპალურ სტრუქტურებში აგრობიზნესის მომსახურების მოცულობათა გაზრდა, რომელიც უწინარეს ყოვლისა ითვალისწინებს მეწარმე-სუბიექტების ინფორმირებას სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების თანამედროვე ტექნოლოგიების, სასურსათო ბაზრების კონიუნქტურის, ბაზრებზე პროდუქციის საორიენტაციო ფასებისა და შესაძლო კონკურენციის შესახებ.

არასრულყოფილი კონკურენციის პირობებში სახელმწიფოს მაკოორდინირებელი როლი აგრობიზნესის სფეროში მდგომარეობს საკუთრების სხვადასხვა ფორმის მქონე მეწარმე-სუბიექტებისათვის მასტიმულირებელი გარემოს შექმნაში. ასეთი მიდგომა ითვალისწინებს აგრარული მეწარმეობის სახელმწიფო რეგულირების ისეთი ელემენტების გამოყენებას, როგორიცაა მომხმარებელთა მოთხოვნილებების გამოვლენა სასურსათო საქონელზე და მომსახურებაზე, აგრობიზნესში პარტნიორთა ინფორმაციული მომსახურების ორგანიზაციის ღონისძიებების შემუშავება და გამოყენება.

ზემოთ დასმული ამოცანების გადასაჭრელად სამთავრობო სტრუქტურებს საქართველოში გააჩნიათ სათანადო რესურსული პოტენციალი, რომლის გამოყენებაც უახლოეს პერსპექტივაში უზრუნველყოფს აგრობიზნესის სისტემაში სახელწიფო და კერძო მეწარმე სუბიექტების საქმიანობის კოორდინაციასა და დაახლოებას.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. დუჩიძე გ., საქართველოს ხორცის ბაზრის ფორმირებისა და ფუნქციონირების საფუძვლები, ჟურნალი „ეკონომიკა“, თბ., 2006, №6.
2. ყამარაული ს., დუჩიძე გ., ყამარაული ი., სოფლის მეურნეობის ეკონომიკა და აგრობიზნესი, თბ., 2011.
3. ძაგნიძე გ., აგრობიზნესი, თბ., 2009.

**გივი დუჩიძე, ვაჟა ზეიკიძე**

**სახელმწიფო და კერძო პარტნიორობის როლი აგრობიზნესის მაკროეკონომიკურ რეგულირებაში**

**რეზიუმე**

საქართველოს აგრობიზნესის მაკოროეკონომიკური რეგულირების ანალიზი გვიჩვენებს, რომ სახელმწიფო რეგულირება საჯარო და კერძო პარტნიორობის პირობებში უნდა პასუხობდეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისა და კორპორაციების ეკონომიკურ ინტერესებს. პერსპექტივაში ასეთი სტრუქტურების დივერსიფიკაცია ხელს შეუწყობს მზა პროდუქციის გასაღების ბაზრებიდან სანედლეულო ზონების მოწყვეტის დაძლევას, ხოლო აგროფირმების, აგროკომბინატებისა და აგროკონსორციუმების დინამიური განვითარება კი უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი სასურსათო საქონლის მყიდველთა რიცხვის ზრდას.

ხელისუფლების ორგანოებმა აქტიურად უნდა გამოიყენონ ეკონომიკური ინსტრუმენტები სახელმწიფოს ამკრძალავ-შემზღუდველი პოლიტიკის ვექტორის ტრნსფორმაციის პროცესში სახელწიფო-კერძო პარტნიორობის მიმართ, რათა ხელსაყრელი პირობები შეუქმნან ქვეყანაში კომერციული ტიპის ორგანიზაციების ფუნქციონირებას.

დასახული ამოცანების გადასაჭრელად სამთავრობო სტრუქტურებს საქართველოში გააჩნიათ სათანადო რესურსული პოტენციალი, რომლის გამოყენებაც უახლოეს პერსპექტივაში უზრუნველყოფს აგრობიზნესის სისტემაში სახელწიფო და კერძო მეწარმე სუბიექტების საქმიანობის კოორდინაციას და დაახლოებას.

**Givi Duchidze, Vazha Zeikidze**

**The Role of State and Private Partnership in Macroeconomic Regulation of Agricultural Business**

**Summary**

The analysis of macroeconomic regulation of agricultural business in Georgia shows that the state regulation in terms of public and private partnership shall meet the economic interests of agricultural cooperatives and corporations. In the perspective, the diversification of such structures will help overcome the process of splitting the primary goods zones away from the markets of the finished products, while the dynamic development of agricultural firms, agricultural enterprises and agricultural consortiums will provide the growth of buyers of competitive food products.

The governmental bodies shall intensively apply to the economic instruments in process of transformation of the vector of the state restrictive-prohibitive policy with regards to state-private partnership in order to support the development of comfortable environment for the functioning of commercial organizations in the country.

Governmental bodies in Georgia have sufficient resource and potential to solve the targeted tasks and the use of this potential in close prospective will ensure the coordination and help bring closer to each other the operation of private and state entities in Georgia's agricultural business.

**Гиви Дучидзе, Важа Зеикидзе**

**Роль государственного и частного партнёрства в макроэкономическом регулировании агробизнеса**

**Резюме**

Анализ макроэкомического урегулирования агробизнеса Грузии показывает что государственно - частное партнёрство должно отвечать экономическим интересам сельскохозяйственных кооперативов и корпорации. В перспективе диверсификация таких структур поможет сближению рынка сбыта готовой продукции и рынка сырья, а динамичное развитие агрофирм, агрокомбинатов и агроконсорциумов обеспечит повишение численности конкурентноспособных производителей продоволственных товаров.

**სოფიო ბლიაძე**
**თბილისი სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი**

**ლია ბიბილაშვილი**
**გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი**

## დროის ეფექტიანი მართვა, როგორც წარმატების მიღწევის საწინდარი

თანამედროვე სამყაროში არსებობისა და წარმატების მიღწევაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს დროის რაციონალური განაწილება და მისი სწორი მენეჯმენტი.

ყოველდღიურად იზრდება უკმაყოფილება იმის გამო, რომ ვერ ასწრებთ საჭირო საქმეების დასრულებას? გინდათ ყველაფერი გააკეთოთ, მაგრამ ვერ ახერხებთ და შექმნილი დისკომფორტი არ გაძლევთ დასვენებისა და განტვირთვის საშუალებას? ესე იგი თქვენ ვერ მართავთ თქვენს ყველაზე ძვირადღირებულ რესურსს – თქვენს დროს.

რა გიშლით ამაში ხელს? სამსახური, სოციალური ქსელი, პირადი ურთიერთობები, არაეფექტურად გადანაწილებული სამუშაო დღე. შედეგად უკმაყოფილება საკუთარი საქმისა და პიროვნების მიმართ, რაც შემდგომში ახალი შესაძლებლობის გამოჩენისას პესიმიზმის საფუძველი ხდება. ხშირად ვფიქრობთ: „მაინც ვერ მოვასწრებ, ამის დრო არ მაქვს.“ სინამდვილეში კი საჭიროა გააცნობიეროთ, რომ არ არსებობს დრო ყველაფრის გასაკეთებლად რაც გვსურს, მაგრამ არის საკმარისი დრო იმის გასაკეთებლად რაც საჭიროა. თუ განსაზღვრული გვაქვს რისი მიღწევაც გვინდა ცხოვრებაში, გარკვეული ხარ შენს მიზნებში და მაშინ იწყებ დროის ეფექტურ დაგეგმვას.

დროის მენეჯმენტი არის ცხოვრების მართვა. შენ შეგიძლია აკონტროლო მოვლენების თანმიმდევრობა, აკონტროლო თუ რა უნდა გააკეთო შემდეგ და შენ ყოველთვის თავისუფალი ხარ არჩევანში რა გააკეთო. მთავარია განსაზღვრო მნიშვნელოვანი და ნაკლებად მნიშვნელოვანი დავალებები, რაც წარმატების საწინდარია.

პასუხი იმაზე თუ რატომ ხდება ზოგიერთი ადამიანი უფრო წარმატებული ის არის, რომ ისინი ზუსტად საზღვრავენ ცხოვრებისეულ მიზნებსა და პრიორიტეტებს და ეფექტურად მართავენ საკუთარ რესურსებს, მართავენ ეფექტიან დროს. მაგრამ, როგორ უნდა გავაკეთოთ ეს?

უნდა შევიმუშაოთ საკუთარი თავის დისციპლინა. ვაიძულოთ საკუთარი თავი უარი ვთქვათ ნაკლებად მნიშვნელოვან საქმეებზე და მავნე ჩვევებზე. ნაკლები დრო დავუთმოთ სოციალურ ქსელებს, ჟურნალ-გაზეთებს, სატელევიზიო შოუებს, წინასწარ განვსაზღვროთ მომავალი დღეების აქტივობები, გამოვყოთ მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი და ნაკლებად მნიშვნელოვანი საქმეები, მოვახდინოთ მათი სორტირება.

დღის დასაწყისშივე დავიწყოთ ყველაზე მნიშვნელოვანი დავალებების შესრულება და არ გადავიდეთ ახალ დავალებაზე სანამ არ დავასრულებთ პირველს. გამოვყოთ დროის მართვის ცნობილი მეთოდები.

ყველაზე გავრცელებული მეთოდია დღიურების წარმოება, სადაც ყოველდღიურად იქნება ჩამოწერილი შესასრულებელი საქმიანობები და მითითებულ იქნება დროის მონაკვეთები.

ამ მეთოდებთან ერთად შეიძლება ეფექტიანი დროის მენეჯმენტის შემოღება, რაც მდგომარეობს შემდეგში:

1. დრო იხარჯება არა მხოლოდ სასწრაფოდ გასაკეთებელ საქმეებზე, არამედ მნიშვნელოვან საქმეებზეც;
2. სწორედ არის განსაზღვრული, რა არის მნიშვნელოვანი და რა სასწრაფო;
3. შედეგი და არა პროცესი არის დროის მენეჯმენტისათვის დამახასიათებელი თვისება;
4. არ უნდა მოხდეს საკუთარი საქმეების გადადება და ახალი ან სხვისი თხოვნით სხვა საქმიანობის წამოწყება.

პირველ რიგში უნდა დადგინდეს, რა არის სასწრაფო და რა მნიშვნელოვანი. მნიშვნელოვანი საქმიანობა არის ის, რაც გვაძლევს სასურველ შედეგს, მათ მივყავართ დასახული მიზნის მიღწევამდე.

სასწრაფოდ შესასრულებელი (გადაუდებელი) საქმიანობა კი არის ის, რაც მოითხოვს დაუყოვნებელ ყურადღებას. ისინი წარმოადგენენ სხვის მიერ გამოთქმული საჭიროებების დაკმაყოფილებას ან ეხება პრობლემას, რომელიც სასწრაფოდ უნდა მოგვარდეს.

ყველაზე რთული პროცესია იმის დადგენა, რომელი საქმიანობაა მნიშვნელოვანი და რომელი სასწრაფო, რადგან არ არსებობს წესები, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს საქმიანობების დაყოფა მნიშვნელოვნად და სასწრაფოდ განხორციელების კატეგორიის მიხედვით. თუ მენეჯერები თვითონ არ განსაზღვრავენ რა არის მნიშვნელოვანი და რა არის სასწრაფო, ვერ მოახერხებენ დროის ეფექტურ გამოყენებას.

დროის დეფიციტს ხშირად უხილავი “დროის მჭამელები” იწვევენ. თუ გვეცოდინება, რისი ბრალია დროის არაეფექტური მოხმარება, მიზეზებთან ბრძოლაც გაადვილდება.
განვიხილოთ “დროის მჭამელები” და მათთან ბრძოლის ხერხები:

| დროის მჭამელები | პრევენციის ზომები |
|---|---|
| მუშაობა წინასწარ დაუგეგმავად | ყოველდღე გამონახეთ დრო, რათა დაგეგმოთ, რას გააკეთებთ იმ დღეს. დროის დაგეგმვაც მოითხოვს დროს, მაგრამ ეს რამდენიმე წუთი ღირს იმად, რომ თავიდან ავიცილოთ დროის უმიზნო კარგვა. დროის დაგეგმვისას აუცილებლად გაითვალისწინეთ “ლუფტები”, რათა თავიდან აიცილოთ გაუთვალისწინებელი გარემოებებით გამოწვეული სტრესი. |
| ბუნდოვანი მიზეზები | ნათელია თქვენთვის, რას უნდა მიაღწიოთ დღის, კვირის, თვის ბოლოს? ჩამოაყალიბეთ კონკრეტული მიზანი და იმუშავეთ მის მისაღწევად. |
| საკუთარი ქცევის მართვა-თვითდისციპლინის დაცვა | პროფესიაში ყველაზე მეტ წარმატებას ის აღწევს, ვისაც შეუძლია საკუთარი თავისა და ქცევის მართვა, რაც სხვა არაფერია, თუ არა თვითდისცოპლინის დაცვა. გამონახეთ მოტივაციის საშუალებები საკუთარი თავისათვის. მაგალითად, თუ დასახულ მიზანს წინასწარ განსაზღვრულ დროში მიაღწიეთ, დაისაჩუქრეთ თავი რაიმე სასიამოვნოთი. |
| მოუწესრიგებელი სამუშაო მაგიდა | სამუშაო მაგიდა ადამიანის ხასიათზე მეტყველებს. არეული სამუშაო კუთხე ქაოსური, საკუთარ საქმიანობაში გაურკვეველი ადამიანის ასოციაციას ბადებს. გადაავლეთ თვალი მაგიდას: ყველა ნივთი გჭირდებათ, რაც აქ დევს? რომელი მათგანი იპყრობს თქვენს ყურადღებას და გჭირდებათ ძირითად საქმიანობაში? სამუშაო მაგიდის “სტრუქტურიზება” თვითდისციპლინის დაცვაში დაგეხმარებათ. |
| “მინდა ყველაფერი ვიცოდე” | კითხვა პროფესული განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა, მაგრამ კითხვისას აუცილებელია ზომიერება და რაც მთავარია, იმის ცოდნა, რომელი ინფორმაციაა მნიშვნელოვანი ჩვენი პროფესიული ზრდის თვალსაზრისით და რომელი – მეორეხარისხოვანი. შეუძლებელია, ადამიანს ყველაფერზე ჰქონდეს ინფორმაცია. უმჯობესია ფოკუსირებული და ღრმა ცოდნა საჭირო საკითხებზე, ვიდრე ზედაპირული ცოდნა ბევრი რამის შესახებ. დროის დასაზოგად წინასწარ დააზუსტეთ, რის წაკითხვა გსურთ, რათა მეორეხარისხოვანი ინფორმაციისათვის დრო არ დაკარგოთ და ისევ დროის დეფიციტი არ შეგექმნათ. |
| განუსაზღვრელი პრიორიტეტები | ზუსტად იცით, რომელი საქმეა თქვენთვის პირველხარისხოვანი და რომელი მეორეხარისხოვანი? ამის განსაზღვრა აუცილებელია, რათა დრო არ დახარჯოთ შედარებით ადვილად მოსაგვარებელ, მაგრამ მეორეხარისხოვან საქმეებზე და ძირითადი და მნიშვნელოვანი გვერდზე არ დაგრჩეთ. |
| ცუდი კომუნიკაცია | იმისთვის, რომ დრო გონივრულად დაგეგმოთ, აუცილებელია გქონდეთ საჭირო ინფორმაცია თქვენი ორგანიზაციის შესახებ. იმფორმაციის მიღების საუკეთესო საშუალებაა მოწესრიგებული კომუნიკაცია კოლეგებსა და ხელმძღვანელ პირებთან. თვალი გადაავლეთ კომუნიკაციის თქვენეულ მეთოდებს. საკმაოდ დახვეწილია თუ არა ისინი იმისათვის, რომ დანარჩენებთან ჯანსაღი კომუნიკაცია გქონდეთ? თუ არ გაკმაყოფილებთ, გადახედეთ პროფესიულ ლიტერატურას ამ საკითხებზე, დაესწარით ტრენინგებს წარმატებული კომუნიკაციის თემაზე. ეს დროის მენეჯმენტთან ერთად სხვა კუთხითაც დაგეხმარებათ. |
| გადადებული საქმეები | საქმე, რომელიც სახვალიოდ გადაგაქ, მართლა არ არის მნიშვნელოვანი? გადაამოწმეთ, მიეკუთვნება თუ არა იგი პირველხარისხოვანი პრიორიტეტების რიცხვს. არა? მაშინ გადადეთ და ის გააკეთეთ, რაც მნიშვნელოვანია ახლა. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველაფრის ერთბაშად გაკეთება მოგიწევთ და იმედგაცრუებული დაასკვნით, რომ დრო არაფრისათვის არ გყოფნით. |

აქედან გამომდინარე, პირველ რიგში უნდა მოახდინოთ თქვენი ფასეულობების, მიზნების დადგენა. აუცილებელია, ნათლად დაადგინოთ თქვენი გრძელვადიანი მიზნები და პიროვნული პრიორიტეტები, რაც აუცილებელია პიროვნული და პროფესიული განვითარებისათვის.

დაუსვით საკუთარ თავს შეკითხვები: რა არის ჩემი მიზანი? რისთვის მინდა რომ ვიცხოვრო? რა მაინტერესებს ყველაზე მეტად? რას მინდა რომ მივაღწიო?

ამ კითხვებზე პიროვნული პრინციპების ჩამოყალიბება საშუალებას მოგცემთ, დრო უფრო ეფექტურად გამოიყენოთ და შეამციროთ არა მარტო სიტუაციური, არამედ მოვლენების მოლოდინით გამოწვეული სტრესის ფაქტორებიც.

შედეგად გაზრდით პატივისცემას საკუთარი თავის მიმართ, გახდებით უფრო ამაყები შესრულებული დავალებების გადახედვისას. ამის შემდეგ კი იზრდება თვითრწმენა და ხდებით უფრო თავდაჯერებულები და ოპტიმისტები. ახალ შემოთავაზებებში კი საფრთხეებისა და წინასწარი წარუმატებლობის გრძნობას კი არა, ახალ შესაძლებლობებს დაინახავთ.

დაიწყეთ დროის მართვა დღეიდან განსხვავებულად და თქვენ შეცვლით ცხოვრებას, იქნებით უფრო კმაყოფილი საკუთარი პიროვნებით, გატარებული დღითა და შესრულებული საქმეებით, გახდებით უფრო წარმატებულები პირად ცხოვრებასა და საქმიანობაში.

დრო შეზღუდულია, ადამიანი, რომელიც ახერხებს დროის სწორად მართვას ის მართავს და აკონტროლებს მთელ თავის ცხოვრებას, გამოიყენეთ ცხოვრების ლიმიტირებული დრო რაციონალურად. ნუ გაფლანგავთ მას უქმად.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. პირმისაშვილი გ., ზოგადი მენეჯმენტი, თბ., 2009.
2. ელბაქიძე ნ., დროის მენეჯმენტი, თბ., 2013.
3. aris.ge
4. rogor.ge

**სოფიო ბლიაძე, ლია ბიბილაშვილი**

**დროის ეფექტური მართვა, როგორც წარმატების მიღწევის საწინდარი**

**რეზიუმე**

წარმატების მიღწევაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს დროის რაციონალური განაწილება და მისი სწორი მენეჯმენტი. სტატიაში განხილულია დროის მართვის ცნობილი მეთოდები, რომელთა გამოყენებაც საშუალებას იძლევა დრო უფრო ეფექტიანად იქნეს გამოყოფილი, რაც უდავოდ წარმატების მიღწევის საწინდარია.

**Sofio Bliadze, Lia Bibilashvili**
**Effective Time Management as a Precondition for Success**
**Summary**

Timesharing and right management plays a significant role in an achieving the success. Famous methods of time management are reviewed in the article, which makes time to be used more effectively, which would be the precondition of success, undoubtedly.



**Софио Блиадзе, Лия Бибилашвили**
**Эффективное управление временем как предпосылка в достижении успеха**
**Резюме**

В достижении любого успеха важную роль играет рациональное рапределение времени и его менеджмент. В статье рассматриваются известные методы управления временем, использование которых предоставляет возможность более эффективно использовать время, что является бесспорной предпосылкой в достижении успеха.



**ია თეთრუაშვილი**
**გორის სასწავლო უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი**


## ასოცირების ხელშეკრულება და საქართველოს პერსპექტივები

2016 წლის 1 ივლისს, საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმება სრულად ამოქმედდა. შეთანხმება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის კომპონენტს (DC FTA) მოიცავს. ასოცირების შეთანხმებას ხელი ქ. ბრიუსელში მოეწერა 2014 წლის 27 ივნისს.

რა არის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცე? (DC FTA) თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებისაგან (free trade agreement) განსხვავებით, ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის სივრცე გულისხმობს როგორც სატარიფო, ასევე არასატარიფო ბარიერების აღმოფხვრას და არეგულირებს ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხთა ფართო სპექტრს (მაგ., სურსათის უვნებლობა, პროდუქციის უსაფრთხოება, კონკურენციის პოლიტიკა, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, საბაჟო საკითხები, სახელმწიფო შესყიდვები და სხვ). ვაჭრობის შესახებ სხვა შეთანხმებებისაგან განსხვავებით, DC FTA გულისხმობს ვაჭრობის სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობისა და ინსტიტუტების ეტაპობრივ დაახლოებას ევროკავშირის შესაბამის რეგულაციებთან და ადმინისტრირების მექანიზმებთან.

რა სარგებელს ითვალისწინებს DC FTA? საქართველო-ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის ჩამოყალიბება ხელს შეუწყობს: ევროკავშირის ბაზრის მოთხოვნებთან თავსებადი სავაჭრო სისტემის ფორმირებას; გამჭვირვალე, სტაბილური ბიზნეს გარემოს ჩამოყალიბებას; საქართველოს საინვესტიციო მიმზიდველობისა და შესაბამისად, უცხოური ინვესტიციების ზრდას; ქვეყნის მდგრად განვითარებასა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენებას; ახალი საწარმოებისა და საექსპორტო პროდუქციის შექმნას; ადგილობრივი წარმოების მასშტაბების ზრდის კვალობაზე ახალი სამუშაო ადგილების შექმნას; ქართული

პროდუქციის საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირებასა და გაფართოებას; ქართველი ექსპორტიორებისათვის ექსპორტთან დაკავშირებული ხარჯების შემცირებას; ქართველი მომხმარებლისათვის უსაფრთხო და უვნებელი პროდუქტის მიწოდებას; ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვას; სახელმწიფო ადმინისტრირების ორგანოების განვითარებას საუკეთესო ევროპული პრაქტიკის შესაბამისად; ზოგადად, ეკონომიკური ზრდის სტიმულირებასა და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას: მოკლევადიან პერსპექტივაში მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდას 1,7 %-ით, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში - 4,3 %-ით. მოკლევადიან პერსპექტივაში ექსპორტის 9 %-ით, ხოლო იმპორტის 4,4 %-ით, გრძელვადიან პერსპექტივაში ექსპორტის 12 %-ით, ხოლო იმპორტის 7,5%-ით ზრდას.

რა ვალდებულებებს ითვალისწინებს DC FTA და რა შედეგს მოიტანს მათი შესრულება? DC FTA ითვალისწინებს ვაჭრობასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობის ეტაპობრივ დაახლოებას ევროკავშირის კანონმდებლობასთან შემდეგ სფეროებში: სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომები, ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერები, სახელმწიფო შესყიდვები, საბაჟო და მომსახურებით ვაჭრობა (ელექტრონული კომუნიკაცია, ფინანსური მომსახურება, ტრანსპორტი, ფოსტა და საკურიერო მომსახურება). აღნიშნულ სფეროებში (კერძოდ, სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომები და ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერები) დაახლოვების შედეგად საქართველოში შეიქმნება ევროპული დონის სურსათის უვნებლობისა და ხარისხის ეროვნული ინფრასტრუქტურის სისტემები, რაც ხელს შეუწყობს ქართული სასოფლო-სამეურნეო და ინდუსტრიული პროდუქციის თავისუფალ განთავსებას ევროკავშირის ბაზარზე და ასევე, ადგილობრივ ბაზარზე უვნებელი და უსაფრთხო პროდუქტის მიწოდებას.

აღსანიშნავია, რომ მოლაპარაკებების პროცესში ქართულმა მხარემ მიაღწია უპრეცედენტო შეთანხმებას ევროკავშირთან სატარიფო ლიბერალიზაციის კუთხით. შეთანხმების ძალაში შესვლისთანავე, ქართული წარმოშობის ყველა პროდუქტი (ნიორის გარდა, რომელზეც იმოქმედებს რაოდენობრივი შეზღუდვა), განთავისუფლდება საბაჟო ტარიფისაგან ევროკავშირის ბაზარზე იმპორტისას. სახელმწიფო შესყიდვების სფეროში კანონმდებლობის დაახლოება უზრუნველყოფს საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების მაქსიმალურ გამჭვირვალობას და ამასთან, საქართველოში წარმოებული საქონლისა და მომსახურების დაშვებას ევროკავშირის წევრი ქვეყნების სახელმწიფო შესყიდვების ბაზარზე. საბაჟო სფეროში კანონმდებლობის დაახლოების შედეგად, საქართველოს საბაჟო რეგულაციები დაუახლოვდება ევროკავშირის პროგრესულ რეგულაციებს. განხორციელდება მჭიდრო თანამშრომლობა საქართველოსა და ევროკავშირის საბაჟო ადმინისტრაციებს შორის, რაც ხელს შეუწყობს საქართველო-ევროკავშირს შორის ექსპორტ/იმპორტის პროცედურების გამარტივებას, გამჭვირვალე და პროგნოზირებადი გარემოს შექმნას. მომსახურებით ვაჭრობის სფეროში კანონმდებლობის დაახლოება შესაძლებლობას იძლევა განხორციელდეს მომსახურების ბაზრების შემდგომი ლიბერალიზაცია, რაც ითვალისწინებს ქართული კომპანიებისათვის ევროკავშირის შესაბამის ბაზრებზე დაშვების უკეთეს პირობებს.

რა გამოწვევები ახლავს DC FTA-ის განხორციელებას? DC FTA-ით გათვალისწინებული საკანონმდებლო დაახლოება გულისხმობს შესაბამის სფეროებში ევროპული სტანდარტებისა და პრაქტიკის დანერგვას. აღნიშნულ ცვლილებებთან საჯარო და კერძო სექტორების ადაპტაციისათვის გათვალისწინებულია შესაბამისი ღონისძიებების გატარება სახელმწიფოს მხრიდან ევროკავშირის მხარდაჭერით, მათ შორის - ტექნიკური/საექსპერტო, საგანმანათლებლო და ფინანსური დახმარება ინსტიტუციური ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის. რა სარგებელს მოუტანს საქართველოს სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომების განხორციელება? სანიტარული და ფიტოსანიტარული სისტემის გაუმჯობესება, ევროპულ სტანდარტებთან დაახლოება და განხორციელება გაზრდის ქართული პროდუქციის ხარისხს და აამაღლებს სანდოობას მსოფლიო ბაზარზე, რაც ხელს შეუწყობს ექსპორტის გაზრდას; დაიცავს ქვეყანას მავნე ორგანიზმების შემოჭრისა და გავრცელებისგან, რაც საშუალებას მისცემს საქართველოს უზრუნველყოს ვეტერინარული კეთილსაიმედოობა და ხელს შეუწყობს ქართულ მწარმოებლებს განახორციელონ ცხოველური და მცენარეული

წარმოშობის პროდუქციის ექსპორტი ევროკავშირის ბაზარზე. რა სარგებელს მიიღებენ საქართველოს მოქალაქეები „ასოცირების შესახებ შეთანხმებისგან“? „ასოცირების შესახებ შეთანხმების“ იმპლემენტაციის შედეგად, საქართველოს მოქალაქეები კონკრეტულ სარგებელს მიიღებენ. მათ შორის, აღსანიშნავია: ადგილობრივი სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება; მცირე და საშუალო საწარმოებისათვის უკეთესი შესაძლებლობების გახსნა; ევროპული განათლების ხელმისაწვდომობა; გაუმჯობესებული ჯანდაცვა; ენერგო ეფექტიანობის გაზრდა და განახლებადი ენერგო რესურსების განვითარება. „ასოცირების შესახებ შეთანხმების“ გაფორმება ხელს შეუწყობს: ეკონომიკური რეფორმების პროცესს და ქმედითი, ფუნქციონირებადი და ეფექტიანი საბაზრო ეკონომიკის განვითარებას. მხარეები ვალდებულებას იღებენ ერთმანეთს გაუზიარონ გამოცდილება, ექსპერტული მოსაზრებები და დანერგონ საუკეთესო პრაქტიკა ისეთ სფეროებში, როგორიცაა საჯარო ფინანსები, ფინანსური, მონეტარული და სავალუტო სექტორის პოლიტიკა და ეკონომიკური სტატისტიკა; დამოუკიდებელი შიდა აუდიტის მექანიზმის შემუშავება და განვითარება, რაც ხელს შეუწყობს საგადასახადო სფეროში ეფექტიანი მმართველობის გაძლიერებას, ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებას, ვაჭრობის განვითარებისა და დამატებითი ინვესტიციების მოზიდვის მიზნით.

ევროკავშირთან სატრანსპორტო სფეროში თანამშრომლობის განვითარებით ხელი შეეწყობა ევროკავშირის სატრანსპორტო და საკომუნიკაციო ქსელებში ჩართვას, საგზაო, სარკინიგზო, საავიაციო და საზღვაო ტრანსპორტში ევროკავშირის ნორმებისა და სტანდარტების დანერგვას. საქართველოს ენერგოუსაფრთხოების განმტკიცებას, მათ შორის ევროპულ კანონმდებლობასთან დაახლოებას და თანამშრომლობის განვითარებას ისეთი მიმართულებებით, როგორიცაა ელექტროენერგეტიკა, ბუნებრივი აირისა და ნავთობის მოძიება, მოპოვება და ტრანზიტი, განახლებადი ენერგია და ენერგოეფექტიანობა. ასევე, შეთანხმება ითვალისწინებს საქართველოს ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანების შესაძლებლობას, გარემოს დაცვის სფეროში ევროპული სტანდარტების ეტაპობრივ დანერგვას, რაც მიზნად ისახავს უსაფრთხო გარემოს შენარჩუნებას, დაცვას, გაუმჯობესებასა და რეაბილიტაციას. მხარეები ვალდებულებას იღებენ, შეიმუშაონ ბუნების დაცვის ერთობლივი პროგრამები, უზრუნველყონ ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება და დაიცვან გარემო საწარმოო დაბინძურებისაგან.. ხელშეკრულება ასევე ითვალისწინებს: მრეწველობის სფეროში ევროპული სტანდარტებისა და ნორმების ეტაპობრივ დანერგვას, რაც გულისხმობს ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებას, ასევე, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას. შესაბამისად, ევროკავშირის ბაზარზე სამრეწველო პროდუქციის ექსპორტის ზრდას და ამ ბაზარზე ქართული სამრეწველო პროდუქციის დამკვიდრებას; კორპორაციული სამართლის, საბუღალტრო აღრიცხვის, აუდიტისა და კორპორაციული მმართველობის სფეროებში თანამშრომლობის გაღრმავებას, რაც მიზნად ისახავს საქართველოსა და ევროკავშირს შორის სავაჭრო ბრუნვისა და ეკონომიკური თანამშრომლობის ზრდას; ფინანსური მომსახურების, საბანკო და სადაზღვევო სფეროებში თანამშრომლობის განვითარებას, რაც გულისხმობს ღია საბაზრო ეკონომიკისათვის საჭირო ფინანსური მომსახურების რეგულაციის შემუშავებას, ინვესტორების ეფექტიან და ადეკვატურ დაცვას და დამოუკიდებელი და ეფექტიანი ზედამხედველობის მექანიზმის შექმნას; ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებას, ეროვნული მარეგულირებლის დამოუკიდებლობისა და ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაძლიერების უზრუნველსაყოფად. ამასთან, შეთანხმება ასევე ითვალისწინებს, ელექტრონული კომუნიკაციების სექტორში პროდუქტისა და მომსახურების ბაზრების განსაზღვრას, გადაწყვეტილებების გასაჩივრების ეფექტური მექანიზმის შექმნას და პერსონალური მონაცემების დამუშავების პროცესში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და კონფიდენციალურობის უფლების უზრუნველყოფას, ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებას. დაგეგმილი ღონისძიებები მიზნად ისახავს ქვეყნის ტურისტული პოტენციალის ზრდასა და ტურისტული ნაკადის მატებას; სოფლის მეურნეობის სფეროში ევროპული სტანდარტებისა და ნორმების ეტაპობრივ დანერგვას. ასევე, ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე ადმინისტრაციული შესაძლებლობების

განვითარებას; სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის ევროკავშირის რეგულაციებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად დაგეგმვას, შეფასებასა და იმპლემენტაციას. ამასთან, მოხდება წარმოების მოდერნიზაცია და სოფლის მეურნეობის სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლება და მეთევზეობის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავება. თანამშრომლობის განვითარებას სამეცნიერო კვლევებისა და ტექნოლოგიების სფეროში მხარეები ვალდებულებას იღებენ, განახორციელონ ინტელექტუალური საკუთრების უფლების სათანადო და ეფექტიანი დაცვა, შექმნან ერთობლივი კვლევითი პროგრამები, ჩაატარონ ტრენინგები და გაცვლითი პროგრამები მეცნიერების, მკვლევარებისა და სხვა სამეცნიერო-კვლევითი პერსონალისათვის. მომხმარებელთა უფლებების დაცვას, რაც გულისხმობს: შესაბამისი კანონმდებლობის დახვეწასა და ევროკავშირის შესაბამისი სტანდარტების დანერგვას, საქართველოსა და ევროკავშირის მომხმარებელთა უფლებების დამცველ დამოუკიდებელ ასოციაციებს შორის კონტაქტების გაღრმავებას, ინფორმაციისა და გამოცდილების ურთიერთგაცვლას; დასაქმების, სოციალური დაცვისა და თანაბარი შესაძლებლობების სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებას. საქართველო მოახდენს ეტაპობრივ საკანონმდებლო დაახლოებას ქვეყანაში ღირსეული შრომის პირობების შესაქმნელად. ამ მიზნით, შემუშავდება ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისი დასაქმების პოლიტიკა, სამუშაო უსაფრთხოების ნორმები და ანტიდისკრიმინაციული და სოციალური დაცვის მექანიზმები. ასევე, უზრუნველყოფილ იქნება სოციალური ჩართულობა და გენდერული თანასწორობა.

ასოცირების შეთანხმება, პრაქტიკულად, საქართველოს მოდერნიზაციის სამოქმედო გეგმაა, რომელიც ქვეყნის პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების ყველა სფეროს შეეხება. ასოცირების შესახებ შეთანხმება ემსახურება ადამიანის უფლებების დაცვის განმტკიცებას, დემოკრატიის გაღრმავებას, მეტ გამჭვირვალობას, ეფექტიან მმართველობას, უსაფრთხოებისა და რეგიონული თანამშრომლობის განმტკიცებას, მომხმარებელთა და საკუთრების უფლებების დაცვას, სტაბილური მაკროეკონომიკური გარემოს უზრუნველყოფას. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება, სატარიფო და არასატარიფო ბარიერების მოხსნით, საქართველოს ევროკავშირის ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციას უზრუნველყოფს. აღსანიშნავია, რომ ევროპის ბაზარი, 500 მილიონიანი მაღალი შემოსავლების მქონე მოსახლეობით, ყველაზე დიდი ბაზარია მსყიდველობით-უნარიანობის თვალსაზრისით, რაც საქართველოს უცხოელი ინვესტორებისათვის მიმზიდველ ქვეყნად აქცევს. ქართული წარმოშობის ყველა პროდუქტი გარკვეული პირობების (სურსათის უვნებლობისა და პროდუქტის უსაფრთხოების სტანდარტები) დაკმაყოფილების შემთხვევაში, ნულოვანი საბაჟო ტარიფით შევა ევროკავშირის ბაზარზე. ამჟამად, ევროკავშირის ქვეყნებში საქართველოდან ექსპორტირებულ აგრარულ პროდუქციაში წამყვან ადგილს იკავებს ახალი და ხმელი თხილი, ღვინო, ნატურალური ყურძნის წვენი და მინერალური წყლები.

ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის ფორმირება, ასევე, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, ეკონომიკური ზრდის სტიმულირებასა და ზოგადად, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. http://www.mfa.gov.ge/getattachment
2. http://www.eu-nato.gov.ge/ge/eu/association-agreement
3. http://intermedia.ge

ია თეთრუაშვილი

**ასოცირების ხელშეკრულება და საქართველოს პერსპექტივები**

**რეზიუმე**

თავისუფალი ვაჭრობის (free trade agreement) შეთანხმებისაგან განსხვავებით, ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის სივრცე (DC FTA) გულისხმობს როგორც სატარიფო, ისე არასატარიფო ბარიერების აღმოფხვრას და არეგულირებს ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხთა ფართო სპექტრს (მაგ.: სურსათის უვნებლობა, პროდუქციის უსაფრთხოება, კონკურენციის პოლიტიკა, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, საბაჟო საკითხები, სახელმწიფო შესყიდვებისა სხვ). ვაჭრობის შესახებ სხვა შეთნხმებებისაგან განსხვავებით, DC FTA გულისხმობს ვაჭრობის სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობებისა და ინსტიტუტების ეტაპობრივ დაახლოებას ევროკავშირის შესაბამის რეგულაციებთან და ადმინისტრირების მექანიზმებთან.

**Ia TeTruashvili**

**The Association Agreement and Perspectives of Georgia**

**Summary**

Different from agreement of free trade,deep and comprehensive trade area means to eradicate the barrier of tarrif scale as well as non tarrif one and regulates a wide spectrum related to trade issue.(ex: foodstuffs safety, production safety, competition policy, intellectual property protection,custom tasks, state stocks, etc).Different from other trade agreements DC FTA implies trade area regulatory legistation and gradual approachment of institutions corresponding regulations to EU and administrative mechanisms.

**Ия Тетруашвили**

**Соглашение об ассоциации и перспективы Грузии**

**Резюме**

В отличии от соглашения о свободной торговли (free trade agreement), глубокое и всеобъемное пространство свободной торговли (DC FTA ) подразумевает ликвидацию как тарифных, так нетарифных барьеров и регулирует широкий спектр вопросов торговли (напр. безопасность пищевых продуктов, продукции, политика конкуренции, защита интелектуальной собственности, вопросы таможни, государственные закупки и т.д.). В отличии от торгового соглашения, DCFTA подразумевает поэтапное сближение законодальства и институтов, регулирующих торговлю с соответствующими регуляциями и механизмами администрирования Евросоюза.

ლია ოტიაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

## საქართველოს უმაღლესი განათლების რეფორმის ფინანსური ასპექტები

უმაღლესი განათლება არის სრული ზოგადი განათლების შემდგომი განათლება, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საფეხურის შესაბამისი კომპეტენციის გამომუშავებას და დასტურდება კვალიფიკაციის შესაბამისი დოკუმენტით (6).

საქართველოში განათლებას საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში. შემდგომში განათლების გავრცელებასა და მეცნიერული აზრის განვითარებაში დიდი როლი ითამაშა კოლხეთის უმაღლესმა რიტორიკულმა სკოლამ (III ს. IV ნახევარი).

განათლების აღორძინება და ინტენსიური განვითარება დაიწყო XI-XII საუკუნეებში, დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ხანაში. შეიქმნა მეცნიერებისა და განათლების ისეთი კერები, როგორებიც იყო გელათისა და იყალთოს აკადემიები.

საქართველოს რუსეთთან შეერთებამ გარკვეული წვლილი შეიტანა განათლებისა და ქართული კულტურის განვითარებაში. 1855 წელს საქართველოში 150-მდე სასწავლებელი არსებობდა, მათ შორის თბილისის პირველი გიმნაზია, ქუთაისის ვაჟთა გიმნაზია და სხვ.

საქართველოში უმაღლესი განათლების სისტემის განვითარებაზე მკვეთრად აისახა გლობალიზაცია. უნდა აღინიშნოს, რომ გლობალიზაციის გამოწვევები გარკვეულად აძლიერებს კონკურენციას, როგორც სხვა დანარჩენ ბიზნესკომპანიებს შორის, ასევე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის. კონკურენციის მიზნით ხარისხის გაძლიერებასთან ერთად იზრდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ეფექტიანობის მაჩვენებელიც (2).

საქართველო ბოლონიის პროცესს შეუერთდა 2005 წელს ბერგენის სამიტზე. შესაბამისად, საქართველოს საგანმანათლებლო სისტემამ განიცადა მნიშვნელოვანი რეფორმა და სწორედ 2005 წლიდან ვრცელდება ყველა ის სტანდარტები, რაც ევროპულ სივრცეს გააჩნია. ბოლონიის პროცესმა ხელი შეუწყო მონაწილე ქვეყნებს შორის უნივერსიტეტების ურთიერთთანამშრომლობას.

წარმოუდგენელია საუბარი უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემაზე, სადაც განხილული არ იქნება დაფინანსებისა და ფინანსური მართვის სხვადასხვა ასპექტები როგორც საქართველოში, ასევე ევროპისა და მსოფლიოს სხვადასხვა განვითარებულ ქვეყნებში.

ქვეყანას, რომელსაც პრეტენზია გააჩნია მიეკუთვნებოდეს განვითარებული ქვეყნების რიცხვს, უმთავრესი მიზანი უნდა იყოს განათლებისა და კვლევების დაფინანსება.

ექსპერტ ლელა ჩახაიას გამოკვლევაში „უმაღლესი განათლების და კვლევის დაფინანსება და ფინანსური მართვა" მიუთითებს, რომ საქართველოში მოსახლეობის რაოდენობის, სოციალური ფონისა და განათლების, როგორც ეროვნული პრიორიტეტის აღიარების გათვალისწინებით, ასევე დაფინანსების არსებული მოდელის გათვალისწინებით, უმაღლესი განათლებისა და საუნივერსიტეტო კვლევის მთლიანი დაფინანსების მინიმუმ 50 % უნდა მოდიოდეს სახელმწიფო ბიუჯეტზე (3). ვფიქრობთ, ეს ერთობ ყურადსაღები და მართებული მოსაზრება არის.

უმაღლესი განათლების დაფინანსების წყაროებს ძირითადად მიეკუთვნება სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსება, ინდივიდების მიერ გადახდილი სწავლის საფასური და კერძო წყაროებიდან გაწეული ხარჯები.

საქართველოში სახელმწიფოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებული სტუდენტთა რაოდენობა მნიშვნელოვნად ჭარბობს კერძო სექტორში არსებულ სტუდენტთა რაოდენობას (იხ. სქემა N 1)

სქემა 1.




წყარო: http://geostat.ge/?action=page&p_id=2104&lang=geo

განათლების რეფორმის შემდგომ შეიცვალა დაფინანსების სისტემა საქართველოში. რეფორმის უმთავრესი მიზანი იყო არსებული კორუფციული პრაქტიკის აღმოფხვრა.

საქართველოში არსებული დაფინანსების მოდელი თითქმის მსგავსია ევროპის ქვეყნებში არსებული დაფინანსების სისტემისა. სახელმწიფო დაფინანსებას გასცემს არა სტუდენტთა რიცხოვნობის მიხედვით, არამედ ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებულ სტუდენტთა რაოდენობის მიხედვით და სტუდენტი არსებულ გრანტს იღებს მთელი სწავლის პერიოდის განმავლობაში. თუმცაღა გვინდა აღვნიშნოთ, რომ მოცემულ მომენტში საუბარია არსებული მოდელის შეცვლაზე, ანუ სტუდენტი, რომელიც მოიპოვებს სასწავლო გრანტს, ეს გრანტი უნდა იქნეს შენარჩუნებული მის მიერ მთელი სწავლების პერიოდის მანძილზე აკადემიური მოსწრებიდან გამომდინარე.

უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემა, დღეს სრულად არ არის დაფინანსებული სახელმწიფოს მიერ (წარსულში კი სრულად იყო დაფინანსებული). სწორედ ასეთი სიმცირის გამო შესაძლოა უარყოფითი შედეგები ჰქონდეს როგორც სწავლის ხარისხზე, ისე ხელმისაწვდომობაზე ვინაიდან საგანმანათლებლო დაწესებულებების ბიუჯეტი ჩვენი აზრით ერთობ მწირია არსებული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ბიუჯეტის სიმწირე აისახება აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალზე, მიმდინარე ხარჯებზე და, რაც შეეხება ხელმისაწვდომობას ნაკლებად ხელმისაწვდომი ხდება უმაღლესი განათლება, ვინაიდან ხარჯები ძირითადად სტუდენტებსა და მათ ოჯახებს აწევთ და გამომდინარე საქართველოში არსებული ეკონომიკური მდგომარეობიდან, შესაბამისად განათლება ხდება ნაკლებად ხელმისაწვდომი.

ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში მოქმედებს დაფინანსების ორი წესი: ბლოკ გრანტებისა და მუხლობრივი დაფინანსება.

მუხლობრივი დაფინანსების დროს უნივერსიტეტებს თანხა გადაეცემათ მიზნობრივად, კონკრეტული დანიშნულებით და უნივერსიტეტს უფლება არა აქვს ეს თანხა გაანაწილოს თავისი შეხედულებისამებრ. დაფინანსების მუხლობრივი სისტემა მოქმედებს მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაში (საბერძნეთი, ჩეხეთი, კვიპროსი, ბულგარეთი, ლატვია).

რაც შეეხება ბლოკ გრანტებს, ასეთ შემთხვევაში უნივერსიტეტს პირდაპირ გადაეცემა გარკვეული თანხა დანიშნულების მითითების გარეშე.

ერთობ საგულისხმო და გასათვალისწინებელია უმაღლესი განათლების გერმანული მოდელი, რომელიც გულისხმობს ძირითადად პრიორიტეტული მიმართულებების დაფინანსებას და პროფესიული განათლების ორმაგ სისტემას.

აღნიშნული მოდელის მიხედვით პროფესიულ განათლებას ადამიანი იმავე სექტორში დასაქმების პარალელურად იღებს. სახელმწიფო დამსაქმებელს პროფესიულ პროგრამაში ჩართული ადამიანის ხელფასის ნაწილს უნაზღაურებს (6).

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, (2017 წლის მდგომარეობით);
2. სართანია ვ. ინტერნაციონალური ტენდენციები უმაღლესი განათლების სისტემაში, საერთაშორისო-სამეცნიერო პრაქტიკული ჟურნალი გლობალიზაცია და ბიზნესი 2016. №2;
3. ჩახაია ლ. უმაღლესი განათლების და კვლევის დაფინანსება და ფინანსური მართვა, 2013;
4. http://geostat.ge/?action=page&p_id=2104&lang=geo
5. https://ka.wikipedia.org/wiki/
6. http://www.ganatlebisreforma.com/2016/02/blog-post.html


**ლია ოტიაშვილი**

**საქართველოს უმაღლესი განათლების რეფორმის ფინანსური ასპექტები**

**რეზიუმე**

საქართველოში განათლებას საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში. შემდგომში განათლების გავრცელებასა და მეცნიერული აზრის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა კოლხეთის უმაღლესმა რიტორიკულმა სკოლამ. XI-XII საუკუნეებში დავით აღმაშენებლის და თამარ მეფის ხანაში შეიქმნა მეცნიერების და განათლების ისეთი კერები, როგორიც იყო გელათისა და იყალთოს აკადემია.

საქართველოში უმაღლესი განათლების სისტემის განვითარებაზე მკვეთრად აისახა გლობალიზაცია. უნდა აღინიშნოს, რომ გლობალიზაციის გამოწვევები გარკვეულად აძლიერებს კონკურენციას, როგორც სხვა დანარჩენ ბიზნესკომპანიებს შორის, ასევე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის. კონკურენციის მიზნით ხარისხის გაძლიერებასთან ერთად იზრდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ეფექტიანობის მაჩვენებელიც.

**Lia Otiashvili**

**Financial Aspects of the Reform in the High Education of Georgia**

**Summary**

In Georgia the foundation for education had started in the antique age. Later, Kolkheti High Rhetorical School played quite important role. In the ages XI-XII in the time of David the Builder and Tamar of Georgia, there had been created such places of education as Gelati and Ikalto Academies.

In Georgia, great influence on the development of the educational system had globalization. There should be noted, that the globalization challenges to some extent empowers competition, as among other business-companies as well as among high educational institutions. For the purpose of competition, together with the empowering the quality, there increases the data of educational institutions' effectiveness.

**Лия Отиашвили**

**Финансовые аспекты реформы высшего образования Грузии**

**Резюме**

Образование в Грузии берëт своë начало ещë в античной эпохе. Впоследствии в распространении и развитии научного мышления важную роль сыграла высшая риторическая школа Колхиды. В XI-XII вв., в эпоху Давида Строителя и Царицы Тамары были созданы такие очаги просвещения, какими являлись Академии Гелати и Икалто.

**დიმიტრი ჯავახაძე**
**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი**

## ელექტრონული სერვისების განვითარების გლობალური ტენდენციები

ახალი ათასწლეულის დასაწყისში სულ უფრო შეუქცევად ხასიათს იღებს ინტერნეტისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარება, იზრდება საერთაშორისო და ადგილობრივი ბიზნესის მასშტაბებიც. ბიზნესის ყველა სფეროს დიგიტალიზება განვითარების საშუალებას აძლევს როგორც ტრადიციულ, ისე თანამედროვე ბიზნეს მოდელებს, სადაც ინფორმაციის სწრაფი და ზუსტი მიწოდება უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს, რაც ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე წარმოუდგენელია. ელ-სერვისები მრავალფეროვანია, იცვლებიან პერმანენტულად და იზრდებიან შეუჩერებლად. ისინი მიმწოდებლისგან მუდმივ, საიმედო და სწრაფ ხელმისაწვდომობას მოითხოვენ(2). ელ-სერვისების გავრცელება სამყაროს მასშტაბით განუხრელად მიმდინარეობს, როგორც ელექტრონული მმართველობის ისე ელექტრონული კომერციის სახით. ელექტრონული მმართველობის, გლობალური ტენდენციების მიმოხილვისათვის მნიშვნელოვანია გაეროს 2016 წლის კვლევა „გლობალური ელ-მმართველობის მიმოხილვა ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის პირობებში", რომელიც ტრადიციულად მოიცავს შემდეგ პარამეტრებს: ონლაინ სერვისების ინდექსი, ელექტრონული ჩართულობის ინდექსი, სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის ინდექსი და ადამიანური კაპიტალის ინდექსი. ელექტრონული სერვისების განვითარების ოთხ ეტაპს გამოარჩევენ, ესენია: დაკავშირების დონე, ტრანსნაციონალური დონე, გაუმჯობესების დონე, საწყისი დონე. სხვადასახვა ქვეყნებში განსხვავებული პოლიტიკური თუ ტექნიკური პირობების გამო, აღნიშნულ დონეებს რამდენიმე ქვეყანა თუ აკმაყოფილებს და შეიძლება ითქვას, რომ ეს პროცესი მუდმივად დახვეწვას ექვემდებარება, თვითონ სერვისების მრავალფეროვნებიდან და განხორციელების გზებიდან გამომდინარე. გაეროს 2014 წლის კვლევით, ყველა 193 წევრ ქვეყანას გააჩნდა ეროვნული სერვის-პორტალები. 2016 წლის კვლევები კი აჩვენებენ გარკვეული ქვეყნების ძალსიხმევას, გააუმჯობესონ არსებული მდგომარეობა. ელ-მმართველობის განვითარება სხვადასხვა ქვეყნების მაგალითზე ამტკიცებს, რომ ციფრული ტექნოლოგიები, ინტერნეტი, მობილური სმარტფონები და სხვა ხელსაწყოები

სრაფად ვითარდებიან. ხელმისაწვდომობა დაარქივებულ ინფორმაციაზე, ჩამოტვირთვად განცხადების ფორმებზე, სმს თუ ე-მეილ სერვისებზე, ასევე აპლიკაციებზე მსოფლიო მაშტაბით გაზრდილია. ბაზარზე გამოჩნდნენ სოციალურ მედიაზე დაფუძნებული მომხმარებლისათვის მეგობრული ხელსაწყოები, რომლებმაც გაზარდეს ინფორმაციის განახლების მახასიათებლები და თუ დავაკვირდებით ყველა სექტორში მობილური apps და SMS-ის გამოყენების ტენდენციები გაზრდილია(1).

მსოფლიოს მოსახლეობა იზრდება და ის 2050 წლისთვის 9 მილიარდს მიაღწევს, ზრდა ყველაზე ღარიბ და დაუცველ რეგიონებშია მოსალოდნელი, აფრიკასა და არაბულ ქვეყნებში. სწრაფი განვითარების ტენდენციებიდან გამომდინარე, აფრიკული ქვეყნები არაპროპორციულ მდგომარეობაში არიან გლობალურ გამოწვევებთან მიმართებაში, შესაბამისად მათ არ შესწევთ უნარი მდგრადი განვითარებისა ელ-მმართველობის მიმართულებით და უმრავლესობა მათგანი 193 ქვეყნიდან ჩამონათვალის მეორე ასეულში იკავებენ ადგილებს. ამერიკის კონტინენტიდან კი, როგორც მოსალოდნელი იყო აშშ და კანადა ლიდერობენ, თუმცა მსოფლიოში მე-12 ადგილი არც თუ ისე სახარბიელო უნდა იყოს აბსოლუტური უპირატესობის მქონე ქვეყნისათვის, რომელსაც ევროპული ქვეყნების უმეტესობა უსწრებს. შემდეგი სამი ქვეყანა სამხრეთ ამერიკიდანაა, ესენია: ურუგვაი 34-ე, არგენტინა 41-ე, ჩილე 42-ე ადგილებით. „ურუგვაის ციფრული დღის წესრიგი“ წარმოადგენს დინამიურ გზამკვლევს სამთავრობო პოლიტიკის განსახორციელებლად. სახელმწიფო მოდერნიზაციის გეგმის ფარგლებში არგენტინის მთავრობა მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ინტელექტუალური ქალაქების შექმნას მთელი ქვეყნის მასშტაბით, სადაც სახელმწიფო განახორციელებს სერვისების მიწოდებას და წაახალისებს ადმინისტრაციულ ორგანოებს. ანალოგიურია ჩილეში, რომლის ციფრული განვითარების დღის წესრიგი მოიცავს 2013-2020 წლებს და მიზნად ისახავს ციფრული ეკონომიკის 1%-ით ზრდას მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით. (CC) არაბული ყურის თანამშრომლობის საბჭოში ექვსი არაბული ქვეყანაა გაერთიანებული, რომლებიც თავად გვევლინებიან განვითარების ინდიკატორებად ელექტრონულ მმართველობაში, მათ ბევრი გააკეთეს განვითარებისათვის, ცოდნისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების ხელშეწყობისათვის რეგიონში. ადგილები ასე გადანაწილდა: კორეის რესპუბლიკა მე-3 ადგილზე, სინგაპური მე-4, იაპონია მე-11, ისრაელის მე-20, ბაჰრეინი 24-ე და არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში 29-ე, ხოლო ყაზახეთი 33-ე, ქუვეითი მე-40, საუდის არაბეთი 44-ე და ყატარი 48-ზე აზიის ქვეყნებს შორის ყველაზე მაღალი I დონეზე (1). ევროპაში ელ-მმართველობის განვითარების ინდექსშია 10 ლიდერი სახელმწიფო: დიდი ბრიტანეთი 1, ფინეთი 5, შვედეთი 6, ჰოლანდია 7, დანია 9, საფრანგეთი 10, ესტონეთი 13 გერმანია 15, ავსტრია 16 და ესპანეთი 17. ზოგიერთი ქვეყანა, როგორიცაა დიდი ბრიტანეთი და დანია, აქვთ მიზანი ციფრული სტანდარტიზაციის. ციფრული იდენტიფიცირება სწრაფად ხდება ნორმა და „Must-Have-Feature“ აუცილებელი ფუნქცია, ყველა ფუნქციონირებადი ელექტრონული მმართველობის ვებ-გვერდისა ევროპაში, მაშინ როცა ეს ჯერ კიდევ წინ გადადგმულ ინოვაციურ ნაბიჯად მიიჩნევა სხვა რეგიონებში. საფრანგეთში ინოვაციური მიდგომაა ის, რომ პოლიტიკის შემუშავების პროცესში იყენებენ crowdsourcing-ს („საგულშემატკივრო რესურსებს“) ახალი ციფრული საკანონმდებლო ბაზის შესაქმნელად, რომელიც არის მცდელობა იმისა, რომ ფართო მოსაზრებებს, შეხედულებებსა და იდეებს თავი მოუყაროს ერთ სივრცეში და ღია მონაწილეობის პროცესი წარმართოს ახალი კანონის მისაღებად. ესტონეთში, განსაკუთრებით თვალში საცემი პრინციპია „once only“ ელ-მმართველობასა და მონაცემთა მართვაში. როცა სახელმწიფოს არა აქვს უფლება ერთი და იგივე ინფორმაცია მოქალაქეებს ორჯერ ჰკითხოს ან მოთხოვოს. ეს ყველაფერი დეცენტრალიზებულ მონაცემთა გაცვლის სისტმით მიიღწევა და ამ პლატფორმას X-Road-ი ჰქვია, რომელიც ყველა ციფრულ აპლიკაციებს ესტონეთის მთავრობისას აერთიანებს. სწორმა კანონშემოქმედებამ და მისი იმპლემენტაციის პრაქტიკამ, ევროკავშირის ციფრულმა დღის წესრიგმა ხელი შეუწყო თავსებადობას, გამჭვირვალობას, ხარჯების შემცირებას, ხელმისაწვდომობას მოქალაქეებისა და მთავრობების ურთიერთობებში (1). საინტერესოა საქართველოს მაჩვენებელი, სხვა მეზობელ და ყოფილ საბჭოთა ქვეყნებთან მიმართებაში, აქ წლების განმავლობაში ესტონეთი ლიდერობს, ყველაზე ჩამორჩენილები

ტაჯიკეთი და თურქმენეთი არიან, ხოლო საქართველო საშუალო პოზიციებს ინარჩუნებს. აღსანიშნავია აზერბაიჯანი, ბელორუსი და ყაზახეთი, სადაც წლებია ხელისუფლება არ შეცვლილა და მათ საქართველოზე უკეთესი პოზიციები უკავიათ წარმოდგენილ კვლევებში.

ელ-მმართველობის განვითარების ინდექსი საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებში

| ქვეყანა | 2008 | 2010 | 2012 | 2014 | 2016 |
|---|---|---|---|---|---|
| ესტონეთი | 13 | 20 | 20 | 15 | 13 |
| ლიტვა | 28 | 28 | 29 | 29 | 23 |
| ლატვია | 36 | 37 | 42 | 31 | 45 |
| უკრაინა | 41 | 54 | 68 | 87 | 62 |
| ბელარუსია | 56 | 64 | 61 | 55 | 49 |
| რუსეთი | 60 | 59 | 27 | 27 | 35 |
| თურქეთი | 76 | 69 | 80 | 71 | 68 |
| ყაზახეთი | 81 | 46 | 38 | 28 | 33 |
| აზერბაიჯანი | 89 | 83 | 96 | 68 | 56 |
| საქართველო | 90 | 100 | 72 | 56 | 61 |
| მოლდავეთი | 93 | 80 | 69 | 66 | 65 |
| ყირგიზეთი | 102 | 91 | 99 | 101 | 97 |
| სომხეთი | 103 | 110 | 94 | 61 | 87 |
| თურქმენეთი | 128 | 130 | 126 | 128 | 140 |
| ტაჯიკეთი | 132 | 122 | 122 | 129 | 139 |

წყარო: გაეროს „ელ-მმართველობის განვითარების ინდექსი „2008-2016“

ელექტრონული კომერციის გლობალური ტენდენციები შესაძლებელია გაანალიზდეს თუ გავეცნობით „we are social“ კვლევას, რომელიც თავის მხრივ ცნობილი ორგანზაციების შესაბამის კვლევებს ეყრდნობა, როგორიცაა მაგალითად GlobalWebIndex, GSMA Intelligence, Mobile Connectivity Index; Statista, Akamai is State of the Internet, Google-is Consumer Barometer, StatCounter, Ericsson-is Mobility Reports-ი. გლობალურად თუ მიმოვიხილავთ, ციფრულ სამყაროს გასაოცარი ზრდა აქვს გაკეთებული 2016 წელს თითქმის ყველა მნიშვნელოვან მაჩვენებლებში 2015 წელთან შედარებით, 2017 წლის მთავარი ციფრები ასე გამოიყურება: 3.773 მლრდ გლობალურად ინტერნეტ მომხმარებელი, რაც პენეტრაციის 50%-ს შეადგენს. 2.8 მლრდ გლობალურად სოციალური მედიის მომხმარებელი, რაც პენ-ეტრაციის 37%-ის ეკვივალენტურია. 4.92-მლრდ გლობალურად მობილურის მომხმარებე-ლი, რაც 66%-ს პენეტრაციას შეადგენს. 2.56 მლრდ გლობალურად მობილურით სოც მედიის მომხმარებელია, 34% პენეტრაციის. 1.61 მლრდ გლობალურად ე-კომერციის მომხმარებელი, რაც არის 22% პენეტრაციის (3)(7). აქტიური სოციალური მედიის მომხმარებელთა რიცხვი 222 მილიონითაა გაზრდილი, რაც 5%-იანი ზრდაა და მობილური სოციალური მედიის მომხმარებლები შთამბეჭდავი, 581 მილიონით 2016 წლის განმავ-ლობაში 30 %-ითაა გაზრდილი. რეგიონულ ჭრილში თუ მიმოვიხილავთ, ვნახავთ, რომ ინტერნეტ მომხმარებლის მონაცემები ასახავს ზოგიერთ მნიშვნელოვან ცვლილებას 2016 წელთან შედარებით. ციფრული მონაცემები აფრიკაში მხოლოდ ოდნავაა გაზრდილი 2017 წელს, მაგრამ ათიდან შვიდი ყველაზე სწრაფად მზარდი ინტერნეტ მო-სახლეობისა მსოფლიოში აფრიკაშია. მობილური სოციალური მედიის გამოყენება აფრი-კაში გაიზარდა თითქმის 50%-ით 2016 წელთან შედარებით, მაშინ როცა მხოლოდ 12%-ითაა გაზრდილი აქტიურად მობილური სოც-მედიის მომხმარებლების რაოდენობა მთელს რეგიონში, სადაც ჯერ კიდევ უამრავი სხვა სივრცეა ასათვისებელი. ამერიკის

კონტინენტზე შთამბეჭდავი მიღწევებია ბოლო 12 თვის განმავლობაში. იქ 53 მილიონი ახალი ინტერნეტ მომხმარებელია, რაც 8%-იანი ზრდაა რეგიონული გავრცელების. ასევე საგულისხმოა, რომ 2017 წელს მხოლოდ შეერთებულ შტატებში 22 მილიონი (25%) ახალი სოციალური მედიის მომხმარებელი გვყავს, სრული 88 მილიონიდან ამ კონტინენტისა(4). ციფრული ზრდაა აზიასა და წყნარი ოკეანის ქვეყნებშიც, სადაც ბოლო 12 თვეში ინტერნეტ მომხმარებლების რიცხვი 15 %-ითაა გაზრდილი და 1, 9 მლრდ-ს შეადგენს, რაც მთლიანი გავრცელების 46 % -ია. ასევე 50%-ითაა გაზრდილი სოციალური მედიის მოხმარება 2015 წელთან შედარებით. 1.5 მლრდ სოციალური მედიის მომხმარებელია აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნებში, რომელთაგან 95% მობილურ ხელსაწყოს იყენებს კავშირისათვის, რაც მსოფლიოს მასშტაბით უპრეცედენტო ციფრია. ევროპის კონტინენტზე ინტერნეტ მომხმარებელთა რიცხვის ოდნავ შენელებული ზრდის ტემპი შეინიშნება, თუმცა რეგიონში მაინც იქმნება მზარდი სურათი 21 მილიონი ახალი მომხმარებლით წელიწადში და ჯამში 637 მილიონი მომხმარებლით, რაც 3 % იანი ზრდაა. სოციალური მედიის მომხმარებლები 5 %-თაა გაზრდილი და 412 მლნ-ს შეადგენს, ხოლო მობილურით სოციალური მედიის მომხმარებლები 11%, ჯამში 340 მლნ-ით 2016 წელთან შედარებით(4). რაც შეეხება საქართველოს ციფრულ მონაცემებს, მცირე, მაგრამ მაინც უარყოფითი ტენდენციაა მოსახლეობის რაოდენობაში, რომელიც 1 %-მდეა შემცირებული და 2%-იანი ნაკლებობა შეინიშნება მობილურ აბონენტთა სტატისტიკაში. მნიშვნელოვანია ასევე მზარდი დინამიკის აღნიშვნა აქტიურად სოციალური მედიის მომხმარებელთა რიცხვში, რომელიც 38 %-ითაა გაზრდილი. სხვაობა ნახევარ მილიონ მომხმარებელს შეადგენს და ზოგადად სოციალური მედიის მომხმარებელთა რაოდენობა, სადაც 22%-იანი ზრდა ფიქსირდება 2016 წლის განმავლობაში. ინტერნეტ მომხმარებელთა რაოდენობა უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც გაზრდილია 4%-ით, ხოლო ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს, ყველა ძირითად მაჩვენებლებში შთამბეჭდავი ზრდა აქვთ ნაჩვენები. ინტერნეტ მომხმარებლების რაოდენობა 15%-ითაა გაზრდილი და 150 მლნ-ის ნიშნულს უახლოვდება, სოციალური მედიის მომხმარებლები 47%-ით, ხოლო მობილურით სოციალური მედიის მომხმარებლები 44%-ით (3).




წყარო: https://wearesocial.com . we are social 2016 . we are social 2017

აღსანიშნავია, რომ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ინტერნეტის მომხმარებელთა რიცხვი 80%-ზე მეტითაა გაზრდილი და დღეს ნახევარი მსოფლიო მისი მომხმარებელია, ასევე თვალში საცემია ის ფაქტი, რომ ამ მომხმარებელთა 90 % ინტერნეტს მობილური ტელეფონის საშუალებით მოიხმარს. ასევე 20 %-ითაა გაზრდილი სოციალური მედიის მომხმარებელთა რიცხვი 2016 წელს, სადაც Facebook - ბრწყინვალე შედეგებს აჩვენებს, ის

ბოლო 10 წლის განმავლობაში ლიდერია სოციალური პლატფორმებისა, თითქმის 2,8 მილიარდი ადამიანი დღეს მსოფლიოში აქტიურობს სოციალურ ქსელებში, სხვადსხვა ადგილიდან სხვდასხვა ხელსაწყოების გამოყენებით და მათგან 91% მობილური ტელე-ფონით. ციფრები მართლაც შთამბეჭდავია, თუმცა ზრდის ტემპის შენელებას ნამდვილად არ გვკარნახობენ, რადგან სახეზეა მობილური სოციალური მედიის მომხმარებლები 2.5 მილიარდით, რაც გასულ წელს 581 მლნ-ით გაიზარდა და დედამიწის მთელი მოსახლეობის 8 %-ს შეადგენს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყოველ წამში ახალი 18 მომხმარებელი ჰყავს (3)(7). არა მხოლოდ ინსტრუმენტები იცვლებიან, არამედ ბიზნეს პროცესებიც, რაც ტექნოლოგიური ინოვაციების განვითარებას მოჰყვება, მუდმივად განვითარებადი და ადაპტირებადი ტექნოლოგიები მართავენ და გარდაქმნიან ბიზნეს პროცესებს ყოველდღიურად. ბიზნეს კომპანიები, რომლებსაც აყვავება სურთ, ჩაბმულნი არიან სამარათონო რბოლაში, რათა ადაპტირება და გამოყენება შეძლონ ახალი ტე-ქნოლოგიების, სანამ ისინი ჯერ კიდევ აქტუალურები, რელევანტურები და სასარგებლო-ნი არიან. თანამედროვე ტექნოლოგიური განვითარების ტენდენციებიდან შემდეგ 6 ფაქტორს გამოვყოფთ:

- გადახდების განხორციელება უფრო ადვილდება. მიუხედავად იმისა, რომ ნებისმიერი ბიზნესისათვის საკრედიტო ბარათი მისაღებია და ნებისმიერი ასაკის ადამიანები იყენებენ Paypal გადახდის აპარატებს ან ბანკომატებს. მაინც მოსა-ლოდნელია ამ სახით გადახდების შემცირება, რადგან Apple Pay, Google Pay და სხვა მთელი რიგი მობილური გადახდის შესაძლებლობებს ახლო მომავალში ბაზრის დატბორვის პოტენცია აქვთ. გადახდების მიმართულებით ტენდენცია დაახლოებით ისე ვითარდება, როგორც ადვილდება ერთი შეხება სმარტფონის ეკრანზე. ასევე ადვილდება უკუკავშირი ტრანზაქციების რევერსული მოძრაობა და ინვოისის ავტომატურად ე-მეილით გადაგზავნა სმარტფონით, დღეისათვის ეს ნამდვიალად არის ბიზნეს ლედ ტექნოლოგიური ტენდენცია. Gartner-ი კი პროგნოზირებს, რომ მობილურით გადახდის ინდუსტრია 2017 წლისათვის, 2014 წლის 235 მლრდ დოლართან შედარებით, 270 მლრდ დოლარამდე გაიზრდება(4)(5).
- უსაფრთხოების საკითხები კვლავ უმნიშვნელოვანესია. არც ერთი ბიზნეს კომპანია არ ტოვებს ღამით კარებს ღიად, თუმცა უსაფრთხოების საკითხებში პატარა და ბინძური საიდუმლო ისაა, რომ უმრავლესობა კომპანიებისა და მათი სერვისების პროვაიდერები ეთამაშებიან თავისუფლად და სწრაფად ციფრულ უსაფრთხოებას. საკომუნიკაციო სისტემები არ არის ყოველთვის სრულად დაში-ფრული და ვებ-გვერდები ხასიათდებიან ხელმისაწვდომი ხვრელებით. მაშინ როცა ასე მიმზიდველია ინოვაციური ტექნოლოგიები, უსაფრთხოების თემები ხშირად მეორე პლანზე გადადის, თუმცა როგორც ბიზნესისათვის, ისე მომხმარე-ბლებისათვის აუცილებელია გაიღვიძოს პასუხისმგებლობამ უსაფრთხოების დაცვის მიზნით. ცნობილია, რომ 2005 წლის შემდეგ დაახლოებით 5000 ზე მეტი კომპანიის, ჯამში 815 მლნ-ზე მეტი ჩანაწერის, როგორიცაა სამედიცინო ისტო-რიები, სოციალური დაზღვევის მონაცემები და საბანკო მონაცემები, მთლიანობის დარღვევა და კომპრომეტირება მოხდა მსოფლიოს მასშტაბით (5).
- კომუნიკაციები ჩართულია, გააქტიურებულია და შემოთავზებულია. გამარტივებული გადახდების ფუნქციებთან ერთად, კომუნიკაციები პირდაპირ აპებსა და ვებ-გვერდებზეა გააქტიურებული. დღეისობით სკაიპი და ვოტსაპი არიან ყველაზე მოწონებადი და გავრცელებული სასაუბროდ, ვიდეოსა თუ სხვა ფაილების გასაზიარებლად, ისინი დღესაც მოითხოვენ მომხმარებლებისაგან შექმ-ნან ერთგული სანდო აპები, რადგან რეალურ დროში მიმდინარე კომუ-ნიკაციები(RTC) და განვითარებადი ჩაშენებული კომუნიკაციების სტანდარტი, WebRTC, ცვლიან მათ. ComScore-ის კვლევის თანახმად, 11.3 % (მზარდი დინამიკით) ყველა ინტერნეტ მომხმარებლისა ეყრდნობიან თავიანთ მობილურ ტელეფონებს ონლაინ შესასვლელად(5).
- ქსელში ჩართული მოწყობილობები რეალურ დროში განახლებების საშუ-ალებას იძლევა. საკომუნიკაციო ინვენტარი თავად გვატყობინებს პრობლემის შესახებ.

- ადჭურვილი თანამშრომლები. თანამშრომლებიც ხდებიან უფრო მობილურე-ბი, მათ შეუძლიათ თან ატარონ კომპიუტერული მოწყობილობები, რაც შესაძლე-ბლობაა თანამშრომლებისათვის რეალურ სივრცეში დღის განმავლობაში ერთ-მანეთთან ინტერაქციისა და კომუნიკაციისა. ასევე თვით ანგარიშგებადი მოწყობილობები აჩქარებენ ბიზნესსა და ხვეწავენ საქმიან ურთიერთობებს(4)(5).
- ქლოუდები მოიცავენ და იპყრობენ ყველაფერს. ქლოუდი (cloud) ინტერნეტის მეტაფორაა, ქლოუდ კომპუტინგი (cloud computing) კი ინტერნეტზე დამყარებული კომპიუტერი, რომელიც გულისხმობს სხვადასხვა მოწყობილობებსა და აპ-ლიკაციებს და მათ შორის ინტერნეტ კავშირით ურთიერთობის სისტემურ მხარეს. თითქმის ყველა კომპანია (93 %) რაღაც ფორმით იყენებს clouds-ს ყველა ან ზოგიერთი ბიზნეს პროცესის პროგრამული უზრუნველყოფისათვის. ბოლო რამ-დენიმე წლის განმავლობაში შეიმჩნევა ქლოუდ კომპიუტინგის გავრცელება, დღეისობით 68 % კომპანიებისა, ერთ მეხუთედს, მათი სააპლიკაციო პორთფოლიო-სი თუ პროდუქტებისა აწარმოებენ ონლაინ(5). ქლოუდების სამი სახეობა გამ-ოიყოფა: პროგრამული უზრუნველყოფა როგორც სერვისი, (SaaS), პლატფორმა როგორც სერვისი, (PaaS), ინფრასტრუქტურა როგორც სერვისი, იგივე საწყისი/ქვედა მონაცემთა ბაზის დონე (IaaS)(6).

პარტნიორებთან და მომხმარებლებთან ურთიერთობისათვის ბიზნესი გამუდმებით ცდილობს იპოვოს უკეთესი საშუალებები, შესთავაზოს უკეთესი ხარისხი და კომ-ფორტული გახადოს ბიზნეს პროცესი. ამაში ელექტრონული სერვისების როლი გა-ნუსაზღვრელად მაღალია, რომელიც ბიზნესს ყველა ფუნქციონირებად რგოლში ეხმარება და საშუალებას აძლევს პროცესის გაუმჯობესებაში.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. „ელ-მმართველობის ინდექსი“ - გაერთიანებული ერების კვლევები 2008- 2016.
2. Rowley, J. (2006) An analysis of the e-service literature: towards a research agenda.
3. https://wearesocial.com / we are social 2016 / we are social 2017/.
4. 4.http://www.cloudcomputing-insider.de/aktuelle-trends-im-business-intelligence.
5. https://thenextweb.com/business/2016/01/13/6-business-technology-trends.
6. https://blog.botfrei.de/2012/12/cloud-computing-oder-was-ist-eigentlich-die-cloud/.
7. https://de.statista.com/


**დიმიტრი ჯავახაძე**

**ელექტრონული სერვისების განვითარების გლობალური ტენდენციები**

**რეზიუმე**

დაქსელილი სამყარო და ქსელური ურთიერთობები ბიზნესში თანამედროვეობის მონაპოვარია. ახალი ტექნოლოგიები, ელექტრონული პლატფორმები, განსაკუთრებით კი სოციალური მედიის პლატფორმები ცვლიან გლობალურ ეკონომიკას სწრაფ ტემპებში. სტატიაში მიმოხილულია ელექტრონული სერვისების განვითარების გლობალური ტენდენციები, რომლებიც ცხადყოფენ ელექტრონული სერვისების გავრცელების მზარდ დინამიკას და აჩვენებენ მათი დანერგვისა და გამოყენების უალტერნატივო სურათს.

**Dimitri Javakhadze**
**The Global Trends of the Development of e - services**
**Summary**

The world of network and network relationships are the latest achievements in business. New technologies, electronic platforms, and especially social media platforms change the global economy at a rapid pace. The article reviews global trends of e-services development, which show the dynamic of the spread of electronic services and show a undisputed picture of their implementation and use.

**Димитри Джавахадзе**
**Глобальные тенденции развития электронных услуг**
**Резюме**

Мир сетей и сетевых соединений - это последние достижения в бизнесе. Новые технологии, электронные платформы и особенно платформы социальных сетей быстро меняют глобальную экономику. В статье рассматриваются глобальные тенденции развития электронных услуг, показывающие динамику распространения электронных услуг и неоспоримую картину их реализации и использования.

**დიმიტრი ჯავახაძე**
**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი**

## თანამედროვე ბიზნესის ელექტრონული შესაძლებლობები

ელექტრონული სერვისები საქმიანობის, ძალისხმევის, ღონისძიებებისა თუ სხვადასხვა ტიპის ქმედებების საკომუნიკაციო ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით მიწოდებაა(2), ელ-სერვისების გავრცელება, სამყაროს მასშტაბით განუხრელად მიმდინარეობს, როგორც ელექტრონული მმართველობის, ისე ელექტრონული კომერციის სახით. გლობალურ დონეზე ყველაფერი თანდათანობით ციფრული ხდება და შესაბამისად ელექტრონული ბიზნესი მარკეტინგსაც, როგორც ბიზნეს სტრატეგიის ნაწილს, ელექტრონულად აწარმოებს. ელ-მარკეტინგის შემთხვევაში მარკეტინგული გადაწყვეტილებები ხორციელდება ონლაინ რესურსების გამოყენებით, ელ-მარკეტინგი შეიძლება მოიცავდეს ფასიან სერვისს, მაშინ როცა სხვა მეთოდები ვირტუალურად უფასოა. უამრავი ელ-მარკეტინგის მეთოდებია ხელმისაწვდომი, მაგ. როგორიცაა პირდაპირი ელ-ფოსტა, SMS-შეტყობინება, ბლოგები, ვებ-გვერდები, ბანერები, ონლაინ სემინარები, ვიდეოები, სურათები, განცხადებები, სოციალური მედია საშუალებები, საძიებო სისტემები და ბევრი სხვა. არსებობს რამდენიმე მთავრი კატეგორია მარკეტინგული აქტივობებისა, საიდანაც ბიზნეს კომპანიები ირჩევენ სხვადასხვას, მათი მომხმარებლებიდან, ბაზრის მიზნებიდან, პროდუქციის სახეობიდან, კომპანიის მოცულობიდან გამომდინარე. ჩამოთვლილი ინსტრუმენტებიდან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია საძიებო სისტემაში ადვილად ძებნადობა კომპანიისათვის, მსგავს საძიებო სერვისებს სხვა კომპანიების მსგავსად ბიზნესს სთავაზობს Google-ი, რომელიც გამოირჩევა განსაკუთრებული თვისებებით, მაგალითად Google Places ელ-

სერვისი, რომელიც ეხმარება ბიზნესს განვითარებაში. 2010 წელს Google-მა ბაზარზე შემოიტანა რევოლუციური კონცეფცია, რომელმაც შეცვალა ბიზნესის ონლაინ ბაზარზე შესვლის მიდგომები, მან შექმნა და შემდეგ დაამუშავა უნიკალურ მონაცემთა ბაზები, რომლებიც აგროვებენ დეტალურ ინფორმაციას ისეთი ფირმების შესახებ, როგორიცაა სახელწოდება, მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელ-ფოსტა, ვებ-გვერდის მისამართი და ამ მონაცემთა ბაზას დღეისობით ეწოდება „Google Places“. შესაბამისად Google-ი აძლევს შესაძლებლობას ბიზნესს შექმნას, მონიშნოს საკუთარი Google ადგილები და განათავსოს ინფრომაცია, სურათი, ვიდეო და სხვა, მონიშნოს იგი სხვადასხვა გზამკვლევზე და ასე შემდეგ. მას ასევე ეწოდება Google Maps, Google Local და Google Local Business Center. Google-ის უპირატესობას ბიზნესისათვის ძებნის ბაზარზე სხვა სტატისტიკური მონაცემებიც განაპირობებენ:




წყარო: www.statcounter.com. https://www.luna-park.de/blog/9907

აღსანიშნავია, რომ Google-ს 2014 წელს მსოფლიო ბაზრის 89,8 %-ი ეკავა, 2015-ში 90,6 % და მიუხედავდ ასეთი მაღალი მაჩვენებლებისა, მაინც განაგრძობს ზრდას. 88,6%-ით Google-ს ასევე ეკავა ქართული საძიებო ბაზარი, Yandex-ი მხოლოდ 3,6 %-ს ფლობდა, მას უსწრებდა Bing-ი 4,3%-ით, Yahoo 1,6-ით, ხოლო სხვა დანარჩენებზე ჯამში 1,9%-ი მოდიოდა (3). კვლევები აჩვენებს, რომ 95% ყველა ინტერნეტ-ძებნისას მომხმარებლები უყურებენ პირველ გვერდს, ხოლო მეორე და მესამე ნაკლებად აინტერესებთ, შესაბამისად თუ კომპანია არ იძებნება Google-ის პირველივე გვერდზე ის უჩინარი ხდება მომხმარებლებისათვის. ამიტომ Google-ი ბიზნესს სთავზობს კიდევ უფრო საინტერესო სერვისს, რაც იმაში გამოიხატება, რომ Google Places-ი ახარისხებს ბიზნესს მათი ორგანული, ბუნებრივი მახასიათებლების მიხედვით, რათა ისინი პირველივე გვერდზე დაინახონ მომხმარებლებმა. უპირატესობა ენიჭება ადგილობრივ ბიზნესს, რომელიც მონიშნულია Google Places. გამომდინარე იქიდან, რომ ბიზნესი იძებნება Google-ის პირველ გვერდზე და თან ჩამონათვალის პირველივე სტრიქონებზე, ეს ბიზნესის ვებ-გვერდის მეტ ნახვებზე მიუთითებს, რაც თავისთავად მეტ მომხმარებელს გულისხმობს. BrightLocal.com-ის კვლევამ აჩვენა რომ 33% მომხმარებლებისა Google Places ბიზნეს ვებ-გვერდის აღმოჩენის შემდეგ გადამისამართებას ახდენს ბიზნესის ლოკალურ ოფიციალურ ვებ- გვერდზე. ასევე მნიშვნელოვანია რომ Google Places გამოირჩევა მობილური მზადყოფნით, ის მობილური სმარტფონებისათვის ავტომატურად აფორმატებს ყველა ინფორმაციას, რომელიც Google Places-ზეა მონიშნული ბიზნესის შესახებ. Google-ის საძიებო სისტემას მისი მომხმარებლების ნახევარზე მეტი სმარტფონით ახორციელებს მთლიანის 95%-ს მობილური ტელეფონით, ხოლო პერსონალური კომპიუტერით 88%-ი. ასევე საყურადღებოა Google-ის სარეკლამო ბრუნვის მაჩვენებლები მის ვებ-გვერდებზე, რომელიც 2016 წლის მონაცემებით 63 მილიარდ დოლარს აჭარბებს(8).




წყარო: www.de.statista.com

ამასთან, სულ უფრო იზრდება ჩამოტვირთული აპლიკაციების რაოდენობა, რომელთა რაოდენობამაც მხოლოდ Google Play Store-დან 2016 წელს 65 მილიარდს გადააჭარბა. 2017 წლის იანვრის თვეში კატეგორიების მიხედვით აპლიკაციებიდან თამაშების კატეგორია ლიდერობს 24,97 % პროცენტით, ხოლო ბიზნესს მეორე ადგილი უჭირავს 9.92 %-ით, შემდეგ მოდის განათლება 8,49 5-ით და ცხოვრების სტილის 8,39%-ით(8).




წყარო: www.de.statista.com

ელექტრონული ბიზნესის თანამედროვე გამოწვევებისა და შესაძლებლობის ჭრილში, საინტერესო და მნიშვნელოვანი ხდება თავად არსებული პლატფორმებისა და ელექტრონული გაყიდვების ანალიზი გლობალური მასშტაბით და მთავარი ტენდენციების გამოვლენა.

eMarketer-ის კვლევების მიხედვით, როგორიცაა მსოფლიოს მასშტაბით საცალო გაყიდვებისა და მათ შორის ელექტრონული ფორმით საცალო გაყიდვების სტატისტიკა და პროგნოზები, ჩანს რომ 2016 წელს საერთო საცალოდ განხორციელებულმა გაყიდვებმა, სამოგზაურო და ღონისძიებათა ბილეთებიდან შემოსავლების გამოკლებით, მსოფლიოს მასშტაბით 22,049 ტრილიონი დოლარი შეადგინა, რაც 6%-ით მეტია გასულ წელთან შედარებით და სავარაუდო ციფრი 2020 წლისათვის 27 ტრილიონს მიაღწევს(5).




წყარო: [www.emarketer.com](http://www.emarketer.com)

საცალო ელ-კომერციის გაყიდვები მოიცავს პროდუქტსა და მომსახურებას (გარდა სამოგზაურო, სარესტორნო და ღონისძიებების ბილეთების ბიზნესისა), რომელიც ინტერნეტით სხვადასხვა სახის ინსტრუმენტით ხორციელდება და 1.195 ტრილიონს აჭარბებს, რომელიც მსოფლიოს მასშტაბით საცალო გაყიდვის 8.7 %-ს შეადგენს მიუხედავად იმისა, რომ ეს ციფრი მცირდება, ციფრული გაყიდვების პროცენტული მაჩვენებელი მკვეთრად იზრდება და 2016 წლისათვის 23.7 % შეადგინა. საცალო ელ-ბაზრის წარმომადგენლები ფიქრობენ, რომ საპროგნოზო მაჩვენებლით 2020 წელს ეს ციფრი 4.058 ტრილიონს შეადგენს, რაც საერთო საცალო ვაჭრობის 14,6 % იქნება.




წყარო: www.emarketer.com

აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი იყო და რჩება ყველაზე მსხვილ საცალო ელ-ვაჭრობის ბაზრად, 1 ტრილიონ დოლარზე მეტით 2016 წლის მონაცემებით და 2020 წლის საპროგნოზო 2.275 ტრილიონი დოლარით, რასაც ხელს უწყობს საშუალო ფენის ზრდა, ინტერნეტის გავრცელების ზრდა, ასევე მზარდი კონკურენცია ელექტრონული ვაჭრობის აგენტებისა ბაზარზე, მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და ინფრასტუქტურის განვითარება რეგიონში. ძირითადი ნაწილი საცალო გაყიდვებისა ელექტრონულ კომერციაში ჩინეთზე მოდის, რომელმაც 900 მილიარდს მიაღწია 2016 წელს, რაც თითქმის ნახევარია (47%) მთლიანად მსგავსი გაყიდვებისა მსოფლიოს მასშტაბით. მიუხედავად იმისა რომ ზრდის პოტენციალი კიდევ არსებობს, აზია წყნარი ოკეანის ქვეყნებში კვლავ არის პრობლემები. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, რეალურად ელექტრონული ვაჭრობა მთლიანი გაყიდვების მცირე ნაწილს შეადგენს. სუსტად

განვითარებულმა ინფრასტრუქტურამ და ციფრული გადახდის სერვისებმა, ასევე სუსტმა ლოგისტიკურმა სტრუქტურებმა, დაწყებით სტადიაშივე ეს ქვეყნები აქციეს მოუმზადებელად დიდი ბრუნვებისა და შეკვეთების დამუშავებისთვის ელექტრონულ კომერციაში. საცალო გაყიდვების ბრუნვით ელ-კომერციაში ჩრდილოეთ ამერიკა 2016 წელს 15,6 %-ზე ავიდა და 423,34 დოლარი შეადგინა, ამით რეგიონს სტატუსი შეუნარჩუნა, როგორც მეორე ადგილოსანს მსოფლიოში ელექტრონული საცალო გაყიდვების ბაზარზე. შესაბამისად ამ რეგიონშიც სავარაუდოა სტაბილური ზრდა 2020 წლამდე, რისი ვარაუდის საშუალებასაც არსებული „ციფრული მყიდველების“ ხარჯების ზრდა, ახალი კატეგორიები ელ-კომერციაში, სურსათისა და მობილური კომერციის შესაძლებლობები იძლევა. ელ-კომერციის ბაზრები ხშირად იცვლებიან, რადგან თვითონ საქმიანობის სფეროები ვითარდება და გარკვეულ ევოლუციას განიცდის(5). 2016 წლის თებერვალში aheadworks.com ბლოგზე გამოქვეყნდა საინტერესო სტატისტიკური მონაცემები ელექტრონული კომერციის პლატფორმების ანალიზისათვის, რომელიც მსოფლიოში ხუთ ყველაზე დიდ ელ-კომერციის პორტალს მოიცავს, ისინი ბიზნესს ონლაინ მაღზიების, ელ-ბაზრების მოსაწყობად აუცილებელ პროგრამულ უზრუნველყოფასა და გადაწყვეტებს სთავზობენ მომხმარებლებს. ამ გვერდებზე საშუალო საბაზისო სერვისების პაკეტების ფასები ყოველთვიური შესყიდვის პირობებში, 29 დოლარიდან იწყება და 299 დოლარამდე ადის, ტრანზაქციების საკომისიო კი 2% დან 0.5%-ის ფარგლებში მერყეობს(6). 2017 წლის დასაწყისში პლატფორმების განაწილება ასე გამოიყურება:

ელ-კომერციის 10 საუკეთესო პლატფორმა
Datanyze Universe-ის რანგირება 137 ტექნოლოგიიდან. 2017

| რეიტინგი/ Ranking | ტექნოლოგია/ Technology | საბაზრო წილი/ Domains | საბაზრო წილი/ Market Share |
|---|---|---|---|
| 1 | Woo Commerce | 601,537 | 27.79% |
| 2 | WooCommerce 2.6 | 259,292 | 11.98% |
| 3 | Magento | 174,624 | 8.07% |
| 4 | Shopify | 148,838 | 6.88% |
| 5 | Virtuemart | 123,830 | 5.72% |
| 6 | MonsterCommerce (acquired by Network Solutions) | 123,725 | 5.72% |
| 7 | PrestaShop | 84,593 | 3.91% |
| 8 | WixStores | 67,378 | 3.11% |
| 9 | BigCommerce | 62,214 | 2.87% |
| 10 | OpenCart | 50,607 | 2.34% |

წყარო: https://www.datanyze.com/market-share/e-commerce-platforms/

| პლატფორმები | ენები | ქვეყნები | პროდუქტიციის სეგმენტები | ფასები |
|---|---|---|---|---|
| SHOPIFY | მხოლოდ ინგლისური | რამდენიმე | დივერსიფიცირებული, უფრო ტანსაცმელი და აქსესუარები | დაბალი |
| PRESTASHOP | ბევრი ენა | ბევრი, უფრო ევროპული | დივერსიფიცირებული, უფრო ელექტრო საქონელი | საშუალოზე დაბალი |
| WOOCOMMERCE | ბევრი ენა უფრო ინგლისური | ბევრი , უფრო აშშ | დივერსიფიცირებული, უფრო არამატერიალური | საშუალოზე დაბალი |
| MAGENTO CE | ბევრი ენა | ბევრი, მსოფლიოს მასშტაბით | დივერსიფიცირებული, უფრო მატერიალური | საშუალოზე მაღალი |
| MAGENTO EE | რამდენიმე ენა , უფრო ინგლისური | რამდენიმე, უფრო აშშ | დივერსიფიცირებული, უფრო მატერიალური | მაღალი |

წყარო: https://blog.aheadworks.com

კვლევა აჩვენებს, რომ Shopify იღებს დაბალფასიან სეგმენტს, ფართოვდება პრიორიტეტულად ინგლისურენოვან რეგიონებში, ყველაზე მეტად აშშ-ში, Shopify-ის ელ-სერვისების მფლობელები ჰყიდიან უამრავ სხვადასხვა სახის პროდუქტებს, მაგრამ უფრო მეტად ტანსაცმელს, აქსესუარებსა და ელ-ტექნიკას. PrestaShop-ი ევროპაში ყველაზე პოპულარული და მოთხოვნადი პლატფორმაა და იყენებს ბევრ ევროპულ ენას, აქ ფასები ოდნავ დაბალია საერთო საშუალო ფასებთან შედარებით, რაც წარმოდგენილია ძირითადად ელ-ტექნიკის, ტანსაცმლისა და აქსესუარების ფასებით. WooCommerce არამატერიალურ პროდუქტს ჰყიდის (ინფორმაციას, საკონსულტაციო სერვისს) უმრავლეს შემთხვევაში საშუალოზე დაბალ ფასში, უმრავლესობა მაღაზიებისა ინგლისურენოვანი აქვს და აშშ-ია პოპულარული. Magento CE ყველაზე დივერსიფიცირებული პლატფორმაა ენებისა და ქვეყნების მხრივ, ასევე პროდუქციის სეგმენტების მხრივ, რომელთა ფასებიც ასევე საერთო საშუალო ფასების ქვემოთაა. Magento მიეკუთვნება საწარმოთა ბაზრის სეგმენტს და ეს განსაზღვრავს მის მთავარ მახასიათებლებს, როგორიცაა მაღალი ფასები და შეზღუდული პროდუქტების რაოდენობა, ისიც აშშ-ია პოპულარული და ინგლისურენოვან ქვეყნებში ყველაზე გავრცელებული. საინტერესოა საქართველოსა და მის მეზობელ ქვეყნებში განვითარებული ტენდენციები და ელექტრონული კომერციის ასაგებად საჭირო ელექტრონული პლატფორმების გავრცელების პროცენტული მაჩვენებლები(6).

საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებში გავრცელებული ელ-კომერციის პლატფორმები .% . 2016

| | საქართველო | რუსეთი | აზერბაიჯანი | თურქეთი | სომხეთი | უკრაინა | მოლდოვეთი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| OpenCart | 16.01 | 35.02 | 37.11 | 31.06 | 14.22 | 44.45 | 21.46 |
| CS Cart | 10.46 | | 1.03 | | | 1.45 | 1.37 |
| PrestaShop | 7.19 | 4.1 | 9.62 | 3.43 | 5.17 | 7.17 | 8.22 |
| VirtueMart | 5.23 | 10.56 | 5.84 | 1.77 | 3.88 | 10.38 | 10.05 |
| Magento | 3.59 | 1.92 | 3.09 | 3.43 | 14.66 | 4.38 | 4.79 |
| WooCommerce Add To Cart | 2.94 | 1.97 | 1.72 | 1.6 | 2.59 | 2.0 | 2.05 |
| Hikashop | 1.31 | | | | | | |
| WooCommerce | 48.69 | 24.39 | 34.71 | 48.51 | 42.24 | | 37.21 |
| Wix Stores | 1.31 | 3.65 | 2.06 | 1.49 | 1.72 | | |
| Ecwid | 0.65 | | 0.69 | | | | |
| Shopify | | | | | 2.59 | | 1.14 |
| Shopify Conversations | | | | | 2.59 | | |
| Ubercart | | 2.91 | | | 1.72 | 2.17 | 1.6 |
| osCommerce | | 2.95 | | | | 4.48 | 1.14 |

წყარო: https://trends.builtwith.com/shop

კვლევა აჩვენებს WooCommerce-სა და OpenCart-ის მაღალ მაჩვენებლებს რეგიონში, ასევე საინტერესო გამოვლენაა ის, რომ ელ-პლატფორმები, რომლებიც საქართველოშია გავრცელებული, ფეხი არა აქვთ მოკიდებული მეზობელ ქვეყნებში და პირიქით, ასეთებია Shopify, osCommerce, ubercart, csCart, hikashop, ECwid და სხვები.

თანამედროვე მსოფლიოში ელექტრონული სერვისები წარმოადგენენ კომპანიებში მიმდინარე ბიზნეს-პროცესებისა და შიდა სტრუქტურის განვითარების განუყოფელ ნაწილს, კიდევ უფრო მეტ მოთხოვნებს უყენებენ თანამედროვე ბიზნესსა და ახალი გამოწვევების გარიჟრაჟზე, ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევენ გააგრძელონ გარდაქმნა ციფრული მიმართულებით.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. www.statcounter.com.
2. Rowley, J. (2006) An analysis of the e-service literature: towards a research agenda. Internet Research, 16 (3), 339-359.
3. https://www.luna-park.de/blog/9907-suchmaschinen-marktanteile-weltweit
4. https://www.datanyze.com/market-share/e-commerce-platforms/
5. www.emarketer.com “Worldwide Retail Ecommerce Sales: The eMarketer Forecast for 2016” (eMarketer PRO customers only)
6. https://blog.aheadworks.com
7. https://trends.builtwith.com/shop

8. www.de.statista.com

**დიმიტრი ჯავახაძე**
**თანამედროვე ბიზნესის ელექტრონული შესაძლებლობები**
**რეზუმე**

ბიზნესის მთავარი მიზნებიდან გამომდინარე, დაზოგოს დრო და ფინანსური რესურსები, შეუმცირდეს ადმინისტრაციული წნეხი, გაიმარტივოს ურთიერთობა პარტ-ნიორებთან, უფრო ეფექტიანად მოახერხოს თვითდამკვიდრება არსებულ კონკურენტულ სამყაროში, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ელექტრონული სერვისების დანერგვის გარეშე მიუღწევადი ხდება. სტატიაში განხილულია ელ-კომერციის გაყიდვების ელექტრონული ინსტრუმენტები, ელ-კომერციის საცალო გაყიდვებისა და ელ-კომერციის პლატფორმების გლობალური ტენდენციები.

**Dimitri Javakhadze**
**Electronic Capabilities of Modern Business**
**Summary**

Due to the main goals of business, save time and financial resources, decrease administrative pres-sure, simplify communication with partners, more efficiently and effectively manage self-sustaining in the existing competitive world, without the introduction of electronic services in compliance with international standards, it is unacceptable.The article discusses e-commerce sales electronic instruments, global trends of e-commerce retail sales and e-commerce platforms.

**Димитри Джавахадзе**
**Электронные возможности современного бизнеса**
**Резюме**

В связи с основными целями бизнеса, сэкономить время и финансовые ресурсы, снизить ад-министративное давление, упростить взаимодействие с партнерами, более эффективно управлять самоподдерживающимся в существующем конкурентном мире, без внедрения электронных услуг в соответствии с международными стандартами является неприемлемым. В статье обсуждаются ин-струменты продаж электронной коммерции, глобальные тенденции электронной коммерции роз-ничных продаж и платформы электронной коммерции.

გივი მაკალათია
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის დოქტორანტი

## ბიზნესის ეთიკის სრულყოფის საკითხები საქართველოში

სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის თანამშრომლობა, საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში, ნამდვილად აღნიშვნის ღირსია. ერთი მხრივ სახელმწიფო სხვადასხვა ეკონომიკური პროგრამები, ხოლო მეორე მხრივ ჯანსაღი ბიზნეს და საინვესტიციო გარემოს შექმნა, სადაც კერძო საკუთრების ხელყოფაზე დიდი ხანია აღარავინ საუბრობს, გვაძლევს დიდ პერსპექტივას, რომ მომავალში კიდევ უფრო მეტ წარმატებებს მივაღწევთ საბაზრო ეკონომიკის შენების გზაზე. პოსტსაბჭოთა ეკონომიკური ტრანსფორმაციის პერიოდში ძალზე აქტუალურია ბიზნესის ეთიკის ჩამოყალიბებისა და სრულყოფის საკითხები, ეს კი ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს.

წარმატებული ბიზნესი შეუძლებელია განვიხილოთ ბიზნესის ეთიკის გათვალისწინების გარეშე. არც ერთი დასავლური ცივილიზებული ქვეყანა ბიზნესის ეთიკის გარეშე არ განვითარებულა. ბიზნესის ეთიკას, როგორც მეცნიერების დარგს, XX საუკუნის 70-იან წლებში აშშ-ში ჩაეყარა საფუძველი. იგი ზოგადსაკაცობრიო ზნეობრივ პრინციპებს ეფუძნება, მჭიდროდაა დაკავშირებული ადამიანების რელიგიურ, ფილოსოფიურ და კულტურულ შეხედულებებთან, ეროვნულ ტრადიციებთან და თანამედროვე თვალსაზრისებთან. რადგანაც სხვა ქვეყნებთან შედარებით საქართველო „ახალგაზრდაა" საბაზრო ეკონომიკის პრინციპების დამკვიდრებაში, შესაბამისად ბიზნესის ეთიკაც ახალი მეცნიერებაა ჩვენთვის. ეთიკური პრინციპების დარღვევა ბიზნეს საქმიანობაში გამოიხატება შემდეგში: არასწორი ფინანსური ანგარიშგების მომზადებაში, გადასახადების გადახდის თავიდან არიდებაში, უხარისხო, ჯანმრთელობისათვის მავნე პროდუქციის გამოშვებაში, დემპინგური ფასების გამოყენებაში, კონკურენტების დისკრედიტაციაში, გარემოს დაბინძურებაში და ა.შ.

განვლილ წლებთან შედარებით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში „ჩრდილოვანი ეკონომიკა" მნიშვნელოვნად არის შემცირებული, რაც უდავოდ ბიზნესის კულტურის ჩამოყალიბებაზე მიუთითებს. ადგილობრივი ბიზნესის ეთიკის განვითარება არსებით გავლენას ახდენს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში, რაც მნიშვნელოვანი პირობაა როგორც ეკონომიკური ზრდისათვის, ისე უცხოური საქმიანი კულტურის გაცნობისთვისაც.

ბიზნესის ეთიკა განიხილება არატრადიციულ ეკონომიკსში, რადგან მორალურ პრინციპებს ტრადიციული ეკონომიკსი არ იცნობს. გასათვალისწინებელია ცნობილი ეკონომისტის, აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას მოსაზრება: „არატრადიციული ეკონომიკსისათვის, ტრადიციულის მსგავსად, შესწავლის ობიექტი და უმთავრესი კითხვები, რაზეც ეკონომისტს უნდა შეეძლოს პასუხების გაცემა, იგივეა. იცვლება ამ კითხვებზე პასუხები. კერძოდ, ამა თუ იმ ეკონომიკურ კითხვაზე პასუხი არატრადიციულ ეკონომიკსიდან რეალობასთან უფრო ახლოსაა, ვიდრე იმავე კითხვაზე პასუხი ტრადიციული ეკონომიკსიდან" (3,16).

ბიზნესის ეთიკის განვითარების აუცილებელი კომპონენტი კონკურენტული ბაზრის არსებობაა, სხვა შემთხვევაში მნიშვნელოვან გადაცდომებს ვხვდებით. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველო განვითარებადი ქვეყანაა, ბიზნესის ეთიკის განვითარების ხელშეწყობისათვის მნიშვნელოვანია სახელმწიფოს როლიც. მაგალითისათვის შეგვიძლია გავიხსენოთ ეროვნული ბანკის მიერ გადადგმული ნაბიჯი – კომერციული ბანკების მხრიდან მომხმარებლების ინფორმირება პირველ რიგში ეფექტური საპროცენტო განაკვეთით თითოეულ საკრედიტო განაცხადის შევსებისას. ამგვარი გადაწყვეტილება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია კონკურენტული გარემოს შექმნისა და ბიზნესის ეთიკის განვითარების ხელშეწყობისათვის. ბიზნესის ეთიკის ჩამოყალიბებისათვის აღსანიშნავია, აგრეთვე ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატის ჯოზეფ სტიგლიცის მიერ შემოთავაზებული „ასიმეტრიული ინფორმაციის" ცნება. მისი მთავარი

იდეა გულისხმობს არასწორი და არაზუსტი ინფორმაციის ურთიერთგაცვლას ეკონომიკურ სუბიექტებს შორის, რაც ტრანზაქციულ დანახარჯებს ზრდის. შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ასიმეტრიული ინფორმაციისაგან" გაზრდილი ტრანზაქციური დანახარჯები მნიშვნელოვნად დამოკიდებულია თუ როგორ არის დანერგილი ბიზნესის ეთიკის პრაქტიკა, რადგან ბიზნესში მნიშვნელოვანია ნდობა, სახელი. ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებაზე ხელის მოწერით, საქართველომ ვალდებულება აიღო საკუთარი კანონმდებლობა მიუახლოოს ევროპის კანონმდებლობას. ამგვარი კანონმდებლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პაკეტი ეხება მომხმარებელთა უფლებების დაცვას სწორედ „ასიმეტრიული ინფორმაციისაგან" გამოწვეული ზარალისაგან. კერძოდ, საქართველომ საკუთარი კანონმდებლობა თანხვედრაში უნდა მოიყვანოს ევროპის დირექტივასთან (2011/83) მომხმარებელთა უფლებების შესახებ. დირექტივა ითვალისწინებს ისეთი სავალდებულო ნორმის შემოტანას, როგორიცაა მომხმარებლის უფლება უარი თქვას ხელშეკრულებაზე, საქონლის საკუთრებაში გადაცემიდან ან მომსახურების მიღებიდან რამდენიმე დღის განმავლობაში (კერძოდ 7 ან 14 დღე). დღესდღეობით საქართველოში მოქმედი კომპანიების 90%-ს დაბრუნების პოლიტიკა არა აქვს, ხოლო მთლიანად დაბრუნების ოდენობა 7%-ია. აშკარაა, რომ აღნიშნული რეგულაციის შემდგომ ბიზნესსუბიექტების მხრიდან ტრანზაქციური დანახარჯები კიდევ უფრო გაიზრდება, ხოლო დაბრუნებული საქონლის ღირებულება მნიშვნელოვნად შემცირდება.

დიდი ბრიტანეთის მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ რეგულაციის გავლენის შეფასების დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ბიზნესის ხარჯები საშუალოდ დაბრუნებული საქონლის ღირებულების 50%-ა. 2016 წელს საქართველოში 85 770 000 ლარის ღირებულების საქონელი მოაკლდა გაყიდვების წილს დაბრუნების პოლიტიკის შედეგად, ხოლო ხელშეკრულებების გაუქმებასთან დაკავშირებულმა ხარჯებმა კი 4 268 000 ლარი შეადგინა. შედარებისათვის გერმანიაში გაუქმებული ხელშეკრულებების ოდენობა 1,8%-ა, ამგვარი დაბალი მაჩვენებელი მათ მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოებაზე მეტყველებს. ამგვარად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სახელმწიფო რეგულაცია მოკლევადიან პერიოდში მნიშვნელოვან დანაკარგებს გამოიწვევს, ხოლო გრძელვადიან პერიოდში კი ბაზრის გაჯანსაღების შედეგად ეკონომიკური აქტივობის გამარტივებას და გაზრდას შეუწყობს ხელს, რაც აამაღლებს ნდობასა და „უხილავი ხელის" ეფექტიანობას. სახელმწიფო რეგულაციის მთავარი მიზანია პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება. არსებობს შემდეგი წესი ბიზნესში: სისტემატურად იზრუნეთ თქვენს თანამშრომლებზე, მომხმარებლებზე და სანაცვლოდ ბაზარი იზრუნებს თქვენზე. ბიზნესის ეთიკის განხილვისას აგრეთვე უნდა აღვნიშნოთ ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობაც. ეკონომიკური ტანსფორმაციის პერიოდში ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა იზრდება. ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობაა, ბიზნესის მხრიდან განხორციელებული ქმედითი ღონისძიებები, (სპონსორობა, ქველმოქმედება და სხვ.) რათა გადაჭრას ის პრობლემები, რომელიც გამოწვეულია ობიექტური მიზეზებით. ამ მხრივ საქართველოში არაერთი მაგალითი არსებობს, თუმცა რეგულარულად სხვადასხვა სოციალურ პროგრამებში მონაწილეობის მიღებას, ბენეფიციარების მხრიდან მოთხოვნილების გაზრდაც მოსდევს. ამიტომაც, ბიზნესისათვის უპირველესი სოციალური პასუხისმგებლობა სწორედ დასაქმების ზრდაა, შესაბამისი ხელფასის დანიშვნა და არა სოციალური პროექტების სიხშირე (აქ არ განიხილება ფორსმაჟორული სიტუაციების დაფინანსება). ბიზნესის სოციალურ პასუხისმგებლობას, ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატი მილტონ ფრიდმანი შემდეგნაირად აღწერს: „ეკონომიკაში ბიზნესს მხოლოდ ერთი პასუხისმგებლობა აკისრია: მან უნდა უზრუნველყოს არსებული რესურსების ოპტიმალურად გამოყენება. მიმართოს საქმიანობა მაქსიმალური მოგების მიღებაზე და, ამავე დროს, დარჩეს თამაშის არსებული წესების ფარგლებში, რომლებიც ითვალისწინებს მოტყუებისა და გაცურების გარეშე ღია და თავისუფალ კონკურენციაში მონაწილეობას" (5,129). მაშასადამე, ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა საბაზრო ეკონომიკის პირობებში უდიდეს როლს ასრულებს, რადგან დასაქმება აღარ არის სახელმწიფოს უშუალო ფუნქცია. ბიზნესის ეთიკისა და ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის საკითხები უნდა განიხილებოდეს ერთიან კონტექსტში განუყოფლად,

რადგან ბიზნესის ეთიკის ჩამოყალიბება ხელს უწყობს ეკონომიკის განვითარებას, რაც თავისთავად გულისხმობს ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის ზრდას.

ამგვარად, ბიზნესის ეთიკის განვითარება სასურველია ეკონომიკური ზრდის პარალელურად, რაც შესაბამისად გამორიცხავს მრავალ სოციალურ ხარჯებსაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან, რის შედეგადაც თანხები მიიმართება მნიშვნელოვანი ეკონომიკური პროექტებისაკენ. ეს კი საშუალებას მოგვცემს ეკონომიკური ურთიერთობები იყოს უფრო მეტად აქტიური, რაც შეუფერხებელ კვლავწარმოებით პროცესს ხელს შეუწყობს. შესაბამისად კრიზისული პროცესებიც შემცირდება. სტატიაში განხილული სახელმწიფო რეგულაცია მომხმარებლების უფლებების დაცვის შესახებ, ჩვენი აზრით, მოკლევადიან პერიოდში გამოიწვევს ტრანზაქციული დანახარჯების გაზრდას, ხოლო გრძელვადიან პერიოდში კი პირიქით შემცირდება ბაზრის გაჯანსაღების შედეგად, რაც აამაღლებს ნდობასა და „უხილავი ხელის“ ეფექტიანობას.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. ასოცირების შესახებ შეთანხმება საქართველოსა და ევროკავშირს შორის, თბ., 2014.
2. ლომინაძე ს., საზოგადოებასთან ურთიერთობის (PR–ის) ტექნოლოგიები ბიზნესში, თბ., 2013.
3. პაპავა ვ., არატრადიციული ეკონომიკსი, თბ., 2011.
4. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, რეგულირების გავლენის შეფასება საქართველოს კანონის პროექტზე „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“, თბ., 2016.
5. ფრიდმანი მ., კაპიტალიზმი და თავისუფლება, თბ., 2002.
6. ჭითანავა ნ., თაკალანძე ლ., სოციალური ეკონომიკა: ფორმირება და განვითარება (ნაწილი I), თბ., 2008.
7. https://en.wikipedia.org/wiki/Information_asymmetry


**გივი მაკალათია**

**ბიზნესის ეთიკის სრულყოფის საკითხები საქართველოში**

**რეზიუმე**


გამომდინარე იქიდან, რომ ბიზნესის ეთიკის შესწავლის ასპექტები ძალზე ფართოა და კომპლექსური, სტატიაში განხილულია რამდენიმე საკითხი, ძირითადად საქონლისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება, კერძოდ კი ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების მიხედვით „ასიმეტრიული ინფორმაციისაგან“ გამოწვეული რისკების შემცირება. მიუხედავად იმისა, რომ ბიზნესის ეთიკის განვითარებისათვის კონკურენცია უპირველეს როლს ასრულებს, მნიშვნელოვანია სახელმწიფოს პოლიტიკაც ამ მიმართულებით.

ბიზნესის ეთიკა არ უნდა განიხილებოდეს დამოუკიდებლად, ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის გარეშე, რადგან მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი არსებობს. ბიზნესის ეთიკის ჩამოყალიბება ეკონომიკის განვითარებას უწყობს

ხელს, რაც თავისთავად გულისხმობს ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის (მაგ., დასაქმება) ზრდას.

**Givi Makalatia**

**Business Ethics Improvement Issues in Georgia**

**Summary**

Considering the fact that the aspects of business ethics studies are quite comprehensive and complex, this article only analyzes several points, mainly the product and service quality improvement issues. Namely, the risk reduction caused by “Asymmetric Information” according to the EU Association Agreement. Despite the fact that competition plays the key role in business ethics improvement, state policy is also important.

Business ethics should not be viewed independently without considering the social responsibility of a business, as there is a causal link between them. Establishment of ethical standard for business supports the economic development that implies the growth of corporate social responsibility (e.g. employment).

**Гиви Макалатиа**

**Вопросы усовершенствования бизнесэтики в Грузии**

**Резюме**

Исходя из того, что аспекты изучения бизнесэтики довольно широкие и комплексные, в статье рассмотренно в основном улучшение качества обслуживания и товара, а в частности сокращение рисков вызванных «асимметрической информацией» согласно договору об ассоциировании Евросоюза. Несмотря на то, что конкуренция играет главную роль в развитии бизнесэтики, также значительна политика государства в этом направлении.

Этика бизнеса не должна рассматриваться отдельно, без социальной ответственности бизнеса, потому, что между ними существует причинно-следственная связь. Формирование бизнесэтики помогает развитию экономики, что само собой подразумевает рост социальной ответственности бизнеса (например трудоустройство).

# აგრარული მეცნიერებანი

მაგდა ვადაჭკორია
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი

## ორგანული სოფლისმეურნეობა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების გლობალიზაცია

ორგანული სოფლის მეურნეობა წარმოადგენს საწარმოო სისტემას, რომელიც გამორიცხავს ხელოვნური სასუქების, პესტიციდების, ზრდის რეგულატორებისა და ქიმი-ური საკვები დანამატების გამოყენებას. ორგანული სოფლის მეურნეობის აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს თესლბრუნვის, მცენარეული ნარჩენების, ნაკელის, მწვანე სასუქების, ნიადაგის მექანიკური კულტივაციისა და მცენარეების მავნებლებთან და დაავადებებთან ბრძოლის ბიოლოგიური მეთოდების გამოყენება.

ორგანული სოფლის მეურნეობა უზრუნველყოფს ენერგიის ეკონომიას, გარემოს დაცვას, გააჩნია გრძელვადიანი მდგრადობის ტენდენცია და ეკონომიკურად ფრიად ეფექტურია. სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა მაღალია გვალვის დრო-საც. ორგანული სოფლის მეურნეობის პირობებში ენერგიის დანახარჯი პროდუქციის წარმოებაში 60%-ით უფრო დაბალია, ვიდრე ჩვეულებრივი წარმოების დროს, ორგანული სოფლის მეურნეობა უფრო ნაკლებად კაპიტალტევადია, რაც ამცირებს კრედიტებზე სოფლის მეურნეობის დამოკიდებულების ხარისხს. ორგანულმა მეურნეობამ განავითარა ეკოლოგიური თვალსაზრისით სუფთა და მდგრადი სასოფლო-სამეურნეო მეთოდები და პროცესები, რომლებიც ამტკიცებს, რომ ორგანული მეურნეობის სისტემა კონკურენტუნა-რიანია და ითვალისწინებს დღევანდელი და შემდგომი თაობებისათვის უსაფრთხო საკვე-ბის წარმოებას, რასაც მინიმუმამდე დაჰყავს გვერდითი მოვლენები.

ბიოწარმოების წესები ემყარება ზოგად პრინციპებს, რომლის თანახმად:

• ბიომეურნეობის დაგეგმვისა და მართვისას გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ შიდა ბუნებრივი რესურსები და წარმოების ბიოლოგიური და მექანიკური მეთოდები;

• ბიოპროდუქციის დაბინძურებისა და მავნებელ-დაავადებების წინააღმდეგ გატარებულ უნდა იქნეს პრევენციული და საკონტროლო ღონისძიებები;

• იმ შემთხვევაში თუ მეურნეობის შიგნით არ მოიპოვება საჭირო და საკმარისი რაოდე-ნობით ბუნებრივი ნივთიერებები და მინერალური სასუქები, გარე რესურსების სახით გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ სხვა ბიოლოგიური მეურნეობის რესურსები;

• მკაცრად უნდა იქნეს შეზღუდული ქიმიური სინთეზური ნივთიერებების გამოყენება;

• მკაცრად შეზღუდულია ასევე გენმოდიფიცირებული ორგანიზმების ან გმო-დან მიღებული პროდუქტების გამოყენება, გარდა აუცილებლობის შემთხვევაში, ვეტერინარ-ული დანიშნულების სამკურნალო საშუალებებისა;

• აკრძალულია მაიონიზებელი რადიაციის გამოყენება სურსათის/ცხოველის საკვების წარმოებაში;

• დაუშვებელია მემცენარეობაში ჰიდროპონული წარმოება;

• აუცილებელია სათანადო, დეტალური ჩანაწერების წარმოება ოპერატორის მიერ განხ-ორციელებული ღონისძიებებისა და გამოყენებული საშუალებების შესახებ;

• ბიოწარმოებაში დაშვებულია მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული ნივთიერებებისა და საშუალებების გამოყენება.

ორგანული მეურნეობა მოიცავს ყველა სასოფლო-სამეურნეო სისტემას, რომელიც ეკოლოგიურად, სოციალურად და ეკონომიკურად სუფთა საკვებისა და ბოჭკოს წარმო-ებას უწყობს ხელს. ამ სისტემისათვის პროდუქციის წარმოების უნარი ეფუძნება ნიადა-გის ნაყოფიერებას ადგილობრივი მცენარეების, ცხოველებისა და ლანდშაფტების გათ-ვალისწინებით და ამ ურთიერთდამოკიდებულ ფაქტორთა ხარისხის ოპტიმიზაციით.

ბუნებრივი ეკოლოგიური ბალანსის საფუძველს წარმოადგენს ჰარმონიული დამო-კიდებულება მემცენარეობასა და მეცხოველეობას შორის. ეს შესაძლებელია, თუ მეურნეობა თავის თავს შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფს საქონლის საკვებითა და

ნაკელით და მეურნეობა მაქსიმალურად სპეციალიზირებულია. ეკოლოგიურ მეურნეობაზე გადასვლისათვის აუცილებელია მეურნეობის მართვის სისტემის მნიშვნელოვანი ცვლილება, რასაც დაახლოებით 2-3 წლიანი კონვენსიის პერიოდი სჭირდება.

ორგანული სოფლის მეურნეობა განისაზღვრება წარმოების სტანდარტებით. ბევრ სახელმწიფოში კანონებით სცადეს განესაზღვრათ ტერმინი „ორგანული პროდუქტი“ და დაეკანონებინათ იგი, რათა გარანტირებული ყოფილიყო მისი შემოწმების შესაძლებლობა, რაც თავის მხრივ, უზრუნველყოფდა მომხმარებლის ნდობას შეძენილი პროდუქციის ხარისხისადმი.

ორგანული წარმოების მეთოდები სხვადასხვა ქვეყნებში განვითარდა ბიოდინამიკური კონცეფციის საფუძველზე. ამ საქმის პიონერები განსხვავებულ ტერმინოლოგიას იყენებდნენ, ამიტომ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ორგანულ სოფლის მეურნეობას სხვადასხვანაირი დასახელება აქვს. ევროპაში „ორგანული“, „ეკოლოგიური“ და „ბიოლოგიური“ სინონიმებად ცნეს და ეს ტერმინები კანონიერად ითვლება.

მსოფლიოს ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში ფართოდ გაიშალა მოძრაობა ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის პროდუქციის, ნედლეულისა და სურსათის წარმოების გადიდებისათვის, რადგან ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოება და მოხმარება მიუთითებს ამა თუ იმ ქვეყანაში არა მარტო ეკონომიკის განვითარების დონეზე, არამედ საზოგადოების განათლების, კულტურისა და ჰუმანიზაციის დონეზეც.

ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებაზე აქცენტის გადატანა იქედანაც ჩანს, რომ მსოფლიოში არსებობს ორგანული სოფლის მეურნეობის საერთაშორისო ფედერაცია (IFOAM), რომელიც მუშაობს ორგანული სოფლის მეურნეობის მსოფლიო სტანდარტების დადგენაზე.

ორგანული სოფლის მეურნეობის გლობალურ განვითარებას IFOA -ის წევრი ქვეყნების მონაცემებიც გვიჩვენებს: ამ ორგანიზაციამ თავისი საქმიანობა დაიწყო ხუთი წევრი ორგანიზაციით სამი კონტინენტიდან და თხუთმეტი წლის თავზე იგი უკვე ას წევრს ითვლიდა ოცდახუთი ქვეყნიდან. ბოლო წლებში წევრ ორგანიზაციათა რიცხვი ხუთასამდე გაიზარდა ასი ქვეყნიდან. აუცილებელია აღინიშნოს, რომ დღეს ორგანული მეურნეობის ასეთი გავრცელება განპირობებულია ბაზრის მოთხოვნით.

ორგანული სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილი კონტინენტებიდან ასეთია: პირველ ადგილზეა ამერიკის ქვეყნები – 48,51%, ხოლო მეორეზე ევროპა – 23,58%, ბოლო ადგილზეა აფრიკა – 0,14%.

განსაკუთრებით ეფექტური ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის განვითარება იქნება იმ რაიონებში, რომლებიც მეურნეობრიობის ექსტენსიურ გზას მისდევენ და აქედან გამომდინარე, აქ წარმოებული პროდუქცია არა კონკურენტუნარიანია (პროდუქციის ერთეულზე გაწეული დანახარჯების გამო), ხოლო ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციაზე ფასების შედარებით მაღალი დონე დანამატებით ეკონომიკური ეფექტის წყარო იქნება მათთვის.

უკანასკნელ ათწლეულში სოფლის მეურნეობა ძალიან შეიცვალა, ახალი ცოდნის, ტექნიკისა და ქიმიური ინდუსტრიის განვითარების გამო, რამაც ხელი შეუწყო კვების მრეწველობის განვითარება-გაფართოებას, მაგრამ ამავე დროს აღნიშნულმა ფაქტორებმა გამოიწვია მთელი რიგი უარყოფითი მოვლენები, რაც შემდეგში მდგომარეობს:

- იგი აზიანებს ნიადაგის სტრუქტურას;
- აზიანებს გარემოსა და ტრადიციულ ლანდშაფტებს;
- საკვების ხარისხის გლობალური გაუარესება პოტენციურ საფრთხეს უქმნის ადამიანთა ჯანმრთელობას;
- ანადგურებს ტრადიციულ-სოციალურ სტრუქტურებს და სოფლის მეურნეობას აგროინდუსტრიულ სექტორად გარდაქმნის.

ამის საწინააღმდეგოდ ორგანული მეურნეობა დადებით გავლენას ახდენს გარემოზე. იგი ძირითადად ეყრდნობა ადგილობრივ რესურსებს და დამოკიდებულია ეკოლოგიური ბალანსის შენარჩუნებასა და ბიოლოგიური პროცესების ოპტიმალურ განვითარებაზე.

ნიადაგისა და გარემოს დაცვა ეს არის მთავარი აუცილებლობა ორგანულ სოფლის მეურნეობაში და არა რაღაც შემთხვევითობა, რასაც შეიძლება სარგებელი ჰქონდეს.

მომხმარებელი შესაბამისად აფასებს ფერმერის მიღწევებს და სულ უფრო იზრდება მოთხოვნილება ორგანულ საკვებზე. მომხმარებელი ზედმეტს იხდის, რადგან იცის, რომ ორგანული პროდუქტი სუფთაა და თანხები, რომლებიც დაიხარჯა უარყოფითი ეფექტების მინიმუმამდე დასაყვანად, განსაზღვრავს პროდუქტის მომატებულ ფასს.

ამგვარად, ორგანული საკვების მწარმოებელი ფერმერი და მომხმარებელი ურთიერთთანამშრომლობენ, რათა განავითარონ მდგრადი სოფლის მეურნეობა.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ბიოლოგიზაციის სასარგებლოდ ბევრის თქმა შეიძლება. ფაქტია, რომ სახეზეა მსოფლიოში კვების პროდუქტების წარმოების ცნობილი მეთოდების ახლო მომავალში, ძირითადად ბუნებათსარგებლობის პრინციპებით შეცვლა, რაც თავის მხრივ ეკოლოგიურად უსაფრთხო განახლებადი ბუნებრივი რესურსებისა და ტექნოლოგიური ფაქტორების უფრო ეფექტურ გამოყენებას ეფუძნება. ამდენად, საჭიროა სასოფლო-სამეურნეო წარმოების „ბიოლოგიზაციისა" და „ეკოლოგიზაციის" სტიმულირება, რათა რაც შეიძლება მოკლე პერიოდში მოხდეს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში გამოყენებული მინერალური სასუქების, შხამ-ქიმიკატებისა და სხვა მსგავსი ქიმიური საშუალებების ჩანაცვლება ბიოლოგიური საშუალებებით.

როცა ეკოლოგიურად უსაფრთხო სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და ნედლეულის, აგრეთვე სურსათის წარმოების საკითხებს ვეხებით, არ შეიძლება არ აღინიშნოს იმ უმნიშვნელოვანესი რეზერვებისა და რესურსების შესახებ, რომელიც საქართველოს გააჩნია. კერძოდ, ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის პროდუქტისა და სასურსათო პროდუქციის წარმოების შესანიშნავი პირობები საქართველოს მთისა და მთისწინეთის პრაქტიკულად ყველა რაიონს გააჩნია. დღეს აქ ცნობილი მიზეზების გამო, ისედაც უმნიშვნელო რაოდენობით გამოიყენება (ან საერთოდ არ გამოიყენება) სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადიდების ისეთი ფაქტორი, როგორც ქიმიზაციაა. ამიტომ მათი გადაყვანა ეკოლოგიურადაც სუფთა პროდუქციის წარმოებაზე უფრო ადვილია, მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ მოწესრიგებულ საბაზრო ურთიერთობათა პირობებში და სამართლებრივ გარემოში ასეთი სახის პროდუქცია გაცილებით მაღალ ფასში რეალიზდება და პრაქტიკულად მის მწარმოებელს უნაზღაურებს იმ დანაკლისს, რომელიც მან წარმოების ზრდის ინტენსიური საშუალებების გამოუყენებლობით მიიღო.

ამდენად, საქართველოში არსებობს ყველა ძირითადი პირობა ბიომეურნეობის ანუ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მწარმოებელ მეურნეობათა გაფართოებისა და განვითარებისათვის. დღეს საქართველოში 2000-ზე მეტი გლეხური, ფერმერული მეურნეობა აწარმოებს სოფლის მეურნეობის პროდუქციას ბიომეთოდებით, ამ მიზნით შემუშავებულია და აპრობირებულია სამუშაო მეთოდები და მეთოდოლოგიები, შექმნილია ბიომეურნეთა და მრჩეველთა სამსახური, ბიომეურნეობის განვითარების, ეკოპროდუქციის მარკეტინგისა და სერტიფიცირების დარგში.

საქართველოში ეკოლოგიურად უსაფრთხო პროდუქტის წარმოების გადიდებისა და მისი ექსპორტზე გატანის კარგი შესაძლებლობებია. საჭიროა მხოლოდ მიზანმიმართული მუშაობა იმის გათვალისწინებით, რომ ბიომეურნეობის მიზანი ბუნების დაცვასთან და ბევრ სხვა მხარესთან ერთად, უპირველესად ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნვაა.

ორგანული სოფლის მეურნეობისა და პროდუქტების წარმოების IFOAM-ის ძირითადი სტანდარტების მიხედვით ორგანული სოფლის მეურნეობის მიზანი შემდეგში მდგომარეობს:

- აწარმოოს საკმარისი რაოდენობის ყუათიანი პროდუქცია;
- ურთიერთკავშირში იყოს ბუნებრივ სისტემებთან და ციკლებთან;
- ხელი შეუწყოს და განავრცოს სოფლის მეურნეობაში ბიოლოგიური ციკლების მოხმარება მიკროორგანიზმების ნიადაგის, ფლორისა და ფაუნის გამოყენების გზით;
- ხანგრძლივად შეინარჩუნოს და გაზარდოს ნიადაგის ნაყოფიერება;
- შეძლებისდაგვარად გამოიყენოს ისეთი ნივთიერებები და მასალები, რომელთა თავიდან გამოყენება ან რეციკლირება შესაძლებელია ფერმაში-ვე ან სხვაგან;

- შეუქმნან ცხოველებს ყველა ის პირობა, რომელიც არ ეწინააღმდეგება მათ ბუნებრივ განვითარებას;
- მინიმუმამდე დაიყვანოს ყველა სახის დანაგვიანება, რომელიც თან ახლავს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას;
- შეინარჩუნოს სოფლის მეურნეობის სისტემისა და გარემოს გენეტიკური მრავალფეროვნება, დაცვის მცენარეული და გარეული ცხოველები;
- ორგანულ სოფლის მეურნეობაში მომუშავეთ საშუალება უნდა ჰქონდეთ იცხოვრონ ისე, როგორც ეს გათვალისწინებულია გაეროს ადამიანთა უფლების დეკლარაციით – დაიკმაყოფილონ თავისი მოთხოვნილებები და მიიღონ გაწეული შრომის ადეკვატური ანაზღაურება და კიდევ – იმუშაონ ჯანსაღ გარემოში;
- მხედველობაში უნდა იყოს მიღებული სოფლის მეურნეობის სისტემის სოციალური და ეკოლოგიური გავლენა.

საქართველოს სასურსათო პრობლემის გადაწყვეტა სასურსათო კომპლექსის დინამიურ განვითარებას საჭიროებს. ამასთან ცვალებადი ეკონომიკური პირობებისადმი ადაპტაცია ღრმა ეკონომიკური კრიზისის პირობებში მიმდინარეობს, რაც რეფორმირების პერიოდში ზოგიერთი სასოფლო – სამეურნეო პროდუქციის წარმოებისა და გადამუშავების მნიშვნელოვანი დაცემით ხასიათდება. პირადი დამხმარე მეურნეობის გაფართოების საერთოდ და ქალაქელებისათვის მიწის ნაკვეთების მასიურად გამოყოფის ხარჯზე მოსახლეობის თვითუზრუნველყოფის წილის გაზრდა საშიშ ტენდენციებზე პრობლემის დამძიმებაზე მაინც მიუთითებს.

საქართველოში ძირითადი სახის სასოფლო – სამეურნეო პროდუქტების წარმოება და მოხმარება წინა წლებთან შედარებით გაიზარდა. კერძოდ, ხორბლის წარმოება 32 კგ-ით, მოხმარება – 3 კგ-ით, სიმინდის წარმოება – 40კგ-ით. მოხმარება – 14 კგ-ით, ხორცის წარმოება უმნიშვნელოდ გაიზარდა (1კგ), მოხმარება – 4 კგ-ით, რძის წარმოება – 38 კგ-ით, ხოლო მოხმარება – 28 კგ-ით და ა.შ. შესაბამისად გაიზარდა ძირითადი სასოფლო – სამეურნეო პროდუქტების თვით უზრუნველყოფის კოეფიციენტიც.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ საქართველოში კვების პროდუქტების მოხმარების დონე რაციონალურთან შედარებით ორჯერ დაბალია არა მარტო იმიტომ, რომ ქვეყნის ბაზარი ამ პროდუქტების დეფიციტს განიცდის, არამედ იმიტომაც, რომ მოსახლეობის მსყიდველობითი უნარი ძალიან შემცირებულია.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020წ.წ., საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, თბ., 2015.
2. საქართველოს სოფლის მეურნეობა. სტატისტიკური პუბლიკაცია, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, თბ., 2016.
3. შატბერაშვილი ე., კლიმატის ცვლილება და სოფლის მეურნეობა - ურთიერთგავლენა, არსებული მდგომარეობა და გავლენის შერბილების გზები, ასოციაცია „ელკანა", 2014.
4. Global Competitiveness Index, World Economic Forum.

მაგდა ვადაჭკორია

## ორგანული სოფლის მეურნეობა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების გლობალიზაცია

რეზიუმე

საქართველოს სასურსათო პრობლემის გადაწყვეტა სასურსათო კომპლექსის დინამიურ განვითარებას საჭიროებს. ამასთან, ცვალებადი ეკონომიკური პირობებისადმი ადაპტაცია ღრმა ეკონომიკური კრიზისის პირობებში მიმდინარეობს, რაც რეფორმირების პერიოდში ზოგიერთი სასოფლო – სამეურნეო პროდუქციის წარმოებისა და გადამუშავების მნიშვნელოვანი დაცემით ხასიათდება. პირადი დამხმარე მეურნეობის გაფართოების საერთოდ და ქალაქელებისათვის მიწის ნაკვეთების მასიურად გამოყოფის ხარჯზე მოსახლეობის თვითუზრუნველყოფის წილის გაზრდა საშიშ ტენდენციებზე პრობლემის დამძიმებაზე მაინც მიუთითებს. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ კვების პროდუქტების მოხმარების დონე რაციონალურთან შედარებით ორჯერ დაბალია არა მარტო იმიტომ, რომ ქვეყნის ბაზარი ამ პროდუქტების დეფიციტს განიცდის, არამედ იმიტომაც, რომ მოსახლეობის მსყიდველობითი უნარი ძალიან შემცირებულია.

**Magda Vadachkoria**

## Organic Agriculture and Globalization of Agriculural Production

**Summary**

The solution of the Georgian food problem requires a dynamic development of the food complex. Additionally, adaptation to changing economic conditions is under conditions of deep economic crisis, which is characterized by significant decline in production and processing of some agricultural products. We can face the problem, which appears increasing the share of self-residents of the population at the cost of massive land allocations for the cities. It is noteworthy that the level of food consumption is twice as low as rational, not just because the country's market is experiencing deficits, but also because the purchasing power of the population is very low.

**Магда Вадачкория**

## Органическое сельское хозяйство и глобализация сельскохозяйственного производства

**Резюме**

Решение продовольственной проблемы в Грузии требует динамическое развитие продовольственного комплекса. Вместе с тем, адаптация к переменным обстоятельствам происходит на фоне глубокого кризиса, чему сопутствует значительный упад производства и переработки сельскохозяйственного продукта.

Расширение подсобных хозяйств вообще и рост доли самоудовлетворения горожан за счёт выделения земельных участков всё равно указывает на углубление проблем связанных с опасными тенденциями. Нужно отметить также, что уровень употребления продовольствия в два раза меньше рационального. Не только потому, что базар страны переживает дефицит этих продуктов, но и потому, что покупательная способность населения уменьшается.

მურად გარუჩავა
საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

## ეკოლოგიური შედეგების გამომწვევი ფაქტორები

კვების თანამედროვე ეკოლოგიური პრობლემები წარმოიშვა მე-20 საუკუნეში. კვების პროდუქტები ყველა დროში იყო მოსახლეობის ჯანმრთელობის განმსაზღვრელი და მისი გენოფონდის შესანარჩუნებელი ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი.

მთელ მსოფლიოში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესებამ, რაც გამოწვეულია ადამიანის ანთროპოგენური მოღვაწეობის შედეგდ, გავლენა მოახდინა გამოყენებული საკვების თვისებებზე. კვების პროდუქტებთან ერთად ადამიანის ორგანიზმი ღებულობს უცხო ნივთიერებების მნიშვნელოვან რაოდენობას, რაც საფრთხეს უქმნის მის ჯანმრთელობას. კერძოდ, საკვები პროდუქტების ეკოლოგიურ უვნებლობასთან პირდაპირ არის დაკავშირებული სუფთა, ჯანმრთელი, ცხოვრებისათვის სასიამოვნო გარემომცველი სამყარო.

მთლიანობაში საკვების ვარგისიანობის ხარისხი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული არა მხოლოდ მასში მავნე ნივთიერებების არსებობაზე, არამედ საგემოვნებო, ფიზიოლოგიურად აქტიური, არომატული დანამატების შემცველობაზეც.

გარემოსა და მისგან გამომდინარე, საკვები პროდუქტების დაბინძურებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ე.წ. „მჟავა წვიმები“.

ტერმინი „მჟავა წვიმა“ პირველად შემოიტანა ინგლისელმა მეცნიერმა რობერტ სმიტმა წიგნში 1872 წელს „ჰაერი და წვიმა: ქიმიური კლიმატოლოგიის დასაწყისი“. აღნიშნულმა ტერმინმა იმ დროის მრავალი მეცნიერის ყურადღება მიიქცია. თუმცა, ბევრმა მეცნიერმა უარყო თეორია მჟავა წვიმების არსებობის შესახებ. დღეს უკვე, არავის არ ეპარება ეჭვი, რომ „მჟავა წვიმები“ ტყეების, მოსავლისა და მცენარეულობის დაღუპვის ერთ-ერთი მიზეზია. გარდა ამისა, „მჟავა წვიმები“ ანგრევს შენობებსა და კულტურის ძეგლებს, მილსადენებს, უვარგისს ხდის ავტომანქანებს, აქვეითებს ნიადაგის ნაყოფიერებას და, შესაძლოა, გამოიწვიოს ტოქსიკური ნივთიერებების გაჟონვა მიწის წყალშემცველ ფენებში.

ჩვეულებრივი წვიმის წყალიც სუსტი მჟავური ხსნარია. ეს იმის შედეგია, რომ ატმოსფეროს ბუნებრივი ნივთიერებები (როგორიცაა ნახშირორჟანგი), რეაქციაში შედის წვიმის წყალთან. ამ დროს წარმოიქმნება სუსტი ნახშირმჟავა, მაშინ, როდესაც იდეალურ მდგომარეობაში კი წვიმის წყლის Ph 5-6,5-7-ის ტოლია. რეალურ ცხოვრებაში ერთი ადგილის წვიმის წყლის მჟავიანობის მაჩვენებელი შეიძლება განსხვავდებოდეს სხვა ადგილის წვიმის წყლის მჟავიანობის მაჩვენებლისაგან. ეს პირველ რიგში, ამა თუ იმ ადგილის ატმოსფეროში, ისეთი აირების შემცველობაზეა დამოკიდებული, როგორიცაა გოგირდის ოქსიდი და აზოტის ოქსიდი.

1883 წელს შვედმა მეცნიერმა სვანტე აუგუსტ არენიუსმა ხმარებაში შემოიტანა ორი ტერმინი - მჟავა და ფუძე. მან მჟავები უწოდა ისეთ ნივთიერებებს, რომლებიც წყალში გახსნისას თავისუფალ, დადებითად დამუხტულ წყალბად-იონებს წარმოქმნიან. ფუძეები უწოდა ნივთიერებებს, რომლებიც წყალში გახსნისას თავისუფალ, უარყოფითად დამუხტულ ჰიდროქსიდ-იონებს წარმოქმნიან. წყალბადის მაჩვენებელი არის ხსნარში წყალბადის იონების აქტივობის ათობითი ლოგარითმი, აღებული საწინააღმდეგო ნიშნით, რომელსაც იყენებენ წყლის მჟავიანობის მაჩვენებლად.

ჰაერში ნახშირბადის დიოქსიდის (ნახშირორჟანგის) არსებობის გამო ნორმალური წვიმის წყალსაც კი სუსტი მჟავა რეაქცია აქვს. „მჟავა წვიმა“ კი წარმოიქმნება წყალსა და ისეთ დაბინძურებელ ნივთიერებებს შორის რეაქციის შედეგად, როგორებიცაა გოგირდის ოქსიდები ($SO_2$ და $SO_3$) და აზოტის სხვადასხვა ოქსიდები. ეს ნივთიერებები ატმოსფეროში გამოიყოფა საავტომობილო ტრანსპორტის მიერ, მეტალურგიული საწარმოების, სითბური ელექტროსადგურების საქმიანობის შედეგად. გოგირდის

ნაერთებს, სულფიდებს, თვითნაბად გოგირდსა და სხვა მსგავს ნივთიერებებს შეიცავს: ნახშირი და მადანი (განსაკუთრებით ბევრი სულფიდებია მურა ნახშირში), რომელთა წვის ან გამოწვის შედეგად წარმოიქმნება აქროლადი ნაერთები გოგირდის ოქსიდი (IV) (გოგირდოვანი ანჰიდრიდი), გოგირდის ოქსიდი (VI) (გოგირდის ანჰიდრიდი), ნახშირჟანგი CO (მცირე რაოდენობით წარმოიქმნება დაბალ ტემპერატურებზე არასაკმარისი გამოწვის ან წვის დროს). აზოტის სხვადასხვა ნაერთებს შეიცავს ნახშირი, განსაკუთრებით კი ტორფი. ასეთი წიაღისეულის წვის დროს წარმოიქმნება აზოტის ოქსიდები (მაგალითად აზოტის ოქსიდი, რომელიც რეაქციაში შედის ატმოსფეროს წყალთან მზის გამოსხივების, ან ე.წ. „ფოტოქიმიური რეაქციების" ზემოქმედებით), რომლებიც მჟავების - გოგირდმჟავას, გოგირდოვანი მჟავას, აზოტმჟავასა და აზოტოვანი მჟავას წყალხსნარებად გადაიქცევა. შემდეგ ისინი თოვლთან ან წვიმასთან ერთად ეცემა მიწაზე.

„მჟავა წვიმა" უარყოფითად მოქმედებს წყალსატევებზე, ტბებზე, მდინარეებზე, ყურეებსა და ტბორებზე. იმ დონემდე ზრდის მათ მჟავიანობას, რომ მათში ნადგურდება ფლორა და ფაუნა. გამოყოფენ „მჟავა წვიმების" წყალსატევებზე ზემოქმედების სამ სტადიას.

პირველი სტადია - საწყისი. წყლის მჟავიანობის გაზრდით (Ph -ის მაჩვენებლები 7-ზე ნაკლებია) იწყება წყლის მცენარეების დაღუპვა, რაც წყალსატევის ცხოველებს საკვების გარეშე ტოვებს. წყალში ჟანგბადის შემცველობა მცირდება, მძაფრ ზრდას იწყებს მურა-მწვანე წყალმცენარე. ე.ი. მიმდინარეობს წყალსატევის (დაჭაობების) პირველი სტადია. Ph, 6 მჟავიანობის დროს იღუპება მტკნარი წყლის კრევეტები.

მეორე სტადია მჟავიანობა აღწევს 5.5-ს, იღუპება ფსკერის ბაქტერიები, რომლებიც შლიან ორგანულ ნივთიერებებს და ფოთლებს. შედეგად, ფსკერზე ორგანული ნაგავი იწყებს დაგროვებას.

მესამე სტადიაზე მჟავიანობა Ph, 4,5-მდე მიდის, სრულად იღუპება თევზი, ბაყაყებისა და მწერების უმრავლესობა. პირველი და მეორე სტადია შექცევადია იმ შემთხვევაში, თუ წყალსატევზე „მჟავა წვიმების" ზემოქმედება შეწყდება.

წყალსატევების ფსკერზე ორგანული ნივთიერებების დაგროვების შედეგად, მათგან გამოტუტვას იწყებს ტოქსიკური ლითონები. წყლის გაზრდილი მჟავიანობა ხელს უწყობს ფსკერის დანალექისა და ნიადაგში არსებული ისეთი საშიში ლითონების მაღალ ხსნადობას, როგორიცაა კადმიუმი, ვერცხლისწყალი და ტყვია. ეს ტოქსიკური ლითონები საშიშია ადამიანის ჯანმრთელობისათვის. ადამიანები, რომლებიც სვამენ ტყვიის მაღალი კონცენტრაციის მქონე წყალს ან საკვებად იყენებენ თევზს, რომელშიც მაღალია ვერცხლისწყლის შემცველობა, შესაძლოა სერიოზულად დაავადდნენ.

„მჟავა წვიმა" - არა მხოლოდ წყალს, ფლორასა და ფაუნას აყენებს ზიანს, ის ასევე ანადგურებს ხმელეთის მცენარეულობას (ნახ.1).



ნახ.1. ასე გამოიყურება ტყის საფარი „მჟავა წვიმის" შემდეგ

მეცნიერები თვლიან, რომ დამაბინძურებელი ნივთიერებების მოქმედების მექანიზმი ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე შესწავლილი, მაგრამ დამაბინძურებელი ნივთიერებების რთული ნარევები, რომელშიც მჟავა ნალექები, ოზონი და მძიმე ლითონები შედის, ერთიანობაში ტყეების დეგრადაციას იწვევს. მრავალი სპეციალისტის აზრით, ვითარების უკეთესობისაკენ შემობრუნების ერთადერთი გზა ატმოსფეროში მავნე გამონაბოლქვების რაოდენობის შემცირებაა.



როგორც ზემოთ აღვნიშნეთ არანაკლები მნიშვნელობა საკვების დაბინძურების საქმეში მიეკუთნება საკვებ დანამატებს. განსაკუთრებული ყურადღება დანამატების გამოყენებას მე-20 საუკუნეში მიექცა, როცა კვების მრეწველობამ დიდი ტემპით დაიწყო განვითარება და მწარმოებლის წინაშე დადგა საკითხი, ისე შეენახა პროდუქტი, რომ შორს მანძილზე ექსპორტის დროს პროდუქტს არც გემო, არც ხარისხი და არც მიმზიდველი ფორმა არ დაეკარგა. ეს ფუნქცია საკვების ხელოვნურ დანამატებს დაეკისრა, რომელთა გარკვეული ნაწილი არც თუ ისე უსაფრთხოა ჩვენი ჯანმრთელობისათვის.

თითქმის ყველა საკვები დანამატი ხელოვნური გზით მიღებული ქიმიური ნივთიერებაა. ამიტომ შეიძლება ყველაზე უსაფრხომაც კი მგძნობიარე ორგანიზმზე ინდივიდუალური რეაქცია გამოიწვიოს. არსებობს ისეთი საკვები დანამატებიც, რომლებიც მავნეა ნებისმიერი ადამიანისათვის და ბევრი მათგანის გამოყენება სრულიად აკრძალულია.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ საშიში დანამატების, ემულგატორების გვერდით არსებობენ არა მარტო უსაფრთხო, არამედ სასრგებლო ე საკვები დანამატები. მაგალითად, დანამატი ე-163 (საღებავი) – ყურძნის კანის ანტოციანია. ე-330 სხვა არაფერია, თუ არა ლიმნის მჟავა. ე-284 ბორის მჟავაა, ე-450 უსაფრთხო ფოსფატებია, რომელიც აუცილებელია ჩვენი ძვლებისათვის და სხვ.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი დასკვნა, რომ განხილული პრობლემის თავიდან აცილება შესაძლებელია მხოლოდ მათი პრევენციით ან ნაწილობრივი შემცირებით.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. გარუჩავა მ., სურსათის უვნებლობის ეკოლოგიურ–სოციალური ასპექტები, ჟურნალი „მეცნიერება და ცხოვრება“, თბ., 2015, № 2(11).
2. chandru. (2006-09-09) *CHINA: Industrialization pollutes its country side with Acid Rain*. *Southasiaanalysis.org* .
3. Codex Alimentarius Commission Procedural Manual, Twentieth edition, Joint FAO/WHO. Food Standards Programme, Rome, 2011 ftp://ftp.fao.org/codex/ Publications/ProcManuals/Manual_20e.pdf.
4. Galloway, J. N., Zhao Dianwu, Xiong Jiling and G. E. Likens. 1997. Acid rain: a comparison of China, United States and a remote area. Science 236:1559–1562

**მურად გარუჩავა**
**ეკოლოგიური შედეგების გამომწვევი ფაქტორები**
**რეზიუმე**

შესწავლილი გვაქვს კვების თანამედროე ეკოლოგიური პრობლემები. სტატიაში ნაჩვენებია ანთროპოგენური ჩარევის შედეგად ეკოლოგიური პრობლემისა და კვების პროდუქტების ხარისხის გაუარესება; დადგენილია „მჟავა წვიმებისა“ და ფიზიოლოგიურად აქტიური ნაერთების გარემოზე ზემოქმედებით საკვები ნოვთიერებების დაბინძურების ხარისხი.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ „მჟავა წვიმების“ თავიდან აცილების საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ატმოსფეროში მჟავა ოქსიდების ან მათი შემცველი ნაერთების პრევენციას.

**Murad Garuchava**
**Factors that Cause Environmental Outcomes**
**Summary**

Modern ecological problems of food are studied. The deterioration of environmental problems and quality of food products as a result of anthropogenic interference are shown. Established the degree of contamination of food under the influence of acid rain and physiologically active phenomena on the environment.

It was suggested that to eliminate acid rains is decisive their prevention or reduction of acidic oxides or their compounds in the atmosphe

**Мурад Гаручава**
**Факторы, вызывающие экологические последствия**
**Резюме**

В статье представлены результаты изучения современных экологических проблем пищи. Показано ухудшение экологических проблем и качество пищевых продуктов в результате антропогенного вмешательства. Установленна степень загрязнения пищевых продуктов под влиянием кислых дождей и физиологически активных соединений на окружающию среду.

Высказанно предположение, что для устранений кислых дождей, решающее значение имеет превенция или уменьшение кислых оксидов или их соединений в атмосфере.

მანანა ცინცაძე
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ნათია ნატროშვილი
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

გიორგი ნატროშვილი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

## ბროილერის ქათმის წარმოება

მეფრინველეობა ორი მიმართულებით ვითარდება: მეხორცული და მეკვერცხული. მეფრინველეობაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვამ და პროცესების ავტომატიზაციამ მეფრინველეობის ფაბრიკებში გამოიწვია პროდუქციის გაზრდა და დარგი გახადა რენტაბელური.

2013 წლის მონაცემებით საქართველოს მოსახლეობამ მოიხმარა 445 მლნ ცალი კვერცხი, საიდანაც მხოლოდ 24 მლნ ცალი იყო იმპორტირებული. ამჟამად კვერცხის თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტია 95%.

შედარებით უფრო პრობლემურია მეხორცული (ბროილერის ჯიში) მიმართულება.

2013 წელს საქართველოს მოსახლეობამ მოიხმარა 54,3 ათასი ტონა ფრინველის ხორცი, საიდანაც 44,6 ათასი ტონა იმპორტირებულია, ანუ თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი ძალინ დაბალია – 18%.

ბროილერის ქათმის ხორცის წარმოება დღეისათვის შედარებით მომგებიანია. ბაზარზე 1 კგ ხორცის სარეალიზაციო ფასი 5 ლარია, ხოლო მსხვილმარკეტების ქსელში მისი ღირებულება უფრო მაღალია. ხარჯთაღრიცხვა ერთ ფრთაზე შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ:

- ახალგამოჩეკილი წიწილის სარეალიზაციო ფასი ბაზრის მიხედვით მერყეობს 1-დან 1, 40-ლარამდე.
- საკვების ჯამური მოხმარება ერთ ფრთაზე 1 დღიდან დაკვლამდე 35-40 დღემდე შეადგენს 3,2-3,5 კგ-ს, რომლის ღირებულებაა 3,52–3,85 ლარი. ვეტერინალური დან-ახარჯები ფრთაზე 0,2 ლ.
- მომვლელის ხელფასი-0,50 ლ. გათბობისა და სხვა ხარჯები 0,50 ლ. მიღებული დანახარჯები:
- მიღებული დანახარჯი ჯამურად ერთ ფრთაზე შეადგენს 5,9 ლარს.
- ერთი ფრთის ცოცხალი წონა დაკვლისას 2 კგ-ია, ხორცის გამოსავალია 70-75%-ია ის იგივეა, რაც (1,5 კგ სუფთა ხორცი).
- 1, 5 კგ ხორცის საბაზრო ღირებულებას (7,5 ლარს) გამოვაკლოთ ჯამური დანახ-არჯი, მაშინ სუფთა მოგება შეადგენს ერთ ფრთაზე 1,5 ლარს.

სიტყვა ბროილერი ინგლისური წარმოშობისაა და ნიშნავს ცეცხლზე შეწვას. 1954-56წ.წ. ბროილერის წარმოება აშშ-სა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში დაიწყო.

თანამედროვე ბროილერი წარმოადგენს სახორცე ჯიშის წიწილების ჰიბრიდს, რო-მელთაც სპეციალურად ზრდიან 35-40 დღემდე. არსებობს ბროილერების მრავალი კროსი, რომელთაც ახასიათებთ ზრდისა და განვითარების მაღალი მაჩვენებლები. დაკვლის პერიოდში ბროილერის ხორცი არის ნაზი, მსუყე, ხორცში გროვდება ყველაზე მეტი ცილა.

მიუხედავად იმისა, რომ გაძნელებულია ბროილერის შენახვა და მისგან კვერცხისა და წიწილის მიღება, მაინც საჭიროა შემდეგი სიზუსტის დაცვა:

- ინკუბაცია (კვერცხის ზომა, გამოჩეკვის %, ტექნოლოგიური პარამეტრები).
- წიწილების ადგილამდე მიყვანის სისწრაფე.

- შენობის მომზადება.
- შენახვის პირობები.
- შენობაში საჭირო მიკროკლიმატის შექმნა.
- კვების უზრუნველყოფა.
- ვეტერინალური ღონისძიებები.

წიწილების მიღებამდე შენობაში აუცილებელია ჩატარდეს დეზინფექცია. ქვეშსაფენზე გამოზრდის შემთხვევაში უნდა გაიშალოს იატაკზე 7-10 სმ კარგად გამშრალი ნახერხი ან ხორბლის ნამჯა, რომელზეც სასურველია სასტარტო პერიოდში დაფენილი იყოს სპეციალური ბიოქაღალდი, რომელიც ეტაპობრივად გაქრება ზედაპირიდან.

წიწილას საკვები უნდა მიეცეს ჩასმიდან 2 საათის შემდეგ, ხოლო წყალი ჩასმისთანავე. წიწილებს სასტარტო პერიოდში (0-14 დღე) უნდა ჰქონდეს მუქი თვალები, ფუმფულა ბუმბული, არ უნდა გააჩნდეს გენეტიკური დეფექტები. წიწილებს საკვები უნდა მიეცეთ თავიდან ქაღალდზე, რომ დაიწყოს კენკვა, ხოლო შემდეგ სპეციალურ საკვებურზე. წიწილა თუ დიდი მანძილიდან არის მიყვანილი, ფრინველს ექნება სტრესი განცდილი და მიყვანისთანვე მას უნდა მიეცეს წყალი, რომელშიც გარეული იქნება ანტისტრესული საშუალება „ოლიგოფოსი“(დოზით 1 მლ/1ლ-ზე)

შენობაში გათბობა უნდა ჩაირთოს წიწილების მიღებამდე 24 საათით ადრე, რათა შენობამ მოასწროს გათბობა. ერთდღიანი წიწილებისათვის აუცილებელია საწყის ეტაპზე ტემპერატურა იყოს 32-34 გრადუსი და ყოველ კვირაში შემცირდეს 2 გრადუსით.

ჩასმის სიმჭიდროვე არის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი. ფრინველის გადაჭარბებულად მჭიდროდ ჩასმისას მცირდება ზრდის ინტენსივობა, უარესდება საკვების ათვისება, იზრდება დაავადებების რისკი, უარესდება საფენის მდგომარეობა და რთულდება ფრინველის მოვლა. ყოველივე ეს იწვევს გეგმიური წონამატის შემცირებას, დაცემის გაზრდას, საკვების გადახარჯვას ერთეულ წონამატზე და საბოლოოდ მოგების შემცირებას.

ფრინველის ქვეშსაფენზე გამოზრდის შემთხვევაში 1მ$^2$-ზე არ უნდა აღემატებოდეს 14-15 ფრთას, ხოლო სტანდარტულ გალიაში 10-12 ფრთა.

წიწილები მომთხოვნი არიან ტენის მიმართ. გამომშრალი ჰაერი აშრობს ლორწოვან გარსს, რაც იწვევს ფრინველის დაავადებას. წიწილის მიღების მომენტში ფარდობითი ტენიანობა უნდა იყოს: პირველი 10 დღის განმავლობაში-70-75%, შემდეგში კი -50-60%.

ამრიგად, სხვა ფაქტორებთან ერთად ბროილერს ნორმალური გაზრდისათვის ესაჭიროება ვენტილაცია და ნაკელის დროული გატანა.

გამოზრდის პირველ პერიოდში სინათლის ინტენსივობა უნდა იყოს მაღალი, რათა წიწილებმა ადვილად მიაგნონ საკვებურსა და წყალს. პირველი 24 საათის განმავლობაში სინათლე უნდა ენთოს მუდმივად. თეთრი წიწილებისათვის განათების ნორმაა 10 ლუქსი, ყავისფერისათვის იდეალურია 40-50 ლუქსი.

ბროილერის კვება მეტად მნიშვნელოვანი საკითხია, რადგან სწორ კვებაზეა დამოკიდებული წიწილის თანაბარი ზრდა და სწორი განვითარება. წიწილების მოთხოვნილება პროტეინზე შეადგენს 18%-ს. საკვების დაბალანსება შესაძლებელია სიმინდით და კონცენტრატით (პრემიქსი). მარცვალი არის ენერგიის წყარო. რადგან სიმინდი შეიცავს მცირე რაოდენობით უჯრედანას, ამიტომ ის არის დიდი ენერგიის მომცემი. ყვითელი სიმინდის პიგმენტი კარგ გარეგნობას აძლევს ნაკლავს და მიმზიდველს ხდის ხორცს.

რაციონში ვიტამინების დისბალანსის დროს შეიძლება გაჩნდეს რაქიტი. პროფილაქტიკისათვის თვალყური უნდა მიედევნოს მკერდის ძვლის მდგომარეობას. მცირედი ნიშნების შემთხვევაშიც კი, საჭიროა საკვებში დაემატოს ვიტამინურ-მინერალური დანამატი „განასუპერვიტი“ დოზით 1 გრ/კგ-საკვებზე.

საკვების მოსამზადებლად საჭიროა კარგი ხარისხის ელექტრონული შემრევი, რომელიც თანაბრად გადაანაწილებს სიმინდის ღერღილში კონცენტრატს.

კონცენტრატის პროცენტული გადანაწილება დამოკიდებულია წიწილის ზრდაზე და საწყის პერიოდში შეადგენს:

- 1-10 დღემდე 35% კონცენტრატი და 65% სიმინდის ღერღილის.
- 10-12 დღემდე 30% კონცენტრატი და 70% სიმინდის ღერღილი.
- 20-35 დღემდე 25% კონცენტრატი და 75% სიმინდის ღერღილი.

წონისა და მონელების სტიმულაციისათვის და ხორცის ხარისხის გასაუმჯობესებლად საჭიროა საკვებში დაემატოს ბიოლოგიურად აქტიური საკვები დანამატი „უნიდასი“ 3-5%-ის ოდენობით.

საკვების რაციონის სწორი მიწოდება აისახება ფრინველის წონაზე და წონის კონტროლი უნდა მოხდეს ყოველკვირეულად. წიწილის საწყისი წონა უნდა იყოს:

ბროილერის წიწილის წონა დღეების მიხედვით

| ასაკი (დღე) | წონა (გრ) |
|---|---|
| 0 | 38-40 |
| 7 | 164 |
| 14 | 420 |
| 21 | 828 |
| 28 | 1361 |
| 35 | 1990 |

ბროილერის ფრინველი ძალიან მგრძნობიარეა სხვადასხვა ინფექციური თუ პარაზიტული დაავადებების მიმართ დაავადებების რისკი შეიძლება იყოს შემდეგი ფაქტორები: წიწილის სადედე გუნდის ჯანმრთელობა, რაც მეტად გასათვალისწინებულია, რადგან თანდაყოლილი დაავადებები დიდ ზარალს აყენებენ მეურნეობებს. კვერცხის სწორი ინკუბაცია (ინკუბატორის რეჟიმი), მოვლა-შენახვის პირობების დაცვა, სწორი კვება და დეზინფექცია. აღნიშნული ფაქტორების სწორად დაცვა ფრინველის ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და მაღალხარისხიანი ხორცის წარმოების გარანტიას იძლევა.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. ნოზაძე რ. და სხვანი, მეფრინველეობის პროდუქტების წარმოება და გადამუშავების ტექნოლოგია, თბ., 2007.
2. მიტიჩაშვილი ღ. და სხვანი, ფრინველის გენეტიკა და სელექცია, თბ., 2010.


**მანანა ცინცაძე, ნათია ნატროშვილი, გიორგი ნატროშვილი**

**ბროილერის ქათმის წარმოება**

**რეზიუმე**

სტატიაში ნათლად არის ჩამოყალიბებული სახორცე მიმართულებისბროილერის ქათმის წარმოების განვითარებისა და მისი როლის მნიშვნელობა ადამიანის კვებაში. ავტორებს სწორი კუთხით აქვთ განხილული ბროილერის წარმოების დროს ეკონომიკური მხარეები და რეალიზაციის შედეგები ამონაგების თვალსაზრისით.

ავტორთა ჯგუფი ასევე განიხილავს იმ ნიუანსებს ბროილერის გამოზრდის დროს, რაც მეტად ეფექტურს ხდის მეფრინველეობის ამ მიმართულებას. ეს გასათვალისწინებელია თანამედროვე მეცხოველეობაში მომუშავე პერსონალისათვის.

**Manana Tsintsadze, Natia Natroshvili, Giorgi Natroshvili**
**Production of Broiler Chicken**
**Summary**

The Article vividly and clearly presents the importance of development of production of meat-broiler chicken and its role in human nutrition. The authors have considered economic aspects while manufacturing of broiler in appropriate order and results of sale from the point of taking profits.

The authors also consider the nuances throughout the growth of the broiler that makes this trend of poultry farming more efficient. The above should be taken into account by the personnel employed in contemporary cattle breeding.



**Манана Цинцадзе, Натиа Натрошвили, Гиорги Натрошвили**
**Производство бройлеров**
**Резюме**

В статье ясно и доходчиво рассмотрено развитие мясного птицеводства, в частности - производство бройлеров и его роль в питании человека.

Авторами в правильном направлении рассмотрены экономические стороны, и результаты реализации продукции с точки зрения прибыли.

Авторы коснулись также тех особенностей, которые встречаются при выращивании бройлеров и которые создадут эффективную основу для развития этой отрасли птицеводства.

Приведенные в статье рекомендации могут быть использованы персоналом, который задействован в птицеводстве.



**მანანა ცინცაძე**
**თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი**

**ნათია ნატროშვილი**
**თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი**

**გიორგი ნატროშვილი**
**ეკონომიკის აკადემიური დოქტორი**


## ადამიანის ჯანსაღი კვება

ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა და ჯანმრთელობა (60%) ცხოვრების წესსა და კვების სისტემაზეა დამოკიდებული, 15% მემკვიდრეობით ფაქტორზე, 15% გარემოზე და მხოლოდ 10% ჯანდაცვაზე.

ადამიანი გამუდმებით ასრულებს სამუშაოს, სადაც შედის როგორც ფიზიკური, ისე გონებრივი და ასევე ორგანიზმის ცხოველმყოფელობაც.

ჩვენი სხეული ძილის დროსაც კი განაგრძობს მუშაობას: გული იკუმშება, ფილტვები ასრულებენ სუნთქვით მოძრაობებს, უჯრედებში ხორციელდება ნივთიერებათა ცვლა, ორგანიზმში განუწყვეტლივ მიმდინარეობს უჯრედებისა და ქსოვილების შენებისა

და განახლების პროცესი, ზოგი უჯრედი კვდება, მათ ადგილას კი ჩნდება ახალი. უჯრედის სიცოცხლეშივე ხდება უჯრედშიდა სტრუქტურების მრვალჯერადი ცვლილება და ყოველივე ამისათვის ორგანიზმს სჭირდება მასალა, რომელიც მხოლოდ საკვებიდან შეიძლება მივიღოთ.

ზოგიერთი ბიოლოგიურად აქტიური ნაერთი (ჰორმონები, ვიტამინები) წარმოიქმნება სპეციფიკური ნივთიერებებისაგან, რომლებიც მხოლოდ საკვებშია.

შეიძლება ითქვას, რომ კვება ორგანიზმის მიერ საკვები ნივთიერებების მიღების, მონელების, შეწოვისა და ათვისების რთული პროცესია, რომელიც აუცილებელია ორგანიზმის ენერგეტიკული დანახარჯების აღსადგენად, უჯრედებისა და ქსოვილების განახლებისა და მათი ფუნქციის რეგულაციისათვის.

სწორი რაციონალური კვება ორგანიზმის ყველა სისტემის ნორმალური ფუნქციონირების საწინდარია. თანამედროვე ადამიანი დღე-ღამეში დაახლოებით 2200 კილოკალორიას ხარჯავს. ეს რიცხვი იზრდება, როდესაც ადამიანი მისდევს სპორტს ან ეწევა მძიმე ფიზიკურ შრომას, მცირდება თუ მისდევს მჯდომარე ცხოვრების წესს.

ნორმალური ცხოველმყოფელობისათვის აუცილებელია ცილების, ცხიმებისა და ნახშირწყლების, ასევე ვიტამინებისა და მინერალური ნივთიერებების თანაფარდობა 1:1,2:4. ე.ი. ცილები უნდა შეადგენდეს საერთო კალორიულობის 12%-ს, ცხიმები 30-35%-ს.

ამ ქვეყნად არ არსებობს პროდუქტი, რომელიც შეიცავს ადამიანისათვის აუცილებელ ყველა კომპონენტს (გარდა დედის რძისა). ორგანიზმი ყველა აუცილებელ ნივთიერებას სხვადასხვა პროდუქტის კომბინაციით იღებს. ამიტომაც არის მრავალფეროვანი კვება საჭირო. მრავალფეროვანი კვება მნიშვნელოვანია ფერმენტული სისტემისათვისაც, რადგან მარავალფეროვანი რაციონი ცილების, ცხიმებისა და ნახშირწყლების ოპტიმალური თანაფარდობით ფერმენტებს უკეთ მუშაობის საშუალებას აძლევს.

ჯანსაღი კვების პირველი კანონია სწორი თანაფარდობა მიღებულ კალორიებსა და ორგანიზმის მიერ დახარჯულ ენერგიას შორის.

ჯანსაღი კვების მეორე კანონია ადამიანის სადღეღამისო რაციონის ქიმიური შედგენილობის შესატყვისობა საკვებისა და ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებასთან.

სპეციალისტების ნაწილი გვირჩევს კვების სტანდარტული სამჯერადი რეჟიმის დაცვის შემდეგ სქემას: საუზმე-სადილი-ვახშამი+1 ჭიქა კეფირი საღამოს.

ნაწილი სპეციალისტები კი გვირჩევენ, რომ ამ არჩევანს დაემატოს საუზმე და სამხარიც.

ერთმანეთისაგან განსხვავდება შიმშილი და მადა. მადა შეიძლება აღგვიძრას საჭმლის სუნმა ან დანახვამ.

ჯანსაღი რაციონი მოიცავს:

1. პურს, მარცვლეულსა და კარტოფილს;
2. ხილსა და ბოსტნეულს;
3. საქონლის, ფრინველის ხორცს, კვერცხს, პარკოსნებს;
4. რძის ნაწარმს;
5. ცხიმებს (უპირატესად მცენარეულს).

მაქსიმალურად უნდა შეიზღუდოს შაქარი რაციონში.

მეცნიერულად დასაბუთებულია კვების ძირითადი წესები, რომელიც წარმოგვიდგება შემდეგი რედაქტირებით:

1. კვების სწორი დაცვა ოპტიმალურად ითვლება თუ საკვების ოთხჯერადი მიღება ხდება 4-5 საათიანი ინტერვალით, ერთსა და იმავე დროს. ამასთანავე საუზმე უნდა შეადგენდეს სადღეღამისო რაციონის 25%-ს, სადილი-35%-ს, სამხარი-15%-ს, ხოლო ვახშამი-25%-ს. ვახშამი რეკომენდებულია დაძინებამდე დაახლოებით 3 საათით ადრე.
2. რაციონის საკმარისი, მაგრამ არა გადაჭარბებული კალორიულობა: მიღებული კალორიულობის რაოდენობა უნდა ანაზღაურებდეს ადამიანის ენერგოდანახარჯებს, რაც გარკვეულ წილად დამოკიდებულია ადამიანის სქესზე, ასაკსა და ცხოვრების სტილზე, ასევე შრომის თავისებურებაზე.

3. კვების ძრითადი კომპონენტების (ცილები, ცხიმები, ნახშირწყლები) სწორი ურთიერთშეფარდება. მათი ურთიერთშეფარდება (ცილები, ცხიმები, ნახშირწყლები) საშუალო დატვირთვისას ასე გამოიყურება 1:1:4, ფიზიკური დატვირთვისას - 1:1:5, ხოლო გონებრივი დატვირთვისას-1:0,8:3.
4. უნდა დაკმაყოფილდეს ორგანიზმის მოთხოვნილება ძირითად საკვებ ნივთიერებებზე (პირველ რიგში შეუცვლელ ამინომჟავებზე, ცხიმოვან მჟავებზე, ვიტამინებზე, მიკროელემენტებზე, მინერალურ ნივთიერებებზე, წყალზე).

დღეისათვის არსებობს ასევე საკვები დანამატები, რომელიც გვხვდება ყველა ინდუსტრიულ პროდუქტებში. საკვები პროდუქტების უმეტესობა, რომელსაც ყოველდღიურად მივირთმევთ ამ დანამატებს შეიცავს. საკვები დანამატი პროდუქტებს მომზადების პროცესში ემატება დამუშავების, გადამუშავების, წარმოების, შეფუთვისა და შენახვის დროს, რის შედეგადაც აღნიშნული ნივთიერება ან მისი გვერდითი პროდუქტები ხდება საკვები პროდუქტების ინგრედიენტი. პროდუქტის ეტიკეტზე მას სიმბოლოთი გამოსახავენ.

დანამატები სხვადასხვა ტექნოლოგიურ ტესტებს გადის, რის შედეგადაც მისი დღიური დოზა განისაზღვრება. მაგრამ ზოგიერთმა დანამტმა მაინც შეიძლება გამოიწვიოს ალერგია, მუცლის ტკივილი ან სიმსივნური დაავადებები.

დღეისათვის, ასევ ძალზე მნიშვნელოვანი პრობლემაა გენმოდიფიცირებული საკვები, რომელიც სერიოზული საფრხის მატარებელია.

დღესდღეისობით ბაზარზე ძირითადად გენმოდიფიცირებული პროდუქცია სჭარბობს, რაც ჩვენს ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის.

ამ მხრივ დღევანდელი საქართველოს ბაზარზე არის ქაოსი, არავინ იცის და დარწმუნებული არ ვართ ასეთი საკვების უვნებლობაში, მოსახლეობა ამ მხრივ არ არის დაცული.

სამწუხაროა ისიც, რომ. საბაჟოზე არ მოწმდება პროდუქციის ხარისხი. საწარმოო, რომელიც მავნე პროდუქციას აწარმოებს და ხალხს წამლავს უნდა დაიხუროს.

დღეისათვის ჯანსაღი კურსი არის აღებული ადამიანის კვების კუთხით, კერძოდ ხელოვნური ტექნოლოგიების საპირისპიროდ. მნიშვნელოვანი წარმატებებით ხორციელდება ეკეოლოგიურად სუფთა პროდუქცის წარმოება და დღითი დღე მასზე მოთხოვნილებაც იზრდება.

საქართველოში არის იმის მაქსიმალური პოტენციალი, რომ შევქმნათ ეკოლოგიურად სუფთა და კონკურენტუნარიანი საწარმოები, რომლებიც ძალიან სწრაფად დამკვდრდებიან ბაზარზე თავიანთი სუფთა და ეკოლოგიურად უვნებელი პროდუქციის შექმნის საფუძველზე.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. გვაზავა ს., ჰიგიენა და სანიტარულ-ჰიგიენური გამოკვლევა და ტექნიკა, თბ, 1987.
2. წიკლაური რ., მელიქია ე. და სხვანი, ჯანსაღი კვება, სპორტსმენთა სწორი კვების ძირითადი პრინციპები, თბ, 2010.


**მანანა ცინცაძე, ნათია ნატროშვილი, გიორგი ნატროშვილი**

**ადამიანის ჯანსაღი კვება**

**რეზიუმე**

ნაშრომში განხილულია ადამიანის ჯანმრთელი კვების მნიშვნელობის საკითხები. აღნიშნულია თუ რაოდენ აუცილებელია ადამიანისათვის ყველა იმ საზრდო

ნივთიერებების მიღება, რომელიც მონაწილეობს ორგანიზმში სხვადასხვა ბიოლოგიური პროცესების შესასრულებლად.

ასევე მოყვანილია სწორი კვების კანონები, რომლებიც თითოეულმა უნდა გავითვალისწინოთ სიცოცხლის მანძილზე.

ნაშრომის ავტორები ნაწილობრივ შეეხნენ გენმოდიფიცირებული საკვების გამოყენების ფაქტებს და ასევე ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის შექმნის პერსპექტიულ გეგმას, რომელიც თანდათან აღმავლობის გზაზე დგება და ფეხს იკიდებს მსოფლიო ბაზარზე.

**Manana Tsintsadze, Natia Natroshvili, Giorgi Natroshvili**

**Human Healthy Nutrition**

**Summary**

This Article covered significance of issues on human healthy nutrition. It has been noted how important and necessary is for humanity to take appropriate nutrients which take part in completion of various biological processes.

There have been indicated the laws of proper nutrition which necessarily should be taken into consideration all lifelong.

The authors of the Article have partially tackled with the facts of usage of gene-modified food products and the perspective plans for creation of ecologically pure products that is gradually gaining speed and entering world market.

**Манана Цинцадзе, Натиа Натрошвили, Гиорги Натрошвили**

**Правильное питание человека**

**Резюме**

В статье рассмотрены значение и назначение правильного питания человека, насколько необходимо для него употребление питательных веществ, которые принимают участие в осуществлении различных биологических процессов.

Кроме того, приведены законы правильного питания, которые должен учитывать человек в течении всей своей жизни.

В статье авторы частично коснулись фактов употребления генмодифицированных продуктов питания, а также перспективы производства экологически чистых продуктов, которые в дальнейшем постепенно могут занять соответствующее место на мировом рынке.

**თამარ კაკაშვილი**
**თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი**

## ყურძნის წიპწის ბიოფლავონოიდების მიღების ტექნოლოგია

ამჟამად ბუნებაში აღმოჩენილ 8000-ზე მეტ ფენოლურ ნაერთს შორის ფიზიოლოგიური აქტიურობით განსაკუთრებით გამოირჩევა ფლავონოიდები (ბიოფლავონოიდები), რომლებიც წარმოადგენს ჟანგბადის შემცველ ჰეტეროციკლს. ფლავონოიდებისადმი ინტერესი განსაკუთრებით გაძლიერდა მას შემდეგ, როდესაც დადგინდა, რომ ეს ნაერთები ხასიათდება მაღალი ანტიოქსიდანტური აქტიურობით და მნიშვნელოვნად ამცირებს თავისუფალი რადიკალების მავნე მოქმედებას. ამასთან ერთად ფლავონოიდები ანელებს ანთებით პროცესს და აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას, რაც იწვევს ართრიტით, დიაბეტითა და დამბლით გამოწვეულ ტანჯვა-წამების შემცირებას, გულ-სისხლძარღვთა დაავადებისა და კიბოს თავიდან აცილებას. სწორედ ღვინის ფლავონოიდები განაპირობებს ე.წ. „ფრანგულ პარადოქსს“, რომლის მიხედვით ცხიმოვან საკვებთან ერთად წითელი ღვინის მიღებისას ნაკლებად ვითარდება კორონალური ათეროსკლეროზი (1).

ამ გამოკვლევის მიზანია „რქაწითელის“ ჯიშის ყურძნის წიპწიდან ბიოფლავონოიდების ექსტრაქტის მიღება, მასში შემავალი ფენოლური ნაერთების საერთო რაოდენობის, კატეხინებისა და პროანტოციანიდინების რაოდენობრივი შემცველობის განსაზღვრა.

„რქაწითელის“ ჯიშის ყურძნის წიპწის საანალიზო ნიმუში დამზადდა ბოლნისის ღვინის ქარხანაში. ფენოლური ნაერთების საერთო რაოდენობა განისაზღვრა ფოლინდენისის რეაქტივით (2), კატეხინები და პროანტოციანიდინები – სვეინისა და ჰილისის მეთოდებით (3). დამაკალიბრებელი მრუდები აგებულია: ფენოლური ნაერთების საერთო რაოდენობისათვის გალის მჟავას („Sigma“, შთანთქმის მაქსიმუმი 725ნმ), კატეხინებისათვის – (+)-კატეხინის („Teodor Schuchard“, შთანთქმის მაქსიმუმი 500 ნმ) და პროანტოციანიდინებისათვის – „რქაწითელის“ ჯიშის ყურძნის წიპწიდან მიღებული ენინქლორიდის (შთანთქმის მაქსიმუმი 550 ნმ) (4) მიხედვით.

„რქაწითელი“ ჯიშის ყურძნის წიპწიდან ბიოფლავონოიდების ექსტრაქტი გამოყოფილ იქნა ქვემოთ წარმოდგენილი შემდეგი სქემის მიხედვით.

წიპწის გამორჩევა ჭაჭიდან
↓
გაშრობა
↓
დაფქვა
↓
ორგანული გამხსნელით გარეცხვა
↓
ორგანული გამხსნელის მოშორება ჰაერის გაქრევით
↓
ბიოფლავონოიდების ექსტრაქცია ეთანოლით
↓
ექსტრაქტის გაფილტვრა
↓
ექსტრაქტის დაკონცენტრირება
↓
ექსტრაქტის გაშრობა
↓
ბიოფლავონოიდების მშრალი ექსტრაქტი

სურ.1 - ყურძნის წიპწიდან ბიოფლავონოიდების ექსტრაქტის გამოყოფის სქემა

ევროპული ტიპის თეთრი ღვინის დასაყენებლად დაჭყლეტილი ყურძნის გამოწ-ნეხვის შემდეგ დარჩენილი ჭაჭიდან გამორჩეული წიპწა გავრეცხეთ გამდინარე წყლით და გავაშრეთ ჩრდილში. მექანიკურ წისქვილში დაქუცმაცების შემდეგ წიპწა გავრეცხეთ ორგანული გამხსნელით, რათა მოვაშოროთ ცხიმები და არაფენოლური ბუნების ნაერთე-ბი. მიღებული მასალა ორგანული გამხსნელის მოცილების მიზნით გავაშრეთ ჰაერის გაქრევით. ბიოფლავონოიდების მისაღებად ექსტრაქცია ჩავატარეთ 70%-იანი ეთანოლით. გაერთიანებული ექსტრაქტი გავფილტრეთ ქაღალდის ფილტრში და დავაკონცენტრირეთ როტაციულ ვაკუუმ-ამაორთქლებელ აპარატში, ისე რომ მშრალი ნივთიერების რაოდენობამ შეადგინა 20-22%. აორთქლების ტემპერატურა არ აღემატებოდა $50^0$C. დაკონ-ცენტრირებული ექსტრაქტის გაშრობა მოხდა ლიოფილურ საშრობ აპარატში. მიღებული ბიოფლავონოიდების მშრალი ექსტრაქტი წარმოადგენს ყავისფერ ამორფულ ფხვნილს, აქვს მწკლარტე გემო და ყურძნის წიპწისათვის დამახასიათებელი სუნი. ექსტრაქტში ფენოლური ნაერთების საერთო რაოდენობა შეადგენს 80%-ს, ხოლო კატეხინებისა და პროანტოციანიდინების შემცველობა შესაბამისად 12,33% და 17%-ია.

„რქაწითელის“ ჯიშის ყურძნის წიპწიდან მიღებული ბიოფლავონოიდების ექსტრაქტი გამოირჩევა მაღალი P ვიტამინური აქტიურობით (5), გამოიყენება კვების მრეწველობაში ბიოლოგიურად აქტიური დანამატის სახით და სხვადასხვა წამლის ფორმების მოსამზადებლად. ფარმაცევტული ფირმა „ნეოფარმი“ (თბილისი) ამზადებს ბიოლოგიურად აქტიურ კვებით დანამატს „ბიოანტიოქსს“, რომელიც რეკომენდებულია სისხლძარღვთა გამტარებლობის დარღვევისას, ჰემორაგიული დიათეზის, თვალში სი-სხლჩაქცევის, კაპილარული ტოქსიკოზის, რევმატიზმის, სხივური, ჰიპერტონული და ალერგიული დაავადებების დროს მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. ამასთან ერთად მიმდინარეობს ინტენსიური კვლევა ყურძნის წიპწის ფლავონოიდების სხვადასხვა ბიოლოგიური თვისებების შესასწავლად. კერძოდ ნაჩვენებია, რომ ყურძნის პოლი-ფენოლების შემცველი საკვები დანამატი იცავს ნეირონებს ეთანოლის ქრონიკული მოხ-მარებით გამოწვეული ცვლილებებისაგან (6). ყურძნის წიპწიდან გამოყოფილი პოლი-ფენოლების ფრაქციას გააჩნია ანტიკანცეროგენური ეფექტი ადამიანის პროსტატის კარ-ცინომის მიმართ (7). ყურძნის წიპწის ექსტრაქტი აინჰიბირებს სწორი ნაწლავის კიბოს უჯრედების ზრდას (8), ხოლო პროანტოციანიდინებისა და კატეხინების შემცველი წიპწის ექსტრაქტს გააჩნია ანტითრომბოზული ეფექტი (9).

ამრიგად, ჩატარებული კვლევის შედეგად „რქაწითელის“ ჯიშის ყურძნიდან მი-ღებულია ბიოფლავონოიდების ექსტრაქტი, რომელშიც ფენოლების საერთო რაოდენობა შეადგენს 80%-ს, ხოლო კატეხინებისა და პროანტოციანიდინების შემცველობა შესაბამი-სად 12,33% და 17%-ს. ნაერთი ხასიათდება მაღალი ანტიოქსიდანტური აქტიურობით და მნიშვნელოვნად ამცირებს თავისუფალი რადიკალების მავნე მოქმედებას, რაც განაპი-რობებს ყურძნის წიპწიდან მიღებული ბიოფლავონოიდების ექსტრაქტის ფართოდ გამოყ-ენებას სხვადასხვა მიმართულებებით.

### გამოყენებული ლიტერატურა:


1. Flavonoids. Chemistry, Biochemistry and Applications. ed by Q. M. Anderson and K. R. Markham. Boca Raton, 2006.
2. Kähkönen M. P., Hopia A. I., Vuirela H. J., Rauha J. P., Pihlaja K., Kujala T. S., Henonen M. Antioxidant activity of plant extracts containing phenolic compounds-J. Agric. Food Chem., 1999, 47.
3. Swain T., Hillis W.E. , The Phenolic Constitents of Prunus Domestica. I-The Quantitative Analysis of Phenolic Constituents.-J. Sci. Food Agric., 10, 1959.
4. Дурмишидзе С. В. Дубильные вещества и антоцианы виноградной лозы и вина, М., 1955.

5. Дурмишидзе С. В., Урушадзе З. Д., Ушакова М. П., Семена винограда как источник биофлавоноидов-Виноделие и виноградство СССР, №6 1961.
6. Sun G. Y., Xia J., Draczynska –Lusiak B., Simonyi A., Sun A. Y., Grape polyphenols protect neurodegenerative changes induced by chronic ethanol administration-Neuro Report, 1999.
7. Agarwal Ch., Sharma Y., Agarwal R., Anticarcinogenic effect of a polyphenolic fraction isolated from grape seeds in human prostate carcinoma DU 145 cells: modulation of mitogenic signaling and cell-cycle regulations and anduction of G1 arrest and apoptosis – Mol. Carcinog, №3 2000.
8. Kaur M., Singh R.p., Gu M., Agarwal R., Agarwal Ch., Grape seeds extract inhibits in vitro and in vivo growth of human colorectal carcinoma cells-Clin. Cancer Res., №20 2006.
9. Sano T., Oda E., Yamamoto J., Anti-thrombotic effect of proanthocyanidin a purified ingredient of grape seed.-Thrombosis Researc, 2005.

**თამარ კაკაშვილი**

**ყურძნის წიპწის ბიოფლავონოიდების მიღების ტექნოლოგია**

**რეზიუმე**

სტატიაში განხილულია „რქაწითელის“ ჯიშის ყურძნის წიპწიდან ბიოფლავონოიდების ექსტრაქტის მიღების მეთოდები, რომელშიც განსაზღვრულია ფენოლური ნაერთების საერთო რაოდენობის, კატეხინებისა და პროანტოციანიდინების რაოდენობრივი შემცველობები. აღსანიშნავია, რომ დღევანდელი მსოფლიოს დიდ ნაწილში არახელსაყრელი ეკოლოგიური მდგომარეობა, არაბალანსირებული კვება და სხვადასხვა დაავადებები განაპირობებენ ცოცხალი ორგანიზმის უჯრედებში მიმდინარე გაწონასწორებული, თავისუფალრადიკალური პროცესების რღვევას და იწვევენ თავისუფალი რადიკალების არაკონტროლირებადი რეაქციების განვითარებას. ამ უარყოფითი მოვლენებისაგან დასაცავად საჭიროა მაღალი ანტიოქსიდანტური თვისებების მქონე ნივთიერებების მიღება ბუნებრივი პროდუქტებიდან.

**Tamar Kakashvili**

**Technology of Seed Bioflavonoids Riesling Grapes**

**Summary**

In the article an extract of bioflavonoids from grape seed varieties Riesling “Rkatsiteli” is analyzed as well as quantification of the amount of phenolic compounds and flavonoids, catechins and proanthocyanidins. It should be noted that in a large part of today's world an unfavorable environmental condition, unbalanced nutrition and various diseases are caused by the living organism cells balanced, free radical processes and cause free radicals to develop uncontrolled reactions. In order to protect against these negative events, it is necessary to obtain substances with high intracellular properties from natural products.

**Тамара Какашвили**

**Технология получения биофлавоноидов косточек винограда**

**Резюме**

Целью настоящего исследования было получение экстракта биофлавоноидов из косточек винограда сорта «Ркацители», а также количественное определение суммы фенольных соединений и флавоноидов (катехины и проантоцианидины).

Косточки винограда были заготовлены на Болнисском винном заводе. Экстракт биофлавоноидов был получен по следующей схеме: извлечение косточек из мезги, оставшейся после прессования винограда; промывание водой и высушивание; дробление косточек, с последующим удалением жиров и веществ нефенольной природы органическим растворителем; удаление растворителя потоком воздуха. Полученный таким образом материал, экстрагировали 70%-ным этанолом для выделения биофлавоноидов. Экстракт фильтровали и упаривали на ротационном вакуум-испарителе. Затем концентрат высушивали в лиофильном сушильном аппарате. В препарате биофлавоноидов были определены: общее содержание фенольных соединений-80%; катехины – 12,33%; проантоцианидины – 17%.

**ნინო ყიფიანი**
**აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი**

**მანდარინის ნაგალა ფორმების ტრიფოლიატა ადრემსხმოიარესა და ციტრუს იჩანგენზისთან შეჯვარების შედეგები**

ციტრუსოვან მცენარეთა განვითარებისათვის ყველაზე ბუნებრივ ხელსაყრელ პირობებს წარმოადგენს სუბტროპიკული ზონა, მისთვის დამახასიათებელი თბილი და ხანმოკლე ზამთრით. დასავლეთ საქართველოს ტენიანი სუბტროპიკული ზონა წარმოადგენს შედარებით ყინვასაშიშ ზონას და ციტრუსოვანთა კულტურული სახეობებისა და ჯიშების ნორმალური ზრდა-განვითარებისათვის არახელსაყრელი პირობებია, ამიტომაც მცენარის გამოზამთრების საკითხი უნდა გადავწყვიტოთ არა მხოლოდ გარემო პირობების შეცვლით, არამედ თვით მცენარის გარდაქმნით, რაც შესაძლებელია სელექციის გზით.

ციტრუსოვან მცენარეთა სელექციის ძირითად პრობლემას წარმოადგენს ადგილობრივი პირობებისადმი უკეთ ადაპტირებული და მაღალი ყინვაგამძლე სელექციური ფორმებისა და შემდგომ ჯიშების გამოყვანა. სწორედ ამ ამოცანების გადაწყვეტაში სელექციურ მეთოდებს შორის დიდი მნიშვნელობა ენიჭება შორეული ჰიბრიდიზაციის მეთოდის გამოყენებას. როგორც აღვნიშნეთ, შორეული ჰიბრიდიზაცია ციტრუსოვანთა სელექციაში ფორმათა დიდი მრავალფეროვნების მიღების ერთ-ერთი ქმედითი მეთოდია და მისი გამოყენებისას მშობელთა წყვილების შეგნებული შერჩევა დიდ შესაძლებლობას ქმნის წინასწარ მიზანდასხული გეგმების განსახორციელებლად. ციტრუსოვანთა შორეული ჰიბრიდები როგორც პირველ ისე მეორე თაობებში ითიშებიან, რის შედეგადაც წარმოიქმნებიან ერთი მხრივ მშობელთა ნიშნების მქონე ფორმები და მეორე მხრივ ხარისხობრივად განსხვავებული ჰიბრიდული ბუნების მცენარეები მშობელთა კომპონენტებს შორის სხვადასხვა გარდამავალი საფეხურებით. ამ დროს წარმოქმნილ ფორმათა მრავალფეროვნების სპექტრი ისე განსხვავებულია, რომ ისინი შეიძლება წარმატებით გამოვიყენოთ, როგორც საწყისი მასალა შემდგომი სელექციური მუშაობისათვის.

მანდარინი კოვანო-ვასეს მცენარეები მამრობითი ხაზით სტერილურია, ამის გამო, აღნიშნული მცენარეები ჩვენს გამოკვლევებში გამოყენებულ იქნა როგორც დედა მცენარეები. ამრიგად, შორეული ჰიბრიდიზაციის საწარმოებლად შეჯვარების კომბინაციაში

ჩავრთეთ დედა კომპონენტებად: მანდარინი კოვანო-ვასეს ნაგალა ფორმები, ხოლო მამა კომპონენტების შეჯვარების კომბინაციებში გამოყენებულ იქნა ადრემსხმოიარე პონცირუს ტრიფოლიატა და ციტრუს იჩანგენზისი. ჩვენს მიერ განხორციელებული ჰიბრიდიზაციის შედეგები მოტანილია ცხრილებში №1 და №2-ში

**ციტრუსოვანთა შორეული ჰიბრიდიზაციის ხაზით ჩატარებული შეჯვარებების შედეგები**

**ცხრილი 1**

| № რიგზე | კომბინაციის დასახელება | დამტვერიანებული ყვავილების რაოდენობა | დამტვერიანების თარიღი | გამონასკვული ნაყოფების პირველი შემოწმება | | გამონასკვული ნაყოფების მეორე შემოწმება | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | თარიღი | რაოდე-ნობა ცალი | თარიღი | რაოდე-ნობა ცალი |
| 1 | მანდარინის ნაგალა ფორმები X ადრემსხმოიარე ტრიფოლიატა | 200 | 3.05 18.05 | 20.06 | 92 | 22.07 | 35 |
| 2 | მანდარინის ნაგალა ფორმები X ციტრუს იჩანგენზისი | 200 | 5.05 20.05 | 22.06 | 98 | 24.07 | 40 |

**შორეული ჰიბრიდიზაციის გზით მიღებული ჰიბრიდულ ნაყოფებში წარმოქმნილი თესლების რაოდენობის აღრიცხვის შედეგები**

**ცხრილი 2**

| № | კომბინაციის დასახელება | დამტვერიანებუ ლი ყვავილების რაოდენობა | საბოლოოდ მიღებული ჰიბრიდული ნაყოფების რაოდენობა | | თესლების საშუალო რაოდენობა 1 ცალ ნაყოფში | მიღებული თესლების რაოდენობა ცალი |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | ცალი | % | | |
| *1.* | მანდარინის ნაგალა ფორმები X ადრემსხმოიარე ტრიფოლიატა | 200 | 30 | 15 | 3,32 | 100 |
| *2.* | მანდარინის ნაგალა ფორმები X ციტრუს იჩანგენზისი | 200 | 38 | 19 | 3,11 | 118 |

შეჯვარების შედეგებმა გვიჩვენა ტრიფოლიატისა და იჩანგენზისის მტვრის მაღალი ბიოლოგიური აქტივობა. ცხრილში მოტანილი მასალებიდან ჩანს, რომ შორეული ჰიბრიდიზაციის განსახორციელებლად თითოეული კომბინაციის მიხედვით აღებულ იქნა 200-200 ყვავილი, აღნიშნული კომბინაციების მიხედვით მანდარინის ნაგალა ფორმების ადრემსხმოიარე ტრიფოლიატითი დამტვერიანებისას საბოლოოდ მიღებული ჰიბრიდული ნაყოფების რაოდენობამ შეადგინა 15%, ხოლო ციტრუს იჩანგენზისთან 19%. მართალია შეჯვარების ამ კომბინაციაში გამოვლინდა იჩანგენზისის მტვრის მაღალი ბიოლოგიური აქტივობა მანდარინის თესლის გამონასკვისათვის, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს რომ თესლების გამონასკვის უნარი მაღალია ადრემსხმოიარე ტრიფოლიატასთან შეჯვარებისას, მაგ. მანდარინის ნაგალა ფორმების X ადრემსხმოიარე ტრიფოლიატას კომბინაციაში მიღებულ ჰიბრიდულ ნაყოფებში შეადგენს 3,32, მაშინ, როდესაც იჩანგენზისთან კომბინაციაში მანდარინის შემთხვევაში 3,11-ია.

ამრიგად, დამამტვერიანებელს, სამეურნეო თვალსაზრისით (ნაყოფის გამონასკვის გაზრდა) აქვს დიდი მნიშვნელობა, ამასთანავე შეინიშნება ტრიფოლიატის შეჯვარებით მაღალი ფიზიოლოგიური და ბიოლოგიური აქტივობა, რასაც შემდგომი სელექციური მუშაობისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. მამფორია ფ., სუბტროპიკულ მცენარეთა სელექცია, თბ., 1975.
2. ყიფიანი ნ., ფორმათწარმომშობი პროცესების ხელოვნურად მართვის შემთხვევები მანდარინის ნაგალა ფორმებსა და ფორთოხალ ვაშინგტონ ნაველში, ქუთაისი, 2015.
3. ჯაბნიძე რ., ჩაი და ციტრუსები, თბ., 2004.
4. http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/6822/1/Bukia_Z._Beridze_N..pdf


**ნინო ყიფიანი**

**მანდარინის ნაგალა ფორმების ტრიფოლიატა ადრემსხმოიარესა და ციტრუს იჩანგენზისთან შეჯვარების შედეგები**

**რეზიუმე**

ციტრუსოვან მცენარეთა სელექციის ძირითად პრობლემას წარმოადგენს ადგილობრივი პირობებისადმი უკეთ ადაპტირებული და მაღალი ყინვაგამძლე სელექციური ფორმებისა და შემდგომ ჯიშების გამოყვანა. შორეული ჰიბრიდიზაციის საწარმოებლად შეჯვარების კომბინაციაში ჩავრთეთ დედა კომპონენტებად: მანდარინი კოვანო-ვასეს ნაგალა ფორმები, ხოლო მამა კომპონენტებს შეჯვარების კომბინაციებში გამოყენებულ იქნა ადრემსხმოიარე პონცირუს ტრიფოლიატა და ციტრუს იჩანგენზისი. შეჯვარების შედეგებმა გვიჩვენა ტრიფოლიატისა და იჩანგენზისის მტვრის მაღალი ბიოლოგიური აქტივობა, რასაც შემდგომი სელექციური მუშაობისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს.

**Nino Kipiani**

**The Results of Breeding of Mandarin Dwarf Forms and Citrus Ichangesis**

**Summary**

Main problems of selection of citrus plants are cultivation of better adapted and high frost resistant selective forms and species to local problems. For further hybridization in the combination of breeding we involved mother as components: dwarf forms of mandarin C. Unshiu, and in breeding combination father, we used early fruit-bearing Poncirus Trifoliata and citrus ichangesis. The results of interbreeding of Poncirus Trifoliata and ichangesis pointed the high biological activity of Poncirus Trifoliata and ichangesis dust, which is very important for further selective work.

**Нино Кипиани**

**Результаты селекции мандарина карликовых форм с цитрусовым Ичангезисом**

**Резюме**

Основные проблемы селекции цитрусовых растений, выращивание лучше приспособленных к местным условиям и высокоморозоустойчивых селективных форм и видов. Для дальнейшей гибридизации в сочетании разведения мы привлекли в качестве матери следующие компоненты: карликовые формы мандарина С. Уншиу в селекционной комбинации в качестве отца - Poncirus Trifoliata и ichangesis биологическую активность пыли, что очень важно для дальнейшей селективной работы.

**ნატალია ჯინჭარაძე**
**აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი**

**ნინო ყიფიანი**
**აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი**

## ჩაის ბუჩქის გამორჩევის თავისებურებანი

ჩაის მცენარის გაშენების ძირითადი მიზანია მისგან ნაზი ყლორტების დუყების მიღება, რომლისგანაც მზადდება მრავალნაირი ფორმისა და გემოს პროდუქტი. მსოფლიოს უმეტესი მოსახლეობა ჩაის იყენებს სხვადსხვა დანიშნულებით, უმთავრესად სასმელად, იხმარება სამკურნალო-პროფილაქტიკურ საშუალებად, ზოგიერთ ქვეყანაში კი საჭმელადაც გამოიყენება. ჩაიში აღმოჩენილია სხვადასხვა ნივთიერებათა ათზე მეტი მსხვილი ჯგუფი. ყოველი მათგანი მოიცავს რთული და მარტივი ელემენტების დიდ რაოდენობას, ჩაის შემადგენლობაში შედის 13-მდე ქიმიური ნივთიერება, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მთრიმლავ ნივთიერებებს, რომელთაგან მთავარია ტანინი და კატეხინები, ასევე ის შეიცავს ეთეროვან ზეთებს, ცილოვან ნივთიერებებს, თავისუფალ ამინომჟავებს, ალკალოიდებს-კოფეინს, ვიტამინებს, ორგანულ მჟავებს, ნახშირწყლებს, გლუკოზიდებს, პიგმენტებს, პექტინოვან ნივთიერებებს, ფერმენტებსა და სხვადასხვა მიკრო და მაკროელემენტებს. ზემოთ აღნიშნული თვისებების შენარჩუნებისა და გაუმჯობესების მიზნით მიზანშეწონილია სისტემატურად ხდებოდეს სელექციური მუშაობა საუკეთესო ფორმების გამოვლენის თვალსაზრისით.

ჩვენი კვლევის ობიქტს წარმოადგენს საშუალო ფოთოლა ადგილობრივი ქართული ჩაის ბუჩქები, რომლებიც გაშენებულია ხონის რაიონის სოფ. პატარა კუხის ტერიტორიაზე-(120მ$^2$ ფართობზე). პლანტაცია ნაკვეთზე არის თითქმის დეგრადირებული

საცდელ ნაკვეთზე ჩვენს მიერ განხორციელებულ იქნა აღდგენა-რეაბილიტაციისათვის საჭირო პირველადი აგროტექნიკური ღონისძიებები, რაც მოიცავდა მთელ რიგ სამუშაოებს: ნიადაგის დამუშავება, სარეველებისაგან გასუფთავება, სხვადასხვა სახის გასხვლითი ოპერაციების ჩატარება, ნიადაგის განოყიერება და ა.შ.

მეჩაიეობის შემდგომი განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს კონკურენტუნარიანი, მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლებისა და ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებით მდიდარი პროდუქტის მიღება. ჩვენი მიზანია მაღალი აგროტექნიკური ღონისძიებების გატარების ფონზე აღდგენილ ჩაის ნარგაობაში, შემდგომ ეტაპზე ვაწარმოოთ საუკეთესო ფორმების გამოყოფა და მათი გაშენება სელექციის მეთოდების გამოყენებით.

კვლევისას ყურადღება გამახვილებული იქნება იმ თავისებურებებზე, რაც ახლავს სელექციის პროცესში გამორჩევის მეთოდის გამოყენებას, კერძოდ, ჩაის ბუჩქზე სელექციური მუშაობის დროს კარგად უნდა შევისწავლოთ დამახასიათებელი მემკვიდრული თვისებები და მათი ცვალებადობის ხასიათი. ამ თვისებათა მაჩვენებლები მეტწილად მორფოლოგიური ნიშნებია და ამიტომ საჭიროა მათ შორის კორელაციის დადგენა. ჩაის ნარგაობაში ვხვდებით რაოდენობრივად, თვისობრივად, ბიოლოგიურად, ფიზიოლოგიურად განსხვავებულ ნიშან-თვისებების მქონე ბუჩქებს, რომლთა შესწავლა სელექციური სამუშაოს სწორად წარმართვასა და მიზანდასახული შედეგების საშუალებას იძლევა.

როგორც ცნობილია, ჩაის მცენარის სასოფლო-სამეურნეო ვარგისიანობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა რაოდენობით და როგორი ხარისხის მწვანე მასას იძლევა. ჩაის კულტურაში წარმოებული სელექციის მიზანია გამოყვანილ იქნეს ისეთი ჯიშის ჩაის მცენარე, რომელიც აღჭურვილი იქნება ყველა დადებითი ნიშან-თვისებებით, განსაკუთრებით ყინვაგამძლეობით, მაღალი მოსავლიანობით, კარგი ხარისხის ნედლეულის მოცემის უნარით და სხვ. ამ მიზნის მიღწევა კი შესაძლებელია რამდენიმე გზით. პირველი შედარებით მარტივი გზა ჩაის სელექციაში მასობრივი გამორჩევაა, რომლის გამოყენებითაც ხდება საუკეთესო ბუჩქების გამოყოფა სხვადასხვა პოპულაციიდან. აღნიშნული მეთოდის გამოყენების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ მორფოლოგიურ ნიშან-თვისებათა ისეთ ჯგუფს, რომლებიც კოლერაციაში იმყოფება მოსავლიანობის სიდიდესა და ხარისხთან.

ჩაის კულტურა მიეკუთვნება მრავალწლიან მცენარეთა ჯგუფს. როგორც აღვნიშნეთ ჩაის მოსავალს წარმოადგენს მწვანე მასა და არა ნაყოფი, რასაც ადგილი აქვს ხეხილოვნებში, მოსავლის მომცემი გამორჩეული ჩაის ბუჩქი უნდა ხასითდებოდეს შემდეგი ნიშნებით:

1. ბუჩქის ზრდა-განვითარების სიძლიერე მკაფიოდ უნდა ჩანდეს;
2. ვარჯი უნდა ჰქონდეს ნახევრად გადაშლილი;
3. აუცილებელია ჰქონდეს დუყების მოცემის ძლიერი უნარი;
4. ფოთლის ფირფიტა უნდა ჰქონდეს რაც შეიძლება ფართო და დიდი;
5. ყვავილობა სუსტი და გვიანი;
6. უნდა ახასიათებდეს მაღალი ყინვაგამძლეობა;
7. ფოთოლი უნდა იყოს მწვანე ან ღია მწვანე შეფერვის;
8. ფოთლის ფირფიტა იყოს რაც შეიძლება ნაზი.

მსგავსი წესით ხდება გამორჩევა ინდივიდუალური გამორჩევის მეთოდის გამოყენების დროსაც. ბუჩქები შეიძლება გამოყოფილ იქნეს როგორც სათესლე, ისე საფოთლე პლანტაციებიდან. გამოყოფილი ბუჩქებიდან აღებული თესლები საჭიროებს დახარისხებას სიდიდის ან წონის მიხედვით. თესლის გამორჩევა თავისი წონისა და სიდიდის მიხედვით უნდა ხდებოდეს ყოველწლიურად და ყოველ თაობაში, რაც საშუალებას მოგვცემს მცირე დროის განმავლობაში მიღწეულ იქნეს პლანტაციის დაახლოებით გამოთანაბრება, როგორც ბუჩქების ისე მოსავლიანობის მიხედვით.

ამრიგად, ყოველგვარი გამორჩევა, იქნება ეს მასობრივი თუ ინდივიდუალური, საბოლოოდ იძლევა ერთგვაროვან მასალას და მისგან გაშენებული პლანტაცია სამეურნეო თვალსაზრისით შედარებით ერთგვაროვანია. გამორჩევის შედეგად არსებული

ნარგაობიდან გამოიყოფა საუკეთესო სადედე მცენარეები და მათგან ახალი ჯიშები და ფორმები იქნება მიღებული.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. მამფორია ფ., სუბტროპიკულ მცენარეთა სელექცია, თბ., 1975.
2. ჯაბნიძე რ., ჩაი და ციტრუსები, თბ., 2004.


**ნატალია ჯინჭარაძე, ნინო ყიფიანი**

**ჩაის ბუჩქის გამორჩევის თავისებურებანი**

**რეზიუმე**

მეჩაიეობის შემდგომი განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს კონკურენტუნარიანი, მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლებისა და ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებით მდიდარი პროდუქტის მიღება. ამ მიზნის მისაღწევად მიზანშეწონილია ჩაის პლანტაციაში სისტემატურად ხდებოდეს სელექციური მუშაობა და საუკეთესო ფორმების გამოვლენა. ნაშრომში განხილულია ჩაის ბუჩქის გამორჩევის თავისებურებანი მასობრივი და ინდივიდუალური გამორჩევის მეთოდების გამოყენებისას.

**Natalia Jincharadze, Nino Kipiani**

**Tea Bushes Distinguishing Features**

**Summary**

To develop further condition of tea growing is competitive, high-quality indicators and to get the biologically active substance-rich product. To achieve this result, it is recommended to work systematically in the plantations to select tea-bushes and detect the best forms of them. The paper deals with the tea bush distinguishing features of mass and individual distinguishing methods used.

**Наталиа  Джинчарадзе,  Нино Кипиани**

**Особенности выделения чайного куста**

**Резюме**

Показатели конкурентоспособности высококачественных чайных и биологически активных веществ необходимо условие для дальнейшего развития богатого продукта. Для достижения этой цели, рекомендуется чайные плантации систематически быть избирательным и работать с лучшими обнаружениями. В статье рассматривается отличительные черты массовых и индивидуальных отличительных используемых методов чайного куста.

ლია კოპალიანი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

## მაღალპროდუქტიული კეთილშობილური დაფნის Laurus nobilis წარმოების ინტენსიფიკაცია და ეფექტიანობა

კეთილშობილი დაფნა ძვირფასი სუბტროპიკული ეთერზეთოვანი მცენარეა, რომლის სასაქონლო პროდუქცია არის სურნელოვანი მშრალი ფოთოლი და ეთეროვანი ზეთი. ის ფართოდ გამოიყენება კვების მრეწველობაში, მედიცინაში, პარფიუმერია-კოსმეტიკაში, ვეტერინარიაში, ძვირფასი ავეჯის დასამზადებლად, ქარსაფარი ზოლების მოსაწყობად, დეკორატიულ მებაღეობაში და სხვადასხვა დანიშნულებისათვის, მაგრამ ის განსაკუთრებით ფართოდ გამოიყენება კვების მრეწველობაში, სადაც ის ხორცისა და თევზის კონსერვების დასამზადებლად აუცილებელი და შეუცვლელი პროდუქტია, ფიტოცინდური თვისებების გამო ახანგრძლივებს შენახვის ვადას. თანამედროვე პირობებში უპირატესობას ანიჭებენ ეთეროვან ზეთს, მშრალ ფოთოლთან შედარებით, ვინაიდან ამ სახით ის უფრო მარტივად და ადვილად შეიძლება დაემატოს სხვადასხვა პროდუქტს.

უკანასკნელ წლებში ძალზე გაიზარდა მოთხოვნილება დაფნისა და ზოგიერთი სხვა სახის ეთერზეთებზე. ეთერზეთოვანი კულტურების წარმოების გადიდების, თვითღირებულების შემცირებისა და ამ დარგის ყველა ეკონომიკური მაჩვენებლის გაუმჯობესების მიზნით, განუხრელად უნდა აამაღლონ წარმოების ინტენსიფიკაციის (ინტენსივობის გადიდება) დონე. უფრო წარმატებით უნდა გამოიყენონ ინტესიფიკაციის ისეთი გზები და რეზერვები, როგორიცაა: ეთერზეთოვანი კულტურების რაციონალური გაადგილება ქვეყნის ბუნებრივი ზონების მიხედვით; მათი მოვლისა და მოყვანის პროგრესული მეთოდების დამუშავება; ახალი მაღალპროდუქტიული ჯიშებისა და ფორმების დანერგვა; ეთერზეთოვანი კულტურების არა მარტო არსებული ფართობების გადიდებასა და მოსავლიანობის გაზრდაზე, არამედ სამეურნეო ნარგავებისა და ველური ფლორის წარმომადგენლების უფრო რაციონალურ გამოყენებაზეც. საჭიროა, სამეურნეობათაშორისო კოოპერირებისა (კოოპერაციის საწყისებზე გაერთიანება) და აგროსამრეწველო ინტეგრაციის (აღდგენა) საფუძველზე მეტი ყურადღება მიაქციონ ამ დარგის სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის საკითხებს.

დაფნის პროდუქტებზე მსოფლიო მოთხოვნილების დაკმაყოფილების პრობლემა შეიძლება გადაიჭრას ორი გზით: დაფნის კულტურით დაკავებული ფართობების გაზრდით ან დაფნის მაღალპროდუქტიული ჯიშების გამოყვანისა და მათ წარმოებაში დანერგვის გზით. ცხადია, უპირატესობა უნდა მიენიჭოს სელექციური ჯიშების გამოყვანას და მათ წარმოებაში დანერგვას.

სამრეწველო მასშტაბით გავრცელებულია დაფნის მხოლოდ ერთი სახეობა - კეთილშობილი დაფნა, რომელიც რთულ პოპულაციას წარმოადგენს. ის შედგება მორფოლოგიური ნიშნებით ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული ფორმებისაგან. დაფნის ამ სახეობა-პოპულაციაში დიდ მრავალფეროვნებას აქვს ადგილი ზეთშემცველობის მიხედვითაც, რომელიც მერყეობს 0,5%-დან 3,3%-მდე (ნედლ ფოთოლზე), ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ პოპულაციებში უმეტესობა დაბალზეთიანი ფორმებია, მაღალზეთიანები კი იშვიათად გამორევა.

დღეისათვის მსოფლიო მასშტაბით დაფნის სელექციური ჯიშები არ არსებობს. ადგილობრივ და საგარეო ბაზარზე მოთხოვნილების ინტენსიურმა ზრდამ, დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის დაინტერესება გამოიწვია და დაიწყეს დაფნის პლანტაციების გაშენება.

ვინაიდან დაფნის სელექციური ჯიშები არ არსებობს, ამიტომ სამრეწველო მასშტაბით ამრავლებენ ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებულ ფორმებს, რაც სტაბილურ მოსავლიანობას ვერ უზრუნველყოფს, ამიტომ პლანტაციის გაშენებისას ყურადღება უნდა მიექცეს მაღალპროდუქტიულ სახეობას.

აწსუ-ის აგრარული ფაკულტეტის სუბტროპიკული დეპარტამენტის თანამშრომლებმა პროფ. გ. გეწაძის ხელმძღვანელობით ჩავატარეთ და დღესაც ვაგრძელებთ მრავალწლიან

კვლევით მუშაობას, რომელიც შეეხება დასავლეთ საქართველოს მასშტამბით კეთშლშობილი დაფნის მაღალზეთიანი ფორმების გამორჩევას.

ჩვენი კვლევის მიზანს შეადგენდა მეცნიერების უშუალო ჩართვა წარმოებაში, რაც წარმოების ეფექტიანობისა და რენტაბელობის პრაქტიკულ შედეგებზე აისახებოდა. მოვიძიეთ საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში არსებული დაფნის სადედე ხეები, ავიღეთ ნიმუშები, უნივერსტეტის ლაბორატორიაში ვაწარმოებდით ეთერზეთის გამოხდას გინზბურგის აპარატით და მიკროსკოპული მეთოდით.

აღსანიშნავია, რომ ერთ პლანტაციაში მყოფი სხვადასხვა სადედე მცენარეებიდან აღებული ნიმუშები, ზეთშემცველობით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. (მაგალითად ზუგდიდში, სოფ. კახათში, ჩხაპელიების ოჯახის სანერგე მეურნეობის ორი სადედე ხიდან აღებული ნიმუშები). 1 მცენარიდან აღებული ნიმუში შეიცავდა 1% ეთერზეთს, ხოლო მე-2-დან აღებული ნიმუში-3,4%-ს, ანალოგიური მდგომარეობაა სხვა მუნიციპალიტეტებშიც.

ასევე ჩავატარეთ კვლევები მაღალზეთიანი სადედე მცენარეებიდან მიღებულ თესლნერგებზე. თესლნერგების ფოთლების მიკროსკოპული ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ უმეტეს შემთხვევაში მიღებული თესლნერგები იმეორებენ დედა მცენარის ნიშან-თვისებებს ზეთშემცველობის მხრივ.

ჩვენი მრავალწლიანი კვლევებიდან გამომდინარე, შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ მაღალპროდუქტიული დაფნის პლანტაციის გასაშენებლად აუცილებელია შეირჩეს მაღალზეთიანი სადედე მცენარეები სარგავი მასალის მისაღებად და გამოყენებულ იქნეს მათი გენერაციული გამრავლება. ასეთი ნერგებით გაშენებული პლანტაცია პროდუქტიული და რენტაბელურია, რაც წარმოების შემოსავლის ზრდას განაპირობებს.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. გეწაძე გ., კოპალიანი ლ., კაპანაძე შ., საქართველოში არსებული დაფნის Laurus nobilis გენოფონდიდან მაღალპროდუქტიული ფორმების გამორჩევისა და წარმოებაში დანერგვის შედეგები, სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია - „აგრარიკოს მეცნიერთა კვლევის შედეგების კომერციალიზაცია“, ქუთაისი, 2013.

**ლია კოპალიანი**

**მაღალპროდუქტიული კეთილშობილური დაფნის Laurus nobilis წარმოების ინტენსიფიკაცია და ეფექტიანობა**

**რეზიუმე**

სტატიაში გაანალიზებულია დაფნის მცენარისაგან მიღებული სასაქონლო პროდუქციის ეთეროვანი ზეთისა და მშრალი ფოთლის მნიშვნელობა. აღნიშნულია, რომ კეთილშობილი დაფნის ინტენსიფიკაციის მიზანია ფართობის ერთეულზე ვაწარმოოთ რაც შეიძლება მეტი და მაღალხარისხიანი პროდუქცია მცირე დანახარჯების პირობებში, მაღალზეთინი ფორმების დანერგვით.

**Lia Kopaliani**

**Intensification and Efficiency of Highly Productive Laurus Nobilis**

**Summary**

It is analyzed in the article, the significance of commodity products ether-oil and dry leave received from laurel. The aim of intensification of Laurus nabilis is to produce as much as possible and high-quality product on the definite area under the term of trivial expenses, by introducing forms containing of much oil.

**Лия Копалиани**

**Интенсификация и эффективность высокопродуктивного Laurus nobilis**

**Резюме**

В статье проанализировано значение производства эфирного масла и сухого отпуска, полученных от лаврового листа. Целью интенсификации Laurus nobilis является производство много и высококачественного продукта под термином тривиальных расходов, путем введения формы, содержащей многообразие эфирных масел.

# ინჟინერია

**დავით გუბელაძე**
**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი**

## ტყის დაცვითი ღონისძიებები და წყლისმიერი division

გარემოს ეკოლოგიეური პრობლემები და მისი გადაჭრის თანამედროვე ღონისძიებები ვერ უზრუნველყოფს სრულფასოვნად ისეთი პრობლემის გადაწყვეტას, რომელიც განპირობებულია ნიადაგის ნაყოფიერების შემცირებით, რისი უმთავრესი მიზეზიც სწორედ ნიადაგის ეროზიაა. უკვე მრავალი საუკუნეა, რაც კაცობრიობა ნიადაგის ეროზიის შედეგად მნიშვნელოვან ზარალს განიცდის. ამ ზარალმა ბოლო ათწლეულებში მნიშვნელოვნად იმატა, მაგრამ მსოფლიოს მთელი რიგი ქვეყნების გამოცდილება და ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში მიწათმოქმედების ნიადაგდამცავი სისტემის დანერგვის დადებითი შედეგები გვაიმედებენ, რომ შესაძლებელია ეროზიული მოვლენების გავრცელების არეალისა და ინტენსივობის მნიშვნელოვნად შემცირება, ოღონდ ამისათვის საჭიროა ქვეყნის მთელი ძალების მობილიზება და სათანადო ფინანსური მხარდაჭერა, გასატარებელ ღონისძიებათა სამეცნიერო-ტექნიკური უზრუნველყოფა.

წყლისმიერი ეროზია დიდი ინტენსივობით მიმდინარეობს და საშიშ მასშტაბებს იღებს საქართველოს ტენიანი, სუბტროპიკული და მშრალი ზონების გორაკ-ბორცვიან და მთისწინა ნაწილში. დადგენილია, რომ 10 – 200 დაქანების ფერდობებიდან ზოგჯერ წელიწადში ჩამოირეცხება ჰექტარზე 200 – 300 ტონამდე ნიადაგი, წყალნაღარების სიღრმე ხშირად 0,5 მეტრს და უფრო მეტსაც აღწევს. გარკვეული პირობების არსებობისას ასეთი წყალნაღარები თანდათან ხრამებად და ხევებად გადაიქცევა. აღმოსავლეთ საქართველოში მშრალი სუბტროპიკული კლიმატის პირობებში, მცენარეულობით დაუფარავ ფერდობებზე წყლისმიერი ეროზია უფრო ინტენსიურად მიმდინარეობს, რასაც განაპირობებს აქ გავრცელებული ნიადაგების ეროზიისადმი დაბალი მდგრადობა. ამ რეგიონში 6-120 გრადუსით დაქანებულ ფერდობებზე ინტენსიური წვიმების დროს ერთი ჰექტრიდან ყოველწლიურად ჩამოირეცხება 30-40 ტონა, ხოლო თავსხმა წვიმებისას 100-200 ტონამდე ნიადაგი. გასული საუკუნის ბოლო ათწლეულებში მიწების მელიორაციამ ხელი შეუწყო ეროზიული პროცესების გაძლიერებას სარწყავ მიწებზე. კერძოდ, დიდი დაქანების სარწყავი ფართობების არასწორად მორწყვისას ადგილი აქვს ნიადაგის ინტენსიურ ჩამორეცხვას, ფართობების მნიშვნელოვანი დანაწევრება მოითხოვს მორწყვის წესებისა და რწყვის ტექნიკის გონივრულ შერჩევას.

გეოგრაფიული თვალსაზრისით ნიადაგების წყლისმიერი ეროზია პირდაპირ არ უკავშირდება ყველაზე ტენიან რეგიონებს. ნიადაგის ჩამორეცხვის სიდიდე ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებულია არა მხოლოდ ნალექების საერთო რაოდენობასთან, არამედ მათ ინტენსივობასთან. თოვლის დნობის შედეგად ეროზიის გამოვლინების ინტენსივობა დამოკიდებულია თოვლში წყლის მარაგზე და უმთავრესად თოვლის დნობის სიჩქარეზე.

საქართველოს სხვადასხვა რეგიონში დიდქანობიანი ფერდობების მდგომარეობა გვიჩვენებს, რომ მიწათმოქმედთა მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ არ უწევს სათანადო ანგარიშს ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემის აქტუალობას. საქართველოს მთისა და მთისწინა რეგიონებში ბოლო პერიოდში შეიმჩნევა ეროზიული პროცესების გაძლიერება. აღნიშნული მდგომარეობა გარკვეულწილად იმითაცაა განპირობებული, რომ ჩვენში დროულად არ იქნა შეფასებული და გათვალისწინებული ის მოსალოდნელი ობიექტური ცვლილებები, რომლებიც ახლავს სოფლის მეურნეობის წარმოების ინტენსიფიკაციას, მძიმეწონიანი სასოფლო-სამეურნეო მექანიზმების გამოყენებას, ნიადაგის დამუშავების ხარისხის კონტროლის შესუსტებას. აღნიშნულ და მთელ რიგ

სხვა მიზეზთა გამო მოხდა ეროზიული პროცესების გავრცელების არეალისა და ინტენსივობის ზრდა.

ეროზიული პროცესების შედეგად მიყენებული ზარალი არ შემოიფარგლება მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების შემცირებითა და დეგრადირებით. ეროზია უდიდეს ზარალს აყენებს წყლის რესურსებს, კომუნალურსა და საგზაო მეურნეობას, ეროვნული მეურნეობის სხვადასხვა დარგებს. ეროზიული პროცესების შედეგად წარმოშობილი ხრამები და ხევები ანაწევრებენ ფართობებს, ართულებენ მათ დამუშავებას, ხელს უწყობენ მდინარეებისა და წყალსაცავების დალექვას.

ეროზიული პროცესების გავრცელების თვალსაზრისით არასახარბიელო მდგომარეობამდე ქვეყანა მიიყვანა ნიადაგდამუშავების წესების დარღვევამ, დიდქანობიანი ფართობების უსისტემო დამუშავებამ და ასეთი ფართობებისათვის სასოფლო-სამეურნეო კულტურების არასწორმა შერჩევამ. კონკრეტული პირობებისათვის შეუფერებელი სასოფლო-სამეურნეო მექანიზმების გამოყენების შედეგად ნიადაგის დატკეპნამ, ნიადაგის ზედაპირის დამცავი მცენარეული საფარის გამეჩხერებამ, საძოვრების არასწორმა და ზედმეტად ინტენსიურად გამოყენებამ, ტყეებისა და ბუჩქნარების უსისტემო გაკაფვამ და ა.შ. აღნიშნულ მიზეზთა გამო ქვეყნის რიგ რეგიონებში (ზემო იმერეთი, მთიანი აჭარა, კავკასიონის მთელი მთისწინეთი და სხვ.) ეროზიულმა პროცესებმა კატასტროფული ხასიათი მიიღო. გააქტიურდა ეროზიის თანმდევი ისეთი საშიში პროცესები, როგორიცაა ღვარცოფები, მეწყერები და ხრამწარმოქმნა. დღეისათვის საქართველ;ოში აღრიცხულია 10000-მდე მეწყერი, 2000-მდე ღვარცოფული აუზი. შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნის რიგ რეგიონში დარღვეულია საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული ბუნებრივ-ეკოლოგიური წონასწორობა. ადგილი აქვს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ნაყოფიერების საგრძნობ შემცირებას, რაც ერთ-ერთი მიზეზია მოსახლეობის ინტენსიური მიგრაციისა ბარში და ამით გამოწვეული რიგი პრობლემებისა. ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების მოსალოდნელი ეფექტი გამოიხატება შემდეგში:

1. ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება, პირველ რიგში, იცავს ქვეყნის შეუცვლელ სიმდიდრეს – ნიადაგს, ინარჩუნებს მის ნაყოფიერებას, აჩერებს ნიადაგების გაუდაბნოების პროცესს. იგი უზრუნველყოფს ეროზირებულ მიწებზე სასოფლო-სამეურნეო კულტურათა სტრუქტურის შეცვლას და მის სწორ გაადგილებას. ეროზირებულ მიწებზე სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობის გადიდებას და წმინდა შემოსავლის მნიშვნელოვნად გაზრდას.

2. ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებით, ამ მიწებზე სოფლის მეურნეობის რენტაბელობის დონე შედარებით მაღალია.

3. ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების ეკონომიკური ეფექტიანობა დადგენილია მრავალწლიანი მეცნიერული კვლევის შედეგად. მდინარეთა ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარებით მთლიანად იქნება დაცული არა მარტო სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავალი და პირუტყვი, არამედ შენობა-ნაგებობები, გზები და ა.შ. ეროზიის საწინააღმდეგო აღნიშნული ღონისძიება საკმაოდ ძვირადღირებული, მაგრამ მაღა-ლეფექტური ღონისძიებაა.

4. მინდორსაცავი ტყის ზოლების გაშენება ჰექტარზე ხორბლის მოსავლიანობას საშუ-ალოდ ზრდის 15, სიმინდის – 22, ჩაის – 23, ციტრუსების – 25, ყურძნის – 21, ხილის – 28 პროცენტამდე.

5. წყლისმიერი ეროზიის საწინააღმდეგოდ ფერდობებზე ნიადაგდამცავი ხე-მცენარეების გაშენება უზრუნველყოფს ფერდობებზე ნიადაგების დაცვას დახრამვისაგან და ფერდო-ბის ქვედა ნაწილში ნიადაგის ჩამოტანისაგან. ამ ღონისძიებით დაცული იქნება მიმ-დებარე სასოფლო-სამეურეო სავარგულები, მოსახლეობა, საკარმიდამო ნაკვეთები.

6. სათიბ-საძოვრების ზედაპირული გაუმჯობესება მათ პროდუქტიულობას 20-25 %-ით ზრდის.

7. ასევე მეცნიერული კვლევებით განსაზღვრულ იქნა ეროზიის საწინააღმდეგო ღო-ნისძიებებში კაპიტალურ დაბანდებათა ეკონომიკური ეფექტიანობა, რომელიც საკმაოდ მაღალია და მისი გამოსყიდვის ვადა საშუალოდ 2,9 წელიწადს, ხოლო კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის კოეფიციენტი 0,34-ს შეადგენს.

8. რაც მთავარია ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებას აქვს არა მარტო სამეურნეო და ნიადაგდაცვითი, არამედ უდიდესი სოციალურ-ეკოლოგიური ეფექტი ბიომრავალფეროვნებისა და ბუნებრივი ლანდშაფტების შენარჩუნების თვალსაზრისით.

აღსანიშნავია, რომ ნიადაგის ეროზიისაგან დაცვის მიზნით მიზანშეწონილია წყალამრიდი არხების მოწყობა, ნიადაგის ეროზიისაგან დაცვის, ნაყოფიერების აღდგენისა და ამაღლების ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად ითვლება ფერდობებზე ჩამონადენი წვიმისა და თოვლის წყლების მოწესრიგება წყალამრიდი არხების გაყვანით. მათი წარმოებაში დანერგვა და პრაქტიკული განხორციელება არ მოითხოვს დიდ კაპიტალურ დანახარჯებს და შესაძლებელია არსებული საწარმოო საშუალებებით. ამ მიზნით სავარგულების ზედა დაფერდობების სხვადასხვა ნაწილში (საჭიროებისამებრ) უნდა მოეწყოს წყალამრიდი არხები, რომელთა ბოლოებიც შეერთებული იქნება წყალგამყვან არხებთან. ისინი თავის მხრივ უერთდებიან ახლომდებარე მდინარეებს, ღელეებს, ხევებს და სხვ. წყალამრიდი და წყალგამყვანი არხები დაქანებებზე მოპირკეთებული უნდა იყოს სტანდარტული ფილებით ან ქვებით.

მნიშვნელოვან ღონისძიებად ითვლება სატყეო-მელიორაციული სამუშაოების ჩატარება ტყით დაფარულ ფერდობებზე და მწვანე საფარის გავრცელების ზონებში, წყლისმიერი ეროზიის ზემოქმედებისას ვლინდება შემდეგი პროცესები, რომელიც ითხოვს გადაუდებელი ღონისძიებების ჩატარებას, რაც გამოიხატება შემდეგში:

1. ერთწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურებით ათვისებულ ფერდობებზე შეიმჩნევა ინტენსიური ჩამორეცხვა, რის შედეგადაც დროთა განმავლობაში უვარგისი ხდება შემდგომი სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის;
2. სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოებისათვის უვარგის ფერდობებზე და ეროზიის წარმოშობის კერებში, ნიადაგის ეროზიისაგან დაცვის მიზნით, საჭიროა გატარდეს სატყეო-სამელიორაციო ღონისძიებები;
3. ხევ-ხრამების სათავეებში, ნაპირებზე და ეროზიის წარმოშობის სხვა კერებში უნდა გაშენდეს ნიადაგდაცვითი ტყის ზოლები;
4. წყალდაცვითი მნიშვნელობის ტყე-ბუჩქნარებსა და ტყეებში უნდა ჩატარდეს მხოლოდ მოვლითი ჭრები და მასში საქონლის ძოვება უნდა აიკრძალოს;
5. სოფლის მეურნეობის წარმოებისათვის გამოუსადეგარ ფერდობებზე საჭიროა ხელოვნური ტყე-ბუჩქნარის გაშენება;
6. მდინარისპირა სანაპირო ზოლის გასამაგრებლად კარგ შედეგს იძლევა ტყის ხემცენარეული საფარი და ამ მხრივ მათი მნიშვნელობა უდიდესია. ისინი, ერთი მხრივ, თავიანთი ფესვებით ბადესავით ფარავენ მდინარეთა სანაპირო ზოლს და იცავენ მათ ჩამორეცხვისაგან, ხოლო მეორე მხრივ, ახდენენ ეროზიული პროცესების კოლმატაჟს და უზრუნველყოფენ მდინარისპირა კალაპოტების მდგრადობას.

ამგვარად, როგორც საქართველოს მთელი რიგი რეგიონების მწვანე საფარის, ტყის მასივების ეკოლოგიური სტაბილურობის შენარჩუნება, ქვეყნის სოფლის მეურნეობის ეფექტურობის საჭირო დონის უზრუნველყოფა და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაწყვეტა მოითხოვს ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა ფართო პროგრამის შემუშავებასა და პრაქტიკულ განხორციელებას. აღნიშნულის გარეშე, ქვეყნის, როგორც ეკოლოგიურ ისე ეკონომიკურ და მასთან დაკავშირებულ სოციალურ სტაბილურობას მნიშვნელოვანი საფრთხე ემუქრება.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. ბუნებრივი რესურსების ინტეგრირებული მართვა, თბ., 2015.
2. კატასტროფის რისკის შემცირების სისტემის ინსტიტუციური შესაძლებლობის შეფასების ანგარიში - საქართველო 2014.

3. მიწაზე ზემოქმედების და მიწის დეგრადაციის/გაუდაბნოების ტენდენციების მონიტორინგის ეროვნული საჭიროებების შეფასება–ანგარიში, მომზადებულია UNDP-ის პროექტის „ინფორმაციის მართვის ჰარმონიზაცია გარემოს შესახებ ცოდნისა და მონიტორინგის გაუმჯობესებისათვის საქართველოში“ ფარგლებში, თბ., 2016.
4. საქართველოს ბუნებრივი რესურსები და გარემოს დაცვა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, თბ., 2016.
5. სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების (SEA) საპილოტე პროექტი, სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება ეროვნული სტრატეგიისა (2016-2030) და სამოქმედო გეგმისათვის.

**დავით გუბელაძე**
**ტყის დაცვითი ღონისძიებები და წყლისმიერი ეროზიული პროცესები**
**რეზიუმე**

საქართველოს მთელი რიგი რეგიონების მწვანე საფარის ეკოლოგიური სტაბილურობის შენარჩუნება, ქვეყნის სოფლის მეურნეობის ეფექტურობის საჭირო დონის უზრუნველყოფა და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაწყვეტა მოითხოვს ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა ფართო პროგრამის შემუშავებასა და პრაქტიკულ განხორციელებას. აღნიშნულის გარეშე, ქვეყნის, როგორც ეკოლოგიურ ისე ეკონომიკურ და მასთან დაკავშირებულ სოციალურ სტაბილურობას მნიშვნელოვანი საფრთხე ემუქრება.

**David Gubeladze**
**Forest Protection Measures and Water Erosion Processes**
**Summary**

Maintaining the ecological stability of the green cover of a number of regions in Georgia, ensuring the level of agricultural effectiveness of the country and solving the economic and social problems associated with it requires the elaboration of a wide range of anti-erosion measures and practical implementation. Without this, the country’s ecological, economic and related social stability is in danger

**Давид Губеладзе**
**Охраняющие мероприятия леса и водяные эрозийные процессы**
**Резюме**

Сохранение экологической стабильности зелённого покрова целого ряда регионов Грузии, обеспечение нужного уровня эффективности сельского хозяйства страны и решение связанных с этими вопросами экономических и социальных проблем требует выработки широкой программы мероприятий, направленных против эрозийных процессов, без которых как экологической, так и экономической и соответственно социальной стабильности грозит значительная угроза.

გიორგი ნაჭყებია
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

# ღრუბლოვან გამოთვლებში ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების შემცირება და რესურსების რაციონალური განაწილება

ღრუბლოვანი გამოთვლები თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების ერთ-ერთი მძლავრი და მზარდი მიმართულებაა. ღრუბლოვანი გამოთვლების მნიშვნელოვანი ასპექტია მისი უსაფრთხოება. კერძოდ, ღრუბლოვანი ტექნოლოგიის შემაფერხებელ ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს მისი იურიდიული და სამართლებრივი მხარე, ასევე უსაფრთხოების ძირითად პრობლემას წარმოადგენს ღრუბლოვანი გამოთვლების კონტროლი და მართვა. არ არსებობს გარანტია იმისა, რომ ღრუბლის ყველა რესურსი დათვლილია და მასში არ არის არაკონტროლირებადი ვირტუალური მანქანები, არ არის გაშვებული ზედმეტი პროცესები და არ არის დარღვეული ღრუბლის ელემენტების ურთიერთ-კონფიგურაცია. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ღრუბლოვანი ინფრასტრუქტურის რისკების მართვის მოდელის გამოყენება. შესაბამისად ინფორმაციული უსაფრთხოების პრობლემა არის მნიშვნელოვანი ღრუბლოვანი საინფორმაციო საკომუნიკაციო სისტემის დაპროექტებისას. ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვის სისტემის დაგეგმვისათვის აუცილებელია მოსალოდნელი საფრთხეების იდენტიფიცირება, რისკების შეფასება. აქედან გამომდინარე, ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების შეფასება, შემცირება და გამოთვლითი რესურსების რაციონალური განაწილება არის აქტუალური საკითხი, რომელსაც გააჩნია როგორც მეცნიერული ასევე დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა.

სხვადასხვა კონფიდენციალურობის ხარისხის დაცულობის მქონე ინფორმაციის დასამუშავებელი გამოთვლითი რესურსების ეფექტურად განაწილებისათვის ვიყენებთ მათემატიკური პროგრამირების მოდელს. წრფივი პროგრამირების გამოყენებით ვახდენთ ღრუბლოვანი გამოთვლითი რესურსების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკების შემცირებას რესურსების რაციონალური განაწილებით.

დავუშვათ, რომ ღრუბლოვან საინფორმაციო საკომუნიკაციო სისტემაში ხდება განსხვავებული ხარისხის მქონე კონფიდენციალური ინფორმაციის დამუშავება S=1,2,3, . .

ღრუბლოვან სსს-ში ინფორმაციები კონფიდენციალურობის ხარისხის მიხედვით შეგვიძლია დავყოთ სამ ტიპად:

1. ღია ინფორმაციები, რომელთაც არა აქვთ არანაირი შეზღუდვები მათ გამოყენებაზე, მათზე წვდომასა და მათი განადგურების წესებზე.
2. კონფიდენციალური ინფორმაციები. ასეთი ტიპის ინფორმაციებზე წვდომის უფლება აქვთ უშუალოდ თვითონ მომხმარებლებს და გარკვეულ დაშვებულ პირთა ჯგუფს, რომელიც განისაზღვრება ღრუბლოვანი სერვისების უსაფრთხოების პოლიტიკით და ინფორმაციებზე წვდომის მოდელით.
3. კრიტიკული ინფორმაციები, რომლებზე წვდომამაც შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული ზიანი, ინფორმაციის კონფიდენციალურობის, მთლიანობისა და წვდომადობის დარღვევა, რამაც დიდი რისკის ქვეშ შეიძლება დააყენოს ღრუბლოვანი სერვისების მომწოდებლის რეპუტაცია.

შესაბამისად ღრუბლოვან სერვისს უნდა გააჩნდეს განსხვავებული დაცულობის მქონე რესურსები K=1,2,3, . , განსხვავებული კონფიდენციალურობის ხარისხის S=1,2,3, . ინფორმაციების დასამუშავებლად.

ღრუბლოვანი საინფორმაციო საკომუნიკაციო სისტემის დასამუშავებელი ინფორმაციების წვდომის მართვისათვის ვიყენებთ Bell–LaPadula Model (BLP) - მოდელს, რომელიც დაფუძნებულია წვდომადობის მართვის მანდატურ მოდელზე. ამ მოდელის თანახმად ყოველ სუბიექტს ენიჭება წვდომის დონე შესაბამისი ხარისხის კონფიდენციალურ ინფორმაციაზე. ცნება დაცული ღრუბლოვანი საინფორმაციო საკომუნიკაციო სისტემა გან-

ისაზღვრება შემდეგნაირად: სისტემის ნებისმიერი მდგომარეობა უნდა შეესაბამებოდეს ღრუბლოვანი სსს-ის დადგენილ უსაფრთხოების პოლიტიკას.

ღრუბლოვანი საინფორმაციო საკომუნიკაციო სისტემაში წვდომადობის გამიჯვნის ძირითად წესებს წარმოადგენს:

- ღრუბლოვანი საინფორმაციო საკომუნიკაციო სისტემის K - დაცულობის რესურსს შეუძლია წაიკითხოს S - ხარისხის კონფიდენციალურობის მქონე ინფორმაცია მხოლოდ მაშინ, როდესაც ღრუბლოვანი საინფორმაციო საკომუნიკაციო სისტემის რესურსის დაცულობის დონე K - მეტია S - კონფიდენციალურობის ხარისხის მქონე ინფორმაციაზე. ესე იგი, თუ სუსტად დაცულ რესურსს, რომელსაც აქვს წვდომა ღია ტიპის ინფორმაციაზე, შეეცდება წაიკითხოს კონფიდენციალური ინფორმაცია, ეს მას აეკრძალება.
- ღრუბლოვანი საინფორმაციო საკომუნიკაციო სისტემის K - დაცულობის რესურსს შეუძლია დაამუშაოს S - ხარისხის კონფიდენციალურობის მქონე ინფორმაცია, მხოლოდ მაშინ თუ S - კონფიდენციალურობის ხარისხი ჭარბობს K - დაცულობის რესურსის დაცულობის ხარისხს. მაგალითად, თუ მაღალი დაცულობის მქონე რესურსი შეეცდება დაამუშაოს კრიტიკული ინფორმაცია, მას ამის უფლება აეკრძალება.
- უსაფრთხოების დისკრეციული ხასიათი. წვდომის უფლება განისაზღვრება წვდომის მატრიცის საფუძველზე.

აშკარაა, რომ წვდომის გამიჯვნის მანდატური მოდელის თანახმად, - S ხარიხის კონფიდენციალური ინფორმციის დამუშავების დროს - K დონის დაცულობის მქონე რესურსზე, უნდა შესრულდეს შემდეგი მოთხოვნა (პირობა):

$$S \leq K$$

ვთქვათ ცნობილია $C_y^s$ ხარჯების ღირებულება განსხვავებული დაცულობის დონის ერთეული რესურსის შენახვისათვის $C_1^s$,$C_2^s$,$C_3^s$,......., $C_m^s$.

ხარჯების ღირებულებაში განიხილება ზემოთ მოყვანილი ღრუბლოვანი საინფორმაციო საკომუნიკაციო სისტემის რესურსების მომსახურეობისათვის საჭირო ხარჯების საწყისი მონაცემები.

ამის გარდა მოცემულია ერთეული ინფორმაციის დამუშავების ღირებულება $C_y^o$ განსხვავებული კონფიდენციალურობის ხარისხის მქონე ინფორმაციებისა $C_1^o$,$C_2^o$,$C_3^o$,......., $C_m^o$.

ასევე ცნობილია სხვადასხვა კონფიდენცილურობის მქონე ინფორმაციების დასამუშავებელი განაცხადების ნაკადების $I = \{ I_1, I_2, \ldots Is\}$ რაოდენობა.

ღრუბლოვან სერვისებში ერთეული ინფორმაციის დამუშავების ღირებულებაში იგულისხმება სერვისების მიღებისათვის საჭირო გამოწერის (ხელმოწერის) ღირებულება. ღრუბლოვან სერვისებში კონფიდენციალური ინფორმაციის დამუშავების ღირებულება მოიცავს:

- ღრუბლოვანი საინფორმაციო საკომუნიკაციო სისტემის მართვისათვის საჭირო ხარჯების ერთობლივ ღირებულებას მისი ფუნქციონირების მთელი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში;
- ღრუბლოვან საინფორმაციო საკომუნიკაციო სისტემის დაცულობის უზრუნველყოფისათვის საჭირო ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემისა და მექანიზმების ღირებულება;
- ელექტროენერგიისა და თანმხლები ხარჯების ღირებულება;
- ღრუბლოვანი სერვისის მომწოდებლის მოგება;

სხვა ხარჯებისა და მოგების შესახებ ინფორმაციები მოცემულია Service Level Agreement (SLA)შეთანხმებაში.

ერთ-ერთი ყველაზე მეტად გავრცელებული მეთოდი რისკების შეფასებისა საერთაშორისო სტანდარტებზე ISO/IEC 27000 დაყრდნობით არის - ხდომილების ალბათობისა და მისი შედეგების კომბინაცია.

აქედან გამომდინარე:

$$R = \sum_i P\, iC_i^y$$

სადაც Pi – არის i - ური საფრთხის წარმატებით განხორციელების ალბათობა, $C_i^y$ - არის ზარალის ღირებულების შეფასება i-ური საფრთხის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, i = 1,2,3,…, n - არის შესაძლო საფრთხეების ალბათობების რაოდენობა.

რისკების დონის გასაზომად ვქმნით რისკების მატრიცას. რისკების მატრიცა, ესაა მატრიცა რომლის რიგებშიც იქნება განთავსებული რისკობრივი ხდომილობები, სვეტებში კი მათი აღსრულებისა და შედეგების ალბათობები. რისკების მატრიცა გახლავთ რისკების დონის საბოლოო განმსაზღვრელი, რასაც ვიღებთ საფრთხეების ალბათობებისა და საფრთხეების ზემოქმედებისას მიღებული მაჩვენებლების გაერთიანებით.

1 ნახ.-ზე მოცემულია განაწილებული გამოთვლითი ქსელის მაგალითი.

ნახ. 1.




I ჯგუფი - „A დონე“ - სისტემები დაბალი ხარისხის დაცულობით.
II ჯგუფი - „B დონე“ - სისტემები მაღალი ხარისხის დაცულობით;
III ჯგუფი - „C დონე“ - დაცული სისტემები;

n - ჯგუფის ერთეული რესურსის შენახვის ხარჯების ღირებულება შეადგენს გარკვეულ პირობით ერთეულს. ვთქვათ განსახილველ სისტემაში ხდება განსხვავებული კატეგორიის კონფიდენციალურობის მქონე Is - ინფორმაციების დამუშავება, სადაც (s=1,2,3) :

- $l_1$ ღია ინფორმაცია;
- $l_2$ კონფიდენციალური ინფორმაცია;
- $l_3$ კრიტიკულად მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

$S \leq K$ - უტოლობის თანახმად, $l_1$ - კატეგორიის ინფორმაცია მუშავდება ნებისმიერი ჯგუფის რესურსზე, $l_2$ - კატეგორიის ინფორმაციის დამუშავება შესაძლებელია B და C ჯგუფის რესურსებზე. $l_3$ - კატეგორიის ინფორმაციის დამუშავება ხდება მხოლოდ C ჯგუფის რესურსებზე. s – კონფიდენციალურობის ხარისხის მქონე ერთეული ინფორმაციის დამუშავების ღირებულებაა - $l_1$, $l_2$ და $l_3$.

რესურსების მასშტაბურობა, რომელიც მოეთხოვება s –კონფიდენციალურობის ხარისხის ინფორმაციების დამუშავებას, ხორციელდება I - განაცხადების დახმარებით. განაცხადების ნაკადი შეადგენს არა ნაკლებ: $l_1$, $l_2$ და $l_3$ პირობით ერთეულს.

ვთქვათ Y - ტიპის საფრთხეების საერთო სტატისტიკიდან გამომდინარე ცნობილია Pi - საფრთხის რეალიზების ალბათობა რესურსების თითოეული $P_A$, $P_B$ და $P_C$ ტიპისათვის. საფრთხის რეალიზება Pi - დამოკიდებულია რესურსის დაცულობის დონეზე, მაგრამ არ არის დამოკიდებული რესურსზე დასამუშავებელი ინფორმაციის s – კონფიდენციალურობის ხარისხზე.

შევადგინოთ რისკების მატრიცა:

$$\begin{bmatrix} r_{11} & \cdots & r_{13} \\ \vdots & \ddots & \vdots \\ r_{31} & \cdots & r_{33} \end{bmatrix}$$

ვთქვათ Pi - ალბათობის მნიშვნელობა და $C_s^y$ - ზარალის დონის მაჩვენებელი განსხვავებული ტიპის ჯგუფის რესურსების და დასაცავი ინფორმაციების კონფიდენციალურობის ხარისხისა შეადგენს შესაბამისად $P_A$, $P_B$, $P_C$ და $C_1^y$, $C_2^y$, $C_3^y$ მნიშვნელობებს. მაშინ რისკების მატრიცის ელემენტებს $r_{is}$ - ექნებათ პირველ ცხრილში წარმოდგენილი მნიშვნელობები.

| | $l_1$ ღია ინფორმაცია | $l_2$ კონფიდენციალური ინფორმაცია | $l_3$ კრიტიკულად მნიშვნელოვანი ინფორმაცია |
|---|---|---|---|
| I ჯგუფი - A დონის რესურსები | $r_{11}$ | $r_{12}$ | $r_{13}$ |
| II ჯგუფი - B დონის რესურსები | $r_{21}$ | $r_{22}$ | $r_{23}$ |
| III ჯგუფი - C დონის რესურსები | $r_{31}$ | $r_{32}$ | $r_{33}$ |

ცხრილი 1. ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების მატრიცა.

გამოვიანგარიშოთ I - განაცხადების მოცულობების რაოდენობა. წრფივი მეთოდების თავისებურების გათვალისწინებით დავსვათ ინფორმაციული რისკების შეფასების ამოცანა. პირველი ჯგუფის რესურსებზე შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ $I_1$ კატეგორიის ინფორმაცია, მეორე ჯგუფის რესურსებზე მუშავდება $I_1$ და $I_2$ კატეგორიის ინფორმაცია $I_1 + I_2$ და მესამე ჯგუფის რესურსებზე შესაძლებელია დავამუშაოთ მხოლოდ $I_3$ კატეგორიის განაცხადება. განაცხადების საერთო რაოდენობა $I = I_1 + I_2 + I_3$.

რისკების მატრიცის და $S \leq K$ შეზღუდვის საფუძველზე მიზნის ფუნქციას ექნება შემდეგი სახე:

$$X_1r_{11} + X_2r_{21} + X_2r_{22} + X_3r_{31} + X_3r_{32} + X_3r_{33} \rightarrow \min$$

ამასთან ერთად შეზღუდვების სისტემამ უნდა უზრუნველყოს შემდეგი პირობების შესრულება:

1. მოთხოვნების ყველა ნაკადის მომსახურეობის უზრუნველყოფა

$$\sum_{i=1,3} X_i I_i \geq I,$$

ღრუბლოვანი სერვისების მომხმარებლებისაგან მიღებული ყველა მოთხოვნა კონფიდენციალური ინფორმაციების დამუშავებასა და შენახვასთან დაკავშირებით უნდა განხორციელდეს Service LevelAgreement (SLA) – „მომსახურების დონის შეთანხმების“ თანახმად.

2. ღრუბლოვანი სერვისი უნდა იყოს ეკონომიკურად რენტაბელური.

$$\sum_{i=1,3} \sum_{j=1,3} X_i \, l_j > \sum_{i=1,3} X_i \, C_i^s$$

3. მაჩვენებლების მთელრიცხვიანობა და არაუარყოფითობა.

ამოცანის სიმპლექს მეთოდით ამოხსნა გვაძლევს სასურველ შედეგს.

ღრუბლოვანი გამოთვლებში რესურსებზე შეთანხების რაციონალურად განაწილებისათვის შეგვიძლია გამოვიყენოთ დინამიური პროგრამირება.

ვთქვათ გვაქვს სახსრების y რაოდენობა, რომელიც ოპტიმალურად უნდა გადავანაწილოთ სამი განსხვავებული დაცულობის ხარისხის მქონე რესურსზე. ანალიტიკურად, გრაფიკულად ან ცხრილების სახით უნდა გვქონდეს მოცემული მოგების ფუნქცია $g_1(y)$, $g_2(y)$, $g_3(y)$ - რესურსებში ჩადებული კაპიტალების მიხედვით. ვთქვათ ეს მონაცემები მოცემული გვაქვს ცხრილი 2 -ის სახით.

ისე ოპტიმალურად უნდა გადავანაწილოთ სახსრები, რომ ჯამური მოგება იყოს მაქსიმალური

$$I(y) = \sum_{k=1}^{3} gk(uk)$$

$$\sum_{k=1}^{3} uk = y$$

| რესურსებში დაბანდებული სახსრების y რაოდენობა მილიონი (ლარი) | მოგებები რესურსების მიხედვით | | |
|---|---|---|---|
| | $g_1(y)$ | $g_2(y)$ | $g_3(y)$ |
| 0 | 0 | 0 | 0 |
| 1 | 0.20 | 0.15 | 0.10 |
| 2 | 0.25 | 0.30 | 0.30 |
| 3 | 0.40 | 0.45 | 0.55 |
| 4 | 0.60 | 0.55 | 0.70 |

ცხრილი 2. მოგების ფუნქცია რესურსებში ჩადებული სახსრების მიხედვით

აღვნიშნოთ ოპტიმალური მოგება y - ჯამური კაპიტალდაბანდებისა ერთი ტიპის რესურსებში $Z_1(y) = S_1(y)$, ორი ტიპის რესურსებში $Z_{12}(y) = S_2(y)$, სამი ტიპის რესურსებში $Z_{123}(y) = S_3(y)$. ეს არის ბელმანის ფუნქცია განსხვავებული ეტაპებისათვის.

პირობითად ვანხორციელებთ პირველ ეტაპს, ეგრეთწოდებულ ნულოვან ეტაპს, როდესაც მთელი სახსრების ჩადება ხდება ერთ რომელიმე რესურსში, მაგალითად პირველში. მეორე ეტაპზე ვირჩევთ ოპტიმალურ განაწილებას ორ ნებისმიერ რესურსს შორის, მაგალითად პირველსა და მეორეს შორის, ამასთანავე ოპტიმალური შერჩევა პირველ ეტაპზე ბელმანის ფუნქციონალური განტოლების თანახმად გამოყენებული იქნე-ბა შემდეგ ეტაპებზე, ასე რომ ოპტიმალური შერჩევა მეორე ეტაპზე უნდა გავაკეთოთ y - საწყისი კაპიტალის განსხვავებული მნიშვნელობებისათვის. მეორე ეტაპის დასრულების შედეგად ვადგენთ პირველ და მეორე ტიპის რესურსებს შორის კაპიტალის ოპტიმალური განაწილების ცხრილს (№ 3).

| რესურსებში დაბანდებული სახსრების y რაოდენობა (ლარი) | $g_1(y)$ | $g_2(y)$ | $Z_{12}(y)$ | პირველ და მეორე ტიპის რესურსებში სახსრების ოპტიმალური განაწილება |
|---|---|---|---|---|
| 0 | 0 | 0 | 0 | (0,0) |
| 1 | 0.20 | 0.15 | 0.20 | (1,0) |
| 2 | 0.25 | 0.30 | 0.35 | (1,1) |
| 3 | 0.40 | 0.45 | 0.50 | (1,2) |
| 4 | 0.60 | 0.55 | 0.65 | (1,3) |

ცხრილი 3. პირველ და მეორე ტიპის რესურსებში სახსრების ოპტიმალური განაწილება

ცხრილი 2-ის შედგენის შემდეგ გადავდივართ მესამე ეტაპზე და განვსაზღვრავთ სახსრების ოპტიმალურ განაწილებას პირველი, მეორე და მესამე ტიპის რესურსებისათვის, პირველი და მეორე ეტაპის შედეგების გათვალისწინებით. შესაბამისად ვადგენთ საწყისი კაპიტალის განსხვავებული მნიშვნელობებისათვის ოპტიმალური განაწილების მე-4 ცხრილს.
რესურსებში დაბანდებული სახსრების y რაოდენობა (ლარი)

| რესურსებში დაბანდებული სახსრების y რაოდენობა (ლარი) | $Z_{12}(y)$ | $g_3(y)$ | $Z_{123}(y)$ | რესურსებში სახსრების ოპტიმალური განაწილება | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | 1,2 | 1,2,3 |
| 0 | 0 | 0 | 0 | (0,0) | (0,0,0) |
| 1 | 0.20 | 0.10 | 0.20 | (1,0) | (1,0,0) |
| 2 | 0.35 | 0.30 | 0.35 | (1,1) | (1,1,0) |
| 3 | 0.50 | 0.55 | 0.55 | (1,2) | (0,0,3) |
| 4 | 0.65 | 0.70 | 0.75 | (1,3) | (1,0,3) |

ცხრილი 4. რესურსებში სახსრების ოპტიმალური განაწილება

ცხრილების შესადგენად ვიყენებთ შემდეგ ფორმულებს:

$$S_0(y) = g_1(y)\ ;$$

$$Z_{1\,2}(y) = S_2(y) = \max_{0 \le u_2 \le y} [\ g_2\ (y-u_2) + g_1(u_2)\ ]\ ;$$

$$Z_{1\,2\,3}(y) = S_3(y) = \max_{0 \le u_3 \le y} [\ g_3\ (y-u_3) + Z_{1\,2}\ (u_3)\ ]\ ;$$

ყველა ეს ფორმულა არის ბელმანის ფუნქციონალური განტოლება, რომელიც ზოგადად k - რესურსისათვის ჩაიწერება შემდეგნაირად:

$$S_k(y) = \max_{0 \le U_K \le y} [\ g_k\ (y-u_k) + S_{k-1}(u_k)\ ]\ ;$$

ოპტიმალური პოლიტიკის განსაზღვრისათვის ყველა ეტაპზე გვიწევს კომბინირება მნიშვნელობების მესამე სვეტიდან მეორე სვეტის მნიშვნელობებისადმი და განვსაზღვრავთ მაქსიმალურ ჯამს თითოეულ ცხრილში.

მესამე ეტაპზე ოპტიმალური პოლიტიკის განსაზღვრისათვის როცა ჩადებული თანხა y = 3, პირდაპირი გადარჩევის დროს მოგვიწევს შევადაროთ შემდეგი შვიდი პოლიტიკა: (3,0,0), (2,1,0), (1,1,1), (0,2,1), (0,1,2), (0,0,3), (0,1,2). თუმცა ეს გადარჩევა შეგვიძლია შევამციროთ გამოვიყენებთ რა 3 თანაფარდობას, აქედან გამომდინარე საკმარისი იქნება ორი ფუნქციის $S_2$ და $g_3$ - ის გამოთვლა $u_3$ - ის ოთხი მნიშვნელობისათვის.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. კამკამიძე კ., ვაჩიბერიძე გ., კამკამიძე ე., გვარამია ე., მოდელირების საფუძვლები, თბ., 2009.
2. მგს 27005:2011 ინფორმაციული უსაფრთხოების საშუალებები, რისკების მართვა, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, თბ., 2011.
3. Джордж Риз, Облачные вычисления, БХВ-Петербург, 2011.
4. Зикратов И.А., Одегов С.В., Смирных А.В., „Оценка рисков информационной безопасности в облачных сервисах на основе линейного программирования“, Научно-технический вестник информационных технологий, 2013, № 1 (83).
5. Кузин Л.Т., Основы Кибернетики Энергия, М., 1972.
6. Jansen W., Grance T. Guidelines on Security and Privacy in Public Cloud Computing. Draft NIST SpecialPublication 800-144. – Gaithersburg, 2011.
7. Igor Fainberg, Hui-Lan. Dor Skuler “Cloud Computing Business Trends and Technologies”. Publ. WILEY, 2016.


**გიორგი ნაჭყეპია**

**ღრუბლოვან გამოთვლებში ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების შემცირება და რესურსების რაციონალური განაწილება**

**რეზიუმე**

სტატიაში მოცემულია სხვადასხვა კონფიდენციალურობის ხარისხის დაცულობის მქონე ინფორმაციის დასამუშავებელი გამოთვლითი რესურსების ეფექტურად განაწილების მოდელი მათემატიკური პროგრამირების გამოყენებით. აღნიშნულია, რომ

წრფივი პროგრამირების საშუალებით ვადგენთ მიზნის ფუნქციას და შემოგვაქვს შეზღუდვები, რათა მოვახდინოთ რისკების შემცირება.

დინამიური პროგრამირების გამოყენებით მოცემულია ღრუბლოვან გამოთვლებში მოგების გაზრდის უზრუნველსაყოფად სხვადასხვა დაცულობის ხარისხის მქონე რესურსებში ფინანსური სახსრების რაციონალურად განაწილების მოდელი.

**George Nachkepia**

**Reducing information security risks and rational distribution of resources in cloud computations**

**Summary**

Using mathematical programming the article describes efficient distribution modeling standards of computational resources of various confidentiality. By linear programming we Identify the purpose of the goal and set restrictions to reduce the risks.

Using the dynamic programming, to ensure profit growth in cloud computation, is given the rational distribution model of financial resources of various security quality.

**Гиорги Начкепия**

**Снижение рисков информационной безопасности облачных расчётов и рациональное распределение ресурсов**

**Резюме**

В статье рассмотрена модель эффективного распределения информационных рессурсов, перерабатывающих информацию разной степени конфеденциальной защиты, используя математическое программирование. Отмечено, что с помощъю линейного программирования установлена функция цели и внесены ограничения для уменьшения рисков.

С помощъю динамического программирования установлена модель рационального распределения финансовых ресурсов имеющих разные степени защиты при обеспечении повышенного выигрыша в облачных расчетах.

# იურიდიული მეცნიერებანი

**ნათელა მაისურაძე**
**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი**

## საჯარო-სამართლებრივი მართვის მეთოდები

საჯარო-სამართლებრივი მართვისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამართლებრივ მეთოდებს. როგორც ცნობილია, მეთოდი არის ადამიანთა ცნობიერებასა და მოქმედებაზე, ორგანიზაციებზე, დაწესებულებებსა და საწარმოებზე სამართლებრივი ზემოქმედების ხერხებისა და საშუალებების ერთობა. ეს საშუალებები ემსახურება იმ მიზნის მიღწევას, რაც დაფიქსირებულია სამართლებრივ აქტებში და გათვლილია სასურველი მიზნის მისაღწევად.

მეთოდები უნდა გამოვიყენოთ ერთმანეთისაგან არა იზოლირებულად, არამედ კომპლექსურად, რათა მივაღწიოთ ეფექტურ შედეგებს სამართლებრივ ზემოქმედებაში. აქ კიდევ ერთხელ უნდა მივმართოთ ჩემს მიერ შემოთავაზებულ ახალ მეთოდს - თავისუფლად ვარირებად ინტეგრალურ მეთოდს, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ უკვე არსებულ, არამედ სრულიად მოულოდნელ და ერთი შეხედვით ალოგიკურ კავშირებსა და მიმართებებს. ასეთი კავშირები შეიძლება იყოს სამართლისა და რელიგიის, სამართლისა და ხელოვნების, სამართლისა და ტექნიკური დარგების და ა.შ. და ა.შ. დაუსრულებლად, რომ აღარაფერი ვთქვათ ისეთ მიმართებებსა და კავშირებე, როგორიც არის ფილოსოფია, ფსიქოლოგია, სოციოლოგია, ლოგიკა, ეკონომიკა, პოლიტიკა და სხვ. ამასთან, მათი გამოყენება უნდა ხდებოდეს არა ეპიზოდურად, არამედ სისტემატურად, მუდმივად და მიზანმიმართულად. პარლამენტიც ხომ ის უმაღლესი წარმომადგენლობითი და საკანონმდებლო ორგანოა, რომელიც სახელმწიფო პოლიტიკას ატარებს სამართლებრივი ნორმების მეშვეობით ცხოვრების ყველა სფეროში და ამით ერთმანეთთან აკავშირებს მათ, ქმნის რა ერთიან პოლიტიკურ-სამართლებრივ საფუძველს მთელი საზოგადოებისათვის.

სამართლებრივი რეგულირების მეთოდები იმდენად მრავალფეროვანია, რამდენადაც მრავალფეროვანია სამართლებრივი რეგულირების ადამიანური სფერო. ეს უკანასკნელი კი მოიცავს თითქმის მთელ ადამიანურ მოღვაწეობას. ზოგადად მათი სამართლებრივი დაყოფა შეიძლება ორ ჯგუფად: საჯარო და კერძო სამართლად. თითოეულ მათგანს ახასიათებს რეგულირების, როგორც საერთო, ასევე განმასხვავებელი ნიშნები. ამის მიხედვით, იურიდიულ ლიტერატურაში გამოიყოფა მართვის დისპოზიციური მეთოდი, მისთვის დამახასიათებელი დეცენტრალიზაციით, მხარეთა ნებითა და კოორდინაციით და იმპერატიული მეთოდი – სამართალურთიერთობის ცენტრალიზებულობით, მბრძანებლურობითა და მკაცრი სუბორდინაციით. ადამიანის მრავალფეროვანი და მრავალმხრივი არსიდან გამომდინარე, რთულია ზოგადი დასკვნის გაკეთება, როგორც პოზიტიური მეთოდის შესახებ, რომელიც კერძო სამართლის დარგებისათვისაა სპეციფიკური და ასევე იმპერატიული სამართლის მეთოდებზე, რომლებიც საჯარო სამართლისათვისაა დამახასიათებელი.

აღნიშნული მეთოდების არსებობა, ისევე, როგორც საჯარო და კერძო სამართლის მოქმედება სრულიად ასახავს ადამიანის შინაგან მრავალფეროვნებასა და მოთხოვნათა აუცილებლობას. მაგრამ ადამიანი - ეს არის არა მხოლოდ შემსრულებელი არსება, რომელიც მისი თეორიულ-პრაქტიკული და სულიერი შესაძლებლობების კონკრეტულ უნარს ასახავს, არამედ გამოირჩევა თავისი მომთხოვნელობითაც, რაც მის იმპერატიულ-მბრძანებლური ბუნების ამსახველია. ამიტომ, ალბათ მისაღები იქნება რეგულირების

ისეთი მეთოდების არსებობის აღიარება, როგორიცაა: საშემსრულებლო მეთოდები და მომთხოვნელობის მეთოდები(1,42). ეს მეთოდები მოქმედებისადმი მიდგომის ხასიათით სრულიად განსხვავდება დისპოზიციური და იმპერატიული მეთოდებისაგან. საშემსრულებლო მეთოდი, ითვალისწინებს რა მოთხოვნას(იქნება ეს საკუთარი მოთხოვნა, საზოგადოების, სახელმწიფოებრივი, სახელშეკრულებო თუ საყოველდღეო-აუცილებელი), მოიცავს, გარდა ნების არსებობის აუცილებლობას, ასევე რაც ძალზე მნიშვნელოვანია შესრულების ხარისხისათვის, შემსრულებლის სხვადასხვა უნარს - ნიჭს, შემოქმედებით აქტიურობას, საკუთარი პიროვნულისა და ე.ი. განუმეორებლის განხორციელებას ამ შესრულებაში. ყოველივე ამის გათვალისწინებით, საშემსრულებლო მეთოდი მოიცავს სხვადასხვა ქვემეთოდს იმის მიხედვით, თუ რომელ სფეროშია შესრულება განსახორციელებელი. ამდენად არსებობს: სახელმწიფოებრივი, სამართლებრივი, ეკონომიკური, მეცნიერული, სახელოვნებო და ა.შ. საშემსრულებლო მეთოდები, ვინაიდან ადამიანური მოღვაწეობის ყველა სფეროს მაღალი ხარისხის შესასრულებლად ესაჭიროება ასე ვთქვათ, „შესრულება მთელი გულით" და არა მხოლოდ მხარეთა ნებითა და კოორდინაციით. მხოლოდ ნება, კოორდინაცია და პასუხისმგებლობის სხვადასხვა საშუალებები ვერ იძლევა სათანადო ეფექტს და იმას, რასაც ჭეშმარიტი შედეგები ეწოდება.

რაც შეეხება მომთხოვნელობის მეთოდს, აქაც საქმე გვაქვს არა მხოლოდ ცალმხრივი ცენტრალიზებულობით, მბრძანებლურობითა და მკაცრი სუბორდინაციით მოთხოვნასთან, არამედ საქმისა და ადამიანის სიყვარულთან, გაგებასთან, მის გვერდით დგომასთან, დახმარებასთან, მეგობრობასთან და იმ ტვირთის ზიდვაში მოხმარებასთან, რასაც შესრულების სიმძიმე და სირთულე ითვალისწინებს. ამგვარი მომთხოვნელობა პრინციპულად განსხვავდება იმპერატიული მეთოდისაგან და შედეგად აყალიბებს, ერთი მხრივ, ჭეშმარიტად ადამიანურ - სიცოცხლისმოყვარე საზოგადოებას, რომელიც შორსაა შურის, დაუნდობლობისა და ერთმანეთის ჩაძირვის მცდელობისაგან. ასეთი საზოგადოება და ცალკეული პიროვნებები ადამიანთმოყვარენი და, მაშასადამე, ფსიქოლოგიურად თავისუფლები და ბედნიერები არიან. ისინი, მიუხედავად ასაკობრივი განსხვავებისა, ერთმანეთის მეგობრებად რჩებიან, ანუ თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას დაუნანებლად გადასცემენ ახალგაზრდებს და არ აფიქრებთ ის, რომ ამით დაკარგავენ საზოგადოებისათვის საჭირო - პიროვნების სოციალურ სტატუსს. ასეთი ადამიანები ღრმა მოხუცებულობის პერიოდშიც კი სულიერად ახალგაზრდებად რჩებიან, რადგან კვლავ ქმნიან საინტერესო იდეებს.

მეორე მხრივ კი, ასეთი მომთხოვნელობის შედეგია: მაღალი პროფესიონალიზმი, ეფექტური ეკონომიკური მოგება(ვინაიდან საკაცობრიო ისტორია ნათლად ცხადყოფს, რომ თავისუფალი ეკონომიკური ურთიერთობები გაცილებით მეტი ეფექტურობითა და მოგებით გამოირჩევა, ვიდრე მკაცრი ცენტრალიზებულობით, მბრძანებლურობითა და მკაცრი სუბორდინაციით. ამის საუკეთესო მაგალითია საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციების ცვლით მიღებული ეკონომიკური პროგრესი და თავისუფალი ეკონომიკური ზონების არსებობა), ჭეშმარიტი სამართლიანობის შეგნება და მაშასადამე, სამართლიანი კანონები და სამართლებრივი სახელმწიფო თავისი ადამიანთმოყვარე საშინაო და საგარეო პოლიტიკით.

მომთხოვნელობის ჩემს მიერ შემოთავაზებული მოდელი შორს არის საზოგადოების მდიდრებად და ღარიბებად დაყოფისაგან და მისგან გამომდინარე ადამიანის სულიერად დაცარიელების სავალალო შედეგებისაგან, რითაც მდიდარი ადამიანები ურთიერთობებში შედიან მხოლოდ მდიდრებთან, განათლებულები მხოლოდ განათლებულებთან, მხოლოდ ერთნაირი სოციალური თუ პოლიტიკური შეხედულებების ადამიანებთან, მხოლოდ ერთი ეროვნებისა თუ რასობრივი და რელიგიური მრწამსის მქონე პიროვნებებთან და ა.შ. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ეს ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლებრივ მოთხოვნებს, კონსტიტუციას, ეთიკისა და მორალის ნორმებს და რაც მთავარია, რელიგიურ მოთხოვნებს - გიყვარდეს მტერი შენი, ვითარცა მოყვასი შენი, რომ ღმერთს ყველა ერთნაირად უყვარს და რომ მზეც ყველას ერთნაირად ანათებს და ა.შ.

სუბორდინაციის დაცვა მეთოდოლოგიაში არ უნდა ნიშნავდეს მხოლოდ ერთის მეორისადმი დაქვემდებარებას. არც ცენტრალიზმი ან დეცენტრალიზმი არ განაპირობებს ადამიანთა შორის ურთიერთობების დათბობას. ხშირად მკაცრი მბრძანებლურობა ადამიანის სიყვარულითა და მის დასახმარებლად და, გადასარჩენადაც კი არის აუცილებელი. ამიტომ, მთავარია არა ერთის მეორისადმი დაქვემდებარება, ცენტრალიზმი ან დეცენტრალიხმი, მბრძანებლურობა ან დათმობა(რამაც, შეიძლება არანაკლები ზიანი მოგვიტანოს), არამედ ადამიანთმოყვარეობა, სიცოცხლის სიყვარული, ერთმანეთის ნდობა და ხელშეწყობა. მხოლოდ ასეთი შინაარსითა და ფორმით გაჯერებული მეთოდები და მიდგომა განაპირობებს თეორიაშიც, მეცნიერებაშიცა და პრაქტიკაშიც არსებულ პროგრესულ შედეგებს.

როგორც იურიდიულ ლიტერატურაში მიუთითებენ, ბუნებრივია, დისპოზიციური და იმპერატიული მეთოდები განისაზღვრება, როგორც ობიექტური ფაქტორებით, რეგულირების ობიექტებით(მაგალითად, სახელმწიფო ორგანოებს შორის სახელისუფლებო დამოკიდებულება, პარტნიორებს შორის დამოკიდებულება), ასევე სამართლის სუბიექტებისათვის სპეციფიკური სამართლით, რომლებიც მოქმედებს ამა თუ იმ სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ სფეროში. მაგალითად, ხელისუფლების ნებისმიერი ორგანოს (მაგალითად სამინისტროს) მოღვაწეობა ყოველთვის გამოარჩევს ამ სუბიექტებს სახელისუფლებო უფლებამოსილებისა და შესასრულებლად აუცილებელი აქტების მიღების შესაძლებლობების მიხედვით. ამავე დროს ნებისმიერი წარმოება მიუხედავად მისი საკუთრების ფორმისა, შედის მხოლოდ სამართლებრივ პარტნიორულ ურთიერთობაში, რომელიც მოცილებულია რომელიმე იერარქიულ უპირატესობას(3,47). მაგრამ, მიუხედავად განსხვავებისა, რომელიც არსებობს სახელისუფლებო ორგანოების მუშაკთა სამართლებრივ უფლებამოსილებებსა და საზოგადოების სხვა სფეროების წარმომადგენელთა შორის, შემსრულებლობისა და მომთხოვნელობების ჩემეული ინტერპრეტაციის მიხედვით, სრულიად განსხვავებულ ხასიათს ატარებს. იგი ათავისუფლებს სახელისუფლებო ორგანოების მუშაკებს სუბორდინაციული ზეწოლით გამოწვეული მორჩილებისაგან, რაც იწვევს მათ მექანიკურ მანქანებად ჩამოყალიბებას, საკუთარი პიროვნული განუმეორებლობის დაკარგვასა და გაუცხოებას. ამის მიზეზია, რომ ადამიანები ინიშნებიან რა სახელისუფლებო თანამდებობებზე, კარგავენ საზოგადოებაში არსებული პრობლემების გაგების უნარს. ისინი ექცევიან საზოგადოებისაგან გამოყოფილი ყრუ კედლის მიღმა და მათი პრობლემებიც ამით იწყება: მმართველობაში დიდი ზარზეიმით არჩეული პოლიტიკური გუნდი კარგავს საზოგადოების ნდობას და გარკვეული პერიოდის შემდეგ საზოგადოებაში თავიდან იწყება მოთხოვნა მათი გადაყენების შესახებ.

რაც შეეხება სასამართლო ხელისუფლებას, იგი, ხდება რა პოლიტიკურ ხელისუფლებაზე დამოკიდებული, იმდენად შორდება რეალობას, რომ არა მარტო კარგავს მისთვის არსებით - სამართლიანობის მსახურების უნარს, არამედ ვალდებულებასაც - გაეცნოს მაინც მოსარჩელის მიმართვას(რომ აღარაფერი ვთქვათ მისი სამართლებრივი განხილვის ვალდებულებაზე) და ყოველგვარი განხილვის გარეშე მისი ტექნიკური აპარატის მეშვეობით გასცემს უპასუხისმგებლო გადაწყვეტილებებს. საკანონმდებლო ხელისუფლება კი, რომელიც კანონშემოქმედებით საქმიანობას უნდა ეწეოდეს, ან პოლიტიკური ხელისუფლების ადვოკატის როლს ასრულებს, ან სრულიად მექანიკურად იღებს კანონებს(რაც მეტწილად მთარგმნელობით ხასიათს ატარებს და საერთო არაფერი აქვს რეალობასთან), ან ე.წ. ლობისტების წყალობით ეს კანონები მათი საქმიანობისათვის, ბიზნესისათვის და ა.შ. არის მორგებული, ან ივიწყებს, რა საზოგადოებაში არსებულ სასიცოცხლო პრობლემებს (უმუშევრობას, ეკონომიკურ კრიზისს და ა.შ.), იხილავს ე.წ. „ყურით მოთრეულ“ არაფრისმომცემ საკითხებს.

იურიდიულ სამეცნიერო ლიტერატურაში განხილული თითოეული ძირითადი მეთოდი საშემსრულებლო და მომთხოვნელობის მეთოდებთან ერთად წარმოადგენს ერთგვარად ზოგადს და ასახულია სხვადასხვა უფრო კონკრეტული ხასიათის მეთოდებში. ისინი გაფანტულია სამართლებრივ საშუალებებსა და ზემოქმედების ხერხებს შორის, სადაც

ისინი იღებენ, როგორც წესი, იურიდიულ გამოხატულებას სამართლის ნაკრებში, მოვალეობებში, ურთიერთობებსა და პასუხისგებლობაში.

მეთოდები ერთმანეთთან დაკავშირებული, კომპლექსური საშუალებებია. წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ მივაღწევდით ეფექტური სამართლებრივი ზემოქმედების უზრუნველყოფას. ამასთან, მათი გამოყენება უნდა ხდებოდეს არა ეპიზოდურად, არამედ სისტემატურად, მუდმივად მიზანმიმართული მოქმედების პროცესში.

სამართლებრივი რეგულირების იმპერატიული მეთოდი არცთუ იშვიათად გამოიხატება რაიმე მოქმედების აკრძალვაში. ამკრძალავი ნორმები კონკრეტული და საერთო სახით გამოკვეთენ არასამათლებრივი მოქმედების ზონას. ზემოქმედების ასეთი ხერხი აუცილებლობით გამომდინარეობს ცხოვრებიდან, რათა უზრუნველვყოთ საჯარო, ანუ ადამიანთა, სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესები. აკრძალვები უკავშირდება სანქციებს, სამართლებრივ და არასამართლებრივ ძალდატანებას, რომელიც გათვლილია იურიდიული სტატუსების განსაზღვრაზე, მდგომარეობის აღდგენასა და დამნაშავეთა დასჯაზე.

საშემსრულებლო მეთოდები და მომთხოვნელობის მეთოდები(1,42) კი უკავშირდება როგორც სამართლებრივ რეგულირებას, ასევე პიროვნების კონკრეტულ-სუბიექტურ და ზოგადსუბიექტურ ფაქტორებს, მის შემოქმედებით უნარებს - მიიღოს ობიექტური ფაქტორების შესაბამისი გადაწყვეტილება და შეასრულოს ან მოითხოვოს შესრულება. ამდენად, საშემსრულებლო მეთოდები და მომთხოვნელობის მეთოდები შეიძლება დავახასიათოთ, როგორც ზოგადი მეთოდები, რომელთა რეალიზაცია კონკრეტულად სამართლებრივი რეგულირების სფეროში იმდენადვეა აქტუალური და აუცილებელი, როგორც ნებისმიერ სხვა მოქმედებებში.

საჯარო სამართალში უზრუნველყოფილია დარწმუნებისა და ძალდატანების მეთოდების (1,50) ერთიანობა. თუმცა, ამ მეთოდებს ადგილი აქვს არა მხოლოდ საჯარო სამართალში, არამედ ადამიანური მოღვაწეობის თითქმის ყველა სფეროში, თეორიასა თუ პრაქტიკაში და მათ შორის სამართლის თეორიაში, ადმინისტრაციულ სამართალსა და სამართლებრივი რეგულირების ყველა დარგში. ზოგად მეთოდებს შორის დარწმუნებისა და ძალდატანების მეთოდებიც უმნიშვნელოვანეს ადგილს იკავებენ.

დარწმუნების მეთოდი უდიდესი ძალის მქონე საშუალებაა. იგი ერთგვარი ხელოვნებაა თანამოსაუბრეთა დარწმუნების მიზნით. ამ დროს მოყვანილი არგუმენტების სიძლიერე და თანმიმდევრობის დაცვა გავლენას ახდენს მოსაუბრის დამაჯერებლობაზე. ამასთან, რაც უფრო ეფექტურია არგუმენტი და რაც უფრო ზომიერად იქნება იგი გამოყენებული, მით უფრო ეფექტური იქნება შედეგი. ამდენად, მხოლოდ არგუმენტის სიძლიერე და მისი გამოყენების ზომიერება ერთობლიობაში იძლევა სასურველ შედეგს. არგუმენტი, რაც არ უნდა ძლიერი იყოს, თუ მას მოსაბეზრებლად გავიმეორებთ, ეფექტი ნაკლები ან სულაც საპირისპირო გვექნება. სუსტი არგუმენტების გამოყენება სასურველი არ არის; მათ ზიანის მოტანა უფრო შეუძლიათ, ვიდრე სარგებლობის, მაგრამ, თუ ძლიერი არგუმენტი არ გვაქვს, მაშინ სუსტი არგუმენტის გამოყენებითაც კი, სათანადო ზომიერების დაცვის შემთხვევაში, შედეგი მაინც შესაძლებელია დადებითი იყოს. ამდენად, ჩემი აზრით, ზომიერების მეთოდი მართლაც უმნიშვნელოვანესია და ზოგად მეთოდოლოგიას შეიძლება მოვაკუთვნოთ.

დარწმუნების მეთოდი სამართლებრივ მეთოდებს შორის განსაკუთრებულ ადგილს იკავებს. მისი გამოყენება აუცილებელია პროცესუალური ქმედებების ყველა ეტაპზე (პირის დაკავებიდან განაჩენის გამოტანის ჩათვლით) და ყველა მონაწილე სუბიექტის მიმართ, მათ შორის პროცესზე დამსწრე საზოგადოების ჩათვლით. მხოლოდ დამარწმუნებელი არგუმენტებითა და მტკიცებულებებით არის შესაძლებელი ბრალის წაყენება, ბრალდების, დაცვის, მოწმის დაზარალებულსა თუ სამართალდამრღვევის მიმართ ნდობა ან უნდობლობა. დარწმუნებით ბრალდებულიც კი მშვიდად იღებს სასამართლოს განაჩენს, თუნდაც ეს განაჩენი საკმაოდ მკაცრი იყოს. თავის სიმართლეში დარწმუნებული ადამიანი ქვასავით მაგარი და ძლიერია, ხოლო შემსრულებელს ესმის,

თუ რას აკეთებს და რატომ. დარწმუნების მეთოდი ძლიერდება ლოგიკით, ემოციებით, ან, პირიქით, სულიერი სიმშვიდით.

რაც შეეხება ზომიერების მეთოდს, დარწმუნება მის გარეშე, როგორც აღვნიშნე, კარგავს თავის ძალას, ეფექტს, წონასა და ზემოქმედების სიძლიერეს. როგორც სამეცნიერო პუბლიკაციებში ვკითხულობთ: დარწმუნების გზით გავლენის მოხდენას ადამიანებზე უფრო მეტი ძალისხმევა სჭირდება, ვიდრე საჭიროა იძულების, ტრადიციებსა და ქარიზმაზე დამყარებული ძალაუფლების დროს, რადგან ადამიანების დარწმუნება არ არის ადვილი საქმე. დარწმუნების მეთოდის გავლენას აძლიერებს იმ პიროვნებისადმი ნდობა, ვინც თვითონ არის აღჭურვილი ცოდნით, გამოცდილებითა და ვინც თვითონ გამოირჩევა საზოგადოების ნდობით. ასეთი პიროვნებების ყოველი მოქმედება მისხალ-მისხალ იწონება საზოგადოების თვალით და რაც მეტია მათდამი ნდობის ქვორუმი, მით მეტია მათი პასუხისმგებლობაც და ამიტომ, მათგან რამდენიმე არასამართლიანი ქმედება სრულიად საკმარისი ხდება, რომ ეს ნდობა უკვალოდ გაქრეს. ამასთან, თუ ლიდერი სრულად ითავისებს საზოგადოების მოთხოვნებს და ასრულებს მათ, შემფასებელი და შემსრულებელი საზოგადოება ფეხდაფეხ უნდა მიჰყვებოდეს ლიდერის მოთხოვნებს, რათა მათ შორის სრული კოორდინაცია იყოს შესაძლებელი.

რაც შეეხება იძულების მეთოდს, იგი ხშირად სრულიად აუცილებელია, თუ ემსახურება ადამიანების წარმატებასა და შედეგების ეფექტურობას. ამასთან, იძულება უნდა უყოს პროგრესული და არა რეგრესული ხასიათის. თუმცა ამ შემთხვევაშიც კი იძულებისა და დარწმუნების მეთოდების თანხვედრა შეუძლებელია, ვინაიდან ეს ორი მეთოდი ერთმანეთს გამორიცხავს. იძულება იმ შემთხვევაში გვაძლევს ეფექტურ შედეგს, თუ ის მიმართულია დაანახოს შემსრულებელს თავისი შესაძლებლობების რეალური სიძლიერე, რომელშიც მას ეჭვი ეპარება. ამისათვის, მას უნდა ანდონ საქმის დამოუკიდებლად გაძღოლა და გადაწყვეტილებების მიღების თავისუფლება. ადამიანებმა უნდა იგრძნონ, რომ მათი საქმიანობა აუცილემლად საჭიროა, რომ მათი აზრი და შეფასება მნიშვნელოვანია და რომ მათ მიერ შესრულებული საქმიანობის შედეგები მათ სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობასაც რეალურად აუმჯობესებს, რომ ისინი მოღვაწეობენ არა მხოლოდ დამქირავებლის, არამედ ქვეყნისა და საკუთარი პრობლემების მოსაგვარებლადაც, ანუ რომ ეს ქვეყანა მათიც არის.

მართვის მეთოდები ითვალისწინებს ასევე პატივისცემის, ნდობისა და გულწრფელობის მეთოდებს (1,52), რომლებიც ხშირად უფრო მეტი ეფექტურობით გამოირჩევა, ვიდრე ძალდატანების მეთოდი. ეს მეთოდები ინდივიდის ყველაზე ღრმა ფენებში აღწევს და განაწყობს მას ასეთივე ნდობით, პატივისცემითა და გულწრფელობით მასზე მინდობილი საქმიანობისა და ადამიანების მიმართ. აღნიშნული მეთოდები ამართლებს როგორც სახელმწიფოს მმართველობაში, ასევე ნებისმიერ ურთიერთობებში და აადვილებს დასახული მიზნის მიღწევას.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. მაისურაძე ნ., სამართლებრივი მართვისა და რეგულირების მეთოდები., თბ., 2017.
2. სავანელი ბ. იურიდიული მეთოდები., თბ., 2008.
3. Тихомиров Ю.А. Публичное право. Учебник. М. 1995.

**ნათელა მაისურაძე**

**საჯარო-სამართლებრივი მართვის მეთოდები**

**რეზიუმე**

ნაშრომში განხილულია საჯარო-სამართლებრივი მართვის სამართლებრივი მეთოდები. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მეთოდს, როგორც ადამიანთა ცნობიერებასა და მოქმედებაზე, ორგანიზაციებზე, დაწესებულებებსა და საწარმოებზე სამართლებრივი ზემოქმედების ხერხებისა და საშუალებების ერთობას. ეს საშუალებები ემსახურება იმ მიზნის მიღწევას, რაც დაფიქსირებულია სამართლებრივ აქტებში და გათვლილია სასურველი მიზნის მისაღწევად.

ნაშრომში განხილულია საჯარო-სამართლებრივი მართვის ისეთი სამართლებრივი მეთოდები, როგორიცაა: საშემსრულებლო მეთოდები და მომთხოვნელობის მეთოდები, დარწმუნებისა და ძალდატანების, პატივისცემის, ნდობისა და გულწრფელობის მეთოდები.

**Natela Maisuradze**

**Methods of State and Legal Management**

**Summary**

The article considers public legal methods of legal management. Method has special significance, as a legal impact on human consciousness and actions, on the Organizations, institutions and enterprises, with the help of the unity of methods, techniques and principles. These funds serve the purpose, as specified in the legal acts and designed for desired goal.

The article deals with such state and legal management of legal methods as methods of implementation and requirements, methods of persuasion and coercion, as well as methods of respect, trust and methods of sincerity.

**Натела Майсурадзе**

**Методы государственно-правового управления**

**Резюме**

В статье рассматриваются публично-правовые методы правового управления. Метод имеет особое значение, как правового воздействия на человеческое сознание и действия на организации, учреждения и предприятия, с помощью единства способов, приемов и принципов. Эти средства служат цели, как это указано в правовых актах и предназначены для достижения желаемой цели.

В статье рассматривается такие государственно-правовое управление правовыми методами, как методы выполнения и требования, методы убеждения и принуждения, а также методы уважения, доверия и методы искренности.

კახა კობერიძე
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

## ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს საკანონმდებლო ცვლილებები

საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ ფუნქციონირება 2010 წლიდან დაიწყო. ამ ინსტიტუტის მიმართ, ყოველთვის არსებობდა არაერთგვაროვანი დამოკიდებულება და ეს დღესაც ასეა. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მომხრეთა უმთავრესი არგუმენტი მართლმსაჯულებაში საზოგადოების აქტიური მონაწილეობაა, რაც განამტკიცებს სასამართლოსადმი რწმენას და მაღალ ნდობას. მოწინააღმდეგენი მიიჩნევენ, რომ ასეთი მგრძნობიარე და უმნიშვნელოვანესი საკითხი არაპროფესიონალების მიერ არ უნდა განიხილებოდეს, მით უფრო, იმ ქვეყანაში, სადაც დანერგილ სამინსტანციიანი საერთო სასამართლოების სისტემაა. მუდმივი დავის საგანია, ასევე, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დაკომპლექტების წესი, მათ მიერ გამოტანილი ვერდიქტი და ა.შ.

2010 წლიდან განვლილმა პერიოდმა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს საქმიანობის არაერთი შუქჩრდილი გამოავლინა. ამ ინსტიტუტის ყოფნა-არყოფნის საკითხი არ დამდგარა, მაგრამ თვალნათელი იყო საკანონმდებლო ცვლილებების გზით მისი დახვეწისა და შემდგომი სრულყოფის აუცილებლობა.

კანონპროექტი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, მოამზადა საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ და განსახილველად წარუდგინა სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოს. მის განხილვაში მონაწილეობდნენ ცნობილი მეცნიერები და პრაქტიკოსები, საზოგადოების, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები და უცხოელი ექსპერტები.

კანონპროექტის ავტორთა აზრით, საკანონმდებლო ცვლილებები შემდეგში მდგომარეობდა:

- ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მეტ ტერიტორიულ ერთეულში შემოღება;
- ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პროცედურის შეცვლა, შერჩევის გონივრულ ვადაში დასრულება და შეუთავსებლობის კრიტერიუმების ხელახლა განსაზღვრა;
- ნაფიც მსაჯულთა მიუკერძოებლობისა და უსაფრთხოებისათვის დამატებითი გარანტიების შექმნა;
- დაუსაბუთებელი აცილების ბოროტად გამოყენების პრაქტიკის აღმოფხვრისა და პროცესის სწორი ორგანიზაციის მიზნით ნაფიც მსაჯულთა აცილებისა და მათ მიერ კენჭისყრის ჩატარების წესების შეცვლა;
- სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთებულობის უზრუნველსაყოფად, ვერდიქტის ფორმისა და პასუხგასაცემი კითხვების განსაზღვრა, ასევე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენის გასაჩივრებასთან დაკავშირებული საკითხების დახვეწა.

საგულისხმოა, რომ ამ კანონპროექტის თავდაპირველი ვერსია გარკვეულ ხარვეზებს შეიცავდა და არასამთავრობო სექტორისა და ექსპერტების ნაწილის კრიტიკას იწვევდა, თუმცა ფართო კონსენსუსის პირობებში, შენიშვნათა დიდი ნაწილი აისახა კანონის საბოლოო რედაქციაში და მივიღეთ უმნიშვნელოვანესი საკანონმდებლო ცვლილებები, რითაც არსებითადაა გაუმჯობესებული ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს საქმიანობის ძირითადი ასპექტები.

დადგინდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მეტი ტერიტორიული განსჯადობა, სსს კოდექსს დაემატა 21'-ე მუხლი, რომლის თანახმადაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოები იქმნება თბილისის, ქუთაისის, ბათუმისა და რუსთავის საქალაქო სასამართლოებსა და ზუგდიდის, თელავისა და გორის რაიონულ სასამართლოებში და მათი სამოქმედო ტერიტორიები განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით.

გაიზარდა ნაფიცი მსაჯულისა და მსაჯულობის კანდიდატის სოციალური გარანტიები, მათ უფლება აქვთ სახელმწიფოსაგან დროულად აინაზღაურონ ყველა ხარჯი, რომლებიც პირდაპირაა დაკავშირებული მათ მიერ საკუთარი მოვალეობის შესრულებასთან. დღიური, სამგზავრო და სხვა პირდაპირი ხარჯების ანაზღაურების ოდენობას განსაზღვრავს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, ხოლო სასამართლო, ნაფიცი მსაჯულების თანხმობით, უზრუნველყოფს მათ გადაყვანას საგანგებოდ გამოყოფილი ტრანსპორტით საცხოვრებელი ან დროებითი განთავსების ადგილიდან შესაბამის სასამართლომდე და უკან.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცვლილება ეხება ნაფიც მსაჯულთა შეუთავსებლობას. სსს კოდექსის 30-ე მუხლის ადრე მოქმედი რედაქციით, პირი ვერ მიიღებდა მონაწილეობას სისხლის სამართლის პროცესში ნაფიც მსაჯულად, თუ იგი:

1. სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირია;
2. პოლიციელია;
3. გამომძიებელია;
4. ირიცხება საქართველოს შეიარაღებულ ძალებში;
5. სასულიერო პირია;
6. აღნიშნულ საქმეში სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეა;
7. ბრალდებულია;
8. ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით მოხმარებისათვის ადმინისტრა-ციულსახდელდადებული პირია;
9. მისი მონაწილეობა ნაფიც მსაჯულად აღნიშნულ საქმეში უსამართლო იქნებოდა ამ პირის მიერ გამოხატული მოსაზრების ან პირადი გამოცდილების საფუძველზე;
10. ფსიქოლოგია;
11. ფსიქიატრია;
12. იურისტია;

ცვლილებების შედეგად, სსს კოდექსის 30-ე მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „პირი ნაფიც მსაჯულად ვერ მიიღებს სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობას, თუ არსებობს ამ კოდექსით დადგენილი ნაფიცი მსაჯულის აცილების რომელიმე საფუძველი ან/და იგი არის:

1. პროკურორი;
2. გამომძიებელი;
3. პოლიციელი;
4. ადვოკატი;
5. მოქმედი სამხედრო მოსამსახურე;
6. სასულიერო პირი;
7. აღნიშნულ საქმეში სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე;
8. ბრალდებული;
9. პირი, რომელსაც ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით მოხმარებისათვის ადმინისტრაციული სახდელი დაედო და ამ ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთ წელზე ნაკლებია გასული;
10. ნასამართლები;

როგორც ვხედავთ, შეუთავსებელ პროფესიათა სიიდან ამოღებულია იურისტი, ფსიქოლოგი და ფსიქიატრი, თუმცა დაემატა პროკურორი და ადვოკატი, ანუ ის იურიდიული პროფილის სპეციალობები, რომლებიც პირდაპირ შეიძლება დაკავშირებული იყოს სისხლის სამართლის პროცესთან, რაც ლოგიკური და გამართლებულია. არასწორი იყო, როდესაც ეკონომიკის, ბიზნესის ან სხვა სფეროში მოღვაწე იურისტს აკრძალული ჰქონდა ნაფიცი მსაჯულობა. რაც შეეხება შეუთავსებელ პროფესიათა სიიდან ფსიქოლოგისა და ფსიქიატრის ამოღებას, ამ თემაზე აზრთა სხვადასხვაობაა. მომხრენი მიიჩნევენ, რომ ფსიქიატრისა და ფსიქოლოგისათვის დაწესებული შეზღუდვა ატარებდა დისკრიმინაციულ ხასიათს და ამ პროფესიათა სპეციფიკიდან გამომდინარე, სწორედ ისინი შეიძლება გამოირჩეოდნენ ნაფიცი მსაჯულისათვის აუცილებელი უნარებით.

მოწინააღმდეგენი კი სწორედ პროფესიულ უნარებს მიიჩნევენ ფსიქიატრისა და ფსიქოლოგისათვის დამაბრკოლებელ გარემოებად.

ჩვენი აზრით, დღეს მოქმედი რედაქცია სწორია, მით უმეტეს, ნაფიც მსაჯულთა შერჩევისას ხშირად წარმოშობილი რაოდენობრივი პრობლემების გათვალისწინებითაც.

მისასალმებელია ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით მოხმარებისათვის ადმინისტრაციულსახდელდადებული პირებისათვის შეზღუდვის ერთწლიანი ვადის შემოღება, რადგან ეს არის საკმაოდ გონივრული ვადა, რომლის გასვლის შემდეგ პირის ნაფიც მსაჯულად მონაწილეობა აღარ შექმნის სამართლებრივ თუ ზნეობრივ პრობლემებს. ასევე, სწორია ნასამართლევი პირების მიმართ შეუთავსებლობის დაწესება, რაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსადმი ნდობის ამაღლების ერთ-ერთი წინაპირობაა.

საინტერესოა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ნაფიც მსაჯულთა შერჩევის კრიტერიუმები. გერმანიაში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ჯერ კიდევ 1924 წელს გააუქმეს, რადგან მიიჩნიეს, რომ ნაფიც მსაჯულთა მიერ გამოტანილი ვერდიქტი საზოგადოებაში არ აღიქმებოდა დასაბუთებულ გადაწყვეტილებად. გერმანული სამართლებრივი სისტემა იძლევა საშუალებას პროფესიონალ მოსამართლეებთან ერთად საქმის განხილვაში მიიღონ მოსახლეობის წარმომადგენლებმაც - ე.წ. „შეფენებმა“. ამ შერეული ტიპის სასამართლოში მონაწილეობა ეკრძალებათ მთავრობის წევრებს, სასამართლოსა და პროკურატურის თანამშრომლებს, ნოტარიუსებს, ადვოკატებს, სასულიერო პირებს.

საფრანგეთში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო გააუქმეს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ და საქმის განხილვაში საზოგადოების წარმომადგენელთა უზრუნველსაყოფად შექმნეს ე.წ. „ასიზების სასამართლო“, სადაც ცხრა ნაფიცი მსაჯული საქმეს განიხილავს სამ პროფესიონალ მოსამართლესთან ერთად. მათი განსჯადია მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეები, სადაც სასჯელად გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 10 წელზე მეტი ვადით.

ზოგადად, საერთო სამართლის ქვეყნებში, როგორც წესი, ნაფიც მსაჯულად არ დაიშვებიან აღმასრულებელი ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირები, მოსამართლეები, ადვოკატები, პროკურორები, პოლიციელები, სასჯელაღსრულების მუშაკები. დაუშვებლობა შეიძლება გამოწვეული იყოს დაავადებით (მაგალითად: დაქვეითებული სმენა), ქვედა და ზედა ასაკობრივი ზღურბლით, ნასამართლეობით და ა.შ.

რუსეთის ფედერაციაში ნაფიც მსაჯულებად არ დაიშვებიან ნასამართლევი, 65 წელს მიღწეული პირები, ასევე ისინი, ვინც იკავებენ არჩევით თანამდებობას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, აღმსრულებელი ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირები, სამხედრო მოსამსახურეები, სამართალდამცავი ორგანოებიდან მაკომპრომეტირებელი გარემოებებით დათხოვნილი პირები, მოსამართლეები, პროკურორები, გამომძიებლები, ნოტარიუსები, სასამართლო აღმასრულებლები, პოლიციელები, მებაჟეები, სასჯელაღსრულების სისტემის მუშაკები, სასულიერო პირები.

ყირგიზეთში მოქმედებს სპეციალური კანონი „ნაფიცი მსაჯულების შესახებ“, რომელიც დაუშვებლობის თვალსაზრისით, რუსეთის ფედერაციის ანალოგიურია, ოღონდ აკრძალვა ასევე, ეხებათ საგადასახადო სამსახურისა და ფინანსური ინსპექციის თანამშრომლებს.

„ნაფიცი მსაჯულების შესახებ“ ყაზახეთის კანონის თანახმად, ნაფიც მსაჯულად არ დაიშვებიან ოცდახუთი წლის ასაკს მიუღწეველი პირები, ასევე ყველა დონის სახელმწიფო მოსამსახურეები.

უკრაინაში ნაფიც მსაჯულთა შერჩევის წესს განსაზღვრავს კანონი „უკრაინის სასამართლო მოწყობის შესახებ“. ნაფიცი მსაჯულების მინიმალური ასაკი 25 წელია. შეუთავსებლობა აქვთ სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ან შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარებულ პირებს, მათ, ვის მიმართაც სისხლის სამართლის წესით მიმდინარეობს მოკვლევა, გამოძიება ან სასამართლო განხილვა, მინისტრთა კაბინეტის წევრებს, ყველა დონის დეპუტატებს, სასამართლოს აპარატის მოხელეებს, პროკურორებს,

მოსამართლეებს, ადვოკატებს, ნოტარიუსებს, სამართალდამცავი ორგანოების მუშაკებს. სასულიერო პირებზე აკრძალვა არ მოქმედებს.

უნდა აღინიშნოს, რომ უკრაინაში ხშირად ვერ ხერხდება სასამართლოებისათვის ნაფიცი მსაჯულების შერჩევა. ქ. კიევში მხოლოდ ერთი რაიონული სასამართლოა სრულად შევსებული, სხვა რაიონებში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ან ნაწილობრივადაა დაკომპლექტებული, ან ნომინალურად არსებობს.

დადებითად უნდა შეფასდეს სსს კოდექსში მსაჯულთა შერჩევის პროცედურებსა და ვადებთან დაკავშირებული ცვლილებები, რომლის თანახმადაც, ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთა სია უნდა შედგებოდეს არა უწინდელი ასი, არამედ სამასი პირისაგან, რომლებსაც ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომამდე ოცი დღით ადრე უნდა გაეგზავნოთ მოსამართლის მიერ დამტკიცებული კითხვარი, ხოლო კანდიდატებმა შევსებული კითხვარი ხუთი დღის ვადაში უნდა დაუბრუნონ სასამართლოს, რომელსაც სასამართლო ხუთი დღის ვადაში გადასცემს მხარეებს. ძველი რედაქციით კონკრეტული ვადები განსაზღვრული არ ყოფილა, რის გამოც, ხშირად მსაჯულებს კითხვარი საკმაოდ გვიან, ზოგჯერ სხდომის წინა დღესაც კი ეგზავნებოდათ. ასევე, გაფართოვდა იმ საკითხთა წრე, რომელიც მოსამართლემ უნდა განუმარტოს ნაფიც მსაჯულებს სხდომის გახსნისას და სათათბირო ოთახში გასვლამდე, ეს უთუოდ შეუწყობს ხელს ნაფიც მსაჯულებს სამართლებრივ საკითხებში გარკვევასა და სამართლიანი ვერდიქტის გამოტანაში.

ცვლილებებამდე არსებული წესი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს იურისდიქციას ავრცელებდა ყველა დანაშაულზე, სადაც სასჯელის სახით შეიძლებოდა დანიშნულიყო თავისუფლების აღკვეთა. მოქმედი იურისდიქციით განისაზღვრა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადი კონკრეტული დანაშაულებები, კერძოდ: განზრახ მკვლელობა, თავისუფლების უკანონოდ აღკვეთასა და ადამიანებით ვაჭრობასთან დაკავშირებული დანაშაულები, მძევლად ხელში ჩაგდება, წამება და წამების მუქარა, დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობა, უდანაშაულო პირის განზრახ მიცემა სისხლის სამართლის პასუხისგებაში, განზრახ უკანონო დაკავება ან დაპატიმრება და სხვ.

როგორც ვხედავთ, აქცენტი გაკეთებულია ყველაზე მომეტებული საზოგადოებრივი საფრთხის შემცველ რიგ დანაშაულებზე, სხვა დანაშაულთა ამორიცხვის არგუმენტირებული დასაბუთება არ მომხდარა. მიგვაჩნია, რომ ამ შეზღუდვის ძირითადი მიზეზი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში განსახილველ სს საქმეთა მოსალოდნელი მკვეთრი ზრდაა, რაც, თავის მხრივ, გამოიწვევდა ამ სასამართლოს უზომო გადატვირთვას და განხილვის ვადების გაჭიანურებას. მომავალში, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემდგომი სრულყოფის პირობებში, შესაძლებელია იურისდიქციის გაფართოება.

ნაფიც მსაჯულთა მიერ მიუკერძოებელი და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების უზრუნველსაყოფად, გაიზარდა განხილვის დროის ხანგრძლივობა კერძოდ, სსს კოდექსის 261-ე მუხლის 3-4 ნაწილის თანახმად, თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ოთხი საათის განმავლობაში ვერ მოახერხებს გადაწყვეტილების ერთხმად მიღებას, გადაწყვეტილებები მომდენო 8 საათის განმავლობაში მიიღება ხმათა შემდეგი უმრავლესობით: თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო არანაკლებ 11 ნაფიცი მსაჯულისაგან შედგება, გადაწყვეტილებები მიიღება 8 ხმით, თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო 10 ნაფიცი მსაჯულისაგან შედგება, გადაწყვეტილებები მიიღება 7 ხმით, 9 ნაფიცი მსაჯულის შემთხვევაში - 6 ხმით, 8 ნაფიცი მსაჯულისას 5 ხმით, ხოლო თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო მინიმალური 7 ან 6 ნაფიცი მსაჯულისაგან შედგება, გადაწყვეტილებები მიიღება 4 ხმით.

სიახლეა განაჩენის სასჯელის ნაწილში სააპელაციო სასამართლოში განხილვასთან დაკავშირებითაც. ძველი რედაქციით, თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენი გაუქმდებოდა სასჯელის ნაწილში იმის გამო, რომ იყო უკანონო, აშკარად დაუსაბუთებელი ან სხდომის თავმჯდომარემ არ გაითვალისწინა ნაფიც მსაჯულთა მიერ მიღებული სასჯელის შემსუბუქების ან დამძიმების რეკომენდაცია, საქმე სასჯელის ხელახალი დანიშვნისათვის უბრუნდებოდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სხდომის

თავმჯდომარეს. ცვლილებების თანახმად, განაჩენის ამ საფუძვლით გაუქმების შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლო თავისივე განაჩენით ადგენს ახალ სასჯელს. ამ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

კანონპროექტის განხილვისას, ექსპერტთა ნაწილის მიერ, გამოითქვა მოსაზრება, რომ გასაუქმებელი იყო კანონის მოთხოვნა სასჯელის ნაწილში ნაფიც მსაჯულთა რეკომენდაციის სავალდებულოების თაობაზე, რასაც მზოჭავი ხასიათი აქვს და შესაძლოა გამოიწვიოს არსებითი სხვაობა ამა თუ იმ კატეგორიის დანაშაულთათვის დადგენილი სასჯელთა ზომის არსებულ პრაქტიკასა და ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით განხილულ საქმეებზე დადგენილი სასჯელის ზომას შორის. ეს მოსაზრება არ იქნა გაზიარებული კანონპროექტის ავტორთა მიერ, თუმცა, ვფიქრობთ, რომ საკითხი შემდგომ სრულყოფას საჭიროებს, ბრალდებულმა ის მაინც უნდა იცოდეს, თუ რატომ გადაწყვიტეს მსაჯულებმა მისთვის სასჯელის შემცირება ან დამძიმება.

მიგვაჩნია, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებები სასიკეთოდ წაადგება ამ ინსტიტუტის საქმიანობას და გაზრდის მისადმი საზოგადოების ნდობას.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბ., 2015.
2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. თბ., 2017.
3. საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის ანგარიში „ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ", თბ., 2016.
4. კონსტიტუციური კვლევების ცენტრის საქმიანობას 2016 წლის ანგარიში, თბ., 2017.
5. Закон Украины "О судоустройстве Украины", 2017.
6. Закон Республики Казахстан "О присяженых заседателях", 2017.
7. Закон Кыргизской республики "О прсяженых заседателях", 2017.
8. Федеральний закон "О присяжених заседателях федеральних судов общей юрисдикции в Россиской Федераций", 2017.


**კახა კობერიძე**

**ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს საკანონმდებლო ცვლილებები**

**რეზიუმე**

საქართველოში 2010 წლიდან ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღებამ იმთავითვე გამოიწვია აზრთა რადიკალური სხვადასხვაობა ამ ინსტიტუტის საჭიროებასთან დაკავშირებით. ამის მიუხედავად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ყოფნა-არყოფნის საკითხი საკანონმდებლო დონეზე არ დამდგარა. თუმცა, აშკარა გახდა სისხლის სამართლის საპროცესო ცვლილებების შეტანის საჭიროება, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ეფექტური საქმიანობის უზრუნველსაყოფად. სტატიაში მიმოხილულია ეს საკანონმდებლო ცვლილებები, აგრეთვე, ამ მხრივ ზოგიერთ სხვა ქვეყანაში არსებული პრაქტიკა.

**Kakha Koberidze**

**Changes in Jury Trial Law**

**Summary**

In 2010, the introduction of jury court in Georgia has led to endeless discussions on the necessity of this institution. Nevertheless, the issue of jury trials was not discussed at the legislative level. However, it became clear that it was needed to amend the Criminal Procedure Code in order to ensure effective jurisdiction of the jury. The article reviews these legislative amendments and practices of jury in some other countries.

**Каха Коберидзе**

**Изменения в законодательстве о суде присяжных**

**Резюме**

Введение суда присяжных в Грузии с 2010 года вызвало значально радикальное разногласие мнений среди юристов и в обществе в целом. Несмотря на это, вопрос упразднения этой институции на законодательном уровне не рассматривался. Однако, стало очевидным необходимость внесения изменений в УПК Грузии, в целях усовершенствования эффективности работы суда присяжных. В статье обсуждены данные изменения, а также, практика некоторых стран в этой области.

**ბექა ცერცვაძე**

**გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის დოქტორანტი**

## მზღვეველისა და დამზღვევის სამართლებრივი ვალდებულებები

სადაზღვევო ხელშეკრულების საფუძველზე, როგორც დამზღვევისათვის ასევე მზღვეველისათვის, წარმოიქმნება გარკვეული უფლებები და მოვალეობები.

სადაზღვევო შენატანების გადახდის ვალდებულების გარდა დამზღვევის ვალდებულებებია ასევე ის ვალდებულებები, რომლებიც მომდინარეობს სადაზღვევო სამართლებრივი ურთიერთობებიდან. ამ ვალდებულებების თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ მათ შესრულებას დამზღვევს ვერავინ აიძულებს სასამართლოს მეშვეობით. დამზღვევი ასრულებს ამ მოვალეობებს, რადგანაც თვითონ არის დაინტერესებული შეინარჩუნოს მისთვის მინიჭებული სადაზღვევო დაფარვა. დამზღვევის მიერ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ვალდებულებების შეუსრულებლობას შეიძლება შედეგად მოჰყვეს სადაზღვევო ანაზღაურებების მოთხოვნის უფლების დაკარგვა სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ან მზღვეველისათვის ხელშეკრულების გაუქმების უფლების მინიჭება. დამზღვევის მიერ მისი ვალდებულებების შეუსრულებლობას შეიძლება შედეგად მოჰყვეს მზღვეველის განთავისუფლება ნაკისრი პასუხისმგებლობისაგან. ამის გარდა არსებობს გარკვეული ტიპის რისკები, რომლებიც საერთოდ არ ექვემდებარება დაზღვევას.

თუ დამზღვევმა ერთიდაიგივე ინტერესი ერთდროულად რამდენიმე მზღვეველთან დააზღვია, მოვალეა ამის თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობოს თითოეულ მზღვეველს. თუ დამზღვევმა გააფორმა ორმაგი დაზღვევა მართლსაწინააღმდეგო შემოსავლის მიღების მიზნით, მაშინ თითოეული ხელშეკრულება, რომელიც ამ მიზნით არის დადებული, ჩაითვლება ბათილად. მზღვეველი თავისუფლდება თავისი მოვალეობის შესრულებისგან

თუ დამზღვევმა დაზღვევით გათვალისწინებული შემთხვევა გამოიწვია განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით.

დამზღვევი მოვალეა დაზღვევით გათვალისწინებული შემთხვევის დადგომისას შეძლებისდაგვარად თავიდან აიცილოს ან შეამციროს ზიანი და ამასთან დაკავშირებით შეასრულოს მზღვეველის მითითებები.

თუ დამზღვევს შეუძლია ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნა წაუყენოს მესამე პირს, მაშინ ეს მოთხოვნა გადადის მზღვეველზე თუკი ის უნაზღაურებს დამზღვევს ზიანს. თუ დამზღვევი უარს იტყვის მესამე პირის მიმართ თავის მოთხოვნაზე ან მისი მოთხოვნის უზრუნველყოფის უფლებაზე, მაშინ მზღვეველი თავისუფლდება ზიანის იმ ოდენობით ანაზღაურების მოვალეობისგან, რამდენიც მას შეეძლო მიეღო თავისი ხარჯების ასანაზღაურებლად უფლების განხორციელებასთან ან მოთხოვნის წაყენებასთან დაკავშირებით.

დამზღვევმა ასევე დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მზღვეველს დაზღვეული ქონების გასხვისების შესახებ. თუ შემძენმა ან გამსხვისებელმა აღნიშნულის თაობაზე დაუყონებლივ არ შეატყობინა მზღვეველს, მაშინ იგი თავისუფლდება ანაზღაურების მოვალეობისგან თუკი სადაზღვევო შემთხვევა დადგა ორი კვირის შემდეგ იმ მომენტიდან, როცა მზღვეველს შეტყობინება მიღებული უნდა ჰქონოდა. გასხვისების შემთხვევაში დამზღვევის უფლებები და მოვალეობები გადადის შემძენზე.

სადაზღვევო ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებისას დამზღვევი ხშირად სარგებლობს მესამე პირების მომსახურებით. დამზღვევს შეუძლია მზღვეველთან დადოს დაზღვევის ხელშეკრულება თავისი სახელით სხვა პირის სასარგებლოდაც.

დამზღვევი მოვალეა დაუყოვნებლივ შეატყობინოს მზღვეველს საფრთხის გაზრდის შესახებ, რომელიც ხელშეკრულების დადების შემდეგ აღმოცენდა თუ ეს არსებით გავლენას მოახდენდა ხელშეკრულების დადებაზე.

დამზღვევის ვალდებულებები შეიძლება განისაზღვრებოდეს როგორც კანონის ნორმების საფუძველზე, ასევე მხარეთა შეთანხმების გზით, რომელიც დაფიქსირებულია ხელშეკრულებაში.

მზღვეველის ვალდებულებები თავისი შინაარსის მიხედვით იყოფა ორ, ძირითად და არაძირითად ჯგუფებად. მზღვეველის ძირითად ვალდებულებას წარმოადგენს სადაზღვევო დაფარვის უზრუნველყოფა. სადაზღვევო დაფარვა გულისხმობს კონკრეტული რისკის მზღვეველისადმი გადაცემას. სადაზღვევო დაფარვის მოცულობას განაპირობებს:

- საკანონმდებლო ნორმები სადაზღვევო ურთიერთობების შესახებ;
- დაზღვევის მოცემულ სახეობაში გამოყენებული დაზღვევის ზოგადი პირობები;
- ინდივიდუალური შეთანხმებები მიღწეული მხარეთა შორის ისეთი საკითხების ირგვლივ, როგორიცაა სადაზღვევო თანხისა და სადაზღვევო ღირებულების სიდიდე, ხელშეკრულებაში ფრანშიზის თაობაზე პირობის ჩართვა და სხვ.

რისკის ტარების ძირითადი ვალდებულებების გარდა მზღვეველს ასევე ეკისრება სხვა ვალდებულებებიც, რომლებიც ძირითადად ემსახურება დამზღვევის ინტერესების დაცვას. ასეთებია: სადაზღვევო მოწმობის გაცემის ვალდებულება, ხელშეკრულებამდელ ეტაპზე დამზღვევისათვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, სადაზღვევო ხელშეკრულებასთან დაკავშირებით დამზღვევის კონსულტირების ვალდებულება.

ზარალის დაზღვევაში სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მზღვეველი ვალდებულია აუნაზღაუროს დამზღვევს წარმოქმნილი მატერიალური ზიანი. ზარალის ანაზღაურება როგორც წესი სრულდება ფულადი ფორმით. მზღვეველის მხრიდან შეიძლება არსებობდეს ფულადი სახსრების მიზნობრივი გამოყენების მოთხოვნაც.

სადაზღვევო თანხა ასახავს ფულადი გადახდების სიდიდეს, რომლებიც უნდა განახორციელოს მზღვეველმა სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ.

სადაზღვევო თანხის სიდიდე საფუძვლად უდევს სადაზღვევო პრემიის დაანგარიშებას და იგი მითითებულია სადაზღვევო პოლისში. სადაზღვევო თანხის

გადახდა შეიძლება ხდებოდეს ერთჯერადად და რეგულარული გადახდების იგივე რენტის ანუ ანუიტეტის სახით.

მზღვეველი ვალდებულია განახორციელოს სადაზღვევო გადახდები მას მერე, რაც ის მორჩება იმ ინფორმაციის შეგროვებას, რომელიც დაეხმარება მას სადაზღვევო შემთხვევის დადგომის ფაქტის დადგენასა და პასუხისმგებლობის მოცულობის განსაზღვრაში.

თუ დაზღვევის ხელშეკრულება დადებულია სხვა პირის სიკვდილის შემთხვევისათვის მზღვეველი თავისუფლდება თავისი მოვალეობისაგან იმ შემთხვევაში, როცა დამზღვევმა უკანონო მოქმედებით განზრახ გამოიწვია ასეთი პირის სიკვდილი. ასევე სიცოცხლის დაზღვევისას მზღვეველი თავისუფლდება თავისი მოვალეობისაგან თუ პირი, რომლის სიცოცხლეც დაზღვეული იყო თავს მოიკლავს, თუმცა დამზღვევის მემკვიდრეს უფლება აქვს მოითხოვოს გადახდილი სადაზღვევო შესატანების დაბრუნება.

მზღვეველი თავისუფლდება თავისი ვალდებულებების შესრულებისაგან თუ დამზღვევი უარს ამბობს ზიანის მიმყენებლისადმი ზარალის ანაზღაურების მოთხოვნებზე. სადაზღვევო ხელშეკრულების შესახებ კანონის ეს ნორმა ძალაშია მხოლოდ უკვე წარდგენილი მოთხოვნების მიმართ. თუ სამოქალაქო ქცევის წესების თანახმად თავიდანვე გამოირიცხა დამზღვევის მიერ ზიანის მიმყენებლისადმი სადაზღვევო პრეტენზიების წარდგენის შესაძლებლობა, მაშინ მზღვეველი არ თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან სადაზღვევო ხელშეკრულების საფუძველზე.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. გიგოლაშვილი გ., სადაზღვევო საქმე, თბ., 2012.
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997 წლის 26 ივნისი.
3. საქართველოს კანონი დაზღვევის შესახებ, თბ., 1997 წლის 2 მაისი.
4. ცერცვაძე ა., ხანთაძე გ., ვეკუა დ., სადაზღვევო საქმე, თბ., 2016.
5. http://www.parliament.ge

**ბექა ცერცვაძე**

**მზღვეველისა და დამზღვევის სამართლებრივი ვალდებულებები**

**რეზიუმე**

სადაზღვევო ხელშეკრულების საფუძველზე, როგორც დამზღვევისათვის ასევე მზღვეველისათვის წარმოიქმნება გარკვეული უფლებები და მოვალეობები. სადაზღვევო შენატანების გადახდის ვალდებულების გარდა დამზღვევის ვალდებულებებია ასევე ის ვალდებულებები, რომლებიც მომდინარეობს სადაზღვევო სამართლებრივი ურთიერთობებიდან. მზღვეველის ვალდებულებები თავისი შინაარსის მიხედვით იყოფა ორ, ძირითად და არაძირითად ჯგუფებად. მზღვეველის ძირითად ვალდებულებას წარმოადგენს სადაზღვევო დაფარვის უზრუნველყოფა.

**Beka Tsertsvadze**
**Legal Obligations of Insurer and Insured**
**Summary**

On the basis of insurance agreement insurer and insured have some kind of rights and obligations. In addition to paying insurance premiums, insured has obligations which are derived from insurance legal negotiation. Obligations of insurer are divided in two groups: basic and non-basic groups. The main obligation of insurer is to cover insurance responsibility.



**Бека Церцвадзе**
**Правовое обязятельство между страхователем и страховщиком**
**Резюме**

Из договора страхования как для страхователя, так и для страховщика вытекают определенные права и обязанности. Кроме обязанности уплаты страховой премии, на страхователе лежат другие обязанности, вытекающие из страховых правоотношений. По своему содержанию обязанности страховщика делятся на основные и неосновные. Основной обязанностью страховщика является обеспечение выплаты страхового возмещения.



**მამუკა ეგუტიძე**
**გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის დოქტორანტი**


## ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თავისებურებანი

> მსაჯული ის რჩეული კაცია, რომელსაც აბარია ჩვენი ქონება, ჩვენი ღირსება, ჩვენი სიცოცხლე, ჩვენი სული და ხორცი, ჩვენი კაცური კაცობა, ჩვენი ადამიანობა, იგი განხორციელებული ნამუსია და განხორციელებული სინდისია მთელი ერისა, ერის უკეთეს კაცთაგან შეძლებისამებრ გაწმენდილი და კუთვნილი სიმაღლეზე დაყენებული
>
> ***ილია ჭავჭავაძე***

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია გააჩნია, რომლის სასამართლო ფორმაც მართლმსაჯულების ყველაზე დემოკრატიულ ფორმადაა მიჩნეული, რადგან ამ შემთხვევაში, თავად ხელისუფლების წყაროდ ხალხი გვევლინება. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო განასახიერებს იდეალურ სისტემას, სადაც გადაწყვეტილებებს ყველა მისი წევრი იღებს, თანაც ყოველ მათგანს თანაბარი უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტაში. ნაფიც მსაჯულთა მიზანი კონკრეტულ საქმეზე სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებაა. მსაჯულები უსმენენ დაცვისა და ბრალდების მხარეების გამოსვლებს სასამართლოს წინაშე, აკვირდებიან მტკიცებულებათა წარმოდგენისა და შეფასების პროცესს და იღებენ გადაწყვეტილებას განსასჯელის დამნაშავეობისა თუ უდანაშაულობის შესახებ.

ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობის უმთავრესი ღირსება ისაა, რომ მასში თავმოყრილია მრავალი თაობის ცხოვრებისეული გამოცდილება და ამავდროულად თანამედროვე საზოგადოების შეხედულებები სამართლიანობის თაობაზე. არაპროფესიონ-ალ პირთა მონაწილეობა სისხლის მართლმსაჯულებაში ხელს უწყობს მონაწილეობითი დემოკრატიის დახვეწას, ჩვეულებრივი ადამიანებისათვის უფლების მიცემა მონაწილეობა მიიღონ მართლმსაჯულების განხორციელებაში; ნაფიც მსაჯულებს საზოგადოების ნა-წილი „თავისუფლების ბურჯადაც" მოიხსენიებს. 2010 წლის 1 ოქტომბრიდან, 2012 წლის 1 ოქტომბრამდე, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს იურისდიქცია გავრცელდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-მუხლით გათვალისწინებულ დანა-შაულებზე. ნაფიცმსაჯულთა სასამართლო საზოგადოების ინტერესების დასაცავადაა შემოღებული, უნდა იყოს სასამართლოს სისტემის მეტი დემოკრატიულობის გარანტი. ნაფიცი მსაჯულების სასამართლოში გადაწყვეტილებას დამოუკიდებელი და მიუკერ-ძოებელი საზოგადოების წარმომადგენლები იღებენ, მათ ყოველგვარი ზემოქმედების გა-რეშე უნდა შეეძლოთ ჩამოაყალიბონ საკუთარი პოზიცია, თუმცა, ისიც საყოველთაოდ არის აღიარებული, რომ რეალურად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამოტანილ ვერდიქტზე ბევრი გარეშე ფაქტორი ახდენს ზეგავლენას. ნაფიც მსაჯულებზე ზეგავლენას ახდენს მედია, რომელიც ხშირ შემთხვევაში, „მეცამეტე მსაჯულად" გვევლინება. მას შეუძლია პოტენციური მსაჯულის განწყობა როგორც ბრალდებულის წინააღმდეგ, ისე მის სასიკეთოდ.

საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით გარანტირებულია სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება. კონსტიტუციის 24-ე მუხლში კი, ნათქვამია: „ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს თავი-სი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით". „სიტყვის გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს არეგულირებს საქართველოს კანონი. მასში ასახულია თითქმის ყველა ის ძირითადი პრინციპი, რაც შექმნილია საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ, აღსანიშნავია–გაეროს მიერ 1966 წელს მიღებული „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი", რომლის მე-10 მუხლის თანამხმად, „თითოეულ ადამიანს აქვს უფლება გამოხატოს საკუთარი აზრი".

როგორ უნდა აიძულო მედია არ გამოაქვეყნოს და არ გაავრცელოს მის ხელთ არსებული ინფორმაცია, მით უმეტეს თუ ის ექსკლუზიურ ინფორმაციას შეიცავს და ისეთ საკითხებთანაა დაკავშირებული, რომლებიც საზოგადოების მძაფრ ინტერესს იწვევს? მედიას ვერავინ აუკრძალავს არ გააშუქოს დანაშაულის შესახებ ინფორმაცია. ჟურნალისტის სტატიისადმი ან სატელევიზიო სიუჟეტისადმი ინტერესი კი, საგრძნობლად მცირდება, როდესაც ყოვნდება ინფორმაცია რეზონანსული შემთხვევის შესახებ. მედიას, ფაქტობრივად დაკისრებული აქვს საზოგადოების „მხედველობისა და სმენის" ორგანოს ფუნქცია. საქართველოში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ამოქმედების პირობებში, უდა-ვოდ მნიშვნელოვანი და დასაფიქრებელი იყო ის გარემოებები, თუ როგორი გავლენა შეიძლება მოახდინოს მედიამ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამოტანილ ვერ-დიქტზე. მედიის საშუალებით ხდება საზოგადოებრივ მიდგომათა ფორმირება საქმის ირგვლივ (რაც თავის მხრივ, ზეგავლენას ახდენს მსაჯულებზე, რომლებიც წარ-მოადგენენ ამ საზოგადოების ნაწილს), მედიის საშუალებით მსაჯულს შეიძლება მიე-წოდოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც მათ წინასწარ განაწყობს ბრალდების ან დაცვის მხარის სასარგებლოდ. ასევე შესაძლებელია მიეწოდოთ ისეთი ინფორმაცია, რომელიც საქმის განხილვისას არ დადასტურდება, ასეთი ინფორმაცია შესაძლებელია ეხებოდეს ბრალდებულის ნასამართლეობას, დაუშვებლად ცნობილ საგამოძიებო მოქმედებების შედეგებსა და ა.შ. როგორ უნდა დაიცვას სასამართლომ ნაფიცი მსაჯულები ან ნაფიცმა მსაჯულებმა საკუთარი თავი მედიის გავლენისაგან? უნდა მოხდეს თუ არა მათი იზოლირება, რათა მედიასაშუალებებში გაჟღერებულმა ინფორმაციამ შინაგანი რწმენა არ შეურყიოს მსაჯულებს, რომლებიც ჯანსაღი აზრის სასამართლოს წარმოადგენენ. დანაშაულის თაობაზე ინფრომაციას მოსახელობის უმეტესობა, პირველ რიგში, მედიის საშუალებებით ეცნობა. მოგვიანებით, სწორედ მათი წარმომადგენლები უნდა აღმოჩნდ-

ნენ ამ საქმის განმხილველ სხდომაზე ნაფიც მსაჯულებად. მათზე აუცილებლად ექნება ზეგავლენა უკვე მიღებულ ინფროამციას და შესაძლოა გარკვეული მოსაზრებებიც წინასწარ ჩამოუყალიბდეთ, რაც ხელს შეუშლით იყვნენ ობიექტურები და მიუკერძოებლები ვერდიქტის ჩამოყალიბებისას. ამერიკის შეერთებულ შტატებში მედიის გავლენისაგან ნაფიც მსაჯულთა დასაცავად სასამართლოები შემდეგ ხერხებსა და მეთოდებს იყენებენ: 1) საქმის განხილვა გადააქვთ სხვა ადგილას; 2) აჩერებენ საქმის განხილვას; 3) უკრძალავენ ბრალდებისა და დაცვის მხარეებს საქმის დეტალების გახმაურებას და ა.შ.

ძალიან ხშირად ნაფიცი მსაჯულები არ ცხოვრობენ ჩვეულებრივ გარემოში, იზღუდება მათი კონტაქტები, ეკრძალებათ გაზეთების კითხვა, ინტერნეტში შესვლა, ამერიკის შეერთებულ შტატებში ნაფიც მსაჯულებს მკაფიო ინსტრუქციები ეძლევათ მაქსიმალურად ადრეულ ეტაპზე. მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, მაინც ვერ ხერხდება მათი სრული კონტროლი, ამერიკის შეერთებულ შტატებში ნაფიცი მსაჯული ხშირად სხვა შტატებიდანაც ჩამოჰყავთ, რათა გამორიცხონ მათი შესაძლო ნაცნობობა და კავშირები. ასევე, სასამართლო პროცესამდე ცდილობენ საიდუმლოდ შეინახონ მათი პირადი მონაცემები.

რა გაკეთდა იმისათვის, რომ საქართველოში ნაფიცი მსაჯულები არ მოექცნენ მედიის წნეხის ქვეშ, არ შეექმნათ წინასწარი განწყობა და განაჩენი მხოლოდ სასამართლოში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე გამოიტანონ? საქართველოში ჩატარებული ნაფიც მსაჯულთა სასამართლოების არსებობის პერიოდში მედიამ აქტიურად გააშუქა საქმე, დაწყებული წინასწარი გამოძიებიდან, დამთავრებული პროცესით. ფაქტია, რომ ამერიკული და ევროპული მართლმსაჯულებისაგან განსხვავებით, ჩვენთან მედიას არავინ უკრძალავს საქმის წინასწარი მოსმენის ან სასამართლო პროცესის გაშუქებას და ამისთვის არც რაიმე პასუხისმგებლობაა დაწესებული. სასამართლოს სპიკერ-მოსამართლეებიც, მედიის წარმომადგენლებს აწვდიან მათთვის საჭირო და აუცილებელ სამართლებრივ ახსნა-განმარტებებს განსახილველ საქმესთან დაკავშირებით. ქართულ რეალობაში ამერიკული მედიისათვის დამახასიათებელი შეზღუდვების ზუსტად გადმოღება გართულდება. საქართველო პატარა ქვეყანაა, მედიის გავლენისაგან თავის დასაცვად მაგალითად, საქმის განხილვის სხვაგან გადატანა გამართლებულია იმ ქვეყნებში, რომლებიც ფლობენ დიდ ტერიტორიებს, მაგრამ არა ჩვენთან. მსაჯულებმა მედიის გავლენა რომ აარიდონ, ცდილობენ მათი ვინაობა ცნობილი არავისთვის გახდეს. ეს რისკ-ფაქტორები მატულობს იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენი კანონმდებლობა არაფერს ამბობს მსაჯულთა ვინაობის გამჟღავნებაზე, მასმედიისა და სასამართლო სისტემის ურთიერთობისათვის კი, ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს. საინტერესოა, რა ხდება მაშინ, თუ ჟურნალისტი თავად მოხვდება ნაფიც მსაჯულთა სკამზე ? – ასეთ დროს მას აქვს უფლება, აცილებასთან დაკავშირებული საკითხი დააყენოს, იმ შემთხვევაში, თუ ის აღნიშნულ დანაშაულს აშუქებდა, ხოლო თუ ჟურნალისტი ნაფიც მსაჯულთა შორის აღმოჩნდება, მას უკვე შემდგომ შეეზღუდება უფლება, პროცესის თაობაზე არ მოამზაოდს სტატია ან სატელევიზიო სიუჟეტი. ნაფიც მსაჯულებს საქმის განხილვის დროს გარესამყაროსთან ნებისმიერი კონტაქტი ეკრძალებათ. კანონის თანახმად, მათ არა აქვთ უფლება, საქალაქო სასამართლოს შენობიდან გავიდნენ (შენობაში კი, მათ ქმედებებს მანდატურები აკონტროლებენ). აღნიშნული მეთოდი აპრობირებულია რიგ ქვეყნებში. ნაფიც მსაჯულთა ვინაობის გაუმჟღავნებლობის მიზნით, სასამართლო თავად ახდენს პროცესის აუდიო და ვიდეოჩაწერას, თუმცა, იცავს შემდეგ წესს: კადრში არ უნდა მოხვდეს ნაფიცი მსაჯულები და სათადარიგო ნაფიცი მსაჯულები. სწორედ მათი პირადი მონაცემების გასაიდუმლოების მიზნით პროცესზე მოწვეულია მხატვარი, რომელიც ხატავს პროცესის მონაწილეებს (მათ შორის, მსაჯულებს) და საზოგადოებას მედიის საშუალებით ნაფიც მსაჯულთა სახეები ამ ფორმით მიეწოდება. მსაჯულთა ვინაობის გამხელა, ასევე ეკრძალებათ სასამართლო სხდომაზე დამსწრე პირებსა და პროცესის მონაწილეებს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მედიისათვის მაინც გახდება ცნობილი ნაფიცი მსაჯულის ვინაობა, მედიამ არ უნდა გაავრცელოს მასზე ინფორმაცია,

რათა მაქსიმალურად აარიდოს კონკრეტულ მსაჯულს გარკვეული გავლენის ქვეშ მოქცევა. მოსამართლე თითოეული სხდომის დასრულებისას ნაფიც მსაჯულებს აძლევს მითითებებს: ვერდიქტის გამოტანამდე საქმის განხილვისას არსებული ინფრომაციის გაუმჟღავნებლობის ან განსახილველ საქმესთან საკუთარი აზრის გამოთქმისაგან თავის შეკავების, განსახილველი საქმის გარემოებებთან დაკავშირებით სხდომის თავჯდომარის გარდა სხვასთან ურთიერთობის, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თათბირისა და კენჭისყრის საიდუმლოების დარღვევის დაუშვებლობის შესახებ. აღსანისნავია, რომ კანონმდებლობით ისჯება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თათბირისა და კენჭისყრის საიდუმლოების დარღვევა. აღნიშნული ქმედება იწვევს დაჯარიმებას ან თავისუფლების აღკვეთას  ორ წლამდე ვადით. მართალია, ცხოვრებისეული სიმართლის სასამართლოს წარმომადგენლები – ნაფიცი მსაჯულები მათი მოქალეობრივი მოვალეობის შესრულებისას დებენ ფიცს, რაც უნდა იყოს გარანტი იმისა, რომ პატიოსნად და მიუკერძოებლად შეასრულებენ მსაჯულის მოვალეობას, თუმცა რეალურად, მხოლოდ მათ სინდისზე ხდება დამოკიდებული დამალავს თუ არა კონკრეტული ნაფიცი  მსაჯული საქმის შესახებ ინფორმაცის. სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას ნაფიც მსაჯულებს ეკრძალებათ განსახილველ საქმესთან დაკავშირებით მედიასაშუალების მიერ მიწოდებული ინფრომაციისათვის თვალყურის დევნება და პრესაში გმოქვეყნებული მასალების გაცნობა. მათ საქმის ირგვლივ საუბრის უფლება მხოლოდ მას შემდეგ ეძლევათ, როდესაც საქმე დასრულდება.

მედიას ეკისრება უდიდესი პასუხისმგებლობა, მან არ უნდა შექმნას ისეთი განწყობა, რომ ნაფიცი მსაჯულები ასამართლებენ დამნაშავეს და მხოლოდ ისღა რჩება გასარკვევი, როგორ უნდა დაისაჯოს იგი. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს მოსახელობის უმეტესობა მზად არის შეითავსოს ნაფიცი მსაჯულის ფუნქცია, დაეხმაროს მართმსაჯულებას სამართლიანი ვერდიქტის გამოტანაში, მედიას უბრალოდ არა აქვს უფლება „მეცამეტე სკამის“ დაკავებისას გახდეს დაბრკოლება სამართლიანობისათვის ბრძოლაში. მომავალში, როცა მოიმატებს პრაქტიკული გამოცდილება და საზღვარგარეთის ქვეყნების მსგავსად,  საქართველოც დადგება იმ პრობლემის წინაშე, რასაც ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტზე მედიის გავლენა ჰქვია. პრევენციისათვის სათანადო ზომები ახლავე უნდა იქნეს მიღებული; გსამკაცრებელია სანქციები ნაფიც მსაჯულთა თათბირისა და კენჭისყრის საიდუმლოების დარღვევისათვის; ინტერნეტის საუკუნეში, მაშინ, როცა ტრადიციული მედია სოციალურმა მედიამ ჩაანაცვლა, ადამიანის ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში შემოიჭრა და უდიდეს გავლენას ახდენს საზოგადოებაზე, მკაცრად უნდა გაკონტროლდნენ ნაფიცი მსაჯულები სოციალურ ქსელებში; თუ საჭირო გახდება, მსაჯულები სხვაგანაც უნდა დასახელდნენ გარკვეული ვადით; სერიზოული მნიშვნელობის სიმძიმისა და ხარისხის დანაშაულთა საქმეებზე, ასევე, აუცილებლობისას, შიეძლება გამოვიყენოთ მსაჯულების გარეგნობის დაფარვის უზრუნველყოფა. მედია საშუალებებისათვის საკმარისი არ არის ის ღონისძიებები, რაც გატარდა, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თემაზე უნდა მოეწყოს სემინარები ჟურნალისტებისათვის.  ასევე, კარგი იქნება, თუ დაწესდება მედიაში აკრძალვა ნაფიც მსაჯულთა მაკომპრომეტირებელი მასალის გამოქვეყნებაზე. ჟურნალისტებისათვის უნდა გამოიცეს სასამართლო პროცესის გაშუქების სახელმძღვანელოები, მნიშვნელოვანია ზუსტად გაშუქდეს პროცესი და ზუსტი ინფორმაცია მიიღოს ხალხმა. საჭიროა მუდმივი ტრენინგები, რათა საზოგადოების ინფრომირებულობა და სამართლიანი ვერდიქტი ერთობლიობაში იყოს შესაძლებელი

აღსანიშნავია, რომ დღემდე საქართველოში ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით ჩატრებულ პროცესებზე მიუკერძოებლად და ობიექტურად უპასუხეს მთავარ შეკითხვას: დამნაშავეა?  ნაფიც მსაჯულთა სასამართლო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში საზოგადოების მხრიდან პასუხისმგებლობას იღებს საკუთარ თავზე, დროთა განმავლობაში კი, ეს ინსტიტუტი მედიასთან ურთიერთობის კუთხით უფრო დაიხვეწება, საზოგადოების მხრიდანაც მეტი ნდობით აღიჭურვება და დემოკრატიული მართლმსაჯულების განხორციელბაში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, საქართველოს უზენაესი სასამართლო, თბ., 2012.
2. ნეილ ვიდმარი ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (საერთო სამართლის ქვეყნები, სამართალი და თანამედროვე პრობლემატიკა), თბ., 2005.
3. საქართველოს კანონი - სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ, თბ., 2016.
4. საქართველოს კონსტიტუცია, თბ., 2013.
5. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 2013.
6. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექი, თბ., 2013.


**მამუკა ეგუტიძე**

**ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თავისებურებანი**

**რეზიუმე**

საქართველოში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი 2010 წლიდან არსებობს, სისხლის მართლმსაჯულების სისტემის ფართო მასშტაბიანი რეფორმის კონტექსტში. ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით ინკვიზიციური პროცესიდან შეჯიბრობითზე გადავიდა. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო მართლმსაჯულების ყველაზე დემოკრატიულ ფორმად არის მიჩნეული. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი წარმოადგენს დემოკრატიის ერთ-ერთ ფორმას, რომლის ფარგლებშიც საზოგადოება კი არ ახდენს მართლმსაჯულების ფუნქციის დელეგირებას სახელმწიფოზე, არამედ თავად იღებს პასუხისმგებლობას და წყვეტს პირის დამნაშავეობისა თუ უდანაშაულობის საკითხს. ეს უზრუნველყოფს მოქალაქეთა პირდაპირ ჩართულობას პროცესში და ზრდის მათ ნდობას მართლმსაჯულების სისტემის მიმართ.

**Mamuka Egutidze**

**Peculiarities of the jury court**

**Summary**

The jurisdiction institute has been in Georgia since 2010, in the context of a wide range of criminal justice system. Within the scope of the criminal procedure code moved from the inquisition process to competition. The court of jurors is considered as the most democratic form of justice. Jurisdiction institute is one of the important forms of democracy, within which the society doesn't interfere with the function of justice, but takes responsibility and determines the issue of guilt or innocence. This ensures the direct involvement of citizens in the process and increases their trust towards the justice system.

**Мамука Егутидзе**

**Особенности суда присяжных**

**Резюме**

В 2010 году в Грузии принята широкомасштабная реформа системы уголовного правосудия в виде института присяжных. Новый уголовно - процессуальный кодекс вступил в борьбу с инквизиционным процессом. Суд присяжных считается самой демократичной формой правосудия. Институт суда присяжных представляет собой одну из форм правосудия, в процессе которой общественность не будет иметь влияния на государственного представителя юстиции, однако в свою очередь возьмёт на себя ответственность, и примет решение об безвиновности или виновности человека. Данная система обеспечивает непосредственное участие граждан в судебном процессе и повышает уровень доверия общества к системе правосудия.

# ჰუმანიტარული მეცნიერებანი

**მაია თევზაძე**
**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი**

## გენდერული სტერეოტიპების მოდიფიცირების ფაქტორები

გენდერულ სტერეოტიპებს განიხილავენ როგორც წარმოდგენებს მამაკაცებისა და ქალების როგორც პიროვნული, ასევე ფიზიკური ნიშან-თვისებების, ქცევითი მოდელების, უნარებისა და ინტერესების, სოციალური როლებისა და საქმიანობის შესახებ.

მასკულინური და ფემინური თვისებების ერთ-ერთი პირველი ჩამონათვალი შედგენილ იქნა ფსიქოლოგების ჯგუფის მიერ ბროვერმანის ხელმძღვანელობით ემპირიული კვლევის საფუძველზე (2).

მამაკაცის სტერეოტიპულ ხატში ფიგურირებს თვისებები, რომლებიც დაკავშირებულია, უპირველეს ყოვლისა, ქმედუნარიანობასა და აქტიურობასთან, ძალაუფლებასა და მართვის უნართან (მაგ., გადაწყვეტილების მიღების უნარი, თავშეკავებულობა, ძლიერება, პასუხისმგებლობა...). ქალს, პირიქით, არ მიეწერება ეს თვისებები, მას მიაწერენ პასიურობას, გადაწყვეტილების მიღების უნარის არ ქონას, მორჩილებას, უსუსურობას. კოგნიტურ სფეროში "მამაკაცური" რაციონალურობა, ობიექტურობა და ა. შ. უპირისპირდება "ქალურ" ირაციონალურობას, აღქმის არაკრიტიკულობას და თავად სისულელესაც კი. ემოციურ სფეროში მასკულინურად ითვლება თავშეკავებულობა, ცივსისხლიანობა, ხოლო ფემინურად - მგრძნობიარობა, ხასიათის ადვილი ცვალებადობა, შთაბეჭდილებიანობა. სტერეოტიპიზაციას ექვემდებარება ქალებისა და მამაკაცების სოციალური როლების სფეროც. მასკულინობა ტრადიციულად უკავშირდება საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას, ხოლო ფემინურობა - პრივატულ სფეროს (ოჯახი, სახლი, ყოველდღიური ყოფა, ბავშვების აღზრდა). მამაკაცი უპირველეს ყოვლისა აღიქმება როგორც მშრომელი და მოქალაქე, ხოლო ქალი-როგორც მეუღლე და დედა.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თავისებურება გენდერული სტერეოტიპებისა მდგომარეობს მათ მდგრადობაში. მაგალითად, თანამედროვე წარმოდგენები ქალების ემოციურობის შესახებ და შუა საუკუნეებში გაბატონებული აზრი, რომ ქალებს არა აქვთ საკუთარი გრძნობების გაკონტროლების უნარი, დაახლოებით იდენტურია, ისევე როგორც არ შეცვლილა ძალაუფლების დაკავშირება მამაკაცურ საწყისთან, რომელიც არის გონიერი, სამართლიანი და არ ექვემდებარება ემოციებს. ასევე არსებობს მსგავსება თანამედროვე სტერეოტიპებისა მამაკაცების დამოუკიდებლობის, ქმედუნარიანობისა და შუა საუკუნეების და ანტიკური ეპოქის წარმოდგენებისა იმის შესახებ, რომ მამაკაცი პასუხისმგებელია ქალის უპასუხისმგებლო, გაუაზრებელ საქციელზე. (4).

სტერეოტიპები, მიუხედავად მათი მდგრადობისა, მაინც არ არიან სრულიად უცვლელნი. მათი შინაარსი კორექტირდება სოციალური კონტექსტის მიხედვით, სუბიექტებისა და ობიექტების სტატუსური პოზიციების, ჯგუფებს შორის ურთიერთობათა მახასიათებლების მიხედვით.

იმ ფაქტორებს შორის, რომლებიც განაპირობებს ცვლილებებს მამაკაცებსა და ქალებზე წარმოდგენებს შორის, უნდა დასახელდეს კულტურის, სოციალური კლასის, რასის, ეთნიკურობის, პროფესიული სტატუსის, სექსუალური ორიენტაციისა და კიდევ ბევრი სხვა მახასიათებლის გავლენა.

განსაკუთრებით ხშირია გენდერული სტერეოტიპების მოდიფიცირების ეთნიკურ/რასობრივი ფაქტორის კვლევები. მაგალითად, აშშ-ში განსხვავდება შავკანიანი და თეთრკანიანი მამაკაცების აღქმა. პირველები მიჩნეულია ნაკლებად კომპეტენტურებად, ნაკლებად დამოუკიდებლებად, ნაკლებად ქმედუნარიანებად, ხოლო შავკანიანი ქალები,

პირიქით, უფრო აქტიურებად, დამოუკიდებლებად და ნაკლებად ემოციურებად, ვიდრე თეთრკანიანი ქალები, რაც დაკავშირებულია შავკანიანი ქალების ისტორიულად ბევრად უფრო აქტიურ როლთან შრომით ბაზარზე (1).

გენდერული სტერეოტიპების კორექტირებისათვის არანაკლები მნიშვნელობის არის ასაკობრივი ფაქტორი. მაგალითად, ვინაიდან ასაკთან ერთად ქალები მეტად ქმედუნარიანები ხდებიან, ფემინურ სტერეოტიპში შედის ცვლილებები, დაკავშირებული მათი მოღვაწეობის, აქტიურობისა და სოციალური მდგომარეობის შეფასებასთან. სტერეოტიპის მოდიფიკაცია ხდება ასევე სქესობრივი ორიენტაციის, კლასობრივი მიკუთვნებულობის (დაბალი კლასის ქალი ხშირად ხასიათდება როგორც ბევრად უფრო პასიური და უპასუხისმგებლო, ვიდრე საშუალო კლასის წარმომადგენელი) მიხედვით.

გენდერული სტერეოტიპების დინამიურობა დაკავშირებულია ასევე იმასთან, რომ სხვა სტერეოტიპების მსგავსად ისინიც იცვლებიან სოციალური წარმოდგენებისა და ნორმების ცვლილებებთან ერთად. დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა საყოველთაოდ არსებული წარმოდგენა მამაკაცზე როგორც ერთადერთ მარჩენალზე და ოჯახის დამცველზე, ხოლო ქალზე, როგორც სუსტ და დაუცველ არსებაზე. ეს კი განპირობებულია უახლეს ეპოქაში სოციალურ ცხოვრებაში ქალების როლის მკვეთრი ზრდით.

აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება, რომელიც გავლენას ახდენს მამაკაცებისა და ქალების აღქმაზე სტერეოტიპული წარმოდგენების ფარგლებში.

სტერეოტიპებში ორი სტატუსის ხაზგასმა (საქმიანი ქალი, ქართველი ქალი, შავკანიანი ქალი-ადვოკატი, ქართველი დედა...) არ გულისხმობს შესაბამისი შემადგენლების მახასიათებლების ავტომატურ შეკრებას. იქმნება ერთგვარი განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომელიც ნაწილობრივ ემთხვევა ორივე შემადგენელს, თუმცა შეიძლება დაემატოს დამატებითი მნიშვნელობები. ასე მაგალითად, სტერეოტიპული წარმოდგენა შავკანიანი ქალი ადვოკატების შესახებ, რომელსაც იზიარებს თანამედროვე ამერიკელების უმრავლესობა, გულისხმობს, რომ ისინი მზად არიან აქტიურად იბრძოლონ ღარიბი ქალების უფლებებისათვის, ანუ მათ მიაწერენ თვისებას, რომელიც აუცილებლად არ ასოცირდება არც ქალის, არც შავკანიანი, არც ადვოკატის კატეგორიებთან. ეს ფაქტი აძლევს მეცნიერებს საფუძველს, რომ გამოყონ იმ სოციალური ჯგუფების სტერეოტიპების განსაკუთრებული სახეობები, რომლებიც ეფუძნება რამდენიმე სოციალურ სტატუსს. ისინი თვლიან, რომ აღნიშნულ სოციალურ ჯგუფებს მიეწერება სრულიად განსაზღვრული, მყარი და ბევრის მიერ გაზიარებული თვისებები, რომლებიც არ წარმოადგენს თითოეული სტატუსის მახასიათებლების ჯამს. აღნიშნული საშუალებას იძლევა რომ ვილაპარაკოთ მათ სტერეოტიპიზაციაზე.

გენდერული სტერეოტიპების გამოყენება ერთი და იგივე ადამიანების მიმართ განსხვავდება ასევე სოციალური სიტუაციის მიხედვით: ერთ შემთხვევაში ქალ-ოფიცერს ადარებენ მამაკაც-ოფიცერს, ხოლო სხვა შემთხვევაში - ქალ-აღმზრდელს. ცხადია, რომ მეორე შემთხვევაში მას ჩათვლიან უფრო ქმედუნარიანად. სოციალურ კონტექსტზე არის ასევე დამოკიდებული სტერეოტიპული თვისებების შეფასებაც. ასე მაგალითად, "ქალური სირბილე" შეიძლება შეფასებულ იქნეს პოზიტიურად ან ნეგატიურად იმისდა მიხედვით, ამ მარკერის ხმარება ხდება ქალი-პოლიტიკოსის თუ ქალი-აღმზრდელის ან დიასახლისის მიმართ.

შეიძლება დავასკვნათ, რომ მასკულინობისა და ფემინურობის ცნებები საკმაოდ დინამიურია, ცვლილებები მათში დაკავშირებულია საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებებთან და ისინი კულტურულად არის განპირობებული.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. Basov S. A. Gender Stereotypes and Roles. Pacific Grove, 1992.
2. Broverman I., Vogel S. R., Broverman D. M., Clarkson F. E., Rosenkrantz P. S., Sex role Stereotype: A Current Appraisal// Journal of social Issues. 1972. № 28 (2).
3. 3.Landrine H. Race and Class Stereotypes of Women//Sex Roles. 1985. Vol.13(1-2).
4. Рябова Т. Б. Женщина в истории западноевропейского средневековья. Иваново, 1999. гл. 1, 211 с.


**მაია თევზაძე**

**გენდერული სტერეოტიპების მოდიფიცირების ფაქტორები**

**რეზიუმე**

გენდერული სტერეოტიპები, მიუხედავად მათი მდგრადობისა, მაინც არ არიან სრულიად უცვლელნი. მასკულინობისა და ფემინურობის ცნებები საკმაოდ დინამიურია, ცვლილებები მათში დაკავშირებულია საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებებთან და ისინი კულტურულად არის განპირობებული. მათი შინაარსი კორექტირდება სოციალური კონტექსტის მიხედვით, სუბიექტებისა და ობიექტების სტატუსური პოზიციების, ჯგუფებს შორის ურთიერთობათა მახასიათებლების მიხედვით.

**Maya Tevzadze**

**Factors that Contribute to Modification of Gender Stereotypes**

**Summary**

In spite of their sustainability, gender stereotypes are not completely immutable. The notions of femininity and masculinity are quite dynamic, changes that appear in them are linked with the changes in society and they are influenced by culture. Their concept it adjusted to social context, positions of subject and object and characteristics of intergroup communications.

**Майя Тевзадзе**

**Факторы, обусловливающие модифицирование гендерных стереотипов**

**Резюме**

Гендерные стереотипы, несмотря на их устойчивость, обладают всё-таки некоторой динамичностью. Маскулинность и фемининность, это понятия довольно динамичные, их изменения взаимосвязяны с изменениями, происходящими в социальной жизни общества и они культурно обусловлены.

მაია თევზაძე
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ნინო სანაია
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

## ენობრივი სტერეოტიპები და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები

ადამიანთა წარმოდგენები სამყაროს შესახებ ყოველთვის პირობითი და მრავალფეროვანია და დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ კულტურაში დაიბადა და ფორმირდებოდა მისი აზროვნება.

დღეს არსებულ სახელმწიფოებსა და ერებს, ყველას აქვს თავისი ენობრივი და კულტურული თავისებურებები, საკუთარი ცხოვრების წესი, ზნე-ჩვეულებები, ტრადიციები. სწორედ მათზე დაყრდნობით ფორმირდება ერის გარკვეული სახე, ჩვენი წარმოდგენები ამა თუ იმ ეროვნებაზე.

სხვადასხვა დარგის მეცნიერები თანხმდებიან, რომ სტერეოტიპი ეს არის სქემატური, სტანდარტიზებული ხატი ან წარმოდგენა სოციალური მოვლენისა თუ ობიექტის შესახებ, ჩვეულებრივ ემოციურად შეფერილი და ძლიერი მდგრადობის. სტერეოტიპები საშუალებას აძლევს ადამიანს რომ შეიქმნას წარმოდგენა სამყაროზე, გავიდეს თავისი ვიწრო სოციალური, გეოგრაფიული თუ პოლიტიკური გარემოცვის ფარგლებს გარეთ.

მიუხედავად იმისა, საფუძვლიანია თუ უსაფუძვლო, ჭეშმარიტებას შეიცავს თუ მცდარია, სტერეოტიპები ყოველი კულტურის განუყოფელ ელემენტს წარმოადგენს და თავად მათი არსებობის ფაქტითაც უზარმაზარ გავლენას ახდენს ადამიანთა ფსიქოლოგიასა თუ ქცევაზე, მათ ცნობიერებასა თუ ეროვნებათაშორის კონტაქტებზე.

ადამიანის მიერ სტერეოტიპების ფორმირება და ათვისება სხვადასხვა გზით შეიძლება მოხდეს. უპირველეს ყოვლისა, სტერეოტიპების ათვისება ხდება სოციალიზაციისა და ინკულტურაციის პროცესში. ჩვევას იმისა, რომ სხვებზე, ე. წ. გარე ჯგუფებზე, გვქონდეს გარკვეული წარმოდგენა, ჩვენ ვიღებთ სულ პატარაობიდან, შემდგომ ფიქსირდება და ძალიან ძნელად იცვლება. ეს ეხება არა მარტო გარე ჯგუფის შესახებ ჩვენს წარმოდგენებს, არამედ წარმოდგენას იმის შესახებ, თუ როგორ გამოიყურება თავად ჩვენი ჯგუფი სხვების თვალში.

განსაკუთრებული ადგილი სტერეოტიპების ფორმირებაში უკავია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს. მათი შესაძლებლობები სტერეოტიპების ფორმირების საკითხში უშრეტია როგორც მასშტაბებით, ასევე ძალით. ადამიანთა უმრავლესობისათვის პრესა, რადიო, ტელევიზია ინფორმაციის ფრიად ავტორიტეტულ წყაროს წარმოადგენს, მათი შეხედულება სწრაფად იქცევა მაყურებელთა, მკითხველთა შეხედულებად. აქედან გამომდინარე, თავად პირადი კონტაქტის არქონის დროსაც კი ადამიანები უცხოებს მიაწერენ როგორც ფიზიკურ, ასევე ხასიათის მკვეთრად ფიქსირებულ ნიშან-თვისებებს.

შეგვიძლია გამოვყოთ ის ძირითადი მიზეზები, რომლებიც განაპირობებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ამდენად დიდ გავლენას სტერეოტიპების ფორმირებაში.

ბევრისათვის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები წარმოადგენს ავტორიტეტული აზრის წყაროს, რომელიც არ ექვემდებარება კრიტიკულ შეფასებას. ეს ხდება, როგორც წესი, მაშინ, როდესაც ინდივიდი არ ფლობს საკმაო ცოდნას იმისათვის, რათა ჰქონდეს საკუთარი აზრი, შეხედულება და განწყობა გარკვეული მოვლენების მიმართ.

დიდი მნიშვნელობა აქვს ინფორმაციის წყაროს სტატუსს. აშკარაა ადამიანებზე ცნობილი პოლიტიკოსის ან საზოგადო მოღვაწის ინფორმაციული ზემოქმედების ძალა და შედეგი. რაც უფრო მაღალია ინფორმაციის წყაროს ავტორიტეტი, უფრო დიდია მის მიმართ აუდიტორიის ნდობა. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მსმენელები ან მკითხველები მიწოდებულ ინფორმაციას კრიტიკულად აღიქვამენ, ის მათ ცნობიერებაში მაინც ილექება.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ავტორიტეტი განპირობებულია ასევე მათი უნარით, რომ ადამიანი გაათავისუფლოს პასუხისმგებლობისაგან მიღებულ გადაწყვეტილებაზე. ყოველთვის, როდესაც ადამიანი ყოყმანობს გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მისი საბოლოო არჩევანი განპირობებულია ხოლმე ავტორიტეტის მიერ გად-

აწყვეტილების ერთ-ერთი ვარიანტის მოწონებით. ამ შემთხვევებში ადამიანი არ განიცდის შინაგან კონფლიქტს თავისი გადაწყვეტილების შედეგების გამო და ითავისუფლებს თავს ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან. მიღებული გადაწყვეტილების შედეგად ინდივიდს უქრება როგორც თავისი მომდევნო ქცევისადმი კრიტიკული დამოკიდებულება, ასევე შფოთვითი მოლოდინი შესაძლებელი შედეგების გამო. მას ყველაფერი წარმოუდგება როგორც სწორი და სამართლიანი, ვინაიდან, მისი აზრით, იგი მოქმედებს „ავტორიტეტის სანქციით“. ასეთ შემთხვევაში მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გავლენას ხშირად ადარებენ ხოლმე მასობრივ ჰიპნოზს.

ამ მხრივ საინტერესოა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების როლი სტერეოტიპების ერთ-ერთი ტიპის, გენდერული სტერეოტიპის გავრცელებაში.

გენდერულ სტერეოტიპებს იღებს საზოგადოების ყველა წევრი, ვინაიდან, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ შეგნებულად ვცდილობთ  მათზე ვთქვათ უარი, მაინც ხშირად მათ შესაბამისად ვიქცევით და ვხედავთ, რომ სხვებიც ანალოგიურად იქცევიან ყოველდღიურ ყოფაში, სადაც მამაკაცებსა და ქალებს მიკუთვნებული აქვთ სრულიად უთანასწორო როლები და სტატუსი. ასევე ხდება გენდერული სტერეოტიპების ტირაჟირება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, საიდანაც ხშირად მცდარი წარმოდგენები მაინც იჭრება ჩვენს მსჯელობებსა და შეხედულებებში, თუმცა ჩვენ ამას ნაკლებად ვაცნობიერებთ.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში მოცემული გენდერული სტერეოტიპები განუყოფელია ქალის შესახებ არსებული ხატისაგან, მისი დანიშნულების იდეისაგან, რომელიც ბატონობს გარკვეულ საზოგადოებაში ამა თუ იმ პერიოდში.

სტერეოტიპები ჟურნალისტიკაში შეიძლება გავიგოთ როგორც მდგრადი განზოგადებული და გამარტივებული წარმოდგენები სინამდვილის მოვლენების შესახებ, რომლებიც მყარად არის გამჯდარი აუდიტორიის ცნობიერებაში. ასევე ისინი წარმოადგენს მედიაში ჟურნალისტის მიერ გარესამყაროს აღქმისა და ასახვის ერთ-ერთ საშუალებას.

გენდერული სტერეოტიპები ფორმირდება პირადი ცხოვრებისეული გამოცდილებისა და გარეშე წყაროებისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე. ისინი აგრეთვე შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ქალისა და მამაკაცის ურთიერთდამოკიდებულების შეცნობისა და ასახვის ერთ-ერთი საშუალება, რაც ხორციელდება იმ ხატებისა და დისკურსების დახმარებით, რომლებიც გვხვდება მედია სივრცეში.

გენდერული სტერეოტიპები მედია სივრცეში ხასიათდება დინამიურობით, ვინაიდან წარმოადგენს შემოქმედებითი აქტისა და გააზრების შედეგს.

სტერეოტიპული გენდერული ხატები პრესაში, როგორც წესი, ასახავს მასების მდგრად წარმოდგენებს ქალებისა და მამაკაცების დანიშნულებისა და სოციალური ფუნქციების შესახებ.

თანამედროვე მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, ჟურნალისტების ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ თავიდან აიცილონ გენდერული სტერეოტიპების ხმარება, დაამსხვრიონ მოძველებული სტერეოტიპები, გაიაზრონ თუ რა არის მათი წყარო, შეიმუშაონ მათი შინაარსის შეფასებისა და ჟურნალისტურ პრაქტიკაში გამოყენების ჩვევები, ასევე აღიქვან და ასახონ ის ხატი, რომელიც არის დროისა და ეპოქისათვის დამახასიათებელი, ვინაიდან მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ძირითადი ფუნქცია მდგომარეობს არსებული ნორმებისა და ფასეულობების, მათ შორის ახალი, კორექტული, მასკულინობისა და ფემინურობის შესახებ სინამდვილის შესაბამისი წარმოდგენების გავრცელებასა და სოციალურ ათვისებაში.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. Basow S. A. Gender Stereotypes ands Roles. Pacific Grove, 1992,
2. Schneider D. J. The Psychology of Stereotyping. N. Y. L., 2004.
3. Горошко, Е. И. Языковое сознание: гендерная парадигма /Е.И. Горошко// Методологиа современной психолингвистики: сб. научн. тр.М., 2003.
4. Смирнова О. В. Гендерная проблематика //Проблематика СМИ. М., 2008.


**მაია თევზაძე, ნინო სანაია**

**ენობრივი სტერეოტიპები და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები**

**რეზიუმე**

სტერეოტიპები ყოველი კულტურის განუყოფელ ელემენტს წარმოადგენს და უზარმაზარ გავლენას ახდენს ადამიანთა ცნობიერებაზე, ფსიქოლოგიასა თუ ქცევაზე. განსაკუთრებული ადგილი სტერეოტიპების ფორმირებაში უკავია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს. ამ მხრივ საინტერესოა მათი როლი სტერეოტიპების ერთ-ერთი ტიპის, გენდერული სტერეოტიპის ფორმირებასა და გავრცელებაში.

**Maya Tevzadze, Nino Sanaia**

**Languige Stereotypes and Mass Media**

**Summary**

Stereotypes are an integral part of every culture and they have an enormous influence on peoples consciousness, psychology and behavior. Mass media has a particular role in forming stereotypes. In this respect, the role of mass media in forming gender stereotypes is a matter of interest.

**Майя Тевзадзе, Нино Саная**

**Языковые стереотипы и средства массовой информации**

**Резюме**

Стереотипы представляют неразделимый элемент каждой культуры и оказывают огромное влияние на человеческое сознание, психологию и поведение. Особое место в формировании стереотипов занимают СМИ. В этом отношении интересна их роль в формировании и распространении гендерных стереотипов.

**ლალი ურდულაშვილი**
**თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი**

## გურამ დოჩანაშვილის „სამოსელი პირველის“ სახისმეტყველური გააზრებისათვის

გურამ დოჩანაშვილის „სამოსელი პირველი“ გამორჩეული, საგანგებოდ ოლესავით ცალკე მდგომი რომანია მეოცე საუკუნის ქართულ ლიტერატურულ სივრცეში. ნაწარმოები იდეური მონუმენტურობისა და უნივერსალიზმის გამო აქსიოლოგიურ ნიშანსვეტს წარმოადგენს ქართულ რომანისტიკაში. აქ ერთი იდეის გარშემო შემოკრებილია ყველა თემა, რომელიც მარადგანახლებადი ცხოვრებისეული საზრისის მქონეა თითოეული ადამიანისათვის; გადმოცემულია პიროვნების მიერ განვლილი გზა, ჯოჯოხეთიდან თავდაღწეული, კვლავ მიწაზე დაბრუნებული, ხელახლა დაბადებული კაცისა, რომელმაც იონასავით ვეშაპის მუცელში „იმოგზაურა“ და ათუხთუხებულ ცოდვათა მორევიდან მეორედ იშვა ფერშეცვლილი, სიბრძნით დაუნჯებული.

არაერთი გამოკვლევა და სამეცნიერო წერილი მიეძღვნა გ. დოჩანაშვილის ამ რომანს. ძირითადი ყურადღება ექცევა ნაწარმოებში ბიბლიური პლასტების წარმოჩენას და მთავარი პერსონაჟის–როგორც ინდივიდუმის–გაერთმთლიანებას ღმერთთან და სამყაროსთან.

რომანის არაერთ მოტივთან ერთად, ძალზე საინტერესოა სახისმეტყველური გააზრება ცალკეული ადგილებისა, რომლებიც თავისი რაფინირებულობით შთამბეჭდავსა და ძნელად დასავიწყებელს ხდის მას.

სიყვარულის კაქტუსი–ამ საოცარი შესიტყვებით გადმოიცემა ის მარადიული და მძლეთამძლე გრძნობა, რომელიც დედამიწას ატრიალებს და ღვთაებრივ და ადამიანურ სინერგიად კონცენტრირდება გმირის არსებაში.

რომანი სახარებისეული უძღები შვილის იგავით არის ნასაზრდოები. შვილიმშობლის მემკვიდრე–მზრუნველი და ყოვლისმხედველი მამის სიმდიდრით ზურგდამძიმებული მიდის მშობლიური სახლიდან, რათა მოიაროს ხმელეთის კიდითკიდემდე გზა–სავალი და თვით ამქვეყნიური ჯოჯოხეთიც მოინახულოს, ეზიაროს ცხოვრების ტკბილ–მწარე გემოს, განვლოს არაერთი განსაცდელი და მაინც ცოცხალი და ხორცზე გამარჯვებული, სულიერად ამაღლებული, თუმცა ქონებაგანიავებული, დაუბრუნდეს მშობლიურ კერას.

მამის სახე ორპლანიანია რომანში. არა მხოლოდ რეალური, ბიოლოგიური მამის სახებაა ის ლაქა, რომელსაც დომენიკო ყოველთვის ხედავს თავს ზემოთ, ეს არის სახე–ხატი, ხატება შემოქმედი მამისა, რომელიც მშობელი მამის სახედ ასოცირდება გმირის წარმოსახვაში. ის მუდამ ჟამს თან დაჰყვება რომანის მთავარ პერსონაჟს. როგორც თავად მწერალი ბრძანებს, ეს ის ძალაა, რომელიც ყველას გვადგას, ოღონდ ძალიან ხშირად არც ვიცით ხოლმე; ეს ის სიმბოლური მდინარეა, რომელიც ყველა ჩვენგანს საკუთარი აქვს.

მგზავრი, წამოსული თავისი მაღალი სოფლიდან (რასაც სიმბოლური მნიშვნელობა აქვს), ბიბლიური პერსონაჟივით მიმო დაივლის ყველა ტიპის საცხოვრისს. მას ვხედავთ არისტოკრატებით, მეძავებითა და გიჟებით დასახლებულ ლამაზ–ქალაქში, იგი აღმოჩნდება კაციჭამია ჟაგუნსოებითა და გაუგონარი სისასტიკით გაჟღენთილ კამორაში, ასევე ხვდება თავისუფლებისმოყვარე, უბრალო, მაგრამ მდიდარი სულის, კეთილშობილ კაცთა სამკვიდროში, სადაც სიწმინდის ფერით–თეთრად შეღებილ გლეხურ ქოხებში დავანებული ადამიანები ჭეშმარიტ სიყვარულსა და სიცოცხლის ხალისს ეზიარებიან. ხალასი უბრალოებით, ამაღლებული ესთეტიზმით არის აღწერილი ავტორის მიერ დიდი კანუდოსელების ხელით ნაგები თეთრი ქალაქი. სიმშვიდის, სიკეთის, სიყვარულის, ურთიერთპატივისცემის ატმოსფერო გამეფებულა ირგვლივ და მკითხველიც ამ უბრალო დიდებულების, მშვენიერების თანამოზიარეა.

ათას ჭირგამოვლილი გმირი ღორების კოლტის მწყემსი და მათი სალაფავის ნატრული ხდება. უდიდესი ნებისყოფის ფასად ის ამარცხებს საკუთარ ხორციელ–

ადამიანურ სურვილს–დანაყრდეს ცხელი კერძით, რაც მის სულიერ დაღუპვას მოასწავებს. რომანის ეს პასაჟი ქმნის ალუზიას ვაჟა–ფშაველას „ალუდა ქეთელაურთან“, სადაც ალუდა სიზმარში ხედავს კაცის წვენ–ხორცით შენელებულ წვნიანს, რომლის მიღებასაც მას აძალებენ. ალუდამ გაუძლო ცდუნებას, არ მიეკარა შეთავაზებულ კერძს და გადარჩა სულიერად. დომენიკოსაც ჰყოფნის შინაგანი ძალა დაითმინოს უკიდურესი შიმშილი და სულიერად განწმენდილი, მაგრამ ფიზიკურად დაშრეტილი, დამსახურებულად შეეფაროს მამის თბილ წიაღს, აღმოაჩინოს ხელახლა და სხვა სიღრმით საკუთარი „მე“.

„ნურაფრის გეშინია“,– სამყაროული სიძლიერით ჩაესმის დაჩოქილ დომენიკოს მამის სიტყვები, მამისა, რომელმაც კარგად უწყის, რაც თავს გადახდა დაკლაკნილ გზებზე. და მამა, შინმობრუნებულ ძეშეცდომილს გულზე ჰკიდებს დიდ ამეთვისტოს– „ცეცხლმოუდებელ, მეუფიან ქვას“.

ვფიქრობთ, ეს კანაფზე დაკიდებული ამეთვისტო არის ალეგორიულად სახე–სიმბოლო ქრისტიანული ჯვრისა. ცხოვრების უმძიმეს მომენტებში სასოწარკვეთილი გმირისათვის ზემოდან მზირალი ლაქა ღმერთის სახე–ხატია, ხოლო მოციაგე დიდი ამეთვისტო, რომელიც არც ცეცხლში იწვის და ნათელს გამოსცემს, არის ქრისტიანული ჯვარი თავისი შინაარსითა და საკრალური მნიშვნელობით. ჯვარსახოვანი ცხოვრების სიმბოლოა თავად გმირი, მუდამ თანმხლები ღვთიური სახებისკენ თვალაპყრობილი და მიწიერ ცოდვათაგან მიწამდე დაზიდული.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ მამა დომენიკოს სამჯერ აძლევს სამოსელს. დამაფიქრებელია, რომ სამოსელი ერთია, მაგრამ სამსახოვანი. პირველად მამამ იგი სიცოცხლის სახით უწყალობა თავის შვილს (ბიბლიურად მამამ შთაბერა სული ადამს), მეორედ მამამ თავისი ქონება სრულად გადასცა დომენიკოს და მიანიჭა განკარგვის უფლება (ასევე ღმერთმა უბოძა თავისი შექმნილი ქვეყანა ადამიანს), ხოლო მესამედ გულზე დაჰკიდა მოციაგე ამეთვისტო, რომელიც სახისმეტყველურად, ვფიქრობთ, არის სიმბოლო ქრისტიანული ჯვრისა.

როგორც შენიშნავენ, გმირმა იმოგზაურა სამივე სკნელში–დაეშვა მაღალი სოფლიდან, რაც, შესაძლოა, სულიერების უმაღლეს საფეხურს განასახიერებდეს, შემდეგ გმირი მიდის შუასკნელში – ლამაზ – ქალაქში (რეალურად ამქვეყნიურ ცხოვრებაში), იქიდან კი ეშვება ქვესკნელში – ჯოჯოხეთის გეენიაში (კამორაში), რათა სიკვდილს ნაზიარები კვლავ აღდგეს და სულიერად ფერშეცვლილი, განწმენდილი და ამაღლებული, დაუბრუნდეს პირველ სამყოფელს–მამას, ორსახოვანს, მშობელსა და სამყაროს შემოქმედს, ყოვლად მოწყალესა და სამოცდაათჯერ შვიდგზის ცოდვათა მიმტევებელს. ამას კი ახერხებს დომენიკო იმ ფიზიკური გვემით, შიმშილითა და არაადამიანური შრომით, რასაც ღორების მწყემსვა ჰქვია. ის ზეადამიანური ძალების დაძაბვით უძლებს ხორციელ ტკივილებს, რათა ამ უსაშველო ტკივილიდან იშვას სრულიად ახალი პიროვნება. მარად მომლოდინე მამა სიყვარულით იკრავს გულში ძეს და მიუბოძებს სამოსელ პირველს.

მამა ეუბნება დომენიკოს, რომ სამოსელი პირველი არის სიტყვა. სახისმეტყველურად სიტყვა–იგივე ლოგოსი– მამისგან მოვლინებული განკაცებული ღმერთი, იესო ქრისტეა, რომლის სიმბოლური განსახოვნებაც არის დედამიწაზე ჯვარი, ხოლო მამის მიერ კანაფით კისერზე დაკიდებული ამეთვისტო, რომელსაც მწერალი სამეუფოს უწოდებს, სწორედაც სიმბოლური ჯვარია, რომელიც მუდამ უნდა ატაროს დომენიკომ ნიშნად ღვთაებრივი მფარველობისა და მორჩილებისა.

მამამ იცის და ალბათ უკვე დომენიკომაც, რომ ჯვარი, რომელსაც მოიხსნი და მიაყუდებ, არ არის ჯვარი; ჯვარი ის არის, სულ რომელიც უნდა ატარო. მგზავრმა, სამივე სკნელგამოვლილმა, უკვე შეგნებულად უწყის, რომ მისი ჯვარი–ამეთვისტო, მუდამ მოციაგე და ცეცხლში დაუწველი, სულიერი ნათლისა და შეუწველი მაყვლის საკრალურობის ტოლფასია. სწორედ მამისაგან იღებს გმირი ჯვარ–ამეთვისტოს, როგორც ერთადერთ სწორ და ჭეშმარიტ გზას, მიმართულებას ცხოვრების ხიდზე გავლისა. ამიერიდან მან ეს ჯვარი პატივით, სიმდაბლითა და რუდუნებით უნდა ატაროს, რამეთუ

იგია გზა და იგია ჭეშმარიტება. ამიერიდან დომენიკომაც ზუსტად იცის, რომ, როგორც დავით გურამიშვილი იტყოდა, უნდა „სულსა ულოცოს, უწიროს“.

მამა სახელად დომენიკოს არქმევს თავის უძღებ შვილს „სიტყვებიდან დომინუს, დომინიონ, დომენ“და დომენიკოც, მარად ახალი მდინარის პირას მჯდარი, სიბრძნით სავსე და კვლავ უამრავი თავგადასავლის მომლოდინე, დაფიქრებული გასცქერის მდინარის გაღმა ნაპირს. თავისთავად, ამ ფაქტსაც სახისმეტყველური დატვირთვა აქვს. მდინარის ზვირთთა დინება ცხოვრების გაგრძელებას ნიშნავს, ხოლო სამეუფო ჯვარი–ამეთვისტო ღვთიური მადლის ტარებისა და ღვთის გზით სიარულის მაუწყებელია. ამიერიდან დომენიკომ იცის, რა გზით უნდა გაიაროს შემდგომი ცხოვრება. ის არის ერთგვარი პარადიგმა წუთისოფელს ადევნებული ნებისმიერი მგზავრისა.

მშვენიერისა და ამაღლებულის თანაშერწყმაა ანა–მარიას სახე რომანში. მისი ამაღლებული პერსონაჟი სრულიად განცალკევებით დგას. თუ ზე მორეირას ცოლი მარიამი ოჯახური სითბოსა და სიყვარულის მიწიერი განსახოვნებაა, ანა–მარია განსაცვიფრებელი მუსიკალური ნიჭით ღვთისგან ხელდასხმული არსებაა, რომელსაც უყვარს დომენიკო, მაგრამ სულიან–ხორციანად ხელოვნებას ეკუთვნის. იგი მუსიკის უსაზღვრო ჰანგებში ჩაღვრილი არსია, რომელიც ვერასდროს გახდება დომენიკოს–თავისი ქმრის– სულიერ–ხორციელი მესარეცლე, რადგან კონსტანტინე არსაკიძისა არ იყოს, ხელოვნებისათვის შეუწირავს ნატიფი სული. ანა–მარია უმაღლესი ჰარმონიით შერწყმულია თავის ვიოლინოს. იგი გამორჩეულია ირგვლივ მყოფი საზოგადოებისაგან და, როგორც ხშირად ხდება ხოლმე ასეთ შემთხვევებში, საზოგადოებისათვის თითქმის სრულიად უცხოა. ანა–მარიას განსხვავებულობას აღიქვამენ ლამაზ–ქალაქელები, თუმცა ვერავინ აცნობიერებს მის სულიერ აღმატებულობას, გამორჩეულობას. ავტორი საგანგებოდ ქმნის ამ სახეს, რომელიც თვით ყველაზე ახლობელი ადამიანისათვისაც ბოლომდე მიუწვდომელი რჩება. დომენიკოც იმ საზოგადოების ნაწილია და ამიტომ მისთვისაც გაუგებარი და ამოუცნობია ანა–მარია. მხოლოდ ავტორისათვის არის გასაგები მისი სულიერი წილნაყარობა ზეშთა ნათელთან, ამიტომაც არის მხოლოდ ანა–მარიასი მოციაგე ქვა ამეთვისტო. საინტერესოა ის ფაქტი, რომ სწორედ ანა–მარიას აღსრულების შემდეგ მიდის დომენიკო კამორაში–ანუ ჯოჯოხეთში, რათა ინიციაციაგავლილი, სულიერად განწმენდილი დაუბრუნდეს თავის მაღალ სოფელს.

რომანის ნარატივი აღსავსეა მოქმედებათა განვითარების დინამიზმით, მოულოდნელობითა და შედეგთა სიმძაფრით.

ესთეტიკურად სრულქმნილი და ამაღლებულია კონსელეირო მენდეს მასიელის მხატვრული სახე. იგი თითქოს ანტიკურ ქანდაკებას ჰგავს, ნებისმიერი რაკურსიდან სრულყოფილად იხილვება. თუმცა მწერალი არსად აფიქსირებს თავის პოზიციას აღნიშნული გმირის მიმართ, მაგრამ მაინც ადვილად საცნაურდება მკითხველისათვის ავტორის დამოკიდებულება. მენდეს მასიელი არის იდეალური მმართველი თავისი ხალხისა, რომელსაც გულწრფელად უყვარს იგი. კონსელეიროს სახით მწერალი გვიხატავს თავისუფლებისათვის მებრძოლ, ხალხის ჭირ–ვარამის მოზიარე, სხვისი სიხარულით გახარების უნარით დაჯილდოებულ, სამართლიან, სიტყვისა და საქმის ერთგულ პიროვნებას, რომლის მსგავსიც გამოადგებოდა იდეალურ წინამძღოლად ნებისმიერ ერს. განსაკუთრებით შთამბეჭდავია მენდეს მასიელის სახე კანუდოსის დაცემის წინა ეპიზოდში, სადაც კონსელეირო უკანასკნელი რჩევა–დარიგებისა და მითითებების შემდეგ, გულშეძრული კანუდოსელთა გარდაუვალი უბედურებით, უსულოდ განერთხმება კანუდოსის მიწას.

თავისუფლების მაძიებელი, კეთილშობილი ზე მორეირა სუფთა სინდისისა და ვაჟკაცობის სიმბოლოა რომანში. მისი პერსონაჟის პარალელურად მწერალი გვიხატავს მხიარულ, საზრიან, საარაკო ვაჟკაცობის მქონე ახალგაზრდა მწყემსს–მანუელო კოსტას, რომელიც ენით აუწერელი სისასტიკის მსხვერპლი ხდება კამორაში, სანაცვლოდ კი იღებს მეგობრის–ზე მორეირას სიცოცხლეს. ასევე დაუვიწყარია „სამოსელი პირველის“ მრავალრიცხოვან გალერეაში დონ დიეგოს არტისტიზმით შეფარული მაღალზნეობრივი მხატვრული სახე. იგი ბოლომდე ერთგული რჩება კანუდოსელებისა; მისი აღსასრულიც–

საკუთარი ხელით შეკრულ ტივზე ვენების გადახსნა – არტისტული დრამატიზმით ისევე აღსავსეა, როგორც მისი ამქვეყნიური ყოფა.

აკაკი ბაქრაძე წერს, რომ სამოსელის გაყიდვით კაცმა მახვილი უნდა შეიძინოს სიყვარულის დასაცავად. ეს მახვილი წელს არ უმშვენებსო დომენიკოს, თუმცა ვინც სამოსელს ჰყიდის, მან მახვილი უნდა იყიდოს. გვინდა შევნიშნოთ, რომ სწორედ გაყიდული სამოსელის ფასად შეიძინეს კანუდოსელებმა იარაღი მტრისაგან თავდაცვის მიზნით, სწორედ იმ მიზნით, რომ დაეცვათ თავიანთი თავისუფლება და სიყვარული.

უდიდეს ესთეტიკურ სიამოვნებას განაცდევინებს მკითხველს პირველი თოვლის მოსვლის ეპიზოდი ლამაზ ქალაქში. ბედნიერია ყველა–დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, არისტოკრატი თუ მდაბიო, გიჟი თუ ჭკვიანი... და თოვლიც – თეთრი, ფაფუკი, ბუნების საოცრება, ლამპიონების შუქზე აელვარებული მსუბუქი ფანტელები, ამაღლებულის განცდასა და მშვენიერების შეგრძნებას იწვევს მკითხველში.

მიგვაჩნია, რომ ღრმად ესთეტიკურია ფინალური პასაჟი რომანისა. ატორტმანებული ხანძრის ბრიალში იწვის ძვირფასად მბრწყინავი და ყალბად მოციალე სამოსელი პირველის თვლები. ერთი მოსაზრებით, ეს თვლები არის მატერიალური სიმდიდრე მამისა, რომელსაც გადასცემს შვილს მოსახმარებლად თავისი შეხედულების მიხედვით. ეს არის სახარებისეული ტალანტი, რომელიც, შესაძლოა, განამრავლოს ან მოუხმარებლადაც დააბრუნოს შვილმა, ან სულაც „განვაჭროს" ბოლომდე. ამ შემთხვევაში დომენიკო ხარჯავს მამის მიერ ბოძებულ სიმდიდრეს იმისათვის, რათა შეიცნოს ცხოვრების არსი და უამრავ ჭირ–ვარამს ნაზიარები, სრულიად ხელცარიელი, მაგრამ სულით განწმენდილი, დაუბრუნდეს მამის კერას. საგულისხმოა, რომ ძვირფასი თვლები გაიგივებულია გამორჩეულ პიროვნებებთან, რომლებმაც თუნდ იოტისოდენა სიკეთით დაამახსოვრეს თავი დომენიკოს. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ნაწარმოების ყოველ ეპიზოდში, გიჟად შერაცხილი ალექსანდროს გამოჩენისას, ეს პერსონაჟი ამბობს ჭკვიანურს, სწორედ ის იფარავს დომენიკოს თავისი ძმის ხელით. ალექსანდროს მონათხრობი ყოველთვის ადამიანური სითბოთია სავსე და ჰუმანისტური იდეალების გამარჯვებას ემსახურება.

ნაწარმოების ენობრივი ქსოვილი ზუსტად ესადაგება ავტორის მიზანდასახულობას, ძირითადი სათქმელის მკითხველამდე მოტანას. გ. დოჩანაშვილის სამწერლო ენის მხატვრული თავისებურება არის თხრობის სიდინჯე, არისტოკრატული სისადავე და ყოველგვარი გადაჭარბებული მხატვრულ–გამომსახველობითი ძიებების გარეშე, ძალდაუტანებლად, ბუნებრივად მოტანილი სათქმელის სიდიადე. ამ მიმართებით შეუძლებელია არ გაგვახსენდეს ის ეპიზოდი, სადაც მანუელო კოსტას ხრიკებით ტყვეობიდან თავდახსნილი ზე მორეირა მენდეს მასიელს ცარიელ „წერილს" წარუდგენს. მკითხველი იძაბება იმის მოლოდინში, თუ როგორ გამოხატავს ავტორი კონსელეიროს პირით მწყემსის მიერ ჩადენილი საქციელით აღფრთოვანებას. ის კი აუღელვებელი ტონით, ერთი ფრაზით გადმოგვცემს მანუელო კოსტას უმაღლეს ზნეობრივ სიქველეს: „გადაურჩენიხარ, ზე".

რომანის მთავარი სათქმელი ავტორის მიერ სახისმეტყველურად გააზრებულ სათაურს უკავშირდება. წარმოდგენილი დისკურსის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ სამოსელი პირველი არის სიტყვა საქმესთან შეუღლებული (მსგავსად მაცხოვრის შეგონებისა–არა არს სიტყვა თვინიერ საქმისა და არა არს საქმე თვინიერ სიტყვისა). მან უნდა ააშენებინოს გმირს–პროტაგონისტს მრავალი ქვეყანა, ეს სამოსელი უნდა გადააფაროს და გადააწვდინოს ბევრზე ბევრ ადამიანს, რათა თავად შეიქნას უფრო მდიდარი, მაგრამ ტანჯული, უფრო გახარებული, მაგრამ განაწამები, უბედნიერესი უბედური... და თუმც სიძულვილიც უნდა შეეძლოს, მაინც ყოველთვის ახსოვდეს ის ლოგოსური ჭეშმარიტება, რომ „დედამიწას სიყვარული ატრიალებს, დომენიკო".

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ბაქრაძე ა., განყიდენ სამოსელი და იყიდენ მახუილი, ჟურნალი „მნათობი“, თბ., 1981, №10.
2. დათაშვილი ლ., „ძე შეცდომილის იგავი“ და გურამ დოჩანაშვილის „სამოსელი პირველი“, ჟურნალი „ფერისცვალება“, თბ., 2004, №1.
3. კიკვიძე ზ., „სამოსელი პირველის“ სივრცისა და დროის მითოსური ასპექტები, ჟურნალი „ცისკარი“, თბ., 1999, №9.
4. ნოზაძე ნ., თვითარჩევანი, ჟურნალი „ცისკარი“, თბ., 2002, №4.
5. ჩხეიძე პ., მწერალი და წარმოსახვა, ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“, თბ., 2010, №9 (113).
6. ხაჭაპურიძე ლ., სახე–სიმბოლოები გ. დოჩანაშვილის პროზაში, („სამოსელი პირველი“), ქართველური მემკვიდრეობა, ქუთაისი, 2005, №9.

**ლალი ურდულაშვილი**

**გურამ დოჩანაშვილის „სამოსელი პირველის“ სახისმეტყველური გააზრებისათვის**

**რეზიუმე**

გურამ დოჩანაშვილის რომანი „სამოსელი პირველი“ იდეური მონუმენტურობისა და უნივერსალიზმის გამო აქსიოლოგიურ ნიშანსვეტს წარმოადგენს მეოცე საუკუნის ქართულ ლიტერატურულ სივრცეში. რომანს საფუძვლად უდევს ბიბლიური ძე შეცდომილის იგავი.

არაერთი გამოკვლევა და სამეცნიერო წერილი მიეძღვნა გ. დოჩანაშვილის ამ რომანს. ძირითადი ყურადღება ექცევა ბიბლიური პლასტების წარმოჩენას ნაწარმოებში და მთავარი პერსონაჟის, როგორც ინდივიდუმის, გაერთმთლიანებას ღმერთთან და სამყაროსთან.

უაღრესად საინტერესოა სახისმეტყველური გააზრება რომანის ცალკეული ადგილებისა, რომლებიც თავისი რაფინირებულობით, დახვეწილი ესთეტიკური ხედვით, შთამბეჭდავსა და დაუვიწყარს ხდის მას. რომანის ნარატივი აღსავსეა მოქმედებათა განვითარების დინამიზმით, მოულოდნელობითა და შედეგთა სიმძაფრით. მოციაგე ამეთვისტო, რომელსაც მამა გადასცემს შვილს, ჩვენი აზრით, არის სულიერი ნათლის, ჯვრის სახე–სიმბოლო.

**Lali Urdulashvili**

**Esthetical Perception of the “First Raiment” by Guram Dochanashvili**

**Summary**

“The First Raiment” – a novel by Dochanashvili, represents an axiological symbol in the twentieth century Georgian Literature due to its notional monumentalize and universalism. The novel is based on the fable related to a Gospel Greedy Son.

A lot of scientific work and researches have been dedicated to the novel. The essential emphasis is placed on displaying the Biblical plots and on the union of the main character into the universe and the Savior.

It’s extremely exciting to look into certain quotations of the novel that make the piece of work very impressive and unforgettable due to its refined style and exquisite esthetical vision.

The narrative of the novel is full of dynamism through developing events, unexpected facts and thrilling consequences.

In our opinion, the twinkling amethyst that is inherited from father to his son is the symbol or spiritual light – the symbol of the Cross.

**Лали Урдулашвили**

**Теологическое осмысление романа Гурама Дочанашвили «Облачение первое»**

**Резюме**

Роман Г. Дочанашвили «Облачение первое» своей идейной монументальностью и универсализмом представляет собой аксиологический ориентир грузинского литературного пространства XX века. В основе романа лежит притча о Блудном сыне.

Данному роману Г. Дочанашвили посвящено множество исследований и научных писем. Основное внимание уделяется выдвижению в произведении библейских пластов и главных персонажей – как единение индивидума с богом и с вселенной.

Весьма интересны образные осмысления в романе отдельных мест, которые своим рафинированным, утончённым эстетичным видением делает его впечатляющим и труднозабываемым.

Наратив романа полон динамизмом развития действий, внезапностью и остротой последствий. Сияющий аметист, который отец передает сыну, как мы предполагаем, представляет собой духовный свет, образ-символ креста.

**ნაირა ბერია**
**ფილოსოფიის დოქტორი**

## სისწორისა და ჭეშმარიტების გაიგივების ფორმალიზმი

წერილობით ტექსტებში ან ზეპირ მეტყველებაში ხშირად ვიყენებთ აზრების გამომხატველ ტერმინებს, რომლებიც გარკვეულ მსგავსებაში მოდიან ჭეშმარიტებასთან, რის გამოც მათ შორის განსხვავებას ვეღარ ვამჩნევთ, ან შეგნებულად ასეთ სხვაობას მნიშვნელობას არ ვანიჭებთ და ჭეშმარიტებას და ამ ტერმინებს ლამის სინონიმური მნიშვნელობით მოვიხმართ; ასეთი ტერმინებია: სისწორე, სიმართლე, სიბრძნე. მაგალითად, ამა თუ იმ გამოთქმული აზრის მიმართ შეიძლება თქვან - ჭეშმარიტი აზრია; თქვან, რომ ეს მართალი აზრია, ან ის, რომ იგი ბრძნული აზრია. ამ ტერმინების ასეთი „თავისუფალი“ გამოყენება პრაქტიკულ ცხოვრებაში, როგორც წესი, არავითარ წინააღმდეგობას და გაუგებრობას არ იწვევს, მაგრამ აღნიშნული ტერმინების ზუსტად და დანიშნულებით გამოყენების პირობებში მათი აღრევა არ შეიძლება. ისინი სინონიმები არ არიან. ეს ტერმინები და მათთან ერთად სიკეთე და მშვენიერება, მართლაც კარგავენ ერთმანეთს შორის განსხვავებას, ოღონდ ღმერთის დონეზე. აქ ყველაფერი ჭეშმარიტებაში ერთიანდება. თვითონ ღმერთია ჭეშმარიტება.

აზრები აზროვნების მიერ იწარმოება. ამიტომ აზრი სხვაა და სხვა არის აზროვნება. ჭეშმარიტება გნოსეოლოგიური ტერმინია და იგი აზრის ნიშანია. სისწორე ლოგიკური ტერმინია და იგი აზროვნების ნიშანია. ჩვენი აზრები შეიძლება იყოს ჭეშმარიტი ან მცდარი. ჩვენ შეიძლება ვაზროვნებდეთ სწორად ან არასწორად. სწორია ის აზროვნება,

რომელიც ხორციელდება ლოგიკური ნორმების დაცვით, ხოლო აზროვნება, რომელშიც ადგილი აქვს ლოგიკური ნორმების უხეშ დარღვევებს - არასწორი აზროვნებაა. ესაა ალოგიკურობა. სწორი აზროვნება შემეცნების, ანუ ჭეშმარიტების მიღწევის აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა. მას უშუალოდ არ ევალება ჭეშმარიტებასთან მიყვანა და უშუალოდ არც მცდარობის დადგენა ევალება. ლოგიკის დანიშნულებაა აზრი, მცდარი იქნება იგი თუ ჭეშმარიტი, მთავარია სწორი აზროვნების შედეგი იყოს. სწორი აზროვნება ლოგიკური აზროვნებაა. ეს უკანასკნელი აზრებს შორის აუცილებლობითი კავშირების განხორციელებაა. ესაა სიტუაცია, როცა წინასწარ საფუძვლის (წანამძღვრების) სახით მოცემული გვაქვს გარკვეული აზრები (დებულებები) და იქიდან აუცილებლობით გამოგვყავს (ვასკვნით) ახალი აზრი (დებულება). სისწორე და ჭეშმარიტება ერთი და იგივე არაა. ამიტომ ეს ახალი აზრი შეიძლება ჭეშმარიტი, შეიძლება მცდარი იყოს, ანუ სწორი აზროვნება ახალი აზრის ჭეშმარიტება-მცდარობაზე „პასუხს არ აგებს". იგი „პასუხისმგებელია" იმაზე, რომ ახალი აზრი (დანასკვი) აუცილებლობით გამომდინარეობდეს ამოსავალი საფუძვლიდან (წანამძღვრებიდან). მაგალითად, თუ ამოსავალ საფუძვლად გვაქვს დებულებები: პირველი, - ყველა ცოცხალი არსება მოკვდავია; მეორე, - ქვა ცოცხალი არსებაა, სწორი აზროვნება ასეთი წანამძღვრებიდან ამოსვლით, აუცილებლობით მიგვიყვანს დანასკვთან, - ქვა მოკვდავია. ასეთი დანასკვი ლოგიკურად სწორია, მაგრამ გნოსეოლოგიურად - მცდარი. ე. ი. მისი მცდარობის მიზეზი ლოგიკაში (აზროვნების სისწორეში) კი არაა, არამედ ამოსავალი მეორე წანამძღვრის მცდარობაშია. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ სხვა არის ჭეშმარიტება და სულ სხვაა ჭეშმარიტების დადგენის პროცესი. ამ უკანასკნელისათვის სავალდებულოა როგორც სწორი (ლოგიკური) აზროვნება, ისე საფუძვლის ჭეშმარიტება, ხოლო შემეცნების მიერ უკვე დადგენილი აზრის, როგორც შედეგის, მთავარი ნიშანი მისი ჭეშმარიტება ან მცდარობაა.

მსგავსი სიტუაციაა ტერმინ - „მართალსა" და „ჭეშმარიტებას" შორის. ხშირად „ჭეშმარიტების" ადგილას გამოიყენება ტერმინი „მართალი", მაგრამ ზუსტი მიდგომის პირობებში ტერმინი „მართალი" ადამიანის ქმედების, ქცევის ნიშანია და არა აზრის. ჩვენ ვმოქმედებთ; ჩვენი ქცევა ან მართებულია, ან უმართებულო: უმართებულონი ვართ, ანუ ვტყუით ქცევებში. ჭეშმარიტება თუ გნოსეოლოგიური ტერმინია, სიმართლე სამართლებრივი ტერმინია. ამას სამართლებრივ სფეროში შევყავართ. სამართალი კი ძირითადად ქცევების სფეროა. შეიძლება აზროვნების სფეროშიც აღმოვჩნდეთ მართალი ან მტყუანი. ეს მაშინ, როცა ჩვენი აზროვნება ქცევების სტატუსში ადის. ასეთ სტატუსს აზროვნება აღწევს მაშინ, როცა შეგნებულად, რაღაც მიზნის მისაღწევად ვცდილობთ ვიცრუოთ, ან არ ვიცრუოთ. სიცრუე უკვე ქმედებაა, თუმცა - სულიერი ქმედება. აზრის დონეზე ჭეშმარიტება და მცდარობა ადამიანს სამართლებრივი პასუხისმგებლობის მიღმა აყენებს. სიტყვის თავისუფლება აზრის თავისუფლებაა. აზრი თავისუფალია სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, იქნება იგი ჭეშმარიტი თუ მცდარი. დემოკრატიის პირობებში ყოველ ადამიანს აქვს უფლება იქონიოს და გამოთქვას საკუთარი აზრი, მიუხედავად მისი ჭეშმარიტება-მცდარობისა. მაგრამ დემოკრატიაც ებრძვის ისეთი შეგნებული ტყუილის (სიცრუის) გამოთქმასა და გავრცელებას, რასაც სხვები ზიანის მომტან შეცდომაში შეჰყავს. ტერმინი „სამართალი" წარმოებულია „სიმართლიდან". სამართალში, პირველ რიგში, შერაცხადია ანუ სამართლებრივი პასუხისმგებლობის მატარებელია ადამიანის (მოქალაქის) ქცევები. ამიტომ, ადამიანის ქცევები სამართლებრივი კანონებით ნორმირებულია, რომელთა დარღვევა იდევნება (დასჯადია). აქედან გამომდინარე, სიმართლე ადამიანის ქცევის სამართლებრივ ნორმებთან შესატყვისობაა. ე.ი. სიმართლე ქმედების, ქცევის ნიშანია. ძირითადად ადამიანის ქცევის ნიშანია ზნეობაც, რაც შეეხება ჭეშმარიტებას, იგი იმ აზრის ნიშანია, რომელიც შესატყვისობაშია მასში ასახულ საგანთან.

პირდაპირი გაიგივება არ შეიძლება არც ჭეშმარიტებისა და სიბრძნისა. ცხადია, სიბრძნე ეყრდნობა ჭეშმარიტებას. ჭეშმარიტება სიბრძნისათვის ერთ-ერთი არსებითი მომენტია, მაგრამ, სიბრძნე, თავისთავად, გაცილებით მეტს ნიშნავს, ვიდრე ჭეშმარიტება. სიბრძნეში ადამიანის პიროვნული მთლიანობა იკითხება. ადამიანი მცხოვრები არსებაა.

მას ყველა უნარი ცხოვრების წარმართვისათვის სჭირდება. ცხოვრებაში ყველაზე მთავარი ცხოვრებისეული ნაბიჯების გადადგმაა. ადამიანის ცხოვრება ასეთი ნაბიჯების მეშვეობით იქმნება. სიბრძნე კომპლექსური მოვლენაა და იგი ადამიანური უნარების მთლიანობით იქმნება. სიბრძნე მოითხოვს აზროვნებას, აზრებს, ქმედებებს, ნებისყოფის სიმტკიცესა და კიდევ ბევრ უნარს, მაგრამ მათ შორის, ალბათ, მთავარ ელემენტებად უნდა ჩაითვალოს არჩევანისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი და პრაქტიკული ქმედების განხორციელების შესაძლებლობა; ე.ი. სიბრძნე არა უშუალო აზრის, არამედ გარკვეულ აზრზე დაყრდნობით - არჩევანის, გადაწყვეტილების და იმ პრაქტიკული ნაბიჯის გადადგმის ნიშანია, რომელსაც ცხოვრება პიროვნებისათვის სასურველი მიმართულებით მიჰყავს.

ახლა განვიხილოთ ჭეშმარიტისა და სწორის ცნებათა მიმართების საკითხი არისტოტელეს ლოგიკის მეცნიერების სისტემაში. თუ დავსვამთ კითხვას, რამდენად სამართლიანია სწორის ცნების მიყენება არისტოტელეს ლოგიკის სისტემის მიმართ, გადაჭრით შეიძლება ვუპასუხოთ, რომ არისტოტელე თავის არც ერთ ნაშრომში „ორგანონის" სახელწოდებით რომ არის ერთად თავმოყრილი, სწორის ცნებას, თუ მას იშვიათად, მაგრამ მაინც შევხვდებით, ჭეშმარიტისაგან განსხვავებული მნიშვნელობით არ იყენებს.

სწორის ცნებისათვის სპეციფიკურად ლოგიკურისათვის მნიშვნელობის მინიჭება არისტოტელეს მოღვაწეობიდან საკმაოდ დაშორებულ დროს მიეკუთვნება. „მე ვერ მივაკვლიე მისი გამოყენების დასაწყისს, მაგრამ შუა საუკუნეებში გამოყენებული გეშტალტი არისტოტელეს ლოგიკისა სქოლასტიკოსთა მცდელობით, ვფიქრობ, აღნიშნული ცნების დამკვიდრების სრულ გარანტიას იძლეოდა. შემდეგ საუკუნეებში სწორის ცნების გამოყენება ლოგიკის საგნის დახასიათებისათვის ტრადიციად იქცა", - წერს პროფესორი ნ. კიკვაძე (3,83).

მაინც რა ნიშნებით ხასიათდება სწორის ცნება? როდის შეიძლება ითქვას, რომ აზროვნების პროცესი სწორად წარიმართება?

სქოლასტიკას ლოგიკის მეცნიერება, უპირველეს ყოვლისა, ჭეშმარიტების ძიებისა და დადგენისაგან უნდა გაეთავისუფლებინა, ჭეშმარიტების ცნებაზე პრეტენზია ლოგიკას არ უნდა ჰქონოდა, იგი ფილოსოფიასთან ერთად თეოლოგიის მსახური უნდა ყოფილიყო. ქრისტიანული რელიგიის, „წმინდა" წიგნების, „წმინდა მამათა" ნააზრევის დაცვისა და დამკვიდრების მიზნით ჭეშმარიტის „საპატიო ტიტული" მხოლოდ ქრისტიანული დოგმის მიმართ შეიძლებოდა გამოყენებულიყო. ამიტომ იყო, რომ ლოგიკის სამოქმედო ასპარეზი ოფიციალურად აღიარებულ და მიღებულ ქრისტიანულ მსოფლმხედველობას შეიძლებოდა შეხებოდა. სქოლასტიკა არისტოტელეს ლოგიკას თეოლოგიური საკითხების მოსაგვარებლად იყენებდა. მისი გამოყენების სფერო ზღვარდებული იყო „წმინდა მამათა" მოძღვრების შინაარსებით. „ფილოსოფია თეოლოგიის მსახურია", ცხადია, აღნიშნული ლოზუნგი, პირველ რიგში, ლოგიკის მიმართ იყო გამოყენებული, როგორც „რაციონალური თეოლოგიის" უაღრესად საჭირო დასაბუთების იარაღი.

იყენებდა რა არისტოტელეს უშეცდომელ ავტორიტეტს, რაც მეტწილად არაბი ავტორებიდან მომდინარეობდა, სქოლასტიკური ლოგიკის გეშტალტი ამოსავალი დებულებების - წანამძღვრების იმ მარაგით იზღუდებოდა, რაც „წმინდა მამების" „წმინდა წიგნებიდან" იყო ცნობილი. ჭეშმარიტის ცნება მხოლოდ ქრისტიანული ეკლესიის მესვეურთა მრავალგზის აპრობირებული შრომების შინაარსების მიმართ გამოიყენებოდა, რამაც ბუნებათმეცნიერების განვითარების შესაძლებლობა თითქოს გამორიცხა, ვიდრე ადამიანთა სასიცოცხლო პირობებისათვის ბუნებათმეცნიერული ცოდნის აუცილებლობა დღის წესრიგში არ დადგა და ვიდრე ჯანსაღად მოაზროვნე ადამიანთა განწყობა არ ჩამოყალიბდა განცდით - ასე ცხოვრება აღარ შეიძლება. ასეთმა განწყობამ დაბადა ორმაგი ჭეშმარიტების იდეა, მართალია რამდენადმე კომპრომისული, მაგრამ გაბატონებული ეკლესიური ვითარების შიგნით უაღრესად რევოლუციური იდეა, რომელიც თეოლოგიური ჭეშმარიტების გვერდით რეალისტური ჭეშმარიტების უფლებამოსილებაზე აცხადებდა პრეტენზიას.

და მაინც, რა აქვთ მხედველობაში, როცა აზროვნების სისწორეზე ლაპარაკობენ. ვ. ასმუსის სახელმძღვანელოში „ლოგიკა“, რომელიც 1947 წ. გამოვიდა მოსკოვში, ჩვენ ვკითხულობთ, რომ სწორი აზროვნება ეს არის გარკვეული, თანმიმდევრული და დასაბუთებული აზრი. გარკვეული ეს არის ზუსტი აზროვნება, რომელიც ყოველგვარი არეულ-დარეულობისაგან გვიცავს; თანმიმდევრული ეს არის შინაგანი წინააღმდეგობისაგან თავისუფალი აზროვნება, წინააღმდეგობისაგან, რომელიც აზრთა კავშირს არ არღვევს იქ, სადაც ეს კავშირი აუცილებელია; დასაბუთებულია აზროვნება, რომელიც ახდენს ჭეშმარიტების არა მხოლოდ ფორმულირებას, არამედ იმ საფუძვლებზეც მიუთითებს, რომელთა გამოც იგი ჭეშმარიტია (5). როგორც ვხედავთ, ვ. ასმუსი დასაბუთების ცნების გამოყენებისას ჭეშმარიტების ცნებასაც იყენებს, მაგრამ ამას, ასე ვთქვათ, ეპიზოდური ხასიათი აქვს. ამას მაშინათვე დავინახავთ, როცა იგი ლოგიკის მთავარ ამოცანას ეხება. ვ. ასმუსი ლოგიკის მთავარ ამოცანად მიიჩნევს აზროვნების ფორმათა შესწავლას და წესებისა და კანონების გამოვლენას, რომელსაც სწორი აზროვნება უნდა იცავდეს. სწორი აზროვნების ტრადიციულად ქცეული აქ მოტანილი მახასიათებლები აზრის ფორმების ჭეშმარიტი ღირებულებითი დახასიათებიდან გამომდინარე შედეგებია, მათი პირველსაფუძველი აზრის ჭეშმარიტი ფორმები – სტრუქტურებია, პირველსაწყისებია, პრინციპები – აქსიომებია, რომელიც არისტოტელესათვის მხოლოდ ჭეშმარიტი შეიძლება იყოს, ისევე როგორც ნებისმიერი კონკრეტული მეცნიერების მიერ დადგენილი კანონები, რომლებიც დროთა განმავლობაში შეიძლება მცდარი აღმოჩნდეს, მაგრამ ახლანდელი შესაძლებლობებიდან იგი ჭეშმარიტის შეფასებას იმსახურებს და არა მისგან განსხვავებული მნიშვნელობით მოაზრებული სწორის შეფასებას, რომელიც ჭეშმარიტისა და მცდარის გვერდით მესამე შეფასება არ არის. ხოლო თუ მას ჭეშმარიტის მნიშვნელობით მოვიაზრებთ, ზედმეტი იქნება მისთვის სხვა სახელდების გამოყენება - ამას არევ-დარევის მეტი არაფერი მოსდევს.

სწორის ცნების ნაცვლად შუა საუკუნეებში „ფორმალური ჭეშმარიტების“ ცნებაც გამოიყენებოდა. თუ „ფორმალური ჭეშმარიტება“ სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა ფორმის ჭეშმარიტებას, ამის საწინააღმდეგო არისტოტელეს არაფერი ექნება, ხოლო თუ „ფორმალური ჭეშმარიტება“ სწორის ცნების ტოლფასად გამოიყენება, რომელიც ჭეშმარიტისაგან იქნება განსხვავებული, არისტოტელე ამ გაგებით მას არ მიიღებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ავტორი სწორის ცნების გამოყენების სამართლიანობას არისტოტელეს სილოგიზმის დახასიათებაში ხედავს. საამისოდ მიუთითებენ არისტოტელეს ნააზრევიდან ერთ ადგილზე, სახელდობრ შემდეგ აზრზე - „ჩვენ დასაბუთების გზით გვაქვს ცოდნა. დასაბუთებაში მე მესმის მ ე ც ნ ი ე რ უ ლ ი ს ი ლ ო გ ი ზ მ ი ... დამსაბუთებელი ცოდნა ამოდის ჭეშმარიტი, პირველი, განუშუალებელი, უფრო ცნობილი და წინამავალი (წანამძღვრებიდან), ე. ი. დანასკვის მიზეზიდან... მართლაც, სილოგიზმი მათ გარეშეც შეიძლება იყოს, მაგრამ დასაბუთება არა, რადგან მათ გარეშე მეცნიერება არ აიგება“(7,259). როგორც მოტანილი მაგალითიდან ჩანს, არისტოტელე ტერმინს „მეცნიერული სილოგიზმი“ ტერმინი „დასაბუთების“ მნიშვნელობით იყენებს. დასაბუთებას კი არისტოტელე დასკვნის, სილოგიზმის, როგორც ჭეშმარიტი ფორმის, დაცვის გარდა დამატებით მოთხოვნებს უყენებს - წანამძღვართა, კონკრეტულ წანამძღვართა ჭეშმარიტების მოთხოვნას; ეს, რა თქმა უნდა, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ დასკვნის ფორმაში სწორის ცნება ფიგურირებს და არა ჭეშმარიტის ცნება. ა. მაკოველსკიც იყენებს დასკვნის, სილოგიზმის მიმართ სწორის ცნებას. მის წიგნში „ლოგიკის ისტორია“ ჩვენ შემდეგს ვკითხულობთ - „დიალექტიკა, აპოდეიქტიკის მსგავსად, სილოგიზმს იყენებს და იცავს მის წესებს, მაგრამ მისგან განსხვავებით მისი წანამძღვრები მხოლოდ საალბათოდ ჭეშმარიტია, მაშასადამე, მათში მხოლოდ ფ ო რ მ ა ლ უ რ ი ს ი ს წ ო რ ე გვაქვს, მაგრამ არა გვაქვს აუცილებლად ჭეშმარიტი“(10,158). დავუბრუნდეთ ისევ სწორის ცნების რაობას. ის გარემოებაც, რომ დიალექტიკაც სილოგისტურ დასკვნას იყენებს, მაგრამ მისი წანამძღვრების საალბათო ხასიათის გამო მიღებული დანასკვი არ არის აუცილებლად ჭეშმარიტი, თუ თავად გამომდინარეობა არ არის აუცილებლად ჭეშმარიტი, არამედ მხოლოდ სწორია, არისტოტელეს თვალსაზრისს არ შეესატყვისება. არისტოტელეს

„აუცილებელი გამომდინარეობის“ ცნება სწორედ სილოგისტური დასკვნის მიმართ აქვს გამოყენებული და იგი არა მარტივად ჭეშმარიტის, არამედ აუცილებლად ჭეშმარიტის მნიშვნელობით ხასიათდება.

დასაბუთებას სილოგიზმისაგან განსხვავებული სტრუქტურა არ გააჩნია. კონკრეტული მეცნიერების მიერ წამოყენებული ამა თუ იმ დებულების დასაბუთებისათვის, ანუ მისი ჭეშმარიტების ჩვენებისათვის იყენებენ დასკვნის ფორმას. მაგრამ ეს არ არის საკმარისი. დასკვნის მონაწილეობა დასაბუთებაში თუმცა აუცილებელი პირობაა, მაგრამ არასაკმარისი. არისტოტელე დასკვნის ფუნქციას შემდეგნაირად განმარტავს „ტოპიკაში“: „დასკვნა არის გამოთქმა, რომელშიც თუ რაიმე დაშვებულია, მაშინ ამ დაშვებულის გზით მისგან ა უ ც ი ლ ე ბ ლ ო ბ ი თ მ ი ი ღ ე ბ ა დაშვებულისაგან რაღაც განსხვავებული“ (8,349). დასკვნის იგივე განმარტებას იმეორებს არისტოტელე „პირველ ანალიტიკაში“. მასთან ვკითხულობთ: „სილოგიზმი არის გამოთქმა, რომელშიც თუ რაიმე არის დაშვებული, მისგან ა უ ც ი ლ ე ბ ლ ო ბ ი თ გ ა მ ო მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ს დაშვებულისაგან განსხვავებული იმის ძალით, რომ დაშვებული არის“ (6,120). არისტოტელე არცთუ იშვიათად არსებულს, არსს ჭეშმარიტის მნიშვნელობითაც იყენებს. მოცემული ციტატის უკანასკნელი სიტყვა „არის“ მოცემულ კონტექსტში ჭეშმარიტს ნიშნავს. როგორც ადრეც მივუთითეთ, სილოგიზმის წანამძღვრები ჭეშმარიტი უნდა იყოს, რაც იმის პირობაა, რომ მისგან აუცილებელი დანასკვი, ჭეშმარიტი დანასკვი მიიღება. ჭეშმარიტი წანამძღვრებიდან მხოლოდ ჭეშმარიტი დანასკვი მიიღება; სილოგიზმის ჭეშმარიტი და არა სწორი სტრუქტურა სწორედ ამის გამომთქმელია. ეს რომ ასე არ იყოსო, ამბობს არისტოტელე, მაშინ წინააღმდეგობაში ჩავარდებით. დასკვნის, როგორც აუცილებელი გამომდინარეობის გარკვეულობა დასაბუთების ერთი კომპონენტია, რომელიც ისევე ჭეშმარიტი უნდა იყოს, როგორც დასაბუთების სხვა კომპონენტები, სახელდობრ კონკრეტული შინაარსის მქონე მისი წანამძღვრები. ამიტომაა, რომ არისტოტელე დასკვნის, როგორც ფორმის ჭეშმარიტების გარდა დამატებით პირობად დასაბუთებისათვის კონკრეტული წანამძღვრების ჭეშმარიტების პირობას წამოაყენებს. აქ არსად არ ფიგურირებს სწორის ცნება. არისტოტელე ყველა შემთხვევაში ჭეშმარიტების მნიშვნელობის ცნების გამოყენებით კმაყოფილდება.

აუცილებელი გამომდინარეობა სილოგიზმის აქსიომით რომ არის გადმოცემული, ერთეულისა და ზოგადის აუცილებელი ერთიანობით არის განსაზღვრული, რომელსაც ლათინურად იცტუმ-ი ეწოდება, რომლითაც, ასევე, საკმაო საფუძვლის კანონია გამოთქმული. აუცილებელი გამომდინარეობის ცნებაში საკმაო საფუძვლის კანონია ჩაქსოვილი. „ერთი სიტყვით, არისტოტელე ჭეშმარიტი-მცდარის დაპირისპირების საუფლოში ტრიალებს და მისთვის რაღაც სწორის ცნება დაუპატიჟებელი სტუმრის როლში გამოდის“ - წერს ნ. კიკვაძე (3, 86).

მაშასადამე, შეიძლება თამამად ვთქვათ, რომ არისტოტელე თავის არც ერთ ნაშრომში სწორის ცნებას ჭეშმარიტისაგან განსხვავებული მნიშვნელობით არ იყენებს.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. ბაქრაძე კ., რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, ტ.4, თბ., 1978.
2. კიკვაძე ნ., არისტოტელეს ლოგიკის სისტემის პრინციპები, თბ., 1999.
3. მჭედლიშვილი ლ., ივანიშვილი ნ., ლოგიკა, თბ., 1994.
4. ძამაშვილი ა., ფილოსოფია, თბ., 2009.
5. Асмус В.Ф., Логика, М., 1947.
6. Аристотель. Первая аналитика, Сочинения т. II, М., 1978.
7. Аристотель. Вторая аналитика, Сочинения т. II, М., 1978.
8. Аристотель. Топика, Сочинения т. II, М., 1978.
9. Горский Д.П., Логика, М.,1963.
10. Маковельский А.О., История логики, М., 1967.

**ნაირა ბერია**

**სისწორისა და ჭეშმარიტების გაიგივების ფორმალიზმი**

**რეზიუმე**

სისწორე და ჭეშმარიტება მსჯელობის აუცილებელი თვისებებია; პირველი შეესაბამება ფორმალური ლოგიკის კანონებსა და წესებს, მეორე კი - ობიექტურ სინამდვილეს. ლოგიკური სისწორე ნიშნავს ფორმის სისწორეს, რომელიც არ არის დაკავშირებული ამა თუ იმ დასკვნის კონკრეტულ შინაარსთან. ყოველი დასკვნა უნდა იყოს ლოგიკურად სწორი, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის საკმარისი იმის სათქმელად, რომ დასკვნა, რომელიც სწორია ფორმის მიხედვით, ჭეშმარიტია. ჭეშმარიტი იქნება ისეთი დასკვნა, რომელშიც, ჯერ-ერთი, წანამძღვრები და დანასკვი შეესაბამება ობიექტური სამყაროს საგნებსა და მოვლენებს, და, მეორე, რომელშიც წანამძღვრები და დანასკვი დაკავშირებულია ერთმანეთთან ლოგიკის წესებითა და კანონებით. განსხვავება ფორმის მიხედვით სისწორესა და შინაარსის მიხედვით ჭეშმარიტებას შორის არ ნიშნავს მათ მეტაფიზიკურ დაცილებას ერთმანეთისაგან. აზროვნების სისწორე არ არის თვითმიზანი. ის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა აზროვნებითი შემოქმედებისათვის.

**Naira Beria**

**Accuracy and Truth Identification Formalism**

**Summary**

Correctness and the truth of the necessary features are discussed; the first line with the laws and regulations of formal logic, the second - an objective reality. Logical correctness means correctness of form, which is not related to any of the specific content of the report. Each report must be logically correct, but it is still not enough to say that the conclusion is correct in form, is true. Such a conclusion would be true, in which, firstly, preconditions and in line with the objective world danaskvi things and events, and, second, in which the premises and connected to each other danaskvi logic rules and regulations. The difference in form and content according to the accuracy of the truth does not mean they have a metaphysical separation from each other. Correctness of thinking is not an end in itself. He is one of the necessary conditions for creative thought.

**Наира Бериа**

**Формализм отождествления правильности и истинности**

**Резюме**

Правильность и истинность – непременные качества рассуждений, первое - как соответствие его законам и правилам формальной логики, второе – как соответствие его объективной действительности. Логическая правильность есть правильность по форме, а форма логическая не связана с конкретным содержанием того или иного умозаключения. Всякое умозаключение должно быть логически правильно, но этого еще недостаточно для того, чтобы сказать, что умозаключение, правильное по форме, является истинным. Истинным будет такое умозаключение, в котором, во-первых, посылки и вывод соответствуют предметам, явлениям объективного мира, и, во-вторых, посылки и вывод связываются по правилам и законам логики. Но проводя различие между правильностью по форме и истинностью по содержанию, мы не должны метафизически отрывать их друг от

друга. Правильность мышления – это не самоцель. Она является лишь одним из необходимых условий мыслительной деятельности.

**Зоя Адамия**
**Профессор университета им. Эквтиме Такаишвили**

## Просторечие как органически составная часть лексики языка

Просторечие органически составная часть лексики любого национального языка и широко распространено в устной речи, откуда часто проникает в литературный язык, особенно в язык художественной литературы.

Русское просторечие давно привлекло внимание, как писателей, так и лингвистов-исследователей. Этот интерес объясняется как важностью художественной функции просторечия, так и живучестью, и жизнеспособностью этой лексики. Действительно просторечие вечно живая часть языка, оно меняется, обновляется, что-то теряет, а чем-то обогащается, но как явление не уходит из языка.

Этому явлению посвящено немало книг и статей, авторы которых прежде всего задаются вопросом, что такое просторечие? Почему оно закрепилось под таким названием? С чем сравнивается, когда оно объявляется «простой речью»? И самый главный вопрос – есть ли у просторечия свои какие-то объективно существующие признаки или отнесение слов к разряду просторечия - факт сугубо субъективный и зависит от каких-то личных соображений квалификатора.

Нахождение объективных критериев для описания просторечия в значительной мере облегчило бы его отмежевание от других пластов лексики, например, от разговорной, и устранило бы разнобой, который все ещё встречается в лексикографии при снабжении словарных единиц разными пометами: просторечие, разговорный стиль и т.д.

Над этой проблемой бились ученые XIX и XX столетий, их унаследовал и XXI век.

Л.Введенская, Л.Павлова, Е.Кашаева считают, что: «Просторечие - одна из форм национального русского языка, которая не имеет собственных признаков системной организации и характеризуется набором языковых форм, нарушающих нормы литературного языка. Такое нарушение норм носители просторечия (горожане с невысоким уровнем образованности) не осознают, они не улавливают, не понимают различия между нелитературными и литературными формами» (1, 19).

Мы обратились к этой книге потому, что она в определенном смысле обогащает и подытоживает всё, что сказано о просторечии до конца XX века.

Действительно, именно из-за отсутствия специфических черт просторечие проявляется в самых разных формах и в самых, казалось бы, неожиданных ситуациях. Следует помнить и то обстоятельство, что просторечная форма слова может быть территориально-мотивированной и личностно-субъективной. Так, например, формы *«ноне», «нынче», «нынчи»* (просторечные варианты литературного «ныне») встречаются в самых разных диалектах русского языка и у самых разных по уровню образованности людей. И все-таки существование просторечия настолько очевидно, что игнорировать его просто невозможно. И его изучение продолжается. Так, например, есть соображение просторечную лексику разделить на четыре основные группы. При этом это разделение опирается на определенные грамматические признаки.

Первая группа – **фонетические просторечия**. Это те случаи, когда в слове встречаем или неточность в фонетическом облике слова, или изменение места ударения. Например: *шо'фер* вместо *шофе'р, ло'жу* вместо *кладу, хочите* вместо *хотите, колидор* вместо *коридор, друшлаг* вместо *дуршлаг, ридикулит* вместо *радикулит, при'говор* вместо *пригово'р, обеспе'чение* вместо *обеспече'ние.*

Вторая группа это **морфологические просторечия**. Это те случаи, когда отступление от нормы наблюдается в морфологическом составе слова. Например: *мово'* вместо *моего, дитё* вместо *дитя, зеркала* вместо *зеркало* (отнесение слов из среднего рода к женскому роду, в которых из-за отдалённости ударения безударное концевое «о» постоянно звучит как «а», что и является основой

неправильного определения рода), *без пальта* вместо *пальто, мой мозоль* вместо *моя мозоль, с повидлой* вместо *с повидлом, шофера'* вместо *шофёры, бежат* вместо *бегут.*

Третья группа это **лексические просторечия**, то есть полнозначные слова, которые только по стилистическим признакам остаются вне литературной нормы. Например: *хрыч, дохлятина, курва, харя, путанка.*

Четвертую группу просторечия можно условно назвать **синтаксическими просторечиями.**

Это такие случаи словоупотребления, когда каждое слово в отдельности соответствует норме литературного языка, но грамматическая связь между ними нарушена. Например: просторечно-шутливое выражение «Без пол-литры не разберёшься» вместо *«пол-литра».* В языковом сознании данной личности слово «пол-литра» воспринято как слово женского рода I склонения и соответственно употреблено в родительном падеже с предлогом - *без* пол-литры. В разговорной речи таких примеров немало. Например: *«Танка»* вместо *«танк», «дуба»* вместо *«дуб», «полуклиника»* вместо *«поликлиника», «подстамент»* вместо *«постамент».* А просторечное *«зонтик»* вместо *(зондек)* давно стало нормой.

Ф.П.Филин делит просторечие на две группы: как стилистическое средство литературного языка и как речь лиц, недостаточно овладевших литературным языком: «Многое ещё предстоит выяснить в отношениях к кодифицированному литературному языку просторечия и разговорной речи.

Под просторечием обычно понимаются языковые средства (слова, грамматические формы и обороты, особенности произношения), употребляемые преимущественно в устной речи для грубоватого, сниженного изображения предмета мысли. Например, такие слова и выражения, как *канючить, над нами не каплет, караулка* (не то, что нейтральное *караульная* - в караулке может помещаться не только караул, но и сторож), *на карачках, карга* (бранное название старухи), *карачун, капут, каюк, катнуть* («съездить» поехать) и т.п. во всех толковых словарях русского языка определяются как просторечия. В лингвистической литературе давно идет спор, включить ли просторечие в состав литературного языка или же оставить его вне нормативного употребления. На этот счет высказываются разные точки зрения, по нашему убеждению, основанные на недоразумении. Существует не одно, а два просторечия:

1) просторечие как стилистическое средство литературного языка;

2) просторечие как речь лиц, недостаточно овладевших литературным языком (3, 113-115).

При этом их материальный состав во многом совпадает. Например, один из героев романа В.Шишкова «Угрюм-река» стреляет из пистолета в небо, чтобы похвалиться перед женщинами, а на вопрос, что он делает, гордо отвечает, что он *«антилигентный»* человек и поэтому каждое утро «испражняется» из пистолета. Люди смеются, и он этот смех принимает как похвалу.

То, что в словарях обозначается как просторечное средство, может быть употреблено в подходящей ситуации любым образованным человеком. вывести из состава литературного языка функционирующее в нём просторечие означало бы лишить литературный язык средств сниженной речи, обычно несущих высокую эмоционально-оценочную нагрузку. Например, слово *«нынче»* по частоте употребления не уступает своей так называемой литературной норме – *«ныне». «Нынче»* встречается не только в речи персонажей, но и в авторской речи таких грандов русского художественного слова, какими являются: Пушкин, Достоевский, Чехов, Толстой, Шолохов и другие. Утверждая, что просторечие – это органическая составная часть системы литературного языка, выполняющая в нём определённую стилистическую роль, «мы в то же время признаем, что существует просторечие и вне литературного языка. Под современным внелитературным просторечием следует понимать язык той части населения, прежде всего городского, которая еще недостаточно овладела литературными языковыми нормами» (3, 113-115).

Как видим, при определении характера просторечия основным считается отношение к нормированному языку, а также стилистическая функция в тексте. И это, разумеется, нельзя считать научной дефиницией.

Из примеров, приведенных Ф.П.Филиным, обратимся к некоторым из них. Так, немецкое слово *капут* – пришло в русский язык из немецкого, не в годы Отечественной войны, а в годы Первой мировой войны от немецких военопленных: они в знак покорности поднимали руки и кричали: «Капут, капут», а во время Отечественной войны добавляли «Гитлер капут».

А если прибавляли «Гитлер», подразумевали, что не он только побеждён, но и его хозяин Гитлер. Заимствованным является и *каюк* в значении конец, гибель. Такие примеры, мы наблюдаем у В.Маяковского: «Вот и любви пришел *каюк,* дорогой Владим Владимыч». У А. Афанасьева: « - На лечение еду (...). Врачи сказали, одно спасение: подышать напоследок чистым морским воздухом. Иначе - *каюк*!». У Т.Полякова: « - *Каюк* Витьке, - развеселился он,- доигрался, умник. Свои же и шлепнут. И правильно сделают: за деньги, что он у них из-под носа увел, одной смерти мало».

В. В. Химик делит просторечие на две группы: социальное и функциональное-стилистическое: «Просторечие в его старом, традиционном понимании – это социальное просторечие. Его носители – люди определенного социально-культурного статуса с низким образованием, обычно пожилого возраста, часто негородского происхождения. Социальное пространство не имеет стилистической дифференциации, книжной письменной формы и почти лишено функциональных синонимов. Социальному просторечию противопоставлено функционально-стилистическое, принципиально отличающееся от него по многим параметрам. Его составляют уже не разноуровневые «неправильные» по отношению к языковой норме единицы, произносительные, грамматические и лексико-семантические, а преимущественно номинативные, лексические и фразеологические образования. В отличие от социального просторечия словоупотребления функционально-стилистического просторечия вполне могут укладываться в рамки грамматического или произносительного стандарта, вступая в противоречие только со стилистическими или этическими эталонами» (3, 194 - 195)

О просторечии и А.И Ефимов говорит: «Стилистические функции просторечной и диалектной лексики роднит и сближает то, что они не имеют прав литературности, противостоят речевым средствам, одобренным литературной нормой. Наряду с этим между диалектизмами существует различие. Исторические диалектизмы тяготели обычно к просторечию, откуда им был ближе путь в состав литературной лексики.

Просторечие – слова и выражения, бытующие в различных социально-речевых стилях общенародной разговорно-бытовой речи и остающиеся за пределами общепризнанных средств и норм литературного языка.

Просторечные слова и выражения обычно рассматриваются как фамильярные, грубые, т.е. стилистически сниженные» (2, 61).

В процессе формирования общенародного языка многие местные диалектные слова становились употребительными, часть их вливалась в литературно-книжный язык, другая оставалась достоянием разговорно-бытовой речи народа. Видимо, профессор Ефимов имеет в виду такие факты, когда в литературном языке на равных правах употреблялись кодифицированные формы слов. Так, в «Дубровском» Пушкин употребляет форму *«соседи»* (стало быть, основа мягкая – *соседь*) и *«соседам»* (значит в им. падеже множественного числа будет *«соседы»*). Со временем литературной нормой стала *соседи,* а *соседы* ушло в просторечие. Тоже самое можно сказать о множественном числе слова *дерево.* Литературной считалась форма *дерева',* а в родит. падеже множественного - *дерев.* Со временем простонародная форма *деревья* становится нормой, а *дерев* вообще отходит в запас. Примерно этот же процесс наблюдается в слове крыло. Теперь норма *крылья, крыльев,* но как остаточное с налётом архаизма - *крыла* (Им.п., мн.) и род. падеж множественного числа *крыл.* Это как *лицо, лица, лиц.* У Пушкина есть такой оборот: «За два дня получилось письмо». Значит получается, что *привет получился, записка получилась, письмо получилось*. Теперь это, видимо, уже просторечие.

Один из персонажей А.П. Чехова рассказывая другу о третьем человеке, изгнанном с работы, уточняет, что этот изгнанный с работы человек не сам ушел, а «начальство его ушло». В нормативном языке это выражение следовало бы понять, как чье-то начальство куда-то ушло. А в данной ситуации - это выражение означает: начальство кого-то изгнало с работы. Налицо бесспорное нарушение норм литературного языка, но вряд ли кто посчитает это выражение за просторечие.

Противоречив и сам термин - «просторечие». Непонятна и смысловая нагрузка первой части этого термина: что значит тут «просто», означает ли это слово «простая речь» или под этим словом нужно понимать «речь простого народа». Бесспорно, что некорректность термина вытекает из недостаточности самого понятия. По данным словарей, к просторечию относится огромная группа слов, из которых многие встречаются в классических произведениях, написанных в возвышенном стиле.

Например, слово *«нынче»* по частоте употребления не уступает своей так называемой литературной норме - *«ныне». «Нынче»* встречается не только в речи персонажей, но и в авторской речи таких грандов русского художественного слова, какими являются: Пушкин, Достоевский, Чехов, Толстой, Шолохов и др.

Если к просторечию подойдем с этих позиций, то окажется, что просторечные слова не имеют единой стилистической оценки и их стилистическая характеристика зависит больше от контекста, чем от самого этого слова. С художественной точки зрения так называемое просторечие, может играть огромную роль в деле характеристики персонажей. Так, например, А.П. Чехов одного из своих героев, из малограмотных мещан, который очень хочет казаться образованным, характеризует употреблением глагольной формы *«хочут»*.

Каким нарушением нормы можно считать это явление, когда вся речь данного субъекта звучит на этом уровне.

Нормы литературного языка, нередко допускают разное произношение одного и того же слова. Скажем *обеспе'чение и обеспече'ние*.

Возникает вопрос, почему обе формы допустимы? Ведь двух правд не может быть. Правильной может быть только одна из этих форм, тогда вторая будет расцениваться как просторечие. Но аргумент для разграничения?

До сих пор спорят где должно быть ударение в прилагательном языкова'я или языко'вая. И чтобы решить этот спорный вопрос, специалисты прибегли к отысканию смысловой разницы. *Языко'вая* - может быть колбаса, а *языкова'я* - может быть, что-то из области языка (например *языкова'я форма*).

Таких примеров в русском языке масса. Поэтому может быть характеристику просторечия, как языкового явления лучше искать не в фонетике и морфологии слова, а в стилистике.

Такой подход к явлению открывает хорошие перспективы для будущей работы.

Подытоживая все сказанное, можно заключить, что просторечие - это пласт лексики, который легче и точнее поддается стилистическому анализу. Что же касается грамматических характеристик, то здесь можно все просторечия разделить по следующим признакам:

1. **Фонетические просторечия**, то есть просторечные слова, в которых наблюдается нарушение фонетического облика слова: должо'н, кра'сиво, тыща, шешнадцать.
2. **Морфологические просторечия**, то есть просторечные слова, в которых наблюдается нарушение морфологического облика слова: обрадоваешь, порадываюсь, животная (животное), условиев.
3. **Синтаксические просторечия**, то есть немотивированное нарушение норм построения русского предложения: «А ежели по твоей виновности человек возьми да умри. Что ты с им сделаешь?»
4. **Лексические просторечия**, то есть полнозначные слова, которые только по стилистическим признакам остаются вне литературной нормы: хрыч, дохлятина, курва, харя, путанка.

Таким образом, по-нашему мнению, просторечие – это грамматически неоднородная, но эмоционально ярко окрашенная лексика, играющая ведущую стилистическую роль в образном мышлении.

**Литература:**


1. Введенская, Л. Павлова, Л. Кошаева, Е. Русский язык и культура речи, Ростов-на-Дону, 2001.
2. Ефимов А.И. Стилистика русского языка, М. 1969.
3. Филин Ф. П. О структуре современного литературного языка. – В кн.: «Русский язык в современном мире». М., 1974.
4. Химик В.В. Поэтика низкого, или просторечие как культурный феномен. Филологический факультет Санкт-Петербургского государственного университета, М., 2000 .

**Зоя Адамия**

**Просторечие как органически составная часть лексики языка**

**Резюме**

Просторечие органически составная часть лексики любого языка и широко распространено в устной речи, откуда часто проникает в литературный язык, особенно в язык художественной литературы.

Русское просторечие давно привлекло внимание, как писателей, так и лингвистов-исследователей. Этот интерес объясняется как важностью художественной функции просторечия, так и живучестью, и жизнеспособностью этой лексики. Действительно просторечие вечно живая часть языка, оно меняется, обновляется, что-то теряет, а чем-то обогащается, но как явление не уходит из языка.

**ზოია ადამია**

**მდაბიო ენა, როგორც ენის ლექსიკის შემადგენელი ნაწილი**

**რეზიუმე**

მდაბიო ენა წარმოადგენს ენის ლექსიკის ორგანულ შემადგენელ ნაწილს და ფართოდ არის გავრცელებული ზეპირმეტყველებაში, საიდანაც აღწევს სალიტერატურო ენაშიც, განსაკუტრებით კი მხატვრული ლიტერატურის ენაში.

რუსული ენის ამ შრემ დიდი ხანია მიიზიდა როგორც მწერლების, ასევე ლინგვისტ მკვლევარების ყურადღება. ინტერესი გამომდინარეობს, როგორც მდაბიო ენის მხატვრული ფუნქციიდან, ასევე მისი სიცოცხლისუნარიანობიდანაც.

მართლაც მდაბიო ენა მუდამ ცოცხალია, იგი რაღაცას კარგავს, ან პირიქით, შეიძენს, მაგრამ როგორც მოვლენა არ ქრება ენიდან.

**Zoia Adamia**

**Popular Speech as an Integral Component of Language Lexicon**

**Summary**

The popular speech is an integral component of any national language vocabulary and is also widespread in oral speech often getting into the literary language, especially into fiction language.

The Russian popular speech has long drawn both writers and linguists-researchers' attention. This interest is explained both by importance of art function of a popular speech by survivability and viability of this lexicon. In fact the popular speech is eternally live part of language; it changes, updates, loses something, and is enriched with something, but as the phenomenon doesn't leave the language.

ირაკლი უბილავა
რუსეთის ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტის ასპირანტი

ვალერიან დოლიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

## მსგავსი სოციალურ-პოლიტიკური სისტემები და ომები

კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე, ომი საერთაშორისო პოლიტიკის და შესაბამისად, სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა. გერმანელი სამხედრო თეორეტიკოსის კარლ ფონ კლაუზევიცის ფორმულით: "ომი პოლიტიკის გაგრძელებაა, ოღონდ სხვა საშუალებებით" (1, 552).

საერთაშორისო ურთიერთობათა ორი წამყვანი სკოლა-ლიბერალური და რეალისტური, ამ საკითხმა (და არა მარტო) ისტორიულად ინტელექტუალური ოპონირების რეჟიმში გადაიყვანა. საერთაშორისო ურთიერთობებში, ლიბერალური თეორიული ხედვის ერთ-ერთ კვიტესენციურ პოსტულატს წარმოადგენს შემდეგი კონცეპტუალური პრინციპი- „დემოკრატია დემოკრატიის წინააღმდეგ არ ომობს" ანუ „დემოკრატიული მშვიდობის პარადოქსი" (1, 570). რაც შეეხება რეალისტური კონცეპტუალური ხედვის მთავარ პარადიგმულ ასპექტს, იგი მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფოებს შორის კონფლიქტის შემაკავებელ მთავარ ფაქტორს წარმოადგენს სახელმწიფოთა შორის ურთიერთქმედების პროცესში წარმოქმნილი ძალთა ბალანსი.

ი. კანტის ფილოსოფიური კონცეფციის მიხედვით, რომელიც გადმოცემული აქვს ცნობილ ნაშრომში „მარადიული მშვიდობისათვის"(3), სახელმწიფოებს შორის მშვიდობიანი და ჰარმონიული თანაცხოვრების აუცილებელი პირობაა, ნებისმიერ სახელმწიფოში რესპუბლიკური მართვა-გამგეობის დამკვიდრება, ხოლო რესპუბლიკანიზმის პირობებში, სხვა პოლიტიკური რეჟიმების მქონე სახელმწიფოებისგან განსხვავებით, უფრო ადვილია ეკონომიკური აყვავების მიღწევა და საყოველთაო მშვიდობის უზრუნველყოფა. ეს იმიტომ, რომ ომისა და კონფლიქტების სიმძიმე გადის იმ ადამიანებზე, რომლებიც უშუალოდ ან არაპირდაპირ მონაწილეობენ სახელმწიფოების მართვა-გამგეობაში. აღნიშნული ფილოსოფიური პარადიგმიდან გამომდინარეობს შემდეგი: თუ ყველა სახელმწიფო ერთნაირი პოლიტიკური წეს-წყობილების მქონე გახდება და უპირატესად დემოკრატიული, საყოველთაო მშვიდობა დაისადგურებს პლანეტარული მასშტაბით.

საერთაშორისო ურთიერთობათა ლიბერალური თეორიების ევოლუცია, კონცეპტუალური განვითარების პროცესში, დაეყრდნო იმანუელ კანტის ფილოსოფიურ პარადიგმას. ლიბერალური სკოლის წარმომადგენლები კანტის კონცეპტუალურ ნარატივზე დაყრდნობით აცხადებენ, რომ საერთაშორისო სისტემა ანარქიულია და სახელმწიფოები წარმოადგენენ უმთავრეს აქტორს მსოფლიო პოლიტიკურ სცენაზე, მათი ქცევის მაკონტროლებელი და ზედამხედველობის განმახორციელებელი ზემდგომი, ზენაციონალური პოლიტიკური სტრუქტურის არ არსებობის პირობებში. თუმცა ლიბერალური პარადიგმის მიმდევარი თეორიტიკოსები, აქვე ახდენენ სახელმწიფოთა დიფერენციაციას, პოლიტიკური წეს-წყობილებისა და მმართველობითი ტიპების მიხედვით. როგორც ისინი ამტკიცებენ, არსებობს განსხვავება კარგ და მშვიდობისმოყვარე ლიბერალურ სახელმწიფოებს და არალიბერალურ სახელმწიფოებს შორის, რომლებიც ქმნიან პრობლემებს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში (6).

სწორედ აღნიშნული თეორიული დებულებიდან მომდინარეობს, საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში, საკმაოდ გავრცელებული პოსტულატი – „დემოკრატია დემოკრატიის წინააღმდეგ არ ომობს." მოცემული ლიბერალური მიდგომის მომხრე მეცნიერებისა თუ თეორეტიკოსების აზრით, ეს ემპირიულად სრულიად დამტკიცებად თეორიულ დებულებას წარმოადგენს.

ლიბერალური სკოლის წარმომადგენლების მსგავსად, საერთაშორისო პოლიტიკის რეალისტური სკოლის თეორიტიკოსებისათვისაც, ცენტრალურ დაშვებას წარმოადგენს საერთაშორისო ურთიერთობების ანარქიული ხასიათი. ამიტომ ისინიც, საგარეო პოლიტიკის უმთავრეს სუბიექტად სუვერენულ სახელმწიფოებს მიიჩნევენ, ანუ მათი ხედვაც, ლიბერალების მსგავსად სახელმწიფოცენტრულია.

თუმცა, ლიბერალებისაგან განსხვავებით, რეალისტური დოქტრინის მიმდევრებისათვის, ძალთა ბალანსის კონცეფციას, მთავარი და განმსაზღვრელი ადგილი უჭირავს, სახელმწიფოთა სტაბილური ფუნქციონირებისა და პოლიტიკურ აქტორთა მშვიდობიანი თანაარსებობისათვის (9,160).

რეალისტები, საერთაშორისო პოლიტიკაში კონფლიქტური პროცესების შესწავლის დროს, იგნორირებას ახდენენ ისეთი ფაქტორების ანალიტიკურ შესწავლაზე, როგორიც არის სახელმწფოებს შორის მსგავსება - განსხვავება (2,52). მათი აზრით, ნებისმიერი სახელმწიფო, მიუხედავად იქ არსებული პოლიტიკური რეჟიმებისა (დემოკრატიული იქნება თუ არადემოკრატიული), ერთნაირად მოქმედებენ საერთაშორისო სახელმწიფოთა სისტემაში.

სახელმწიფოთა შორის ომების წარმართვის, რაოდენობრივი ანალიზის მეთოდოლოგიის გამოყენებით შექმნილ ნებისმიერ ცხრილში, დემოკრატიული პოლიტიკური სისტემების მქონე სახელმწიფოებს შორის, არავითარი პირდაპირი სამხედრო კონფლიქტი არ ფიქსირდება. ყველა გრაფაში, სადაც ჩანიშნულია დემოკრატიებს შორის ომების ამსახველი რაოდენობა, დასმულია ციფრი ნული(1, 571). თუმცა, აღნიშნულის ახსნა ძალიან მარტივია, ვინაიდან საერთაშორისო სისტემის პოტსდამურ პერიოდამდე არსებულ წესრიგში, ლიბერალური, კონსოლიდირებული დემოკრატიული სახელმწიფოების ფუნქციონირება არ შეინიშნება, ან დემოკრატიების (კვაზიდემოკრატიების) რაოდენობა ძალიან ცოტა იყო. ამიტომ, საერთაშორისო ურთიერთობების ლიბერალური თეორიის განზოგადოება, სახელმწიფოთა ურთიერთობის პოტსდამურ პერიოდამდე ფუნქციონირებად საერთაშორისო რეჟიმზე, სრულიად გამოუსადეგარია.

თანამედროვე ტიპის კონსოლიდირებული, ლიბერალურ-დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის მქონე სახელმწიფოები ფუნქციონირებას იწყებენ მეორე მსოფლიო ომის, კერძოდ ბიპოლარული საერთაშორისო სისტემის ფორმირების შემდეგ და ისიც, პოლიტიკური რუკის დასავლეთ ნახევარ სფეროში. ამავე პერიოდში, ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის ეგიდით, ადგილი ჰქონდა უსაფრთხოების ერთიანი სისტემის შექმნას, რომლის ფარგლებშიც მოხდა საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემის, ლიბერალურ-კაპიტალისტურ იდეოლოგიურ პლატფორმაზე დაფუძნებული, დასავლური პოლიტიკური პოლუსის ჩამოყალიბება.

მეორე მსოფლიო ომის შედეგად ეკონომიკურად მოშლილი, ინფრასტრუქტურულად განადგურებული და „სისხლისაგან დაცლილ“ დასავლეთ ევროპულ სახელმწიფოებზე უპირატესობის მოპოვების გზით, ლიბერალურ დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის მქონე შეერთებულმა შტატებმა, „ზესახელმწიფოს“ სტატუსი მიიღო და ჰეგემონიის ფუნქციის რეალიზაციას შეუდგა. ტერმინი ჰეგემონია, თავისი არსით გულისხმობს: „ერთი დიდი ძალაუფლების მქონე სახელმწიფოს უპირატესობას საერთაშორისო სისტემაში ჰეგემონიის სწავლების ძირითად ნაწილში მოყვანილია ორი მაგალითი: ბრიტანეთი მეცხრამეტე საუკუნეში და შეერთებული შტატები მეორე მსოფლიო ომის შემდეგ“ (10, 58).

თუ საერთაშორისო სისტემის ბიპოლარული წესრიგის მთელი ისტორიის მანძილზე და, მის შემდგომ ეტაპზე მოვახდენთ ლიბერალური თეორიული კონცეფციის ექსტრაპოლირებას, მაშინ დასავლეთის კაპიტალისტური პოლუსის შემადგენლობაში მოხვედრილი, ლიბერალურ-დემოკრატიულ სახელმწიფოებს შორის, მართლაც არ მომხდარა პირდაპირი სამხედრო კონფლიქტი. ამ შემთხვევაში, ლიბერალური თეორიული დებულება მართლდება. თუმცა, რეალისტური თეორიული სკოლის წარმომადგენლები და განსაკუთრებით ჯონ მირშაიმერი, სამხედრო კონფლიქტების არ არსებობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის მიზეზად ასახელებს ორ ფაქტორს. მისი აზრით, დასავლეთ ევროპის დემოკრატიულ სახელმწიფოებს შორის, მშვიდობიანი თანაარსებობის უზრუნ-

ველყოფის პროცესი განაპირობა პირველი იმან, რომ ჰეგემონის რანგში დემოკრატიული სახელმწიფოების პოლიტიკურ ქცევას აკონტროლებდა და „ღამის გუშაგის" სტატუსით ომების შემაკავებელი ფაქტორის ფუნქციას ასრულებდა შეერთებული შტატები. რაც შეეხება მეორე ფაქტორს, იგი ყურადღებას ამახვილებს საერთო მტრის არსებობაზე კომუნისტური საბჭოთა კავშირის სახით. ეს კი, მათ იძულებულს ხდიდა, კონსოლიდირებულად და მობილიზებულად ემოქმედათ საერთო ინტერესების ფარგლებში, საბჭოთა მტრის წინააღმდეგ, რომელიც საფრთხეს უქმნიდა დემოკრატიული სახელმწიფოების სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემებს (7).

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, „მარშალის გეგმისა" და ჩრდილოეთ ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის საპირწონედ, საბჭოთა კავშირმა აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოსა (1949) და ვარშავის ხელშეკრულების პაქტის (1955) ბაზაზე, შექმნა სამხედრო–პოლიტიკური ბლოკი, რითაც განსაზღვრა საკუთარი პოლიტიკური გავლენის სფერო (4, 360) და შექმნა აღმოსავლეთ ევროპაში უსაფრთხოების სისტემის იერარქიულობის არაფორმალური მოდელი. შეერთებული შტატების ანალოგიურად, საბჭოთა კავშირიც შეუდგა მისი გავლენის ზონაში ფუნქციონირებად სახელმწიფოებში საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემების ტრანსფორმაციას. გატარებული პოლიტიკის მიზანს წარმოადგენდა მარქსისტულ-სოციალისტურ იდეოლოგიურ პლატფორმაზე დაფუძნებით ერთიანი სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემების ჩამოყალიბებას.

საერთაშორისო სისტემის, ბიპოლარული ეპოქის ხანმოკლე ისტორიის მანძილზე, როგორც ევროპის კონტინენტის დასავლეთით მდებარე დემოკრატიულ, ისე ცენტრალურ და აღმოსავლეთ ნაწილში ფორმირებულ კომუნისტურ სახელმწიფოებს შორის, მიუხედავად სახელმწიფოთა ურთიერთობის პროცესში წარმოშობილი გარკვეული ტიპის პოლიტიკური პრობლემებისა, პირდაპირი სამხედრო კონფლიქტი არ დაფიქსირებულა. ისტორიოგრაფიაში ცნობილია, რომ ისტორიის მოცემულ მონაკვეთში, რამდენიმეჯერ „სოციალისტური ბანაკის" ზოგიერთ ქვეყანაში, ჰქონდა ადგილი საბჭოთა ჯარების მეშვეობით აჯანყებების ჩახშობას. პირველ ასეთ შემთხვევას, ადგილი ჰქონდა 1953 წლის ზაფხულში გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ულბრიხტის ხელისუფლებაში ყოფნის დროს. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას, 1956 წელს არც უნგრეთი და 1968 წელს არც ჩეხოსლოვაკია ჩამორჩა, „პრაღის გაზაფხულით" ცნობილი მოვლენებისას.

გდრ-ისგან განსხვავებით, პოლიტიკური და ეკონომიკური „რეფორმების" განხორციელებას უნგრეთსა და ჩეხოსლოვაკიაში შეუდგნენ იმრე ნადისა და ალექსანდრე დუბჩეკის ტიპის ლიდერები. გატარებული „რეფორმები" ითვალისწინებდა პირველ რიგში ეკონომიკურ ლიბერალიზაციას, შემდგომში პოლიტიკური სისტემის ლიბერალიზაციის პერსპექტივით. მათ მოინდომეს პოლიტიკური სისტემის ლიბერალურ დემოკრატიულ პრინციპზე გარდაქმნა, ხოლო ეკონომიკურ სფეროში კი ცენტრალურ დაგეგმარებაზე დაფუძნებული ეკონომიკიდან გადასვლა, კაპიტალისტური ელემენტებით გაჯერებულ ეკონომიკურ მოდელზე. მარტივად რომ ავხსნათ, დაიწყეს იდეოლოგიური სპექტრის მარცხენა „ფლანგიდან" შემოწევა ცენტრისაკენ. იმრე ნადი კი იმდენად „შორს წავიდა", რომ უნგრეთმა დატოვა ვარშავის ხელშეკრულების სამხედრო–პოლიტიკური ბლოკიც კი.

ბუნებრივია, ულტრამემარცხენე იდეოლოგიაზე „დაშენებული" და იმ პერიოდისათვის კომუნისტური ღირებულებების მთავარი ექსპორტიორი სახელმწიფო, საბჭოთა კავშირის სახით, არ დაუშვებდა ლიბერალურ-კაპიტალისტური იდეების გავრცელებასა და მის დანერგვას თავისი გავლენის სფეროში მოქცეულ სახელმწიფოებში. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი, ნებისმიერი მექანიზმის გამოყენებით, შეეწინააღმდეგებოდა უნგრეთსა და ჩეხოსლოვაკიაში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური „რეფორმების" რეალიზაციას.

კომუნისტური საბჭოთა კავშირი, შეერთებული შტატების დარად, ევროპის კონტინენტის აღმოსავლეთ ნაწილში, არბიტრისა და „ღამის გუშაგის" ფუნქციას ასრულებდა, რომელიც „სოციალისტური ბანაკის" ფარგლებში დომინანტი სახელმწიფოს სტატუსით შეუდგა იმ თამაშის წესების დაცვას, რომელიც პოტსდამური წესრიგით იქნა ფორმირებული. კერძოდ, საბჭოთა კავშირმა სამხედრო ჩარევის გზით შეაჩერა ლიბერალიზმისა

და კაპიტალიზმის მიმართულებით დაწყებული რეფორმები უნგრეთსა და ჩეხოსლოვაკია-ში. ძალისმიერი მეთოდებით აჯანყების ჩახშობის შემდეგ, ორივე ქვეყანა დაბრუნდა საზოგადოებრივ–პოლიტიკური ცხოვრების კომუნისტურ ფარვატერში. როგორც კი, უნგრეთსა და ჩეხოსლოვაკიაში ხელისუფლება გადააბარეს კომუნისტ და მოსკოვისადმი ლოიალურად განწყობილ პოლიტიკურ ლიდერებს იანორ კადარისა და გუსტავ ჰუსაკის სახით, პოლიტიკური სიტუაცია დაუბრუნდა სტაბილურ მდგომარეობას.

თუმცაღა, ზემოთ გადმოცემული მოვლენები ვერ გამოდგება სახელმწიფოთაშო-რისი ომების კლასიკურ მაგალითებად. ვინაიდან, ყველა შემთხვევაში საბჭოთა ჯარების გამოყენება ხდებოდა სოციალისტურ სახელმწიფოებში ფორმირებული, კომუნისტური საზოგადოებების შიგნით არსებული იმ სოციალური სეგმენტების წინააღდმეგ, რომელთა მიზანსაც წარმოადგენდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემების ტრანსფორმაცია.

ევროპის აღმოსავლეთით შექმნილ გავლენის სფეროში, სოციალისტური სახელმ-წიფოების პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობათა ანალიზს მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ დომინანტი კომუნისტური „ზესახელმწიფოს" მიერ გამოყენებული სამხედრო ძალა, მიმართული იყო საზოგადოების პროლიბერალური და პროკაპიტა-ლისტური საზოგადოებრივ-პოლიტიკური ელემენტების წინააღმდეგ. სხვა სიტყვებით, კო-მუნიზმსა და კომუნიზმს შორის სამხედრო დაპირისპირებას ადგილი არ ჰქონია-კომუნიზმი ებრძოდა კაპიტალიმზს. აქედან დასკვნა, როგორც გავლენის ამერიკულ ზონაში „დემოკრატიას, დემოკრატიის წინააღმდეგ არ უომია", ისე აღმოსავლეთშიც, „კომუნიზმს, კომუნიზმის წინააღმდეგ" სამხედრო ძალა არ გამოუყენებია. ამიტომ, თავი-სუფლად შეგვიძლია მოვახდინოთ ლიბერალურ–თეორიული კონცეპტის „დემოკრატია, დე-მოკრატიის წინააღმდეგ არ ომობს" პერეფრაზირება, რითაც მივიღებთ შემდეგ კონცეპ-ტუალურ პოსტულატს – „კომუნიზმი, კომუნიზმის წინააღმდეგ არ ომობს."

ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით, ზემოთ გაანალიზებული მაგალითების საფუძ-ველზე უნდა ითქვას, რომ ვარშავის ხელშეკრულების წევრი „სოციალისტური ბანაკის" ქვეყნებს შორის სამხედრო კონფლიქტები არ მომხდარა. მაგრამ, იყო გამონაკლისებიც, სადაც სოციალისტურმა სახელმწიფოებმა იბრძოლეს ერთმანეთთან. პროფესორი ავთანდილ ტუკვაძე, ჯერ კიდევ 1982 წელს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით წერდა შემდეგს: „როგორც ცნობილია მარქსისტი კლასიკოსების აზრით, სოციალიზმი სპობს რა კლასობრივ ანტაგონიზმს, გამორიცხავს ომებს სოციალისტურ სახელმწიფოებს შორის, მაშინ რატომ მოხდა ომი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას და ვიეტნამის დამოუკიდებელ რესპუბლიკებს შორის?" (8, 48). უფრო ადრე კი, სამხედრო კონფლიქტი დაფიქსირდა, საბჭოთა კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორისაც. მოცემულ სახელმ-წიფოებს შორის, წარმოებული ომების მიზეზების ახსნა სრულიად შესაძლებელია, მი-უხედავად სამივე სახელმწიფოს მიერ არჩეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონო-მიკური განვითარების სოციალისტური გზისა.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ დასავლელი თეორეტიკოსები მეოცე საუკუნის 60-70 იანი წლების პერიოდს განიხილავენ, როგორც ძალაუფლების სამი მსხვილი ცენტრი-საგან შემდგარი საერთაშორისო სისტემის ტრიპოლარულ მოდელად, როდესაც მსხვილ ძალთა კონფიგურაცია მოქცეულია „სტრატეგიულ სამკუთხედში", რომელშიც გაერთიანე-ბულნი იყვნენ შეერთებული შტატები, საბჭოთა კავშირი და ჩინეთი (10, 56). ჩინეთის სახ-ალხო რესპუბლიკა იმ პერიოდში, მსოფლიოში ფორმირებული ორი ალტერნატიული სამხედრო-პოლიტიკური ბლოკიდან, არც ერთის შემადგენლობაში არ შესულა და ცდილობდა დამოუკიდებელი საგარეო და საშინაო პოლიტიკა ეწარმოებინა. დემოგრა-ფიული მდგომარეობისა და სამხედრო პოტენციალის გათვალისწინებით, ჩინეთი გახ-ლდათ ის კომუნისტური სახელმწიფო, რომელსაც შეეძლო საერთაშორისო ურთიერ-თობებში ყველა „დიდ მოთამაშესთან" მიმართებით, ეროვნული ინტერესების დაცვის პრინციპიდან გამომდინარე, ეწარმოებინა საგარეო პოლიტიკა. თან აღსანიშნავია ისიც, რომ იმ პერიოდში, კაპიტალისტურ შეერთბულ შტატებსა და კომუნისტურ ჩინეთს შორის შეინიშნებოდა პოლიტიკური ურთიერთობების დათბობა (5, 655).

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ (მისი სამხედრო და პოლიტიკური შესაძლებლობიდან გამომდინარე) ჩინეთი იმ პერიოდისათვის საკუთარ თავს განიხილავდა საბჭოთა

კავშირის კონკურენტ კომუნისტურ სახელმწიფოდ, ევრაზიის მატერიკის აღმოსავლეთ ნაწილში. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიერ გადადგმული სამხედრო-პოლიტიკური ნაბიჯები, გვაიძულებს ვიფიქროთ, რომ იგი მიმართულია თავისი პოლიტიკური სტატუსის ასამაღლებლად, როგორც გლობალური პოლიტიკური და იდეოლოგიური „მოთამაშისა“.

სავარაუდოდ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა „სოციალისტური ბანაკის“ ფარგლებში შექმნილი აღმოსავლური პოლუსის შემადგენელი ელემენტი რომ ყოფილიყო, როგორც დანარჩენი ევროპული სოციალისტური სახელმწიფოები, მისი სუვერენიტეტიც შეიზღუდებოდა  ნებისმიერი იერარქიული უსაფრთხოების სისტემის წევრი სახელმწიფოს მსგავსად, დომინანტი სახელმწიფოს სასარგებლოდ. ეს კი, თავის მხრივ, შეზღუდავდა ჩინეთს, რის გამოც აღარ წარმოიშობოდა სამხედრო კონფლიქტები სოციალისტურ სახელმწიფოებს შორის.

ასეთი პრობლემების წინაშე არ მდგარა ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების საფუძველზე შექმნილი ევროატლანტიკური უსაფრთხოების სისტემა. ამის მიზეზი იყო ის, რომ ყველა დასავლური ლიბერალური დემოკრატიები, დასავლური უსაფრთხოების სისტემის შემადგენელ უმნიშვნელოვანეს ფუნქციონალურ ელემენტებს წარმოადგენდნენ, რომელშიც ჰეგემონისა და დომინანტის როლს შეერთებული შტატები ახორციელებდა.

დაშვების სახით წარმოვიდგინოთ, დასავლეთში რომ ეფუნქციონირა ისეთ დემოკრატიულ სახელმწიფოს, რომელიც ეკონომკური პარამეტრებით მშპ-ს მონაცემებით ერთ სულ მოსახლეზე, სამხედრო შესაძლებლობებითა და ბირთვული არსენალით, მიახლოებული იქნებოდა შეერთებული შტატების შესაძლებლობებთან და რომელიც, ამავე დროს, ევროატლანტიკური უსაფრთხოების სისტემის წევრი არ ყოფილიყო, დიდი ალბათობით, მათ შორის  დომინანტური პოზიციის მოსაპოვებლად დასავლეთ ნახევარსფეროში, გარკვეული სახის სამხედრო-პოლიტიკური პრობლემები გარდაუვალი იქნებოდა.

წინამდებარე ნაშრომის ამოცანას სრულებით არ წარმოადგენს ამა თუ იმ პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემების პოზიტიური და ნეგატიური მხარეების წარმოჩენა, არამედ  გვინდა ავხსნათ და გავიგოთ ერთიანი უსაფრთხოების სისტემის შიგნით მოქცეული ერთნაირი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემების მქონე სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკური ქცევის ლოგიკა ერთმანეთთან.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. მაგშტადტი მ. თომას., გავიგოთ პოლიტიკა. იდეები, ინსტიტუტები და პრობლემები (ქართულ ენაზე), თბ., 2010.
2. Белова О.В., Мечникова  И.И., Реализм, неореализм и постклассический реализм: эволюция *основных категорий.* Актуальные проблемы политики. Вип 52., М., 2014.
3. Кант И.,  «К вечному миру» (фрагменты). 08.03.2017. http://grachev62.narod.ru/hrest/kant_2.html
4. Кальвокоресси П.,  Мировая политика после 1945 года. Книга 1. Международные отношения. М., 2000.
5. Киссинджер  Г.,  Дипломатия, М., 1997.
6. Миршаймер Д.,Общие предположения о политике.  02.05.2009. https://sputnikipogrom.com/read/8862/nationalism-realism/#.WJo1iVuLTIU
7. Миршаймер Д., Почему мы будем тосковать по холодной войне. 05.09.2007. http://www.globalaffairs.ru/number/n_12061
8. Туквадзе А., Критерии оценки знании студента, Журнал  «Коммунист« Тб., 1982,  N3.
9. Хейвуд Э., Политология.  Юнити. М., 2005.
10. Goldstein  S. Joshua., Pevehouse S. Jon.,    International Relations. Pearson. NewYork. 2010.

**ირაკლი უბილავა, ვალერიან დოლიძე**

**მსგავსი სოციალურ-პოლიტიკური სისტემები და ომები**

**რეზიუმე**

მოცემული სტატიის ამოცანას წარმოადგენს საერთაშორისო ურთიერთობების ლიბერალურ და რეალისტურ თეორიებზე დაყრდნობით ავხსნათ და გავიგოთ განაპირობებს თუ არა დემოკრატიულ–პოლიტიკური სისტემები სახელმწიფოთა მშვიდობიან თანაცხოვრებას. შედარებითი ანალიზის საფუძველზე განხილულია, სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების პროცესში ერთნაირი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემის მქონე სახელმწიფოთა პოლიტიკური ქცევის ლოგიკა.

**Irakli Ubilava, Valerian Dolidze**

**Similar Social - Political Systems and Wars**

**Summary**

The article deals with the description of using liberal and realistic theories of international relations to answer and anderstand the following question – whether country regime determines peaceful co-existence between democratic political systems. It is analyzed by means of comparison method of logical behaviour of states with similar social – political systems in international prosess of relations.

**Ираклий Убилава, Валериан Долидзе**

**Схожие социально-политические системы и войны**

**Резюме**

Задачей данной статьи является попытка объяснить и понять, основываясь на либеральных и реалистических теориях международных отношений, возможно ли мирное сосуществование государств, с демократическими политическими системами. Логика политического поведения государств с идентичными общественно-политическими системами, рассмотрена на основании сравнительного анализа процесса межгосударственных отношений.

ნათია იაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

# ქართული თემატიკა ინგლისურ ლიტერატურაში

პირველი ცნობები საქართველოს შესახებ გვხვდება ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში. საქართველოზე წერდნენ ძველი ბერძენი და რომაელი ავტორები: ჰეროდოტე, ქსენოფონტე, ჰიპოკრატე, არისტოტელე, პლუტარქე და სხვები. მათი ცნობები ძირითადად აღწერითი ხასიათისაა, სადაც გადმოცემულია ქართველთა ცხოვრება და წეს-ჩვეულებები, ასევე მოცემულია ცნობები საქართველოს ბუნებისა და კულტურის შესახებ, რომელიც დღესაც აქტუალურია.

ზოგადად ინტერესი საქართველოსადმი, როგორც აღმოსავლეთის ეგზოტიკური ქვეყნისადმი თავდაპირველად ევროპელ მოგზაურთა ნაწერებში გამოიკვეთა. სწორედ ამ მიმართულებით უმნიშვნელოვანესია იტალიელი მისიონერების მოღვაწეობა საქართველოში. ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პიეტრო დელა ვალეს ჩანაწერები, კერძოდ "ინფორმაცია საქართველოს შესახებ".

ქართულ-ბრიტანულ ლიტერატურულ და კულტურულ ურთიერთობებს ინტენსიური ხასიათი არ ჰქონია ამ ორი ქვეყნის განსხვავებული გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე. აღნიშნული ურთიერთობები აქტიურ ფაზაში შევიდა XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან და სწორედ ამ პერიოდიდან იწყება მათი კვლევაც. ეს ურთიერთობები შესწავლილი აქვთ როგორც ქართველ, ისე ბრიტანელ მეცნიერებს, რომლებმაც მრავალი ნაშრომი მიუძღვნეს საქართველოს და კერძოდ, ქართული ლიტერატურის კვლევის საკითხებს.

ქართული კულტურა უძველესი დროიდან დაკავშირებული იყო როგორც დასავლურ, ასევე აღმოსავლურ ცივილიზაციასთან. ცნობილია, რომ პირველი წერილობითი დოკუმენტები ბრიტანეთსა და ბრიტანელებზე საქართველოში, ხოლო ქართველებსა და საქართველოზე ბრიტანეთში შუა საუკუნეებიდან არსებობს.

ამ თვალსაზრისით საკმაოდ მნიშვნელოვანია პროფესორ ელგუჯა ხინთიბიძის კვლევა „ქართული მწერლობა ინგლისურ ლიტერატურათმცოდნეობაში". კოლხურ-იბერიული და შემდეგ ქართული რეალიები თუ თემატიკა ხანგრძლივი ისტორიული პერიოდის მანძილზე ფრაგმენტულად და არა ინტენსიურად, მაგრამ მაინც შედიოდა ინგლისურ ლიტერატურაში. საქართველოს შესახებ მწირ, მაგრამ მნიშვნელოვან მასალას იძლევა XIIIსაუკუნის ინგლისელი ქრონისტების-ბართლომე ინგლისელის, როჯერ ბეკონისა და მათე პარიზელის თხზულებანი.

ფრანცისკელთა ორდენის ბერის ბართლომე ინგლისელის თხზულებაში „საგანთა თვისების შესახებ", მითითებულია, რომ იბერია არის ოლქი აზიაში, პონტოსთან ახლოს, სომხეთის მახლობლად, სადაც იზრდება ნაყენებისათვის სასარგებლო ბალახეული. ავტორი მიუთითებს, რომ მას გამოყენებული აქვს ადრინდელი შუასაუკუნეების ავტორის ისიდორე სევილიელის მონაცემები.

იბერიის სამკურნალო ბალახეულის თემას ვხვდებით როჯერ ბეკონის „დიდ თხზულებაშიც". იგი აღწერს მონღოლების მიერ დაპყრობილ ხალხებს და ამბობს, რომ პონტოს ზღვის გადაღმა ცხოვრობენ იბერები და გეორგინები, ხოლო სატახტო ქალაქს ეწოდება ტეფელისი. გარდა ამისა ამავე თხზულებაში არსებობს გარკვეული მინიშნება ქართველთა ქრისტიანობაზეც.

ქრისტიანული ეკლესიისა და მისი მტრების შესახებ უფრო ვრცელ ინფორმაციას ვხვდებით ბენედიქტელთა მონსატრის ბერის მათე პარიზელის „დიდ ქრონიკაში", სადაც მითითებულია, რომ კონსტანტინოპოლის პატრიარქ გერმანე მეორის მიერ რომის პაპთან გაგზავნილ მიმართვაში ქართველები მოხსენებული არიან „მრავალ დიდ ხალხთა" და „ძლიერთა" შორის.

ქართულ და ინგლისურ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნებს საქართველო შესაძლოა უმეტესად ანტიკური წყაროებით გაეცნოთ. ჩვენთვის საინტერესოა როდის შეაღწია ბრიტანეთში ქართული ლიტერატურის

ნიმუშებმა. ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრებით ქართულმა ლიტერატურამ გარკვეული საფეხურები განვლო, ითარგმნა ბერძნულად და ლათინურად და ამგვარად გადამუშავებული ლიტერატურული წყაროების სახით გავრცელდა ინგლისში.

ლიტერატურის ისტორიაში ცნობილია, რომ აღორძინების ხანის მწერლობისთვის დამახასიათებელია მოქმედების გადატანა სხვა გეოგრაფიულ გარემოში. ამ მხრივ საინტერესოა ფილიპ სიდნის რომანი „არკადია“ (XVI საუკუნე), სადაც მოქმედება ვითარდება აღმოსავლეთის რამდენიმე ქვეყანაში, მათ შორის იბერიაში. იბერიული სიუჟეტის მთავარი პერსონაჟია იბერიის მეფის ვაჟი ფრანგული, რომელიც დახასიათებულია როგორც შესანიშნავი მეომარი და გაწამებული მიჯნური. ნაწარმოებში აღწერილია იბერიის სამეფო კარიც, თუმცა მოქმედება გადატანილია სხვა გეოგრაფიულ გარემოში. „არკადია“ და მისი თემატიკა შესწავლილი აქვს ნატალია ორლოვსკაიას, რომლის მოსაზრებითაც ნაწარმოებში არსებული იბერიული ხაზი არ შეესაბამება ისტორიულ სინამდვილეს და ავტორს გმირთა სახეები აღებული აქვს ჰელიოდორეს „ეთიოპიკიდან“.

XVII საუკუნის ადრეულ პერიოდში ინგლისურ ლიტერატურაში თავი იჩინა ქართულმა ისტორიულმა თემატიკამ. 1633 წელს ოქსფორდში ინგლისურ ენაზე დაიბეჭდა წიგნი ქეთევან დედოფალზე-A Letter Relating to the Martyrdom of Keteban, Mother of Teimurases Prince of the Georgians, with all a Notable Imposture of the Iesuites Upon that Occasion. Sent From Gregorius Monke and Priest, Agent for the Patriarke of Antioch into the Most Holy and Learned Abbot Sophronius. Written first in Greeke and now Done in English, Oxford. Printed by John Lichield, An.D 1633. აღსანიშნავია, რომ წიგნი ინგლისურ ენაზე თარგმნილია ბერძნულიდან, რაც კიდევ ერთი მაგალითია იმისა, რომ ქართველი დედოფლის ისტორია სხვა ამბების მსგავსად არაპირდაპირი გზით შევიდა ინგლისურ ლიტერატურაში. აღნიშნული ფაქტი ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენაა ქართულ-ბრიტანული ლიტერატურული ურთიერთობების განვითარების ისტორიაში.

იბერიის შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას ვხვდებით ინგლისელი დრამატურგების ფრენსის ბომონტისა და ჯონ ფლეტჩერის პიესაში „მეფე და არამეფე“, სადაც მოქმედება მიმდინარეობს იბერიაში (იბერიის მეფეა არბასისი). დაისმის კითხვა თუ რომელი ქვეყანაა „იბერია“. სახელ იბერიით ძველი ბერძნული და რომაული წყაროები მოიხსენიებენ როგორც კავკასიის იბერიას ანუ დღევანდელ საქართველოს, ასევე პირინეის იბერიას, ანუ დღევანდელ ესპანეთს. მკვლევართა მოსაზრებით აღნიშნული პიესა რეალურად ინგლისის ისტორიას ასახავს მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ მოქმედების არეალი ავტორების მიერ გადატანილია აღმოსავლეთის ქვეყნებში. ბომონტისა და ფლეტჩერის მიერ სავარაუდოდ გამოყენებული უნდა იყოს პლუტარქეს „პარალელურ ბიოგრაფიებში“ და ტაციტუსის „ანალებში“ არსებული ინფორმაცია და მასალები.

თუმცა სრულიად განსხვავებულ მოსაზრებას გვთავაზობს ე. ხინთიბიძე, რომელიც მიიჩნევს, რომ ფრენსის ბომონტისა და ჯონ ფლეტჩერის პიესებში - „მეფე და არამეფე“ და „ფილასტერი“ - გამოყენებული სიუჟეტი აღებულია შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნიდან“, კერძოდ კი დაფუძნებულია ნესტანისა და ტარიელის სიყვარულის ამბავზე. „მეფე და არამეფეში“ არსებული ფაქტები აზრობრივად ემთხვევა „ვეფხისტყაოსანში“ მოცემულ ინდოეთის სამეფო კარზე განვითარებულ ამბებს, კერძოდ უფლისწულის შვილად აყვანა პრინცესას დაბადებამდე, შემდგომში მათი სიყვარულის ამბავი და ა.შ. ყურადღებას იქცევს ამ პიესის პერსონაჟთა სახელებიც. მიჩნეულია რომ ავტორების მიერ სახელები აღებულია ბერძენ და რომაელ ისტორიკოსთა თხზულებებიდან, თუმცა ე. ხინთიბიძის უახლესი კვლევის მიხედვით დედოფლის სახელი პანთეა და სხვა სახელებიც შესაძლოა მომდინარეობდეს „ვეფხისტყაოსნიდან“.

ინგლისური რომანტიზმის წარმომადგენლის თომას მურის პოემაში „ლალა რუქ“ წარმოდგენილია აღმოსავლური გარემო. პოეტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ქართველი ქალის სილამაზეს. ნაწარმოების ერთ-ერთი მოქმედი პირია ქართველი გოგონა, რომელიც ინდოეთში ყვავილების ზეიმის დროს უმღერის სილამაზესა და ბედნიერებას. ავტორი აღფრთოვანებულია ქართველი გოგონას გარეგნობით და ამბობს, რომ ის

ისეთივე ლამაზია, როგორც ქალიშვილები ტფილისის აბანოდან გამოსვლის ჟამს. ნ. ორლოვსკაიას მოსაზრებით აღნიშნული ნაწარმოების შექმნისას ავტორს გამოყენებული აქვს არაბი მოგზაურისა და გეოგრაფის იბნ-ჰაუკლის ცნობები და სხვა ისტორიული მასალა აღმოსავლური ქვეყნების შესახებ.

საქართველოს თემატიკა გვხვდება ასევე XVIII საუკუნის ინგლისელი მწერლის უილიამ კოლინსის „აღმოსავლურ ეკოლოგებში“, სადაც მოთხრობილია შაჰ-აბასის გამიჯნურების ამბავი ქართველ გოგონაზე. ნ. ორლოვსკაია მიუთითებს, რომ ავტორს სავარაუდოდ ხელთ უნდა ჰქონოდა პიეტრო დელა ვალეს „ინფორმაცია საქართველოს შესახებ“ (გამოცემული რომში 1627 წ.), სადაც იგი აღწერს ქართველი ქალების სილამაზესა და ქართველთა ირანში გადასახლების ამბებს.

საქართველოს თემა შესწავლილია ინგლისური რომანტიზმის უდიდესი წარმომადგენლის ჯორჯ ბაირონის შემოქმედებაშიც. ამ დიადი პოეტის შემოქმედება ვრცლად და საფუძვლიანად აქვს შესწავლილი ინესა მერაბიშვილს. როგორც ჩანს ბაირონისათვის ცნობილი იყო საქართველოს ბუნება და ქართველი ქალის სილამაზე. ი. მერაბიშვილმა მოიძია გარკვეული ფაქტები და ხანგრძლივი კვლევის შედეგად დაადგინა, რომ ბაირონის პოეტური გმირი თირზასადმი მიძღვნილი სტრიქონები ეხება ქართველ გოგონას. ბაირონი „დონ-ჟუანში“ ქართველ ქალს გამოსახავს, როგორც სილამაზის ეტალონს - „დონ-ჟუანი ქალის კოსტიუმში ისეთი ლამაზი იყო მხოლოდ ქართველ ქალს თუ შეადარებდიო“. ერთ-ერთი პოემის დასასრულს კი პოეტი ხოტბას ასხამს საქართველოს ბუნებას და ამბობს „მინდა ვეწვიო სილამაზის მშობლიურ მხარეს, სად კავკასიონს კლდით შემოსილს, პირქუშს, მრისხანეს, გვირგვინად ადგას დიდებული თეთრი მყინვარი“ (თარგმანი ი. მერაბიშვილისა).

აღსანიშნავია, რომ ქართულ-ბრიტანულმა ლიტერატურულმა ურთიერთობებმა მოგზაურული ჟანრის ლიტერატურაშიც ჰპოვა ასახვა. საქართველოს შესახებ მრავალფეროვან მასალას იძლევა ინგლისელ მოგზაურთა შთაბეჭდილებები. აღმოსავლეთის ქვეყნებისაკენ მიმავალი მოგზაურები ჩერდებოდნენ საქართველოში და აგროვებდნენ მათთვის საინტერესო ცნობებს. ზოგიერთი მათგანი კი საგანგებოდ ჩამოდიოდა კავკასიაში. მათ მიერ ხდებოდა მოგზაურობის დეტალების აღწერა. მოგზაურები წერდნენ შთაბეჭდილებათა წიგნებს, აღწერდნენ საქართველოს ბუნებას, ისტორიულ ადგილებს, ქალაქებს, ქართველი ხალხის გარეგნობას, ხასიათსა და სტუმართმოყვარეობას. ინგლისელი ავტორები არა მხოლოდ თავად წერდნენ საქართველოში მოგზაურობის შესახებ, არამედ ინგლისურად თარგმნიდნენ სხვადასხვა ენაზე შესრულებულ უცხოელი მოგზაურების წიგნებსაც.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. გაწერელია ა., უცნობი „წერილი“ ქეთევან დედოფალზე, წიგნში: გაწერელია ა., ლიტერატურული წერილები, თბ., 1954.
2. კუტალია გ., XIII საუკუნის ინგლისელი ქრონისტების ზოგიერთი ცნობა საქართველოს შესახებ, ჟურნალი „მაცნე“, თბ., 1981, N2.
3. მერაბიშვილი ი., თარგმანი კულტურათა დიალოგი, თბ., 2005.
4. ორლოვსკაია ნ., იბერიის თემა აღორძინების ეპოქის ინგლისურ ლიტერატურაში, „ლიტერატურათმცოდნეობა II“, რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის თეზისები, თბ., 1987.
5. ოძელი მ., ქართულ-ინგლისური ლიტერატურული ურთიერთობების ისტორიისათვის, თბ., 1998.
6. ქართულ-საზღვარგარეთული ლიტერატურული ურთიერთობების კვლევის ისტორია, ე. ხინთიბიძის რედაქციით, თბ., 2011.
7. ხინთიბიძე ე., ქართული ლიტერატურა ევროპულ მეცნიერებაში, თბ., 2003.
8. ხინთიბიძე ე., „ვეფხისტყაოსანი“ შექსპირის ეპოქის ინგლისში, 2008.

9. Орловская, Н. Грузия в поэме Томаса Мура «Лалла Рук“, в кн.: Орловская, Н. К. Вопросы литературных связей Грузии с Западом, Тб., 1986.
10. Орловская, Н. Пьеса Бомонта и Флетчера об Иберии, в кн.: Орловская, Н. К. Вопросы литературных связей Грузии с Западом, Тб., 1986.


**ნათია იაშვილი**

**ქართული თემატიკა ინგლისურ ლიტერატურაში**

**რეზიუმე**

გეოგრაფიულად განსხვავებული მდებარეობის გამო, ქართული-ბრიტანული ლიტერატურული ურთიერთობები თავდაპირველად ქაოსურად მიმდინარეობდა და ქართული თემატიკა ინგლისურ ლიტერატურაში ანტიკური ლიტერატურის მეშვეობით შედიოდა. შემდეგ ფრაგმენტულად ვითარდებოდა და შედარებით მოწესრიგებული ხასიათი XVII საუკუნიდან მიიღო. აღნიშნული საკითხები შესწავლილი აქვთ როგორც ქართველ, ისე ბრიტანელ მეცნიერებს, რომლებმაც მრავალი ნაშრომი მიუძღვნეს საქართველოს და კერძოდ, ქართული ლიტერატურის კვლევის საკითხებს.

**Natia Iashvili**

**Georgian Theme in English Literature**

**Summary**

Georgian-British literary relations were initially chaotic because of the geographically different location of two countries and Georgian theme in English literature was initially included in ancient literature. Later, it developed in a fragmented way and acquired relatively orderly character since XVII century. These issues have been studied both by Georgian and British scientists, who have devoted many works to Georgia and in particular, issues of research of Georgian literature.

**Натия Иашвили**

**Грузинская тема в английской литературе**

**Резюме**

Грузино-британские литературные отношения изначально были хаотичными из-за различного географическогорасположения стран. Грузинская тема в английской литературе первоначально была включена в древнюю античнюю литературу, а позже развилась фрагментарно и приобрела относительно упорядоченный характер с XVII века. Эти проблемы изучались как грузинскими, так и британскими учеными, которые посвятили много работ Грузии и, в частности, вопросам исследования грузинской литературы.

# განათლების მეცნიერებანი

**იმერი ბასილაძე**
**აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი**

**მაია ახვლედიანი**
**აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი**

## ადრეული განათლების მნიშვნელობის ზოგიერთი საკითხისათვის თანამედროვე ქართულ პედაგოგიკაში

რატომ არის მნიშვნელოვანი ადრეული განათლება? მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში განხორციელებული კვლევები ცხადყოფს, რომ ადრეული განათლება წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ინვესტიციას, როგორც ბავშვის მომავალი აკადემიური, პიროვნული და სოციალური განვითარებისთვის, ისე საზოგადოების განვითარებისათვისაც. კვლევები სრულიად განსხვავებული დისციპლინების, მათ შორის – ნეირომეცნიერების, ეკონომიკის, პედაგოგიკის, ფსიქოლოგიის ფარგლებში ხორციელდება. ნეირომეცნიერებაში განხორციელებულ კვლევათა შედეგები ცხადყოფს, რომ ადამიანის ტვინი ყველაზე ინტენსიურად სწორედ სკოლამდელ ასაკში ვითარდება. ამდენად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ბავშვი მასტიმულირებელ და უსაფრთხო გარემოში იზრდებოდეს, სადაც ის თავს დაცულად იგრძნობს, საშუალება მიეცემა, განივითაროს სხვადასხვა უნარი და დაიკმაყოფილოს ბუნებრივი ცნობისმოყვარეობა. კვლევის შედეგები ცხადყოფს იმასაც, რომ ბავშვის კოგნიტურ და ემოციურ განვითარებაზე ზრუნვა და განათლება განუყოფელია ერთმანეთისგან: „ერთი მხრივ, ბავშვების სიყვარული და, მეორე მხრივ, მათი სწავლება თავისთავად, ცალ-ცალკე, არ არის საკმარისი ბავშვის ოპტიმალური განვითარებისთვის"(9).

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ბავშვის ფსიქიკა ამ პერიოდში განსაკუთრებით მგრძნობიარეა და მუდმივად მოითხოვს ზრდასრულის მზრუნველობასა და თანადგომას.

როგორც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებ-გვერდზეა აღნიშნული, სკოლამდელი განათლება ეს არის მნიშვნელოვანი ეტაპი ადამიანის ცხოვრებაში. იგი განსაზღვრავს მის სამომავლო წარმატებებს. „ადრეულ ასაკში ბავშვის მრავალმხრივი განვითარება, ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით სკოლისათვის და შემდგომი ცხოვრებისათვის მზაობის ხელშეწყობა, ბავშვის სრულფასოვან პიროვნებად ჩამოყალიბების მყარ საფუძველს წარმოადგენს. ბავშვის მრავალმხრივი განვითარებისათვის საჭირო გარემოსა და პირობების შექმნა შესაძლებელია ერთობლივად, მშობლების, ოჯახის, სასწავლო დაწესებულებების, სახელმწიფოსა და სრულიად საზოგადოების მხრიდან. შესაბამისად, თითოეული ჩვენგანი სათანადოდ უნდა აცნობიერებდეს ამ სფეროს მნიშვნელობას და ზრუნავდეს ადრეულ ასაკში ბავშვის განათლებისა და განვითარების ხელშეწყობაზე"(9).

დამოუკიდებელი სახელმწიფოს, ახალი საზოგადოებრივი წყობის მშენებლობის, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესმა საქართველოში მწვავედ დააყენა განათლების სისტემის რეფორმის საკითხი. ჩვენს ქვეყანაში განათლების სახელმწიფო პროგრამის მიხედვით, განათლება გამოცხადდა სახელმწიფოებრივი განვითარების სტრატეგიულად პრიორიტეტულ მიმართულებად. განათლების შინაარსის თვალსაზრისით საქართველოში ჩამოყალიბდა სახალხო განათლების სისტემის ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპები, მათ შორის უნდა გამოვყოთ შემდეგი პრინციპი: სწავლების ყველა საფეხურზე განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მომავალი თაობის გონებრივ, ზნეობრივ, ესთეტიკურ, ფიზიკურ და შრომით აღზრდას, როგორც ერის სიჯანსაღისა და სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აუცილებელ პირობას.

რა თქმა უნდა, სკოლამდელი განათლების საკითხი მწვავედ იდგა 90-იანი წლების საქართველოში. ფაქტობრივად, არ არსებობდა ერთი სტანდარტი ან პროგრამა, რომელიც გახდებოდა ამ დაწესებულებებში განხორციელებული სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობის საფუძველი. ამავე პერიოდისათვის დამახასიათებელია კერძო საბავშვო ბაღების მომრავლება. ცხადია, მათი ჰიგიენური ნორმების, სასწავლო და სააღმზრდელო პროცესების კონტროლის მექანიზმი სახელმწიფოს არ გააჩნდა და, თუნდაც შეემუშავებინა, მისი განხორციელებისას მნიშვნელოვან სირთულეებს გადააწყდებოდა. ზოგადად, 1990-2008 წლებში საქართველოს სკოლამდელი განათლების სისტემაში განსაკუთრებით შემცირდა ამ საფეხურის დაწესებულებები. 1990-2000 წლებში 2-ჯერ შემცირდა სკოლამდელ დაწესებულებათა რაოდენობა, ხოლო მასწავლებლების რაოდენობა კი - თითქმის 3-ჯერ. ეს ტენდენცია გაგრძელდა შემდგომ წლებშიც (4, 18). საქართველოს თითქმის ყველა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში შეწყდა მიღება სკოლამდელი აღზრდის პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის სპეციალობაზე. მიზეზი უამრავი იყო, მაგრამ მათ შორის დავასახელებთ ორს: 1. ჩვენ უნივერსიტეტი ვართ და პედაგოგიური პროფილის სპეციალობები უნივერსიტეტში არ უნდა არსებობდეს და 2. თუ როგორ უნდა ჩავაცვათ ბავშვს და გავხადოთ ტანისამოსი, ამას სპეციალური მასწავლებლის მომზადება არ სჭირდება.

როგორც ჩანს, სწორედ ამ რეგრესულმა ტენდენციამ გადააწყვეტინა სახელმწიფოს შეემუშავებინა და გამოეცა ბრძანება „სკოლამდელი დაწესებულებების მუშაობის მოწესრიგების ღონისძიებების შესახებ" (2). მაგრამ აღნიშნულმა ქმედებამ, რა თქმა უნდა, ვერ მოხსნა ყველა ის პრობლემა, რომელიც იმხანად სკოლამდელი განათლების სფეროში სუფევდა, თუმცა საკითხის დასმა და მის მოგვარებაზე სახელმწიფო დონეზე ყურადღების გამახვილება ნამდვილად მნიშვნელოვან წინსვლად უნდა მივიჩნიოთ.

მიუხედავად ამისა, ჩვენს მიერ დასახელებული ორი პრობლემა მაინც ვერ აღმოიფხვრა. ყველას, ვისაც ჰქონდა მიღებული უმაღლესი განათლება (ინჟინერი, მათემატიკოსი, ბიოლოგი, ქიმიკოსი, ისტორიკოსი, გეოგრაფი და სხვ.), მაგრამ საერთოდ არ იცოდა ბავშვის ფსიქოლოგია, ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებები, არ ჰქონდა სპეციალური პედაგოგიური მომზადება, არ იცნობდა ბაგა-ბაღში სწავლების მეთოდებს, თამაშის ტექნოლოგიებს, მიეცა სკოლამდელ დაწესებულებებში აღმზრდელ-მასწავლებლობის უფლება. შედეგად მივიღეთ აღზრდისა და სწავლების დაბალი დონე, ბავშვების ფსიქოლოგიური სტრესი (არასპეციალისტი მასწავლებლები ბავშვების დასაწყნარებლად იყენებდნენ ასეთ მეთოდებს, გაჩერდით, თუ არა მგელი მოვა და შეგჭამთ), ფიზიკურად არაჯანმრთელი თაობა, შემცირდა ბაღების რაოდენობა, მივიღეთ ის, რომ უმუშევრები დარჩნენ აღმზრდელ-მასწავლებლები.

ქვეყანა დარჩა უცხოური, არასამთავრობო ორგანიზაციების იმედზე. 1998 წლიდან საქართველოში დაინერგა ნაბიჯ-ნაბიჯ პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავდა ჩაენაცვლებინა იმდროინდელი ავტორიტარული სწავლება ბავშვზე ორიენტირებული მიდგომით.

2000-იანების შუა პერიოდიდან კი ეკონომიკისა და განათლების დაფინანსების ზრდის ფონზე სკოლამდელ განათლებაზე მოთხოვნაც გაიზარდა.

UNICEF-ის მონაცემებით, 2005 წლისათვის, საქართველოში სკოლამდელი განათლების 3-5 წლის ასაკის ბავშვების დაახლოებით 43% სწავლობდა. სკოლამდელი დაწესებულებების დიდი წილი უფრო მეტად ქალაქზე მოდიოდა. საქართველოში მშობლების უმრავლესობისათვის საბავშვო ბაღი ძირითადად ბავშვის უსაფრთხო გარემოში დატოვებისა და არა ბავშვის განვითარებისათვისა და აღზრდისათვის აუცილებელ საშუალებას წარმოადგენს. რაც შეეხება სამართლებრივ საფუძვლებს, 2006 წლამდე სკოლამდელი განათლების მართვა ცენტრალურ დონეზე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ხდებოდა.

2006 წლიდან განხორციელდა სისტემის დეცენტრალიზაცია, სკოლამდელი განათლების სფეროს მართვა და დაფინანსება ადგილობრივი თვითმმართველობის პასუხისმგებლობის ქვეშ მოექცა. არ არსებობდა ბავშვის განვითარების სტანდარტი, არც საგანმანათლებლო პროგრამის სახელმძღვანელო დოკუმენტი და სწავლა-აღზრდის

განსაზღვრული მეთოდოლოგია. ამ წელს მოხდა სკოლამდელი განათლების სისტემის რეორგანიზაცია და შედეგად ადგილობრივ თვითმმართველობებს დაეკისრათ სკოლამდელი განათლების დაწესებულების შექმნისათვის დებულებების დამტკიცების, საქმიანობის მართვისა და დაფინანსების ვალდებულება.

2007 წლიდან პროფესიული საზოგადოების და აღმასრულებელი თუ საკანონმდებლო ორგანოების მხრიდან მნიშვნელოვანი ყურადღება გამახვილდა სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პრობლემებზე. მართალია, არ შემუშავებულა სკოლამდელი განათლების ერთიანი კონცეფცია, მაგრამ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და UNICEF-ის ძალისხმევით დაიწყო ბავშვთა ადრეული განვითარების სტანდარტზე მუშაობა, საბავშვო ბაღებისათვის შემუშავდა სააღმზრდელო გეგმა და საგანმანათლებლო პროგრამა, რომელსაც 2012 წლიდან უკვე იყენებენ საბავშვო ბაღები.

ამგვარმა ცვლილებებმა გამოიწვია სკოლამდელ დაწესებულებათა ტიპებისა და სახეებისადმი სხვა კუთხით მიდგომა. სკოლამდელი განათლების ხარისხიანად განვითარების მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში შეიქმნა სკოლამდელი განათლების სამმართველო. როგორც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტორს ვე-გვერდზეა (9) გაცხადებული, სამმართველოს მიზანია:

- სკოლამდელი განათლების სფეროში არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრის გზების ძიება;
- მუნიციპალიტეტების მხარდაჭერა და დახმარება სკოლამდელი განათლების დაწესებულებების მართვისა და ორგანიზების საქმეში;
- სკოლამდელი დაწესებულებების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა და მუშაობის ეფექტიანობის ამაღლება;
- სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობა მთელი ქვეყნის მასშტაბით;
- თითოეული ბავშვის სკოლისათვის მომზადება და მათთვის ხარისხიანი სკოლამდელი განათლების უზრუნველყოფა.

ძალზე მნიშვნელოვნად გვესახება, რომ საქართველოში ოცდამეერთე საუკუნის დასაწყიში შეიქმნა:

1. სკოლამდელი განათლების ვებ-გვერდი www.preschooleducation.ge.
2. სკოლამდელი განათლების მონაცემთა ბაზა;
3. გამოიცა მეთოდური სახელმძღვანელოები სკოლამდელი დაწესებულებების აღმზრდელთა და სპეციალისტთათვის;
4. შეიქმნა სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამა ბაგა-ბაღებისათვის, აქტივობათა წიგნი, თბილისი, 2012 წ.
5. 2015 წელს მომზადდა კანონპროექტი: „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ", რომელიც, როგორც კანონი, დაამტკიცა საქართველოს პარლამენტმა 2016 წლის 8 ივნისს.
6. კანონით გათვალისწინებულია სწავლების ორსაფეხურიანი სისტემა: ადრეული განათლება და ზრუნვა დაბადებიდან 2 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის, სკოლამდელი განათლება 2 წლის ასაკიდან ბავშვის სკოლაში შესვლამდე. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების თითოეული დაწესებულება უზრუნველყოფს ინკლუზიურ განათლებას ყველა ბავშვისათვის, ანუ საგანმანათლებლო მიდგომას, რომლის ფარგლებშიც განათლების სისტემა უზრუნველყოფს ყველა ბავშვის ხარისხიან განათლებას დაწსებულებებში მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.
7. კანონით სააღმზრდელო დაწესებულებებში აიკრძალა ბავშვთა მიმართ ძალადობა, მათ შორის ფიზიკური დასჯა, უგულებელყოფა, შეურაცხმყოფელი ანდა დამამცირებელი მოპყრობა. განმტკიცებულია ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი - განათლების მომსახურებაში მშობელთა სრული ჩართულობის უზრუნველყოფა. ამ მიზნით ადრეული და სკოლამდელი განათლების დაწესებულებებში იქმნება საკონსულტაციო საბჭოები, რომლებიც ხელს უწყობენ დაწესებულებების ეფექტურ ფუნქციონირებას და სხვ. (4).
8. სატრენინგო პროგრამების მიხედვით სამინისტრომ გადაამზადა მასწავლებელთა დიდი ნაკადი.
9. შეიქმნა მოდულური პროგრამა ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი" (9).

ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება გვინდა გავამახვილოთ მოდულურ პროგრამაზე „ბაგა ბაღის აღმზრდელი პედაგოგი". ამ პროგრამის შექმნა მართლაც მნიშვნელოვანი მოვლენაა სკოლამდელთა სწავლებისა და აღზრდის საქმეში. პროგრამა პროფესიულ დონეზე ხელს შეუწყობს სპეციალისტების გარეშე დარჩენილ სკოლამდელ დაწესებულებებში შედარებით მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვას. ამ თვალსაზრისით, მადლობა უნდა ვუთხრათ პროგრამის ავტორებს და შემქმნელებს. პროგრამა რამდენიმე მოდულისგან შედგება და იგი ორწელიწადნახევარზეა გათვლილი. ჩვენ შევჩერდებით პროგრამის ოთხ მოდულზე, რომლებთანაც შეხება პირადად გვქონდა სალექციო და პრაქტიკული კურსის განხორციელების დროს. ეს მოდულებია: ადრეული განათლების კურიკულუმი, სააღმზრდელო გარემო, სააღმზრდელო პროცესი და ბავშვზე ორიენტირებული მიდგომა. ჩვენ, გამიზნულად, დაწვრილებით არ დავახასიათებთ მათ საათობრივ დატვირთვას. გავეცანით რა ზემოთ დასახელებული მოდულების თემატიკას, სწავლის შედეგებს, ვფიქრობთ, ისინი აბსოლუტურად იდენტურია. მართალია, სხვადასხვა კუთხით, მაგრამ ერთი და იგივე საკითხები სისტემატურად მეორდება. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს: ბ. ბლუმი, ჰ. გარდნერი, დ. უზნაძე და მ. მონტესორი, ჟ. პიაჟე, ლ. ვიგოტსკი და სხვ. **ვფიქრობთ, რომ საგრანტო პროგრამის** ავტორებმა იჩქარეს და უცხოეთიდან პირდაპირ გადმოიტანეს აღნიშნული მოდელები. მრავალფეროვანი არ აღმოჩნდა **უმრავლეს შემთხვევაში სტუდენტების პროფესიული აქტივობა**. ამას დაემატა ქართულ ენაზე სახელმძღვანელო წიგნების ნაკლებობა და შესრულების მტკიცებულებები, რომელიც ფოტო გადაღებების, მინი პროექტების, დაკვირვებებისა და აუდიო–ვიდეო მასალის სახით უნდა წარგვედგინა, ჯერ პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტის ადმინისტრაციისათვის, ხოლო შემდეგ სამინისტროსგან წარმოგზავნილი მონიტორინგის ჯგუფისათვის.

ასევე გვინდა, რომ თავიდან ავიცილოთ ჩვენს მიერ ზემოთ განხილული შეუსაბამობები, ვფიქრობთ ზემოთ დასახელებული მოდულები: სააღმზრდელო პროცესი, სააღმზრდელო გარემო, ბავშვზე ორიენტირებული მიდგომა და ადრეული განათლების კურიკულუმები, სწორედ ის მოდულებია, სადაც შინაარსობრივი გადაფარვებია. მიგვაჩნია, რომ ოთხივე მოდული პროგრამაში ფორმულირებული უნდა იქნეს ორ მოდულად: „ადრეული განათლების კურიკულუმი" და „სააღმზრდელო პროცესი, გარემო და ბავშვზე ორიენტირებული მიდგომა".

მთლიანობაში კი მადლობა გვინდა ვუთხრათ მოდულური პროგრამის შემქმნელებს, UNICEF-ს მრავალმხრივი და საინტერესო მუშაობისათვის. საქმის დაწყება საქმის ღირსეულად დამთავრების ტოლფასი იქნება.

აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ის სირთულეები, რომელსაც თითქმის ყველა საბავშვო ბაღში ვაწყდებით. ეს არის ბავშვთა გადაჭარბებული რაოდენობა ჯგუფებში. დადგენილი სტანდარტით ბაგაში 15 აღსაზრდელზე 3 მასწავლებელი უნდა მოდიოდეს, ბაღის უმცროს ჯგუფში 24 აღსაზრდელზე 3 აღმზრდელი, საშუალო ჯგუფში 27 აღსაზრდელზე 3 აღმზრდელი და უფროს ჯგუფში 30 აღსაზრდელზე 3 აღმზრდელი. ჩვენდა საწუხაროდ, სტანდარტით დადგენილი კანონი ბაღებში არ სრულდება. ჯგუფში ბავშვების გაცილებით უფრო დიდი რაოდენობაა, ვიდრე დადგენილია, რაც პირველ რიგში აღმზრდელს უქმნის სირთულეს და იგი ვეღარ აღწევს იმ ხარისხს რომლის მიღწევაც სურს.

ადრეულ განათლებაში მნიშვნელოვან ინოვაციად მიგვაჩნია ის, რომ სკოლამდელი განათლების კანონი გვთავაზობს აღმზრდელის პედაგოგის რანგში გადაყვანას რათა ის მასწავლებლის სტატუსს დაუახლოვდეს. მაგრამ, ვიდრე აღმზრდელები კანონით მინიჭებული სტატუსით ისარგებლებენ, სასკოლო მზაობის პროგრამის უკეთ დანერგვის მიზნით, მათ ტრენინგის გავლა მოუწევთ. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ ის სიძნელეები, რომლებიც საბავშვო ბაღის აღმზრდელებს ხვდებათ დღეს. ჩვენი აზრით, ეს არის ჯგუფების მეტისმეტად გადატვირთვა ბავშვებით, რაც ართულებს აღმზრდელის მიერ მასზე დაკისრებული მოვალეობის სრულყოფილად განხორციელებას. ცალკე უნდა აღვნიშნოთ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, თანამედროვე ბაღების უმრავლესობა ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს. ბავშვების უმრავლესობა საბავშვო ბაღის გარეთ არის

დარჩენილი და მათი სკოლისათვის მომზადების საკითხიც გადაუჭრელი რჩება. ჯერ კიდევ, სრულად არ არის უზრუნველყოფილი ისეთი გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის ეფექტურ ტრანზიციას ადრეული განათლების სისტემაში.

როგორც ცხადყოფს კვლევები, განვითარების ფსიქოლოგიასა და განათლების მეცნიერებაში სკოლამდელი ასაკი კოგნიტური, ემოციური, მეტყველებისა და სოციალური განვითარებისათვის კრიტიკული პერიოდია. სწორად დაგეგმილი ადრეული განათლება ხელს უწყობს ბავშვის მრავალმხრივი უნარების განვითარებას, სკოლისათვის მის მომზადებასა და წარმატებას მომავალ ცხოვრებაში.

„სკოლამდელი განათლება მიზნად ისახავს ბავშვების მომზდებას დაწყებითი კლასების მოთხოვნათა შესაბამისად. სპეციალური სკოლამდელი დაწესებულებები ბოლო ხანებში საბავშო ბაღებმა ჩაანაცვლა. ეს უკანასკნელნი თითქმის აღარც არსებობენ უკვე გერმანიაში. სკოლამდელი განათლების ამოცანაა, რაც შეიძლება გაუადვილოს მოზარდებს ბაღსა და სკოლას შორის გარდამავალი ეტაპი, ბავშვმა იგი ნაკლები სირთულით განიცადოს, რათა არ გაუჭირდეს ადაპტაცია სასკოლო გარემოში. სკოლამდელი სწავლება თამაშის სახით მიმდინარეობს, მხოლოდ ერთი განსხვავებით, სკოლაში ბავშვები მაგიდასთან უფრო ხანგრძლივად სხედან და მთელი კონცენტრაციით ასრულებენ მიცემულ დავალებას, როგორიცაა: ხატვა, ძერწვა და ასე შემდეგ. ასევე მოზარდებს ასწავლიან, რომ ამხანაგები წარმომავლობის, ფერის, რასის და რელიგიის მიხედვით არ უნდა განასხვაონ“ (6). საყოველთაოდ არის აღიარებული, რომ სკოლამდელი განათლება წარმოადგენს საგანმანთლებლო სისტემის საფუძველს, რომელმაც ბავშვი უნდა მოამზადოს სასკოლო საფეხურზე სწავლის წარმატებით გასაგრძელებლად. მას ხუთი მახასიათებელი გააჩნია: განმავითარებელი, საგანმანათლებლო, პრევენციული, ინკლუზიური და ფიზიკური ჯანმრთელობის დამცველი .

კველევები ადასტურებს, რომ ხარისხიანი სკოლამდელი განათლება ხელს უწყობს ბავშვის განვითარებას, მის აკადემიურ და სოციალურ წარმატებას. უცხოური სკოლამდელი განათლების პროგრამების ანალიზიდან გამომდინარე აღმოჩნდა, რომ: „მხოლოდ ხარისხიან სკოლამდელ განათლებას მოაქვს დიდი სარგებელი ბავშვებისათვის. ხოლო ადრეული განათლების მკვლევარი ლილიან კათზი ადრეული განათლების ხარისხის ინდიკატორებს შემდეგი სახით წარმოგვიდგენს: „უსაფრთხოების განცდა ,ოპტიმალური თვითშეფასება, შეგრძნება, რომ ცხოვრება მნიშვნელოვანია, მხარდაჭერა გამოცდილების გაზიარებისათვის, ავტორიტეტული ზრდასრულები, სასურველი როლური მოდელები“ (8).

ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია, მასწავლებლისა და მშობლის როლი ხარისხიანი სკოლამდელი განათლების ინდიკატორების განსახორციელებლად. მასწავლებლმა იცის, რომ საჭიროა ბავშვებთან აქტიური ვერბალური კომუნიკაცია და თბილი ურთიერთობა, განვითარებისა და ცოდნის თვალსაზრისით ყველა ბავშვის მიმართ უნდა ჰქონდეს დადებითი განწყობა და არ არსებობს უპერსპექტივო ბავშვი; ხოლო მშობლებს საშუალება ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ საგანმანათლებლო პროგრამაში, როგორც მოხალისეებმა და მასწავლებლის დამხმარეებმა და მიიღონ ინფორმაცია ბავშვის განვითარების შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ რამდენიმე კრიტიკული შენიშვნა გამოვთქვით დღეს სკოლამდელ განათლებაში მიმდინარე პროცესებზე, სახელმწიფომ მაინც შეძლო განესაზღვრა საქართველოში ხარისხიანი სკოლამდელი განათლების პრინციპები: „ბავშვზე ორიენტირებული განათლება; ჰოლისტური და არა ფრაგმენტული მიდგომა; განვითარების უახლოესი ზონის გათვალისწინება; თამაშის, როგორც სკოლამდელი ასაკის ბავშვის ქცევის წამყვანი ფორმა; ბავშვის დამოუკიდებლობისა და ცნობისმოყვარეობის სტიმულირება; ჯგუფის სიმცირე (ბავშვების მცირე რაოდენობა ჯგუფში) და ზრდასრულებისა და ბავშვების მაღალი თანაფარდობა; პერიოდული შეფასება და მონიტორინგი; დაკვირვება; ოჯახთან მჭიდრო კავშირი და მისი აქტიური ჩართვა სასაწავლო-სააღმზრდელო პროცესში; ჯანმრთელობა და უსაფრთხოება; მასწავლებლის პროფესიონალიზმი და კვალიფიკაციის ამაღლება, პროფესიული ეთიკა“(5).

ამრიგად, ბავშვის სიცოცხლის პირველი წლები გადამწყვეტია მისი განვითარებისათვის და მისი მომავლისთვის. ადამიანის ინტელექტუალური შესაძლებლობების უდიდესი ნაწილი ყალიბდება სიცოცხლის პირველ წლებში. თანდაყოლილი მიდრეკილებების უდიდესი ნაწილი ვითარდება სკოლამდელ ასაკში, ეს ასევე ეხება სწავლის უნარს. ბავშვის საგანმანათლებლო ღონისძიებები, ინტელექტუალური და სოციალური განვითარების სტიმულირება ყველაზე ეფექტურია სწორედ სკოლამდელ ასაკში.

ჩვენს მიერ განხილული საკითხიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ დღევანდელ ეტაპზე ადრეული განათლება საქართველოში თანამედროვე ინოვაციების გათვალისწინებით ვითარდება და სათანადო ადგილს იმკვიდრებს საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში. კარგი იქნება, რომ სამომავლოდ შეიქმნას საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამები სკოლამდელი აღზრდის კუთხით, რათა მომზადდეს სკოლამდელი დაწესებულებებისათვის კვალიფიციური მასწავლებლები.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. ბასილაძე ი., ბერუჩაშვილი მ., ადრეული განათლების კურიკულუმის არსის საკითხისათვის თანამედროვე ქართულ პედაგოგიკურ აზროვნებაში, აწსუ-ს პედაგოგიური ფაკულტეტის VIII საერთაშორისო კონფერენციის შრომების კრებული „აღზრდისა და სწავლების აქტუალური პრობლემები“, ქუთაისი, 2017 .
2. საქართველოს რესპუბლიკის განათლების მინისტრის ბრძანება № 469 30.09.97.
3. საქართველოს კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“, www.parliament.ge/.../adreuli-agzrdisa-da-ganatlebis-shesaxeb-kan 2016.
4. ჯაში მ., თოქმაზიშვილი მ., საქართველოს ფინანსური პოლიტიკის გენდერული განზომილებები, თბ., 2009.
5. ჯანელიძე ა., ადრეული განათლების მნიშვნელობა მომავალი წარმატებისათვის, 27 აგვისტო, 2015, www. mastavlebeli.ge;
6. Bildungsforschung Band 34, Der Übergang von der Grundschule in die weiterführende Schule Leistungsgerechtigkeit und regionale, soziale und ethnisch-kulturelle Disparitäten, Autoren/:Kai Maaz, Jürgen Baumert, Cornelia Gresch, 2010).
7. www.preschooleducation.ge.
8. www.naec.ge).
9. mes.gov.ge).



**იმერი ბასილაძე, მაია ახვლედიანი**


**ადრეული განათლების მნიშვნელობის ზოგიერთი საკითხისათვის თანამედროვე ქართულ პედაგოგიკაში**

**რეზიუმე**


ნაშრომში განხილულია სკოლამდელი განათლების საკითხები. კრიტიკულად არის შეფასებული მეოცე საუკუნის 90-იანი წლებიდან დღემდე ადრეული განათლების განვითარების ტენდენციები და პერსპექტივები საქართველოში. აღნიშნულია, რომ სკოლამდელი განათლება ეს არის მნიშვნელოვანი ეტაპი ადამიანის ცხოვრებაში. იგი განსაზღვრავს მის სამომავლო წარმატებებს. ადრეულ ასაკში ბავშვის მრავალმხრივი განვითარება, ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით სკოლისათვის და შემდგომი ცხოვრებისათვის მზაობის ხელშეწყობა ბავშვის სრულფასოვან პიროვნებად ჩამოყალიბების მყარ საფუძველს წარმოადგენს. ბავშვის მრავალმხრივი

განვითარებისათვის საჭიროა გარემოსა და პირობების შექმნა, რაც შესაძლებელია ერთობლივად, მშობლების, ოჯახის, სასწავლო დაწესებულებებების, სახელმწიფოსა და სრულიად საზოგადოების მხრიდან ჩართვით.

ნაშრომში გამოთქმული კრიტიკული შენიშვნების მიუხედავად ავტორები აკეთებენ დასკვნას, რომ დღეს სკოლამდელ განათლებაში სახელმწიფომ მაინც შეძლო განესაზღვრა ხარისხიანი ადრეული განათლების პრინციპები საქართველოში.

**Imeri Basiladze, Maia Akhvlediani**

**Some of the Issues of Importance of Early Education in Modern Georgian Pedagogics**

**Summary**

The work deals with pre-school education issues. Early Education Development Trends and Prospects in Georgia, are critically evaluated from the 90s of the twentieth century to the present day. It is denoted that pre-school education is an important step in human life. It determines its future success. In the early ages, the child's multilateral development, promoting the readiness of the school and the subsequent living by considering age peculiarities is a solid foundation for the development of the child as a full-fledged person. It is necessary to create environment and conditions for the development of the child's multilateral development which can be done jointly by parents, family, educational institutions, state and whole society.

Despite the critical remarks expressed in the work, the author concludes that nowadays, in the pre-school education, the principles of quality early education is determined in Georgia.

**Имери Басиладзе, Маиа Ахвледиани**

**О некоторых вопросах значимости раннего образования в современной грузинской педагогике**

**Резюме**

В труде рассмотренны вопросы дошкольного образования. Критически оценены тенденции и перспективы развития раннего образования с 90-ых годов двадцатого века до сегодняшнего периода в Грузии. Отмечено, что дошкольное воспитание - это важнейший этап в жизни человека. Оно определяет его дальнейшие успехи. Многостороннее развитие ребенка в раннем возрасте, содействие его готовности к школе с учётом возрастных особенностей, является прочной основой формирования в ребенке полноценной личности готовой к дальнейшей жизни. Для многостороннего развития ребенка необходимо создание среды и условий, возможно совместно с родителями, с семьёй, учебными заведениями, государством и обществом.

Несмотря на высказанные в труде критических замечаний, автор делает заключение, что ныне государство все-таки смогло определить принципы качественного раннего образования в Грузии.

**იმერი ბასილაძე**
**აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი**

**მანონი ბერუჩაშვილი**
**ქუთაისის № 31 ბაგა-ბაღის აღმზრდელ – პედაგოგი**

## ბავშვზე (მოსწავლეზე) ორიენტირებული კურიკულუმის ძირითადი პრინციპები ქართულ პედაგოგიკურ აზროვნებაში

თანამედროვე მსოფლიოში კურიკულუმების კლასიფიცირება ხდება იდეოლოგიების თვალსაზრისით. როგორც კლერ მაკლაქლანი, მერილინ ფლიერი, სუზან ედვარდსი აღნიშნავენ, არსებობს კურიკულუმის ერთი მნიშვნელოვანი განზომილება. ეს არის დიზაინის მხარდამჭერი იდეოლოგია და იშველიებენ შიროს აზრს იმასთან დაკავშირებით, რომ კურიკულუმის პრაქტიკის ფორმირებას ახდენს ოთხი დომინანტური იდეოლოგია: სამეცნიერო აკადემიური იდეოლოგია; სოციალური ეფექტიანობის იდეოლოგია; მოსწავლეზე ორიენტირებული იდეოლოგია; სოციალური რეკონსტრუქციის იდეოლოგია.

სტატიაში ჩვენ განვიხილავთ მოსწავლეზე ორიენტირებულ იდეოლოგიას. ის ემყარება მოსაზრებას იდეალური სკოლის შესახებ. ეს არის იდეოლოგია, რომელიც ჯონ დიუიმ (1915) „მომავლის სკოლა" წიგნში განავითარა. თანამედროვე მოდელები, რომლებიც ამ მსოფლმხედველობას იზიარებენ, მონტესორის (Montessori) სკოლამდელი დაწესებულება და რეჯიო ემილიას სკოლაა (Reggio Emilia). მოსწავლეზე ორიენტირებულ იდეოლოგიაში უმთავრესი ასპექტი თითოეული ბავშვისა და არა მასწავლებლის, სასკოლო საგნების, სკოლის ადმინისტრაციის ან თემის საჭიროებებია. ბავშვზე ორიენტირებული კურიკულუმის მქონე სკოლაში მასწავლებელი ეყრდნობა იმ ტიპის სასწავლო გეგმას, რომლის მიზნებიც „ინდივიდუალური კომპეტენციის გამომუშავება და საკუთარი თავის აღქმაა"(5, 31). მოსწავლეზე ორიენტირებული კურიკულუმის მომხრე ავტორები ისეთი ფორმით წარმოადგენენ კურიკულუმს, რომელიც ახდენს ცოდნის ინტეგრირებას ბავშვის მიერ საკუთარი თავის, როგორც საზოგადოების წევრის, მზარდ შეგრძნებასთან.

როგორც ნ. კობახიძე წერს, „მოსწავლეზე ორიენტირებული განათლება, ფართო გაგებით, რამდენიმე პრინციპს ემყარება და უპირისპირდება ე.წ. მასწავლებელზე ორინტირებულ მიდგომას. მასწავლებელზე ორიენტირებული მიდგომა უფუძნება იმ გაგებას, რომ ცოდნის გადაცემა ხდება ერთი მიმართულებით - მასწავლებლიდან მოსწავლისკენ. ასეთ დროს მასწავლებელს აქვს დიდი ავტორიტეტი. ის არის ექსპერტი და ცოდნის მფლობელი. მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება არის განათლების ის მოდელი, სადაც მოსწავლეები არიან სწავლების პროცესის ცენტრში. მოსწავლეთა საჭიროებები, მათი შეხედულებები, აზრები, მისწრაფებები სწავლების დროს გათვალისწინებულია. ამ მოდელის მიხედვით, მასწავლებლისათვის მთავარია ხელი შეუწყოს მოსწავლეებს განვითარებაში, დაეხმაროს სწავლაში, შეუქმნას პოზიტიური გარემო და იყოს სასწავლო პროცესის ფასილიტატორი"(4).

მოსწავლეზე ორიენტირებულ კურიკულუმთან დაკავშირებით, საინტერესოა გამოჩენილი ქართველი ფსიქოლოგის დიმიტრი უზნაძის (1886-1950 წ.წ.) შეხედულებები მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის არსებულ წინააღმდეგობაზე, რომელსაც დიმიტრი უზნაძემ „აღზრდის ტრაგედია" უწოდა. რა არის აღზრდის რთული ბუნების ერთ-ერთი გამომხატველი ეს ტრაგედია? დიმიტრი უზნაძის აზრით, ის აღმზრდელისა და აღსაზრდელის მისწრაფებათა წინააღმდეგობაში მდგომარეობს. ბავშვი იოლად არ ემორჩილება აღმზრდელის ღონიძიებებს, რადგან ისინი თავიანთი სოციალური მიზანდასახულობით გაუგებარია მისთვის. ეს, მართლაც, სიძნელეს ბადებს აღზრდის პროცესში: „ის რაც აღმზრდელის შეხედულებით კეთილდღეობასა და ბედნიერებას წარმოადგენს, აღსაზრდელის რწმენით ხშირად უბედურება და წამება იქნება ...

აღმზრდელი სოციალური თვალსაზრისით ჭვრეტს ამ კეთილდღეობას და აღსაზრდელი კი თავისი საკუთარი ინტერესების მხრით, ინდივიდუალურად. გონიერება მოითხოვს მყობადი აწმყოს შეეწიროს, მცირე სიამოვნება დიდისა და ხანგრძლივ კეთილდღეობას ანაცვალოთ. მაგრამ მოზარდი სულ სხვას მოითხოვს. მას მომავალი არა სწამს და მას აწმყოს ვერასოდეს და ვერაგზით ვერ ანაცვალებს. იგი მომენტით ცხოვრობს და მომენტის მონაა. ამიტომ იგი ერთი წუთითაც კი ვერავის დაუთმობს თავის აწმყოს (8, 430). დ. უზნაძის აზრით, „აღზრდის ტრაგედიის“ გადალახვაში გადამწყვეტ როლს უნდა ასრულებდეს მასწავლებელი, რომელსაც ძალუძს ემპირიული ზედაპირიდან ადამიანის არსში შეღწევა“. პედაგოგიური პროცესის ძირითად პირობას, სწორედ, ბავშვის ბუნების უშუალო წვდომა, მისი გრძნობებისადმი, „სულიერი მღელვარებისადმი“, თანაგრძნობა – ის, რასაც ახლა ემპათიურ უნარებს ეძახიან, მხოლოდ ბავშვის ფსიქოლოგიის ცოდნა მისცემს შესაძლებლობას მასწავლებელს, „უმტკივნეულოდ შეუხამოს სოციალური ხასიათის მიზნები ბავშვის ბუნებრივი განვითარების მიმართულებას“(8, 430).

უზნაძის მიხედვით, რას წარმოადგენს განწყობა? უზნაძის მიხედვით, განწყობა წარმოადგენს ადამიანის მთლიან პიროვნულ მზაობას გარკვეული ქცევისადმი, „სანამ ცოცხალი არსება რაიმე ქცევას მიმართავდეს, მას უკვე მანამდე აქვს ქცევა განწყობის სახით მოცემული“.

განწყობის ცნების შინაარსს უზნაძე ინდივიდის მიზანშეწონილი ქცევის ანალიზიდან გამომდინარე ხსნის, რა განსაზღვრავს ადამიანის ქცევას? მოთხოვნილება, რომელიც რაღაცის დეფიციტს გულისხმობს. მოთხოვნილება არის ის სუბიექტური, მაგრამ არასაკმარისი ფაქტორი, რომელიც აუცილებელია ქცევის განსახორციელებლად. თუ ადამიანს შემეცნებითი მოთხოვნილება აქვს, ის სათანადო სიტუაციას ეძებს მის დასაკმაყოფილებლად. მაშასადამე, სიტუაცია, გარემო წარმოადგენს ობიექტურ, აუცილებელ ფაქტორს ქცევის განხორციელებისათვის. ის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ესწრაფვის და სიტუაციის შესატყვისად იცვლება.

დიმიტრი უზნაძის აზრით, ეს ყველაფერი უნდა იცოდეს მასწავლებელმა, რაც დაეხმარება მას გაკვეთილების, აქტივობების წარმატებით ჩატარებაში, რადგან მასწავლებელს და მოსწავლეს ყოველ ახალ აქტივობაში ჩასართავად სჭირდებათ სპეციალური მზაობა, განწყობა, რომელიც აამოქმედებს მოსწავლის სათანადო ძალებსა და უნარ–ჩვევებს. მასწავლებელმა მოსწავლეს სამოქმედოდ განწყობილ ძალებზე გათვლილი სასწავლო აქტივობები უნდა მიაწოდოს. სასწავლო პროცესი იმაზე უნდა იყოს ორიენტირებული, რომ მოსწავლეს ადამიანის ერთ–ერთი დამახასიათებელი მოთხოვნილება, ინტელექტუალური მოთხოვნილება (ცნობისმოყვარეობა) ე.წ. ცოდნის წყურვილში გადაეზარდოს.

აქედან გამომდინარე, მასწავლებელსა და მოსწავლეს ყოველ ახალ აქტივობაში ჩართვისათვის სჭირდება სპეციალური მზაობა, განწყობა, რომელიც აამოქმედებს მოსწავლის სათანადო ძალებს და უნარ-ჩვევებს. განწყობის თეორია ხომ არსებითად ქცევის ახსნითი მოდელია. როგორიც მოტივია, ისეთია ქცევაც. მოტივი (ან მოთხოვნილება) განსაზღვრავს ქცევის ფსიქოლოგიურ შინაარსს.

როგორ შევუქმნათ მოსწავლეს განწყობა?

სასწავლო პროცესის ეფექტიანობა, პირველ რიგში, სწავლისადმი დადებითი განწყობის შექმნას გულისხმობს, ანუ მთლიან პიროვნულ მზაობას, რომელიც განსაზღვრავს აქტივობაში მოსწავლის ჩართვას. თუ ახალი აქტივობის მიმართ (დისკუსია, ახალი ტიპის ტესტები) მოსწავლეებს დადებით ემოციურ დამოკიდებულებას შევუქმნით, შედეგი აუცილებლად დადებითი იქნება.

დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორ მოვარგებთ სასწავლო მასალას მოსწავლის განწყობას, მის სამოქმედოდ განწყობილ ძალებს. როგორი უნდა იყოს ეს მასალა? 1. „მასალა ერთი მხრივ, შესაფერისი უნდა იყოს მოსწავლის ძალთა განვითარების აქტუალური დონისათვის, მეორე მხრივ, იგი დაშორებული უნდა იყოს მას საკმარისად. წინააღმდეგ შემთხვევაში წინსვლა შეუძლებელი იქნება. მოსწავლის ჩარევა სწორედ ამ პირობის რეალიზაციას ახდენს, მასწავლებელი მასალას ისე აწვდის მოწაფეს, რომ იგი მისაწვდომი გახდეს. მასწავლებლის როლი სასწავლო მასალისა და მოწაფის ძალთა

შორის შუამავლობასა და მისი ნამდვილი განვითარების შესაძლებლობის აუცილებელი პირობის შექმნაში მდგომარეობს“ (9, 108); 2. საკლასო ოთახში შექმენით ბავშვის განვითარების შესატყვისი გარემო. გახსოვდეთ, რომ მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება, მოსწავლეების ინტერესებისა და სურვილების გათვალისწინებას გულისხმობს(2, 30).

მეოცე საუკუნეში, საქართველოში ბავშვზე (მოსწავლეზე) ორიენტირებული კურიკულუმის განვითარების საქმეში დიმიტრი უზნაძის შემდეგ დიდი როლი შეასრულა გამოჩენილმა ქართველმა ფსიქოლოგმა ბარნაბ ხაჭაპურიძემ. იგი 1927 წლიდან ჩაერთო თბილისის პირველი საბავშვო ბაღის კვლევით მუშაობაში. მისი ხელმძღვანელობით წარმართულმა კვლევითმა მუშაობამ სათამაშოების დამუშავების მიმართულება მიიღო. ჩვენი აზრით, ეს იმანაც განაპირობა, რომ ჯერ კიდევ 1931 წელს საქართველოს განათლების კომისარიატმა პირველ ბაღთან სათამაშოების სახელოსნო გახსნა. თვით იდეა კი სათამაშოების დამზადება–დამუშავებისა კიდევ უფრო ადრე დაიბადა. 1925 წელს საბავშვო ბაღში უკვე ჩამოყალიბდა მოხალისეთა ჯგუფი, რომელმაც მიზნად დაისახა დიდაქტიკური მასალების დამუშავება. კოლექტივმა გატაცებით მოჰკიდა ხელი საქმეს და ორიგინალური სათამაშო მასალების დამზადება დაიწყო. დამზადებული მასალა მხოლოდ ერთი ბაღის კუთვნილებად არ რჩებოდა. რამდენადაც 1923 წელს პირველი საბავშვო ბაღი განათლების კომისარიატის საცდელ–საჩვენებელ ბაღად იქნა დამტკიცებული, აქ დამზადებული მასალები მთელ რესპუბლიკაში ვრცელდებოდა. ბევრ საბავშვო ბაღში ნახავდით „ასოების სტამბას“, „ფერების დომინოს“ და სხვა მაღალმხატვრულ დონეზე შესრულებულ სათამაშოებს“(10, 4).

ნ. მჭედლიძე თავის სტატიაში „ბარნაბ ხაჭაპურიძე“ საინტერესოდ აღწერს მის განსაკუთრებულ დამსახურებას დიდაქტიკური სათამაშოების შექმნისა და დამზადების კუთხით. „საბავშვო ბაღის სახელოსნომ თავისი არსებობის პირველსავე წელს შეძლო პედაგოგიური საზოგადოებისათვის წარედგინა მეტად საინტერესო სათამაშო ექსპონატები – საშენი მასალა – ხელოვნების ნამდვილი ნაწარმოები, რომელშიც ასახული იყო საბჭოთა საქართველოს სოციალისტური მშენებლობის ობიექტები. მასალა ბავშვებს საშუალებას აძლევდა აეგოთ ზაჰესი, ჩელიუსკინელების სახელობის ხიდი, ქარხანა, ქართული სტილის სახლი, განახლებული სოფელი.

დიდ სიხარულს ანიჭებდა ბავშვებს სათამაშო ტრანსპორტი – სატვირთო პედალიანი მანქანები. მათ ბავშვები მართავდნენ, ფრთხილად დაჰყავდათ ეზოში, რათა არავინ დაეშავებინათ. განსაკუთრებით აღსანიშნავია „ტრამვაი“, იგი ელექტროდენით მოძრაობდა, იტევდა 8–10 ბავშვს, საჭეს „ვატმანი“ უჯდა. სათამაშოები ყველას ყურადღებას იქცევდა. იყო აზრთა ურთიერთგაცვლა: რამდენად პედაგოგიურია საშენი მასალის მზა სიუჟეტით შემოფარგვლა, როგორ შეიძლება რეალურად ასეთი სათამაშო მანქანებისა და ტრამვაების შეძენა საბავშვო ბაღებისათვის და სხვ. მაგრამ თვით მუშაობის შეფასებაში ყველა ერთსულოვანი იყო: ჩვენს თვალწინ დიდი საქმე კეთდებოდა. ეს ექსპონატები არა მარტო პატარებისათვის, დიდებისათვისაც სასურველი სანახავი იყო. აქ ექსკურსიით მოდიოდნენ სხვა საბავშვო ბაღებიდანაც, უფროსჯგუფელებიც და უმცროსჯგუფელებიც. „ტრამვაიმ“ თბილისის საბავშვო რკინიგზის აშენების იდეა წარმოშვა, რაც მალე წარმატებით განხორციელდა და შემდგომ საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში საბავშვო რკინიგზების შექმნის საწინდარი გახდა“ (6, 86).

საბავშვო ბაღის სახელოსნოში ბ. ხაჭაპურიძის ახალი დიდაქტიკური მასალებისა და სათამაშოების დამუშავების გარდა, იქმნებოდა კლასიკური დიდაქტიკური მასალები (ფრებელი, მონტესორი, დეკროლი). მათ უმრავლესობას დ. უზნაძის განწყობის თეორიის დებულებები ედო საფუძვლად. 1937 წელს დიდაქტიკური მასალები და თამაშობანი – „წრიალა“, „ფორმების სექტორინა“, „ფერების მასალა“, „მასალა თვლისათვის“ წარდგენილ იქნა რსფსრ–ს სახალხო განათლების კომისარიატის სათამაშოების

კომიტეტში, რის შემდეგაც ბ. ხაჭაპურიძეს მიენიჭა ავტორის უფლება და მათი წარმოების ნება დაერთო.

პირველი საბავშვო ბაღის სახელოსნოს საქმიანობა მნიშვნელოვნად გაფართოვდა, იგი თავისი შინაარსი გაცილებით ღრმა და მეცნიერული გახდა, გაიზარდა მოთხოვნილება ექსპერიმენტული მუშაობის გააქტიურებისა. საამისო შესაძლებლობანი ზემოთ აღწერილში წინასწარმა მოსამზადებელმა პერიოდმა შექმნა. ამასთან, უკვე 1936 წლიდან სახელოსნოში მეცნიერ მუშაკთა ახალი შევსება მოვიდა.

ბარნაბ ხაჭაპურიძემ, მის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები გამოსცა შრომად – „დიდაქტიკური მასალები და თამაშობანი სკოლამდელი აღზრდის ზოგიერთ საკითხებთან დაკავშირებით“ (1939). ეს არის პირველი ნაშრომი სკოლამდელ პედაგოგიკაში, რომელიც აგებულია განწყობის ექსპერიმენტის მასალებზე.

ყოველივე ამან განაპირობა ის, რომ 1939 წლიდან საქართველოს განათლების კომისარიატის მიერ სახელოსნო რეორგანიზებულ იქნა და მის ბაზაზე გაიხსნა საბჭოთა კავშირში პირველი „დიდაქტიკური მასალებისა და სათამაშოების სამეცნიერო–კვლევითი ლაბორატორია“, რომელსაც ბ. ხაჭაპურიძე ჩაუდგა სათავეში.

ლაბორატორიამ ფართო მუშაობა გაშალა დიდაქტიკური მასალებისა და სათამაშოების პედაგოგიური ეფექტიანობის ექსპერიმენტალურად შესწავლის მიმართულებით. შესრულდა და გამოქვეყნდა ნაშრომები: ბ. ხაჭაპურიძის – „ახალ დიდაქტიკურ მასალათა შემოწმების შედეგები სკოლამდელი აღზრდის ზოგიერთ ამოცანასთან დაკავშირებით“, ქ. მაჩაბლის – „სანაპირო ბატარეის პედაგოგიური ეფექტიანობა“, ნ. ლეჟავას – „საზენიტო ბატარეის პედაგოგიური ეფექტიანობა“, რ. ნათაძის – „ზოგად ცნებათა ლოტოს პედაგოგიური ეფექტიანობა“, რ. ნათაძის „მიმართულებათა ლოტო“, ბ. ხაჭაპურიძისა და ქ. მაჩაბლის –„აბსტრაქციის უნარის განვითარება ახალი დიდაქტიკური მასალებით მუშაობის პირობებში“, თ. ერისთავის - „ახალი დიდაქტიკური მასალებით მუშაობის შესახებ (გამოცდილებიდან)“ და სხვ.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ლაბორატორიის არსებობის პირველსავე წელს შესრულებულ ბ. ხაჭაპურიძის მონოგრაფიას „დიდაქტიკური მასალები და თამაშობანი სკოლამდელი აღზრდის ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით“, რომელიც ქართულ და რუსულ ენებზე გამოქვეყნდა. მასში ჩამოყალიბებულია ბ. ხაჭაპურიძის კონცეფცია, აღწერილია დიდაქტიკური თამაშობები. ყოველივე ეს განხილულია განწყობის თეორიის თვალსაზრისით. ლაბორატორიის სახე წარმოდგა შემდგომ შესრულებულ შრომებშიც, რომლებიც ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობის, მეცნიერული გამბედაობისა და დიდი პასუხისმგებლობის ნიმუშია.

ამრიგად, ბ. ხაჭაპურიძემ დ. უზნაძესთან ერთად მისსავე განწყობის თეორიაზე დაყრდნობით სავსებით დამსახურებულად საპატიო ადგილი დაიკავა ქართული სკოლამდელი პედაგოგიკის ისტორიის განვითარებასა და ჩამოყალიბებაში, კერძოდ კი ბავშვზე (მოსწავლეზე) ორიენტირებული კურიკულუმის განვითარების საქმეში.

ბუნებრივია, ისმის კითხვა, როგორ უნდა გამოვიყენოთ უზნაძისა და ხაჭაპურიძის კონცეფცია საბავშვო ბაღში? ჩვენი აზრით, აღმზრდელმა უნდა გადადგას შემდეგი ნაბიჯები:

1. შეუქმნას მოსწავლეს დადებითი განწყობა;
2. მოარგოს მასალა მოსწავლის განწყობას /აქტუალური დონე + წინსვლა/;
3. შექმნას მოსწავლის სწავლაზე ორიენტირებული გარემო, რაც მოსწავლეების ინტერესებისა და სურვილების გათვალისწინებას გულისხმობს;
4. მასწავლებელმა არ უნდა გააკეთოს აქცენტი მხოლოდ ბავშვის ინტელექტუალურ განვითარებაზე. აუცილებელია მთელი ბუნების მოქმედებაში მოყვანა, პიროვნების მთელი ძალების გახსნა.

რომ შევაჯამოთ, საქართველოს ადრეული განათლების სისტემაში ბავშვზე ორიენტირებული კურიკულუმის მიდგომის ძირითადი პრინციპები, იგი ასეთ სახეს იღებს:

- ყველა ბავშვს აქვს განათლების უფლება, რაც მათი შესაძლებლობების მაქსიმალურ ზრდასა და განვითარებას ემსახურება. ეს უფლება არის ბავშვზე ორიენტირებული მიდგომის საფუძველი. შესაბამისად, ყოველდღიური ურთიერთობა ბავშვებთან ფუნდამენტურ კითხვას უნდა პასუხობდეს – ვასწავლი და მხარს ვუჭერ, თუ არა თითოეული ბავშვის ზრდისა და განვითარების ყველა სფეროს - სოციალურს, ემოციურს, ფიზიკურს, ენობრივს და შემეცნებითს?
- თითოეული ბავშვი უნიკალური და განსაკუთრებული ინდივიდია. უნდა ვასწავლოთ ინდივიდუალურად ბავშვებს, პატივი ვცეთ და გავითვალისწინოთ მათი ასაკობრივი, სქესობრივი, კულტურული, ტემპერამენტული და სწავლის ინდივიდუალური თავისებურებები.
- ბავშვები თავიანთ განვითარებასა და განათლებაში აქტიურად მონაწილეობენ. ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი უნდა იყვნენ გონებით ჩართულები, ფიზიკურად აქტიურები იმის სწავლაში, რის ცოდნასა და კეთებასაც საჭიროებენ.
- ბავშვების აზრები, უპირატესობები, სწავლის სტილი და ინტერესები გათვალისწინებული უნდა იყოს პრაქტიკის დაგეგმვისა და განხორციელებისას (3, 5).

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. ალფაიძე ლ., პაულუ ფრეირე: განათლება როგორც თავისუფლების პრაქტიკა, 2013, 16 აგვისტო, mastavlebeli.ge).
2. ბოჭორიშვილი მ., პედაგოგიკის საკითხები, თბ., 2015.
3. ბაგა-ბაღის აღმზრდელ-პედაგოგის სახელმძღვანელო, თბ., 2015.
4. კობახიძე ნ., მასწავლებლის ავტორიტეტის კრიზისი და მოსწავლეზე ორიენტირებული განათლება, 2014, 12 დეკემბერი (mactavlebeli.ge).
5. კლერ მაკლაქლანი, მერილინ ფლიერი, სუზან ედვარდსი, ადრეული ბავშვობის კურიკულუმი, მეორე გამოცემა, კემბრიჯის საუნივერსიტეტო გამოცემა, 2016.
6. მჭედლიძე ნ., „ბარნაბ ხაჭაპურიძე“, ჟურნალი „დაწყებითი სკოლა, სკოლამდელი აღზრდა“, თბ., 1987, №1.
7. უზნაძე დ., ექსპერიმენტული პედაგოგიკის შესავალი, თბ., 1912.
8. უზნაძე დ., აღზრდის ძირითადი ტრაგედია და ექსპერიმენტალური პედაგოგიკა, ჟურნალი „განათლება“, თბ., 1912, №6.
9. უზნაძე დ., განწყობის თეორია, თბ., 2008.
10. ხაჭაპურიძე ბ., თბილისის პირველი საბავშვო ბაღი, თბ., 1951.


**იმერი ბასილაძე, მანონი ბერუჩაშვილი**

**ბავშვზე (მოსწავლეზე) ორიენტირებული კურიკულუმის ძირითადი პრინციპები ქართულ პედაგოგიკურ აზროვნებაში**

**რეზიუმე**

სტატიაში განხილულია ბავშვზე (მოსწავლეზე) ორიენტირებული კურიკულუმის მიდგომის ძირითადი პრინციპები ქართულ პედაგოგიკურ აზროვნებაში. კერძოდ, საუბარია საქართველოში განწყობის თეორიაზე დაფუძნებით დ. უზნაძისა და ბ. ხაჭაპურიძის როლზე ბავშვზე (მოსწავლეზე) ორიენტირებული კურიკულუმის ძირითადი პრინციპების განვითარებისა და დანერგვის საქმეში. მათი შეხედულებებით

აღმზრდელმა უნდა გადადგას შემდეგი ნაბიჯები: შეუქმნას მოსწავლეს დადებითი განწყობა; მოარგოს მასალა მოსწავლის განწყობას /აქტუალური დონე + წინსვლა/; შექმნას მოსწავლის სწავლაზე ორიენტირებული გარემო, რაც მოსწავლეების ინტერესებისა და სურვილების გათვალისწინებას გულისხმობს; არ უნდა გააკეთოს აქცენტი მხოლოდ ბავშვის ინტელექტუალურ განვითარებაზე. აუცილებელია მთელი ბუნების მოქმედებაში მოყვანა, პიროვნების მთელი ძალების გახსნა.


**Imeri Basiladze, Manoni Beruchashvili**

**Basic Principles of Curriculum Approach Focused on a Child (pupil) in Georgian Pedagogical Thinking**

**Summary**

The article presents the basic principles of curriculum approach focused on a child (pupil) in Georgian pedagogical thinking. Specifically, it is based on the theory of mood in Georgia by D.Unnadze and B. Khachapuridze in the development and implementation of the basic principles of curriculum focused on the child (pupil). In their opinion the caretaker must do the following steps: create a positive attitude to the pupil; fit material to the pupil's mood / current level + advance /; create an environment oriented on pupils' learning that involves pupils' interests and desires; he should not focus only on the intellectual development of the child. It is necessary to bring the whole nature into action, to open the entire force of the person.



**Имери Басиладзе, Манони Беручашвили**

**Основные принципы ориентированного на ребенка (ученика) куринкулума в грузинском педагогическом мышлении**

**Резюме**

В статье рассмотренны основные принципы подхода ориентированного на ребенка (ученика) куринкулума в грузинском педагогическом мышлении. В частности речь идет о роли Д. Узнадзе и Б. Хачапуридзе, опираясь на теорию установки, в Грузии, в деле внедрения в практику основных принципов развития ориентированного на ребенка (ученика) куринкулума.

Согласно их воззрениям воспитатель должен сделать следующие шаги: создать ребенку положительную установку; сопоставить материал с настроением ученика /актуальный уровень+ шаг вперед/; создать ученику среду, ориентированную на учебу, что подразумевает предусмотрение интересов и желаний учеников; не делать акцент только на интеллектуальном развитии ребенка. Необходимо и обязательно приведение в действие всей природы, раскрытие всех сил личности.

ლია მენთეშაშვილი
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი

## ძნელად აღსაზრდელი ბავშვები – პედაგოგიკის მეცნიერების მნიშვნელოვანი პრობლემა

ძნელად აღსაზრდელ ბავშვებს ახასიათებთ ქცევის სპეციფიკური, განსაკუთრებული გამოვლენა, ან რაიმე ნაკლი, დეფექტი ფიზიკური ან სულიერი ცხოვრების სფეროში. ცხადია, ყოველივე ეს გარკვეულ სიძნელეებს წარმოშობს სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობასა და საოჯახო აღზრდაში.

ძნელად აღსაზრდელი ბავშვები შეიძლება დავყოთ ორ კატეგორიად: ა) ძნელად აღსაზრდელი ნორმალური ბავშვები და ბ) ძნელად აღსაზრდელი ანომალური, ანუ დეფექტური ბავშვები.

სტატიაში ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ ძნელად აღსაზრდელი ნორმალური ბავშვების თავისებურებებს, მათთან აღმზრდელობითი მუშაობის თავისებურებებს, გზებსა და საშუალებებს.

ძნელად აღსაზრდელ ბავშვებსა და მოზარდებს ისევე სჭირდება ყურადღება, როგორც სხვა ბავშვებს. მათაც ჩვეულებრივად უნდა მიიღონ ასაკის შესაბამისი აღზრდა და განათლება, რადგან ძნელად აღსაზრდელობის გამო ისინი უყურადღებოდ არ უნდა მივატოვოთ. მათდამი გულგრილობით შეიძლება ისინი საზოგადოებისათვის უფრო არაკეთილსაიმედო და მიუღებლები აღმოჩნდნენ. მათთან განსაკუთრებული აღმზრდელობითი მუშაობის ჩატარებაა საჭირო როგორც სკოლაში, ასევე ოჯახში.

არიან ე.წ. ძნელად აღსაზრდელი, ცუდი ყოფაქცევის ბავშვები, რომლებსაც ნორმალური სწავლისათვის საჭირო ინტელექტუალური მონაცემები გააჩნიათ, მაგრამ არასწორი აღზრდის შედეგად ხასიათის ბევრი უარყოფითი თვისება ჩამოუყალიბდათ და სწავლის ინტერესიც დაკარგული აქვთ. რაც დრო გადის მათი ხასიათის ნეგატიური თვისებების ფორმირების საქმე უფრო და უფრო წინ მიიწევს და ზოგიერთი მათგანი დიდი სისწრაფით მიექანება დამნაშავეობისაკენ, მართლწესრიგის დარღვევისაკენ.

ძნელად აღსაზრდელი ბავშვისა და მოზარდის პიროვნების ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სოციალურ ანუ გარემო ფაქტორებს. ამიტომ, ვფიქრობთ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მათი გავლენის შესწავლას და აქედან გამომდინარე, პროფილაქტიკური და აღმზრდელობითი ღონისძიებების შემუშავებას.

გარემო ძალიან ფართო ცნებაა. ბავშვებსა და მოზარდებზე ზემოქმედი სოციალური გარემოს ძირითადი კომპონენტებია: ოჯახი, სკოლა და ის გავლენები, რომელსაც ბავშვი ოჯახისა და სკოლის გარეშე ღებულობს (ეზო, ქუჩა, ნათესავთა წრე და ა.შ.).

ცნობილია, რომ ბავშვთა ნაწილში ადრეული პერიოდიდან იწყება ქცევის ნორმებიდან გადახვევა სხვადასხვა ფორმით, უფრო ხშირად ეპიზოდურად, მაგრამ ბევრია შემთხვევა, როცა ბავშვის უდისციპლინო მოქმედება ჩვევად იქცევა, რაც გამოიხატება მის სისტემატურ უარყოფით მოქმედებაში. ბავშვთა ამ კატეგორიას მიეკუთვნებიან: ნერვული, თავმიშვებული, ჯიუტი, ზარმაცი ბავშვები, აგრეთვე ლოგოპათები, სუსტი, სწავლაში ჩამორჩენილი მეორეწლიანი ბავშვები.

იმ მრავალი ფაქტორიდან, რომლებიც ხელს უწყობს ზოგჯერ მოზარდს რომ გახდეს ძნელად აღსაზრდელი, შეიძლება დავასახელოთ ოჯახი.

ოჯახს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ბავშვთა აღზრდაში, მათ პიროვნებად ჩამოყალიბებაში. საოჯახო გარემოს, მშობლებს შეუცვლელი ადგილი აქვს ბავშვთა აღზრდაში და სკოლისა თუ სკოლის გარეშე დაწესებულებების ზრუნვა მოზარდ თაობაზე მშობლებს ვერ გაათავისუფლებს მათზე დაკისრებული მოვალეობისა და პასუხისმგებლობისაგან.

ბავშვის წესიერად აღზრდა ოჯახის ერთ-ერთი უპირველესი ფუნქციაა. მშობლები დიდი პასუხისმგებლობით, პირნათლად უნდა ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას და შვილებს როგორც დიდი ილია იტყოდა „თან უნდა გადაჰყვეს იგი, ვისაც წმინდა მოვალეობა დედ-მამობისა ზურგზედ აჰკიდა ბედმა და წუთისოფელმა. ტანთ მოიკელ, ფეხთ მოიკელ, მშიერ მწყურვალი იარე და ნუ ჩასდგები – კი ჯერ შვილისა და მერე ქვეყნის

ცოდვაში, აი რა უნდა ეწეროს გულის ფიცარზედ იმ წმინდა საქმეს, რომელსაც მამაშვილობას ეძახიან“ (7, 365).

ძნელად აღსაზრდელი ბავშვის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ოჯახურ პირობებს. ამბობენ, ძნელად აღსაზრდელი ბავშვის უკან ყოველთვის ძნელი ოჯახი დგასო. ეს გამოთქმა აღმზრდელობით მუშაობაზე დიდი ხნის დაკვირვების შედეგად წარმოიშვა და რაც დრო გადის, მით უფრო ვრწმუნდებით მის ჭეშმარიტებაში. ბავშვის ხასიათის გამრუდება, ნორმალური განვითარებიდან მისი გადახრა, ძირითადად ოჯახიდან იწყება და თუ ოჯახს გარეთ არსებულმა პირობებმაც ხელი შეუწყო მის ანომალურ განვითარებას, მაშინ მისგან, ცხადია, საზოგადოებისათვის სასარგებლო ადამიანი არ გამოვა.

ჩვენი ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად დავასკვენით, რომ ძნელად აღსაზრდელობის მიზეზი შეიძლება გახდეს ოჯახში მოუწესრიგებელი, არახელსაყრელი გარემოს შექმნა და მშობელთა მიერ ბავშვთა აღზრდაში დაშვებული შემდეგი შეცდომები:

1.მშობლების მხრიდან ყურადღების გამახვილება მხოლოდ ცხოვრების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე;
2. მშობელთა მიერ ბავშვებისადმი არასათანადო ყურადღება;
3.ოჯახში აურზაური, აყალმაყალი, ლოთობა და ა.შ.;
4. ოჯახში სულიერი ცხოვრების დეფიციტი;
5. ბავშვის ჯიუტობისა და აღმზრდელობით ღონისძიებათა გატარებაში ზედმეტი სიმკაცრე, რომელიც შემდგომ, მოზარდის ასაკობრივი ზრდის კვალობაზე სულ უფრო ნაკლებად ეფექტური ხდება;
6. მშობლების მიერ ბავშვებში თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის სრული ჩახშობა;
7. მშობლების ავტორიტეტი, რომელიც მხოლოდ ფიზიკური ძალით განისაზღვრება;
8. მოზარდის წინააღმდეგობა მშობლების ზეგავლენისადმი, ოჯახში შექმნილი არასასურველი ატმოსფერო, მშობლებთან ცუდი დამოკიდებულება, რაც მშობლებს აიძულებს ნორმალური აღზრდის საზღვრებს გადასცდნენ;
9. ბავშვებისათვის ადრეული წლებიდან სრული თავისუფლების მიცემა, რისთვისაც ისინი ჯერ კიდევ არ არიან მომზადებულნი;
10. ბავშვების აღზრდისათვის დროის უქონლობა;
11. ბავშვებისადმი ბრმა სიყვარული, რის გამოც მშობლები უფლებას აძლევენ მათ გააკეთონ ყველაფერი;
12. ბავშვთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების არასწორად შეფასება;
13. მშობლებსა და შვილებს შორის დიდი ასაკობრივი სხვაობა, ასევე თვით ბავშვთა შორის. არის შემთხვევები, როცა ოჯახში ყველაზე პატარა ან მიტოვებულია, ან ძალზე განებივრებულია;
14. ბავშვისადმი მშობლის არაგულთბილი დამოკიდებულება, მისდამი მუდმივი ინტერესის უქონლობა;
15. მეტისმეტად დიდი მოთხოვნების წაყენება ბავშვებისადმი, რომელთა შესრულებაც მათ არ ძალუძთ;
16. დროის გარკვეულ მონაკვეთში მშობლები მკაცრად ადევნებენ თვალყურს ბავშვების ქცევას, ხოლო ზოგჯერ მხედველობიდან უშვებენ მას;
17. ზოგჯერ მშობლებს სურთ მეზობლებსა და ნათესავებს დაუმალონ ბავშვის ცუდი საქციელი და ამ მიზნით ბავშვის თანდასწრებით უტიფარ ტყუილს ამბობენ;
18. ბავშვის დაუფიქრებელი, უნებლიე ფიზიკური დასჯა, ან განებივრება, რასაც მშობლები მაშინ მიმართავენ, როცა აღელვებულნი ან არაფხიზელ მდგომარეობაში არიან;
19. ხშირი საყვედური და დამცირება ბავშვებს კარჩაკეტილს ხდის, რაც ზოგჯერ ოჯახიდან გაქცევის მიზეზიც ხდება;
20. დიდი წყენის შემდეგ, რაც მშობლებმა ბავშვებს მიაყენეს, ისინი ვარდებიან მეორე უკიდურესობაში: მათთვის ყიდულობენ ძვირფას საგნებს, უფლებას აძლევენ გააკეთონ ის, რასაც წინათ უკრძალავდნენ;

21. მშობლების დაბალი საგანმანათლებლო და კულტურული დონე, მათი ქცევისა და აღზრდის მეშჩანური ხასიათი;
22. ერთ-ერთი მშობლის ხანგრძლივი ავადმყოფობა, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა შვილებზე და დიდ ყურადღებას აქცევდა მათ აღზრდას.

ძნელად აღსაზრდელ ბავშვთა გარკვეული კატეგორია არსებობს ისეთ ოჯახებშიც, სადაც არ არის ჩხუბი, არ იმართება უსიამოვნო ოჯახური სცენები. ასეთ ოჯახში ყველა ბავშვზე ზრუნავს და როგორც იტყვიან, მას ცივ ნიავსაც არ აკარებენ. შედეგი კი ზოგჯერ სავალალოა. რა მოხდა? მოხდა ის, რომ მშობლებმა ზედმეტი ზრუნვით გაანებივრეს ბავშვი. ზოგიერთი მშობელი ცდილობს შეუსრულოს შვილს ყოველი მოთხოვნა. მისთვის ოჯახში არაფერი ნებადაურთველი არ არის. ცოტა რომ წამოიზრდება, მშობლები ერთმანეთს ეჯიბრებიან ძვირფასი საჩუქრების ყიდვაში, ყოველი მათგანი ცდილობს სხვაზე მეტად ასიამოვნოს. ასეთ შემთხვევაში მშობლები კი არ არიან დამრიგებელნი და მბრძანებელნი ბავშვის მიმართ, არამედ ბავშვია მბრძანებელი და გამგებელი. ამის გამო, მშობლების შეუმჩნევლად ოჯახში იზრდება დესპოტი, რომელიც ცნობს მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი სურვილების დაკმაყოფილებას და სხვას არაფერს; ოჯახში იზრდება ეგოისტი, რომელსაც უნდა ემსახურებოდეს ყველა, თვითონ კი შეუძლია არავის გაუწიოს ანგარიში.

ძნელია განებივრებული ბავშვის გამოსწორება. ის მეტად მტკივნეულად განიცდის სურვილების ყოველგვარ შეზღუდვას და ყველაფერ ამაში ხედავს უსამართლობას. გარდა ამისა, იგი ძნელად ეგუება მოსწავლეთა კოლექტივს, რადგან მისთვის უცხოა თანამშრომლობა, სხვების სურვილებისა და საჭიროებებისათვის ანგარიშის გაწევა, თანაგრძნობა, მეგობრული დახმარება.

ასეთი ბავშვის გამოსწორებისათვის აუცილებელია თვითონ მშობლებმა შეიგნონ, თუ რა ზიანი მოაქვს მოზარდისათვის არასწორ ოჯახურ ზემოქმედებას. მათ ხშირად იბარებენ სკოლაში, უხსნიან, თუ რაშია ბავშვის ხასიათის უარყოფითი თვისებები და ურჩევენ როგორ მოიქცნენ. მშობლებმა, ყურად უნდა იღოს ეს რჩევა. მხოლოდ სკოლისა და ოჯახის ერთობლივ ზემოქმედებას შეუძლია გამოასწოროს ასეთი ბავშვები.

სამწუხაროდ ზოგიერთი მშობელი ასე როდი იქცევა. ის მტკივნეულად აღიქვამს ბავშვის ყოველ განცხადებას – თითქოს მას უსამართლოდ მოექცნენ და იმისათვის კი არ მიდის სკოლაში, რომ გაიგოს სიმართლე და ყველაფერი იღონოს შვილის გამოსასწორებლად, არამედ მიდის საჩხუბრად, მასწავლებლებთან ანგარიშის გასასწორებლად.

განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს კიდევ ერთი კატეგორიის ბავშვების აღზრდის საკითხი. ესენია გაუბედავი, დეპრესიული ბავშვები, რომლებიც უკიდურესად უმწეოდ იქცევიან, ადვილად იბნევიან. ასეთი ბავშვები უდისციპლინობით არ გამოირჩევიან, მაგრამ სწავლაში და ყოველგვარ სხვა საქმიანობაში უაღრესად პასიურნი არიან.

ბავშვის ასეთი თვისებების ჩამოყალიბების მიზეზი სხვადასხვა შეიძლება იყოს. ერთ შემთხვევაში ის განპირობებულია ორივე ან ერთ-ერთი მშობლის უყოლობით, როცა ბავშვს არავინ ჰყავს მხარდამჭერი, დამცველი და დამრიგებელი. ამიტომ, ბავშვებს ადრეული ასაკიდან ხშირად განცდილმა მარცხმა დაუკარგა რწმენა საკუთარი თავისადმი, გამოიწვია ბავშვის თვითიზოლაცია, გულჩათხრობილობა.

სხვა შემთხვევაში მიზეზი შეიძლება იყოს მშობლების გადაჭარბებული სიმკაცრე შვილების მიმართ. ყველაფერს უკრძალავენ, რაც მათ არ მოსწონთ, ძალიან ცოტა ხანს თუ უშვებენ თავიანთ თანატოლებთან სათამაშოდ. ამის გამო ის, ბუნებრივია, ვერ ახერხებს მოიქცეს როგორც დიდი და ამავე დროს თავის თანატოლებთან თანაცხოვრებასაც არ არის შეგუებული, ტოლებთან საქმიანობის დროს ხშირად მოსდის მარცხი, რის გამოც ხდება დაცინვის ობიექტი. ეს კი იწვევს ბავშვის თავისთავში ჩაკეტვას, საკუთარი ძალებისადმი რწმენის დაკარგვას. ჩნდება კითხვა: როგორ მოვექცეთ ძნელად აღსაზრდელ ბავშვებს, რა ღონისძიებებს მივმართოთ მათ გამოსასწორებლად? უპირველეს ყოვლისა უნდა მოვიპოვოთ ბავშვების ნდობა, ჩავუნერგოთ მათ რწმენა ადამიანებისადმი; აუცილებელია იგრძნონ, რომ ადამიანებთან, პირველ რიგში მშობლებთან ურთიერთობაში შეუძლიათ მიიღონ სითბო და სიხარული. მაგრამ, ამის მიღწევა არ შეიძლება მხოლოდ ახსნა-განმარტებით, საუბრების ჩატარებით. ბავშვებს ეს უნდა ვაგრძნობინოთ საქმით. მათდამი

მიმართვაში, დარიგებასა თუ დასაქმებაში უნდა ჩანდეს მშობლიური სითბო. დამაკმაყოფილებელი შედეგის მიღწევა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ თვითონ მშობელი შეიცვლის დამოკიდებულებას შვილისადმი, გულწრფელად შეიყვარებს მას და მის აღზრდაზე ზრუნვას უპირველეს საქმიანობად გაიხდის.

ოჯახში ძნელად აღსაზრდელ ბავშვებთან მუშაობაში წარმატების მისაღწევად დიდი მნიშვნელობა აქვს მშობელთა პედაგოგიურ განათლებას, ისინი აუცილებელია ერკვეოდნენ აღზრდის შემდეგ პრინციპებსა და მეთოდებში.

მოკლედ განვიხილავთ აღზრდის თითოეული პრინციპის არსს. მიზანსწრაფვა აღზრდაში გულისხმობს გარკვეული მიზნის დასახვასა და სწრაფვას. ამ მიზნის ხორცშესხმისათვის. ყოველი აღმზრდელობითი ღონისძიება აუცილებლად უნდა დაიგეგმოს ბავშვისა და მოზარდის ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით. ეს პრინციპი პედაგოგიკის მეცნიერების ქვაკუთხედია; მისი გაუთვალისწინებლობა სავალალო შედეგებამდე მიგვიყვანს. სხვადასხვა ასაკის მოზარდებს განსხვავებული მიდგომა და ურთიერთობა სჭირდებათ. შესაბამისად, ყოველი აღმზრდელობითი ღონისძიების შინაარსი, ფორმები და მეთოდები მკვეთრად განსხვავებულია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ბავშვები ნიჭით, ხასიათით, ტემპერამენტით მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. აღზრდა დადებითზე დაყრდნობით გულისხმობს მოზარდის დადებითი მხარეების აღმოჩენას და მასზე დაყრდნობით სათანადო მუშაობის ჩატარებას ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად. ამისათვის საჭიროა კეთილმოსურნე დამოკიდებულება უფროსების მხრიდან. მოზარდმა უნდა იგრძნოს, რომ უფროსებს მისი სჯერათ, აქვთ რწმენა. ასეთი ურთიერთობით შეიძლება აღმოვაჩინოთ მასში დადებითი თვისებები. ბავშვის პიროვნებისადმი მტკიცე მომთხოვნელობა გულისხმობს მის აღიარებასა და პატივისცემას, მტკიცე მომთხოვნელობასთან მის შეხამებას. რაც შეიძლება მეტი მოთხოვე ბავშვს, მაგრამ რაც შეიძლება მეტი პატივი ეცი მას! – ასეთია ამ პრინციპის დედააზრი. საააღმზრდელო ზემოქმედებათა ერთობლიობა გულისხმობს ყველა მასწავლებლის, მშობლისა და საზოგადოების ერთობლივ, შეთანხმებულ ზემოქმედებას აღსაზრდელზე. ყოვლად დაუშვებელია, რომ ერთსა და იმავე საკითხზე სკოლა რასაც ეუბნება ბავშვს, ოჯახი მკვეთრად საპირისპიროს ელაპარაკებოდეს. სისტემატურობისა და თანმიმდევრობის პრინციპი გულისხმობს აღმზრდელობითი ღონისძიებების არა ეპიზოდურ, არამედ სისტემატურ ჩატარებას. აღნიშნული პრინციპი მკაცრად უნდა იქნეს დაცული მასწავლებლებისა და მშობლების მიერ (მათ საჭიროა გააცნობიერონ ამ პრინციპის გამოყენების აუცილებლობა). შრომაში აღზრდის პრინციპის არსი შემდეგში მდგომარეობს – შრომა საზოგადოების არსებობისა და განვითარების საფუძველია. შრომით იქმნება მატერიალური დოვლათი. შრომა სულ მცირე ასაკიდან უნდა შევაყვაროთ ბავშვებს, შრომა აკეთილშობილებს ადამიანს, ხელს უწყობს პიროვნების ზნეობრივი სახის ჩამოყალიბებას.

ძნელად აღსაზრდელ ბავშვებთან მუშაობაში აღზრდის პრინციპებთან ანუ იმ სახელმძღვანელო დებულებებთან ერთად, რომლებსაც ეყრდნობა მომავალი თაობის ზნეობრივი სახის ფორმირება, აუცილებელია ვიყენებდეთ აღზრდის მეთოდებსაც.

ძნელად აღსაზრდელ ბავშვებთან მუშაობაში აღზრდის მეთოდთა მექანიკურად შერჩევა-გამოყენება დაუშვებელია. აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს: ა) აღზრდის მიზანი და ამოცანა; ბ) მოსწავლეთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებები; გ) ის გარემო პირობები, სადაც მოზარდს დიდხანს უხდება ყოფნა.

ძნელად აღსაზრდელ ბავშვებთან აღმზრდელობით მუშაობაში ძირითადად გამოიყენება შემდეგი მეთოდები: დარწმუნება მისი სხვადასხვა სახეობით (მაგალითი, ახსნა-განმარტება, ეთიკური საუბრები და ა.შ.), ვარჯიში, წახალისება და დასჯა.

დარწმუნების მეთოდი მაღალზნეობრივი თვისებებით აღზრდაში ყველაზე ეფექტური საშუალებაა. დარწმუნების მეთოდის გამოყენებით მასწავლებელმა, მშობელმა ბავშვის გრძნობაზე, შეგნებაზე, ხასიათსა და ნებისყოფაზე ისეთი მძლავრი ზემოქმედება უნდა მოახდინოს, რომ მოზარდის შეგნებაში გამომუშავებულ იქნეს ზნეობრივი პიროვნების დამახასიათებელი შეხედულებები, თვისებები, გრძნობები, ქცევა, ჩვევა, ხასიათის სიმტკიცე და ასეთი მიზანმიმართული ზემოქმედებით აღმოფხვრას უზნეობის გამოვლინების ყოველგვარი ფაქტი.

დარწმუნების საშუალებებიდან ფართოდ გამოიყენება ეთიკური საუბრები, რომელთა ჩატარების მიზანია ძნელად აღსაზრდელ ბავშვებს სწორი წარმოდგენა მიეცეთ ზნეობის არსზე. საუბრის დროს გამოყენებული ფაქტების, მოვლენების შესახებ მოსწავლეებს უჩნდებათ გარკვეული აზრი, შეფასების საკუთარი უნარი და ამ პროცესში მსჯელობის საფუძველზე თანდათანობით მიმდინარეობს ზნეობაზე სწორი წარმოდგენების ჩამოყალიბება.

დარწმუნების ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს მაგალითი. მშობელი თუ მასწავლებელი, თვითონ უნდა იყოს ზნეობრივი პიროვნების სანიმუშო მაგალითი, რადგან ბავშვები ყოველთვის დამკვირვებლის თვალით უყურებენ უფროსებს, ხშირად ბაძავენ მათ, რაც აღმზრდელს დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს. ძნელად აღსაზრდელ ბავშვებთან მუშაობაში მიზანშეწონილია მათი თანატოლების, მეგობრების, ამხანაგების ზნეობრივი ქცევის მაგალითების მოყვანა.

დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე წახალისებას. ის საუკეთესო საშუალებაა ზნეობრივი თვისებების განმტკიცების საქმეში. წახალისების საშუალებებია: მოწონება, სიტყვიერი შექება, მადლობის გამოცხადება და ა.შ. წახალისების დროს სასურველია მოხდეს მოზარდის საქციელის გაანალიზება.

წახალისებასთან ერთად შეიძლება გამოყენებულ იქნეს დასჯაც. თუ მოზარდი სკოლაში, ოჯახში ან საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში უზნეოდ იქცევა, მაშინ შესაძლებელია გამოვიყენოთ დასჯის მეთოდი, რაც ხელს შეუწყობს უარყოფითი თვისებების აღმოფხვრას.

სასჯელის ზომა დამოკიდებულია ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეზე, დასჯამდე საჭიროა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებები. სასურველია დასჯის მეთოდი მხოლოდ მაშინ გამოიყენოს  მასწავლებელმა ან მშობელმა, როდესაც აღზრდის სხვა მეთოდებით ხელმძღვანელობისას წარმატებას ვერ მიაღწიეს აღმზრდელობით მუშაობაში. აუცილებელია გვახსოვდეს, რომ ერთი რომელიმე მეთოდის სხვა მეთოდებისაგან იზოლირებულად გამოყენება აღზრდაში არ მოგვცემს სასურველ შედეგს, მათ აუცილებლად ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში, ერთიან სისტემად უნდა ვიყენებდეთ.

ძნელად აღსაზრდელი მოსწავლეების ხასიათის უარყოფითი თვისებების გამოსწორება სკოლასთან კავშირის გარეშე მარტო ოჯახს არ ძალუძს. სკოლაში განხორციელებულ კარგად მოფიქრებულ და გეგმაზომიერ ზემოქმედებას შეუძლია ბავშვის ხასიათში გამოიწვიოს ძირეული ძვრები.

მიუხედავად ძნელად აღსაზრდელებთან მუშაობაში არსებული სირთულეებისა, სკოლამ არ უნდა მოაკლოს ყურადღება იმ ოჯახებს, სადაც არ არის მომავალი თაობის აღზრდისა და განვითარების ნორმალური პირობები, შექმნილ მდგომარეობას გულგრილად არ უნდა მივუდგეთ.

იმისათვის, რომ ძნელად აღსაზრდელ ბავშვებთან მუშაობაში წარმატება იქნეს მიღწეული, საჭიროა ოჯახის სხვადასხვა ტიპების საფუძვლიანი შესწავლა და ამის გათვალისწინებით სკოლამ ეფექტიანად უნდა გამოიყენოს პედაგოგიკის მეცნიერებაში საყოველთაოდ აღიარებული მშობლებთან ინდივიდუალური მუშაობის ფორმა.

ძნელად აღსაზრდელი ბავშვების მშობლებთან მუშაობაში კლასის ხელმძღვანელთან ერთად ყველა საგნის მასწავლებელი აქტიურად უნდა ჩაებას, რათა ნაწილობრივ მაინც გადაიჭრას ძნელად აღსაზრდელი ბავშვების სწავლებისა და აღზრდის პრობლემები.

დასკვნის სახით გვინდა აღვნიშნოთ: არ იქნებოდა გამართლებული, რომ ბავშვის აღზრდის მთელი სიძნელე მხოლოდ ოჯახისა და სკოლის არაადეკვატურ ზემოქმედებაში დაგვენახა. ყველა ბავშვი ერთნაირად არ ემორჩილება თუნდაც პედაგოგიურად სწორ ზემოქმედებას; ზოგიერთი მათგანი ცვილივით დამყოლია, ადვილად იმუშავებს სასარგებლო ჩვევებს, სწრაფად ეგუება დღის რეჟიმს, უჯერებს უფროსებს, მაშინ როცა მეორენი ძნელად ეგუებიან დაწესებულ რეჟიმს, უჭირთ იმპულსთა შეკავება, თავნებობენ და აშკარა ტენდენციას ამჟღავნებენ უხეშობისაკენ. ამ მხრივ ზოგჯერ ერთი და იმავე დედ-მამის შვილებიც აშკარად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბოკუჩავა თ., წახალისება და სასჯელი – აღმზრდელობითი ზემოქმედების ფორმები, ჟურნალი „სკოლა და ცხოვრება“, თბ., 1992, №11.
2. გაგუა ვ., პედაგოგიკა, თბ., 1996.
3. მალაზონია შ., პედაგოგიკა, თბ., 2001.
4. ოკუჯავა მ., ძნელად აღსაზრდელ ბავშვთა აღზრდის მეთოდოლოგიურ-მეთოდიკური საფუძვლები, თბ., 1991.
5. როგავა ნ., მოზარდთა კონფლიქტები, ჟურნალი „სკოლა და ცხოვრება“, თბ., 1993, №8-9.
6. სიხარულიძე შ., გალუზინსკი ვ., ძნელად აღსაზრდელი ბავშვების შესახებ, თბ., 1967.
7. ჭავჭავაძე ი., თხზ., ტ. IV, თბ., 1955.

**ლია მენთეშაშვილი**

**ძნელად აღსაზრდელი ბავშვები – პედაგოგიკის მეცნიერების მნიშვნელოვანი პრობლემა**

**რეზიუმე**

ძნელად აღსაზრდელ ბავშვებს ახასიათებთ ქცევის სპეციფიკური, განსაკუთრებული გამოვლენა, ან რაიმე ნაკლი, დეფექტი, ფიზიკური ან სულიერი ცხოვრების სფეროში. ძნელად აღსაზრდელ ბავშვებსა და მოზარდებს ისევე სჭირდება ყურადღება, როგორც სხვა ბავშვებს. მათაც ჩვეულებრივად უნდა მიიღონ ასაკის შესაბამისი აღზრდა – განათლება, რადგან ძნელად აღსაზრდელობის გამო ისინი უყურადღებოდ არ უნდა მივატოვოთ. მათდამი გულგრილობით შეიძლება ისინი საზოგადოებისათვის უფრო არაკეთილსაიმედო და მიუღებლები აღმოჩნდნენ. მათთან განსაკუთრებული აღმზრდელობითი მუშაობის ჩატარებაა საჭირო როგორც სკოლაში, ასევე ოჯახში.

ჩვენი ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად დავასკვნით, რომ ძნელად აღსაზრდელობის მიზეზი შეიძლება გახდეს ოჯახში მოუწესრიგებელი, არახელსაყრელი გარემოს შექმნა და მშობელთა მიერ ბავშვთა აღზრდაში დაშვებული შეცდომები.

სტატიაში ვრცლად არის გაანალიზებული მშობელთა მიერ საოჯახო აღზრდაში დაშვებული ის შეცდომები, რომლებიც განაპირობებენ ბავშვთა და მოზარდთა ძნელად აღსაზრდელობას; განხილულია აგრეთვე აღზრდის ის პრინციპები და მეთოდები, რომელთა გამოყენება ნაწილობრივ მაინც გადაჭრის ძნელად აღსაზრდელობის პრობლემებს.

**Lia Menteshashvili**

**Difficult Upbringing Children – Important Problem of Pedagogical Science**

**Summary**

Difficult upbringing children are characteristic of special, particular behariour or some defects in physical or emotional sphere of life. Difficult upbringing children and teen-agers need attention as well as other children. They will get usual education and upbringing corresponding to their age, they shouldn’t be left without attention for their difficult upbringing.

If we treat them indifferently, they can be more unreliable and inacceptable for society. We must have special educational work with them as at school as at home.

After our long observation we came to the conclusion, the reason of difficult upbringing can be disorder, disadvantageous situation in the family and the mistakes made by parents in the upbringing of children.

The mistakes made by parents in the family upbringing, which became reasons of difficult upbringing of children and teen-agers are widly analysed in the article. Also are analysed those principles and methods of upbringing which can partially help to decide problems of difficult upbringing.

**Лия Ментешашвили**

**Трудновоспитуемые дети – важная проблема педагогической науки**

**Резюме**

Трудновоспитуемых детей характеризует специфическое поведение, особые проявления или какой-либо недостаток, дефект, физический или в сфере духовной жизни. Трудновоспитуемые дети и подростки также нуждаются во внимании, как и другие дети. Они также должны получить обычное, в соответствии с возрастом, воспитание и образование, и из-за их трудновоспигуемости они не должны оставаться без внимания.

Если мы проявим к ним безразличие, они могут стать неблагонадежными и неприемлемыми людьми. С ними нужно проводить особую воспитательную работу, как в школе, так и в семье.

Благодаря длительным наблюдениям мы пришли к выводу, что причиной трудновоспитуемости, возможно, является неблагополучная, неблагонадёжная обстановка в семье и допущенные родителями ошибки в процессе воспитания.

В статье имеется обширный анализ ошибок, допущенных родителями в семейном воспитании, которые и стали причиной трудновоспитуемости детей и подростков.

Рассмотренны также те принципы и методы воспитания, применив которые возможно, хотя бы частично, решить проблемы трудновоспитуемости.

**ნინო ნახუცრიშვილი**
**იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი**

**შორენა ძამუკაშვილი**
**იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი**

## სკოლისა და უნივერსიტეტის ურთიერთთანამშრომლობის პერსპექტივები (სტუდენტთა სასკოლო პრაქტიკის მაგალითზე)

ყველა ის პრობლემა, რაც მასწავლებელთა პროფესიული მომზადების კუთხით უკავშირდება სასკოლო განათლებას, ცხადია მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული მასწავლებელთა მომზადების აკადემიური პროგრამების განხორციელებასთან. ეს არის ის სფერო, რომელშიც სკოლა და უნივერსიტეტი საკმაოდ მიზნმიმართულად უნდა ახორციელებდნენ ურთიერთთანამშრომლობას და სადაც კარგად უნდა იყოს ჩამოყალიბებული ამ ურთიერთობების სტრატეგიული მიმართულების მთელი სპექტრი.

თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციების მქონე მომავალი პედაგოგიური კადრის მომზადება შესაბამისი საუნივერსიტეტო განათლების შეფასების

ერთ-ერთი მთავარი ინდიკატორია. ეს მოითხოვს ახალი მიდგომების ორგანიზებას, რაც ორიენტირებული უნდა იყოს 21-ე საუკუნის პედაგოგისათვის საჭირო კომპეტენციების დაუფლებაზე. მასწავლებელთა მომზადების აკადემიური პროგრამების განხორციელების წარმატება ორი მიმართულებით განისაზღვრება: ერთი მოიცავს თეორიულ ნაწილს, ხოლო მეორე, მის ტრანსფერს რეალურ სასკოლო გარემოში. მომავალი პედაგოგების მომზადებაში ყველაზე მნიშვნელოვანია თეორიულ ცოდნასთან ერთად მათთვის ამ ცოდნის პრაქტიკული რეალიზების უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება, რაც ითვალისწინებს სწავლებისა და აღზრდის ახალი ტექნოლოგიების პრაქტიკულ ათვისებას და კვლევითი კომპეტენციების დაუფლებას. ცხადია, ამის საწყისი ბაზისი იქმნება უნივერსიტეტში, მაგრამ გამორჩეულად დიდი როლი აკისრია სასკოლო პრაქტიკას, რაც პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილია. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ წლების მანძილზე, კრედიტების რაოდენობის თვალსაზრისით, ეს საკმაოდ მცირედით აისახებოდა საქართველოში არსებულ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებში. უმრავლეს შემთხვევაში, 240 კრედიტიდან, სასკოლო პრაქტიკას დათმობილი ჰქონდა 10-20 კრედიტამდე, რაც თანამედროვე მოთხოვნებით უკვე არასაკმარისია სტუდენტთათვის თეორიული ცოდნის სათანადო რეალიზებისთვის სასკოლო გარემოში და უფროსი მასწავლებლისათვის საჭირო კომპეტენციების დასაუფლებლად. გარდა კრედიტების რაოდენობრიობისა, სასკოლო პრაქტიკის წარმატებულ განხორციელებას ცხადია სხვა ფაქტორებიც განსაზღვრავს. მათგან ერთობ მნიშვნელოვანია სკოლისა და უნივერსიტეტის თანამშრომლობის საკითხი. ამ მიმართულებით პერსპექტივების გამოვლენისას ხშირად გამოიკვეთება ხოლმე პრობლემები, რაც უშუალოდ უკავშირდება პროცესში თითოეული სტრუქტურის ჩართულობას და რაც აუცილებლად საჭიროებს გაუმჯობესებას. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ სკოლისა და უნივერსიტეტის, სტუდენტისა და მასწავლებლის ურთიერთობები ხშირად მხოლოდ ფუნქციურ დონეზეა დაყვანილი, მასწავლებელთა საქმიანობა უმრავლეს შემთხვევაში ამოიწურება მხოლოდ იმ აქტივობებით, რაც მოიცავს სტუდენტისათვის მეთოდური რეკომენდაციების გაწევას და დახმარებას კონკრეტული გაკვეთილის გეგმის ან კლასგარეშე ღონისძიებების მომზადებაში. იგი თავის როლს ხედავს მხოლოდ ამ მიმართულებაში. ამიტომ, სტუდენტთა შეფასებისას ის ეყრდნობა მხოლოდ კონკრეტულ აქტივობებს, როგორიცაა სტუდენტის მიერ გაკვეთილის ჩატარება, კლასგარეშე ღონისძიების მოწყობა და არ განიხილავს მის საქმიანობას და შეფასებას მთლიანობაში, პროფესიული კომპეტენციების დაუფლების თვალსაზრისით, მის ზრდას ამ მიმართულებით. არ ხდება აგრეთვე მისი საქმიანობის ანალიზი და შეფასება ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური კუთხით და ა. შ. ცხადია ასეთ შემთხვევაში ნათლად არ გამოიკვეთება სტუდენტის პროფესიული ჩამოყალიბების დონე და განვითარება (თუ რა კომპეტენციების ათვისება თუ განვითარება მოხდა პრაქტიკის განმავლობაში და რა სისუსტეები გამოვლინდა ამ კუთხით, აქვს თუ არა პედაგოგიური პრობლემების გამოვლენისა და გადაჭრის უნარები, ფლობს თუ არა ურთიერთთანამშრომლობის, კომუნიკაციის ხერხებს, პედაგოგიური ეთიკის ნორმებს, და ა. შ.).

საგნის მეთოდისტისა და მასწავლებლის ურთიერთშეთანხმებული მუშაობა არ ატარებს კოორდინირებულ ხასიათს. ამ თვალსაზრისითაც მიგვაჩნია, რომ სტუდენტებისათვის სათანადო მეთოდური რეკომენდაციების თუ პროფესიული დახმარებების კუთხით მთელი დატვირთვა უნდა გადავიდეს მასწავლებლის ფუნქციებში და საგნის მეთოდისტის (წარმომადგენელი უნივერსიტეტიდან) საჭიროება უკვე აღარ იქნება აქტუალური. ამ შემთხვევაში მასწავლებლის წინაშე დგება მეტი პასუხისმგებლობა და სტუდენტებისათვის მოკლევადიანი კონსულტაციებით კი არ ამოიწურება ურთიერთობა, არამედ ამას ექნება უფრო გრძელვადიანი დატვირთვა.

სკოლას და უნივერსიტეტს არა აქვთ ცხადად ფორმულირებული თუ რა სახის ღონისძიებები შეიძლება განახორციელონ ერთობლივი ურთიერთობის ფარგლებში რაც შედეგს მოუტანს ორივე მხარეს; ცხადია ჩვენ არ განვიხილავთ მემორანდუმებს, ხელშეკრულებებს. ამ შემთხვევაში მიგვაჩნია, რომ ამ ურთიერთობების ფარგლებში უნდა მოხდეს ერთობლივი, ურთიერთშეთანხმებული „დოკუმენტის“ შექმნა, სადაც მკაფიოდ იქნება მითითებული თითოეული მხარის როლი, ფუნქცია და პასუხისმგებლობა,

შესასრულებელი აქტივობები, ასევე ცალკეული მხარისათვის დასახული ამ ურთიერთობების პრიორიტეტები და შესაძლო სარგებლიანობა.

ჩვენ განვიხილავთ ამ მიმართულებით განსახორციელებელ აქტივობებს, რაც ხელს შეუწყობს პრობლემების მოგვარებას, შექმნის სკოლისა და უნივერსიტეტის თანამშრომლობის მეტ პერსპექტივებს და ხელს შეუწყობს სტუდენტთა სასკოლო პრაქტიკის მაღალ დონეზე განხორციელებას. მიგვაჩნია, რომ ამ მიზნით სასურველია შემუშავდეს სკოლისა და უნივერსიტეტის სტრატეგიული თანამშრომლობის მოდელები.

სკოლა აქტიურად უნდა იყოს ჩართული ყველა იმ საკითხის გადაწყვეტაში, რაც უშუალოდ ეხება მომავალი პედაგოგების მომზადებას. ეს შესაძლოა იყოს საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურაზე მუშაობა, მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა, პრაქტიკის ცალკეული კომპონენტების განხორციელების სტრატეგიების შემუშავება, და ა. შ. ჩართულობა უნდა იყოს სისტემატური. სასურველია ეს ატარებდეს ორმხრივად აქტიურ ხასიათს, როგორც სკოლის, ისე უნივერსიტეტის მხრიდან. ამ მიზნით შესაძლოა მოეწყოს პერიოდული საინფორმაციო სამუშაო შეხვედრები პროგრამის განმახორციელებელ პირებსა და სკოლის დაინტერესებულ წარმომადგენელთა შორის, სადაც უნივერსიტეტი ვალდებული იქნება მიაწოდოს ყველა საჭირო ინფორმაცია პროგრამების შესაძლო ცვლილებების, ან სამართლებრივი საფუძვლებისა და სხვა სიახლეების შესახებ, რაც აისახება პროგრამის მუშაობასა თუ მოდიფიცირებაში. ასევე, ერთობლივად დაიგეგმება სასკოლო პრაქტიკის განხორციელების პერსპექტიული მიმართულებები, განისაზღვრება კონკრეტულ ეტაპზე კონკრეტული მისიით თითოეული სტრუქტურის უფლება-მოვალეობები, ფუნქციები და ა. შ. თითოეული რგოლი, როგორც სკოლა, ასევე უნივერსიტეტი ვალდებული უნდა იყოს პერიოდული ინფორმაცია მიაწოდოს მეორე მხარეს საკითხის განსახილველად, შესასწავლად თუ ცვლილებებისათვის, რაც უშუალოდ ეხება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას, ანუ, უნდა ხდებოდეს ინფორმაციისა და სიახლეების მუდმივი გაცვლა სკოლასა და უნივერსიტეტს შორის.

პროგრამის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება მის როგორც შიდა, ისე გარე შეფასებას. აქაც განუსაზღვრელად დიდია სკოლისა და უნივერსიტეტის თანამშრომლობის როლი. აუცილებელია მოეწყოს პროგრამის პერიოდული შეფასება (მაგალითად სემესტრში ერთხელ) არა მხოლოდ უნივერსიტეტის მასშტაბით, არამედ სკოლის ფარგლებშიც, სადაც გამოვლინდება პროგრამის განხორციელების ძლიერი და სუსტი მხარეები, მასში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა. ამასთანავე, სასურველია მოხდეს იმ საქმიანობების შეფასება, რომლებიც პროგრამის განხორციელება-განვითარების მიზნით არის ჩატარებული გარკვეულ საანგარიშო პერიოდში, როგორც უნივერსიტეტის, ასევე სკოლის მიერ.

სასურველია მოეწყოს უნივერსიტეტის ბაზაზე სკოლების სამეცნიერო და პრაქტიკული კონფერენციები, სადაც განხილული იქნება სასკოლო პრაქტიკის პერიოდში წამოჭრილი პრობლემური თუ აქტუალური საკითხები. აქ აქტიურად უნდა იყოს ჩართული ყველა სტუდენტი და სასურველია სკოლის მასწავლებლებთან ერთად ერთობლივი ნაშრომების, სტატიების, პროექტების წარმოდგენა. შესაძლოა ასევე უნივერსიტეტში წარმატებული მასწავლებლების მიწვევა და ლექტორ-მასწავლებლებთან ერთად სამეცნიერო პრაქტიკული კვლევების დაგეგმვა და განხორციელება.

ორმხრივი შედეგების მომცემია მეთოდოლოგიური სემინარების მოწყობა მასწავლებელთათვის, რაც ხელს შეუწყობს სკოლისა და უნივერსიტეტის დაახლოებას და რიგი პრობლემური საკითხების გადაჭრისათვის ურთიერთშეთანხმებულ საქმიანობას. ამავდროულად, მასწავლებლები მიიღებენ სასურველ ინფორმაციას თანამედროვე კვლევებზე მეცნიერულ საფუძვლებზე დაყრდნობით, აკადემიური პერსონალი კი წარმოაჩენს ამ აუდიტორიის წინაშე კვლევის შედეგებს, სიახლეებს კონკრეტულ სფეროში, გაიზიარებს მასწავლებელთა, როგორც პრაქტიკოსთა მოსაზრებებს და ა. შ. ღირებულია ასევე ერთობლივი თემატური ღონისძიებების მოწყობა, საჩვენებელი გაკვეთილების ჩატარება სკოლის წამყვანი პედაგოგების მიერ, სტუდენტებისათვის იმიტირებული საგაკვეთილო „ფრაგმენტების" ჩვენება და ერთობლივი გარჩევა, სადაც

აქტიურად იქნებიან ჩართულნი როგორც შესაბამისი მიმართულების უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი და სტუდენტები, ასევე სხვადასხვა სკოლის მასწავლებლები.

სასკოლო პრაქტიკის დაგეგმვისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს მნიშვნელოვანი საკითხი, რაც უკავშირდება თითოეული სტუდენტისათვის პრაქტიკის ბაზის შერჩევას. ღირებულია, რომ ყოველმა სტუდენტმა სემესტრების მიხედვით, სხვადასხვა სკოლაში გაიაროს ეს პროცესი, რაც მათ მისცემს მრავალფეროვანი და მრავალმხრივი სასწავლო პროცესის გაცნობის შესაძლებლობას. ეს ამავდროულად შექმნის იმის შესაძლებლობას, რომ პრაქტიკის სრული კურსის დასრულების შემდეგ მოხდეს მისი ცალკეული ეტაპების განხორციელების შეფასება-შეჯამება ურთიერთშედარების საფუძველზე. ამ მიზნით, უნივერსიტეტის ბაზაზე სასურველია მოხდეს ურთიერთ გამოცდილების გაზიარება ყველა სკოლის წარმომადგენელთა მონაწილეობით, ასევე, ყველაზე წარმატებულად განხორციელებული სასკოლო პრაქტიკის პრიორიტეტების წარმოჩენა, ამ პროცესში გამორჩეული და პროფესიულად წარმატებული მასწავლებლების გამოვლენა და ა. შ. ყოველივე ეს შესაძლებლობას მისცემს სკოლებს, რომ უკეთ დაგეგმონ შემდგომი საქმიანობა, გაიზიარონ კოლეგების გამოცდილება, დასახონ ურთიერთთანამშრომლობის პერსპექტივები და სხვ.

სასკოლო პრაქტიკის განმავლობაში საკმაოდ ღირებულია სტუდენტებისათვის იმგვარი აქტივობების შეთავაზება, რაც მათ მისცემს პიროვნული და პროფესიული თვითგამორკვევის და თვითრეალიზაციის შესაძლებლობას. ამ მხრივ, შედეგიანია სტუდენტებთან ერთად სასწავლო პროექტების დაგეგმვა და განხორციელება, საკუთარი პრაქტიკის კვლევა, შეფასება, რაც დიდად შეუწყობს ხელს სტუდენტთა აქტივობას და ჩართულობას სკოლის ცხოვრებაში, ასევე, საგნობრივი, პრაქტიკული, მეთოდური თუ კვლევითი კომპეტენციების ათვისებას.

უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში, მას შემდეგ, რაც მასწავლებლის პროფესია სახელმწიფოს მიერ გახდა პრიორიტეტული და შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამები მოექცა სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულთა ნუსხაში, ამან გარკვეულად გამოიწვია უარყოფითი შედეგებიც. სახელმწიფო დაფინანსების „ხიბლის“ გამო გაიზარდა ამ პროგრამებზე სწავლის მსურველთა რიცხვი. თუმცა, პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ასეთი „შემთხვევითი“ სტუდენტი ხშირად იცვლის დამოკიდებულებას პროფესიის მიმართ და კარგად წარმართული სასკოლო პრაქტიკის წყალობით ხდება წარმატებული და პროფესიაზე შეყვარებული. გვაქვს შემთხვევებიც, როდესაც პირველ კურსზე სტუდენტს ჯერ კარგად არა აქვს გააზრებული და გათავისებული მომავალი პროფესიის ხიბლი და პასუხისმგებლობა. მიგვაჩნია, რომ ამგვარ შემთხვევებშიც აუცილებელია გარკვეული ღონისძიებების გატარება როგორც უნივერსიტეტის, ისე სკოლას მიერ. მაგალითად, პროფესიაში „შესვლისა“ და ამ პროფესიის „გათავისების“ მიზნით შედეგიანია პირველი კურსიდან სტუდენტთა ურთიერთობა სკოლასთან და სხვადასხვა ღონისძიებებში ჩართულობა, რაც ხელს შეუწყობს მათ დაინტერესებას პროფესიით, თვითგამორკვევას და პროფესიული უნარების განვითარებას. შესაძლოა ეს ურთიერთობა ითვალისწინებდეს ამავდროულად მასწავლებლების დახმარებას თანაშემწის რანგში, ასისტირებას თუნდაც კვირაში ერთი დღე და ა. შ.

სასკოლო პრაქტიკის განხორციელებისას მნიშვნელოვანია სტუდენტთათვის განმავითარებელი შეფასების მიცემა, რაც შესაძლებლობას მისცემს მათ ნათლად დაინახონ საკუთარი „პროფესიული ზრდა“, ანალიზის საფუძველზე გამოკვეთონ პროფესიული საჭიროებები და გაერკვნენ, თუ რა კომპეტენციების დაუფლება ესაჭიროებათ პროფესიული ჩამოყალიბებისათვის. ამ მხრივ ღირებულად მოვიჩნევთ სტუდენტის ე. წ. „პორტფოლიოში“ განხორციელებული აქტივობების დამადასტურებელ დოკუმენტაციებთან ერთად მისი განმავითარებელი შეფასების ასახვას. შეფასებას აძლევენ სკოლის მასწავლებლები, ისინი, ვინც უშუალოდ არიან ჩართულნი კონკრეტული სტუდენტის სასკოლო პრაქტიკის პროცესში, პრაქტიკის განხორციელებისას ყოველი სემესტრის განმავლობაში (რაც ახალი, ინტეგრირებული პროგრამისთვის იქნება მინიმუმ 60 კრედიტის ფარგლებში), როგორც საწყის ეტაპზე, ისე დასასრულს. შეფასებისას უნდა მოხდეს უფროსი მასწავლებლისათვის საჭირო ყველა იმ კომპეტენციების გამოვლენა, რასაც დაეუფლა სტუდენტი პრაქტიკის განმავლობაში, ან ფლობდა პრატიკის

დაწყებამდე. ასეთი შეფასებებით „პორტფოლიოს" შევსება პრაქტიკის ყოველი ეტაპის განხორციელებისას, სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას ნათლად დაინახოს საკუთარი ცოდნისა და კომპეტენციების ცვლილებების დინამიკა. „პორტფოლიო" უნდა იყოს ის „სავიზიტო ბარათი" რასაც სტუდენტი პრაქტიკის ყოველ მომდევნო ეტაპზე წარადგენს შესაბამის საბაზო სკოლაში. პრაქტიკის დასრულების შემდეგ კი, შევსებული და დასრულებული სახით ბარდება უნივერსიტეტში, შესაბამის დეპარტამენტში პრაქტიკის სხვა დოკუმენტაციასთან ერთად, როგორც მისი შეფასების, პროფესიული კომპეტენციების დაუფლების დადასტურების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი.

თუ სასკოლო პრაქტიკის კომპონენტი ხორციელდება ორი ფორმატით, კურსებში ჩაშენებული და დამოუკიდებელი კურსის სახით, ამ შემთხვევაში შესაძლებელია „პორტფოლიოს" დაემატოს ჩაშენებული პრაქტიკის პერიოდში მიღებული სტუდენტის შესაფასებაც ცალკეულ სასწავლო კურსების მიხედვით. პროგრამის სხვადასხვა სასწავლო კურსებში ჩაშენებული სასკოლო პრაქტიკა ინტეგრირებულია ამ კურსებში და ფოკუსირებულია შესაბამისი სასწავლო კურსის შინაარსის თემატიკაზე, მისი სწავლების საკითხებზე. ამიტომ ცალკეული კურსების მიხედვით განმავითარებელი შეფასება მნიშვნელოვნად ეხმარება სტუდენტს თვითშეფასებაში, თუ რამდენად კარგად ფლობს იგი ამა თუ იმ სასწავლო კურსის სწავლების საკითხებს, რა მიმართულებით უნდა წარმართოს მან ცოდნის გაუმჯობესება და ა. შ.

გარდა სტუდენტთა ცოდნის და აქტივობების შეფასებისა, ამავდროულად მნიშვნელოვანია სასწავლო პრაქტიკის ფარგლებში უნივერსიტეტისა და სკოლის მიერ გაწეული საქმიანობების შეფასებაც. ამიტომ, სასურველია სასწავლო წლის დასაწყისსა და დასასრულში სამუშაო შეხვედრების ჩატარება საკოლისა და უნივერსიტეტის წარმომადგენლებს შორის, სასკოლო პრაქტიკის ანალიზისა და ჩატარებული მუშაობის შეფასების საფუძველზე ურთიერთთანამშრომლობის მოკლევადიანი (კონკრეტული პერიოდის) სამოქმედო გეგმის შემუშავება, ჩაშენებული და დამოუკიდებელი სასკოლო პრაქტიკის ჩატარების შესახებ კონკრეტული აქტივობების დაგეგმვა, ამ მიმართულებით სიახლეების, ინფორმაციის გაცვლა - გაზიარება. ამ შეხვედრებზე უნდა გამოიკვეთოს აქტივობები, რასაც სასკოლო პრაქტიკის სათანადოდ წარმართვისათვის განახორციელებს უნივერსიტეტი მასწავლებლებისა თუ სკოლის დასახმარებლად, ასევე, სკოლის მხრიდან თუ რა სიახლეების, აქტივობების შეთავაზებაა შესაძლებელი, რაც ამავდროულად წაადგება სტუდენთა პრაქტიკას.

ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ სასკოლო პრაქტიკას აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა სტუდენტთა პროფესიული მომზადების თვალსაზრისით, რადგან პრაქტიკის წყალობით ხდება გამთლიანება, ერთ სისტემაში მოყვანა იმ ცოდნის, უნარებისა თუ გამოცდილების, რომელსაც სტუდენტი დაეუფლა თეორიული კურსების, სემინარების, კურსებში ჩაშენებული პრაქტიკისა და სხვა სასწავლო აქტივობების საშუალებით. მაგრამ ცხადია ჩნდება კითხვა, რა სარგებლობის მოტანა შეუძლია სტუდენტთა პრაქტიკას სკოლისათვის? როგორ უნდა გავზარდოთ პედაგოგთა მოტივაცია სასკოლო პრაქტიკის ფარგლებში ჩართულობის ასამაღლებლად? უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი საქმიანობა აისახება მასწავლებლის აქტივობებში, რაც ცხადია ღირებულია მისი პროფესიული განვითარებისა და წინსვლისათვის და ცხადია ქმნის მოტივაციის რეალურ საფუძველს. რაც შეეხება გაწეული შრომის ფინანსურ ანაზღაურებას, ეს არსებული მდგომარეობით არცთუ შთამბეჭდავია, რადგან თითქმის ყველა უნივერსიტეტის მხრიდან ეს შრომა ანაზღაურდება მცირე თანხით. მართალია, ყველა უნივერსიტეტს აქვს საკუთარი რეგულაცია, მაგრამ ამ მიმართულებითაც შესაძლოა გადაიდგას მნიშვნელოვანი ნაბიჯები კოორდინირებულად, ან თუნდაც ცენტრალიზებული ხაზით, რაც მიგვაჩნია ერთ-ერთი მოტივი გახდება ამ მიმართულებით მასწავლებელთა გასააქტიურებლად. გარდა აღნიშნულისა, შედეგიანი იქნება სტუდენტთა აქტივობების ისე დაგეგმვაც, რაც გარკვეულ სარგებელს მოუტანს სკოლას, მასწავლებლებს. მაგალითად, ეს შესაძლოა იყოს სტუდენტთა მიერ მასწავლებლებთან თანამონაწილეობით სხვადასხვა სასკოლო აქტივობების დაგეგმვა და წარმართვა, დახმარების გაწევა სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზებაში, მოსწავლეებთან კლასგარეშე მუშაობაში, თვალსაჩინო რესურსების მომზადებაში, პროექტების მომზადება-

განხორციელებაში, გარკვეული ერთობლივი კვლევების დაგეგმვა და ჩატარება, მონაცემების შეგროვება, ინფორმაციის ანალიზი და ა. შ. სტუდენტთა ამგვარი აქტივობა და ჩართულობა სასწავლო პროცესში გარდა იმისა, რომ გარკვეულ დახმარებას უწევს მასწავლებელს და ქმნის ურთიერთთანამშრომლობის საინტერესო პრეცედენტს, ამავდროულად ზრდის წარმატებულ და გამორჩეულ სტუდენტთა დასაქმების პერსპექტივებს თვით სკოლის ხელმძღვანელობის ინიციატივით და ხელშეწყობით. ეს ცხადია ხელს შეუწყობს მასწავლებლის პროფესიაში საუკეთესო კადრის მოზიდვას და კვალიფიციური პედაგოგიური კადრის დეფიციტის აღმოფხვრას არა მხოლოდ რეგიონში.

ამრიგად, სკოლა და უნივერსიტეტი, ეს არის ის ორი მნიშვნელოვანი რგოლი, რომელიც მრავალმხრივი კოორდინირებული საქმიანობით ყოველთვის უნდა ზრუნავდეს ზოგადი და უმაღლესი განათლების ეროვნული მიზნების, ეროვნული სასწავლო გეგმის, სკოლისა და უმაღლესი სასწავლებლის პრიორიტეტების ურთიერთშეთანხმებულად განხორციელებაზე, რაც უნდა აისახოს მომავალი, მაღალპროფესიული პედაგოგიური კადრების მომზადებაში.

## გამოყენებული ლიტერტურა:


1. გახელაძე გ., ლობჟანიძე ს., რატიანი მ., მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის გზამკვლევი, თბილისი: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2011.
2. ბოჭორიშვილი მ., ტრანსფერული ცოდნის შეძენის პროცედურები და შესაბამისი მეთოდური ინსტრუმენტები. http://mastsavlebeli.ge/?action=news&lang=geo&npid=730
3. Глебова Г. Классический Университет и общеобразовательная школа в открытой региональной системе непрерывного образования актуальные проблемы взаимодействия http://lll21.petrsu.ru/journal/article.php?id=2267



**ნინო ნახუცრიშვილი, შორენა ძამუკაშვილი**


**სკოლისა და უნივერსიტეტის ურთიერთთანამშრომლობის პერსპექტივები სტუდენტთა სასკოლო პრაქტიკის მაგალითზე**

**რეზიუმე**


ნაშრომში განხილულია სკოლისა და უნივერსიტეტის ურთიერთთანამშრომლობის საკითხები სტუდენტთა სასკოლო პრაქტიკის განხორციელებისას და ამ მიმართულებით არსებული პრობლემები, რაც უარყოფითად აისახება მომავალი პედაგოგების მომზადების პროცესზე. შემოთავაზებულია აქტივობები, რაც ხელს შეუწყობს არა მხოლოდ მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტთა მიერ თეორიული ცოდნის წარმატებულ ტრანსფერს რეალურ სასკოლო გარემოში, არამედ სკოლისა და უნივერსიტეტის კოორდინირებული ურთიერთთანამშრომლობის დამკვიდრებას ზოგადი და უმაღლესი განათლების ეროვნული მიზნების განხორციელების კვალდაკვალ.

**Nino Nakhutsrishvili, Shorena Dzamukashvili**

**The Perspectives of Cooperation Between School and University on the Example of Students' School Practice**

**Summary**

In the work are discussed issues of mutual cooperation of school and university during the implementation of the students' school practice and the existing problems in this direction, which negatively affect the preparation process of future teachers. Proposed activities, which will promote not only the successful transfer of theoretical knowledge in real school environments by the students within the educational program of teacher training, but also the establishment of cooperation between the school and the university following of the implementation of general and higher education's national goals.

**Нино Нахуцришвили, Шорена Дзамукашвили**

**Школьные и университетские студенты в примере школьной практики перспектив сотрудничества**

**Резюме**

В труде рассмотренны вопросы сотрудничества школы и университета при осуществлении школьной практики и существующие проблемы в этой области, что отрицательно выражается на процессе подготовки будущих педагогов. Предложены мероприятия, которые будут способствовать не только подготовке реальному трансферу успешного теоретического знания в пределах образовательной программы учителей в школьной обстановке, среди студентов, но и в установлении кардинального сотрудничества вслед за осуществлением общих и высших образований национальных интересов.

# ავტორთა საყურადღებოდ!

**„მეცნიერება და ცხოვრება“** არის საერთაშორისო, რეცენზირებადი და რეფერი-რებადი სამეცნიერო ჟურნალი, რომელიც მიეწოდება საქართველოს უმაღლესი სას წავლებლებისა და კვლევითი დაწესებულებების ბიბლიოთეკებს.

## გამოსაქვეყნებელი ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- სტატია შეიძლება დაწერილი იყოს ქართულ, ინგლისურ ან რუსულ ენაზე;
- ავტორის **სახელი და გვარი, სამუშაო ადგილი და აკადემიური თანამდებობა** მითითებულ იქნეს **სათაურის წინ, ცენტრში;**
- ნაშრომს თან უნდა დაერთოს **რეზიუმე (10-12 სტრიქონი) სამ ენაზე (ქართული, ინგლისური და რუსული).** **<u>სამივე ენაზე უნდა ითარგმნოს ნაშრომის სათაური, ავტორის სრული სახელი და გვარი;</u>**
- **ქართულ ენაზე ნაშრომი იწყობა Acad Nusx შრიფტით. რუსულ და ინგლისურ ენებზე Times New Roman შრიფტით, (ასევე ამ ენებზე წარმოდგენილი რეზიუმეები). შრიფტის ზომა 11, სათაურებისათვის – 12, სტრიქონებს შორის 1,5 ინტერვალი. მინდორი: მარცხნივ და ზევიდან 2 სმ., მარჯვენივ და ქვევიდან 2,5 სმ.;**
- ნაშრომის **მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს A4 ზომის 7 ნაბეჭდ გვერდს**, გამოყენებული ლიტერატურისა (არაუმეტეს 8-10 დასახელებისა) და რეზიუმეების ჩათვლით; **რეზიუმეების კომპიუტერული თარგმანი არ მიიღება!**
- ნაშრომი წარმოდგენილ უნდა იქნეს ელექტრონულ ვერსიასთან ერთად ამობეჭდილი **A4** ზომის ქაღალდზე **ორ ეგზემპლარად,** მას თავფურცელზე უნდა დაერთოს ავტორის საკონტაქტო რეკვიზიტები: სახელი, გვარი; აკადემიური თანამდებობა, მისამართი (ბინის, სამსახურის, ტელეფონის ნომრები და ელექტრონული ფოსტის მისამართი);
- სტატიის ჟურნალში დაბეჭდვის ან დაბეჭდვაზე უარის თქმის **შეტყობინება** ხდება წარდგენიდან **3 თვის ვადაში;**
- ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.

მისამართი: **ქ. თბილისი, ეგ. ნინოშვილის №55**

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვირეკეთ ტელეფონზე: **2969044**

**WEB-page: www. tbuniver.edu.ge**

**E-mail: info @ tbuniver.edu.ge**

977198793700